

780 / 2
1986

1986/4

საქართველო

ქართული
ზოგადი ინფორმაცია
ISSN 0134-9848





ოჯახური პარტოზა (ძველი ეგვიპტური ფრესკა)

საუნჯე

1985/4

ივლისი
აგვისტო



შინაარსი

პანინიზ ბიოლი. კლოუნის თვალთახედვა. რომანი. გაგრძელება. გერმანიულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა	8
ბონინო გუერა. თაფლი. პოემა. იტალიურიდან თარგმნა მიხეილ ქელივიძემ	74
პრანტ მათევოსიანი. ჩვენი რბოლა. მოთხრობა. სომხურიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა	100
ანდრა მორუა. მოულოდნელი დაფრინა. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა ლაურა კალანდაძემ	126
ივან კოტლიარეცკი. ენადა. პოემა. უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ	136
რიჰარდ ფონ შაუკალი. კაემანი. მოთხრობა. გერმანიულიდან თარგმნა ვლადიმერ წარიძემ	146
ვოლფგანგ ბორჰერტი. კური. მოთხრობა. გერმანიულიდან თარგმნა ლია ციცაგმა	156
შილიამ უორდსუორთი. ლეკსები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა	158
ბატინა სუხოტინა-ტოლსტაია. მოგონებები. გაგრძელება. თარგმნა ნანა ღარჩიამ	160

წერილები

ალექსანდრ ბლოკი. წერილები. თარგმნა ნანა ახოვაძემ	288
ანდრა მორუა. ლიტერატურული ეტიუდები. ფრანგულიდან თარგმნა თინათინ ქიქოძემ	291
კორნეი ჩუკოვსკი. ჩემი შიტმენი. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ	297
გემან სივსივაძე. ცრუთა და ღალატთანა	294
მ. ე. მატეი. ძველი ეგვიპტის ხელოვნება. თარგმნა ეთერ ყურაშვილმა	318

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოდუა
ნოდარ ქაქაბაძე
ზურაბ ქიქნაძე
ვახუშტი კოტატიშვილი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქეზულაძე
იორამ ქვერტალიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შანაზარი
გივი ქნელაძე
დავით წერაღიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წიფშივაძე

რაჭო ჭეიშვილი (მთ. რედ. მოადგილე)

გარეკანზე: საუზრის დაქიდეზა (ძვ. ეგვიპტური ფრესკა)

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი.
გამომშვეები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 6.5.86 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 1.8.86 წ., ქაღალდის ზომა 70 X 108 1/16.
სააღრ. თ. 24,24 სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7 ტირ. 10 000, შეკვ. № 1134
ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14




რომანი

გერმანულიდან თარგმნა ნელი ავაშუკელმა

10

მშვენივრად ვიცოდი, კინკელი უაღრესად თავაზიანად მომეჩქა, მე მგონი, ფულს თუ ვთხოვდი, მომცემდა კიდეც. მე მხოლოდ ის შირევდა გულს, რომ პირში სიგარაგაჩრილი მეტაფიზიკაზე მელაყებოდა და მადონების სსენებაზე ხელად განაწყენდა. აღარაფერი მესაქმება მასთან, არც ფრაუ ფრედებოილთან. მომწყდნენ თავიდან! ხოლო თუ ფრედებოილს სადმე გადავეყრებოდი, რაიმე საბაბს გამოვძებნიდი და სილას გავაწნავდი. მის წინააღმდეგ „სულიერი იარაღით“ ბრძოლა უაზრობა იქნებოდა. ზოგჯერ მწყინს, რომ დუელები აიკრძალა. ციუპფენერისა და ჩემს დავას მარის გამო მხოლოდ დუელი გადაწყვეტდა. ამაზრზენი ის იყო, რომ ორთაბრძოლაში ისინი ერეოდნენ თავიანთი წესრიგის პრინციპებით, წერილობით განცხადებებით და რამდენიმე დღე პანოვერის სასტუმროში საიდუმლო მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ მარისთან. როცა მარის მუცელი მეორედ მოეშალა, საშინლად გაწვალდა, განერვიულდა, წარამარა ეკლესიაში გარბოდა და თუ თავისუფალ სადამოს თეატრში, კონცერტზე ან მოხსენებაზე არ მივეყვებოდი — ღიზიანდებოდა. მაგრამ კიდეც უფრო აღიზიანებდა ის, როცა ვთავაზობდი, რიჩ-რაჩი ვითამაშოთ, თან ჩაი დავლიოთ და ლოგინში გულალმა ვიწვეთ-მეთქი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბოლო დროს მარი ხატრით მეთამაშებოდა რიჩ-რაჩს, მხოლოდ იმიტომ, ან დავემშვიდებინე, ანდა ჩემთვის თავისი კეთილგანწყობა ეგრძნობინებინა. ბოლო დროს აღარც კინოში დამყვებოდა ჩემი საყვარელი ფილმების სანახავად — ამ ფილმებზე ექვსი წლის ბავშვებიც დაიშვებიან.

ვფიქრობ, ამქვეყნად არავინ მოიძებნება, კლოუნს რომ გაუგოს, კლოუნებსაც კი არ ესმით ერთმანეთისა. მათ შორის მუდამ იჩენს თავს შური ან უკეთურობა. მარის თითქოს ესმოდა ჩემი, მაგრამ ბოლომდე ვერც მან გამიგო. მარის აზრით მე, „როგორც შემოქმედს“, „მძაფრი ინტერესი“ უნდა მიბიძგებდეს, რაც შეიძლება მეტ კულტურას ვეზიარო, როგორც ცდებოდა. ცხადია, თავისუფალი სადამო რომ მქონოდა და მცოდნოდა, აქა და აქ ბეკეტს დგამენო, მაშინვე ტაქსით გავემგზავრებოდი. ხანდახან კინოშიც დავდივარ, შეიძლება საკმაოდ ხშირადაც, მაგრამ მხოლოდ ისეთ ფილმებზე, ექვსი წლის ბავშვებსაც რომ უშვებენ. მარის არასოდეს არ ესმოდა ეს. კათო-



ლიკურად აღზრდილმა ზოგი რამ ყურმოკრულად იცოდა ფსიქოლოგიიდან, ზოგიც მისტიკით შეფერადებული რაციონალიზმიდან, რაც შემდეგ ჩარჩოებში ეტეოდა: „სჯობს ფეხბურთი ითამაშონ, ვიდრე გოგოებზე იფიქრონ“. მე კი ყოველთვის სიამოვნებით ვფიქრობდი, გოგოებზე, ბოლოს კი მხოლოდ და მხოლოდ მარიზე. ზოგჯერ ჩემს თავს გადაგვარებულ კაცად წყევლობდი, რადგან სიამოვნებით დავდიოდი საბავშვო ფილმებზე, სადაც ჭკნარ-წახკნარით მთხრდითა უხამსობას, მრუშობასა და გაყრა-გამოყრას. ისეთ ფილმებში, სადაც მრუშობასა და გაყრას უჩვენებენ, ყოველთვის დიდ როლს თამაშობს ვილაცის ბედნიერება: „მოდით, საყვარელო, გამაბედნიერეთ“, ანდა „შენ გინდა ხელი შეუშალო ჩემს ბედნიერებას?!“ არაფერი მესმის ბედნიერებისა, რომელიც ერთ წამზე მეტ ხანს, ვთქვათ, ორ-სამ წამს, გრძელდება. მეძავეებზე გადაღებულ ნამდვილ ფილმებს სიამოვნებით ვუყურებ, მაგრამ ამგვარი ფილმები ძალზე ცოტაა. უმრავლესობა ისეთი პრეტენზიულია, გავიწყდება კიდევ მეძავეს რომ ეხება. არსებობს ქალების კიდევ ერთი კატეგორია. ისინი არც მეძავეები არიან და არც მეუღლეები, უბრალოდ გულკეთილი ქალებია, მაგრამ მათზე არ იღებენ ფილმებს. საბავშვო ფილმები, რომელთა სანახავად ექვსი წლის ბავშვებსაც კი უშვებენ, მეტწილად მეძავეებითაა სავსე. ვერაფერი გამიგია, რას ფიქრობენ ფილმების დამხმარისხებელი კომიტეტები, როცა ასეთ ფილმებს ბავშვებისათვის არჩევენ. ამ ფილმებში ქალები ან ბუნებით არიან მეძავეები ან სოციალური პირობების გამო. გულკეთილნი კი არასოდეს არ არიან. ველური დასავლეთის კაფე-შანტანებში ქერა ქალები კანკანს ცეკვავენ, ხოლო უხეში კოვბოები, ოქროს მაძიებელნი და მონადირეები, რომელთაც ორი წლის შანძილზე მყრალი სკუნსების მეტი არაფერი უნახავთ, თვალს არ აშორებენ ახალგაზრდა, ქერა ლამაზ ქალებს, მაგრამ როცა ეს კოვბოები, ოქროს მაძიებელნი და მონადირეები ქალიშვილებს უკან მიჰყვებიან და ოთახში შეშვებას სთხოვენ, მეტწილად ცხვირწინ უკეტავენ კარს, ან რომელიმე ტლანქი ღორი ისეთს უთავაზებს ხოლმე, ნოკაუტი ზედა აქვთ. ჩემის აზრით, ამგვარად გამოხატავენ ისინი სათნოებას. რა საქმე აქვს გულქვაობას იქ, სადაც ერთადერთი ადამიანური გრძნობა გულკეთილობა უნდა იყოს. რა გასაკვირია, რომ საბრალო კოვბოები ერთმანეთის ცემა-ტყეპაზე გადადიან და რევოლვერების ბათქა-ბუთქზე. მათთვის ეს იგივეა, რაც ინტერნატის მოსწავლეებისათვის ფეხბურთის თამაში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ისინი მოზრდილი მამაკაცები არიან და ამიტომ უფრო შეუბრალებელნიც. ვერაფერი გამიგია ამერიკული მორალისა. ჩემის აზრით, ამერიკელები კუდიანივით დაწვავდნენ კოცონზე გულკეთილ ქალს, ვინც ფულისა და ვნების გამო კი არ ემორჩილება მამაკაცს, არამედ იმიტომ, რომ მამაკაცის ბუნებას უთანაგრძნობს.

განსაკუთრებით მაწამებს ხელოვნებაზე გადაღებული ფილმები. უმეტეს შემთხვევაში ხელოვნებაზე ისეთი ხალხი იღებს ფილმს, რომლებიც ვან-გოგის სურათში ერთ კოლოფ თამბაქოს კი არა, მხოლოდ ნახევარს გაიღებდნენ და შემდეგ ამასაც ინანებდნენ, რადგან მიხვდებოდნენ, რომ მხატვარი სურათს ერთი საჩიბუხე თამბაქოს ფასადაც დათმობდა. ამგვარ სურათებში ხელოვანის სულრიერი ტანჯვა, გაჭირვება და დემონთან ბრძოლა მუდამ წარსულშია გადატანილი. კინომუშაეებს არ აინტერესებთ ცოცხალი ხელოვანი, რომელსაც სიგარეტის ფული არ აქვს და ცოლისათვის ფეხსაცმელი ვერ უყიდა, რადგან მოლაყბეთა სამმა თაობამ ჯერ ვერ დაარწმუნა, რომ ის გენიოსია.

მოლაყბეთა ერთი თაობა მათ დასარწმუნებლად აშკარად არ კმარა. მარიმაც კი დაიჯერა „ხელოვანის სულის დაუცხრომელი ძიება“. უცნაურია, როდესაც ამგვარი მართლაც არსებობს, ოღონდ სხვა რამ უნდა ეწოდებოდეს. კლოუნს მარტო სიმშვიდე სჭირდება, თავის მოსატყუებლად მაინც უნდა აქტიურობდეს, რასაც სხვებმა „თავისუფალ დროს“ უწოდებენ. სხვებს არ ესმით, რომ სხვების ნებითი თავისუფალი დრო კლოუნს სჭირდება თავისი საქმიანობის დასავიწყებლად. არ ესმით, რადგან ეგრეთ წოდებული ხელოვნებისათვის ისინი მხოლოდ მაშინ მოიცლიან ხოლმე, როცა თავისუფალი დრო აქვთ, რაც სავსებით ბუნებრივია. სულ სხვა ხალხია ხელოვნებას მიტმასნილნი. ისინი ხელოვნების გარდა არაფერზე არ ფიქრობენ და თავისუფალი დროც არ სჭირდებათ, რადგან არ მუშაობენ. დიდ გაუგებრობას იწვევს ის ამბავი, როცა ცას და მიწას ედებოდა და ამბობენ, ხელოვნებას მიტმასნილი იგივე ხელოვანიაო. ხელოვნებას მიტმასნილნი სწორედ მაშინ იწყებენ ხელოვნებაზე ლაპარაკს, როცა ხელოვანს ჰგონია, თავისუფალი დრო მაქვსო. იმ ორ, სამ ან ხუთ წუთში, როცა ხელოვანს ხელოვნება ავიწყდება, ხელოვნებას მიტმასნილნი იწყებენ ლაპარაკს ვან-გოგზე, კაფკაზე, ჩაპლინზე ან ბეკეტზე. ამ დროს მზადა ვარ თავი მოვიკლა — როგორც კი ვიწყებ იმ საქმეზე ფიქრს, რასაც მარისტან ვაკეთებ, ლუდზე ან შემოდგომის ჩამოცვენილ ფოთლებზე, რიჩ-რაჩის თამაშზე ან რამე მოტკბო სანტიმენტალურ სისულელეზე — ფრედებოილის ან ზომერვილდის მსგავსი ადამიანები ხელოვნებაზე სწორედ მაშინ ჩამოაგდებენ სიტყვას. საკმარისია დამეუფლოს უჩვეულოდ ამაღელვებელი გრძნობა, რომ მე სრულიად ნორმალური, ფილისტერულად ნორმალური ადამიანი ვარ, ისეთივე, როგორიც კარლ ემონდსია, ფრედებოილი ან ზომერვილდი, მაშინვე იწყებენ ლაქლაქს კლოდელზე ან იონესკოზე. თითქმის ასევე იქცეოდა მარიც, უწინ ნაკლებად, ბოლო დროს კი უმატა. პირველად ეს მაშინ შევამჩნიე, როცა ვუთხარი, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა უნდა ვისწავლო-მეთქი. ამაზე მარიმ მომიგო, ეს ჩემს ესთეტიკურ ინსტინქტს შელახავსო. ის, რაც არახელოვანისათვის თავისუფალი საღამოა, კლოუნისათვის სამუშაო დროა. თუ რას ჰქვია თავისუფალი დრო, ეს ყველამ იცის — იმპრესარიომაც და ყველაზე უბრალო მუშამაც, სულერთია ისინი ლუდს სვამენ თუ ალიასკაზე დათვებზე ნადირობენ, მარკებს აგროვებენ თუ იმპრესიონისტების ან ექსპრესიონისტების სურათებს (ერთი რამ ცხადია, ვინც ხელოვნების ნაწარმოებებს აგროვებს, ხელოვანი არ არის). შეიძლება მარტო იმან გამაგიჟოს, როგორ უკიდებენ თავისუფალ დროს სიგარეტს — რა მიხრა-მოხრა აქვთ, რა გამომეტყველება, მაგრამ ჩემთვის ეს გრძნობა ნაცნობია და რა დიდხანსაც არ უნდა ნებივრობდნენ, მათი მაინც არ მშურს. ზოგჯერ კლოუნიც ახერხებს რამდენიმე თავისუფალი წამი წაგლიჯოს დროს, მაგრამ იგი მაშინვე მხარ-თედოზე წამოწევა და სანამ სიგარეტს ნახევრამდე დაიყვანს, თავისუფალი დროის ფასი უკვე იცის. ის, რასაც შვებულება ჰქვია, მომაცვდინებელია. სამი, ოთხი თუ ექვსი კვირა ყველა ყოფილა შვებულებაში. მარიმ რამდენჯერმე სცადა შვებულების გემო მეგრძნო. ჩვენ ხან ზღვაზე მივემგზავრებოდით, ხან ქვეყნის შუაგულში მინერალურ წყლებზე, ხანაც მთაში, მაგრამ მე მეორე დღესვე ავად ვხდებოდი. ტანზე მუწუკებს მაყრიდა და სულს მკვლელობაზე ფიქრი მიმღვრევდა. მგონი შურისგან ვხდებოდი ავად. ამის შემდეგ მარის საშინელი აზრი მოუვიდა თავში, დაგვესვენა იქ, სადაც მხოლოდ ხელოვანნი ისვენებდნენ, თავისთავად ცხადია,

რომ იმ კურორტზე მხოლოდ ხელოვნებას მიტმასნილნი აღმოჩნდნენ. ერთ უგუნურ კაცს პირველ საღამოსვე წავეჩხუბე. ის კაცი კინოს დარგში დიდი ვინმე ბრძანდებოდა, კამათი წამოიწყო გროკზე, ჩარლი ჩაპლინზე, მასხარას როლზე შექსპირის დრამებში, მეც ამიყოლია და ისეთი შავი დღე მაყარა (ხელოვნებას მიტმასნილნი ხელოვნებისმაგვარი საქმიანობის წყალობით კარგად ცხოვრობენ, არსად არ მუშაობენ და ჯან-ღონით სავსენი არიან), რომ სიყვი-თლევც დამემართა, მაგრამ როგორც კი იმ საშინელ ბუნაგს დავაღწიეთ თავი, მაშინვე გამოვკეთდი.

თუ რამე მაფორიაქებს, ისევ საკუთარი უუნარობა, ვერა და ვერ ვისწავ-ლე თავის შეზღუდვა, ანდა როგორც ჩემი აგენტი ცონერერი იტყოდა, კონ-ცენტრირება. ჩემს ნომრებში მეტიმეტად არეულია პანტომიმა, ესტრადა და კლოუნადა — კარგი პიერო ვიქნებოდი, მაგრამ შემეძლო კარგი კლოუნიც ვყოფილიყავი. გარდა ამისა, ძალიან ხშირად ვცვლი ნომრებს. იმ პროგრამით, მე რომ მოვამზადე, წლების მანძილზე შემეძლო გამეტანა თავი ასეთია: „კა-თოლიკური ქადაგება“, „ევანგელისტური ქადაგება“. „სამეთვალყურეო საბ-ჭოს სხდომა“, „ქუჩაში სიარული“ და რამდენიმე სხვა ნომერი, მაგრამ ათი ან ოცი წარმოდგენის შემდეგ ნომერი ისე მბეზრდება, რომ არც მეტი არც ნაკლები, სცენაზე მთქნარება ამიტყდება ხოლმე. დიდი ძალა მჭირდება იმის-ათვის, რომ პირის კუნთები დავიმორჩილო. ამ დროს საკუთარი თავიც კი მო-საწყენი მეჩვენება, როცა წარმოვიდგენ კლოუნებს, რომლებიც ერთსა და იმ-სვე ნომრებს ოცდაათი წელიწადი ასრულებენ, ისე მიღონდება გული, თით-ქოს ვიღაცას მოესაჯოს ერთი ტომარა ფქვილის შეჭმა კოვზით. თუ რამეს ვა-კეთებ, უნდა მიხაროდეს, თორემ ავად ვხდები. ხანდახან ვფიქრობ, შემეძლო ეონგლიორიც და მომღერალიც ვყოფილიყავი, მაგრამ ეს მხოლოდ ყოველ-დღიური ვარჯიშისაგან თავის დასაძვრენი ფანდია. დღეში სულ ცოტა ოთხი სა-ათი მაინც უნდა ივარჯიშო, თუ შეგიძლია ექვსი, უმჯობესია მეტიც, მე კი ბო-ლო ექვს კვირაში საერთოდ მივატოვე ვარჯიში. ყოველდღე ერთი-ორჯერ დავდგებოდი ხელებზე და თავზე, ყძრაზე გადავიდოდი, რეზინის ლეიბზე — ამ ლეიბს ყველგან თან დავატრევ — ცოტათი წავივარჯიშებდი და მორჩა. ახლა, როცა მუხლი დაშავებული მაქვს, მშვენიერი საბაბი მეძლევა, რომ ტახ-ტზე წამოვწვე, სიგარეტი მოვწიო და საკუთარი თავის სიბრაღულით დავტკ-ბე. სულ ახალი პანტომიმა „მინისტრის სიტყვა“ საკმაოდ კარგი იყო, მაგრამ გასაშარყებლად არ შემეტებოდა. მიუხედავად ამისა, გარკვეულ ზღვარს მაინც ვერ გავცდი. ყველა ჩემი ლირიკული ნომერი ჩაფლავდა. აქამდე ვერ მოვახე-რებე ადამიანური გრძნობების ისე გამოხატვა, რომ საშინელი უგვანობა არ გა-მომსვლოდა. „მოცეკვავე წყვილი“, „სკოლაში წასვლა და შინ დაბრუნება“ არტისტული ნომრები იყო და ამდენად არა უშავდათ რა. მაგრამ, როცა ვცა-დე ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზა წარმომედგინა, კარიკატურუ-ლი გამომივიდა. მარი მართალი იყო, როცა ჩემს სურვილს — გიტარაზე დაკ-ვრა და სიმღერა მესწავლა — სინამდვილიდან გაქცევის ცდა უწოდა. ყველა-ზე მეტად ყოველდღიური ცხოვრების აბსურდულობის წარმოდგენა მეხერ-რებოდა: ვუკვირდები, დაკვირვებებს ვაჭამებ, შემდეგ ხარისხში ამყავს და ვხსნი ფესვს, მაგრამ არა იმ მაჩვენებლებით, რითაც ხარისში ავიყვანე, არამედ სხვა მაჩვენებლებით. ყოველ დიდ სადგურზე დილაობით ქალაქში მომუშავე ათასობით ადამიანი ჩამოდის, ქალაქიდანაც ათასობით ქალაქგარეთ მომუშა-

ვენი მიემგზავრებიან. საკითხავია, რატომ არ უცვლიან ეს ადამიანები ერთმანეთს სამუშაო ადგილს? ამას დაუმატეთ ერთმანეთის საპირისპიროდ მქროლავი ავტომობილების უსასრულო ნაკადში ჯახირი პიკის საათებში. სავსარისია ადამიანებმა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილები გაცვალონ და შეიძლება თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი არეულ-დარეულობა და უწყვეტების მიერ ხელების დრამატულად ქნევა: ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ისეთი სიჩუმე დამყარდებოდა, რომ პოლიციელები იქ რიჩ-რაჩსაც კი ითამაშებდნენ. აი, ამგვარი დაკვირვების საფუძველზე შეიქმნა პანტომიმა, სადაც გამალებით ვმუშაობდი ხელებით და ფეხებით, ხოლო ჩემი უძრავი, თოვლივით თეთრი სახე შუაში რჩებოდა და ოთხი კიდურით ვახერხებდი შემექმნა უამრავი გამვლელის ფუსფუსის შთაბეჭდილება. ჩემი მიზანია, სათქმელი ვთქვა რაც შეიძლება ძუნწი საშუალებებით, თითქმის ურეკვიზიტოდ. ნომრისათვის, რომელსაც ჰქვია „სკოლაში წასვლა და შინ დაბრუნება“ — ზურგჩანთაც კი არ მჭირდებოდა. საკმარისია ხელი, რითაც ჩანთა გიჭირავს. ტრამვაი ზარს რეკავს, სადაცაა დაიდრება და სწორედ იმ წამს გადავრბივარ ქუჩაზე, ვახტები ავტობუსს, შემდეგ ვახტები ავტობუსიდან, ვიტრინები თვალს მტაცებენ, სახლის კედლებზე ვწერ ორთოგრაფიულად მცდარ სიტყვებს, ვიგვიანებ გაკვეთილზე და გამწყრალი მასწავლებლის წინ ვდგავარ, შემდეგ მხრიდან ჩანთას ვიხსნი და მერხისაკენ მივიპარები. საკმაოდ კარგად მეხერხება ბავშვის არსებობის ლირიზმის გადმოცემა. ბავშვისათვის ხომ ბანალურიც მნიშვნელოვანია. ბავშვი მარტოა, გაურბის წესრიგს, იგი ტრაგიკული არსებაა. ბავშვს, როგორც ასეთს, არასოდეს არა აქვს თავისუფალი დრო. თავისუფალი დრო მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა „წესრიგის პრინციპებს“ ეზიარება. ფანატიკური გულმოდგინებით ვაკვირდები თავისუფალი დროის ყოველგვარ გამოვლენას: „აი მუშა ხელფასს ჯიბეში იღებს და მოტოციკლზე ჯდება, ბირჟის მაკლერი საბოლოოდ ჰკიდებს ტელეფონის ყურმილს და უბის წიგნაკს უჯრაში კეტავს, გასტრონომიული მაღაზიის გამყიდველი ქალი იხსნის წინსაფარს, იბანს ხელებს, სარკის წინ ისწორებს თმას, იღებავს ტუჩებს, იღებს ხელჩანთას და ქუჩაში გადის. ყოველივე ეს იმდენად ადამიანურია, რომ საკუთარი თავი ხშირად არაადამიანადაც კი მეჩვენება, რადგან თუ რა არის თავისუფალი დრო, ეს მხოლოდ სცენაზე შემოძლია წარმოვადგინო. ერთხელ მე და მარი ესაუბრობდით. აქვთ თუ არა ცხოველებს თავისუფალი დრო, მაგალითად ძროხას, როცა იცოხნება, ან ვირს, როცა ღობესთან თვლემს. მარის აზრით მკრეხელობაა თავისუფალი დრო ჰქონდეთ იმ ცხოველებს, რომლებიც მუშაობენ. თავისუფალი დრო ძილსაც შეიძლება ეწოდოს და დიდებულია სწორედ იმით, რომ ადამიანს და ცხოველს ათანაბრებს, მაგრამ თავისუფალ დროს მაშინ აქვს ფასი, როცა ამას შეგნებულად განიცდი. თავისუფალი დრო ექიმებსაც აქვთ, ამ ბოლო დროს კი — მღვდლებსაც. მე ეს მაბრაზებს, მღვდლებს არ შეიძლება ჰქონდეთ თავისუფალი დრო, ყოველ შემთხვევაში ის მაინც უნდა ესმოდეთ, რომ ხელოვანი ამას მოკლებულია. სრულებითაც არაა საჭირო, ხელოვნებაში ერკვეოდნენ, ესმოდეთ ხელოვანის მოწოდება, დანიშნულება და სხვა ამდაგვარი სისულელეები, მაგრამ ხელოვანის ბუნებას კი უნდა იცნობდნენ. მე და მარის ხშირად გვიკამათია. აქვს თუ არა ღმერთს, მას რომ სწამს, თავისუფალი დრო. მარი მარწმუნებდა, აქვსო. გადმოიღებდა ძველ ალთქმას და ხმამაღლა მიკითხავდა სამყაროს შექმნის ამბავს: „და განისვენა ღღესა მეშვი-

დესა ღმერთმან. მე მის ნათქვამს ეუპირისპირებდი ახალ აღთქმას და ვამტკიცებდი, ძველ აღთქმაში შეიძლება ღმერთს მართლაც ჰქონდა თავისუფალი დრო, მაგრამ ვერაფრით ვერ წარმომიდგენია ქრისტეს ჰქონდა თავისუფალი დრო. როცა მე ამას ვამბობდი, მარი ფითრდებოდა და მეთანხმებოდა, იმის წარმოდგენა, რომ ქრისტეს თავისუფალი დრო ჰქონდა, მკრეხელურობდა. ის კი ისვენებდა, მაგრამ ალბათ არასდროს არ ჰქონია თავისუფალი დრო.

მძინავს ცხოველივით, სიზმრებს თითქმის არ ვხედავ, ზოგჯერ რამდენიმე წუთით ჩავთვლებ, მაგრამ მაინც მგონია, თითქოს სამარადისოდ მოვწყდი ცხოვრებას, თითქოს გავყავი თავი კედელში, რომლის მიღმაც ბნელი უსასრულობა, დავიწყება და მარადიული თავისუფალი დრო სუფევს. და ის, რაზედაც პენრიეთე ფიქრობდა ხოლმე, როცა ანაზღად ჩოგანს ხელიდან აგდებდა, კოვზი წვნიანში უვარდებოდა და სწრაფი მოძრაობით კარტს ცეცხლში შეაგდებდა: არაფერი. ერთხელ ვკითხე, როცა მოგივლის, რაზე ფიქრობ-მეთქი და მან მიპასუხა:

— შენ ეს მართლა არ იცი?

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე და მან ჩურჩულით მითხრა:

— არაფერზე, არაფერზე არ ვფიქრობ.

— არაფერზე ფიქრი არაფრით არ შეიძლება, — ვუთხარი მე.

— რატომ არ შეიძლება, ამ დროს ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ, თან ნასვამივით ვარ, ისე მინდება ფეხსაცმელი და ტანსაცმელი გავიძრო, ყოველგვარი ტვირთი მოვიშორო.

მან ისიც მითხრა, ამ დიდებულ განცდას, ყოველთვის ველოდები, მაგრამ არასოდეს არ მეწვევა მაშინ, როცა ველოდები, მუდამ მოულოდნელი სტუმარია, მარადისობის დარი განცდაა. რამდენჯერმე ასეთი რამ სკოლაშიც მოუვიდა. მაგონდება აღშფოთებული დედაჩემის საუბრები ტელეფონით მისი კლასის დამრიგებელთან და ეს ფრაზა: „ღიახ, ღიახ, მართალი ბრძანდებით, ეს მხოლოდ ისტერიაა და მკაცრად დასაჯეთ“.

დიდებული სიცარიელის მსგავსი გრძნობა მე მაშინ მეუფლება, როცა რიჩ-რაჩს ვთამაშობ და თამაში სამ-ოთხ საათზე მეტ ხანს გრძელდება. ამ დროს არაფერი მესმის გარდა კამათლების ტკაცუნისა, ფიგურების გადაადგილებისა და მსუბუქი წკრიალისა, როცა ფიგურას მოახვედრებ. მარის ჯადრაკის თამაში უფრო იტაცებს, მაგრამ რიჩ-რაჩის თამაში მარისაც შევაყვარე. რიჩ-რაჩი ჩვენზე ნარკოტიკივით მოქმედებდა. ზოგჯერ ხუთი, ექვსი საათი გადაბმულად ვთამაშობდით, კელნერებსა და მოახლეებს, რომელთაც ჩვენთვის ჩაი ან ყავა მოჰქონდათ, სახეზე ისეთივე შიშნარევი რისხვა ეწერათ, როგორიც დედაჩემს, როცა პენრიეთეს თავისი მოუვლიდა. ზოგჯერ ჩაილაპარაკებდნენ: „დაუჯერებელია“, ზუსტად ისე, ავტობუსის მგზავრებმა რომ ჩაილაპარაკეს, როცა მარისთან გატარებული პირველი ღამის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი. მარიმ ქულების ჩაწერის ძალზე რთული სისტემა გამოიგონა, ქულები იწერებოდა იმის მიხედვით, თუ სად წაიქცეოდა შენი ან მოწინააღმდეგის ფიგურა. ცხრილი საინტერესო გამოდგა და მარის ოთხფერი ფანქარი ვუყიდე იმისათვის, რომ პასიური და აქტიური მონაცემები (ეს მისი გამოთქმაა) უკეთ ჩაენიშნა. ხანდახან რიჩ-რაჩს მატარებლით ხანგრძლივად მოგზაურობის დროსაც ვთამაშობდით, რითაც სერიოზულ მგზავრებს ვაოცებდით — და აი, სრულიად მოულოდნელად შევამჩნიე, რომ მარი რიჩ-რაჩს ჩემი ხათრით, ჩემს

დასამშვიდებლად თამაშობდა, „ხელოვანის სულს“ ხომ სჭირდება განმუხტვა. ის კი თურმე ამ დროს სულ სხვა რაღაცებზე ფიქრობდა. ყველაფერი ამ ორიოდე თვის წინ დაიწყო. მაშინ ხუთი დღე თავისუფალი ვიყავი. წამოდ-გენები არ მქონდა, მაგრამ ბონში ჩასვლაზე მაინც უარი ვთქვი, მე პირადად/მა-თი „წრის“, მაშინებდა ლეოსთან შეხვედრა. მარი კი წამდაუწყებლად და, ერთხელ კიდევ უნდა ვისუნთქო „კათოლიკური ჰაერი“, მოგზავნივს ჩემს/წა-ში გატარებული საღამოს შემდეგ რა დაღლილები, გასაცოდავებულები, გა-ნადგურებულები ვბრუნდებოდით ბონიდან კიოლნში, როგორ მეუბნებოდა გაუთავებლად მატარებელში „შენ ისეთი საყვარელი, ისეთი საყვარელი ხარ“. შემდეგ კი ჩემს მხარზე ჩამოეძინა და მხოლოდ მაშინ კრთებოდა, როცა კონ-დუქტორი სადგურის სახელს წამოიძახებდა: ზებტემი, ვალბერბერგი, ბრი-ული, კალშთირენი. ყოველი ასეთი წამოძახილის შემდეგ მარი შეკრთებოდა, წამოხტებოდა და შემდეგ ისევ დამადებდა თავს მხარზე. როცა მატარებლი-დან კიოლნის დასავლეთ სადგურზე გადმოვედით, მარიმ მითხრა: „ჯობდა კი-ნოში წავსულიყავით“. ყველაფერი ეს მაშინ გავახსენე, როცა „კათოლიკური ჰაერის“ სუნთქვაზე დაიწყო ლაპარაკი და შევთავაზე ან კინოში წავსულიყა-ვით ან საცეკვაოდ, ანდა რიჩ-რაჩი გვეთამაშა, მაგრამ მან თავი გააქნია და ბონში მარტო წავიდა. „კათოლიკური ჰაერი“ პირადად ჩემთვის არაფრის მთქმელი სიტყვებია. ბოლოს და ბოლოს ჩვენ მაშინ ქალაქ ოსნაბრიუქში ვი-ყავით და იქ ჰაერი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მთლად არაკათო-ლიკური.

სააბაზანოში გავედი, აბაზანაში მონიკა ზილგისის მოტანილი სურნელოვა-ნი ფხვნილი ჩავყარე და ცხელი წყალი მოვუშვი. დაბანა ისევე სასიამოვნოა, როგორც ძილი, ხოლო ძილი ისევე სასიამოვნო, როგორც „იმ საქმის“ კე-თება. მარი ამას ასე უწოდებდა და მეც მისი სიტყვებით ვლაპარაკობ. ვერაფ-რით ვერ შევგუებივარ იმ აზრს, რომ მარი ციუპფენერთანაც „იმ საქმეს“ აკე-თებს. ასეთი წარმოდგენისათვის ჩემს ფანტაზიას ისევე არ მოეძებნება კუნ-ჭულები, როგორც ვერ მძლია ცდუნებამ, მარის თეთრეულში ხელი მეფათუ-რებინა. მე მხოლოდ იმის წარმოდგენა ძალმიძს, როგორ თამაშობს მარი ცი-უპფენერთან რიჩ-რაჩს, მაგრამ ესეც მაშმაგებს. ნუთუ მართლა შეუძლია მა-რის იგივე აკეთოს მასთან, რასაც ჩემთან აკეთებდა და თავი მოღალატედ და მეძავად არ იგრძნოს. იმის უფლებაც კი არ აქვს, იმას პურზე კარაქი წაუს-ვას. როგორც კი წარმოვიდგენდი, აი, მარი საფერფლიდან მის სიგარეტს იღ-ებს და ბოლომდე სწევს, ლამის გონება მეკარგებოდა, არც ის მგვრიდა ნუ-გეშს, რომ ციუპფენერი არ ეწეოდა და მარის ალბათ ჭადრაკს ეთამაშებოდა. რაღაც ხომ უნდა ეკეთებინათ ერთად, ან ეცეკვათ ან კარტი ეთამაშათ ან ერ-თმანეთისათვის რამე შეეკითხათ, ბოლოს და ბოლოს ფულზე ან ამინდზე ელა-პარაკათ. რაღა რჩებოდა, სადილს თუ მოუხარშავდა მხოლოდ — ამ დროს განუწყვეტლივ ჩემზე ვერ იფიქრებდა, რადგან სადილს ისე იშვიათად მიხარ-შავდა, რომ ეს ღალატში ან კახპობაში არ ჩაეთვლებოდა. ყველაფერს მერჩია დაუყოვნებლივ დამერეკა ზომერვილდისათვის, მაგრამ ვერ აღძრე იყო. გა-დაწყვეტილი მქონდა ღამის სამ საათზე დამეფრთხო მისთვის ძილი და ხელ-

ოვნებაზე საუბრით გული მეჯერებინა. სადამოს რვა საათი ძალზე ნორმალური დრო იყო იმისათვის, რომ მასთან დამერეკა და მეკითხა, წესრიგის რამდენი პრინციპით ამოუყორა მარის მუცელი და რა გასამრჯელლო მიიღო ციუბფნერისაგან: მეცამეტე საუკუნის აბატის ჯვარი თუ მეთოთხმეტე საუკუნის შუარაინდული მადონა. ვფიქრობდი იმაზეც, როგორ მომეკლას მთმერვილი. ესთეტის მოკვლა ჯობს ხელოვნების ძვირფასი ქმნილებებით, ისე რომ სულის ამოსვლისას ბრაზი ახრჩობდეს, ხელოვნების ნიმუშს ასე მკრეხელურად რატომ მოექცნენო. მადონას ქანდაკება ამ მიზნისათვის არც ისე ძვირფასი ქმნილებად მეჩვენებოდა, თანაც გამძლე მასალისაგან იყო ჩამოსხმული, ზომერვილდი კი გულდამშვიდებული მოკვდებოდა, მადონა ხომ გადარჩაო. რაც შეეხება სურათს, სურათი არც ისე მძიმეა, შეიძლება საამისოდ ჩარჩო უფრო გამომდგარიყო, მაგრამ ესთეტს კვლავ სანუგეშოდ დარჩებოდა, სურათს არაფერი დაუშავდაო. შეიძლებოდა აგრეთვე რომელიმე ძვირფასი ნახატიდან საღებავები ჩამომეფხიკა და ტილოთი დამეხრჩო ან ჩამომეხრჩო იგი. თუმცა არც ისე ადვილია ისეთი ჯან-ლონით სავსე კაცის საიქიოს გასტუმრება, როგორიც ზომერვილდია — მაღალი, ტანადი, „წარმოსადგევი გარეგნობის“, თმაშეჭალარავეებული, ამასთანავე „კეთილი“, ალბინიზმით გატაცებული პიროვნება, რომელიც ამყობს იმით, რომ ორ ომში მონაწილეობდა და სპორტულ შეჯიბრებებში ვერცხლის მედალი აქვს მიღებული. კარგად გაწვრთნილი მოწინააღმდეგეა, ამიტომაც სადღაც აუცილებლად უნდა ვიშოვო ოქროს ან ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, სულაც მარმარილოსაგან გამოკვეთილი ხელოვნების ძვირფასი ქმნილება. მაგრამ აბა რას ემგვანებოდა, წინასწარ რომში წავსულიყავი და ვატეკანის მუზეუმიდან რაიმე ნივთი ამეწაპნა.

სანამ აბაზანა წყლით გაივსებოდა, მათი წრის კიდევ ერთი წევრი — ბლოთერტი გამახსენდა, რომელიც სულ ორჯერ მყავდა ნანახი. იგი კინკელივით პოლიტიკაში ჩახედული კაცი იყო და მისი „მემარჯვენე მოწინააღმდეგე“, მაგრამ მას „სხვა ფარული ზრახვები ამოძრავებდა და სხვა გარემოდან იყო მოსული“. ბლოთერტისთვის ციუბფნერი იმასვე წარმოადგენდა, რასაც ფრედებოილი კინკელისათვის — ერთგვარ თანაშემწესა და „სულიერ მემკვიდრეს“. მაგრამ ბლოთერტთან დარეკვა ასევე არაგონივრული იქნებოდა, როგორც საკუთარი ბინის კედლებისათვის შემწეობის თხოვნა. ერთადერთი, რაც მას ცოტათი გამოაცოცხლებდა ხოლმე, კინკელის ბაროკოს სტილის მადონები იყო. იგი ამ მადონებს ისეთნაირად ადარებდა თავისას, რომ ჩემთვის ცხადი შეიქნა, თუ რა უზომოდ სძულდათ მასა და კინკელს ერთმანეთი. ბლოთერტი რაღაც ისეთის პრეზიდენტი იყო, რის პრეზიდენტი კინკელიც სიამოვნებით გახდებოდა. ისინი შენობით იმიტომ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ბლოთერტი ორჯერ ვნახე და ორჯერვე შიშის გრძნობა გამიჩნდა. იგი საშუალო ტანის მამაკაცი იყო, ღია ქერა თმა ჰქონდა, გარეგნულად ოცდახუთი წლისა გეგონებოდათ. როცა ვინმე შეხედავდა, ჩაიცინებდა, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ნახევარ წუთს კბილებს აკრაჭუნებდა. თუ ოთხი სიტყვა დასცდებოდა, აქედან ორი „კანცლერი“ და „კათოლიკონი“ იყო და მაშინვე ცხადი ხდებოდა, რომ ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული, თანაც ფარული ბიწიერებებით მოტეხილ აბიტურიენტს ჰგავდა. ერთი სიტყვით, საშინელი ტიპი იყო. ზოგჯერ კრუნჩხვები ემართებოდა, რამდენიმე სიტყვის შემდეგ ენა ებმებოდა, ამბობდა „ჩვენი კა...კა...კა...“ და სანამ დარ-

ჩენილ „ნცლერს“ ან „თოლონს“ ამოღებდა, მეტრებოდა. მარი მეუბნებოდა, მისი ინტელიგენტობა პირდაპირ სენსაციურიყო, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთი არასოდეს არ მქონია ხელთ. მხოლოდ ერთხელ გავიგონე მისგან ოცზე მეტი სიტყვა. მათ წრეში სიკვდილით დასჯაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ბლოთერტი სიკვდილით დასჯას „ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“ უჭერდა მხარს და მე გამაოცა იმან, რომ არ თვალთმაქცობდა და საწინააღმდეგოს არ ამტკიცებდა. ამ დროს მისი სახე საზეიმო კმაყოფილებას გამოხატავდა, მაგრამ უეცრად კვლავ დაემა ენა და მისი „კა...კა...“ ისე ჟღერდა, თითქოს ამ ბგერების წარმოთქმისას ვიღაცას თავს კვეთდა. ზოგჯერ მე შემაკვებდა თვალს და ყოველთვის ისეთი გაოცებით, თითქოს სადაცაა წამოსცდება „დაუჯერებელიაო“, მაგრამ მხოლოდ თავს აქნევდა აქეთ-იქით. ჩემის აზრით, ის, ვინც კათოლიკე არ იყო, მისთვის საერთოდ არ არსებობდა. თუ ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯას შემოიღებდნენ, იგი ალბათ ყველა არაკათოლიკეს სიკვდილით დასჯას მოითხოვს. მას ცოლიც ჰყავს, შვილებიც და ტელეფონიც აქვს, მაგრამ ვამჯობინე კიდევ ერთხელ დამერეკა დედაჩემთან. ბლოთერტი მაშინ გამახსენდა, როცა მარიზე ვფიქრობდი. იგი ხომ რაღაცით ცენტრალურ გაერთიანებასთან იყო დაკავშირებული და ხშირი მისვლა-მოსვლა ექნებოდა მათთან. მაშინებდა იმის წარმოდგენა, რომ ბლოთერტი შეიძლება მათ მუდმივ სტუმართა შორისაც კი აღმოჩენილიყო. მარი ძალიან მიყვარდა და მისი ბოისკაუტური სიტყვები „მე უნდა წავიდე იმ გზით, რომლითაც უნდა ვიარო“, შეიძლებოდა გამეგო, როგორც იმ პირველი ქრისტიანის გამოსათხოვარი სიტყვები, მტაცებელი ცხოველების შესაქმელად რომ იმეტებს თავს. ვფიქრობდი მონიკა ზილვსზე და ვიცოდი, მისი გულკეთილობით ოდესმე ვისარგებლებდი. იგი ისეთი ლამაზი და მიმზიდველია, რომ კიდევ უფრო ნაკლებად შეეფერება მათ წრეს, ვიდრე მარი, მონიკას ყველაფერი ბუნებრივად გამოსდიოდა, სამზარეულოში ტრიალიც (ერთხელ ბუტერბროტების დამზადებაში მოვეხმარე), ცეკვაც და ხატვაც, თუმცა მისი ნახატები არ მომწონდა. ზომერვილდმა იმდენი რამ შთააგონა „გამოცხადებისა“ და „ხილვის“ შესახებ, რომ მხოლოდ მადონებსღა ხატავდა. ვეცდები მოვაშლევინო. მაინც არაფერი გამოუვა, კიდევ რომ სწამდეს და კარგად ხატავდეს. მადონების ხატვა უნდა დაუთმონ ბავშვებსა და ღვთისმოსავეებს, რამეთუ შემოქმედად არ მოაქვთ თავი. დამაფიქრა იმან, შევძლებ კი მოვაშლევინო მონიკას მადონების ხატვა. იგი დილეტანტი არ არის, ჯერ ახალგაზრდაა, ოცდაორი თუ ოცდასამი წლისა, უდავოდ უბიწოა და ეს ფაქტი შიშსა მგვრის. უეცრად საშინელი აზრი დამებადა, კათოლიკებს გადაწყვეტილი ხომ არა აქვთ, მონიკას ზიგფრიდის როლი მე დამაკისრონ. ეს ამბავი იმით დამთავრდება, რომ მონიკა ჩემთან რამდენიმე წელიწადს იცხოვრებს და მანამდე მომეპყრობა კარგად, სანამ წესრიგის პრინციპები მოქმედებას არ დაიწყებენ. ამის შემდეგ იგი ბონში დაბრუნდება და ფონ ზევერნზე გათხოვდება. ამ აზრის გულში გავლება და ჩემი გაწითლება ერთი იყო, ამიტომ მოვეშვი ამაზე ფიქრს. მონიკა იმდენად კარგი იყო, რაღა იმაზე უნდა მეყარა ჯავრი ასეთი ბოროტი აზრებით. თუკი შევზავდებოდი, ჯერ იმას უნდა ვცდილიყავი, რომ ზომერვილდზე ამეცრუებინა მისთვის გული. სალონების ლომი ლამის მამაჩემივით გამოიყურება. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ მამაჩემს დიდი პრეტენზიები არა აქვს, ცდილობს რაც შეიძლება ჰუმანური ექსპლოატატორი იყოს და ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ზო-

მერველდს კი, ჩემის აზრით, თანაბარი წარმატებით შეუძლია იყოს კუროზალის დირექტორიც, იმპრესარიოც, ფეხსაცმლის ფაბრიკის სარეკლამო ბიუროს გამგეც, ელემენტური შლაგერების შემსრულებელიც და „ოსტატურად“ შეთხზილი მოდური ქურნალების რედაქტორიც. ყოველ შაბათს წმინდა კორბინიანის ეკლესიაში ქადაგებს. მარტო ორჯერ წამათრია იმ ეკლესიაში, სადა იმდენად არასასიამოვნო იყო, მიკვირს, სადა აქვს თვალები ზომერვილდის უწყებას, რამდენის ნებას აძლევს. ბევრად მირჩევნია რილკე, ჰოფმანსთალი და ნიუმენი ცალ-ცალკე ვიკითხო, ვიდრე ამ სამის ნარევი თაფლიანი წყალივით მომართვან. ქადაგების დროს ოფლმა დამასხა. ჩემი ვეგეტატიური ნერვული სისტემა არაბუნებრიობის გამოვლენის გარკვეულ ფორმებს ვერ იტანს. მეშინია, როცა მესმის გამოთქმა: „დაე ყოველმა არსებულმა იარსებოს და მოლივლივემ ილივლივოს“. ამას მირჩევნია ვუსმინო უმწეო, ჩასუქებულ პასტორს, რომელიც ეკლესიის კათედრიდან რელიგიის გაუგებარ ჭეშმარიტებებს ბორძიკით წარმოთქვამს და სულაც არ ჰგონია რომ მისი ნალაპარაკევი „დასაბეჭდად მზადაა“. მარი ნაწყენი იყო, რომ ზომერვილდის ორი ქადაგებიდან არც ერთი არ მომეწონა. მაგრამ ყველაზე გამაწყამებელი ის იყო, რომ ქადაგების შემდეგ ეკლესიის მახლობლად მდებარე კაფეში შევედით. მთელი კაფე იმ „ხელოვნებას მიტმასნილებით“ გაივსო, ზომერვილდის ქადაგებას რომ ესწრებოდნენ. ბოლოს თვითონაც გამოცხადდა. მის ირგვლივ წრე შეიკრა და ამ წრეში ჩვენც ჩავვრთეს. არაბუნებრივი ნაბოდვარი, რითაც ზომერვილდი ეკლესიის კათედრიდან გაგვიმასპინძლდა, აქაც ორ-სამჯერ თუ ოთხჯერ გადაღეჭეს. ერთი კალმით ნახატი ახალგაზრდა მსახიობი ქალი, რომელსაც გრძელი თმა და ანგელოზის სახე ჰქონდა და ვისზედაც მარტო ჩამჩურჩულა, „სამი მეოთხედით“ მოქცეულიაო, მზად იყო ზომერვილდისათვის ფეხები დაეკოცნა. მე მგონი, ზომერვილდიც არ ეტყოდა უარს ამაზე.

აბაზანის ონკანი დავკეტე, პიჯაკი გავიხადე, პერანგი და ქვედა საცვალი გავიძრე, იქვე კუთხეში მივყარე და ის იყო აბაზანაში ჩაწოლას ვაპირებდი, რომ ტელეფონმა დარეკა. ქვეყანაზე მხოლოდ ერთ კაცს ვიცნობ, ვისაც შეუძლია ტელეფონის ზარი ასე ენერგიულად და ვაჟკაცურად ააწკრილოს. ეს გახლავთ ცონერერი, ჩემი აგენტი. ყურმილი ისე ახლოს მიაქვს პირთან და ისე სულმოუთქმელად ლაპარაკობს, რომ მეშინია არ დამდორბლოს. როცა უნდა რაიმე სასიამოვნო მითხრას, ლაპარაკს ასე იწყებს „გუშინ დიდებული იყავით“. ამას ისე, ტყუილად მეუბნება, რადგან წარმოდგენა არა აქვს, მართლა დიდებული ვიყავი თუ არა, ხოლო როცა რამე უსიამოვნო უნდა მაუწყოს, მეუბნება: „გამიგონეთ, შნირ, თქვენ ჩაპლინი არა ხართ“, მაგრამ ამით იმის თქმა კი არ უნდა, რომ ჩაპლინს ბევრად ჩამოვუვარდები, არამედ მხოლოდ იმის, რომ ნაკლებად სახელმოხვეჭილი ვარ და ამიტომ ჩემს თავს ისეთი რაღაცების ნება არ უნდა მივცე, რაც ცონერერს აღიზიანებს. ვიცოდი, რომ ახლა ცონერერი არც რაიმე არასასიამოვნოს მეტყოდა და არც ქვეყნის დაქცევით შემაშინებდა, როგორც ყოველთვის მაშინებდა, როცა წარმოდგენის გამართვაზე უარს ვამბობდი. ამჯერად არც იმაში დამდებდა ბრალს, რომ „ისტერიის გამო წარმოდგენას ვშლი“. იქნებ ოფენბახმა, ბამბერგმა და ნიურნბერგმაც უკვე უარი თქვეს ჩემს წარმოდგენებზე და ამიტომ ტელეფონში მიაგარიშებდა, რამოდენა ზარალი მივაყენე. ტელეფონი განაგრძობდა გაშმაგებით, ენერგიულად, ვაჟკაცურად წკრილს ერთი პირობა გადავწყვიტე აპარატისათვის

ბალიში დამეფარებინა, მაგრამ საშინაო ხალათი გადავიცვი, საერთო ოთახში გავედი და აწყრილებული ტელეფონის წინ გავჩერდი. იმპრესარიოებს მაგარი ნერვები აქვთ და მტკიცედ დგანან ფეხზე: ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ხელოვანის მგრძნობიარე სული“ მათთვის ისევე ჟღერს, როგორც „დორტმუნდის მელუდეთა სააქციო საზოგადოება“. მათთან ლაპარაკი ხელისუფლებაზე და ხელოვნებაზე წყლის ნაყვია. მათ ისიც კარგად იციან, რომ ყველაზე უსინდისო ხელოვანსაც კი ათასჯერ მეტი სინდისი აქვს, ვიდრე ყველაზე პატიოსან იმპრესარიოს. გარდა ამისა, ხელთ აქვთ იარაღი, რის წინააღმდეგაც ვერავინ ვერაფერს გააწყობს — ცხადი შეგნება იმისა, რომ ხელოვანს არ შეუძლია არ აკეთოს ის, რასაც აკეთებს: სურათები ხატოს, თუ კლოუნია, იხეტილოს ქალაქიდან ქალაქში, იმღეროს, ან ქვისა თუ გრანიტისაგან „მარადიული ფასეულობანი“ გამოაქანდაკოს. ხელოვანი ქალს ჰგავს, უსიყვარულოდ არსებობა რომ არ შეუძლია და პირველივე შემხვედრი ულაცი ვირის ხელში აღმოჩნდება. ყველაზე ადვილი ქალისა და ხელოვანის ექსპლოატაციაა და ყველა იმპრესარიოს ერთიდან ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტამდე რაღაც სცხია სუტენიორისა. ეს რეკვაც ნამდვილი სუტენიორის რეკვა იყო. ცონერერმა ეტყობა ქოსთერთისაგან გაიგო, როდის წამოვედი ბოხუმიდან და დანამდვილებით იცოდა, შინ რომ ვიყავი. საბანაო ხალათი ზონრით შევიკარი და ყურმილი ავიღე. ცხვირში ლუდის სუნის მეცა.

— დალახვროს ეშმაკმა, შნირ, — მითხრა მან, — რა მოხდა, რატომ მალოდინებთ ამდენ ხანს?

— ეს წუთია ყოვლად თვინიერად აბაზანის მიღებას ვაპირებდი, — ვუპასუხე მე, — ნუთუ ამგვარი რამ კონტრაქტს ეწინააღმდეგება?

— თქვენი იუმორი ჩამოსახრჩობად განწირული კაცის იუმორია, — მითხრა მან.

— შერედა, თოკი სადაა, — ვკითხე მე, — ნუთუ უკვე ჩამობმულია?

— მოეშვით სიმბოლიკას, — მითხრა მან, — უჯობესია საქმეზე ვილაპარაკოთ.

— სიმბოლოებით ლაპარაკი მე არ დამიწყია, — ვუთხარი მე.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაიწყო, — მითხრა მან, — ეტყობა, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი შემოქმედებითი თვითმკვლელობა ჩაიდინოთ.

— ძვირფასო ბატონო ცონერერ, — ვუთხარი ჩუმად, — ძნელი ხომ არ იქნებოდა პირი ცოტათი მოაშოროთ ყურმილს, ლუდის სუნის პირდაპირ ცხვირში მცემს.

ორი სიტყვა მან ქურდების ჟარგონზე ჩაილაპარაკა თავისთვის, რაღაც „არიფისა“ და „მაყუთის“ მაგვარი.

— სითავხედეს ვერავინ მოგაშლევინებთ, — მითხრა მან სიცილით, — რაზე ვლაპარაკობდით?

— ხელოვნებაზე, — ვუპასუხე მე, — მაგრამ თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მირჩევნია საქმეზე ვილაპარაკოთ.

— მაშინ სალაპარაკო არაფერი გვქონია, — მითხრა მან, — მაგრამ იცოდეთ, თქვენზე მე ხელს არ ვიღებ, გაიგეთ?

გაოცებულმა პასუხის გაცემა ვერ მოვახერხე.

— ნახევარი წლით მიმოქცევიდან ამოგიღებთ, შემდეგ კი ისევ კაცად გაგზავნიან. იმედი მაქვს, იმ ბოხუმელმა ღვთის გლახამ დიდად არ გაგანაწყენათ.

— როგორ არა, — ვუპასუხე მე, — მან ერთი ბოთლი არაყი წამლლიტა და იმ თანხის სხვაობაც, ბოხუმიდან ბონამდე პირველი და მეორე კლასის ვაგონით მგზავრობა რომ იძლევა.

— უგუნურობა გამოიჩინეთ, ჰონორარის შემცირებაზე რომ დათანხმდით. ხელშეკრულება ხელშეკრულებაა და რადგან ფეხი იტყინება, მუცელი გქონდათ წარმოდგენა შეგეწყვიტათ.

— ცონერერ, — ვთქვი ჩუმად, — მართლა ასეთი ადამიანური ხართ, თუ...

— სისულელეა, — მიპასუხა მან, — თქვენ მე მიყვარხართ და თუ ამას აქამდე ვერ მიხვდით, უფრო ბრიყვი ყოფილხართ, ვიდრე მეგონეთ. გარდა ამისა, თქვენი მეშვეობით ჯერ კიდევ შეიძლება ფულის ვაკეთება, ოღონდ მოეშვით ლოთობას, ეს ხომ ბავშვობაა...

ცონერერი მართალს ამბობდა, რასაც მე ვაკეთებდი, მართლაც ბავშვობა იყო.

— რომ მშველის, — ვუპასუხე მე.

— რა მხრივ? — მკითხა მან.

— სულიერად.

— სისულელეა, — მითხრა მან, — მოდით მოეშვით ამ სულს, ჩვენ რა თქმა უნდა, შეგვეძლო გვეჩვილა მაინისათვის, ხელშეკრულება რომ დაარღვიეს და ალბათ ამ საქმეს მოვიგებდით, მაგრამ არ გირჩევთ. ნახევარი წელი დაისვენეთ და შემდეგ ისევ დაგაყენებთ ფეხზე.

— მერედა, რით ვიცხოვრო ნახევარი წელი? — ვკითხე მე.

— ჰოო, — მითხრა მან, — იმედი მაქვს, მამათქვენი ჯიბეზე ხელს გაიკრავს.

— რომ არ გაიკრას?

— მაშინ იპოვეთ კეთილი მეგობარი ქალი, რომელიც ამდენ ხანს შეგინახავთ.

— მირჩევნია ჯამბაზობა დავიწყო, — ვუთხარი მე, — სოფლებსა და პატარა ქალაქებს ველოსიპედით დავივლი.

— სცდებით, — მითხრა მან, — გაზეთებს სოფლებშიც და პატარა ქალაქებშიც კითხულობენ და ამჟამად ახალგაზრდულ კავშირებსაც კი ვერ შევაჩეჩებ ხელში თქვენს თავს თითოეულ გამოსვლაში ოც მარკად.

— სცადეთ კი? — ვკითხე მე.

— დიახ, — მიპასუხა მან, — თქვენს გამო მთელი დღე ტელეფონზე ვეკიდე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. ხალხს არავინ არ უფუჭებს გუნებას ისე, როგორც შესაბრალისი კლოუნი. ეს იგივეა, რომ გორგოლებიან სავარძელში ჩამჯდარმა ოფიციატმა ლუდი მოგართვათ. ილუზიებით იტყუებთ თავს.

— თქვენ არა? — ვკითხე მე, მაგრამ იგი დუმდა და ამიტომ განვაგრძე: — მხედველობაში მაქვს თქვენი ვარაუდი, რომ ნახევარი წლის შემდეგ კვლავ შეეძლებთ გამოსვლას.

— შეიძლება ასეც მოხდეს, — მითხრა მან, — მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალია. უკეთესი იქნებოდა მთელი წელიწადი დაგვეცადა.

— მთელი ერთი წელი — ვთქვი მე, — იცით, რამდენ ხანს გრძელდება ერთი წელიწადი?

— სამას სამოცდახუთ დღეს, — მიბასუხა მან და ისევ მოურიდებლად მი-
იტანა პირი ყურმილთან, ლუდის სუნმა გული ამირია.

— სახელი რომ გამოვიცვალო? — ვკითხე მე, — გავიკეთებ სხვა ცხვირს/
მოვამზადებ სხვა ნომრებს, გიტარაზე დაეამღერებ, ჟონგლიორობაშიც შევსწრაფ-
ვარ.

— სისულელეა, — მითხრა მან, — თქვენი სიმღერა გულის გამაწვრილე-
ბელია, ხოლო ჟონგლიორობაში დილეტანტი ხართ და მეტი არაფერი. ყველა-
ფერი ეს სისულელეა. თქვენ ყველა მონაცემი გაქვთ იმისა, რომ გვარიანი
კლოუნი იყოთ და მანამდე წერაფერს მთხოვთ, თავსაც კი ნუ შემახსენებთ, სა-
ნამ მთელი სამი თვე დღეში რვა საათს არ ივარჯიშებთ. მაშინ გესტუმრებით
და თქვენს ახალ და შეიძლება ძველ ნომრებსაც ვნახავ. ოღონდ მოეშვი-
თ მაგ ტუტუცურ ლოთობას და ივარჯიშეთ.

დადუმებულს მომესმა მისი ქოშინი, თან სიგარეტს ჭაჩავდა.

— მონახეთ ისეთივე ერთგული არსება, როგორიც ის ქალიშვილი იყო,
ყველგან რომ თან დაგყვებოდათ, — მითხრა მან.

— ერთგული არსება, — გავიმეორე მე.

— ღიახ, — მითხრა მან, — ყველაფერი დანარჩენი სისულელეა. ნურც
იმას იფიქრებთ, რომ უჩემოდ გახვალთ ფონს და უბადრუკი ადამიანების წი-
ნაზე იჯამბაზებთ. ასე შეიძლება მხოლოდ სამი კვირა გაიტანოთ თავი. ისიც
შეგიძლიათ, შნირ, რომ მეხანძრეთა იუბილეებზე იმაიმუნოთ და მაყურებელს
ქუდით ხელში ჩამოუაროთ, მაგრამ თუ რაიმე ამდაგვარმა ჩემს ყურამდე მო-
აღწია, მაშინვე მოგიხაზავთ.

— ძაღლიშვილო, — მივაძახე მე.

— ღიახ, — მითხრა მან, — უკეთესი ძაღლიშვილის პოვნა გაგიჭირდე-
ბათ. მაგრამ თქვენ თუ თვითნებურად მოიქცევით და მოხეტიალე ჯამბაზი გა-
ხდებით, ორ თვეში სრულიად მოგელებათ ბოლო. გესმით, ამ საქმეში რალაც-
რალაცები გამეგება.

ხმას არ ვიღებდი.

— გესმით? — მკითხა მან.

— ღიახ, — ვუბასუხე მე.

— თქვენ მე მიყვარხართ, შნირ, თქვენთან მუშაობა სიამოვნებას მგვრის,
თორემ ტელეფონით ლაპარაკში ამდენ ფულს არ დავხარჯავდი.

— შვიდს გადასცილდა, — ვუთხარი მე, — და ჩემი ვარაუდით ეს სიამო-
ვნება ორნახევარი მარკა დაგიჯდებათ.

— ღიახ, — მითხრა მან, — შეიძლება სამიც, მაგრამ ამჟამად არც ერ-
თი აგენტი არ გაიმეტებდა თქვენთვის ამოდენა თანხას. მაშ ასე: სამი თვის
ვარჯიშის შემდეგ კვლავ ვხვდებით ერთმანეთს და თქვენ სულ ცოტა ექვსი
უზადო ნომერი მაინც უნდა გქონდეთ მომზადებული. დასცინცლეთ თქვენს
ბერიკაცს იმდენი, რამდენსაც შეძლებთ. ნახვამდის.

მან მართლა დაკიდა ყურმილი, მე კი ყურმილი ხელში მეჭირა, მესმოდა
ტელეფონის ტუტუნნი, რალაცას ველოდი და მხოლოდ ხანგრძლივი ყოყმანის
შემდეგ დავდე. ცონერერმა რამდენჯერმე გამაცურა, მაგრამ არც ერთხელ
არ მოვუტყუებია. იმ დროს, როცა ჩემი გამოსვლა ორას ორმოცდაათი მა-
რკა ღირდა, იგი ხელშეკრულებას ასოთხმოც მარკაზე მიდებდა და ჩემი წყა-
ლობით აშკარად კარგ ფულს აკეთებდა. ყურმილის დადების მერეღა მივხვდი,
რომ იგი ერთადერთი კაცი იყო, ვისაც კიდეც დიდხანს ვესაუბრებოდი სიამო-
ვნისათვის.

ნებით. მას ჩემთვის რაღაც შანსი უნდა მოეცა. ნახევარ წელს რა მომაცდევინებდა. ნუთუ არ მოიძებნებოდა აკრობატთა ჯგუფი, სადაც ჩემთანა კაცი გამოადგებოდათ. ტანად მსუბუქი ვარ. თავბრუსხვევისა არ შემიძლია და ცოტაოდენი ვარჯიშის შემდეგ გვარიანად შევძლებდი ან სხვა აკრობატებთან ერთად მუშაობას, ანდა სხვა კლოუნებთან ერთად სკეტჩების შექმნას. მარი ყოველთვის მეუბნებოდა, პარტნიორი გჭირდება, მაშინ საკუთარი ნომრები ისე არ მოგბეზრდებაო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ცონერერს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ყველა შესაძლებლობა ამოწურული. გადავწყვიტე მისთვის მოგვიანებით დამერეკა. სააბაზანოში დავბრუნდი, საბანაო ხალათი გავიხადე, დანარჩენი ჩვრები კუთხეში მივყარე და აბაზანაში ჩავწექი. ცხელი აბაზანის მიღება თითქმის ისევე სასიამოვნოა, როგორც ძილი. მოგზაურობის დროს ყოველთვის აბაზანის ოთახს ვჭირაობდი, მაშინაც კი, როცა ფული გვაკლდა. მარი მუდამ მეუბნებოდა, შენი მფლანგველობის თავი და ბოლო, შენივე წარმოშობააო, მაგრამ მართალი არ იყო. ჩვენს სახლში თბილ წყალს ისევე უფროთხილდებოდნენ, როგორც ყველაფერ დანარჩენს. ცივი შხაპის მიღება ყოველთვის შეგვეძლო, მაგრამ ცხელი აბაზანის მიღება ჩვენს სახლშიაც მფლანგველობად ითვლებოდა და ანაც კი, რომელიც სხვა დროს რაღაც-რაღაცებზე თვალს ხუჭავდა, ამ საკითხში უღმობელი იყო. მის მეცხრე ქვეით პოლკში ცხელი აბაზანის მიღება მომაცვიდნებელ ცოდვად ითვლებოდა.

მარი რომ გვერდით არ მყავდა, ამას აბაზანაშიც ვგრძნობდი, ზოგჯერ როცა ცხელ წყალში ვიწექი, იგი საწოლზე იჯდა და ხმამაღლა მიკითხავდა რამეს. ერთხელ ძველი აღთქმიდან სოლომონისა და საბაელი დედოფლის ამბავი წამიკითხა ბოლომდე, მეორედ — მაკაბელთა ბრძოლა, ზოგჯერ მიკითხავდა თომას ვულფის რომანსაც „ანგელოზო, მოიხედე სახლისაკენ“. ახლა კი ყველასაგან მიტოვებული ვიწექი ამ სულელურ ჟანგისფერ აბაზანაში. სააბაზანოს კედლები შავი კაფელით იყო მოპირკეთებული, ხოლო თვით აბაზანა, სასაპნე, შხაპის სახელური და უნიტაზის საჯდომი ფიცარი ჟანგისფერი იყო. მაკლდა მარის ხმა. თუ ჩავუფიქრებდი, იგი ციუბფნერთან ერთად ბიბლიასაც კი ვერ წაიკითხავს, მაშინვე ენიშნება, რომ მოღალატე ან კახპაა. აუცილებლად მოაგონდება დიუსელდორფის სასტუმრო, სადაც სოლომონისა და საბაელი დედოფლის ამბავს მიკითხავდა ხმამაღლა, სანამ მოთენთილს აბაზანაში არ ჩამეძინა. ვხედავდი დიუსელდორფის სასტუმროს მწვანე ხალიჩებს, მარის მუქ თმას, მესმოდა მისი ხმა. ბოლოს მან მოკიდებული სიგარეტი მომიტანა და მე ვაკოცე.

კისრამდე საპნის ქაფში ვიწექი და მარიზე ვფიქრობდი. ციუბფნერთან ან მისი თანდასწრებით მარის არაფრის გაკეთება არ შეეძლო ისე, რომ მე არ გავხსენებოდი. მის გვერდით კბილის პასტის ტუბსაც კი ვერ მოახრახნიდა სახურავს. ჩვენ მრავალჯერ გვისაუზმია ერთად, ღარიბულადაც და მდიდრულადაც, ნაუცბადევადაც და ნაირ-ნაირი კერძებით გაწყობილ სუფრასთანაც. დილაადრიაანდაც და თითქმის შუადღეზეც, უზომოდ ბევრი ჯემიც გვქონია და უჯემოდაც გავსულვართ იოლად. იმის წარმოდგენა, რომ მარი ყოველ დილით ერთსა და იმავე დროს საუზმობს ციუბფნერთან ერთად, სანამ იგი მანქანაში არ ჩაჯდება და თავის კათოლიკურ ბიუროში არ წავა, თითქმის ღვთისმოსავს მხდიდა. ვლოცულობდი, რომ არასდროს არ ესაუზმათ ერთად, ვცდილობდი წარმომედგინა ციუბფნერი: მისი წაბლისფერი თმა, თეთრი კანი, გა-

მართული წელი — ციუპფნერი, გერმანული კათოლიციზმის ერთგვარი აღ-
კიბიადე, მაგრამ ნაკლებად თავქარიანი. კინკელის აზრით, თუმცა ციუპფნერი
ცენტრში იდგა, მაგრამ მაინც უფრო მარჯვნივ იხრებოდა, ვიდრე მარცხნივ.
მათი საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა მარჯვნივ და მარცხნივ დგომას
გულზე ხელს თუ დავიდებ, ციუპფნერი უნდა მივათვალო იმდენად მარჯვნივ-
ბას, ნამდვილ კათოლიკებად რომ მიმაჩნია. ესენი არიან: პაპი იოანე, ალექ-
ვინესი, მარი, გრეგორი... და ციუპფნერი. გარდა იმისა, რომ მარი ძალიან უყ-
ვარდა, მთავარი როლი მაინც იმან ითამაშა, რომ ციუპფნერმა მოინდომა მა-
რი ცოდვების გზიდან უცოდველობის გზაზე გაეყვანა. მათი ხელიხელჩაკიდე-
ბული სიარული კი ეტყობა, არაფერს არ ნიშნავდა. ერთხელ ვკითხე კიდევ
მარის ამის თაობაზე. მარის როგორღაც საყვარლად გადაჰქრა სიწითლემ და
მითხრა: ჩვენს მეგობრობას ბევრმა რამემ შეუწყო ხელი, ჩვენს მამებს ფაში-
სტები დევნიდნენ, ორივე კათოლიკეები ვართო და გარდა ამისა: „ხომ იცი რო-
გორ უჭირავს თავი, იგი მე ახლაც მომწონს“.

აბაზანიდან ცოტაოდენი გაცივებული წყალი გამოვუშვი, ცხელი დავაძა-
ტე და სურნელოვანი ფხვნილი პეშვით მოვაფრქვიე. გამახსენდა მამაჩემი,
რომელსაც სურნელოვანი ფხვნილის წარმოებაშიც ედო წილი. რაც არ უნ-
და ვიყიდო — სიგარეტები, საპონი, საწერი ქაღალდი, წკირიანი ესკიმო თუ
სოსისი — მამაჩემს ყველაფერში უდევს წილი. რა ვიცი, იქნებ იმ ორნახევარ
სანტიმეტრ კბილის პასტაშიც კი უდევს წილი, რომელსაც ხანდახან ვხმარობ,
მაგრამ ჩვენს სახლში ფულზე ლაპარაკი დაუშვებელია. ყოველთვის, როცა ანა
ცდილობდა დედაჩემისათვის ანგარიში ჩაებარებინა და დავთრები ეჩვენებინა,
დედა ეუბნებოდა: „ფული ზიზღს იწვევს ჩემში“. დროდადრო მას მაინც უხ-
დებოდა „უ“ წარმოეთქვა, მაგრამ ეს „უ“ ყოველთვის „ე“-სავით ჟღერდა.
ჩიბის ფულს ჩვენ ძალიან ცოტას გვაძლევდნენ. სამაგიეროდ ნათესავები
გვყავს ბევრი და როცა ყველას ერთად მოიწვევდნენ, როცა ორმოცდაათი თუ
სამოცი ბიძა და დეიდა-მამიდა-ბიცოლა მოიყრიდა თავს, მათ შორის ერთი-
ორი კეთილი ნათესავი ზოგჯერ ცოტა ფულს მაინც ჩაგვიყრიდა ხოლმე ჩიბე-
ში, რადგან დედაჩემის ხელმომჭირნეობა ანდაზად იყო ქცეული. ყოველივე
ამას ისიც დაუმატეთ, რომ დედაჩემის დედა შთამომავლობით დიდგვაროვანი,
ფონ ჰოენბროდე იყო და მამაჩემს დღესაც მიაჩნია, დიდი პატივი დამდეს, სი-
ძედ რომ მიკადრესო. თუმცა მამაჩემის სიმამრი გვარად თულერი იყო და მხო-
ლოდ მისი სიდედრის ქალიშვილობის გვარი იყო ჰოენბროდე. გერმანელები
დღეს კიდევ უფრო ეტანებიან და ელოლიაგებიან გვარიშვილობას, ვიდრე 1910
წელს. ისეთი ადამიანებიც კი, ინტელიგენტებად რომ ითვლებიან, დიდგვაროვან-
თა ნაცნობობისათვის თავს იკლავენ. ამ ამბავს ყურადღება უნდა მიაქციოს დე-
დაჩემის ცენტრალურმა კომიტეტმა, რადგან ესეც რასობრივი საკითხია. ისეთ
გონიერ კაცსაც კი, როგორიც ბაბუაჩემია, ვერ მოუნელებია, როგორ მოხდა,
რომ 1918 წელს, როცა „ასე ვთქვათ“ ყველა საჭირო საბუთი მზად იყო და
შნირებისათვის აზნაურობა უნდა ებოძებინათ, სწორედ გადამწყვეტ მომენტ-
ში კაიზერმა, რომელსაც დეკრეტზე ხელი უნდა მოეწერა, თავს უშველა, გე-
რმანიიდან გაიქცა — ალბათ სხვა საზრუნავი გაუჩნდა, თუკი საერთოდ ოდ-
ესმე საზრუნავი ჰქონია. „შნირების თითქმის გააზნაურების“ ამბავს დღესაც,
ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ყველანი ჩვენს ოჯახში, როცა ამის შემთხვე-
ვა მიეცემათ, „დეკრეტი მისი უდიდებულესობის საქალაქო იპოვეს“, —

იმეორებს მამაჩემი ყოველთვის. მიკვირს, დორში რომ არაფერია გაემგზავრა და კაიზერს ქალაქზე ზედი ზედი არ მოაწერინა. მე იქ ცხენზე ამხედრებული მაკრიკს გავგზავნიდი, მაშინ ეს საქმე საკადრისად მაინც მოგვარდებოდა.

გამახსენდა, მარი სწორედ მაშინ იწყებდა ჩემოდნების ამგვარებას, როცა მე უკვე აბაზანაში ვიწექი. ვიგონებდი, როგორ იდგა საწოლთან და როგორ იძრობდა ხელთათმანებს, ისწორებდა თმას, როგორ იღებდა კარადიდან საკიდრებს, ჩამოაცმევდა ზედ კაბებს, დაჰკიდებდა კარადაში და გაასრიალებდა თითბრის ლარტყაზე. შემდეგ ფეხსაცმელებს მიუჩენდა ადგილს, მესმოდა ქუსლების ბაკუნია, ლანჩების სრიალი. ბოლოს ტუალეტის მაგიდის მინის ფილაქანზე ალაგებდა ტუბებს, მომცრო ქილებს, მოზრდილ ფერ-უმარილიან ქილებს, ფრჩხილების ლაქიან წვრილ შუშას, საპუდრეს. ამ დროს ჩემამდე ლითონის მჭახე ხმა აღწევდა. პომადას შვეულად დგამდა.

უეცრად მივხვდი, რომ ცრემლი დაბა-ლუპით ჩამომდის და საოცარი ფიზიკური მოვლენა აღმოვაჩინე: აბაზანაში მწოლს საკუთარი ცრემლები ცივი მეჩვენებოდა. ჩვეულებრივ მეგონა, ცრემლი ყოველთვის ცხელია-მეთქი, ბოლო თვეებში, სიმთვრალეში რამდენჯერმე მიტირია მდულარე ცრემლით. მომაგონდა აგრეთვე პენრიეთე, მამა, რჯულშეცვლილი ლეო და მიკვირდა, ძმამ რომ აქამდე ხმა არ მომაწვდინა.

12

პირველად ოსნაბრიუქში მითხრა, შენი მეშინიაო. მაშინ მე ბონში ჩასვლაზე უარი განვაცხადე, მას კი ძალიან უნდოდა მშობლიურ ქალაქში ჩასვლა და „კათოლიკური პაერის“ სუნთქვა. გამოთქმა არ მომეწონა და ვუთხარი, ოსნაბრიუქშიც საკმაოდ ბევრი კათოლიკეა-მეთქი. მარი მარწმუნებდა, ჩემი არ გესმის და არც გინდა გაიგო. ჩვენ უკვე ორი დღე ვცხოვრობდით ოსნაბრიუქში, ორ წარმოდგენას შორის თავისუფალი დრო გამოგვერია და წინ კიდევ სამი დღე გვედო. დილიდანვე წვიმდა, კინოებში არაფერი გადიოდა ისეთი, ჩემთვის საინტერესო რომ ყოფილიყო. არც რიჩ-რაჩის თამაში შემითავაზებია მარისათვის, რადგან წინა დღეს რიჩ-რაჩის ხსენებაზე ისეთი სახე გაუზდა, როგორიც აქვთ ხოლმე მეტისმეტად თავდაჭერილ ბავშვების მომვლელ ქალებს.

მარი საწოლზე იწვა და კითხულობდა, მე კი ფანჯარასთან ვიდექი, სიგარეტს ვეწეოდი და ხან პამბურგის ქუჩას გავცქეროდი, ხანაც ვაგზლის მოედანს. წვიმდა. ტრამვაი ჯერ კიდევ არ იყო გაჩერებული, რომ სადგურის მოსაცდელი დარბაზიდან მისკენ ხალხი მორბოდა. ჩვენ არც „იმ საქმის“ გაკეთება შეგვეძლო, რადგან მარი ავად იყო, მუცელი არ მოშლია, მაგრამ რაღაც ამდაგვარი მოუვიდა. ხეირიანად არ მესმოდა, რა, და ვერც ვერაფერს ამიხსნა. ყოველ შემთხვევაში, მარის ეგონა, ფეხმძიმედ ვარო, ახლა კი აღარ იყო. იმ დილით მხოლოდ რამდენიმე საათი დაჰყო საავადმყოფოში. გაფითრებული, დაღლილი და გაღიზიანებული ჩანდა. ვუთხარი, შენთვის ახლა არ ივარგებს მატარებლით ამსიგრძე გზის გავლა-მეთქი. ძალიან მინდოდა დაწვრილებით მცოდნოდა, რა სტკიოდა, მაგრამ მან არაფერი მითხრა, მხოლოდ ეს იყო, რომ დროდადრო ტიროდა და თანაც რაღაცნაირად უცხოდ, ავად ტიროდა.

თვალი მოეკარი პატარა ბიჭს, რომელიც ქუჩის მარცხენა მხარეს ვაგზლის მოედნისაკენ მოჰყვებოდა და კოკისპირულ წვიმაში თავიდან ფეხებამდე

გალუმბულს ჩანთა წინ ჰქონდა გაწვდილი. ჩანთისათვის საბურავი აეხადა და ისეთი სახით მოჰქონდა, როგორც ერთ სურათზე მინახავს, სადაც სამ წმინდა მეფეს იესოსათვის საკმეველი, ოქრო და ზმირინი მოაქვთ. სახელმძღვანელოების სველი, თითქმის დაშლილი ყდებიც დავინახე. ბიჭის გამომეტყველებამ ჰენრიეთე მომაგონა — სახეზე ისეთივე თავგანწირულობა და აღმაფრენა აღბეჭდოდა.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა მარიმ საწოლიდან.

— არაფერზე, — ვუპასუხე მე.

ბიჭმა ვაგზლის მოედანი ნელი ნაბიჯით გადატრა და სადგურის შენობაში გაუჩინარდა. მისი შემყურე შიშმა შემიპყრო. ამ ლაღად გატარებულ მეოთხედ საათს აკივლებული დედა და შეწუხებული მამა ხუთწუთიანი ახსნა-განმარტების შემდეგ, მწარედ ამოადენდნენ ცხვირში. ჯიბეგაფხეკილებმა საიდან უყიდონ ახალი წიგნები და რეეულები.

— რაზე ფიქრობ? — მკითხა მარიმ ხელმეორედ.

მინდოდა ისევ ვუპასუხა, არაფერზე-მეთქი, მაგრამ შემდეგ ბიჭი გამახსენდა და ვუამბე, რაზეც ვფიქრობდი: როგორ მივიდა სახლში ბიჭი, რომელიც სადაც აქვე, მახლობელ სოფელში ცხოვრობს, როგორ მოიგონა ტყუილი, რადგან სიმაართლეს არავინ დაუჯერებდა, როგორ იტყოდა, ფეხი დამიცდა და ჩანთა გუბეში ჩამივარდა, ანდა ერთი წუთით ჩანთა საბურავის ღარის ქვეშ დავდე და უეცრად ისეთი თავსხმა წამოვიდა, ჩანთაში წყალი ჩავიდაო. ყოველივე ამას ჩუმი, მონოტონური ხმით ვყვებოდი, მარიმ კი საწოლიდან მომადგა:

— რას ნიშნავს ეს, რატომ შიყვები ასეთ სისულელეებს?

— რადგან სწორედ ამაზე ვფიქრობდი, როცა მკითხე.

მარიმ არ დაიჯერა, ბიჭზე მონაყოლი ამბავი და მე გავბრაზდი. აქამდე ჩვენ არასოდეს მოგვიტყუებია ერთმანეთი და არც ტყუილი დაგვიწამებია ერთმანეთისათვის. მე ისე აღვშფოთდი, რომ ვაიძულე ამდგარიყო, ფეხსაცმელი ჩაეცვა და ჩემთან ერთად სადგურზე წამოსულიყო. სიჩქარეში ქოლგა დამავიწყდა. ერთიანად გავილუმბეთ. ბიჭი კი ვერ ვიპოვეთ. გავიარეთ მოსაცდელი დარბაზი და სადგურის ქრისტიანულ მისიაშიც კი შევიხედეთ. ბოლოს ბაქნის კონტროლიორს ვკითხე, ამ ცოტა ხანში მატარებელი თუ გავიდა-მეთქი. დიახ, მიპასუხა მან, ორი წუთის წინ ბომთეს მიმართულებით გავიდა მატარებელიო. შემდეგ ვკითხე, ბაქანზე თავიდან ფეხებამდე გალუმბული ქერთმიანი ბიჭი ხომ არ დაგინახავთ, აი ამ სიმაღლე-მეთქი. რკინიგზელს რაღაც ეჭვი აღედგრა და მკითხა:

— რა მოხდა, რამე დააშავა?

— არა, — ვუპასუხე მე, — მინდა მხოლოდ ვიცოდე, იმ მატარებელს ხომ არ გაჰყვა.

მე და მარი გალუმბულები ვიდექით და მან თავიდან ფეხებამდე ეჭვის თვალით შეგვათვალიერა.

— რაინის მხრიდან ხართ? — მკითხა მან ისეთნაირად, თითქოს მეკითხებოდა, ნასამართლევი ხომ არ ხართო.

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ამგვარი ცნობის გაცემა მხოლოდ ზემდგომი პირების ნებართვით შემოიძლია, — მითხრა მან.

ეტყობა რომელიღაც რაინისპირელმა ჯარში ყოფნის დროს მწარედ მო-

ატყუა. ერთ სცენის მუშას ვიცნობდი. ჯარში სამსახურის დროს ვიღაც ბერლინელმა მოატყუა და მას შემდეგ ყველა ბერლინელი კაციან-ქალბრანად პირად მტრად მიაჩნდა. ერთხელ, როცა სცენაზე ბერლინელი აქრობატი ქალი გამოდიოდა, მან უეცრად სინათლე გამორთო. საბრალო ქალი წაფთვრილდა და ფეხი მოიტეხა. მართალია, მისი მზაკვრობა ვერაფრით ვერაფერს ვერაფერს, ყველაფერი „მოკლე ჩართვას“ დააბრალებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, იმ სცენის მუშამ განგებ გამორთო სინათლე მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონა ბერლინელი იყო, იგი კი ჯარში ვიღაც ბერლინელმა მწარედ მოატყუა. ოსნაბრიუქის სადგურის კონტროლიორი ისე მიყურებდა, რომ გული გამისკდა.

— მე და ეს ქალბატონი დავნადლევდით, — ვუთხარი მე, — საქმე სანადლეოს ეხება.

ეს არ უნდა მეთქვა, რადგან ვტყუოდი, ტყუილი კი მაშინვე მემჩნევა სახეზე.

— რა თქმა უნდა, დანაძლევდით, ვიცი როგორც ნაძლევდებიან რაინის-პირელები, — მითხრა რკინიგზელმა.

ერთი სიტყვით, ვერაფერს გავხდი. უეცრად გავიფიქრე, ტაქსი დავიჭერ, ბომთეში ჩავალ, მატარებელს სადგურში დავხვდები და დავინახავ, როგორ გადმოვა ბიჭი ვაგონიდან-მეთქი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ან ბომთემდე ჩამოსულიყო რომელიღაც მიყრუებულ სადგურზე ან პირიქით ბომთეს შემდეგ. სასტუმროში თავიდან ფეხებამდე გალუმპულნი და გათოშილნი დავბრუნდით. მარის ქვედა სართულის ბარისკენ ვუბიძგე, დახლთან მივიყვანე, მხარზე ხელი მოვხვიე და კონიაკი მოვითხოვე. ბარმენმა, რომელიც ამავე დროს სასტუმროს პატრონიც იყო, ისე შემოგვხედა, სახეზევე უტყობოდა, სიამოვნებით გამოიძახებდა პოლიციას. წინა დღეს ჩვენ საათობით ვთამაშობდით რიჩ-რაჩს და ლორიანი პურები და ჩაი ოთახში ამოვაცანინეთ. დილით მარი საავადმყოფოში წავიდა და უკან გაფითრებული დაბრუნდა. კონიაკი ისე უდიერად მოგვაწოდა, რომ ნახევარი დაიქცა. იგი გამომწვევად გვარიდებდა თვალს.

— არა გჯერა ჩემი? — ვკითხე მარის, — იმ ამბავს ვგულისხმობ, ბიჭზე რომ მოგიყევი.

— როგორ არა, მჯერა, — მიპასუხა მან.

მაგრამ ასე იმიტომ მიპასუხა, რომ შევებრალე და არა იმიტომ, რომ მართლა სჯეროდა ჩემი. აცოფებდა ისიც, ვაჟკაცობა რომ არ მყოფნიდა, ბარმენისთვის პასუხი მომეთხოვა კონიაკის დაღვრისათვის. ჩვენს გვერდით ვიღაც შემზარავი ახმახი იდგა და პირის წკლაპუნით წრუბავდა ლუდს. ყოველი მოწრუბვის შემდეგ ტუჩებზე მოდებულ ქაფს ილოკავდა და ისე გადმომხედავდა ხოლმე, ვფიქრობდი, სადაცაა გამომელაპარაკება-მეთქი. ყოველთვის მეშინია გარკვეული ასაკის ნასვამი გერმანელის გამოლაპარაკებისა, რადგან მუდამ ომზე ლაპარაკობენ და დიდებულ რამედ მიაჩნიათ. მკვლევლები რომ არიან, მხოლოდ მაშინ ირკვევა, როცა უზომოდ თვრებიან და იმასაც კი ამბობენ, „ამით ქვეყანა არ დაქცეულაო“. სიცხევატანილი მარი კანკალებდა და როცა კონიაკის ჭიქები მონიკელებულ დახლზე გავაცურე, შემომხედა და თავი გააქნია. მადლობა ღმერთს, ამჯერად ბარმენმა ჭიქები ფრთხილად მოგვაწოდა და არაფერი დაუღვრია. გულზე მომეშვა. თავს აღარ ვთვლიდი ლაჩრად. ახმახმა ერთი ჭიქა არაყი გადაკრა და საკუთარ თავს გამოელაპარაკა.

— ორმოცდაოთხში არაყსა და კონიაკს ვედროებით ვსვამდით... ორმოც-
დაოთხში ვედროებით... რასაც ვერ მოვერუოდით, ქუჩაში ვღვრიდით და
ცეცხლს ვუკიდებდით... არც ერთი წვეთი იმ ყუყუჩებს, — კაცს ჭავჭავია,
არც ერთი წვეთი...

მე კიდევ ერთხელ მივუჩოჩე ჭიქები ბარმენს. მან მხოლოდ გაავსო და სანამ მეორეს გაავსებდა, ისე შემომხვდა, თითქოს რაღაცის კითხვა უნდოდა. მე მაშინლა შევამჩნიე, რომ მარი ჩემს გვერდით აღარ იდგა. ბარმენს თავი დავუქნიე და ვანიშნე, მეორე ჭიქაც გაევსო. ორივე შარტომ გადავკარი და დღესაც კმაყოფილი ვარ, რომ მაშინვე გავეცალე იქაურობას. მარი საწოლზე იწვა და ტიროდა. ხელი შუბლზე დავადე. მან ჩემი ხელი მოიშორა, ნელა, ნაზად, მაგრამ მაინც მოიშორა. იქვე საწოლზე ჩამოვჯექი და როცა მისი ხელი ხელში ავიღე, არ წაუერთმევია. გარეთ ჩამოხველდა. მთელი საათი ვიჯექი მარის გვერდით საწოლზე, მისი ხელი მეჭირა და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე ლაპარაკი. კიდევ ერთხელ ვუამბე ჩუმი ხმით იმ ბიჭის ამბავი. მან ისე მომიჭირა ხელი, თითქოს უნდოდა ეთქვა, პო მჯერა, შენო. ვთხოვე დაწვრილებით აეხსნა, რა გაუკეთეს საავადმყოფოში, მაგრამ მან მიპასუხა: „ქალური ამბავია, უწყინარი, მაგრამ საშინელი“. „ქალური ამბავი“ შიშს მგვრის, ეს სიტყვები რაღაცნაირი ბოროტი იდუმალებითაა მოცული, რადგან ამგვარ ამბებში სრულიად უმეცარი ვარ. მე და მარი უკვე სამი წელიწადი ვცხოვრობდით ერთად, როცა პირველად გავიგე რაღაც „ქალური ამბების“ შესახებ, რა თქმა უნდა, ის კი ვიცოდი, როგორ უჩნდებოდათ ქალებს ბავშვები, მაგრამ დეტალებისა არაფერი გამეგებოდა. მაშინ ოცდაოთხი წელი შემისრულდა, მარი უკვე სამი წელიწადი იყო ჩემი ცოლი და ამგვარი რამეები მხოლოდ ამ ასაკში გავიგე. როცა მარი მიხვდა, რა უმეცარიც ვარ, გაეცინა, ჩემი თავი მკერდზე მიიღო და ჩამდენჯერმე მითხრა: „რა საყვარელი, რა ძვირფასი ხარ“. მეორე ადამიანი, ვინც ამ ამბებში გამათვითცნობიერა, ჩემი სკოლის ამხანაგი, კარლ ემონდსი იყო. თავში მას მუდამ ჩასახვის საწინააღმდეგო ამაზრზენი ტაბლეტები უტრიალებდა..

მოგვიანებით აფთიაქში წავედი, მარის დასაძინებელი წამალი ვუყიდე და მანამდე ვუჩექი სასთუმალთან, სანამ არ ჩაეძინა. დღემდე არ ვიცი, რა დაემართა მაშინ, რა გართულებები გამოიწვია მისმა „ქალურმა ამბებმა“. მეორე დღით ქალაქის ბიბლიოთეკას ვეწვიე და ენციკლოპედიაში ამოვიკითხე ყველაფერი, რისი ამოკითხვაც კი ამ საკითხის შესახებ შეიძლებოდა. გულზე მომეშვა. შუადღეზე მარი მარტო გაემგზავრა ბონში. სამგზავრო ჩანთის მეტი თან არაფერი წაუღია. აღარც იმაზე ჩამოუგდია სიტყვა, ბონში გამომყევით.

— ზეგ ფრანკფურტში შევხვდებით ერთმანეთს კვლავ, — მითხრა მან.

ნაშუადღევს, როცა ზნეობის დამცველმა პოლიციამ მომავითხა, გამეხარდა, მარი რომაქ არ დახვდათ, თუმცა მისი წასვლა საჩოთირო მდგომარეობაში მაყენებდა. ჩემი ვარაუდით სასტუმროს პატრონმა დამაბეზღა. ცხადია, ყველგან ვამბობდი, მარი ჩემი ცოლია-მეთქი, ამის გამო მხოლოდ ორ-სამჯერ თუ გვქონდა უსიამოვნება. მაგრამ ოსნაბრიუქში შავი ღლე დამადგა. მესტუმრა ორი მოხელე, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი და კაცი. მექცეოდნენ უადრესად ზრდილობიანად, მეტისმეტადაც კი. ასე ალბათ იმიტომ გაწვრთნეს, რომ „სასიამოვნო შთაბეჭდილება“ მოეხდინათ, მაგრამ მე ყოველთვის მაღიზიანებდა პოლიციელების ხაზგასმული ზრდილობა.

ქალი ლამაზი და ზომიერად შეღებილი იყო. იგი მხოლოდ მაშინ დაჯდა, როცა სკამი შევთავაზე, ბოლოს სიგარეტიც კი გამომართვა. მისი კოლეგა კი ამ დროს შეუმჩნევლად ათვალთქვამდა ოთახს.

— ფროილან დერკუმი თქვენთან აღარ არის? — მკითხა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — ადრე გაემგზავრა ფრანკფურტში, მაშინ ზეგერტმანეთს შევხვდებით.

— მსახიობი ბრძანდებით?

მე ვუპასუხე, კი-მეთქი. თუმცა ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მაგრამ საქმის გასაადვილებლად თანხმობა ვარჩიე.

— უნდა გაგვიგოთ, — მითხრა ქალმა, — ჩვენ ვალდებული ვართ შერჩევით შევამოწმოთ ჩვენს ქალაქში გაჩერებული მგზავრები, როცა სამკურნალო დაწესებულებას აბორტისათვის მიმართავენ.

— ყველაფერი მესმის, — ვუპასუხე მე, — თუმცა ენციკლოპედიაში აბორტზე არაფერი წამიკითხავს.

მამაკაცსაც შევთავაზე დამჯდარიყო, მაგრამ უარი თავაზიანად მითხრა და შეუმჩნევლად განაგრძობდა ოთახის თვალთვალს.

— თქვენი სახლის მისამართი? — მკითხა ქალმა. მე ბონის მისამართი მივეცი. ქალი წამოდგა. მისმა კოლეგამ თვალი შეავლო ტანსაცმლის ღია კარდას.

— ფროილან დერკუმის კაბებია? — მკითხა მან.

— დიახ, — ვუპასუხე მე.

მან მრავალმეტყველი თვალთ შეხედა ქალს, ქალმა მხრები აიჩეჩა, მხრები აიჩეჩა მამაკაცმა, კიდევ ერთხელ დახედა ნოხს, შემდეგ დალაქიანებული ადგილისაკენ დაიხარა და ისე შემომხედა, თითქოს მოელოდა, იმ წამსვე გამოვტყდებოდი მკვლელობაში. ბოლოს, როგორც იქნა, წავიდნენ. მთელი ამ სცენის დასასრულამდე უკიდურესად ზრდილობიანად მექცეოდნენ. როგორც კი კარი გაიხურეს, ყველა ჩემოდანი ჩავალაგე, ანგარიში ოთახში ამოვატანიე, სადგურიდან მებარგული გამოვაძახებინე და პირველივე მატარებლით გავეცალე იქაურობას. სასტუმროს პატრონს დაწყებული დღის ქირაც კი გადავუხადე. სადგურში ბარგი ფრანკფურტში გადასაგზავნად ჩავაბარე და სამხრეთისაკენ მიმავალ პირველივე მატარებელს გავყევი. მეშინოდა და ამიტომ მიწოდოდა აქედან გაქცევა. ჩემოდნების ჩალაგების დროს მარის პირსახოცზე წითელი ლაქა აღმოვაჩინე. ბაქანზე გასულს, სანამ მატარებელში ჩავჯდებოდი, ჯერ კიდევ მქონდა იმის შიში, უცრად ვინმეს მხარზე ხელი არ დაედო და ზრდილობიანად არ ეკითხა უკნიდან: „აღიარებთ დანაშაულს?“ მე მზად ვიყავი ყველაფერი მედიარებინა. როცა ბონს ჩავუარე, შუალამე გადასული იყო, მატარებლიდან გადმოსვლა არც კი მიფიქრია.

მგზავრობა განვაგრძე და დაახლოებით დილის ოთხ საათზე ფრანკფურტში ჩავედი, უსაშველოდ ძვირ სასტუმროში გავჩერდი და მარის დავუბრუნე ბონში. მეშინოდა, ვაითუ სახლში არ იყოს-მეთქი, მაგრამ იგი მაშინვე მოვიდა ტელეფონთან და მითხრა.

— პანს, მადლობა ღმერთს რომ დარეკე, ძალიან ვწუხდი.

— წუხდი? — ვკითხე მე.

— ჰო, ვწუხდი. ოსნაბრიუქში დავრეკე და მითხრეს, სადღაც გაემგზავრაო. ახლავე მოვდივარ ფრანკფურტში, ახლავე!

აბაზანა მივიღე, საუზმე ოთახში ამოვატანინე და დავიძინე. თორმეტ საათზე მარიმ გამაღვიძა. გამოცვლილი მეჩვენა. ძალზე ხალისიანი და ალერსიანი იყო.

— საკმარისად ისუნთქე კათოლიკური პაერი? — ვკითხე მე.
მარიმ გაიცინა და მაკოცა. პოლიციელებზე არაფერი მიაგზავნა.

13

მინდოდა კიდევ ერთხელ ჩამემატებინა ცხელი წყალი აბაზანაში, მაგრამ წყალი აღარ ვარგოდა და ვიგრძენი, დრო იყო ამოვსულიყავი. აბაზანამ მუხლი ვერ დამიამა, ისევ გასიებული მქონდა და თითქმის ველარ ვხრიდი. აბაზანიდან ამოსულს ფეხი დამიცურდა და კინაღამ ლამაზ კაფელის იატაკზე გავიშხლართე. გადავწყვიტე იმწამსვე დამერეკა ცონერერისათვის და მეთხოვა დამხმარებოდა, რომელიმე აკრობატულ ჯგუფს მივტმასნებოდი. აბაზანიდან ამოსულმა ტანი შევიმშრალე, სიგარეტს მოვუკიდე და ჩემი თავი სარკეში შევათვალიერე. გამხდარი ვჩანდი. უეცრად ტელეფონმა დარეკა. შეიძლება ლეო მირეკავდა.

— ალო.

— ო, — მომესმა ზომერვილდის ხმა, — ვიმედოვნებ, ორმაგი სალტოს შესრულებაში თქვენთვის ხელი არ შემიშლია?

— მე კლოუნი ვარ და არა აკრობატი, — ვუთხარი გაცოფებულმა, — და განსხვავება ამ ორ პროფესიას შორის ისეთივე დიდია, როგორც იეზუიტებსა და დომინიკანელებს შორის, ხოლო თუ მე რაიმე ორმაგის გაკეთება გადავწყვიტე, ეს იქნება ორმაგი მკვლელობა.

ზომერვილდს გაეცინა.

— შნირ, შნირ, — მითხრა მან, — თქვენი მდგომარეობა სერიოზულად მაწუხებს. ნუთუ იმისათვის ჩამოხვედით ბონში, რომ ტელეფონით ყველას მტრობა გამოუცხადოთ?

— მე დაგირეკეთ? — ვკითხე ზომერვილდს, — თუ თქვენ დამირეკეთ?

— აჰ, — თქვა მან, — განა ამას ამხელა მნიშვნელობა აქვს?

არაფერი მიპასუხია.

— ძალიან კარგად ვიცი, — განაგრძო მან, — რომ არ გიყვარვართ, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ და მე მიყვარხართ. ამიტომ უფლება უნდა მომცეთ დავნერგო ცხოვრებაში ის პრინციპები, რომლებიც მწამს და რომელთაც ვიცავ.

— თუ დაგჭირდათ, ძალითაც, არა?

— არა, ძალით არა, მაგრამ ენერგიულად კი, — მიპასუხა მან. ზომერვილდი სიტყვებს მკაფიოდ წარმოთქვამდა, — ისე როგორც საჭიროა იმ საქმეში, ჩვენთვის ცნობილ პიროვნებას რომ ეხება.

— რატომ თქვით პიროვნება და არა მარი?

— იმიტომ, რომ ჩემთვის მთავარია, ამ საქმეზე რაც შეიძლება ობიექტურად ვიმსჯელოთ.

— დიდად სცდებით, ბატონო პრელატო. ეს საქმე იმდენად სუბიექტურია, მეტი რომ არ შეიძლება.

საბანაო ხალათში მცოიოდა, სიგარეტი დანესტიანდა და ახრჩოლდა.

— თუ მარი არ დამიბრუნდება, მართო თქვენ კი არა, ციუბფნერსაც მოვკლავ.

— ო, ღმერთო, — მითხრა ბრაზმორეულმა, — პერიბერტს მაინც დაანებეთ თავი.

— ხუმრობა გყვარებით, — ვუთხარი მე, — ვილაცმა ცოლი წამართვა, მე კი მას თავი უნდა დავანებო, არა?

— ჯერ ერთი ციუბფნერი ვილაც არ არის, მეორეც ფროილან დერკუმი თქვენი ცოლი არ იყო. გარდა ამისა, კი არ წაგართვათ, ქალმა თვითონ დაგანებათ თავი.

— თავისი ნებით, არა?

— დიახ, — მიპასუხა მან. — მხოლოდ და მხოლოდ თავის ნებით, თუმცა შეიძლება ამას ბუნებრივისა და ზებუნებრივის შეჯახებამაც შეუწყო ხელი.

— ერიპა, — წამოვიძახე მე, — მაინც რა მიგაჩნიათ ზებუნებრივად?

— შნირ, — შემაწყვეტინა გაბრაზებულმა, — მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც მჯერა, რომ თქვენ კარგი კლოუნი ხართ, მაგრამ თეოლოგიისა არაფერი გაგეგებათ.

— იმდენი კი გამეგება, რომ მივხვდე, თქვენ, კათოლიკები, მე, ურწმუნო კაცს, ისევე სასტიკად მექცევით, როგორც იუდეველნი ექცეოდნენ ერთ დროს ქრისტიანებს, ქრისტიანები კი — წარმართებს. ყურები გამომიჭედეთ ერთისა და იმავეს ძაბილით — კანონი, თეოლოგია. სინამდვილეში კი ამას აკეთებდით ქალაქის ერთი იდიოტური ნაგლეჯის გამო, რომელიც სახელმწიფომ უნდა გასცეს, გესმით, სახელმწიფომ.

— თქვენ მიზეზსა და შედეგს ერთმანეთში ურევთ, შნირ, მაგრამ მე თქვენი მესმის, კარგად მესმის.

— არაფერიც არ გესმით, — ვუთხარი მე, — და ამას, იცით, რა მოჰყვება, ორმაგი ცოლქმრული ღალატი. პირველად მარი ღალატს ჩაიდენს, როცა თქვენს პერიბერტს მისთხოვდება, მეორედ კი მაშინ, როცა ერთ მშვენიერ დღეს ისევ ჩემთან გამოიქცევა. ალბათ მე არა ვარ ისეთი დახვეწილი გრძნობების პატრონი, ისეთი დიდი ხელოვანი და რაც მთავარია, იმდენად კარგი ქრისტიანი, რომ ვილაც პრელატმა მითხრას: „რა გრჯიდათ, შნირ, ნუთუ ჯვარდაუწერლად ცხოვრება არ შეგეძლოთ“.

— თქვენ ვერ ხედავთ ძირეულ განსხვავებას თქვენს შემთხვევასა და იმ შემთხვევას შორის, რაზედაც მაშინ ვლაპარაკობდი.

— რა განსხვავებას? — ვკითხე მე, — იმას ხომ არა, რომ ბეზევიცი ჩემზე უფრო მგრძნობიარეა და თქვენი კავშირისათვის ანგარიშგასაწევ რწმენის ლოკომოტივს წარმოადგენს.

— არა, არა, — ზომერვილდს მართლა გაეცინა, — ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საეკლესიო-სამართლებრივ განსხვავებასთან. ბეზევიცი ქმარგაყრილ ქალთან ცხოვრობდა და ამიტომ ეკლესიაში ჯვარს ვერ დაიწერდა, თქვენ კი... ფროილან დერკუმი ქმარს არ გაყრია და ამიტომ თქვენს დაქორწინებას წინ არაფერი ელობებოდა.

— მე ხელის მოწერაზეც თანახმა ვიყავი და სარწმუნოების გამოცვლაზეც, — ვუპასუხე მე.

— ასეთი თანხმობა ამაზრზენი იყო.

— თქვენ რა, გინდათ ვითვალთმაქცო, ისეთი გრძნობები და რწმენა გა-

მოვამქლავნო, რაც არ გამაჩნია? რადგან თქვენ უფლებებისა და კანონების — ყოველად ფორმალური რაღაცის — დაცვას თხოულობთ, მაშინ რატომ მისაყვედურებთ, თუ რაღაც გრძნობები ჩემთვის უცხოა?

— მე თქვენ არაფერს არ გისაყვედურებთ.

არაფერი მიპასუხია. ზომერვილდი მართალს ამბობდა და მთრგუნავდა. მარიმ მართლა თვითონ მიმატოვა. ცხადია, მათ იგი სიხარულით მიიღეს, მაგრამ მარის რომ ჩემთან დარჩენა სდომოდა, ვერავინ აიძულებდა მივეტოვებინე.

— ალო, შნირ, მისმენთ?

— დიახ, გისმენთ, — ვუპასუხე მე.

მასთან ლაპარაკი სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი, მინდოდა ღამის სამ საათზე გამეღვიძებინა, კარგად გამეთათხა და დავმუქრობოდი.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? — მკითხა მან წყნარად.

— არაფრით, — მივუგე მე, — ერთადერთი რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, დამარწმუნეთ, რომ ჰანოვერის სასტუმროში თქვენი მარისთან მოლაპარაკების მიზეზი ჩემდამი ერთგულების განმტკიცება იყო და დაგიჯერებთ.

— არ გინდათ შეიგნოთ, შნირ, — მითხრა მან, — რომ თქვენსა და ფროილან დერკუმის ურთიერთობაში კრიზისმა იჩინა თავი.

— და თქვენც მაშინვე ისარგებლეთ ამ ამბით, არა? — მივუგე მე, — განუმარტეთ მარის, როგორ შეეძლო გამოეყენებინა კანონები და საეკლესიო სამართალი იმისათვის, რომ დამშორებოდა. მე კი ყოველთვის ვფიქრობდი, კათოლიკური ეკლესია გაყრის წინააღმდეგია-მეთქი.

— ღმერთო ჩემო, შნირ, — წამოიძახა მან, — როგორ შეგიძლიათ მომთხოვოთ მე, კათოლიკე მღვდელს, რომ ქალს ხელი შევუწყო ჯვარდაუწერლად განაგრძოს ცხოვრება მამაკაცთან.

— რატომაც არა? — ვუპასუხე მე, — თქვენ ხომ მას უზნეობისა და ჭმრის ღალატისაკენ უბიძგებთ. და თუკი, როგორც კათოლიკე მღვდელს, შეგიძლიათ პასუხისმგებლობა იკისროთ ამისათვის, თქვენი ნებაა.

— თქვენი ანტიკლერიკალიზმი მაოცებს. ასეთი რამ მხოლოდ კათოლიკებს ახასიათებთ.

— არავითარი ანტიკლერიკალი მე არა ვარ. ეგ რამ გაფიქრებინათ. მე მხოლოდ ანტიზომერვილდელი ვარ, რადგან უსინდისო და ორპირი კაცი ბრძანდება.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — ეს როგორ გაივლეთ თავში?

— თქვენი ქადაგების მომსმენს ეგონება, ამ კაცს აფრასავით ფართო გული აქვსო, მაგრამ შემდეგ სასტუმროების სალონებში ჩურჩულზე გადადიხართ და ბნელ ფანდებს ხლართავთ. იმ დროს, როცა მე ლუკმა პურის საშოვნელად ოფლს ვღვრიდი, თქვენ ჩემს ცოლთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდით ისე, რომ ჩემთვის ერთხელაც არ მოგისმენიათ. დიახ, უსინდისო და ორპირი ბრძანდებით. თუმცა სხვას რას უნდა მოელოდეს კაცი ესეთისაგან?

— კარგი, მლანძღეთ, — მიპასუხა მან, — რაც გინდათ, ის მიწოდეთ. მე მშვენივრად მესმის თქვენი.

— არაფერიც არ გესმით. თქვენ მარის წვეთწვეთობით შეუშხაპუნეთ საზიზღარი, არაბუნებრივი ნარევებისაგან შეზავებული მღვრიე სითხე. მე კი ნა-

ტურალური სასმელების სმა მირჩევნია. წყალნარევ კონიას კარტოფილის სუფთა არაყს ვამჯობინებ.

— ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, — მითხრა მან, — გულზე მოგეშვებათ. ეტყობა, ამ ამბავმა ძლიერ შეგარყიათ შინაგანად.

— ყველაფერი, რაც მარისტანაა დაკავშირებული, პრელატო, — მე შინაგანდაც მეხება და გარეგანდაც.

— დადგება დღე, შნირ, როცა მიხვდებით, რომ უსამართლოდ მომექცით ამ საქმესთან დაკავშირებითაც და საერთოდ. — იგი ისეთი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს ცრემლი ადგა თვალებზე, — რაც შეეხება მღვრიე სასმელს, თქვენ გავიწყდებათ, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც სწყურიათ, ნამდვილად სწყურიათ და სულ არაფრის დაღევას ისევ მღვრიე სასმელის დაღევა ურჩევნიათ.

— მაგრამ თქვენს საღმრთო სჯულში მთელი ამბავია მოთხრობილი სუფთა, კამკამა წყალზე. რატომ ასეთ წყალს არ ასმევთ მწყურვალთ?

— იქნებ იმიტომ, — მითხრა მან ხმაყანკალებულმა, — ამჯერად თქვენს შედარებას მოვიშველიებ — იქნებ იმიტომ, რომ იმ გრძელი ჯაჭვის ბოლოში ვდგავარ, რომლის მეშვეობითაც ჭიდან წყალს იღებენ. შეიძლება მე მეასე ან მეათასე რგოლი ვარ და ამიტომ ჩემამდე აუზღვრეველი წყალი არ აღწევს. და კიდევ ერთი, შნირ, მისმენთ?

— გისმენთ, — ვუპასუხე მე.

— შეგიძლიათ გიყვარდეთ ქალი ისე, რომ მასთან არ ცხოვრობდეთ?

— აი, თურმე რა, — ვუპასუხე მე, — ახლა ქალწულ მარიამზე დამიწყებთ ლაპარაკს.

— ნუ ხუმრობთ, შნირ, ეს თქვენ არ გიხდებათ.

— რა მეხუმრება, — ვუთხარი მე, — სავსებით შემწევს უნარი ანგარიში გავუწიო იმას, რაც არ მესმის. მაგრამ საბედისწერო შეცდომად მიმაჩნია ის ამბავი, როცა ახალგაზრდა ქალი უარზეა მონასტერში წავიდეს და აიძულებენ ქალწულ მარიამს მიბაძოს ამ თემაზე ერთხელ მოხსენებაც კი წავიკითხე.

— რას ამბობთ, სად? — მკითხა მან.

— აქ, ბონში, — ვუპასუხე მე, — მარის ჯგუფელ ახალგაზრდა გოგონებთან იმ საღამოზე დასასწრებად საგანგებოდ ჩამოვედი კიოლნიდან. მათ ჯერ რამდენიმე ფოკუსი ვუჩვენე, შემდეგ კი ქალწულ მარიამზე ვესაუბრე. ჰკითხეთ მონიკა ზილვსს, პრელატო. მე, რა თქმა უნდა არ შემეძლო იმაზე მელაპარაკა გოგონებთან, რასაც თქვენ „ხორციელ უინს“ ეძახით. მისმენთ?

— გისმენო, — მიპასუხა მან, — და მიკვირს, თანდათან სულ უფრო და უფრო უხეში ხდებით.

— დალაზვროს ეშმაკმა, პრელატო, — ვუთხარი მე, — ის პროცესი, რის შედეგადაც ბავშვი ჩნდება, საკმაოდ უხეშია. თუმცა, თუ გირჩევნიათ, შეგვიძლია თეთრ ყარყატზე ვისაუბროთ. ყველაფერი, რასაც ამ უხეშ საქმეზე ამბობენ, ქადაგებენ და ასწავლიან, თვალთმაქცობაა. გულის სიღრმეში თქვენ ეს საქმე მიგაჩნიათ ჭორწინებით დაკანონებულ ღორობად ბუნებისაგან თავდაცვის მიზნით... ანდა ილუზიებს იქმნით და ხორციელს მიჯნავთ იმისაგან, რაც ამ საქმესთანაა დაკავშირებული. მაგრამ რთულია სწორედ ის, რაც ამ საქმესთანაა დაკავშირებული. ის ცოლიც კი, რომელიც ქმარს ძლივს იტანს,

მარტო სხეული როდია, მხოლოდ ფიზიკურ სიახლოვეს უბინძურესი ღოთიც კი არ ეძებს მეძავ ქალთან, ისევე როგორც მეძავი, არ ეძებს მხოლოდ ამას. იმ საქმეს თქვენ ისე ექცევით, როგორც საახალწლო შუშხუნას — სინამდვილეში კი დინამიტია.

— შნირ, — მითხრა მან უხალისოდ, — გაოცებული ვარ, ^{უჩინებელი} ~~ბედნიერი~~ ~~გნებუ~~ რაით ამ საქმეზე.

— გაოცებული, — ვუყვირე მე, — გაოცებული იმ გონებაჩლუნგი ძალების გამო უნდა იყოს, თავიანთი ცოლები კანონიერ საკუთრებად რომ მი-აჩნიათ. ჰკითხეთ მონიკა ზილვსს, რაზე ვესაუბრე იმ საღამოს გოგონებს. მას შემდეგ, რაც შევიგნე, რომ მამრობით სქესს ვეკუთვნი, არაფერზე არ ვფიქრობ იმდენს, რამდენსაც ამ საქმეზე და თქვენ ეს გაოცებით?

— თქვენ მცირედი წარმოდგენაც კი არ გაქვთ სამართალზე და კანონ-ზე. რა რთულიც არ უნდა იყოს, რაზეც ვსაუბრობთ, როგორღაც მაინც უნდა მოწესრიგდეს.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — თქვენს წესებში ცოტათი მეც გავერკვიე, ბუნებას თქვენ თვითონ უბიძგებთ იქითკენ, რასაც ცოლ-ქმრულ ღალატს ეძახიან, ხოლო როცა ადამიანის ბუნება ქორწინებაში იჭრება, შიში გიბყრობთ. ჰოდა, ცოდვებს ინანიებთ, ჩადენილს მოგიტევენ, კვლავ სცოდავთ და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ყველაფერი კანონიერად გაქვთ მოწესრიგებული.

ზომერვილდს გაეცინა. მის სიცილში უხამსობა იგრძნობოდა.

— შნირ, — მითხრა მან, — ვხვდები, რაც გჭირთ. აშკარად, ვირივით თქვენც მონოგამი ყოფილხართ.

— რომ არაფერი ვთქვათ „homo sapiens“-ზე, ეტყობა, ვერც ზოოლო-გიაში ერკვევით ხეირიანად. ვირები გარეგნულად ჩანან თვინიერნი, მაგრამ მონოგამები სრულებით არ არიან. ვირებში სრული პრომისკუიტეტია გავრ-ცელებული. მონოგამები არიან მხოლოდ ყორნები, ჭკები, სამნემსა მახათები და ნაწილობრივ მარტორქები.

— მაგრამ, ცხადია, არა მარი, — მითხრა მან. ეტყობა, იმწამსვე მიხ-ვდა, ეს სიტყვები რომ გულში მომხვდებოდა, რადგან ხმადაბლა განაგრძო: — ვწუხვარ, შნირ, დამიჯერეთ, ბევრად უფრო კმაყოფილი ვიქნებოდი, ამის თქმა რომ არ დამჭირებოდა.

ხმა არ ამომიღია. ჩაუქრობელი სიგარეტის ნამწვი ხალიჩაზე გადმოვაფურ-თხე და ვხედავდი, როგორ გაიფანტა ნაპერწკლები, და ამოწვა ხალიჩაზე შავი, პატარა ნახვრეტები.

— შნირ, — წამოიძახა მან მუდარით, — ნუთუ არ გჯერათ, რომ ყოვე-ლოვე ამის თქმა მიჭირს.

— რა მნიშვნელობა აქვს, მჯერა თუ არა? — ვუპასუხე მე, — თუ თქვენ ეს გინდათ, მჯერა.

— თქვენ ბევრს ლაპარაკობდით ბუნებაზე, — მითხრა მან, — ამიტომ ბუნების ძახილს უნდა დამორჩილებოდით, მარის დადევნებოდით და მის გა-მოსახსნელად გებრძოლათ.

— გებრძოლა, — ვუთხარი მე, — განა თქვენს წყეულ საქორწინო კანო-ნებში ეს სიტყვა წერია?

— თქვენსა და ფროილდის დერკუმის ურთიერთობას ქორწინება არ ერქვა.

— კეტილი, — ვუპასუხე მე, — ასე იყოს. ნუ დავარქმევთ ქორწინებას,

მაგრამ მე თითქმის ყოველდღე ვცდილობდი დავკავშირებოდი ტელეფონით მარის და ყოველდღე ვწერდი.

— ვიცი, — მითხრა მან, — ვიცი, მაგრამ ახლა უკვე გვიანაა.

— ახლა ისლა დამრჩენია, რომ აშკარად ცოლქმრული ღაღატის გზას დავადგე.

— თქვენ ამის უნარი არ შეგწევთ, — მითხრა მან, ^{უარყოფითად} უარყოფითად, ვიდრე გგონიათ. მლანძღეთ, დამემუქრეთ, რამდენიც გნებავთ, მაგრამ მაინც გეტყვით, ყველაზე საშინელი თქვენს არსებაში ისაა, რომ უცოდველი, მეტ-საც გეტყვით, სუფთა კაცი ხართ. იქნებ შემიძლია დაგეხმაროთ... მხედველობაში მაქვს...

ზომერვილდი გაჩუმდა.

— ფულს გულისხმობთ? — ვკითხე მე.

— ფულსაც, — მითხრა მან, — მაგრამ ძირითადად თქვენს პროფესიულ საქმიანობას.

— შეიძლება მოგვიანებით მართლაც მომიხდეს თქვენთან საუბარი ფულზე და პროფესიულ საქმიანობაზე. სად არის მარი?

მისი სუნთქვა მომესმა და სიჩუმეში პირველად ვიგრძენი წვერის საპარსი სიბნელის, წითელი ღვინის და რბილი სიგარის მსუბუქი სუნი.

— რომში გაემგზავრნენ, — მიპასუხა მან.

— თაფლობის თვე აქვთ, არა? — ვკითხე ხმაჩახლეჩილმა.

— ამას ასე ეძახიან, — მიპასუხა მან.

— რათა კახპობა სრულყოფილი იყოს, — ვთქვი მე.

ყურმილი ისე დავდე, არც მადლობა მითქვამს და არც გამოვმშვიდობებოვარ. ხალიჩას დავხედე, სიგარეტის ცეცხლით ამომწვარი პატარა ხვრელები ჯერ კიდევ ბოლავდნენ, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ფეხის დადგმა და ჩაქრობა დამეზარა. მციოდა, მუხლი მტკიოდა. ეტყობა, დიდი ხანი დავყავი აბაზანაში.

რომში ჩემთან ერთად გამგზავრება მარის არასოდეს მოუსურვებია. როცა შევეთავაზე, გაწითლდა და მითხრა: იტალიაში წამოგყვები, მაგრამ რომში არაო. ვკითხე, რატომ-მეთქი? კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა, ნუთუ მართლა არ გესმისო? არა-მეთქი. აღარაფერი უბასუხია. მარისთან ერთად სიამოვნებით გავემგზავრებოდი რომში პაპის სანახავად. მე მგონი, პაპის მოლოდინში რამდენიმე საათსაც კი ვიდგებოდი წმინდა პეტრეს მოედანზე, ხოლო როცა ფანჯარაში გამოჩნდებოდა, ტაშს დავუკრავდი და „ევრიკას“ შევძახებდი. ჩემი სურვილები მარის გავუზიარე, კინალამ გაცოფდა და მითხრა, უკუღმართობად მიმაჩნია შენისთანა აგნოსტიკოსი პაპს აღტაცებული შეძახილებით მიესალმოსო. მარი მართლაც ეჭვიანობდა. ასეთი რამ ხშირად შემიმჩნევია კათოლიკეებისათვის: ისინი ძუნწეობით იცავენ თავიანთ განძეულობას, სალოცავებს, პაპს. გარდა ამისა, ადამიანთა იმ ჯგუფებს შორის, ვისაც ვიცნობ, კათოლიკებს ყველაზე ქედმაღლურად უჭირავთ თავი, დიდი წარმოდგენა აქვთ თავიანთი ეკლესიის როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეზე და ამავე დროს ყოველი ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტი ადამიანისაგან მოვლიან, რომ სულ ცოტა ხანში რჩულს შეიცვლის. იქნებ მარი იმიტომ არ მომყვებოდა რომში რომ იქ უფრო მძაფრად იგრძნობდა ჩემთან ცოდვილი ცხოვრებით გამოწვეულ სირცხვილს. ზოგ რამეში გულუბრყვილო იყო და არც დიდი ინტელიგენტო-

ბით გამოირჩეოდა. იმით კი, ახლა რომ ციუპფნერს წაჰყვა რომში, დიდი სიმდაბლე გამოიჩინა. აუდიენციას, ცხადია, მიიღებენ და საწყალ პაპს, რომელიც მარის მიმართავს სიტყვებით „ასულო ჩემო“, ხოლო ციუპფნერს „საყვარელო შვილო ჩემო“, არ ეცოდინება, რომ მის წინ უზნეოდან მძლავრად წყვილია მუხლმოყრილი. იქნებ ციუპფნერს იმიტომაც გაჰყვა რომში, რომ ჩემს თავს იქ არაფერი მოაგონებს. ჩვენ ვყოფილვართ ნეაპოლში, ვენეციაში, ფლორენციაში, პარიზში, ლონდონში და უამრავ გერმანულ ქალაქში. რომში კი მართლაც არავითარი მოგონება არ შეაწუხებს. იქ „კათოლიკური ჰაერიც“ საკმაოდ ექნება.

გადავწყვიტე ზომერვილდისათვის კიდევ ერთხელ დამერეკა და მეთქვა, რომ მის ყველაზე დიდ სიფლიდედ ჩემი მონოგამური მიდრეკილების აბუჩად აგდება მიმაჩნია, მაგრამ ამგვარი უხამსობა ყველა განათლებულ კათოლიკეს ახასიათებს, ჩვეულებრივ კი ისინი ქრისტიანული დოგმების „სანგარში“ იმალებიან, იქიდან ესვრიან ყველას დოგმებისაგან შეკოწიწებულ პრინციპებს, მაგრამ როცა მათ „ურყევ ქეშმარიტებებს“ სერიოზულად დაუპირისპირდები, იღიმებიან და თავის გასამართლებლად „ადამიანის ბუნებას“ იმოწმებენ, ხოლო თუ დაჭირდათ, სახეზე ისე მოირგებენ დამცინავ ღიმილს, თითქოს ინახულეს პაპი, რომელმაც მათ უცოდველობის პაწაწინა ნატეხი გამოატანა თან. ერთი სიტყვით, როცა სერიოზულად უდგები იმ აღმაშფოთებელ ქეშმარიტებებს, რითაც გულგრილად გიმასპინძლებიან კათედრებიდან, ან „პროტესტანტი“ ხარ, ანდა იუმორის გრძნობას მოკლებული ადამიანი, როცა სერიოზულად მსჯელობ მათთან ქორწინებაზე, ისინი მაშინვე ჰენრიკ მერვეს იშველიებენ — ამ ქვემეხიდან აგერ უკვე სამი საუკუნეა ისვრიან, რათა გვამცნონ, თუ რა ძლიერია მათი ეკლესია, ხოლო როცა სურთ დავგანახონ, რა მოწყალე და რა დიდი გულის პატრონია, მაშინ ბეზევიცზე ანეკდოტებს ყვებიან და ეპისკოპოსთა ნაკვესებს იგონებენ, ისიც მხოლოდ „საქმეში ჩახედულთა“ წრეში. ასეთებად „განათლებულები“ და „ინტელიგენტები“ მიაჩნიათ — ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მემარცხენეობას იჩემებენ თუ მემარჯვენეობას. ამ რამდენიმე ხნის წინათ ზომერვილდს ვთხოვე მოეყოლა კათედრიდან ანეკდოტი პრელატისა და ბეზევიცის შესახებ, იგი გაცოფდა. როცა საქმე ქალისა და კაცის ურთიერთობას ეხება, ეკლესიის კათედრას ისინი თავიანთი მძიმე ქვემეხის გასასროლად იყენებენ. ჰენრიკ მერვე — სამეფოს ვიძლევი ქორწინებაში! უფლება! კანონი! დოგმა!

სხვადასხვა მიზეზის გამო გული მერეოდა — ფიზიკურად: ბოხუმში წახემსების შემდეგ პირში კონიაკის მეტი არაფერი ჩამსვლია, მხოლოდ სიგარეტს ვეწეოდი და სულიერად: წარმოვიდგინე, როგორ უყურებდა ციუპფნერი მარის ჩაცმას რომის სასტუმროში. ალბათ მის საცვლებშიც იქექება. ამ სწორად თმაგაყოფილ, ინტელიგენტ, სამართლიან და განათლებულ კათოლიკებს გულკეთილი ქალები სჭირდებათ. მარი არ იყო ციუპფნერის შესაფერისი. ციუპფნერი უნაკლოდ იცვამდა, საკმაოდ მოღურად, რათა ძველმოდურობა არ დაეწამებინათ და არც ზედმიწევნით მოღურად, ფრანტად რომ არ გამოჩენილიყო. ყოველ დილით საგულდაგულოდ ცივი წყლით იბანდა ტანს და ისე გამალებით იხეხდა კბილებს, თითქოს რეკორდის დამყარებას აპირებო. ასეთი კაცისათვის მარი ნაკლებად ინტელიგენტური ქალი იყო. დილაობით ზედმეტ გულმოდგინეობასაც იჩენდა მორთვა-მოკაზმვაში. ციუპფნერისთანა ტიპი,

პაპთან აუდიენციაზე შეყვანის წინ, სწრაფად გადაისვამს ცხვირსახოცს ფეხ-საცმელზე. მეცოდებოდა პაპიც, ვის წინაშეც ისინი მუხლს მოიყრდნენ. პაპი გულთ გაიხარებს და კეთილად გაუღიმებს ამ ლამაზ, სიმბათიურ, კათოლიკე გერმანელ წყვილს — არადა, კიდევ ერთხელ მოტყუვდება — აბა რას წარმოიდგენს, რომ ლოცვა-კურთხევით შეეგება ორ მრუშს ^{ეროვნულ} ^{სიგლქოთქა}

სააბაზანოში დაებრუნდი, ტანი კარგად გავიმშრალე, ისევ ჩავიცვი, შემდეგ სამზარეულოში გავედი და წყალი ასადუღებლად დავდგი. მონიკას არაფერი დავიწყნია. ასანთი გაზის ქურაზე იდო, დაფქული ყავა მჭიდროდ თავდახურულ ქილაში ეყარა, იქვე იდო ფილტრის ქაღალდი, კვერცხები, და ლორი, ხოლო ბოსტნეულის კონსერვები მაცივარში შეეწყო. სამზარეულოში ფუსფუსი მხოლოდ მაშინ მიხარია, როცა ამით თავს ვარიდებ მოზრდილთა ყბედობის გარკვეულ ფორმებს. როცა ზომერვილდი „ეროსზე“ იწყებს ლაპარაკს, ბლოთერთი თავის კა.. კა.. კანცლერს ამოღერღავს, ხოლო ფრედებოილი ოსტატურად კომპილირებულ მოხსენებას კითხულობს კოქტოზე, მაშინ, ცხადია, სამზარეულოში გასვლა, ტუბებიდან მაიონეზის გამოტყულება, ზეთის ხილის შუაზე გაჭრა და პურის ნაჭრებზე ღვიძლის ძეხვის წასმა მიიჩვენია. მაგრამ როცა მარტო ვარ და მინდა სამზარეულოში ჩემთვის რამე მოვიშალო, უსაშველოდ ვიბნევი. მარტობისაგან ხელიდან არაფერი გამომდის, და თუ აუცილებელია კონსერვის ქილის გახსნა ან ტაფაზე კვერცხების დახლა, ღრმა მეღანქოლია მიპყრობს. უცოლო არ მეთქმის. როცა მარი ავად იყო ან სამსახურში მიდიოდა — ერთხანს კიოლნში ქაღალდის მაღაზიაში მსახურობდა გამყიდველად — სამზარეულოში ფუსფუსი სულაც არ მიძნელდებოდა, და როცა მარის მუცელი პირველად მოეშალა, ჩვენი დიასახლისის კინოდან დაბრუნებამდე ლოგინის თეთრეულიც კი გავრეცხე.

ლობიოს კონსერვის ქილა, როგორც იქნა, გავხსენი, თანაც ისე, რომ ხელი არ გამიკაწრავს, ადუღებული წყალი ფილტრზე დავასხი და თან იმ სახლზე ვფიქრობდი, ციუბფნერმა რომ აიშენა ამ ორიოდუ წლის წინათ. ერთხელ მეც ვიყავი მასთან სტუმრად.

ცხადად ვხედავდი, როგორ ბრუნდება მარი შებინდებისას იმ სახლში. მოკლედ გადაკრეჭილი გაზონები მთვარის შუქზე თითქმის ლურჯი ჩანს. გარაჟის გვერდით მებაღეს მოჭრილი ტოტები დაუხვავებია. კურდღლისცოცხასა და კუნელის ბუჩქებს შორის გასატანად გამზადებული ნაგვის ყუთი დგას. პარასკევი დღის საღამოა. მარის უკვე ეცოდინება, რისი სუნი ტრიალებს სამზარეულოში — თევზის. ისიც ეცოდინება, ვისი ბარათები დახვდება. ციუბფნერის ბარათი ტელევიზორზე დევს: „აუცილებლად უნდა ვნახო ფ... გკოცნი. პერიბერთი“. მეორე, მოახლისა — მაცივარზე: „წავედი კინოში, ათზე დაებრუნდები. გრეთე (ლუიზე ბრიგით)“.

მარი გარაჟის კარს აღებს და სინათლეს რთავს. თეთრად შეღებილ კედელზე მოტოროლერის და გადაგდებული საკერავი მანქანის ჩრდილი ჩანს. ბოქსში გაჩერებული მერსედესი იმაზე მეტყველებს, რომ ციუბფნერი ფეხით წავიდა. „საჭიროა ისუნთქო სუფთა ჰაერი, ხანდახან მაინც უნდა ისუნთქო

სუფთა ჰაერი, ჰაერი“. მანქანას გატალახიანებულ საბურავებსა და ფრთებზე ეტყობა, რომ ციუბფნერი ხშირად მიემგზავრება ეიფელზე, სადაც ნაშუადღევს ახალგაზრდა კათოლიკეთა კავშირის სხდომებზე მოხსენებებს კითხულობს (ვიდგეთ მხარდამხარ, ვაბრძოლოთ ერთად, ვიტანჯოთ ერთად) — ენა უნდა.

მარი ზედა სართულისაკენ იყურება, მაგრამ ბავშვების ყიფილი ნაწილები მეზობელ სახლებს ერთმანეთისაგან მანქანის საბურავების კვალი და ყვავილნარის ფართო კვლები ყოფს. სახლებიდან გამოკრთის ტელევიზორების მიმჭრალი ანარეკლი. ასეთ დროს მეუღლისა და მამის შინ დაბრუნება ხელისშემშლელ მოვლენად მიაჩნიათ, ხელისშემშლელ ამბად მიიჩნევდნენ აგრეთვე უძლები შვილის შინ დაბრუნებასაც და ხბოს კი არა, ვარიასაც არ დაეკლავდნენ. სასწრაფოდ მაცივარზე მიუთითებდნენ, სადაც ღვიძლის ძეხვის მცირე ნარჩენები დევს.

შაბათს, ნაშუადღევს ეს სახლები ერთმანეთს უძმობილდებიან. ბადმინტონის ბურთები სხლტეებზე აქეთ-იქით ცვივა, კატის კნუტები და ლეკვები მეზობლის ეზოებში იპარებიან. ბადმინტონის ბურთებს უკანვე ისვრიან, კატის კნუტებს და ლეკვებს კი ჭიშკრიდან ან სხლტის ხერელიდან აწვდიან პატრონებს: „რა მშვენიერი კნუტია“, ან „რა სავარელი ლეკვია“. ხმაზე არავის ეტყობა გაღიზიანება, არავინ არ ეხება პიროვნებას. გაღიზიანება მხოლოდ ზოგჯერ არღვევს თანაზომიერ მრუდს და მეზობლობის მოწმენდილ ცაზე ქონგურებს ჭლაბნის, და ეს მუდამ ხდება უმნიშვნელო და არა ნამდვილი მიზეზების გამო: სადღაც წკრიალით ტყდება ლამბაქი, ნასროლი ბურთი ყვავილებს თელავს, ბავშვის ხელი გაკრიალებულ მანქანას კენჭებს ესვრის, ვიღაც შლანგით ბაღის მორწყვის დროს მეზობლის ახალ გარეცხილ და ახალგაუთოებულ სარეცხზე აშხეფებს წყალს — აი, სწორედ ესაა გაერევა ხოლმე ხმებში გამყივანი ბგერები, არადა, იგივე ხმები სიცრუის, მრუშობის, მუცლის მოშლის დროს ვითომც არაფერიაო, ისე ჟღერენ:

— აჰ, შენ ზემგრძნობიარე ყურები გაქვს, დალიე რაღაც დამამშვიდებელი.

არაფერი არ დალიო, მარი.

მარი სახლის კარს აღებს. სახლში სიჩუმეა გამეფებული და სასიამოვნოდ თბილა. ზემოთ პატარა მარიჰენს სძინავს. დრო სწრაფად გარბის. ქორწილი ბონში, თაფლობის თვე რომში, ფეხმძიმობა, მშობიარობა და აი, უკვე ბავშვის წაბლისფერი კულულები თოვლივით ქათქათა ბაღიშზეა დაფენილი. გახსოვს, როგორ დაგვათვალისწინებინა საკუთარი სახლი, რა ხალისიანად გვეუბნებოდა: ამ სახლში თორმეტი ბავშვი დაეტევას. ახლა კი, როცა ერთად საუბრობთ, გამომცდელად გაკვირდება და ტუჩებზე გამოუთქმელი კითხვა დასთამაშებს: „აბა, რაო?“, ხოლო მისი პრიმიტიული, რწმენითა და პარტიით გაერთიანებული მეგობრები მესამე ჭიქა კონიაკის დაღვევის შემდეგ ამბობენ: „თუ ადამ რიზეს ფორმულას დავუჯერებთ, ერთს თორმეტამდე თერთმეტი აკლია“.

ქალაქში მითქმა-მოთქმაა. შენ ისევ კინოში ყოფილხარ. გარეთ მზიანი, გაქაშაშებული დღეა, კინოში რამ შეგიყვანა. ისევ კინო, კიდევ და კიდევ კინო.

წინა საღამო გაატარე ბლოთერტის სახლში მოწყობილ „ქრის“ სხდომაზე და კა... კა... კას მეტი არაფერი მოგისმენია, მაგრამ ამჯერად სიტყვა „ნცლე-

რით“ კი არ დააბოლოვა, არამედ „თოლონით“. ეს სიტყვა შენს ყურში უცხო სხეულებით დაგორავს და ხან სათამაშო ბურთულა გგონია, ხანაც ჩირქოვანი მუწუკი. ბლოთერტს ყველგან თან დააქვს რაღაც გაიგების მოცუვლის მაგვარი, რითაც „კათოლონს“ აგნებს: „ამ კაცი აქვს, იმას — არა, ამ ქალს აქვს, იმას — არა“. ეს აკაციის ფოთლებით მარჩიელობას ჰგავს და უყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ“. კათოლონს ეძებენ ფეხბურთის გუნდებში, პარტიის წევრებში, მთავრობასა და ოპოზიციაში, „კათოლონის“ შემცველობას ისევე ეძებენ და ისევე ვერ პოულობენ, როგორც რასობრივ ნიშნებს — ჩრდილოური ცხვირი, დასავლური პირი. თუმცა ერთი კაცი ყელამდეა სარკსე ამ დიდად სასურველი, სანთლით სარკებნელი „კათოლონით“. ეს თვით ბლოთერტი გახლავთ. მარი, მოერიდე მის თვალებს, მათში დაგვიანებული ავზოროცობა და მეექვსე ცნების სემინარისტული გაგება გამოსჭვივის, ხოლო როცა გარკვეული სახის ცოდვებზე ლაპარაკობს და ლათინურ სიტყვებს „in sexto“-ს და „de sexto“-ს წარმოთქვამს, ეს, ცხადია, ზუსტად ისევე ჟღერს, როგორც სექსი. რაც შეეხება მის საყვარელ შვილებს — უფროსი მუბერტი თვრამეტი წლისაა, ჩარგარეთი ჩვიდმეტის — მათ უფლება აქვთ ცოტახანს კიდევ დარჩნენ უფროსებთან და სასარგებლო საუბარი მოისმინონ „კათოლონზე“, წოდებრივ სახელმწიფოზე, სიკვდილით დასჯაზე, რის ხსენებაზეც ფრთხილ ბლოთერტს თვალები უცნაურად გაუბრწყინდება ხოლმე, გაღიზიანებულ ხმას კი ისე უწევს, რომ გრძნობამორეულს სიცილი და ტირილი ერთად ეძალება. მარი, შენ ცდილობდი ნუგეში ფრედერიკის დახვედრულ მემარცხენულ ცინიზმში გეპოვა, მაგრამ ამაოდ. ასევე ამაო აღმოჩნდა შენი ცდა, აღშფოთებულიყავი ბლოთერტის მემარჯვენეული ცინიზმით. არსებობს მშვენიერი სიტყვა „არარა“, იფიქრე არარაზე, ნუ ფიქრობ კანცლერზე და კათოლონზე, იფიქრე კლოუნზე, რომელიც აბაზანაში ტირის და ფოსტლებზე ყავა რესმება.

15

ხმაური მეცნო, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ამგვარი ბევრები ხშირად მოჰისმენია, მაგრამ არასოდეს გამოვხმაურებივარ. როცა ჩვენს სახლში ზარს რეკდნენ, კარს მოახლეები ალებდნენ. მართალია, დერკუმის დუქანში ხშირად მესმოდა ზარის რეკვა, მაგრამ კარის გასაღებად არასოდეს წამოვმდგარვარ, ფეხზე. კიოლნში მე და მარი პანსიონატში ვცხოვრობდით, ხოლო სასტუმროებში მხოლოდ ტელეფონის რეკვა ისმის. ცხადად მესმოდა, რომ ზარი რეკდა, მაგრამ ვერ აღვიქვამდი, რაღაცნაირი უცხო მეჩვენებოდა.

ამ ბინაში მხოლოდ ორჯერ დარეკეს: ერთხელ, როცა ბიჭმა რძე ამომირბენინა და მეორედ, როცა ციუბენერმა მარის ჩაის ვარდები გამოუგზავნა. ვარდები რომ მიიტანეს, ლოგინში ვიწექი. მარი ჩემთან შემოვიდა, ვარდები მაჩვენა და აღტაცებულმა ცხვირი თაიგულში ჩარგო. საჩოთირო ვითარება შეიქნა, მეგონა, ყვავილები მე გამომიგზავნეს. ზოგჯერ ჩემი თაყვანისმცემელი ქალები სასტუმროში ყვავილებს მიგზავნიდნენ.

* მეექვსეში, მეექვსედან (ლათ.).

— რა მშვენიერი ვარდებია, შენი იყოს, — ვუთხარი მარის.
მარიმ შემომხედა და მითხრა:

— რას ჰქვია ჩემი იყოს, თაიგული მე გამომიგზავნეს.

გავწითლდი. თავი უხერხულად ვიგრძენი და გამახსენდა, რომ მარისათვის არასდროს არავის ხელით არ გამოიგზავნია ყვავილები. მართლაც, ყვავილებს სცენაზე რომ მაწვდიდნენ, მთლიანად მისთვის მიმქონდა, მაგრამ ყიდვით არასოდეს მიყიდია. ხშირად ჩემი გადასახდელი იყო იმ ყვავილების ფული, სცენაზე რომ მომართმევდნენ ხოლმე.

— ვინ გამოგიგზავნა ყვავილები? — ვკითხე მე.

— ციუბფნერმა, — მიპასუხა მან.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რას ნიშნავს ეს? — წამოვიძახე მე და გამახსენდა, როგორ მოდიოდნენ ქუჩაში ხელიხელჩაკიდებულნი.

მარი გაწითლდა და მითხრა;

— კი მაგრამ, რატომ არ უნდა გამოეგზავნა?

— კითხვა სხვანაირად უნდა დაგესვა, — ვუთხარი მე, — რატომ უნდა გამოეგზავნა?

— ჩვენ უკვე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, — მიპასუხა მან, — იქნებ ჩემი თაყვანისმცემელია.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — იყოს შენი თაყვანისმცემელი, მაგრამ ამდენი ძვირფასი ყვავილის გამოგზავნა თავხედობა და უზრდელობაა.

მარიმ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ოთახიდან გავიდა.

როცა რძის დამტარებელმა ბიჭმა დარეკა, საერთო ოთახში ვისხედით. მარი გავიდა, ბიჭს კარი გაუღო და ფული გადაუხადა. ამ ბინაში მხოლოდ ერთი კაცი გვესტუმრა — ლეო. ეს მოხდა მანამდე, სანამ რჯულს შეიცვლიდა. მაგრამ ლეოს არ დაურეკავს, მარისთან ერთად ამოვიდა ზევით.

ზარი უცნაურად რეკდა — მორიდებულადაც და ჭიუტადაც. მონიკა ხომ არ არის, გავიფიქრე შეშინებულმა, იქნებ ზომერვილდმა გამოგზავნა რაიმე საბაბით. ჩემში იმწამსვე გაიღვიძა ნიბელუნგთა კომპლექსმა. ერთიანად დასველებული ფოსტლებით წინკარში გავვარდი, მაგრამ ვერაფრით ვერ ვიპოვე ლილაკი, რომელზედაც თითი უნდა დამეჭირა. სანამ ლილაკს ვეძებდი, გამახსენდა, რომ მონიკას ჩემი ბინის გასაღები აქვს. როგორც იქნა, ლილაკი ვიპოვე, თითი დავაჭირე და ქვევიდან ფანჯრის მინაზე მიმჭდარი ფუტკრის ზუზუნის მაგვარი ბგერები მომესმა. დერეფანში გასული ლიფტის გვერდით გავჩერდი. ჭერ აინთო წითელი ნათურა „დაკავებულია“, შემდეგ „ერთიანი“, „ორიანი“ განერვიულებული მანამდე მივჩერებოდი ციფრებს, სანამ არ შევამჩნიე, რომ ჩემ გვერდით ვილაც დგას. შეშინებული უეცრად მოვტრიალდი და დავინახე ქერა, ზომიერად ტანწყობილი, სათნო და ღია ნაცრისფერთვალებიანი ლამაზი ქალი. მხოლოდ ეს იყო, ქუდი ჩემი გემოვნებისათვის მეტისზეტად წითელი მომეჩვენა. მე ქალს გავუღიმე, მანაც გამიღიმა და მითხრა:

— თქვენ ალბათ ბატონი შნირი ბრძანდებით, მე კი თქვენი მეზობელი გახლავართ, გვარად გრებსელი. მიხარია, ერთხელ მაინც რომ გიხილეთ თვალდით.

— მეც მიხარია, — ვუპასუხე მე და მართლაც მიხაროდა. მიუხედავად მეტისმეტი წითელი ქუდისა, ფრაუ გრებსელი მშვენიერი შესახედავი ქალი

იყო. იდლიაში გაზეთი „ბონის ხმა“ ჰქონდა ამოჩრილი. მან ჩემი მზერა შენიშნა, გაწითლდა და მითხრა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

— მაგ ძალს სილას გავაწნი, — ვუთხარი მე, — რომ გეცოდნოდეთ, რა სულმდაბალი მლიქვნელია... გარდა ამისა, ერთი ბოთლი არაყი და დამცანცლა...

ქალს გაეცინა.

— მე და ჩემს ქმარს დიდად გაგვახარებს ჩვენი მეზობლის ახლოს გაცნობა. დიდხანს დარჩებით ბონში? — მკითხა მან.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — თუ ნებას მომცემთ, ერთხელ როგორმე გესტუმრებით. თქვენს ბინაშიც ყველაფერი ჟანგისფერია?

— რა თქმა უნდა, ჟანგისფერი ხომ მეხუთე სართულის განმასხვავებელი ნიშანია.

ლიფტი მცირე ხანს მესამე სართულზე შეჩერდა, შემდეგ წითლად აინთო „ოთხიანი“, მერე „ხუთიანი“ და როცა კარი გაიღო, გაოცებულმა ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე. ლიფტიდან მამაჩემი გამოვიდა, ფრაუ გრებსელს ხელი შეაშველა, ლიფტში შეუშვა და მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა ჩემკენ.

— ღმერთო ჩემო, მამა, — წამოვიძახე მე. არასოდეს არ დამიძახია მისთვის მამა, ყოველთვის „მამის“ ვეძახდი.

— ჰანს, — მითხრა მან და როგორღაც უხერხულად სცადა ხელი მოეხვია ჩემთვის. შემდეგ ბინაში შევუძახე, პალტო და ქუდი ჩამოვართვი, საერთო ოთახის კარი გავაღე და ტახტზე მივუთითე. მამა დარბაისლურად დაჯდა.

ორივენი შეცბუნებული ვიყავით. შეცბუნება ალბათ აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მშობლებმა და შვილებმა ერთმანეთთან ლაპარაკი შეძლონ. ეტყობა, ჩემი მისალმება „მამა“ ძალზე პათეტიკურად ჟღერდა და ამან კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი ისედაც გარდუვალი შეცბუნება. მამამ, რომელიც ერთ-ერთ ჟანგისფერ სავარძელში იჯდა, თავი გადააქან-გადმოაქანა: ათვალიერებდა ჩემს ერთიანად დასველებულ ფოსტლებს, მეტისმეტად გრძელ საბანაო ხალატს, რომელიც რატომღაც ცეცხლივით წითელი იყო.

მამაჩემი სიმაღლით არ გამოირჩევა, მაგრამ იმდენად სახიერი, მოხდენილი და ელეგანტურია, რომ ტელემუშაკები ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ, როცა ტელევიზიაში ეკონომიკის საკითხებზე დისკუსია იმართება. ეკრანიდან პირდაპირ სიკეთესა და გონივრულობას აფრქვევს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ტელეეარსკვლავის სახელი უფრო ადვილად მოიპოვა, ვიდრე ამას მურა ნახშირის მწარმოებელი შნირი შეძლებდა. სძაგს სიმხეცის ყოველგვარი გამოვლენა. როცა უყურებ, ვარაუდობ, რომ ამგვარი გარეგნობის კაცი სიგარას უნდა ეწეოდეს, მსხვილს კი არა, წვრილ, მსუბუქ სიგარას. მაგრამ ის ამბავი, რომ სამოცდაათ წელს მიტანებული კაპიტალისტი სიგარეტს ეწევა, საოცრად უშუალო და პროგრესული ადამიანის იერს ანიჭებს. კარგად მესმის, რატომ იწვევენ ყველა დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ფულზეა ლაპარაკი. ეტყობა, იგი მარტო კეთილი კაცის შთაბეჭდილებას კი არ ტოვებს, არამედ მართლაც კეთილია. მამაჩემს სიგარეტი მივაწოდე და როცა მისკენ დახრილი ცეცხლს ვუკიდებდი, მითხრა:

— კლოუნებზე ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ცოტა რამ მაინც გამიგია. ის, რომ ისინი ყავაში ბანაობენ, ჩემთვის ახალი ამბავია.

ზოგჯერ მამა ძალზე ენამოსწრებულა.

— ყავაში არ ვბანაობ, მამაჩემო, — ვუთხარი მე, — მინდოდა დამესხა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

ამ წინადადებაში მაინც უნდა მეთქვა „მამი“, მაგრამ გვიან მოვისწრე.

— რამეს ხომ არ დალევ? — ვკითხე მე.

მან გაიღიმა, უნდობლად შემომხედა და მკითხა:

— გაქვს რამე სახლში?

სამზარეულოში გავედი. მაცივარში კონიაკი, რამდენიმე ბოთლი მინერალური წყალი, ლიმონათი და ერთი ბოთლი წითელი ღვინო აღმოჩნდა. თითო ბოთლი ყველაფერი ავიღე, საერთო ოთახში გავიტანე და მამაჩემის წინ მაგიდაზე ჩავამწკრივე. მან ჯიბიდან სათვალე ამოიღო და ეტიკეტები შეათვალიერა. თავი გადააქნია და ყველაზე უწინ კონიაკის ბოთლი გადადო გვერდზე. ვიცოდი, კონიაკი რომ უყვარდა, და განაწყენებულმა ვუთხარი:

— მე მგონი, კარგი მარკაა.

— კარგი მარკის კია, მაგრამ საუკეთესო კონიაკიც კი უფასურდება, როცა მაცივარში გაყინავ.

— ო, ღმერთო ჩემო, — წამოვიძახე მე, — ნუთუ კონიაკის მაცივარში შედგმა არ შეიძლება?

მან ისე შემომხედა სათვალის ზემოდან, თითქოს ეს-ეს არის ცხოველთ-მავლობაში მამხილეს. მამაჩემი თავისებურად ესთეტიკ იყო. დილით, საუზმის დროს სამ-ოთხჯერ დააბრუნებდა სამზარეულოში ტოსტებს, მანამდე, სანამ ანა ისე არ დაბრაწავდა, როგორც საჭიროა. ეს ჩუმი ბრძოლა ჩვენს სახლში ყოველ დილით თავიდან იწყებოდა, რადგან პურის დაბრაწვა ანას „ანგლო-საქსურ სისულელედ“ მიაჩნდა.

— კონიაკის მაცივარში შედგმა... — თქვა მამაჩემმა ზიზღით, — მართლა არ იცოდი თუ თვალმაქცობ. შენსას კაცი რას გაიგებს.

— მართლა არ ვიცოდი, — ვუპასუხე მე. მან გამომცდელი თვალით შემომხედა და ისე გამიღიმა, თითქოს დაიჭერა.

— მე კი შენს აღზრდაზე უამრავი ფული დავხარჯე, — მითხრა მან. მამამ ამ სიტყვებში ირონია ჩააქსოვა, აქაოდა, სამოცდაათ წელს მიტანებული მამა თავის დავაუკაცებულ შვილს ელაპარაკება, მაგრამ ირონია არ გამოუვიდა. სიტყვა „ფულმა“ გათოშა. მან თავის ქნევით ლიმონათზეც უარი თქვა და წითელ ღვინოზეც.

— ამგვარ ვითარებაში ყველაზე საიმედო სასმელი მინერალური წყალია. სერვანტიდან ორი ჭიქა გამოვიღე და მინერალური წყლით სავსე ბოთლი გავხსენი. ამჯერად მარცხი არ მომსვლია. მამა თვალს მადევნებდა და გულკეთილად მიქნევდა თავს.

— ხომ არ გეხამუშება, საბანაო ხალათში რომ დავრჩე? — ვკითხე მე.

— დიახ, მეხამუშება, — მითხრა მან. — წესიერად ჩაიცვი, გეთაყვა. შენი მორთულობა და ყავის სუნი სიტუაციას სასაცილოს ხდის, რაც სრულიად უადგილოა, რადგან სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო. გარდა ამისა — მაპატიე, ასე გულახდილად რომ გეუბნები — მძაგს ყველა ჭურის ფეთხუმი. იმედია, შენ ეს გახსოვს.

— სიფეთხუმე აქ არაფერ შუაშია, — ვუპასუხე მე, — ეს მხოლოდ განმუხტვის ერთგვარი ფორმაა.

— არ ვიცი, რამდენჯერ იყავი შენს სიცოცხლეში დამჯერე მჭელი, ახლა არც ხარ ვალდებული დამიჯერო. მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ პატივად დამდო.

გავოცდი ადრე მამაჩემი მორცხვი და სიტყვაძუნწი კაცი იყო. ეტყობა, „მომხიბვლელი დამაჯერებლობით“ მსჯელობა და კამათი მტკიცებულებაში ისწავლა. მე მეტისმეტად დაღლილი ვიყავი იმისათვის, რომ ამ „მომხიბვლელისათვის“ წინააღმდეგობა გამეწია.

სააბაზანოში გასულმა ყავით დასველებული წინდები გავიძვრე, პერანგი, შარვალი და პიჯაკი ჩავიცვი, შემდეგ ფეხშიშველი სამზარეულოში შევევარდი, გაცხელებული თეთრი ლობიო თეფშზე დავახვავე, თოხლოდ მოხარშული კვერცხები პირდაპირ ლობიოში ჩავახალე, ნაჭუჭებიდან კვერცხის ნარჩენები კოვზით ამოვფხიკე, პურის ნაჭერი და კოვზი თან გავიყოლე და საერთო ოთახში გავედი. მამაჩემს სახეზე გამოეხატა გაოცებისა და ზიზღის ოსტატური ნარევი.

— მაპატიე, — ვუთხარი მე, — დილის ცხრა საათიდან პირში არაფერი ჩამიდვია. მე მგონი, არაფრად გჭირდება, შენს ფეხებთან გულწასული რომ გავიშხლართო.

მამამ ნაძალადევად გაიცინა, თავი გააქნია და თქვა:

— ჰო, კარგი, მაგრამ იცოდე, მარტო ცილოვანი ნივთიერებები ჯანმრთელობისათვის მავნებელია.

— შემდეგ ვაშლს დავაყოლებ, — ვუთხარი მე. ლობიო და კვერცხი ერთმანეთში ავთქვლიფე, პური ჩავკბიჩე და ერთი კოვზი სალაფავი პირში ჩავიდე; კერძი გემრიელი მომეჩვენა.

— ცოტაოდენი პამიდვრის წვენი მაინც დაგესხა ზედ, — მითხრა მამაჩემმა.

— ჩემს სახლში ასეთი რამ არ მოიპოვება, — ვუპასუხე მე.

მეტისმეტად ხარბად ვჭამდი და, ეტყობა, მამაჩემს არ სიამოვნებდა პირის წკლაბუნი — ვთქვლევდი და აბა რა იქნებოდა. იგი ცდილობდა ზიზღი დაემალა, მაგრამ აშკარად არ გამოსდიოდა. ბოლოს ფეხზე წამოვდექი, სამზარეულოში გავედი და მაცივართან გაჩერებულემა თეფში მოვასუფთავე. ვჭამდი და თან მაცივრის ზემოთ დაკიდებულ სარკეში ვიცქირებოდი. რამდენიმე კვირაა, რაც ყველაზე აუცილებელ ვარჯიშზეც კი ავიღე ხელი — სახის კუნთების ვარჯიშზე. კლოუნი, ვისი ოსტატობის მთელი ეფექტი სახის უძრაობაზეა დამყარებული, უნდა ეცადოს, რომ ძალიან მოძრავი სახე ჰქონდეს. პირველ ხანებში ვარჯიშის დაწყებამდე ჩემს თავს სარკეში ენას ვუყოფდი, რათა ჯერ უკიდურესად დამეახლოებინა საკუთარი თავი, სანამ ისევ შევძლებდი ჩემთვისვე უცხო გავმხდარიყავი. შემდეგ მოვეშვი ამას და ჩემს თავს ყოველდღე მთელი ნახევარი საათი ისე ვაჩერებოდი სახეში, რომ არავითარ ფანდს არ მივმართავდი. ბოლოს მთლიანად ვეთიშებოდი ჩემსავე მეს და რადგან არ შემეძლო ნარცისივით დავმტკბარიყავი საკუთარი თავის ცქერით, ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჭკუაზე ვიშლებოდი. ამ დროს სრულიად მავიწყდებოდა, რომ ის, ვისაც სარკეში ვუშვებდი, მე ვარ. როცა ვარჯიშს დავამთავრებდი, სარკეს კედლისაკენ შევაბრუნებდი და თუ იმ დღეს სააბაზანოში ან საპირფარეშოში შემთხვევით სარკეში ჩავიხედავდი, შიში მიპყრობდა: სარკიდან უცხო კაცი მიმზერდა და აღარ ვიცოდი, ეს გრძელცხვირა, გაფითრებული მოჩვენება სერიოზული იყო თუ სასაცილო; მაშინვე თავქუდმოგლეჯილი

გავრბოდი მარისტან, რათა მის თვალებში ჩემი სახე დამენახა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მარიმ მიმატოვა, სახის კუნთებს ვეღარ ვავარჯიშებ, მეშინია, არ გავგიჟდე. როცა ვარჯიშს ვამთავრებდი, სახე სულ ახლოს მიმქონდა მარისტან და მის თვალებში ვხედავდი პაწაწინა, ოდნავ დამახინჯებულ, მაგრამ ნაცნობ სახეს. ეს მე ვიყავი, ის სახე იყო, ვისიც სარკეში მეშინოდა. როგორ ამეხსნა ცონერერისათვის, რომ მარის გარეშე სარკის წინ ვარჯიში აღარ შემეძლო. ახლა, როცა ჩემს თავს ჭამის დროს ვაკვირდებოდი, შიში კი არა, მჭმუნვარება მიპყრობდა. ცხადად ვხედავდი კოვზს, ლობიოს, რომელშიც კვერცხის გული და ცილა იყო ადღვებული, პურის ნაჭერს, ხელში რომ თანდათან მეღებოდა და სარკე ისეთ გულისამაჩუყებელ რეალობას ირეკლავდა, როგორიცაა მოსუფთავეებული თეფში, პურის ნაჭერი, თანდათან რომ იღევა ხელში და ოდნავ მოთხუპნული პირი. პირი პიჯაკის სახელოთი მოვიწმინდე. ვარჯიშს არ შევდგომივარ, რადგან ირგვლივ არავინ მეგულებოდა ისეთი, სარკისაგან რომ მიხსნიდა. დანაყრებულმა ნელა გავსწიე საერთო ოთახისაკენ.

— ასე ჩქარა მორჩი? — მითხრა მამაჩემმა, — მეტისმეტად ჩქარა ჭამ. ახლა მაინც დაჯექი. საჭმელს არაფერს დააყოლებ?

— არა, — ვუპასუხე მე, — მინდოდა ყავა მომეხარშა, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— ხომ არ მოგიმზადო? — მკითხა მან.

— შეგიძლია?

— ჩემზე ამბობენ, კარგ ყავას ხარშავსო.

— არ ღირს, — ვუთხარი მე, — ცოტა მინერალურ წყალს დავაყოლებ, რა მნიშვნელობა აქვს ამას.

— ყავის მოხარშვა მეხალისება, — მითხრა მან.

— არა, გმადლობ, — ვუთხარი მე, — სამზარეულოში არ შეიხედება: იატაკზე ყავის გუბე დგას, კონსერვის ცარიელი ქილა აგდია და კვერცხის ნაჭუჭები ყრია.

— როგორც გნებავს, — მითხრა მან. ისეთი შეურაცხყოფილი ჩანდა, გაგეცინებოდა. შემდეგ მინერალური წყალი დამისხა და პორტსიგარი გამომიწოდა. სიგარეტი გამოვართვი. მან ცეცხლი მომიკიდა და ერთად გავაბოლეთ. მამა შემეცოდა. თეფშზე დახვავებული ლობიოთი ალბათ მთლად დავუბნიე თავვზა. ცხადია, იგი ფიქრობდა, ჩემთან ის დახვდებოდა, რასაც თვითონ ბოჭემას ეძახდა, საგანგებო არეულ-დარეულობა, ჭერზე და კედლებზე ყოველგვარი მოდერნისტული მაიმუნობა, მაგრამ ჩემს ბინაში არავითარი სტილი არ იგრძნობოდა, შემთხვევით ნაშოვნნი ნივთებით იყო გაწყობილი, თითქმის მდაბიურად გამოიყურებოდა, და ვამჩნევდი, რომ მას ეს თრგუნავდა. სერვანტი ავეჯის მაღაზიის კატალოგის მეშვეობით ვიყიდეთ, კედლებზე რეპროდუქციები დავკიდეთ, მათ შორის მხოლოდ ორია აბსტრაქტული, ყველაზე მეტად მომწონს კომოდის ზემოთ დაკიდებული მონიკა ზილვსის ორი აკვარელი: „რაინის ლანდშაფტი III“ და „რაინის ლანდშაფტი IV“, რომლებიც თეთრად შეფერადებულ მუქნაცრისფერ ტონებშია შესრულებული. რამდენიმე ლამაზი ნივთი — სკამები, ვაზები და კუთხეში მდგარი გორგოლებიანი პატარა მაგიდა — მარიმ იყიდა. მამაჩემი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც გარკვეული ატმოსფერო სჭირდება, ჩვენი ბინის ატმოსფერომ კი გააღიზიანა, დაამუხჯა.

— დედამ გითხრა, რომ აქა ვარ? — ვკითხე ბოლოს, რადგან მეორე სიგარეტის მოკიდებამდე სიტყვა არც ერთს არ დაგვცდენია.

— კი, — მიპასუხა მან, — ნუთუ არ შეგიძლია მოეშვა დედაშენს და ისე დაელაპარაკო, რომ კბილი არ გაპკრა.

— მას რომ საკომიტეტო ხმით არ ეპასუხა, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა.

— რა გაქვს ამ კომიტეტის საწინააღმდეგო? — მკითხა მან მშვიდად.

— არაფერი, — ვუპასუხე მე. — მისასალმებელიც კია, რასობრივ წინააღმდეგობათა მორიგება რომ სურთ, მაგრამ მე რასებზე სხვანაირი წარმოდგენა მაქვს, ვიდრე კომიტეტს. მაგალითად, ზანგები მოდის უკანასკნელი კიენია... მინდა დედაჩემს ვუჩიო, ერთი ჩემი ნაცნობი ზანგი შეიფაროს, საშობაო სამკაულად გამოადგება. ამავე დროს, თუ დავფიქრდებით, ზანგთა ასობით რასა არსებობს. ამიტომ კომიტეტი უსაქმოდ არასოდეს დარჩება. გარდა ამისა, ამქვეყნად ბოშებიც ცხოვრობენ. დედას ერთხელ მაინც უნდა შეეპატიებინა ზოგიერთი მათგანი ჩაიზე პირდაპირ ქუჩიდან. ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაცემებელი.

— მე აქ ამაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ, — მითხრა მამამ.

გავჩუმდი. მან შემომხედა და წყნარად მითხრა:

— შენთან ფულზე სალაპარაკოდ მოვედი.

ხმა არ ამომიღია.

— მე მგონი, საკმაოდ გიჭირს, მიპასუხე რამე.

— „გიჭირს“ მშვენიერი სიტყვაა. მე ალბათ მთელ წელიწადს ვერ შევძლებ სცენაზე გამოსვლას. შეხედე ამას!

შარვლის ტოტი ავიწიე, გასივებული მუხლი ვაჩვენე, შემდეგ ტოტი გავისწორე და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მკერდის მარჯვენა მხარეს დავიდე. — და აი, აქაც, — ვუთხარი მე.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან, — გული?

— დიახ, — ვუპასუხე მე, — გული.

— დრომერტს დავურეკავ, ვთხოვ მიგიღოს. გულის უკეთესი სპეციალისტი ჩვენ არა გვყავს.

— ვერ გამიგე, — ვუთხარი მე, — დრომერტის კონსულტაცია არ მჭირდება.

— აკი თქვი, გულიო.

— ალბათ უნდა მეთქვა სული, ხასიათი, გუნება, — ვუპასუხე მე, — მაგრამ გული უფრო შესაფერისი მომეჩვენა.

— აი, თურმე რა, — მითხრა მან ცივად, — შენ „ის ამბავი“ გაქვს მხედველობაში?

„ის ამბავი“ ალბათ ზომერვილდმა უამბო კეთილშობილთა კავშირში სკატის თამაშის დროს, ვიდრე კურდღლის გულ-ღვიძლის პილპილიან რაგუს მიირთმევდნენ და ლუდს სვამდნენ, როცა ვიღაცას ხელში შერჩა თხილის კოზირი უსამოდ.

მამა წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა, შემდეგ სავარძლის უკან გაჩერდა, საზურგეს დაეყრდნო და ზემოდან დამხედა.

— ცხადია, სულელურად ეღერს და მაღალფარდოვან სიტყვებად მოგეჩვენ-

ნება, მაგრამ იცი, რა გაკლია? — მითხრა მან, — ის, რაც მამაკაცს მამაკაცად ხდის, გარემოსთან შეგუების უნარი.

— დღეს მე ეს ერთხელ უკვე მოვისმინე, — ვუბასუხე მე.

— მაშინ მესამედაც მოისმინე, უნდა შეეგუო გარემოს.

— თავი დამანებე, — ვუბასუხე დაღლილმა.

— როგორ გგონია, რა ხასიათზე დავდგებოდი, როცა ლეო მომადგა და გამომიცხადა, კათოლიკე უნდა გავხდყო. ეს ამბავი ჩემთვის ისევე მტკივნეული იყო, როგორც ჰენრიეტეს სიკვდილი. რომ ეთქვა, კომუნისტი ვხდებიო, გული ნაკლებად მეტკინებოდა. ახალგაზრდა კაცი რომ აპყვება მცდარ ოცნებას სოციალურ სამართლიანობასა და მსგავს რაღაცაზე, ამის წარმოდგენა ძალმიძს. მაგრამ ეს, — იგი სავარძლის საზურგეს ჩაეჭიდა და თავი ძლიერ გადააქნია, — ეს არა, არა.

ეტყობა, არ ხუმრობდა, რადგან ერთიანად გაფითრდა და ბევრად უფრო ხნიერი გამოჩნდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

— დაჯექი, მამა, და ერთი ჭიქა კონიაკი დალიე.

იგი დაჯდა და თავით კონიაკის ბოთლზე მანიშნა. სერვანტიდან ჭიქა გამოვიღე და დავუსხი. კონიაკი ისე დალია, რომ არც მადლობა უთქვამს და არც გაგიმარჯოსო.

— შენ ეს ალბათ არ გესმის, — მითხრა მან.

— არა, — ვუბასუხე მე.

— მაშინებს ყველა ახალგაზრდა კაცი, ვისაც ასეთი რამ სწამს, — მითხრა მან. — ამიტომაც მომხვდა ასე მწარედ გულში, მაგრამ მაინც შევეგუე... შევეგუე. რატომ მიყურებ ასე?

— შენთან ბოდიში მაქვს მოსახდელი, — ვუთხარი მე, — როცა ტელევიზორის ეკრანზე გხედავდი, ვფიქრობდი, დიდებული მსახიობი იქნებოდა, კლოუნისაც კი სცხია რაღაც-მეთქი.

მან უნდობლად შემომხედა, ცოტათი შეურაცხყოფილიც კი მომეჩვენა და ამიტომ სწრაფად დავსძინე:

— არა, მამი, მართლა სწორუბოვარი იყავი.

მიწაროდა, რომ კვლავ ვიბოვე „მამი“.

— უბრალოდ, მათ თავს მომახვიეს ეს როლი, — მითხრა მან.

— შენზეა ზედგამოჭრილი, — ვუთხარი მე, — დიდებულად თამაშობ.

— მე არასოდეს არ ვთამაშობ, — მითხრა მან სერიოზულად, — არასოდეს, არ მჭირდება თამაში.

— იკითხონ შენმა მტრებმა, — ვუთხარი მე.

— მტრები არ მყავს, — მითხრა მან აღშფოთებით.

— მით უარესი შენი მტრებისათვის, — ვუთხარი მე.

კვლავ უნდობლად შემომხედა, მაგრამ შემდეგ გაეცინა და მითხრა:

— მე მართლა არ ვთვლი მათ მტრებად.

— კიდევ უფრო ცუდად ყოფილა საქმე, ვიდრე ვფიქრობდი, — ვუბასუხე მე. — განა იმათ, ვისაც მხოლოდ ფულზე ელაპარაკები, არ იციათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანს მალავთ, ან იქნებ ეკრანზე გამოჩენამდე წინასწარ უთანხმდებით ერთმანეთს?

მან კონიაკი დაისხა და გაკვირვებულმა შემომხედა.

— მინდოდა შენთან მომავალზე მელაპარაკა.

— ერთი წამით მომიტმინე, — შევაჩერე მე, — უბრალოდ მაინტერესებს, როგორ ახერხებთ ამას. ყოველთვის ასახელებთ პროცენტებს — ხუთი, ათი, ოცი, ორმოცდაათი პროცენტი, მაგრამ არასოდეს არ ამბობთ, რა თანხის პროცენტებია ეს.

მან ჭიქა ასწია, კონიაკი დალია და შემომხედა. საკმაოდ ბრიყვეული გამომეტყველება ჰქონდა.

— არითმეტიკაში დიდად განსწავლული არა ვარ, — განვაგრძე მე, — მაგრამ ვიცი, რომ ნახევარი პფენიგის ასი პროცენტი ნახევარი პფენიგია, ხოლო ერთი მილიარდის ხუთი პროცენტი ორმოცდაათი მილიონი... გესმის?

— ღმერთო ჩემო, — მითხრა მან, — ნუთუ შენ იმდენი დრო გაქვს, რომ ტელევიზორს უყურებ?

— დიახ, — ვუბასუხე მე, — იმ ამბის შემდეგ, როგორც შენ უწოდე, ხშირად ვუყურებ ტელევიზორს, დიდებულად მაცარიელებს, მთლიანად მაცარიელებს და როცა საკუთარ მამას სამ წელიწადში ერთხელ ხედავ, გიხარია, ტელევიზორის ეკრანზე მაინც რომ დაინახე. ამ დროს სადღაც ნახევრად ბნელ ლუდხანაში ვზივარ და ლუდს ვწრუპავ. ზოგჯერ მართლაც ვამაყობ შენით. რა მარჯვედ არიდე თავს იმას, უეცრად რომ ვინმემ გკითხოს, რა თანხიდანო...

— ცდები, — მითხრა მან ცივად, — მე არაფერს არ ვარიდე თავს.

— განა მოსაწყენი არაა, კაცს რომ სულ არ ჰყავს მტრები?

იგი წამოდგა და გაბრაზებით შემომხედა. მეც წამოვდექი. ჩვენ-ჩვენი სავარძლების უკან გავჩერდით და ხელები საზურგეზე დავაწყვეთ. მე გამეცინა:

— რა გასაკვირია, — ვუთხარი მე — რომ, როგორც კლოუნს, პანტომიმის თანამედროვე ფორმები მაინტერესებს. ერთხელ, როცა ლუდხანის უკანა ოთახში მარტო ვიჯექი, ტელევიზორმა ხმა დაკარგა. დიდებული რამ ვიხილე: *l'art pour l'art**-ის შეჭრა ხელფასის პოლიტიკაში და ეკონომიკაში. სამწუხაროა, არასოდეს რომ არ გინახავს ჩემი ნომერი „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა“.

— აი, რა უნდა გითხრა, — დაიწყო მან, — შენ შესახებ გენეპოლმს ველაპარაკე. ვთხოვე შენი რამდენიმე ნომერი ენახა და ჩემთვის ერთგვარი რეცენზია წარმოედგინა.

უეცრად დამამთქნარა. უზრდელობა იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა. კარგად მესმოდა, როგორი საჩოთირო მდგომარეობა შეიქმნა. ღამე ცუდად მეძინა, დღეც მძიმე მქონდა. მაგრამ როცა სამი წლის უნახავ მამას პირველად ხვდები და მთელი სიცოცხლის მანძილზე პირველად ელაპარაკები სერიოზულად, მთქნარება ვერაფერი თავაზიანობაა. მე ძალიან ვღელავდი, ამავე დროს საშინლად დაღლილი ვიყავი და ვნანობდი, რომ მაინცდამაინც ახლა ამიტყდა მთქნარება. გენეპოლმის გვარმა დასაძინებელი წამალივით იმოქმედა ჩემზე. მამა-ჩემისთანა ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველაფერი საუკეთესო ამქვეყნად მათი წილზედგება: გულის საუკეთესო ექიმი მსოფლიოში — დრომერთი, ფედერაციული რესპუბლიკის საუკეთესო კრიტიკოსი — გენეპოლმი, საუკეთესო მკერავი, საუკეთესო შამპანური, საუკეთესო სასტუმრო, საუკეთესო მწერალი.

* ხელოვნება ხელოვნებისათვის (ფრანგ.).

რა მოსაწყენია ჩემი მთქნარება კრუნჩხვებში გადაიზარდა, ყბებს ტყავანი გაჰქონდა. გენეპოლში ჰომოსექსუალისტი იყო, მაგრამ ეს ფაქტი არავინ ცვლიდა. მისი გვარი მაინც მოწყენილობას იწვევდა ჩემში. არიან შემაქცევარი ჰომოსექსუალისტებიც, მაგრამ მე სწორედ ასეთები მიმაჩნდა. მთქნარება ადამიანებად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ექსცენტრიკულნი არიან, გენეპოლში კი ჰომოსექსუალისტიც იყო და ექსცენტრიკულიც. იგი დედაჩემის თითქმის ყველა წვეულებას ესწრებოდა და მოსაუბრეს ისე ეტმასნებოდა, რომ ძალაუნებურად მის ამონასუნთქს სუნთქავდი და იცოდი, რა ჭამა იმ დღეს. ოთხი წლის წინათ, როცა უკანასკნელად შევხვდი, კარტოფილის სალათის სუნი უდიოდდა და ამ სუნის გამო მისი მოიისფრო-წითელი ყილეტი და თაფლისფერი მეფისტოფელური ულვაშები ექსტრავაგანტური აღარ მეჩვენებოდა. გენეპოლში ენამოსწრებელი კაცი იყო და რადგან ეს ყველამ იცოდა, იძულებული იყო მუდამ ეხუმრა. ასე ცხოვრება დამქანცველია.

— მაპატიე, — ვუთხარი მამას, როცა დავრწმუნდი, რომ მკრუნჩხველი მთქნარება მომეშვა, — მაინც რას ამბობს გენეპოლში?

მამაჩემი შეურაცხყოფილი იყო. ასე ემართება ყოველთვის, როცა მისი თანდასწრებით ზედმეტის უფლებას აძლევენ თავს. ჩემმა მთქნარებამ სუბიექტურად კი არა, ობიექტურად ატკინა გული. თავი ისე გადაჰქნია, როგორც მაშინ, როცა ლობიოს სალაფავი დაინახა.

— გენეპოლში შენს ზრდას დიდი ინტერესით ადევნებს თვალს, პირადად შენდამი კი ძალზე კეთილადაა განწყობილი.

— ჰომოსექსუალისტები არასოდეს არ კარგავენ იმედს, — ვუპასუხე მე, — ჯიუტი ხალხია.

— მოეშვი მაგას, — მითხრა მამაჩემმა უკმეხად, — გიხაროდეს, რომ ასეთი გავლენიანი და კომპეტენტური მფარველი გყავს.

— დიდად ბედნიერი ვარ, — ვთქვი მე.

— მაგრამ იმის საწინააღმდეგოდ ბევრი რამ აქვს, რაც შენ აქამდე გიკეთებია. თუმცა არლეკინისათვის საჭირო ნიჭი არ გაკლია, საამისოდ მაინც არ ემეტები და ფიქრობს, ყველაფერ პიეროსეულს უნდა მოერიდო. — როგორც კლოუნი კი არაფრად არ ვარგებარ. მისი აზრით პანტომიმაზე უყოყმანოდ გადასვლა შენი ერთადერთი საშველია, მისმენ? — მისი ხმა სულ უფრო და უფრო მკვეთრად ეღერდა.

— როგორ არა, — მივუგე მე, — მესმის ყოველი შენი სიტყვა, ყოველი შენი ბრძნული და მართებული სიტყვა, ყურადღებას ნუ მიაქცევ, თვალები რომ მაქვს დახუჭული. — სანამ იგი გენეპოლმის სიტყვებს იმეორებდა, თვალები დახუჭული მქონდა. ამან ჩემზე დამამშვიდებლად იმოქმედა და მიხსნა მამაჩემის უკან, კედელთან დადგმული კომოდის ცქერისაგან. საზიზღარი ნივთი იყო და რაღაცით სკოლას მაგონებდა. მუქყავისფრად შეღებილ კომოდს შავი სახელურები და ზედა წახნაგთან ყვითელი დეკორაციული თამასა ჰქონდა. კომოდი მარის ოჯახიდან გვერგო წილად.

— განაგრძე, — ვთხოვე წყნარად, — ილაპარაკე.

დაღლილობისაგან ცოცხლმკვდარი ვიყავი, მტკიოდა კუჭი, თავი და ისე დაძაბული ვიდექი სავარძლის უკან, რომ მუხლი კიდევ უფრო გამისივდა. დახუჭულ ქუთუთოებს მიღმა საკუთარ სახეს ვხედავდი, სწორედ ისეთს, როგორიც სარკიდან მიყურებდა ათასობით საათის ვარჯიშის დროს — სრულიად

უმოდროს, თოვლივით თეთრი უმარილით დაფარულ სახეს. არც წამწამები იძვრიან, არც წარბები, მხოლოდ თვალებს ვამოდრავებ ნელა აქეთ-იქით შემკრთალი ბოცვერივით და სწორედ ამით ვალწევ იმ დიდ ეფექტს, რასაც გენეპოლმისთანა კრიტიკოსები „ანიმალური მელანქოლიის გამოხატვის საოცარ უნარს“ უწოდებენ. ახლა მკვდარი ვიყავი და ათასი წამით ვარჯიში ჩემს სახეში იყო გამოკეტილი, რადგან არავითარი შესაძლებლობა არ მქონდა მარის თვალებში ჩავძირულიყავი და თავი გადამერჩინა.

— ილაპარაკე, — ვთხოვე კვლავ.

— მირჩია ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს მიგაბარო, ერთი, ან ორი წლით, შეიძლება ნახევარი წლითაც. გენეპოლმის აზრით, შენთვის აუცილებელია ერთ რამეზე კონცენტრირება, სწავლა, თვითშეგრძნების ისეთ დონეს უნდა მიაღწიო, რაც უშუალობას დაგიბრუნებს... და ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში... მისმენ?

მადლობა ღმერთს, ამჯერად მისი ხმა უფრო რბილად ჟღერდა.

— დიახ, — ვუთხარი მე.

— მე მზად ვარ ხელი გაგიმართო.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მუხლი გაზომეტრივით მრგვალი და სქელი გამიხდა. სავარძლის ირგვლივ ხელები ისე მოვაფათურე, რომ თვალები არ გამიხელია, სავარძელში ჩავვექი და მაგიდაზე დადებული სიგარეტის კოლოფი ბრმასავით ხელის ფათურით მოვძებნე. მამაჩემს საზარელი ყვირილი აღმოხდა. მე ისე კარგად ვბაძავ ბრმას, რომ მართლაც ჰგონიათ, თითქოს მოულოდნელად დავბრმავდი. ჩემი სიბრძნე მევე დავიჯერე და ვიფიქრე, იქნებ მართლაც ბრმად დავრჩე-მეთქი. ბრმა კაცს კი არ ვანსახიერებდი, არამედ კაცს, რომელიც ეს წუთია დაბრმავდა და როცა სიგარეტი პირში ჩავიდე, ვიგრძენი მამის სანთებელას ალი და ისიც, თუ როგორ თრთოდა.

— ჩემო ბიჭო, — მითხრა შეშინებულმა, — ავად ხარ?

— დიახ, — ვუპასუხე წყნარად, სიგარეტი მოვქაჩე და კვამლი ღრმად ჩავისუნთქე. — სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფი ვარ, მაგრამ არა ბრმა. მტკივა კუჭი, თავი, მუხლი, მჭამს შავი მელანქოლია, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ გენეპოლმი მართალია დაახლოებით სამოცდათხუთმეტი პროცენტით. მე ისიც კი ვიცი, კიდევ რა გითხრა. კლაისტზე ჩამოგიგდო სიტყვა, არა?

— მართალია, — მითხრა მამამ.

— ისიც ხომ გითხრა, ჯერ სული უნდა დაგკარგო, მთლიანად დავცარიელდე, რათა შემდეგ კვლავ მოვიბოვო იგი. გითხრა თუ არა?

— კი, მითხრა, — მიპასუხა მამამ, — შენ საიდან იცი?

— ღმერთო ჩემო, — ვუპასუხე მე, — ყველა მის თეორიას ვიცნობ და ვიცი, ვისგანაც ისესხა. მაგრამ სულის დაკარგვის არავითარი საურვილი რა მაქვს, მე მისი უკან დაბრუნება მინდა.

— კი მაგრამ, დაკარგე?

— დიახ.

— სად არის?

— რომში, — ვუპასუხე მე, თვალები გავახილე და გავიცინე.

მამას მართლაც შეეშინდა, ერთიანად გაფითრდა და დაბერდა. მის სიტყვებში შვებასთან ერთად სიბრაზეც იგრძნობოდა.

— ლაწირაკო, — მითხრა მან, — გამათამაშე?

— სამწუხაროდ, არა ბოლომდე და არც ისე ოსტატურად, — ვუპასუხე მე. — გენეპოლში იტყოდა: „ჯერ კიდევ მეტისმეტად ნატურალისტურია“, და მართალიც იქნებოდა. პომოსექსუალისტები მეტწილად მართალს ამბობენ, რადგან მდიდარი ინტუიცია აქვთ, მაგრამ მეტი არაფერი გააჩნიათ. რა გაეწყობა.

— ლაწირაკო, — გაიმეორა მამაჩემმა. — როგორ გამაცურე

— არა, — ვუპასუხე მე, — არა, ნამდვილ ბრმაზე მეტად არ გამიცურებია. აუცილებელი არაა ხელები აფათურო და საყრდენი ეძებო. ზოგი მართლა ბრმაა და მაინც ბრმას თამაშობს. გინდა აი ახლა, შენ თვალწინ კოჭლობით მივალ კარამდე და შენ ტკივილისა და თანაგრძნობისაგან აყვირდები, მაშინვე დაუბრუნებ მსოფლიოში საუკეთესო ქირურგს ფრეთცერს. დავიწყო? — მე უკვე ფეხზე წამოვდექი.

— არ მინდა, მოეშვი, — მითხრა გაწამებულმა და ისევ დავჯექი.

— შენც დაჯექი, — ვთხოვე მე, — ვერ ვისვენებ, როცა ფეხზე დგახარ. მამა დაჯდა, მინერალური წყალი დაისხა და დაბნეულმა შემომხედა.

— შენსას კაცი ვერაფერს გაიგებს, — მითხრა მან, — გამაგებინე მაინც, რა გინდა? სად გირჩევნია გაემგზავრო სასწავლებლად — ლონდონში, პარიზში თუ ბრიუსელში, სწავლის ფულს გადავიხდი. საუკეთესოს თუ ავირჩევთ, კარგია.

— არა, — ვუპასუხე დადლილმა, — სწორედ ეს იქნებოდა ცუდი, სწავლა ვერავითარ სარგებლობას ველარ მომიტანს. ჩემთვის მხოლოდ მუშაობაა საჭირო. ვსწავლობდი ცამეტი წლისა, თოთხმეტისა, ვსწავლობდი ოცდაერთ წლამდე. მხოლოდ თქვენ არ შეგიმჩნევიათ ეს. გენეპოლში თუ მართლა ფიქრობს, რომ მე კიდევ შემოიძლია რამე ახალი ვისწავლო, უფრო ბრიყვი ყოფილა, ვიდრე მეგონა.

— გენეპოლში სპეციალისტია, — მითხრა მამამ, — ყველაზე კარგი სპეციალისტი იმათ შორის, ვისაც კი აქ ვიცნობ.

— მართალია, ასეთი სპეციალისტი ჩვენ არ გვყავს, — ვუპასუხე მე, — მაგრამ იგი მაინც სპეციალისტია და მეტი არაფერი. გვარიანად იცნობს თეატრს, ერკვევა ტრაგედიაში, კომედიაში, *Commedia dell'arte**-ში, პანტომიმაში, მაგრამ აბა შეხედე, რას ჰგავს მისი კომედიანტური ცდები, როცა უეცრად იისფერ პერანგში გამოწყობილი და შავი აბრეშუმის ბაფთით ყელდამშვენებული გამოგვეცხადება. ასეთი რამისა დილეტანტსაც კი შერცხვებოდა. ყველაზე უარესი ის კი არ არის, კრიტიკოსები რომ კრიტიკულად განწყობილნი არიან, არამედ ის, რომ საკუთარი თავის მიმართ არც კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენენ და არც იუმორის გრძნობა გააჩნიათ, რაც სავალალოა. რა თქმა უნდა, გენეპოლში მართლაც კარგი სპეციალისტია, მაგრამ თუ მას ჰგონია, სცენაზე გატარებული ექვსი წლის შემდეგ კიდევ სწავლას უნდა შევუდგე — სულელი ყოფილა.

— მაშ ფული არ გჭირდება? — მკითხა მან.

მის ხმაში რაღაც შვების მაგვარი იგრძნობოდა და ამან ეჭვი აღმიძრა.

* ნიღბების კომედია (იტალ.).

— როგორ არა, — ვუპასუხე მე, — ფული ძალიან მჭირდება.

— რაში უნდა გამოიყენო. ასეთ ვითარებაში კვლავ აპირებ სცენაზე გა-
მოსვლას?

— რა ვითარებაში? — ვკითხე მე.

— რა და, — მითხრა ოდნავ დარცხვენილმა, — ხომ გეცნობოდა წარ-
შენზე გაზეთები.

— გაზეთები? — ვკითხე მე, — სამი თვეა მხოლოდ პროვინციის სცე-
ნაზე გამოვდივარ.

— მე ყველა გაზეთს მოვუყარე თავი და გენეპოლმთან ერთად შევის-
წავლე.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — ვთქვი მე, — რამდენი გადაუხადე ამაში?
მამა გაწითლდა.

— მოვეშვათ ამ ამბავს, — მითხრა მან, — ამგვარად, რას აპირებ?

— ვარჯიშს, — ვუპასუხე მე, — ნახევარი წელი, ერთი წელი, ჯერჯე-
რობით არ ვიცი.

— სად?

— სად და აქ, — ვუთხარი მე, — აბა, სხვაგან კიდევ სად?

მახ თავს ძალა დაატანა, რომ შიში არ გამოემჟღავნებინა.

— არც შეგაწუხებთ და არც შეგარცხვენთ, თქვენს ჟურფიქსზეც კი არ
მოვალ, — ვუთხარი მე.

იგი გაწითლდა. რამდენჯერმე მათ ჟურფიქსზე შინაურულად კი არა, უც-
ხო სახლით გამოვცხადდი. სტუმარივით ვსვამდი კოქტეილს, ვატანდი ზეთისხილს,
ვსვამდი ჩაის, ხოლო გამომშვიდობებისას სიგარეტებს ისე მოურიდებლად ვი-
ტენიდი ჯიბეში, რომ მოსამსახურეები ამას ხედავდნენ, წითლდებოდნენ და
პირს მარიდებდნენ.

— აჰ, — თქვა მამაჩემმა და სავარძელში შეტრიალდა. ყველაფერს ერჩია
ამდგარიყო და ფანჯარასთან გაჩერებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად თვალები
დახარა და მითხრა:

— მერჩია უფრო საიმედო გზას დასდგომოდი, იმ გზას, გენეპოლმი რომ
ვირჩევს. საექვო საქმის დაფინანსება მიჭირს. ნუთუ შენ არაფერი დაზოგე?
ბოლო წლებში, მგონი, კარგი შემოსავალი გქონდა.

— პფენიგი არ დამიზოგია. ჯიბეში მხოლოდ ერთი მარკა მიდევს.

ჯიბიდან მარკა ამოვიღე და მამას ვუჩვენე. იგი მართლა დაიხარა და
ისე დაუწყო თვალიერება მარკას, როგორც უცნაურ მწერს.

— დაჯერება მიჭირს, — მითხრა მან, — ყოველ შემთხვევაში მფლანგ-
გველად მე არ გამიზრდიხარ. რა თანხა დაგჭირდება ყოველთვიურად, როგო-
რა გაქვს მთელი ეს ამბავი წარმოდგენილი?

გული ძლიერ ამიჩქროლდა. არ მეგონა, ასე პირდაპირ თუ შემომთავაზებ-
და დახმარებას. დავფიქრდი, არც ძალიან ბევრი უნდა მომეთხოვა და არც
ძალიან ცოტა. ერთი სიტყვით იმდენი, რომ საცხოვრებლად მყოფნოდა. მაგ-
რამ წარმოდგენა არ მქონდა, რამდენი დამჭირდებოდა. სინათლის, ტელეფონის
ფული... თავის შენახვაც რაღაც დამიჭდებოდა. ისე ავღელდი, ოფლმა დამასხა.

— უპირველეს ყოვლისა, — ვთქვი მე, — მჭირდება რეზინის სქელი
ლეიბი, დაახლოებით ამ ოთახის სიგრძე-სიგანისა, შვიდი მეტრი ხუთზე. შე-

გიძლია უფრო იაფად შეიძინო რეზინის დამამზადებელი ფაბრიკიდან, რაინზე რომ გაქვთ.

— კეთილი, — მითხრა მან ღიმილით, — შემომიწირავს ლეიბი — შვიდი მეტრი ხუთზე, მაგრამ გენეპოლში ფიქრობს, რომ აკრობატიკაზე არ უნდა დახურდავდე.

— არც ვაპირებ, მამი, — ვუთხარი მე, — ლეიბის გარდა თვეში ათასი მარკა დამჭირდება.

— ათასი მარკა, — გაიკვირვა მან და წამოდგა. მამაჩემს მართლა შეეშინდა, ტუჩები უკანკალებდა.

— ჰო, კარგი, — ვუთხარი მე, — შენ რამდენს ვარაუდობდი?

წარმოდგენა არ მქონდა, სინამდვილეში რამდენი ფული ჰქონდა მამაჩემს. იმდენი ანგარიში კი ვიცოდი, თვეში ათასი მარკა წელიწადში რომ თორმეტ ათას მარკამდე ავიდოდა, მაგრამ ასეთი თანხა მას არ გააკოტრებდა. იგი მართლაც მილიონერი იყო. ეს მარის მამამ ერთხელ მიანგარიშა და დაწვრილებითაც ამიხსნა. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ მამაჩემს აქციები ყველგან ჰქონდა და ყველაფერში „ერია ხელი“, საბანაო ფხვნილებისა და სითხეების ფაბრიკაშიც კი.

მამა თავის სავარძლის უკან სრულიად მშვიდად სცემდა ბოლთას და რუჩებს ისე ამოძრავებდა, თითქოს რაღაცას ანგარიშობსო, იქნებ მართლაც ანგარიშობდა, მაგრამ ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდა.

კვლავ გამანსენდა, როგორ იძუნწეს ჩემმა მშობლებმა, როცა მე და მარი ბონიდან გავიქვეცი. მამამ მომწერა, მორალური მოსაზრებების გამო ვერაფრით დაგეხმარებიო, ვიმედოვნებ, საკუთარ თავს და „შენ მიერ შეცდენილ წესიერ, გაუბედურებულ ქალიშვილს გამრჯე მარჯვენით შეინახავ“. როგორც იცი, მე ყოველთვის ვაფასებდი მოხუც დერკუმს, როგორც მოწინააღმდეგეს და როგორც ადამიანს, და ამიტომ შენი საქციელი სამარცხვინოდ მიმაჩნიაო.

ჩვენ კიოლნის ერთ-ერთი რაიონის, ერენფელდის პანსიონატში ვცხოვრობდით. ის შვიდასი მარკა, მარიმ რომ დედისაგან მიიღო მემკვიდრეობით, ერთ თვეში გაქრა, მე კი მეგონა, დიდ მომჭირნეობას ვიჩენდი და ძალზე გონივრულად ვხარჯავდი ფულს.

პანსიონატი ერენფელდის სადგურის მახლობლად მდებარეობდა. ჩვენი ოთახის ფანჯრიდან რკინიგზის მიწაყრილი და აგურის წითელი კედელი მოჩანდა. ქალაქში მურა ნახშირით დატვირთული მატარებლები შემოდისოდნენ და უკან ცარიელი ბრუნდებოდნენ. სანუგეშო სანახაობა იყო, ბორბლები გულის ამაჩუყებლად რახრახებდნენ. მოდი და ნუ იფიქრებდი ჩვენი ოჯახის გაწონასწორებულ ქონებრივ მდგომარეობაზე. სააბაზანოდან თუთიის ტაშტები და თოკზე გაკიდებული სარეცხი მოჩანდა. ზოგჯერ სიბნელეში მესმოდა, როგორ ისროდნენ ფანჯრიდან ეზოში მალულად კონსერვის კოლოფს ან ნაგვით სავსე პარკს. აბაზანაში ჩაწოლილი ხშირად ვმღეროდი ლიტურგიულ სიმღერებს. დიასახლისმა ჯერ სიმღერა ამიკრძალა: ხალხი იფიქრებს, გაკრეჭილ მღვდელს ვმალავო, შემდეგ კი აბაზანით სარგებლობაც. მისი აზრით, მეტი-მეტად ხშირად ვბანაობდი, რასაც ზედმეტ ფუფუნებად თვლიდა. ზოგჯერ დიასახლისი ეზოში ჩადიოდა და ნაგვის გადმომყრელის ვინაობა რომ დაედგინა, ნაგვით სავსე პარკებს გელათი ქექავდა: ხახვის ნაფცქვენები, ყავის ნალექი,

დაბეგვილი კატლეტების ძვლები დიდძალ მასალას აძლევდნენ ფიქრისა და ვარაუდისათვის, საყასბოებსა და ბოსტნეულის ღუქნებშიც გამოიკვრიხავდა ხოლმე, იქნებ რამე საგულისხმო დასცდეთო, მაგრამ უშედეგოდ.

ნასუფრალით ვერასდროს ვერ მიაკვლია, ვინ იყო ეს ინდივიდი, ამიტომ წყევლა-კრულვა, რასაც იგი სარეცხით დაფარულ ზეცას უგზავნიდა, ყოველთვის ჩამოყალიბებული, რომ ყველას ეგონა, პირადად მე მგულისხმობსო.

— ვერავინ მომატყუებს, ღდინში ჩაეყვები და მაინც გავიგებ.

დილდილობით ფანჯრის რაფაზე გადაყუდებულნი ვუდარაჯებდით ფოსტალიონს, რომელსაც ჩვენთვის ზოგჯერ მარის მეგობარი ქალების, ლეოსა და ანას ამანათები მოჰქონდა. დროდადრო, ძალზე არარეგულარულად, ბაბუა-ჩემიც გვიგზავნიდა ჩეკს. ჩემი მშობლები კი მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ ჩემი ბედის გამგებელი მევე ვყოფილიყავი და საკუთარი ძალ-ღონით გავმკლავებოდი გაჭირვებას.

მოგვიანებით დედამ ისიც კი მომწერა, შვილად არ გცნობო. მისი უგემოვნობა ზოგჯერ იდიოტურ უკიდურესობამდე მიდიოდა, წერილში ჩაჩხირა ციტატა შნიცლერის რომანიდან „გაორებული გული“. ამ რომანში მშობლები არ ცნობენ თავიანთ ქალიშვილს, რომელმაც უარი თქვა გაეჩინა შვილი „კეთილშობილი, მაგრამ უვარგისი ხელოვანისაგან“, მგონი, მსახიობისაგან. დედამ სიტყვასიტყვით ამოწერა ციტატა რომანის მერვე თავიდან: „სინდისი მკარნახობს არ გცნო“. დედაჩემის აზრით ეს ციტატა ზუსტად გამოხატავდა მის ჩემდამი დამოკიდებულებას. ასეა თუ ისე, „შვილად აღარ მცნობდა“.

დარწმუნებული ვარ, დედაჩემმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ „არ ცნობა“ ზედმეტ უსიამოვნებას აარიდებდა როგორც მის სინდისს, ასევე მის პირად ანგარიშზე ჩარიცხულ ფულსაც. ჩემიანები მოელოდნენ, რომ მე გმირული ცხოვრების გზას დავადგებოდი: ფაბრიკაში ან მშენებლობაზე დავიწყებდი მუშაობას, რათა სატრფო მერჩინა, მაგრამ ყველას იმედი გაუცრუვდა, რაკი ასე არ მოვიქცევი. ლეომ და ანამაც აშკარად მაგრძნობინეს, როგორ გავუცრუე მათ იმედები. ფიქრებში ისინი უკვე მხედავდნენ, როგორ გამოვდიოდი უთენია სახლიდან ილღიაში ამოჩრილი თუნუქათი და ბუტერბროტებით, როგორ ვუგზავნიდი ხელით მარის ოთახს კოცნას და საღამოობით როგორ ვბრუნდებოდი შინ „დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი“, როგორ ვკითხულობდი გაზეთებს და შევცქეროდი ქსოვით გართულ მარის. მაგრამ მე ოდნავადაც არ ვცდილვარ მათი ეს წარმოდგენა რეალურ ფაქტად მექცია. სულ მარისთან ვიყავი და მარისაც ერჩია მის გვერდით ვყოფილიყავი. თავს „ხელოვნად“ ვგრძნობდი (გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე მიგვრძნია შემდეგ) და ორივენი ხორცს ვასხამდით ჩვენს ბავშვურ ოცნებას ბოჭემაზე: ოთახში „კიანტის“ ბოთლები გვედგა, კედლებს ჯვალთი და აჭრელებული ხის ქერქებით ვრთავდით. როცა კიოლნში გატარებულ წელს ვიგონებ, ისე მიჩუყდება გული, რომ ღღესაც ვწითლდები. კვირის ბოლოს მარი დიასახლისს ესტუმრებოდა და როგორც კი ბინის ქირის გადავადებას სთხოვდა, დიასახლისი ერთ ქოთქოთს ატეხდა და ჩემზე ეუბნებოდა, რატომ არ იწყებს მუშაობასო.

— ჩემი ქმარი ხელოვანია, დიახ, ხელოვანი, — ეუბნებოდა მარი დიდებული პათოსით.

ერთხელ გავიგონე, როგორ შესძახა ჭუჭყიან კიბეზე გაჩერებულმა მარიმ დიასახლისს კარდია ოთახში:

— დიახ, ხელოვანი!

... დიასახლისმა კი პასუხად ხრინწიანი ხმით მიაყვირა:

— რაო, ხელოვანი? თანაც ქმარია? რას გაიხარებდნენ ქორწინების საჩუქრად გისტრაციო ბიუროში.

ყველაზე უფრო დიასახლისს ის ახელებდა, რომ ჩვენ თითქმის ყოველდღე ათ ან თერთმეტ საათამდე ლოგინში ვიწეჩით. აბა სად ჰქონდა ამ ქალს იმდენი ფანტაზია, მიმხვდარიყო, რომ ამ გზით ყველაზე მოხერხებულად ვზოგავდით ერთი საუზმისა და რეფლექტორისათვის საჭირო დენის ფულს, არც ის იცოდა, თორმეტ საათამდე რომ არ მიშვებდნენ სავარჯიშოდ სამრევლოს პატარა დარბაზში, რადგან იმ დარბაზში შუადღემდე ყოველთვის რაღაც ღონისძიება იმართებოდა: კონსულტაცია დედებისათვის, მეცადინეობა იმათთვის, ვინც პირველი ზიარებისათვის ემზადებოდა და მზარეულთა მოსამზადებელი კურსების ანდა სადაბო კათოლიკური კოოპერატივის კრება. ჩვენ იმ ეკლესიის მახლობლად ვცხოვრობდით, რომლის კაპელანი ჰაინრიჰ ბელენი იყო. სწორედ მან მიშოვა ოთახი პანსიონატში და პატარა სცენიანი დარბაზიც დამითმო სავარჯიშოდ. მაშინ ბევრი კათოლიკე გულთბილად გვეპყრობოდა. ქალი, რომელიც მზარეულთა მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობას ატარებდა, ყოველთვის გვიმასპინძლებოდა მორჩენილი კერძებით, უმეტეს შემთხვევაში წვნიანთა და პუდინგით, ზოგჯერ ხორცსაც გვიმატებდა, ხოლო როცა მარი დალაგებაში ეხმარებოდა, ერთ შეკვრა კარაქს ან ერთ პარკ შაქარს იმეტებდა. ზოგჯერ დარბაზში ჩემი ვარჯიშის დაწყებამდე რჩებოდა, სიცილით კვდებოდა და ნასადილევს ყავას გვიდუღებდა. ჩვენ მაშინაც კარგად გვეპყრობოდა, როცა გაიგო, რომ ჯვარდაწერილები არ ვიყავით. მე მგონი, ის სულაც არ ფიქრობს, რომ ხელოვანი „წესიერად“ ქორწინდება. ცივ დღეებში უფრო ადრე მივდიოდით სამრევლო სახლში. მარი მზარეულობას სწავლობდა, მე კი გარდერობში ვიჯექი ელექტრორეფლექტორთან და ვკითხულობდი. თხელი კედლის მიღმა ჯერ ხითხითი ისმოდა დარბაზში, შემდეგ კი სერიოზული მოხსენებები კალორიებზე, ვიტამინებზე და კალკულაციაზე. ერთი სიტყვით, მთელი ეს ამბავი ძალიან მართობდა.

ჩვენ მხოლოდ დედათა კონსულტაციის დღეს გვიკრძალავდნენ იქ მისვლას, სანამ ყველაფერი არ მოთავდებოდა. ახალგაზრდა ექიმი ქალი, რომელიც კონსულტაციას ატარებდა, ძალზე კორექტული და თავაზიანი იყო, მაგრამ თუ რამეს დაიჩემებდა, თავისას გაიტანდა. სცენაზე რომ დავხტოდი, მტვრის ბული დგებოდა და შიშით გული უსკდებოდა. იმასაც ამტკიცებდა, მტვრის კორიანტელი მეორე დღესაც ტრიალებს დარბაზში და ჩვილ ბავშვებს ვნებსო, ბოლოს იმას მიაღწია, კონსულტაციის ჩატარებამდე ოცდაოთხი საათი არ ნქონდა უფლება სცენაზე ფეხი შემედგა. ამის გამო ჰაინრიჰ ბელენს შელაპარაკებაც კი მოუვიდა მღვდელთან. მღვდელმა არ იცოდა, მე რომ ყოველდღე ვვარჯიშობდი დარბაზში და ჰაინრიჰს მოსთხოვა: მოყვასისადმი სიყვარულში მაინცდამაინც შორს ნუ შესტოპავო. ზოგჯერ მარის ეკლესიაშიც დავუყვებოდი, იქ ძალიან თბილოდა, მუდამ რადიატორს გადავაჯდებოდი ხოლმე, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ქუჩის ხმაური საიდანღაც შორიდან ისმოდა. ცარიელი ეკლესია გულს ესალბუნებოდა: შვიდჯერ კაცი თუ ჩანდა, აქა-იქ. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს მეც ვეკუთვნოდი ამ წყნარ, სევდიან საკრებულოს, რომელიც მისტიროდა ისეთ საქმეს, უძლურებაშიც კი

დიდებულ შთაბეჭდილებას რომ ახდენდა. ჩემსა და მარის გარდა ეკლესიაში მხოლოდ დედაბრები დადიოდნენ. წირადა ჰაინრიხ ბელენი და მისი არაპათეტიკური ხმა კარგად ეხამებოდა ბნელ, უგვანო ეკლესიას. ერთხელ, დიაკონი არ მოვიდა და ჰაინრიხს წირვის დამთავრებაშიც კი დავეხმარე, სწორედ მაშინ, როცა სახარება მარჯვნიდან მარცხნივ გადააქვთ. შევამჩნიე, თუ როგორ ჰაინრიხი დაიბნა, რიტმი დაკარგა, იმწამსვე წამოვხტი, მარჯვენა მხარეს მხარეზე გადავადგილე, სახარება ავიღე, შუა საკუთხეველთან დავიჩოქე და სახარება მარცხენა მხარეს დავდე. იმ დღეს რომ ჰაინრიხს არ დავხმარებოდი და უხერხული მღვდმარეობიდან არ გამომეყვანა, ჩემს თავს უზრდელად ჩავთვლიდი. მარი უსაშველოდ გაწითლდა, ჰაინრიხს კი გაელიმა. ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობდით, რამდენიმე წლით ჩემზე უფროსია, ინტერნატში ფეხბურთის გუნდის კაპიტანი იყო. წირვის შემდეგ ჰაინრიხს საეკლესიო სამოსელის საცავთან ველოდი. იგი ჩვეულებრივ საუზმეზე გვპატიჟებდა. საწვრილმანო დუქანში ნისიად ყიდულობდა კვერცხს, ღორს, ყავას, სიგარეტებს და ბავშვივით უხაროდა, როცა მისი ეკონომი ქალი ავად ხდებოდა.

მომავლენა ყველა ადამიანი, ვინც მაშინ დაგვეხმარა, ამ დროს კი ჩვენები ჭუჭყიან მილიონებს გადაეფოფრნენ, ხელი მკრეს და თავიანთი მორალური საფუძვლებით ტკბებოდნენ.

მამაჩემი ისევ ბოლთას სცემდა სავარძლის უკან და ანგარიშით გართული ტუჩებს აცმაცუნებდა. ერთი პირობა დავაპირე მეტქვა მისთვის, არ მჭირდება შენი ფული-მეტქი, მაგრამ გადავიფიქრე. მგონი, მქონდა რაღაც უფლება, რამე მიმეღო მისგან, თანაც ჯიბეში ერთი მარკა მედო და არ მინდოდა ისეთი გმირობა გამომეჩინა, შემდეგ სანანებლად რომ გამიხდებოდა. ფული მართლაც მჭირდებოდა, უსაშველოდ მჭირდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც სახლიდან წამოვედი მამას ჩემთვის პფენიგიც კი არ მოუცია. ლეომ მთელი თავის ჯიბის ფული მოგვცა, ანა ზოგჯერ საკუთარი ხელით გამომცხვარ თეთრ პურს გვიგზავნიდა, მოგვიანებით ბაბუაჩემიც გვიგზავნიდა დროდადრო ფულს, თხუთმეტ, ოცმარკიან ჩეკს, ხოლო ერთხელ რატომღაც ოცდამარკიანი ჩეკი მივიღეთ და დღემდე ვერ მიმხვდარვარ, რა იყო ამის მიზეზი. ამ ჩეკების გამო ყოველთვის ნამდვილი სპექტაკლები იმართებოდა. არც ჩვენს დიასახლისს და არც ჰაინრიხს ბანკში ანგარიში არ ჰქონდათ გახსნილი და საერთოდ, ჩვენი არ იყოს, არც ჰაინრიხი ერკვეოდა ჩეკებში, პირველი ჩეკი თავის მრევლის საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე ჩარიცხა, მერე კი შემნახველ სალაროს მიაკითხა და იქ აუხსნეს საჩეკო ოპერაციების მიზანი და ნაირსახეობა. ამის შემდეგ თავის მღვდელთან გამოცხადდა და მოსთხოვა თხუთმეტი მარკის ჩეკი. მღვდელი ლამის გაგიჟდა, ვერავითარ ჩეკს ვერ მოგცემო, განუცხადა ჰაინრიხს, მერე მომკითხავენ, რა მიზნით გაეცო. საქველმოქმედო ფონდი საჩოთირო საქმეა, ხშირად ამოწმებენ. თუ ჩავწერე: „მიეცა სესხად კაპელან ბელენს კერძო ანგარიშსწორების ჩეკის საკომპენსაციოდ“, შემომედავებიან, მრევლის საქველმოქმედო ფონდის ანგარიში შავი ბირჟა არ გახლავთ, სადაც „ბნელი წარმოშობის“ ჩეკებს ახურდავენო. მხოლოდ ის შეუძლია, ანგარიშსწორების ჩეკი შემოსავალში ჩაწეროს გარკვეული შემოსაწირის სახით, როგორც შწირისაგან შწირისათვის დახმარება, შემდეგ კი მომცეს მე ფული, როგორც საქველმოქმედო ფონდის დახმარება. მართალია, მთლად სწორი არაა,

მაგრამ ასეთი რამ მაინც დასაშვებიაო, გვითხრა მან. ერთი სიტყვით, ამ თხუთმეტი მარკის მიღებას მთელი ათი დღე დასჭირდა, რადგან პარტიისათვის სხვა საქმეც ჰქონდა მოსაგვარებელი, ჩემი ჩეკის განაღდებას რომ ვერ შესწირავდა ყველაფერს. მას შემდეგ შიში მიპყრობდა, როცა ბაბუაჩემისაგან ჩეკი მომდიოდა. ის (დასაწვავი ჩეკი ფულიც იყო და არც ფული ყოფილა) არ იყო ის, რაც მართლა გვჭირდებოდა — ნაღდი ფული. იმისათვის, რომ ანგარიშსწორების ჩეკებისა ნაცვლად ჩვენთვის გასანაღდებელი ჩეკები მოეცა, ბოლოს და ბოლოს პარტიამ ბანკში ანგარიში გახსნა, მაგრამ ხშირად იგი სამი-ოთხი დღით სადღაც მიემგზავრებოდა, ერთხელ კი, როცა ოცდამარკიანი ჩეკი მივიღეთ, სამკვირიან შვებულებაში იყო და მე დიდი ვაივაგლახით მოვნახე კიოლნში ჩემი ერთადერთი ბავშვობის მეგობარი ედგარ ვინეკენი. მას რაღაც თანამდებობა ეჭირა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აპარატში, მგონი რეფერენტი იყო კულტურის დარგში. მისამართი ტელეფონის წიგნში ვიპოვე, მაგრამ რომ დამერეკა, ოცფენიგისი არ მქონდა. კიოლნ — ერენფელდიდან კიოლნ — კალკამდე ფეხით ვიარე, ედგარი შინ არ დამხვდა. საღამოს რვა საათამდე სახლთან ველოდე, რადგან დიასახლისმა არ მოინდომა, შევეშვი მის პარკში. ედგარი ცხოვრობდა ძალიან დიდი და ძალიან ბნელი ეკლესიის მახლობლად ენგელსის ქუჩაზე (დღემდე არ ვიცი, როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ვალდებულად გრძნობდა თუ არა თავს ენგელსის ქუჩაზე დასახლებულიყო). საშინლად გავწვალდი, ძალზე დავილაღე, მშვიდა, სიგარეტი არ მქონდა, თანაც ვიცოდი, რომ მარი შინ იჯდა და სწუხდა. მეღანქოლით დაავადებული კაცისათვის ვერაფერი სამკურნალო საანახობაა კიოლნი — კალკი, ენგელსის ქუჩა და მახლობლად მდებარე ქიმიური ქარხანა. ბოლოს საფუნთუშეში შევედი და გამყიდველ ქალს ვთხოვე, ფუნთუშა მაჩუქეთ-მეთქი. ქალი ახალგაზრდა იყო, მაგრამ გონჯი. დაველოდე იმ წუთს, როცა საფუნთუშე ერთი წამით დაცარიელდა, სწრაფად შევალე კარი და გამყიდველს ისე მივმართე, რომ საღამო მშვიდობისაც კი არ მითქვამს:

— მაჩუქეთ ერთი ფუნთუშა.

მეშინოდა არავინ შემომსწრებოდა. ქალმა შემომხედა, ისედაც თხელი, უემური ტუჩები ჯერ უფრო გაუთხელდა, შემდეგ დაუმრგვალდა და ამოებურცა, ბოლოს პარკში სამი ფუნთუშა და ნახუჭი ჩადო და უხმოდ მომაწოდა. მგონი, მაღლობაც კი არ მითქვამს, პარკს ხელი დავტაცე და გარეთ გამოვვარდი. შემდეგ იმ კარის ზღურბლზე ჩამოვჯექი, სადაც ედგარი ცხოვრობდა, ფუნთუშასა და ნახუჭს ვნთქავდი და დროდადრო იმ ჯიბეს ვისინჯავდი, სადაც ოცდამარკიანი ჩეკი მედო. ოცდამარკი უცნაური რიცხვი იყო, საიდან გაჩნდა, იქნებ რომელიმე საბანკო ანგარიშის ნაშთია-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის, იქნებ გამეხუმრა ან იქნებ შემთხვევის ბრალია, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ 22 რიცხვითაც ეწერა და სიტყვიერადაც და როცა წერდა, ბაბუა უთუოდ რაღაცას ფიქრობდა. მაგრამ რას, ვერაფრით ვერ მივხვდი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ კალკის რაიონში ენგელსის ქუჩაზე ედგარს მხოლოდ საათნახევარი ველოდი, მე კი ეს დრო მჭმუნვარებით აღსავსე უსასრულობად მომეჩვენა. მთრგუნავდა ჩარიგებული ბნელი სახლები და ქიმიური ქარხნის კვამლი. ედგარს ისე გაეხარდა ჩემი დანახვა, რომ სახე გაუბრწყინდა. მხარზე ხელი დამკრა და ოთახში შემიყვანა. კედელზე ბრეტის დიდი სურათი ეკიდა, მის ქვეშ

გიტარა. საკუთარი ხელით შეკოწიწებულ თაროზე კიბის გამოცემები ელაგა. გაეცინა, ვარეთ გასული როგორ გაუწყრა დიასახლისის იმისათვის, რომ ოთახში არ შემომიშვა. შემდეგ არაფერი მოიტანა და სახეგაბრწყინებულმა მამბო, როგორ მოუგო ბრძოლა თეატრალურ საქმეთა კომიტეტში ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის აქოთებულ ძალებს. მერე მოხოვა მემბნა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. ბავშვობაში სულ ერთად ვთამაშობდით. მამამისი ჯერ საცურაო აუზის ზედახედველი იყო, შემდეგ კი ჩვენი სახლის მახლობლად მდებარე სპორტული მოედნის დარაჯი. მოყოლის თავი არ მქონდა, შევეხვეწე, მომეშვი-მეთქი, ორიოდ სიტყვით ვავაცანი ჩემი მდგომარეობა და ჩემი სანაცვლოდ ფული ვთხოვე. მან ყველაფერი გაიგო, დიდი კეთილშობილება გამოიჩინა და მაშინვე ოცდაათი მარკა ნაღდი ფული მომცა. არაფრით არ უნდოდა ჩემი აღება, მაგრამ თითქმის ცრემლმორეული შევეხვეწე, გამომართვი-მეთქი. ბოლოს, როცა დიდი ხვეწნამუდარის შემდეგ ჩემი გამომართვა, ცოტა ნაწყენი დარჩა. ვთხოვე გვეწვეოდა, ენახა, როგორ ვვარჯიშობ. ბოლოს ფოსტასთან რომ ტრამვაის გაჩერებაა, იქამდე მიმაცილა, მაგრამ ამ დროს მოედანზე გაჩერებული თავისუფალი ტაქსი დავინახე, მისკენ გავქანდი, ჩავჯექი და როცა მანქანა დაიძრა, ედგარის გაოგნებულ, ნაწყენ, გაფითრებულ ფართო სახეს ძლივსღა მოვკარი ძავალი. მაშინ პირველად მივეცი თავს ტაქსში ჩაჯდომის უფლება და თუ როდისმე რომელიმე ადამიანს ტაქსით მგზავრობა დაუმსახურებია, იმ საღამოს ასეთი კაცი მე ვიყავი. ვერ გავუძლებდი მთელ კიოლნში ტრამვით ჯაყჯაყს და კიდევ ერთი საათით მარის უნახაობას. ტაქსით მგზავრობა რვა მარკამდე დამიჯდა, მძღოლს ორმოცდაათი ფენიგი ვაჩუქე და ჩვენი პანსიონატის კიბეზე ავირბინე. ატირებული მარი კისერზე ჩამომეკიდა და მეც ავტირდი. ორივემ დიდი შიში ვქამეთ, მთელი საუკუნე ვიყავით დაშორებული ერთმანეთს და უზომოდ სასწორაკვეთილებს ერთმანეთისათვის არც კი გვიკოცნია. მხოლოდ გაუთავებლად ვჩურჩულებდით, რომ აღარასოდეს, აღარასოდეს, აღარასოდეს არ დავშორდებით ერთმანეთს, „სანამ სიკვდილი არ გაგვყრის“, ჩამჩურჩულა მარიმ. შემდეგ მარიმ „წესრიგში მოიყვანა თავი“, ასე უწოდებდა ამას — ტუჩები შეიღება, ლოყები შეიფერადა და ჩვენ ვენლოეშტრასეს ერთ-ერთ დასაწყარებელ ბუდრუგანაში შევედით, სადაც ორ-ორი ულუფა გულიაში გეახელით, შემდეგ ერთი ბოთლი წითელი ღვინო ვიყიდეთ და შინ დავბრუნდით.

ედგარმა ტაქსით მგზავრობა ვერაფრით ვერ მაპატია ბოლომდე. მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხოლო როცა მარის მუცელი მოეშალა, კიდევ ერთხელ დავგვხმარა ფულით. მართალია, ჩემ იმდღევანდელ ტაქსით გამგზავრებაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ერთგვარი უნდობლობა ჩემ მიმართ მაინც გაუჩნდა და დღემდე ვერ მოიშორა.

— ო, ღმერთო, — თქვა მამაჩემმა ხმამაღლა, და იმგვარი ტონით, რომ ძალზე მეუცხოვა, — გაახილე თვალები და ხმამაღლა ილაპარაკე. მსგავსი ფანდები ჩემთან აღარ გაგივა.

თვალები გავახილე და მამას შევხედე. გაბრაზებული იყო.

— განა ელაპარაკობდი? — ვკითხე მე.

— დიახ, — მითხრა მან, — რაღაცას ლულულულებდი შენთვის, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე გარდა „ჭუჭყიანი მილიონებისა“.

— ესაა ერთადერთი რამ, რისი გაგებაც შეგიძლია და გესმის კიდეც.

— კიდეც გავიგონე „ანგარიშსწორების ჩეკი“.

— დიახ, დიახ, — ვუთხარი მე, — ახლა კი ჩამოჯექი და მოთხარი, რა თანხას ვარაუდობდი, როცა ერთი წლის მანძილზე ყოველთვიურ დახმარებას მპირდებოდი?

მამას მივეუახლოვდი, ხელი ფრთხილად მოვეკიდე მხრებში და სავარ-
ძელში ჩავსვი. იგი მაშინვე წამოდგა და ჩვენ ძალიან ახლოს აღმოვჩნდით
ჭრთმანეთის პირისპირ.

— ეს საქმე ყოველმხრივ ავწონ-დავწონე, — მითხრა მან, — თუ არ მოგ-
წონს ჩემი პირობა, თუ არ გინდა კონტროლს დაქვემდებარებული სოლიდური
განათლება მიიღო და აქ გსურს მუშაობა... მაშინ, ასე ვთქვათ, თვეში ორასი
მარკა საკმარისი იქნება.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ორასორმოცდაათის ან სამასის შემოთავა-
ზებას აპირებდა, მაგრამ სულ ბოლო წამში ორასი თქვა. ეტყობა, ჩემმა
გამომეტყველებამ შეაშინა, რადგან ისე სწრაფად დაიწყო ლაპარაკი, მის
დარბაისლურ გარეგნობას სულ რომ არ შეეფერებოდა.

— გენეპოლში ამბობს, პანტომიმის საფუძველი ასკეტიზმიაო.

ხმა არც ამჯერად ამომიღია. მამას კლასიკის თოჯინასავით „ცარიელი
თვალებით“ ვუცქეროდი. გულიც კი არ მომდიოდა, იმდენად გაოცებული
ვიყავი, რომ „ცარიელი თვალები“, რის მიღწევაც ვარჯიშის დროს ძალიან
მიჭირდა, ახლა ჩემს ბუნებრივ გამომეტყველებად მექცა. მამა ნერვიულობდა,
ზედა ტუჩი ოფლმა დაუნამა. პირველ წუთებში არც გაბრაზებას ვგრძნობდი
და არც სიძულვილს. „ცარიელი თვალები“ ნელ-ნელა თანაგრძნობით ამევსო.

— ძვირფასო მამი, — დავიწყე წყნარად, — ორასი მარკა სულაც არ
არის ისე ცოტა, როგორც შენ გგონია, საკმაოდ მოზრდილი თანხაა, ამაზე არ
მინდა გედავო, მაგრამ იცი კი, რომ ასკეტიზმი საკმაოდ ძვირად ღირებული
სიამოვნებაა, ყოველ შემთხვევაში, ასკეტიზმის ის სახე, გენეპოლმს რომ აქვს
მხედველობაში. ასეთი ასკეტიზმის საფუძველი მკაცრი დიეტაა... საჭი-
როა ბევრი მჭლე ხორცი, ნაირ-ნაირი საღათები. ასკეტიზმის ყველაზე
იაფი ფორმა — შიმშილია, მაგრამ მშიერი კლოუნი... თუმცა მთვრალ კლო-
უნს ისევ მშიერი სჯობია.

უკან დავიხიე. არ მსიამოვნებდა მასთან ისე ახლოს დგომა, რომ მეცქირა
როგორ უმსხვილდებოდა ტუჩებზე ოფლის წვეთები.

— მისმინე, — ვუთხარი მე, — ფულზე ნულარ ვილაპარაკებთ, ვილაპარა-
კოთ სხვა რამეზე, როგორც ჯენტლმენებს შეშვენით.

— მე მართლა მსურს დაგეხმარო, — მითხრა სასოწარკვეთილი ხმით, —
სიამოვნებით მოგცემ სამას მარკას.

— ფულზე სიტყვის გაგონება აღარ მინდა, მირჩევნია ის გითხრა, რის
აღმოჩენამ გამაკვირვა ყველაზე მეტად ბავშვობაში.

— მაინც? — მკითხა მან და ისე შემომხედა, თითქოს სასიკვდილო გა-
ნაჩენს ელოდა. დარწმუნებული იყო, სიტყვას ჩამოვაგდებდი მის საყვარელზე,
რომელსაც გოდესბერგში ვილა აუშენა.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, — ვუთხარი მე, — შეიძლება გაგიკვირდეს,
მაგრამ ბავშვობაში ყველაზე მეტად ის გვაკვირვებდა, რომ სახლში სახეთქი
არასოდეს არ გვყოფნიდა.

სიტყვა „სახეთქის“ გაგონებაზე შეკრთა, ნერწყვი გადაჟაბა, ხრინწიანად გაიციხა და მითხრა:

— ალბათ იმის თქმა გინდა, რომ საჭმელი არ გქონდათ საძლომად.

— ზუსტად, — ვუპასუხე მშვიდად, — საჭმელი არასოდეს არ გვქონდა საძლომად, ყოველ შემთხვევაში, სახლში არასოდეს. დღემდე ვიწვევდი, რა იყო ამის მიზეზი — პრინციპი თუ სიძუნწე. მირჩევნია დავიჯერო, რომ სიძუნწე. ნეტავ თუ იცი, რას გრძნობს ბავშვი, რომელმაც ნახევარი დღე ველოსიპედით ინავარდა, ფეხბურთი ითამაშა და რაინში იცურავა?

— ალბათ მგლის მადა ეღვიძება, — მითხრა მან.

— არა, — ვუპასუხე მე, — მშიერია. დასწყევლოს ეშმაკმა, ბავშვობიდანვე ვიცოდით, რომ მდიდრები ვართ, ძალიან მდიდრები, მაგრამ ამ სიმდიდრიდან ჩვენ არაფერი გვხდომია წილად, რიგიანად ვერც კი ვჭამდით.

— გაკლდათ რამე?

— დიახ, — ვუპასუხე მე. — ხომ გითხარი საჭმელი-მეთქი. გარდა ამისა ჯიბის ფული. იცი, რა მენატრებოდა ბავშვობაში?

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა შეშინებულმა, — რა?

— კარტოფილი, — ვუპასუხე მე, — მაგრამ დედა მაშინ გახდომის მანიამ შეიპყრო, — ხომ იცი, მუდამ უსწრებდა დროს, — ჩვენს სახლში ყოველთვის ფუთფუთებდნენ უგუნური ყბედები, თითოეულს განსხვავებული კვების თეორია ჰქონდა და, სამწუხაროდ, ამ თეორიებში კარტოფილი არავითარ დადებით როლს არ თამაშობდა. როცა შინ არ იყავით, მოახლეები სამზარეულოში კარტოფილს იხარშავდნენ, კანიანად ხარშავდნენ და შემდეგ კარაქით, მარილითა და ხახვით კაზმავდნენ. ზოგჯერ ჩვენც გვალვიძებდნენ, უფლებას გვაძლევდნენ პიჯამოებში ჩავსულიყავით დაბლა და მუცელი კარტოფილით ამოგვეყორა. ასეთი გამასპინძლებისათვის ერთი პირობა უნდა დაგვეცვა: კრინტი არ უნდა დაგვეძრა არავისთან. პარასკეობით ვინეკენებთან დავდიოდით. მათ ყოველთვის ჰქონდათ კარტოფილის სალათი და ფრაუ ვინეკენი საგანგებოდ გვივსებდა თეფშებს. გარდა ამისა, ჩვენს ოჯახში ყოველთვის ცოტა პური გამოჰქონდათ სუფრაზე, მხედველობაში მაქვს ჩვენი პურის კალათი, ო, ის დაწყევლილი ჭვავის კვერები, პირში რომ ხრაშინაოში გაჰქონდა, ანდა თითქოსდა „ჯანმრთელობისათვის სასარგებლო“ ნახევრად გამხმარი პურის ნაჭრები... ვინეკენებს კი ყოველთვის ჰქონდათ ახალი პური, ედგარს თვითონ მოჰქონდა საფუნთუშედან. ფრაუ ვინეკენი მარცხენა ხელით მთელ პურს გვერდზე მიიღებდა, მარჯვენათი კი დიდ, გაფუმფულებულ ნაჭრებს გვიჭრიდა. ჩვენ მათ ვიტაცებდით და ზემოდან ვაშლის ფაფას ვუსვამდით.

დაღლილი მამა თავს მიქნევდა. სიგარეტები გავუწოდე, ერთი ცალი აიღო და მე ცეცხლი მოვუკიდე. მეცოდებოდა. მამისათვის ალბათ ძნელია პირველად ესაუბროს გულახდილად შვილს, რომელიც ოცდარვა წელსაა მიტანებული.

— და კიდევ ათასი სხვა რამ გვაკლდა, — განვაგრძე მე, — მაგალითად, ძირტებილა ან საპაერო ბუშტები. დედას საპაერო ბუშტების ყიდვა მფლანგველობად მიაჩნდა. სწორია, მართლაც ნამდვილი მფლანგველობაა, მაგრამ მთელი თქვენი ჭუჭყიანი მილიონების საპაერო ბუშტებივით ცაში გასაფრენად ჩვენი მფლანგველობისადმი ღტოლვა არ იკმარებდა. ან თუნდაც იაფფასიანი საწუწნი კანფეტები, ამაზე დედას ყოველად შემზარავი გონივრული თეორიები

ჰქონდა, რომელთა მიხედვითაც ეს კანფეტები შხამია, ნამდვილი შხამი. მაგრამ შხამიანის ნაცვლად არც უკეთეს კანფეტებს გვირიგებდა და საერთოდ არანაირს არ ყიდულობდა. ინტერნატში ყველას უკვირდა, — განსაკუთრებით წყნარად, — ერთადერთი მოწაფე მე ვიყავი, ვინც არაფერს იწუნებდა და რასაც მაძლევდნენ, ყველაფერს ვნთქავდი, თანაც გემრიელი მეჭველებოდა.

— ხომ ხედავ, — მითხრა მამამ გულგრილად, — თავისი კარგი მხარე თურმე ამასაც ჰქონია. — მისი სიტყვები არც დამაჯერებლად ჟღერდა და არც ხალისიანად.

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მე, — ჩემთვის სავსებით გასაგებია ამგვარი აღზრდის თეორიულ-პედაგოგიური მნიშვნელობა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ თეორია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ქიმია იყო და მომაცდინებელი უხამსობა. მე ვიცოდი, როდის დებულობდნენ ფულს ვინეკენები — პარასკეობით, შნივინდებს და ჰოლერათებს ყოველი თვის პირველსა და თხუთმეტ რიცხვებში უჩნდებოდათ ფული, — ოჯახის ყოველ წევრს რაღაც განსაკუთრებით გემრიელი ერგებოდა ხოლმე, ძეხვის დიდი ნაჭერი ან ნამცხვარი. ფრაუ ვინეკენი პარასკევ დილას ყოველთვის პარიკმახერთან მიდიოდა, რადგან საღამოს... შენ ალბათ იტყვოდი, ვენერას მსხვერპლს სწირავდნენ.

— რა თქვი? — წამოიძახა მან, — შენ იმას ხომ არ გულისხმობ...

— დიახ, — ვუპასუხე მე, — სწორედ იმას ვგულისხმობ...

პარასკეობით ნაშუადღევს ბავშვებს კინოში უშვებდნენ, მანამდე იმის უფლებასაც კი აძლევდნენ, ნაყინი ეჭამათ. ასე რომ, სულ ცოტა სამ-ნახევარი საათი არ იყვნენ შინ. ამ დროისათვის ედგარის დედა საპარიკმახეროდან ბრუნდებოდა, მამა კი სამუშაოდან და ჯიბეშიც ხელფასიანი კონვერტი ედო. ხომ იცი, მუშებს მაინცდამაინც ფართო ბინები არა აქვთ.

— მაშ, — თქვა მამაჩემმა, — თქვენ იცოდით, რატომ გზავნიდნენ ბავშვებს კინოში?

— ზუსტად, ცხადია, არ ვიცოდი, — ვუპასუხე მე, — ბევრ რამეს მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, მაშინ, როცა ამ ამბებზე დავიწყე ფიქრი, მაგრამ კიდევ უფრო მოგვიანებით მივხვდი, რატომ წითლდებოდა გულისამაჩუყებლად ფრაუ ვინეკენი, როცა კინოდან ვბრუნდებოდით და კარტოფილის სალათს შევექცეოდით. შემდეგ კი, როცა მისი ქმარი სპორტული მოედნის დარაჯი გახდა, ყველაფერი შეიცვალა, უფრო ხშირად იყო სახლში. ბავშვები მხოლოდ იმას ვამჩნევდით, რომ იმ დღეს ქალი როგორღაც უხერხულად გრძნობდა თავს და მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი. — რატომ. პატარა ბინა ჰქონდათ, — ერთი დიდი ოთახი და სამზარეულო, — თან სამი ბავშვი ჰყავდათ, ჰოდა ცოლ-ქმარსაც სხვათ გზა არ ჰქონდა.

მამაჩემი ისეთი თავზარდაცემული იყო, რომ შემეშინდა, ყოველივე ამის შემდეგ ფულზე ლაპარაკი უადგილოდ არ მიეჩნია. ჩვენს შეხვედრას იგი ტრაგიკულად აღიქვამდა, მაგრამ ცოტათი უკვე ტკბებოდა ამ ტრაგიზმითაც და თავისი კეთილშობილური ტანჯვითაც. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს მოსწონდა და ამიტომ გაჭირდებოდა მისი შემობრუნება სამასი მარკისაკენ, რის ყოველთვიურად მოცემასაც დამპირდა. ფულზე ლაპარაკი ისევე საჩოთიროა, როგორც „ხორციელ ჟინზე“. ფულზე არავინ არ ლაპარაკობს ისე, როგორც საჭიროა, არავინ არ ფიქრობს ისე, როგორც საჭიროა, ფულს — როგორც მარიმ თქვა მღვდლების ხორციელ ჟინზე — ან „სუბლიმიზებული“ აღიქვამენ ან

ვულგარულად და არასოდეს არ ესმით, რომ ამა თუ იმ წუთში ის არის: საჭმელი, ტაქსი, ერთი კოლოფი სიგარეტი თუ აბაზანისანი ოთახი.

აშკარად ჩანდა, რომ მამაჩემი იტანჯებოდა და ეს შემძრწუნებლად მოქმედებდა ჩემზე. ფანჯრისაკენ შებრუნებულმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ორიოდ ცრემლი შეიმშრალა. ატირებული მამა აქამდე არასოდეს შენახვ, არც ის მინახავს, ცხვირსახოცი დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა როდესმე. ორ სუფთა ცხვირსახოცს ყოველ დილით მიაართმევდნენ, ხოლო საღამოს ოდნავ დაქმუჭნულსა და თითქმის გაუქუქიანებელს სააბაზანოში დადგმულ სარეცხის კალათში ყრიდა. იყო დრო, როცა სარეცხი ფხვნილების შოვნა ჭირდა და ხელმომჭირნე დედაჩემი დიდხანს ეღავებოდა, ნუთუ არ შეგიძლია ცხვირსახოცები ორ-სამ დღეს მაინც ატაროო თან.

— შენ ხომ მათ არ სვრი, უბრალოდ ჯიბეში გიდევს. ნუ ივიწყებ მოვალეობას ერის წინაშე. — დედას მხედველობაში ჰქონდა ორი მოწოდება: „გამოვუცხადოთ ბრძოლა ყოველგვარ უყაირათობას“ და „წყალში ნუ გადაყრი ნურც ერთ პფენიგს“. მაგრამ მამამ — რამდენადაც მახსოვს ერთადერთხელ გამოიჩინა ცხოვრებაში სიმტკიცე და თავისი გაიტანა. ყოველ დილით ორ გაქათ-ქათებულ ცხვირსახოცს მიაართმევდნენ.

მის სახეზე არც მტვერი მინახავს არასოდეს, არც რისიმე წვეთი და არც არაფერი ისეთი, ცხვირსახოცით რომ უნდა მოიწმინდო ახლა კი ფანჯარასთან იდგა და მარტო ცრემლს კი არა, ისეთ ვულგარულ რაღაცასაც იწმენდდა, როგორც არის ზედა ტუჩზე გამოსული ოფლი. მე სამზარეულოში გავედი, რადგან მამა ისევ ტიროდა, ზღუქუნიც კი გავიგონე. ამქვეყნად ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისი თანდასწრებითაც ტირილის არ მოგერიდება და მე გავიფიქრე, საკუთარი ვაჟიშვილი, რომელსაც რიგაინად არც კი იცნობ, ამ დროს ყველაზე შეუფერებელი მოწმეა. პირადად მე მხოლოდ ერთ ადამიანს ვიცნობდი, ვისი თანდასწრებითაც შემეძლო მეტირა — ეს იყო მარი. სამაგიეროდ წარმოდგენა არ მქონდა, იყო თუ არა მამაჩემის საყვარელი იმ ყაიდისა, ვისი თანდასწრებითაც მამას ტირილი შეეძლო. ის ქალი მხოლოდ ერთხელ ვნახე — ლამაზი, მომხიბვლელი და სასიამოვნოდ სულელი აღმოჩნდა, თუმცა მასზე მანამდეც ბევრი რამ გამეგონა. ნათესავები ამბობდნენ „ფულს დახარბებული“ ქალიაო, მაგრამ ჩვენს ნათესავებს „ფულს დახარბებულ“ ადამიანებად მიაჩნდათ ყველა, ვინც უტიფრობას გამოიჩენდა და შეგახსენებდა, რომ ადამიანი დროდადრო ჭამა, სმა და ფეხსაცმლის ყიდვა სჭირდება. ხოლო ისეთ ადამიანს, ვინც განაცხადებს სიგარეტები, ცხელი აბაზანა, ყვავილები და არაყი ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რამ არისო, გიჟად გამოაცხადებენ და შნირების ოჯახის ქრონიკაში „მფლანგველი მანიაკის“ სახელს დაიმკვიდრებს. მშვენივრად წარმომიდგენია, საყვარლის ყოლა რომ ძვირადღირებული სიამოვნებაა — უნდა იყიდოს წინდები, კაბები, გადაიხადოს ბინის ჭირა და მუდამ კარგ ხასიათზეც იყოს, რაც მამაჩემის თქმით მხოლოდ „სრულიად გაწონასწორებული ფინანსიური მდგომარეობის დროს“ ხერხდება. როცა მამა სამეთვალყურეო საბჭოს მომაცვდინებლად მოსაწყენი სხდომების შემდეგ მასთან მიდიოდა, ქალი ხალისიანი, პარიკმახერთან თმადავარცხნილი და სურნელოვანი უნდა დახვედროდა. არა მგონია, ის ქალი ანგარებიანი იყოს, უბრალოდ საყვარლის შენახვა ძვირი უჯდება მამაჩემს, მაგრამ ჩვენი ნათესავებისათვის იგი მაინც „ფულს დახარბებული ქალია“. ერთხელ მებაღე ჰენ-

კელსმა, რომელიც ზოგჯერ მოხუც მეეტლეს ეხმარებოდა, ძალზე მოკრძალებით, განაცხადა, დამხმარე მუშების ხელფასი „აგერ უკვე სამი წელია“ გაიზარდაო, თქვენ კი ისევ ძველებურად ცოტას მიხდითო. დედაჩემმა წიკვინ-წიკვინით წაიკითხა სამსაათიანი მოხსენება „ზოგიერთი ადამიანის სიხარბეზე“. ისიც მახსოვს, დედამ ფოსტალიონს საახალწლო მოსალოცი ბარათების მოტანისათვის ჯილდოდ ოცდახუთი პფენიგი მისცა, ხოლო მეორე დღეს ის ფული საფოსტო ყუთში იპოვა. ფოსტალიონს კონვერტში ფულთან ერთად ბარათიც ჩაედო, სადაც სწერდა: „მოწყალეო ქალბატონო, თავს ნებას ვერ მივცემ გაგძარცვოთ“. დედაჩემი საშინლად აღშფოთდა. იგი, რა თქმა უნდა, იცნობდა გავშირგაბმულობის სამინისტროს რომელიღაც მდივანს და სწორედ მასთან უჩივლა ამ „ანგარებიანსა და უტიფარ კაცს“.

სამზარეულოში გასულმა ყავის შავ გუბეს სწრაფად შემოვუარე, დერეფანი გავიარე და სააბაზანოში შევედი. როცა აბაზანას საცობს ვაძრობდი, უეცრად გამახსენდა, მრავალი წლის მანძილზე პირველად ვინებივრე აბაზანაში ისე, რომ ლაურეტანული ლიტანიაც კი არ მიმღერია. აბაზანა წყლისაგან იცლებოდა. სანამ შხაპით აბაზანის კედლებზე დარჩენილ ქაფს ვრეცხდი, ლიტანიით *Tantum Ergo* წამოვიწყე, შემდეგ ვცადე ქალწულ მარიამზე ლიტანიაც მემღერა. ყოველთვის მიუყვარდა ეს ებრაელი ქალიშვილი მარიამი და ზოგჯერ მწამდა კიდევ მისი. მაგრამ შვება ვერც ლაურეტანულმა ლიტანიამ მომგვარა. ალბათ იმიტომ, რომ მეტიხმეტად კათოლიკური იყო, მე კი გაბრაზებული ვიყავი კათოლიციზმზეც და კათოლიკეებზეც. გადავწყვიტე ჰაინრიხ ბელენისა და კარლ ემონდისათვის დამერეკა. კარლ ემონდს არ დავლაპარაკებოვარ იმ საშინელი ჩხუბის შემდეგ, ორი წლის წინათ რომ მოგვივიდა, მიწერმოწერა კი ერთმანეთთან არასოდეს გვქონია. რაღაც სულელური მიზეზის გამო იგი საშინლად მომეჩქა. კარლი და საბინე კინოში წავიდნენ, მარი თავის „წრის“ სხდომაზე იყო, ცოლ-ქმარმა თავიანთი უმცროსი ვაჟის, ერთი წლის გრეგორის მოვლა მე მომანდეს და რძეში უმი კვერცხი ჩავუხალე. საბინემ დამიბარა, ათ საათზე რძე გაათბე, ბოთლში ჩაასხი და გრეგორს მიეცით, მაგრამ მე ბავშვი ძალიან ფერმკრთალი და დაუძლურებული მომეჩვენა (ტირილის თავიც კი არ ჰქონდა, საცოდავად ღნაოდა), ამიტომ ვიფიქრე, რძეში ჩახლილი უმი კვერცხი არგებს-მეთქი. სანამ რძე შეთბებოდა ხელში ავიყვანე, სამზარეულოში აქეთ-იქით ვატარებდი და თან ველაპარაკებოდი:

— აბა, მიხვდი, რას მიირთმევს ახლა ჩვენი ბიჭუნა, იცი რას, კვერცხს — და ასე შემდეგ. მერე კვერცხი გავტეხე, მიქსერში ავთქვიფე და რძეში გავურიე. კარლის უფროს შვილებს მაგრად ეძინათ, ბავშვთან ერთად სამზარეულოში მშვიდად ვგრძნობდი თავს. გრეგორს რძიანი ბოთლი მივაწოდე. ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, რომ კვერცხიანი რძე ბავშვმა კარგად შეირგო. მან გამიღიმა და ისე დაიძინა იმწამსვე, აღარ უღნავლია. როცა კინოდან დაბრუნებულმა კარლმა სამზარეულოში კვერცხის ნაჭუჭები აღმოაჩინა, საერთო ოთახში გამოვიდა, სადაც საბინესთან ერთად ვიჯექი და მითხრა:

— გონივრულად მოქცეულხარ, შენთვის რომ კვერცხი მოგიხარშავს.

მე ვუთხარი, კვერცხი ჩემთვის კი არ მოვხარშე, გრეგორს ვაჭამე-მეთქი იმ წამსვე ატყდა ჯოჯოხეთური ვაი-უშველებელი და ლანძღვა-გინება. საბინეს ნამდვილი ისტერია დაემართა და „მკვლელს“ მეძახდა, კარლი მიყვიროდა „შე

მაწანწალა, შე კახების კურო“. ამ სიტყვებმა ისე გამაცოფეს, რომ კარლს ვუყვირე: „შე დაკრუნჩხულო მასწავლებლო“-მეთქი, შემდეგ პალტოს ხელი დავტაცე და მათი ბინიდან განრისხებული გამოვევარდი. კარლმა ესეც არ მაკმარა და კიბეზე ჩამომძახა:

— უბასუხისმგებლო ვიგინდარავ!

მე კი ქვემოდან ავძახე:

— ისტერიით შეპყრობილო ფილისტერო, ტვინგახევებულო ბატო!

ბავშვები მართლა მთელი სულითა და გულით მიყვარს, ისიც ვიცი, როგორ უნდა მოვეპყრა, განსაკუთრებით ჩვილებს. ვერაფრით ვერ წარმომედგინა, რომ ერთი წლის ბავშვს კვერცხი აწყენდა, მაგრამ კარლმა უფრო შეურაცხყო, ვიდრე საბინეს „მკვლელმა“. საბინეს აღშფოთება გასაგები იყო, რას არ აპატიებ და რას არ მოუთმენ აღელვებულ დედას, მაგრამ კარლმა კარგად იცის, რომ „კახების კურო“ არა ვარ. საერთოდ ჩვენი ურთიერთობა თავიდანვე როგორღაც იდიოტურად დაიძაბა. გულის სიღრმეში მას ჩემი თავისუფალი ცხოვრება „დიდებული“ ეჩვენებოდა, მე კი გულის სიღრმეში მისი ფილისტერული ცხოვრება მიზიდავდა. ვერაფრით ვერ გავაგებინე რა აწონ-დაწონილი ცხოვრება მქონდა, ხოლო ქალაქიდან ქალაქში მატარებლით მოგზაურობა, სასტუმროები, ვარჯიში, სცენაზე გამოსვლა, რიჩ-რაჩის თამაში და ლუდის სმა მომაცვდინებლად მოსაწყენი იყო... და რომ მე მიზიდავდა ისეთი ცხოვრება, როგორითაც იგი ცხოვრობდა, სწორედ ფილისტერული არსის გამო. იგი კი, რა თქმა უნდა, სხვებივით ფიქრობდა, რომ ჩვენ განზრახ არ ვაჩენდით შვილებს და მარის მუცლის მოშლა მუდამ „საეჭვოდ“ მიაჩნდა. ნეტავ სცოდნოდა, რა სიამოვნებით ვიყოლიებდით ბავშვებს.

მიუხედავად ამისა, მაინც გავუგზავნე დეპეშა დაერეკა ჩემთვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ ფულს დავსესხებოდი. ახლა მათ უკვე ოთხი შვილი ჰყავდათ და ფული არ ჰყოფნიდათ.

აბაზანა კიდევ ერთხელ გავრეცხე, შემდეგ აუჩქარებლად გავედი დერეფანში და კარლია საერთო ოთახში შევიხედე. მამაჩემი ისევ მაგიდისაკენ იყო პირშექცეული, მაგრამ აღარ ტიროდა. გაწითლებული ცხვირი და სველი, დანაოჭებული ლოყები უცხო ბერიკაცის იერს აძლევდა — სიცივისაგან აკანკალებული, საოცრად დაცარიელებული, თითქმის ბრიყვი ბერიკაცის იერს. კონიაკი დავუსხი და ჭიქა მივაწოდე. გამომართვა და დალია. საოცრად ბრიყვული გამომეტყველება მაინც არ ჩამოსცილდა მის სახეს, რაღაც შტერული იყო იმაშიც, ჭიქა როგორ დაცალა და მომაწოდა მუდარით საგსე თვალებით, რაც აქამდე არასოდეს შემიმჩნევია. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კრიმინალური რომანების, გარკვეული მარკის ღვინისა და სულელური ანეკდოტების მეტი მართლაც არაფერი აღარ აინტერესებდა ამქვეყნად. სველი და დაჭმუჭნული ცხვირსახოცი მაგიდაზე უბრალოდ დააგდო და სტილის ეს გასაოცარი დარღვევა ისე აღვიქვი, როგორც გაუგონარი ბავშვის სიჩუტე, ათასჯერ რომ ეუბნებიან ცხვირსახოცის მაგიდაზე დადება არ შეიძლებაო და მაინც დებს. კიდევ დავუსხი ცოტა კონიაკი. მან დალია და ხელი ისეთნაირად გაიქნია, ამ მოძრაობას მხოლოდ ასე თუ ავხსნიდი: „გეთაყვა, პალტო მომაწოდე“. მაგრამ მე თითქოს ვერაფერი დავინახე. რაღაც უნდა მეღონა, რომ მას კვლავ ჩამოეგდო ფულზე სიტყვა. ჯიბიდან მარკა ამოვიღე და მონეტით ჟონგლიორობა დავიწყე. ჯერ ზევით აშვერილ მარჯვენა მკლავზე ჩამოვიგორე,

შემდეგ იმავე გზით უკანვე დაეაბრუნე. ამგვარმა ჩამბაზობამ ხასიათზე ვერ მოიყვანა, გაწამებული სახე ჰქონდა. შემდეგ მონეტა თითქმის ჭერამდე ავისროლე და ისევ დავიჭირე. მან განმეორებით მანიშნა: „გეთაყვა, მომწოდე პალტო“. მარცა კიდევ ერთხელ ავაგდე ზევით, მარჯვენა ფეხის ცერით დავიჭირე, მაღლა ავწიე, თითქმის ცხვირთან მივუტანე, რის გამოც ზღაპრულად ხელი ჩაიქნია და ბუზლუნით მითხრა: „მოეშვი ამას!“

მხრები ავიჩეჩე, წინკარში გავედი და საკიდიდან პალტო და ქუდი ჩამოვხსენი. იგი უკვე ჩემს გვერდით იდგა. ჯერ პალტოს ჩაცმაში დავეხმარე, შემდეგ ქუდიდან ამოვარდნილ, იატაკზე დაცვენილ ხელთათმანებს დავავლე ხელი და მივაწოდე. ცხვირი და ტუჩები ისე საცოდავად მოვლრიცა, რომ ატირებას აღარაფერი აკლდა.

— ნუთუ კარგს არაფერს მეტყვი? — წამჩურჩულა მან.

— როგორ არა, — ეუთხარი ჩუმად, — ძალიან კარგი იყო, მხარზე რომ ხელი დამადე, როცა ის იდიოტები მასამართლებდნენ, ხოლო გახსაკუთრებით კარგი ის იყო, ფრაუ ვინეკენი რომ იხსენი, როცა ჭკუანაღრძობი მაიორი დახვრეტას უპირებდა.

— აჰ, მე თითქმის დამავიწყდა ეს ამბები, — თქვა მან.

— ძალიან კარგია, რომ დაგავიწყდა, მე კი არაფერი დამვიწყნია, — ეუთხარი მე.

მან შემომხედა და უხმოდ შემევედრა, ჰენრიეტეს სახელი არ ახსენოლ და არც მიხსენებია, თუმცა განზრახული მქონდა მეკითხა, რატომ არ მოიქცა მაშინ კარგად, და რატომ არ აუკრძალა ჰენრიეტეს სკოლიდან სამხედრო ნაწილში ექსკურსიაზე წასვლა. თავი დავუქნიე მხოლოდ და იგი მიხვდა, რომ ჰენრიეტეზე არაფერს ვიტყოდი. რაღა თქმა უნდა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე იჯდა და მოწყენილობისაგან ქალაქში კაცუნებს ჯდაბნიდა, ზოგჯერ ალბათ ასო „ჰ“-ც გამოჰყავდა. ერთხელ, მეორედ, ხანდახან ალბათ სრული სახელიც: „ჰენრიეტე“. იგი არ იყო დამნაშავე, რაღაცნაირი უგუნური კაცი იყო, რასაც ტრაგიზმთან არაფერი საერთო არ აქვს, ანდა პირიქით, ტრაგიზმის წინაპირობას ქმნის. არ ვიცი, რა როგორაა. მამაჩემი ზრდილი, დახვეწილი, თმაშვერცხლილი კაცია და უაღრესად კეთილი გამომეტყველება აქვს, მაგრამ როცა მარისტან ერთად კიოლნში ვცხოვრობდი, ჩემთვის ერთი გროშიც კი არ გამოუგზავნია. რა მატებდა მამაჩემს, ამ ხათრიან ბერიკაცს ამდენ ძალასა და სიმტკიცეს? რატომ ლაპარაკობდა ტელევიზორის ეკრანიდან საზოგადოებრივ ვალდებულებაზე, მამულიშვილობაზე, გერმანიაზე და ქრისტიანობაზეც კი, რაც მისი პირადი აღიარებით, ოდნავადაც არ სწამდა, თანაც ლაპარაკობდა ისე, რომ არ შეიძლებოდა არ დაგეჟერებინა? ყოველივე ამას საფუძვლად ედო ფული, მაგრამ არა კონკრეტული ფული, რითაც რძეს ყიდულობ, ტაქსის ქირაობ, საყვარელს ინახავ ან კინოში დადიხარ, არამედ აბსტრაქტული ფული. მე მისი მეშინოდა, მას კი ჩემი, რადგან ორივემ ვიცოდით, რომ რეალისტები არ ვიყავით, ორივეს გვეზიზღებოდა ისინი, ვინც „რეალურ პოლიტიკაზე“ ლაყობენ. ამ ამბავს გაცილებით უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა, ის ბრიყვები ამას ვერასდროს ვერ მიხვდებოდნენ. მამაჩემის თვალეში ცხადად ამოვიკითხე: ფულს ვერ მისცემდა კლოუნს, ვისთვისაც ფული იმიტომ არსებობს, რომ დახარჯოს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ფულის დანიშნულს.

ლებას. წინასწარ ვიცოდი, ერთი მილიონიც რომ მოეცა, იმასაც დავხარჯავდი, მისთვის კი ფულის ყოველგვარი ხარჯვა მფლანგველობა იყო.

სანამ სამხარეულოში და სააბაზანოში ვიცდიდი, — მინდოდა მამაჩემს მარტო გამოეტერა გამოსატირებელი — იმედი მქონდა, ამგვარი შემძრწუნების შემდეგ საკმაოდ დიდ თანხას გაიმეტებდა ყოველგვარი სტრუქტურული პირობის გარეშე, მაგრამ ახლა მის თვალეში ცხადად ამოვიკითხე, რომ ასე ვერ მოიქცეოდა. რეალისტი არც ის იყო და არც მე და ორივემ ვიცოდით, რომ სხვები მთელი თავისი უხამსობით მხოლოდ რეალისტები იყვნენ, ბრიყვ თოჯინებივით ათასჯერ იკიდებდნენ საყულოზე ხელს და მაინც ვერ ამჩნევდნენ ძაფს, რომელზედაც ფართხალებდნენ.

საბოლოოდ რომ დამემშვიდებინა, — ფულზე და ჰენრიეთზე ლაპარაკს არ ჩამოვაგდებ-მეთქი — კიდევ ერთხელ დავუქნიე თავი, მაგრამ პირადად მე ჰენრიეთზე სულ სხვა რამ გავიფიქრე, რაც უმართებულო მომეჩვენა. წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა ახლა იგი: ოცდაცამეტი წლის ქალი, ალბათ, რომელიღაც მრეწველის ნაცოლარი იქნებოდა უკვე, ვერ წარმომედგინა, რომ ჰენრიეთე ჩაბმულიყო იაფფასიან ფერხულში, გაება ფლირტი, გაემართა წვეულებები, „ჩაბლაუჭებოდა ქრისტიანობას“, უსაქმოდ მჯდარიყო კომიტეტებში და ზედმეტი გულთბილობა გამოეჩინა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიმართ, რათა არ გამძაფრებულიყო მათი კომპლექსები. ჰენრიეთე წარმომედგინა მხოლოდ შეუპოვარ ქალად, რომელიც რაღაც ისეთს ჩაიდენდა, რასაც ფანტაზიას მოკლებული რეალისტები სწობიზმად მიიჩნევდნენ. მას შეეძლო რომელიმე საზოგადოების პრეზიდენტისათვის ბოლო დროს რომ ასე მომრავლდნენ, კოქტეილი ჩაესხა საყულოში, ანდა კბილებდაკრეჭილი ზეთვალთმაქცის მერსედესისათვის მანქანა დაეჯახებინა. სხვა რა უნდა ეკეთებინა, პეიზაჟების ხატვას ან კერამიკის საკარაჭეების გაკეთებას თუ არ ასწავლიდნენ. ალბათ იმასვე იგრძნობდა, რასაც მე ვგრძნობ ყველგან, სადაც ცხოვრება ჩქეფს — უხილავ კედელს, რომლის მიღმა ფული იმისთვის კი არ არსებობს, რომ ხარჯო, არამედ სხვა დანიშნულება აქვს: ხელი არ უნდა ახლო და ციფრების სახით სკივრებში შეინახო.

მამაჩემს გზა დავუთმე. სახეზე ისევ დაასხა ოფლმა და შემეცოდა. სწრაფად შევვარდი საერთო ოთახში, მაგიდაზე დადებულ ჭუჭყიან ცხვირსახოცს ხელი დავავლე და პალტოს ჯიბეში ჩავუდე. დედაჩემი ყოველთვის თეთრეულს რომ გადათვლიდა, თუ თვალში რამე დააკლდებოდა, ერთ ამბავს ასტეხდა-ხოლმე, მოახლეებს ჭურდობას ან დაუდევრობას აბრალებდა.

— ტაქსი ხომ არ გამოგიძახო? — ვკითხე მამას.

— არა, მიპასუხა მან, — ცოტას ფეხით გავივლი, ფურმანი სადგურის მახლობლად შელოდება.

მან გვერდი ამიარა. კარი გავუღე, ლიფტამდე მივაცილე და ღილაკს ხელი დავაჭირე. ჯიბიდან კიდევ ერთხელ ამოვიღე მარკა, გაშლილ მარცხენა ხელისგულზე დავიდე და დავხედე: მამაჩემმა ზიზლით გაიხედა გვერდზე და თავი გააქნია. მეგონა, საფულეს ამოიღებდა და ორმოცდაათ ან ას მარკას მაინც დამიტოვებდა, მაგრამ ტკივილმა, კეთილშობილებამ და ტრაგიკული სიტუაციის შეგნებამ იგი სუბლიმაციის იმ დონემდე აიყვანა, სადაც ფულზე გაფიქრებაც კი ამაზრზენად მიაჩნდა, ხოლო ჩემი ცდები კვლავ შემეხსენებინა ფუ-

ლი — მკრეხელობად. როცა ლიფტის კარი გავუღე, გადამეხვია, შემდეგ აქ-
შუტუნდა, ჩაიხითხითა და მითხრა:

— ნამდვილად ყავის სუნი გდის, დასანანია, სიამოვნებით მოგიხარშავდი
საუცხოო ყავას — ეს მართლა ვიცი.

ხელი გამიშვა, ლიფტში შევიდა და სანამ ლიფტი დაიძრებოდა, სწორედ
მაშინ, როცა ლილავს თითს აჭერდა, მის ეშმაკურ ღიმილს მოვკარი თვალი.
ლიფტი დაიძრა, მე კი ვიდექი და ციფრების ანთებასა და ჩაქრობას თვალს
ვადევნებდი. ოთხი, სამი, ორი, ერთი.. და ბოლოს შუქი გამოიერთო.

16

როცა ბინაში შევბრუნდი და კარი დავკეტე, მივხვდი, რომ სულელი ვარ,
რატომ არ მოვადულებინე ყავა და ცოტა ხანს კიდევ არ დავტოვე აქ. გადამ-
წყვეტ წამში, სწორედ მაშინ, როცა ყავას შემოიტანდა და წარმატებით გა-
ამაყებული დამისხამდა, ვეტყოდი „აბა, დაყაჭე ფულები“, ანდა „აბა, ამოა-
ლაგე ფული“. გადამწყვეტ წამში ყველაფერი პრიმიტიულად, ბარბაროსულად
ხდება. ამ დროს ამბობენ: „თქვენ გერგებათ ნახევარი პოლონეთი, ჩვენ —
ნახევარი რუმინეთი, სილუზიის ორ მესამედს ისურვებთ თუ ნახევარს? თქვენ
მიიღებთ ოთხ სამინისტრო სავარძელს, ჩვენ ჭაპანტრანსპორტის კონცერნს
დავეპატრონებით“.

სისულელე ჩავიდინე, რომ ჩემსა და მის განწყობილებას ავყევი და ჯი-
ბეზე ხელი არ გავაკვრევინე. თავიდანვე ფულზე უნდა დამეწყო ლაპარაკი,
უნდა მემსჯელა ამ მკვდარ, აბსტრაქტულ, ბორკილდადებულ ფულზე, მრავა-
ლი ადამიანისათვის სიკვდილს ან სიცოცხლეს რომ უდრის. „სულ ფული და
ფული“, აღმოხდებოდა ხოლმე შეძრწუნებულ დედაჩემს, როცა რვეული-
სათვის ოცდაათ პფენიგს ვთხოვდი. მარადიული ფული. მარადიული სიყვა-
რული.

სამზარეულოში შევედი, პური მოვიჭერი, კარაჭი წავუსვი, ისევ საერთო
ოთახში დავბრუნდი და ბელა ბროზენის ნომერი ავკრიფე. იმის იმედი მქონდა,
თავზარდაცემული და აკანკალებული მამაჩემი შინ კი არა, საყვარელთან წა-
ვიდოდა, ქალი მას უთუოდ საწოლში ჩააწვენდა, სათბურს ჩაუდებდა და თაფ-
ლიან ცხელ რძეს დააღვინებდა. დედაჩემს საზიზლარი ჩვეულება ჰქონდა.
როცა ვინმე შეუძლოდ იყო, მაშინვე ჭირთათმენაზე და ნებისყოფაზე მოჰყ-
ვებოდა ლაპარაკს, ამ ბოლო დროს კი „ერთადერთ სამკურნალო საშუალე-
ბად“ ცივი წყალი მიაჩნია.

— ბროზენი გისმენთ, — მითხრა მან და მესიამოვნა. ცხვირში არავითა-
რი სუნი რომ არ მეცა. საოცარი ხმა ჰქონდა — თბილი, სასიამოვნო ალტი.

— შნირი გახლავართ, პანსი, გახსოვართ?

— მახსოვხართ, — მითხრა მან გულთბილად. და ისე.. ისე თანაგიგრ-
ძნობთ...

ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, მერე გავიგე, როცა ლაპარაკი განაგ-
რძო.

— დამიჯერეთ, ყველა კრიტიკოსი ბრიყვი, პატივმოყვარე და ეგოისტია.
მე ამოვიოხრე.

— ამის დაჯერება რომ შემეძლოს, ცოტა უკეთ ვიგრძნობდი თავს.

— ჰოდა, დაიჯერეთ, დაიჯერეთ, მეტი არაფერი გინდათ. თქვენ ალბათ არ იცით, როგორ შეეღოს ადამიანს რკინისებური სურვილი, რომ რაღაც სჯეროდეს.

— ვთქვით და რომელიმე კრიტიკოსმა შემაქო, მაშინ რაღაც ვქნა?

— ო, — გაეცინა მას, ბგერა „ო“-ში მშვენიერი კეთილშინაობა ღელდა, — მაშინ უნდა დაიჯეროთ, რომ კრიტიკოსი ერთხელ შეგნებდა პატიოსნების გზას დაადგა და ეგოიზში დაივიწყა.

მე გამეცინა არ ვიცოდი, როგორ მიმემართა — ბელა დამეძახა თუ ქალბატონი ბროზენი. ჩვენ ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობდით და ჯერ არ არსებობს ცნობარი, რომელსაც გადაშლი და ამოიკითხავ, როგორ უნდა მიმართო მამის საყვარელს. ბოლოს „ფრაუ ბელაზე“ შევჩერდი, თუმცა ეს სასცენო სახელი მეტისმეტად სულელური მეჩვენებოდა.

— ფრაუ ბელა, — ვუთხარი მე, — შავ ღღეში ვარ. მამა იყო ჩემთან, ათას რაღაცაზე ვისაუბრეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე კვლავ ფულზე ჩამომეგდო სიტყვა, თუმცა...

ვიგრძენი, გაწითლდა. მე იგი ძალიან კეთილსინდისიერად მიმაჩნდა, მჯეროდა, რომ მამაჩემისადმი მისი დამოკიდებულება „ქეშმარიტ სიყვარულს“ ემყარებოდა და „ფულთან დაკავშირებულ საქმეებზე“ ლაპარაკი ეჩოთირებოდა.

— გთხოვთ მისმინოთ, — განვაგრძე მე, — დაივიწყეთ ყველაფერი, რამაც ახლა თავში გაგიელვათ, ნუ გრცხვენიათ, მე მხოლოდ იმას გთხოვთ, როცა მამა თქვენთან ჩემზე ჩამოაგდებს სიტყვას... იქნებ შეაგნებინოთ, რომ უსიკვდილოდ მჭირდება ფული, ნაღდი ფული და თანაც ახლავე. უსახსროდ დავრჩი. მისმენთ?

— დიახ, — მიპასუხა მან ისე ჩუმად, რომ შიშმა შემიპყრო. შემდეგ მომეჩვენა რაღაც სრუტუნის მაგვარი. — თქვენ, ცხადია, ცუდი ქალი გგონივართ, პანს, — მითხრა მან. — ახლა უკვე აშკარად ტიროდა, — სხეულით მოვაჭრე არსება. ჩვენს დროში ასეთები უამრავია. თქვენ უნდა მთვლიდეთ ასეთ ქალად, ო!

— როგორ გეკადრებათ, — ვუპასუხე ხმამაღლა, მე არასოდეს არ მიმაჩნდით ასეთ არსებად, მართლა არასოდეს.

მეშინოდა საკუთარ და მამაჩემის გრძნობებზე არ დაეწყო ლაპარაკი. ზღუტუნის მიხედვით თუ ვივარაუდებდით, იგი საკმაოდ სანტიმენტალური ჩანდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ მარიზე ჩამოაგდებდა სიტყვას.

— მართალს გეუბნებით, — განვაგრძე მე არც ისე მტკიცედ, რადგან საეჭვოდ მომეჩვენა ის ამბავი, სხეულით მოვაჭრე ქალები რომ ზიზღით მოიხსენია, — მართალს გეუბნებით, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი თქვენს კეთილგანწყობილებაში და გულში ცუდი არასოდეს არაფერი გამივლია. — და ეს მართლაც ასე იყო. — გარდა ამისა, — განვაგრძე მე, — სიამოვნებით მივმართავდი კიდევ ერთხელ სახელით, მაგრამ ეს საშინელი სახელი ბელა პირიდან ვერ ამოვღერდე, — გარდა ამისა მე თითქმის ოცდაათი წლის ვარ. მისმენთ?

— დიახ, — იგი იქ, გოდესბერგში თავის ვილაში ისე ოხრავდა და ზღუტუნებდა, თითქოს სააღსარებოში იყო მუხლმოყრილი.

— თქვენ მხოლოდ ის შთააგონეთ, რომ უსაშველოდ მჭირდება ფული.

— ჩემი აზრით, — მითხრა უხალისოდ, — არ ივარგებს ამ საკითხზე პირდაპირ დაველაპარაკო... ყველაფერი, რაც მის ოჯახს ეხება... გესმით რას ვამბობ, ჩვენთვის ტაბუა... მაგრამ არსებობს სხვა გზა.

ხმა არ ამოვიღია. ქალი აღარ ზღუტუნებდა, ჩუმად ქსუტუნებდა მხოლოდ.

— დროდადრო იგი ფულს მაძლევს გაჭირვებული კოლეგების დასახმარებლად, — მითხრა მან, — ამ ფულს მე თვითონ ვანაწილებ და იგი საქმეში არ ერევა. როგორ ფიქრობთ, მართებული ხომ არ იქნებოდა, ეს მცირე თანხა გადმოგცეთ, როგორც გაჭირვებულ კოლეგას?

— მე მართლაც გაჭირვებული კოლეგა ვარ და არა მარტო ამჟამად, სულ მცირე ნახევარი წლით მაინც. მითხარით, გეთაყვა, რას გულისხმობთ მცირე თანხაში?

მან ჩაახველა, კიდევ ერთხელ აღმოხდა „ო“, მაგრამ ამას კოლორატურასთან საერთო აღარაფერი ჰქონდა და მითხრა:

— ამ ფულს ჩვეულებრივ ვიყენებთ კონკრეტული გაჭირვების შემთხვევაში, როცა ვინმე კვდება, ავად ხდება ან ქალს ბავშვი უჩნდება. მე იმის თქმა მინდა, რომ საქმე ეხება არა ხანგრძლივ დახმარებას, არამედ ერთგვარ ხელის გამართვას.

— მაინც რამდენია ეს თანხა? — ვკითხე მე.

პასუხი მაშინვე არ გაუცია და ვცადე წარმომედგინა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წამს. ბელა ბროზენი ხუთი წლის წინათ ვნახე პირველად, როცა მარიმ მანამდე არ მოისვენა, სანამ ოპერაში არ შემათრია. ფრაუ ბროზენი მღეროდა გრაფის მიერ შეცდენილი გლეხი გოგონას პარტიას და მე გამაოცა მამაჩემის გემოვნებამ. ბელა საშუალო ტანის, საკმაოდ ჯანიანი ქერა ქალი აღმოჩნდა, მკერდი ისე უღელავდა, როგორც ჯერ არს. ხან ქოხის კედელს, ხან ფორანს მიყრდნობილი, ბოლოს კი ფიწალზე დაყრდნობილი ბელა ლამაზი, ძლიერი ხმით მღეროდა და ყველაზე უკეთ უმარტივეს სულიერ განცდებს გამოხატავდა.

— ალო, — ვიყვირე მე, — ალო!

— ო, — აღმოხდა მას. ამჯერად ბგერა ისევ კოლორატურულად ჟღერდა, მაგრამ ოდნავ სუსტად. — თქვენ ისევ პირდაპირ დამისვით კითხვა.

— ისეთ დღეში ვარ, ესლა დამრჩენია, — ვუთხარი მე და შიშმა შემიპყრო. ვიცოდი, რაც უფრო დიდხანს დუმდა, მით უფრო მცირე თანხას დაასახელებდა.

— რა გაეწყობა, — მითხრა მან ბოლოს, — თანხა ათსა და დაახლოებით ოცდაათ მარკას შორის მერყეობს.

— ვთქვით და რომელიმე თქვენი კოლეგა ჟალრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვთქვათ კატასტროფაში მოჰყვა და რამდენიმე თვის მანძილზე ას-ასი მარკა სჭირდება ფულადი დახმარების სახით?

— ჩემო კარგო, — მითხრა მან ჩუმად, — ნუთუ გგონიათ, რომ ტყუილს ვიკადრებ?

— არა, — ვუპასუხე მე, — მაგრამ მე მართლა შემემთხვა მარცხი და ბოლოს და ბოლოს განა ჩვენ კოლეგები არა ვართ, მსახიობები?

— შევეცდები, — მითხრა მან, — მაგრამ არა მგონია, ანკესს წამოეგოს.

— რაო? — ვიყვირე მე.

— არ ვიცი, შევძლებ თუ არა ისე დავუსურათო საქმე, რომ დამიჯეროს. მე არც ისე მდიდარი ფანტაზია მაქვს.

ამის თქმა საჭირო არ იყო. მე უკვე ვფიქრობდი, რგი ყველაზე ბრიყვი დედაკაცია, ვისთანაც კი ოდესმე საქმე მქონია-მეთქი.

— რა მოხდება, — ვუთხარი მე, — სცადოთ და აქაურ კონკრეტულ ანგაჟემენტი მომიწყოთ, ცხადია, მეორეხარისხოვან როლებს ვგულისხმობ, პატარა, სახასიათო როლებს კარგად ვასრულებ.

— არა, არა, ძვირფასო ჰანს, — მიპასუხა მან, — მე ისედაც ცუდად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ამ ინტრიგანულ თამაშში ვებმები.

— კეთილი, — ვუპასუხე მე, — ბოლოს ისიც მინდა გითხრათ, რომ სულ მცირე თანხაზეც არ ვიტყოდი უარს. ნახვამდის და დიდი მადლობა—სანამ რამის თქმას მოახერხებდა, ყურმილი დავკიდე.

გუმანით ვგრძნობდი, ამ წყაროდან რომ არაფერი გამოდინდებოდა. ქალი უაღრესად ბრიყვი აღმოჩნდა. ჩემი უნდობლობა გამოიწვია კილომ, როცა თქვა „ანკესს წამოეგოს“. რატომ იყო შეუძლებელი „გაჭირვებული კოლეგებისათვის“ გაღებული თანხა ჯიბეში ჩაედო. მამაჩემი შემეცოდა. მე მისთვის ლამაზ და ინტელიგენტ საყვარელს ვინატრებდი. კვლავაც მწყდებოდა გული, რომ ყავა არ მოვადუღებინე. ეს ბრიყვი დედაკაცი ალბათ იღიმებოდა და მალულად თავს აქნევდა მასწავლებელივით, — აქაოდა ხელი შემიშალეო—როცა მამა ყავის მოსახარშად მის სამზარეულოში გადიოდა, შემდეგ კი ფარისევლურად სახეგაბრწყინებული ყავას ისე უჭებდა, როგორც ძალს შეაქებენ ქვის მოტანისათვის. გაცოფებული მოვშორდი ტელეფონს, ფანჯარასთან მივედი, გამოვალე და ქუჩაში გადავიხედე. შემეშინდა, ვაითუ ისე გამიჭირდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ზომერვილდს მივადგე დახმარებისათვის. უეცრად ჯიბიდან მარკიანი ამოვიღე, ქუჩაში გადავაგდე და იმწამსვე ვინანე. თვალი გავაყოლე, მაგრამ ვეღარ დავინახე. მხოლოდ მომეჩვენა თითქოს გავიგონე, როგორ დაეცა ჩავლილი ტრამვაის სახურავზე. მაგიდიდან ბუტერბროტი ავიღე და სანამ ქუჩაში ვიყურებოდი, შევჭამე. რვას აღარაფერი აქლდა, თითქმის ორი საათი ვიყავი ბონში, ექვს ეგრეთწოდებულ მეგობარს დავურეკე, დედასა და მამას ველაპარაკე და ჯიბეში ერთი მარკით მეტი კი არა, ერთით ნაკლები მედო, იმასთან შედარებით, რაც ჩამოსვლისას მებადა. სიაოვნებით ჩავირბენდი დაბლა და ჩემს მარკას ქუჩაში დავუწყებდი ძებნას, საგრამ დრო ცხრის ნახევრისკენ მიიწევდა და ლეოს ყოველ წამს შეეძლო ზაერეკა ან მოსულიყო.

მარის რა უჭირდა, რომში იყო, თავის ეკლესიის წიაღში და ახლა ალბათ იმაზე ფიქრობდა, რა ჩაეცვა პაპთან აუდიენციის დროს. ციუბფნერი ყაქლინ კენედის სურათს უშოვიდა, ესპანურ მანტილიასა და რიდესაც აუცილებლად უყიდდა, რადგან კარგად თუ ჩავუკვირდებით, ამჟამად მარი გერმანული კათოლიციზმის ერთგვარი „first lady“ იყო. გადავწყვიტე მეც გავმგზავრებულიყავი რომში და პაპისათვის აუდიენცია მეთხოვა. ალბათ პაპსაც სცხია რაღაც ბებერი, ბრძენი კლოუნის და ბოლოს და ბოლოს არლეკინის სახეც ბერგამოში ჩაისახა. ამის დადასტურება შეუძლია გენეპოლმსაც. მან ხომ ყველაფერი იცის. პაპს ავუხსნიდი, ჩემი და მარის ცოლ-ქმრობა იმიტომ ჩაი-

შალა, რომ ოფიციალურად ხელმოწერილნი არ ვიყავით და ვთხოვდი, ჰენრიკ მერვეს ერთგვარ ანტიპოდად მივეჩნიე: ჰენრიკ მერვე პოლიგამი და მოწმუნე კაცი იყო, მე კი მონოგამი და ურწმუნო. ვუამბობდი, რა ქედმაღალი და უხამსნი არიან გერმანული კათოლიციზმის „მესვეურები“ და ვურჩევდი თავი არ მოეტყუებინა. ვურჩენებდი რამდენიმე ნომერს, ლამაზ, მსუბუქ სტენდებს, როგორიცაა „სკოლაში წასვლა და შინ დაბრუნება“, „კარდინალი“ და სხვა. ამან შეიძლება გული ატკინოს, ერთ დროს ხიამ თვითონაც კარდინალი იყო. ყველა-ყველა და სწორედ მისთვის არ მინდოდა დამეშაგებინა რამე.

მუდამ საკუთარი ფანტაზიის მსხვერპლი ვხდებოდი. ისე ცხადად წარმოვიდგინე პაპთან აუდიენცია — აი, უკვე მუხლმოდრეკილი ვდგავარ მის წინ და ვთხოვ მაკუთხოვს ურწმუნო კაცი. კართან გაშეშებული შვეიცარიელი გვარდიელი დგას, ხოლო იქვე რომელიღაც მონსინიორი შემწყნარებლურად, მაგრამ მრუდულ იღიმება. ყველაფერი ეს ისე ნათლად დამიდგა თვალწინ, რომ მართლაც დავიჭერე, თითქოს უკვე ვიყავი პაპთან. ვიცოდი, ცდუნებას ვერ გავუძლებდი და ლეოს ვუამბობდი, პაპის სანახავად ვავემგზავრე და აუდიენცია მქონდა მასთან-მეთქი. იმ წუთში მართლაც პაპთან ვიყავი, ვხედავდი მის ღიმილს, ვისმენდი მის სასიამოვნო, გლეხურ ხმას, ვუამბობდი, როგორ გახდა ჰეკლსუსტი ბერგამოელი არლეკინი. მაგრამ ლეოს ასეთი ხეშმარიტობა არ უყვარდა, მუდამ მატყუარას მეძახდა, ცოცხდებოდა, როცა შეხვედრი, დროს ვკითხავდი:

— გახსოვს, როგორ გადავხერხეთ ერთად ბოძი?

— ბოძი ჩვენ ერთად არ გადაგვიხერგავს, — ყვიროდა იგი.

ლეო მართლაც ამბობდა, მაგრამ მისი სიმართლე ჩირად არ ღირდა. იგი ექვსი-შვიდი წლისა იქნებოდა, მე კი რვისა თუ ცხრისა, როცა მან საჯინბოში ღობის მონარჩენი ბოძი იპოვა, იქვე ჟანგმოკიდებული ხერხეც გამოჩხრიკა და მთხოვა, ბოძი ერთად გადავხერხოთ. მე ვკითხე, რა საჭიროა ისეთი უსარგებლო ბოძის გადახერხვა-მეთქი, მიზეზი ვერ დამისახელა, უბრალოდ ხერხვა მოუნდა, რაც მე სრულ უაზრობად მომეჩვენა. ლეო მთელი ნახევარი საათი ტიროდა. მე მხოლოდ დიდი ხნის, თითქმის ათი წლის შემდეგ — პატერ ვუნიბალდის გერმანული ენის გაკვეთილზე, როცა ლესინგს გავდიოდეთ — ყოველგვარი ასოციაციის გარეშე მივხვდი, თუ რას მთხოვდა ლეო: უნდოდა ეხერხა, იმ წუთში სხვა არაფერი არ უნდოდა ისე, როგორც ჩემთან ერთად ხერხვა. ყველაფერ ამას ათი წლის შემდეგ მივხვდი და ისე ძალუმაღლ განვიცადე მისი სიხარული, მოუთმენლობა, მღელვარება, რომ შუა გაკვეთილზე ხელები ისეთნაირად ვამოძრავე, თითქოს მართლაც ვხერხავდი. თვალწინ მდგა ლეოს ბავშვური, გაბრწყინებული სახე და ჟანგმოკიდებულ ხერხს ხან მე გამოვწევდი, ხან ის გასწევდა და ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ პატერ ვუნიბალდმა თმაში არ წამავლო ხელი და „გონს არ მომიყვანა“. მას შემდეგ მგონია, თითქოს მე და ლეომ მართლა გადავხერხეთ ბოძი, მაგრამ ლეოს ამის გაგება არ შეუძლია. იგი რეალისტიკა და დღეს აღარ ესმის, თუ რამე აგეგვიათა, თუნდაც სულელური რამ, აუცილებლად უნდა გააკეთო. წამიერად რაღაც სურვილები დედასაც კი უჩნდებოდა, მაგალითად, ბუხრის წინ კარტის თამაში, სამზარეულოში შესვლა და ვაშლის ყვავილის ჩაის საკუთარი ხელით დასხმა. უეცრად მოეპრიანებოდა ლამაზ, გაბრიალებულ, წითელი ხის მაგიდასთან დაჯდომა, კარტის თამაში, ბედნიერი ოჯახის დიასახლისობა, მაგრამ ყოველთვის, როცა მას ამგვარი რამ მოენატრებოდა, არც ერთ ჩვენგანს არ

ჰქონდა ამის ხალისი, მაშინ ატყდებოდა ერთი ამბავი, დედაჩემი მანჭვა-გრეხით გვისაყვედურებდა, ჩემი არ გესმით, შემდეგ კი ჩვენგან მორჩილებას მოითხოვდა, მეოთხე მცნებას იშველიებდა, ბოლოს რწმუნდებოდა, შვილები მხოლოდ მორჩილების გრძნობის კარნახით თუ ვეთამაშებიან კარტს, ვერაფერი გართობაა და ატირებული თავის ოთახში მიდიოდა. ზოგჯერ ცდილობდა მწვექართა-მეთ, გვპირდებოდა განსაკუთრებით გემრიელ საჭმელს ან სასმელს და ბოლოს ისევ დგებოდა ერთ-ერთი უხეცრემლიანი საღამო. რამდენი ასეთი საღამო გაგვიტარებია დედის წყალობით. მას არ ესმოდა, რატომ ვეუბნებოდით ასე თავგამოდებით კარტის თამაშზე უარს, კარტში კერ კიდევ ერია გულის შვიდიანი და ყოველი თამაში პენრიეთეს გვაგონებდა. მაგრამ პირში ამას არავინ ეუბნებოდა. მოგვიანებით, როცა ვიგონებდი მის ამოცდებს ბედნიერი ოჯახის გარემოცვაში მჯდარიყო აგვიზგიზებულ ბუხართან, წარმოვიდგენდი, თითქოს მარტო ვეთამაშებოდით კარტს. თუმცა ყოველგვარი კარტის თამაში, სადაც მხოლოდ ორი მონაწილე ეობს, მოსაწყენია. მე მართლა ვეთამაშებოდი დედაჩემს „სამოცდაექვსს“ და „ომობანას“, ვსვამდი ვაშლის ყვავილის ჩაის, თანაც თაფლიანს, დედაჩემი კი ამ დროს ხუმრობით თითქმის მიქნევდა და სიგარეტს მთავაზობდა, კედლის მიღმა ლეო ეტიუდებს უკრავდა, ხოლო სახლში ყველამ, მოახლეებმაც კი იცოდნენ, რომ მამაჩემი „იმ ქალთან“ წავიდა: ეტყობა, მარიმ ვიღაცისაგან გაიგო, ამგვარი „ტყუილების“ მოგონება რომ მემარჯვებოდა, როცა რამეს ვუყვებოდი, მუდამ ეჭვის თვალით მიყურებდა, მაგრამ ოსნაბრიუქში ის ბიჭი მართლა დავინახე ფანჯრიდან. ზოგჯერ პირიქითაც მემართებოდა, ის, რაც ნამდვირად განვიცადე, არანამდვილი, არარეალური მგონია. ახლა არაფრით არ მჯერა, ოდესღაც კიოლნიდან ბონში რომ ჩავედი და მარის ჯგუფის ქალიშვილებს ქალწულ მარიამზე ვესაუბრე. ყველაფერი, რასაც სხვა ადამიანები რეალობად თვლიან, მე ფიქცად მეჩვენება.

საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი ქვემოთ მტვერში გაგორებულ ერთმარკიანზე, ფანჯარას მოვცილდი და კიდევ ერთი ბუტერბროტის გასაყეთებლად სამზარეულოში გავედი. სანოვაგე ცოტაღა დამრჩა: კიდევ ერთი ქილა ლობიო, ერთი ქილა ქლიავი (ქლიავს ვერ ვიტან, მაგრამ მონიკამ ეს საიდან უნდა იცოდეს), ნახევარი პური, ნახევარი ბოთლი რძე, დაახლოებით მეოთხედი გირვანქა ყავა, ხუთი კვერცხი, სამი ნაჭერი ღორის ქონი და ერთი ტუბი მღოგვი. საერთო ოთახის მაგიდაზე დაგდებულ კოლოფში ოთხი სიგარეტიღა იყო. თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი, აღარ მქონდა იმის იმედი, რომ კვლავ შევძლებდი ვარჯიშს. მუხლი გამისივდა, შარვალი ლამის მიჭერდა, თავის განუწყვეტელი, მზურღავი ტკივილი თითქმის ზემიწიერი გახდა, სულში უშავესმა სიბნელემ დაისადგურა. გარდა ამისა მაწუხებდა „ხორციელი ქინი“, მარი კი რომში იყო. უმისოდ მიჭირდა, მენატრებოდა მისი კანი, მინდოდა მკერდზე მისი ხელები მეგრძნო. როგორც ეს ერთხელ ზომერვილდმა თქვა, მეც მაქვს „ქმედითი და ქეშმარიტი დამოკიდებულება ფიზიკური სილამაზისადმი“. მსიამოვნებს, როცა ჩემ ირგვლივ ლამაზი ქალები ტრიალებენ, მაგალითად ისეთები, როგორიც ჩემი მკვებელი ფრაუ გრებელსია, მაგრამ ამ ქალებისადმი არავითარ „ხორ-

ციელ ქინს“ არ ვგრძნობ და ამის გამო ბევრი მათგანი ნაწყენი რჩება, თუმცა მათ მიმართ რომ ამგვარი რამ მეგრძნო და ჩემი სურვილის დაკმაყოფილება მომეთხოვა, ალბათ პოლიციას დაუძახებდნენ. რთული და საშინელია „ხრ-ციელი ქინი“, არამონოგამი მამაკაცებისათვის ეს ალბათ მუდმივი წამებაა, ჩემისთანა მონოგამებისათვის კი ფარული უზრდელობის მუდმივი წყაროა. ჩვენ ქალები უმეტეს შემთხვევაში შეურაცხყოფილნი რჩებიან, თუმცა გრძნობენ იმას, რასაც მათ ენაზე ეროსი ჰქვია. ფრაუ ბლოთერტიც კი, წესიერი და ღვთისმოსავი ქალი, მუდამ ცოტათი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. ზოგჯერ იმ ავხორცი ადამიანებისაც კი მესმის, რომლებზედაც ამდენს წერენ გაზეთებში. როცა წარმოვიდგენ, რომ არსებობს რაღაც ისეთი, რასაც ცოლ-ქმრული მოვალეობა ჰქვია, შიში მიპყრობს. ამაზრზენი უნდა იყოს ცოლქმრობა, როცა ქალს სახელმწიფო და ეკლესია იძულებულს ხდის „ის საქმე“ ხელშეკრულების თანახმად აკეთოს. არ შეიძლება ადამიანი იძულებით გახადო გულმოწყალე. შევეცდები ამ საკითხზე რომის პაპს ველაპარაკო, მას ალბათ არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

კიდევ ერთი ბუტერბროტი გავიკეთე, წინკარში გავედი და პალტოს ჯიბიდან სალამოს გაზეთები ამოვიღე, კიოლნში მატარებლის ფანჯრიდან რომ ვიყიდე. ზოგჯერ სალამოს გაზეთი შვებას მგვრის, ისევე მაცარიელებს, როგორც ტელევიზორის ყურება. გაზეთი გადავფურცლე და მანამდე ვათვალიერებდი მსხვილი ასოებით აწყობილ სათაურებს, სანამ არ წავაწყდი შენიშვნას, რომელმაც სიცილი მომგვარა. „ფედერალური რესპუბლიკის წინაშე დამსახურებისათვის დოქტორი ჰერბერტ ქალიკი დააჯილდოვეს „ჯვრის ორდენით“. ქალიკი სწორედ ის ვაჟბატონი გახლდათ, რომელმაც დამასმინა, დეზერტირი მიწოდა და გასამართლების დროს სიმკაცრეს, ულმოებელ სიმკაცრეს მოითხოვდა. ეს მას დაებადა მაშინ გენიალური აზრი, მტერთან საბოლოო შებრძოლებისათვის ობოლთა თავშესაფრის მობილიზაცია მოეხდინათ. მე ვიცოდი, რომ ახლა იგი ინდაურივით გაფხორილი „დიდი კაცი“ იყო. გაზეთში ეწერა: ჯვრის ორდენით დააჯილდოვეს „ახალგაზრდებს შორის დემოკრატიული იდეების გავრცელებისათვის“.

ორი წლის წინ ერთხელ სახლში დამპატიჟა, შერიგება უნდოდა. როგორ უნდა მეპატიებინა მისთვის, რომ ობოლი ბიჭი, გეორგი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარის ტყორცნაში ვარჯიშის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა, ანდა ის, ათი წლის ბიჭს რომ დეზერტირობა დამაბრალა და სიმკაცრის, ულმოებელი სიმკაცრის გამოჩენას მოითხოვდა? მაგრამ მარი მარწმუნებდა, არ შეიძლება უარი უთხრა მიწვევაზე იმ კაცს, ვისი მიზანიც შერიგებააო. ჩვენ ყვავილები ვიყიდეთ და ქალიკს ვესტუმრეთ. იგი აღმოჩნდა მშვენიერი ვილის მფლობელი თითქმის ზედ ეიფელზე, ჰყავდა ლამაზი ცოლი და ბავშვი, რომელსაც ამაყად „ერთი ბავშვები“-ს ეძახდნენ. მისი ცოლის სილამაზე იმგვარი იყო, რომ ვერ გაიგებ, ცოცხალი ადამიანია თუ მომართული თოჯინა. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც მის გვერდით ვიჯექი, არ მასვენებდა სურვილი მკლავებში, მხრებში ან ფეხებში ხელი წამევლო მისთვის, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ თოჯინა არაა. მისი მონაწილეობა საუბარში მხოლოდ ორი ფრაზით განისაზღვრებოდა: „ო, რა მშვენიერია“ და „ო, რა სისაძაგლეა“. თავიდან მოსაწყენი ქალი მომეჩვენა, შემდეგ კი დავინტერესდი და ისე ვუყვებოდი ათასგვარ ამბებს, როგორც ავტომატში ყრიან ფულს — მინდოდა გამეგო, რა რეაქცია

ექნებოდა. როცა ვაუწყე, ეს-ესაა ბებია გარდამეცვალა-მეთქი, რაც სრულიად არ შეეფერებოდა სიმართლეს, რადგან ბებია თორმეტი წლის წინ გარდაიცვალა, მან წამოიძახა: „ო, რა სისაძაგლეა“. ჩემი აზრით, როცა აღამიანი კვდება, ბევრ სისულელეს ამბობენ, მაგრამ „ო, რა სისაძაგლეა“ არავის დასცდენია. შემდეგ მოვუყევი, ვილაც ჰუმელოს (რომელიც სანქტოლოდ არ არსებობდა და იმისათვის მოვიგონე სასწრაფოდ, რომ ავტობუსში ჩამე დადებითი ჩამეშვა) საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭეს-მეთქი, მან წამოიძახა: „ო, რა მშვენიერია“, ხოლო როცა ვუამბე, ჩემმა ძმამ, ლეომ, რკული შეიცვალა-მეთქი, ერთ წამს შეეყოყმანდა და ეს ყოყმანი სიცოცხლის ნიშანწყლად მომეჩვენა, მაგრამ მან მეტიმეტად დიდი, თოჯინის ცარიელი თვალებით შემომხედა და ცდილობდა მიმხვდარიყო, პირადად მე როგორ კატეგორიას ვაკუთვნებდი ამ ამბავს და მერე თქვა: „საძაგლობაა, არა?“. ის მაინც მოვახერხე, რომ გამოთქმის ცოტათი განსხვავებული ვარიანტი დავაცდენინე, ვურჩიე „ო, რა“ გამოეთოვებინა და მართო „მშვენიერია“ და „სისაძაგლეა“ ეთქვა. ჩაიკისკისა, კიდევ გადმომიღო სატაცური და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა: „ო, რა მშვენიერია“. იმ საღამოს ისიც გავიცანით, ვისაც ამაყად „ერთი ბავშვები“-ს ეძახდნენ, მათი ხუთი წლის ლაწირაკი. მისთვის შეიძლებოდა ეგრევე დაევლოთ ხელი და ტელევიზიის სარეკლამო გადაცემებში გამოეყვანათ, როგორც ბავშვი. ბიჭუნამ კბილის პასტის სარეკლამო ლიმლით გაიღიმა და თქვა: „ღამე მშვიდობისა, მამიკო, ღამე მშვიდობისა, დედიკო“, შემდეგ მარის დაუკრა თავი, ბოლოს კი მე. მიკვირდა, აქამდე როგორ ვერ აღმოაჩინა ეს ბიჭი ტელევიზიის სარეკლამო განყოფილებაში. მოგვიანებით, როცა ბუხართან ყავასა და კონიაკს შევექცეოდით, ჰერბერთმა ლაპარაკი გააბა იმ დიად დროზე, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, შემდეგ შამპანური მოიტანა, პათეტიკურად ბოდიში მომიხადა, მუხლიც კი მოიყარა ჩემ წინაშე და მთხოვა „უეკლესიოდ შემენდო მისთვის ცოდვები“. მზად ვიყავი პანჩური ამომეკრა, მაგრამ ნაცვლად ამისა მაგიდიდან ყველის დასატრელი დანა ავიღე და საზეიმოდ ვაკურთხე დემოკრატად. „ო, რა მშვენიერია“, წამოიძახა მისმა ცოლმა. როცა გულაჩუყებული ჰერბერთი დაჯდა, მე მთელი მოხსენება წავიკითხე „ებრაელ იანკებზე“.

— დიდხანს ეგონათ, — ეთქვი მე, — რომ ჩემი გვარი შნირი წარმოდგება შნიცელიდან, მაგრამ ბოლოს დამტკიცდა, რომ მისი ძირი შნურია და არა შნიცელი. ასე რომ, მე არც ებრაელი ვარ და არც იანკი, მაგრამ... — უეცრად ჰერბერთს სილა გავაწანი, რადგან გამახსენდა, როგორ მოსთხოვა ერთ ჩვენს სკოლის ამხანაგს გიოც ბუხელს ცნობა არიული წარმოშობის შესახებ. გიოცი მძიმე დღეში ჩავარდა. დედამისი სამხრეთ იტალიის რომელიღაც სოფლიდან იყო და იქიდან რაიმე ცნობის მიღება, რაც ცოტათი მაინც დაასაბუთებდა დედამისის არიულ წარმოშობას, შეუძლებელი აღმოჩნდა. ის სოფელი, სადაც გიოცის დედა დაიბადა, ამ დროს უკვე ებრაელი იანკების ხელში იყო. გიოცი და დედამისი რამდენიმე კვირა საშინელ დღეში იყვნენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, სანამ გიოცის მასწავლებელს აზრად არ მოუვიდა ბიჭი ბონის უნივერსიტეტის რასიზმის ერთ-ერთ სპეციალისტს შეემოწმებინა და დასკვნა დაეწერა. პროფესორმა დაადგინა, რომ გიოცი „არიელია“, „წმინდაწყლის არიელი“. ჰერბერთ ქალიკმა რაღაც სისულელე მოჩმახა, ყველა იტალიელი მოლაღატეაო, და გიოცს ომის დამთავრებამდე ერთი მშვიდი წუთი აღარ ჰქონდა. ყველაფერი ეს მაშინ გამახსენდა, როცა ვცადე „ებრაელი იანკე-

ბის“ შესახებ მოხსენება წამეკითხა. ჰერბერტს ერთი გვარიანი სილა გავაწანი, ზამპანურის ჭიქა ბუხარში შევაგდე, ზედ ყველის საჭრელი დანაც მივაყოლე, მარის მკლავში ხელი ჩავავლე და იქიდან წამოვათრიე. ზევით, ეიფელზე, ტბის ვერ ვიშოვეთ და ავტობუსის გაჩერებამდე საკმაოდ დიდი მანძილი ფეხით გავიარეთ. მარი ტიროდა და მთელი იმ ხნის განმავლობაში მიმტკიცებდა, არაქრისტიანულად და არაადამიანურად მოიქეციო მე ვუპასუხე, ქრისტიანად არ ვარ და ჩემი სააღსარებო ჯერ ღია არ არის-მეთქი. მარიმ მკითხა, ნუთუ ეჭვი გეპარება, რომ ჰერბერტი ახლა სხვა კაცი გახდა, დემოკრატიო?

— არა, არა, — ვუპასუხე მე, — სრულიად არ მეპარება ეჭვი, პირიქით, უბრალოდ არ მიყვარს ეს კაცი და არც არასოდეს შემეყვარდება.

ტელეფონის წიგნი გადავშალე და ქალიკის ნომერი მოვძებნე. სწორედ ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ მასთან მიხდოდა ტელეფონით მესაუბრა. გამახსენდა, მოგვიანებით კიდევ ერთხელ შევხვდი ჩვენს სახლში „ჟურფიქსზე“. მან მუდარით შემომხედა და თავი გააქან-გამოაქანა, რადგან ამ დროს ერთ რაბინს „ებრაელთა ინტელექტზე“ ელაპარაკებოდა. რაბინი შემეცოდა. ძლიერ მოხუცებული იყო და თეთრი წვერი და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა. მისმა გულუბრყვილობამ შემაშფოთა. ცხადია, ჰერბერტი ყველას, ვისაც კი გაიცნობდა, არწმუნებდა, ნაცისტი და ანტისემიტი ვიყავი, მაგრამ „ისტორიამ თვალი ამიხილა“. ამავე დროს ამერიკელების ბონში შემოსვლამდე ერთი დღით ადრე თავის ბიჭებს პარკში წვრთნიდა და ეუბნებოდა: „როგორც კი პირველ ებრაელ ღორს დაინახავთ, მაშინვე ესროლეთ ხელყუმბარა“. დედაჩემის ჟურფიქსზე ყველაზე მეტად სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების გულუბრყვილობა მალეღვებდა. საყოველთაო მონანიება და დემოკრატიის საქვეყნოდ აღიარება მათ ისე აგულჩვილებდა, რომ დაძმობილებასა და გულში ჩაკვრას ბოლო არ უჩანდა. მათ არ ესმოდათ, უკეთურობის საიდუმლოება რომ წვრილმანებშია ჩაქსოვილი. ადვილზე ადვილია მოინანიო რაღაც დიდი პოლიტიკური შეცდომა, ცოლქმრული ღალატი, მკვლელობა, ანტისემიტიზმი, მაგრამ ვინ შეუნდობს ადამიანს, ვინ ერკვევა წვრილმანებში? რა დამავიწყებს იმას, როგორ შეხედეს ბრიულმა და ჰერბერტ ქალიკმა მამაჩემს, როცა მხარზე ხელი დამადო, როგორ აკაქუნებდა გაცოფებული ქალიკი მოკაკულ თითებს მაგიდაზე, მიყურებდა მკვდარი თვალებით და გაიძახოდა: „სიმკაცრე, ულმობელი სიმკაცრეა საჭირო“, ანდა როგორ სწვდა საყელოში გიოც ბუხელს, მიუხედავად მასწავლებლის ჩუმი პროტესტისა, მთელი კლასის წინ დააყენა და წამოიძახა: „აბა შეხედეთ, რით არ არის ებრაელი?“

ჩემს მეხსიერებაში უამრავი ამგვარი წამი, უამრავი დეტალი და წვრილმანი აღიბეჭდა... და ჰერბერტს თვალები არ შეეცვლია. შემეშინდა, როცა დავინახე, როგორ იდგა მოხუცი, ცოტათი გამოჩერჩეტებული, მშვიდობიანად განწყობილი რაბინის გვერდით, როგორ უმასპინძლებოდა კოქტეილით და ებრაელთა ინტელექტზე ელაპარაკებოდა. ემიგრანტებმა არც ის იციან, რომ ფრონტზე ნაცისტებს იშვიათად აგზავნიდნენ და ილუპებოდნენ არა ისინი, არამედ სხვები, ისეთები, როგორიც იყო ჰუბერტ ქნიპსი, ვინეკენების მეზობელ სახლში რომ ცხოვრობდა, და ხაბაზის შვილი გიუნთერ ქრემერი. თუმცა ისინი ჰიტლერიუგენდის ხელმძღვანელები იყვნენ, მაინც გაგზავნეს ფრონტზე, რადგან „პოლიტიკური ალღო აკლდათ“, მთელ იმ ბინძურ თვალთვალში არ მონაწილეობდნენ. ქალიკს არასოდეს არ გაგზავნიდნენ ფრონტზე, რადგან პო-

ლიტიკური ალლო ჰქონდა, ისევე როგორც დღეს აქვს. ყველაფერი სულ სხვაგვარად ხდებოდა, ვიდრე ემიგრანტებს ჰგონიათ. მათ მხოლოდ ამგვარი კატეგორიებით შეუძლიათ აზროვნება — დამნაშავე, უდანაშაულო, ნაცისტი, არანაცისტი. გაულაითერი ქირენჰანი ზოგჯერ მარის მამის დუქანში შედიოდა, სიგარეტის კოლოფს დაუკითხავად იღებდა ყუთიდან, აუკეთებდა და არც ფულს, შემდეგ მარის მამის ცხვირწინ დახლებული ჰქონდა და ეუბნებოდა:

— მარტინ, რა მოხდება, პატარა, არც ისე საშინელ საკონცენტრაციო ბანაკში რომ გიკრა თავი?

მარის მამა უპასუხებდა:

— ღორი ღორობას ვერ მოიშლის, შენ კი ყოველთვის ღორი იყავი.

ისინი ერთმანეთს ექვსი წლის ასაკიდან იცნობდნენ. გაცოფებული ქირენჰანი აფრთხილებდა:

— თავს ნუ გადიხარ, მარტინ, მეტისმეტად შორს ნუ შეტოპავ.

მარის მამა ეუბნებოდა:

— თუ დამჭირდა, უფრო შორსაც შევტოპავ, აბა, გაეთრიე აქედან!

— ვეცდები, კარგში კი არა, ყველაზე საშინელ საკონცენტრაციო ბანაკში ამოგაყოფინო თავი.

ასე დაობდნენ დაუსრულებლად. მარის მამას უთუოდ დაიჭერდნენ, გაულაითერს რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო მისთვის რომ „მფარველი ხელი“ არ გადაეფარებინა. მაგრამ ყველას როდი აფარებდა ამ მფარველ ხელს, მან არც ტყავით მოვაჭრე მარქსი დაიცვა და არც კომუნისტი კრუპე. ორივე მოკლეს. დღეს ყოფილი გაულაითერი მშვენივრად ცხოვრობს, საამშენებლო მასალების მაღაზია აქვს გახსნილი. ერთხელ ქირენჰანი მარის შეხვდა და უთხრა: საწუწუნო არაფერი მაქვსო.

— რა საშინელი იყო ნაცისტების ბატონობის ხანა, იქიდანაც ჩანს, რომ სიცოცხლეს უნდა ვუმადლოდე ისეთ ღორს, როგორიც ყოფილი გაულაითერია და ეს წერილობითაც უნდა დავადასტურო, — გვეუბნებოდა ხშირად მარის მამა.

ამასობაში ქალიკის ტელეფონის ნომერი ვიპოვე, მაგრამ ვცოცმანობდი, დამერეკა თუ არა. გამახსენდა, რომ ხვალ დედაჩემს ჟურფიქსი აქვს, შემეძლო სახლში მივსულიყავი, ჯიბეები ჩემი მშობლების ფულით ნაყიდი სიგარეტებითა და მარილიანი ნუშით გამომეტენა, პარკში ჩაყრილი ზეთისხილი და ყველის კვერები მომემარაგებინა, შემდეგ სტუმრებისათვის ქუდით ხელში ჩამომეცვლო და „ოჯახის გაჭირვებული წევრისათვის“ ფული შემეგროვებინა. ერთხელ თხუთმეტი წლისამ ამგვარი რამ უკვე გავაკეთე. „განსაკუთრებული საჭიროებისათვის“ ფული ვიმათხოვრე და ას მარკაზე მეტი შევაგროვე. ეს ფული თვითონ მოვიხმარე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე და თუ ხვალ „ოჯახის გაჭირვებული წევრისათვის“ ფულს შევაგროვებ, ეს არ იქნება ტყუილი: მე მართლაც ვარ ოჯახის გაჭირვებული წევრი. წამოსვლის წინ კი სამზარეულოში შევალ, ანას მკერდზე ავტირდები და ძეხვის ნარჩენებს გამოვტყუებ. დედაჩემის ჟურფიქსზე თავმოყრილი იდიოტები ჩემს საქციელს დიდებულ ხუმრობად მიიჩნევენ და დედაჩემიც იძულებული იქნება ნაძალადევი ღიმილით ჩემს საქციელს ხუმრობის ხასიათი მიანიჭოს და არავის არ ეცოდინება, რომ ეს მომაცვდინებლად სერიოზული სიმართლეა. იმ ხალხს

არაფერი არ ესმის. მართალია, თითოეულმა მათგანმა იცის, რომ კლოუნი მელანქოლიკი უნდა იყოს, თორემ კარგი კლოუნი ვერ იქნება, მაგრამ მათთვის გაუგებარია, მელანქოლია რომ მისთვის მომავდინებლად სერიოზული რამ არის. დედაჩემის ჟურფიქსზე შევხვდები ყველას: ზემორვილდს და ქალიკს, ლიბერალებს და სოციალ-დემოკრატებს, ექვს სხვადასხვა ჯურის პრეზიდენტს და ატომური ყუმბარის მოწინააღმდეგეებსაც კი (ერთხელ დედაჩემი სამო-დლე მონაწილეობდა ანტიატომურ მოძრაობაში, მაგრამ როცა რომელიღაც ფირმის პრეზიდენტმა განუმარტა, თანამიმდევრული ანტიატომური მოძრაობა აქციების რადიკალურ დაცემას გამოიწვევსო, მაშინვე მიირბინა ტელეფონთან და კომიტეტს დაურეკა, მოძრაობას „ვეთიშებიო“). ბოლოს, როცა ყველას ქუ-დით ხელში ჩამოვუვლი, ქალიკს საჯაროდ სილას გავაწნავ, ზომერვილდს გა-მოვლანძლავ, მლიქვნელ მღვდელს ვუწოდებ, ხოლო კათოლიკეების ცენტრა-ლური კავშირის იქ მყოფ წარმომადგენლებს იმაში დავადანაშაულებ, რომ გარყვნილებასა და მრუშობას უწყობენ ხელს.

დისკოს თითი მოვაცილე და ქალიკს აღარ დავურეკე. მისთვის მხოლოდ ის მინდოდა მეკითხა, ამ ხნის განმავლობაში წარსული თუ მოინელა, ისევ დაახლოებულია თუ არა ხელისუფლებასთან და ხომ არ შეუძლია გამანათლოს ებრაელთა ინტელექტის საკითხში. ერთხელ ქალიკმა პიტლერიუგენდის საღა-მოზე მოხსენება წაიკითხა თემაზე: „მაკიაველი და ხელისუფლებასთან და-ახლოების ცდა“. მისი მოხსენებიდან ვერაფერი გავიგე გარდა იმისა, რომ იგი აშკარად ემხრობოდა ხელისუფლებას და ეს პირდაპირ განაცხადა. პიტლერი-უგენდის მესვეურთ სახეზე შეეტყვოთ, რომ მან მეტიმეტად გადაამლაშა. მა-კიაველიზე თითქმის არაფერი უთქვამს, ლაპარაკობდა მხოლოდ საკუთარ თავზე, ანუ ქალიკზე და სხვა ხელმძღვანელებს სახეზე ეწერათ, რომ მისი მოხ-სენება საჯაროდ გამოტანილ უტიფრობად მიაჩნიათ. ხომ არსებობენ ისეთი ვაჟბატონები, რომელთა შესახებ გაზეთები წერენ — ნამუსგარეცხილებიო. ქალიკი პირწავარდნილი ნამუსგარეცხილი პოლიტიკოსი იყო და სადაც არ უნდა გამოსულიყო, ყველა სირცხვილით იწვოდა.

ხვალინდელი ჟურფიქსი სიხარულს მგვრიდა. ჩემი მშობლების ქონებიდან ცოტა რამ მეც მხვდებოდა წილად: ზეთისხილი, მარილიანი ნუში, სიგარეტე-ბი — სიგარეტის რამდენიმე შეკვრასაც წამოვიღებ და შემდეგ ფასდაკლებით გავყიდი. ქალიკს მკერდიდან ორდენს ჩამოვგლეჯ და სილას გავაწნავ. მას-თან შედარებით დედაჩემიც კი ადამიანად მეჩვენება. როცა ჩემი მშობლების საგარდეროობოში უკანასკნელად შევხვდი, ნაღვლიანად შემომხედა და მითხრა:

— ყველა ადამიანს აქვს ერთი გამოსავალი, ქრისტიანები ამას შენდობას უწოდებენ.

პასუხი არ გამიცია. მე ხომ ქრისტიანი არა ვარ. გამახსენდა, იმ მოხსენე-ბაში ქალიკი „სისასტიკის ეროტიკულობაზე“ და „სექსუალურ მაკიაველიზმზე“ რომ ლაპარაკობდა. როცა მის სექსუალურ მაკიაველიზმზე ვფიქრობდი, ისევე მეცოდებოდნენ მეძავები, ვისთანაც იგი დადიოდა, როგორც ცოლები, რომ-ლებიც ხელშეკრულების თანახმად იძულებულნი არიან რომელიმე ნადირს ეკუთვნოდნენ. ვფიქრობდი უამრავ ლამაზ, ყმაწვილ ქალზე, რომელთაც ან ფულის გამო უნდა ეკეთებინათ „ის საქმე“ ქალიკისთანა ვა ბატონებთან, ანდა უფულოდ და უხალისოდ — საკუთარ მეუღლეებთან.

იმის მაგივრად, რომ ქალიკის ნომერი ამეკრიფა, ისევ იმ დაწესებულებაში დავრეკე, სადაც ლეო ცხოვრობს. როდისმე ხომ უნდა დაემთავრებინათ ვახ-
შაში, შთაენთქათ თავიანთი ვნებების დამთრგუნველი საღმრთო — გაქმეხარდა,
ისევ იმ ტიპმა რომ მიპასუხა, ბერიკაცი ახლა სიგარას ეწეოდა და კომპოსტოს
სუნი ისე მძაფრად აღარ იგრძნობოდა.

— შნირი გახლავართ, — ვუთხარი მე, — გახსოვართ?

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან, — იმედი მაქვს, ჩემი სიტყვები პირ-
დაპირი მნიშვნელობით არ გაიგეთ და თქვენი ავგუსტინე არ დაწვით.

— როგორ არა, — ვუპასუხე მე, — ზუსტად ასე მოვიქეცი. წიგნი დავხიე
და ფურცელ-ფურცელ ცეცხლს მივეცი.

ერთ წუთს ხმა არ ამოუღია.

— ხუმრობთ, — მითხრა მან ხრინწიანი ხმით.

— სრულიადაც არა, — ვუთხარი მე, — ასეთ საქმეში თანამიმდევრობას
ვიჩენ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენ მართლაც ნათლად დაინახეთ დიალექტი-
კური საწყისები ჩემს ნათქვამში?

— ვერა, ვერ დავინახე. მე უბრალო, პატიოსანი კაცი ვარ. რას შვრება
ჩემი ძმა? — ვკითხე მე, — როდის ინებებენ ბატონები ვახშმის დამთავრე-
ბას?

— ეს წუთია მათ ჩაროზი მიართვეს, — მითხრა მან, — დიდხანს აღარ
გაგრძელდება.

— რას მიირთმევენ? — ვკითხე მე.

— ჩაროზად?

— დიახ.

— ამის თქმის უფლება არა მაქვს, მაგრამ თქვენ გეტყვით: ქლიავის კომ-
პოტს ნაღებით. კარგი რამაა, გიყვართ ქლიავი?

— არა, — ვუპასუხე მე, — ქლიავის მიმართ ყოვლად გაუგებარი და
დაუძლეველი ზიზღი მაქვს.

— უნდა წაიკითხოთ პობერერის შრომა იდიოსინკრაზიის შესახებ. ყველა-
ფერი დაკავშირებულია ადრეულ, ხშირად დაბადებამდელ განცდებთან. საინ-
ტერესოა. პობერერმა რვაასი შემთხვევა ზუსტად გამოიკვლია. მელანქოლიკი
ბრძანდებით.

— თქვენ რა იცით?

— ხმაზე გეტყობათ. ილოცეთ და აბაზანა მიიღეთ.

— აბაზანა უკვე მივიღე, ლოცვა კი არ შემიძლია, — ვუპასუხე მე.

— სამწუხაროა, — მითხრა მან. — ახალ ავგუსტინეს შემოგწირავთ ან
კიერკეგორს.

— კიერკეგორი ჭერჭეროებით მაქვს, — ვუთხარი მე, — შეგიძლიათ ჩემს
ძმას კიდევ ერთი რამ გადასცეთ?

— სიამოვნებით, — მიპასუხა მან.

— უთხარით, ფული წამომიღოს, რამდენსაც იშოვის.

მან რაღაც ჩაიბურტყუნა, შემდეგ კი ხმამაღლა მითხრა:

— მხოლოდ ჩავინიშნავ, იმდენი ფული წამოიღოს, რამდენსაც იშოვის.

სხვათა შორის, თქვენ მართლაც უნდა წაიკითხოთ ბონავენტურა. დიდებული საკითხავია. მეტისმეტად ნუ აიგდებთ მეცხრამეტე საუკუნეს. თქვენი ხმა ისე ჟღერს, თითქოს მეცხრამეტე საუკუნე გძულთ.

— მართალია, — ვუპასუხე მე, — მძულს.

— ცდებით, — მითხრა მან, — სისულელეა. არქიტექტურა, არქიტექტურა, არქიტექტურა ისეთი ცუდი, როგორც ლაპარაკობენ. — მას გაეცინა. — დაელოდეთ, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, სანამ მეცხრამეტეს შეიძულებდეთ. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თქვენც გელაპარაკოთ და ჩაროზიც მივირთვა?

— ქლიავი? — ვკითხე მე.

— არა, — მიპასუხა მან და ოდნავ ჩაიცინა: — ჩემზე გამწყრალნი არიან და ბატონების კერძებით არ მიმასპინძლდებიან. მხოლოდ მსახურთა კერძს იმეტებენ. დღეს ჩაროზად მოხალული შაქრიანი პუდინგია. თუმცა, — ეტყობა მან კიდევ ერთი კოვზი პუდინგი ჩაიდო პირში, გადაყლაპა და ხითხითით განაგრძო: — თუმცა მე მათ სამაგიეროს ვუხდი, საათობით ველაპარაკები ტელეფონით ჩემს ყოფილ თანამოძმეს მიუნჰენში, ისიც შელერის მოწაფე იყო. ზოგჯერ კი ჰამბურგში ვრეკავ კინოს ცნობათა ბიუროში, ანდა ბერლინის ამინდის ბიუროს ვუკავშირდები და ამას ვაკეთებ მხოლოდ შურისძიების მიზნით. ახლანდელ სატელეფონო ქსელში, როცა საქალაქთაშორისო ნომერს თვითონ კრეფ, ვინ რას მიხვდება. — მან ისევ დაიწყო ლეჭვა, შემდეგ ჩაიხითხითა და ჩამჩურჩულა: — ეკლესია ხომ მდიდარია, შემზარავად მდიდარი, ისე ყარს ფულით, როგორც მდიდარი კაცის გვამი. იცით, ღარიბი კაცის გვამს რომ კარგი სუნი უდის?

— არა, — ვუპასუხე მე და ვიგრძენი, რომ თავის ტკივილი ცოტათი მომეშვა. სასწავლებლის ტელეფონის ნომერი წითელი წრით შემოვხაზე.

— თქვენ ურწმუნო კაცი ხართ, ხომ მართალია? არ მითხრათ, არაო. ხმაზე ააჩუკობთ, რომ ურწმუნო კაცი ხართ, ხომ ასეა?

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ეს არაფერს არ ნიშნავს, სრულიად არაფერს, — მითხრა მან. — წინასწარმეტყველ იესაიას წიგნში არის ერთი ადგილი, რომელიც მოციქულ პავლეს რომაელთა მიმართ ეპისტოლედან მომაქვს. მისმინეთ ყურადღებით: „რომელთა არა მიეთხრა მისთვის, იხილონ, და რომელთა არა ესმა, გულისხმა ყონ“. — მან ბოროტად ჩაიხითხითა. — მიხვდით?

— დიახ, — ვუპასუხე უხალისოდ.

უეცრად მომესმა ხმამალა ნათქვამი სიტყვები:

— სალამო მშვიდობისა, ბატონო დირექტორო, სალამო მშვიდობისა, — და მან ყურმილი დადო. მის ხმაში გაგულისებული მაამებლობა იგრძნობოდა.

ფანჯარასთან მივედი და საათს შევხედე, ქუჩის კუთხეში რომ ეკიდა. ცხრის ნახევარი ხდებოდა. ჩემთვის გავიფიქრე, საკმაოდ ბევრს ჰამენ. სიამოვნებით დაველაპარაკებოდი ლეოს, მაგრამ ახლა მხოლოდ იმ ფულის დარდი მქონდა, მას რომ უნდა ესესხებინა ჩემთვის. ნელ-ნელა ვხვდებოდი, რა სერიოზულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ზოგჯერ თავად არ ვიცი, რა უფრო მართალია, ის, რაც ასე ცხადად, ასე ხელშესახებად წარმოვიდგინე, თუ ის, რაც სინამდვილეში განვიცადე. ყველაფერი ერთმანეთში მერევა. დაფიციბით ვერ დავიფიცებდი, მართლა დავინახე ის ბიჭი ოსნაბრიუქში თუ არა, მაგრამ იმის დაფიციება კი შემიძლო, რომ ლეოსთან ერთად ბოძს ვხერხავდი.

ვერც იმაზე ვაგებ პასუხს, მართლა ფეხით წავედი ედგარ ვინეკენთან კალკში, ბაბუაჩემის ოცდამარქიანი ჩეკი რომ ნაღდ ფულად მექცია, თუ არა. მართალია, დეტალები ზუსტად მახსოვს, იმ ქალის მწვანე კოფთაც, თუნთუშები რომ მაჩუქა, ახალგაზრდა მუშის დაგლეჯილი წინდებიც — მუშამ წინ ჩამიარა, როცა ედგარის კარის ზღურბლზე ვიჯექი და ველურად დავხტე. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ ბრუკს ბროსს გზერხავდით, ლეოს ზედა ტუჩი ოფლით დაენამა, საკუთარი თვალით დავინახე. ზუსტად მახსოვს აგრეთვე იმ ღამის ყოველი წვრილმანი, როცა მარის კიოლნში პირველად მოეშალა მუცელი. ჰაინრიჰ ბელენმა მომიხერხა რამდენიმე საღამო გამემართა ახალგაზრდებისათვის, ყოველ გამოსვლაში ოც მარკას მიხდიდნენ. მარი მეტწილად თან მიმყვებოდა, მაგრამ იმ საღამოს შინ დარჩა, რადგან არ იყო კარგად. გვიან საღამოს, როცა ჯიბეში ცხრამეტი მარკა მედო და შინ დავბრუნდი, ოთახი ცარიელი დამხვდა. გაუსწორებელ საწოლზე სისხლიანი ზეწარი დავინახე, კომოდზე კი ბარათი ვიპოვე: „საავადმყოფოში ვარ, საშიში არაფერია, ჰაინრიჰმა ყველაფერი იცის“. იმწამსვე გავიქეცი ჰაინრიჰთან და პირქუშ ეკონომ ქალს ვათქმევინე, რომელ საავადმყოფოში იწვა მარი. შემდეგ საავადმყოფოს მივაშურე, მაგრამ შიგ არ შემიშვეს. მონაზონმა ქალმა მანამდე არ შემიშვა ჭიშკარში, სანამ ჰაინრიჰი არ მოვაძებნინე საავადმყოფოში და ტელეფონით არ გამოვაძახებინე. ბოლოს ღამის თორმეტის ნახევარზე, როგორც იქნა, შემიშვეს მარისთან, მაგრამ ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო. გაფითრებული მარი ლოგინში იწვა და ტიროდა. მის გვერდით ჩამოძდარი მონაზონი ლოცულობდა და კრიალოსანს მარცვლავდა. სანამ მე მარის ხელი მეჭირა და ჰაინრიჰი ჩუმად უხსნიდა, რა მოუვა იმ არსების სულს, რომელიც მან ვერ გააჩინა, მონაზონი მშვიდად განაგრძობდა ლოცვას. მარი, ეტყობა, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბავშვი — ასე ეძახდა მას — ვერასოდეს ვერ მოხვდებოდა ზეცაში, რადგან არ მონათლულა. მარი დაუსრულებლად იმეორებდა, ბავშვი განსაწმენდელში დარჩებაო, და იმ ღამეს პირველად მივხვდი, თუ რა საშინელ აბდაუბდას ასწავლიან კათოლიკებს საღმრთო რჯულის გაკვეთილებზე. ჰაინრიჰი სრულიად უმწეო აღმოჩნდა, ვერაფრით ვერ განუქარვა მარის შიში და სწორედ ის, რომ იგი ასეთი უმწეო იყო, მე სანუგეშოდ მივიჩნიე. ჰაინრიჰი ლაპარაკობდა ღვთის მოწყალებაზე, რაც „უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე თეოლოგების იურიდიული მოსაზრებები“, მთელი ამ ხნის განმავლობაში მონაზონი ლოცულობდა და კრიალოსანს მარცვლავდა. რელიგიის საკითხებში მარი უკიდურესად ჯიუტი იყო — ჰაინრიჰს ეკითხებოდა, სად არის გავლებული დიაგონალი კანონსა და ღვთის მოწყალებას შორისო. მე სიტყვა დიაგონალი დამამახსოვრდა. ბოლოს ოთახიდან გავედი და თავი სრულიად ზედმეტ, გარიყულ ადამიანად ვიგრძენი. დერეფანში ფანჯარასთან გავჩერდი, სიგარეტს მოვუკიდე და კედლის მიღმა მდებარე ავტომობილების სასაფლაოს მივაჩერდი. კედელი თითქმის მთლიანად საარჩევნო პლაკატებით იყო დაფარული. „გამოუცხადე ნდობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“, „ხმა მიეცი ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს“. მათ აშკარად უნდოდათ, ამ აუწერელი სიბრყვით გული დაემძიმებინათ ავადმყოფებისათვის, რომლებსაც იქნებ თავიანთი პალატებიდან კედლისათვის შეეხედათ. „გამოუცხადე ნდობა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“. პირდაპირ გენიალურია, თითქმის ლიტერატურულ მოწოდებასავით

ვდებოდა იმ სიჩლუნგესთან შედარებით, მეორე პლაკატზე რომ ეწერა: „ჩმა მიეცით ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს“. ღამის ორი საათი ხდებოდა. მოგვიანებით მე და მარი ვკამათობდით, მართლა მოხდა თუ არა ის, რაც დაგინახე. მარცხნიდან გამოჩნდა უპატრონო ძაღლი, რომელმაც ჩვენი ფეხები დაყნოსა, შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პლაკატი, მერე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პლაკატი და სწორედ ამ პლაკატს მი-
აშარდა. ამის შემდეგ ქუჩას ძუნძულით გაჰყვა მარჯვნივ, იქითკენ, სადაც ქუჩა მთლიანად იკარგებოდა სიბნელეში. ყოველთვის, როცა ამ სავალალო ღამეს მოვიგონებდით, მარის ან ის არ სჯეროდა, რომ მართლა დავინახე ძაღლი, და თუ ძაღლის არსებობაში მეტანხმებოდა, არ სჯეროდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პლაკატს მიაშარდა. მარი მეუბნებოდა, მამაჩემმა ისეთი დიდი გავლენა მოახდინა შენზე, რომ ქვეშეცნეულად იცრუებდი, ჰეშ-მარიტებას უღალატებდი და ძაღლს რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პლაკატი წაებოდა, შენ მაინც ეცდებოდი დაგერწმუნებინე, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პლაკატი წაბილწათ. ამავე დროს მამამისს სოციალ-დემოკრატიული პარტია უფრო სძულდა, ვიდრე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ასეც რომ არ იყოს, რაც ვნახე, ვნახე, მორჩა და გათავდა.

ხუთი საათი იქნებოდა, როცა ჰაინრიხი სახლამდე მივაცილე. სანამ ერენფელდს მივყვებოდით, იგი ყოველი სახლის კარზე მანიშნებდა და ლულულულებდა: „აქ ჩემი სამწყსოს ცხვრები ცხოვრობენ, აქ ჩემი სამწყსოს ცხვრები ცხოვრობენ“. ჰაინრიხის ბუზლუნა, ყვითელწვივებიანმა ეკონომმა ქალმა ანჩხლად მოგვაძახა: „რას ნიშნავს ეს?“ მე სახლში წავედი და დიასახლისს რომ არ დაენახა, სააბაზანოში შევიპარე და ზეწარი ცივი წყლით გავრეცხე.

ერენფელდი, მურა ნახშირით დატვირთული მატარებლები, სარეცხის თოკები, აბაზანა, რომლითაც სარგებლობა აგვიკრძალებს. ღამე ჩვენი ფანჯრის წინ ზოგჯერ ყუმბარასავით ჩაიქროლებს ნაგვით სავსე პარკი, მაგრამ აფეთქების მაგიერ ტყაპუნის ხმის. დიდი-დიდი გამსკდარი პარკიდან კვერცხის ნაქუჭი გამოცვივდეს და ირგვლივ გაიფანტოს.

ჰაინრიხი ჩვენ გამო ისევ წაეჩხუბა მღვდელს, რადგან უნდოდა საქველმოქმედო ფონდიდან ჩვენთვის ფული ესესხებინა. მე ისევ ედგარ ვინეკინს მივაკითხე, „ამავე დროს ლეომ საათი გამოგვიგზავნა დასაგირავებლად. ედგარმა ცოტაოდენი ფული გამოგვითანა მუშათა სოციალური დაზღვევის სალაროდან. ერთი სიტყვით, ჩვენ შევძელით წამლისა და ტაქსის ფულის გადახდა და სამკურნალო ხარჯების სანახევროდ დაფარვა.

გამახსენდა მარი, მონაზონი, რომელიც ლოცულობდა და კრილოსანს მარცვლავდა, სიტყვა „დიაგონალი“, ძაღლი, საარჩევნო პლაკატები, ავტომობილების სასაფლაო და ჩემი ცივი ხელები, ზეწარს რომ ვრეცხავდი. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვოდი, რომ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა. ვერც იმის მტკიცებას დავიწყებდი, თითქოს ის ბერიკაცი, ლეოს ინტერნატიდან რომ მელაპარაკებოდა, მართლა ურეკავდა ბერლინის ამინდის ბიუროს იმ მიზნით, რომ ეკლესიისათვის ფინანსიური ზარალი მიეყენებინა. მაგრამ მე ხომ მართლა გავიგონე ეს სიტყვები, ისევე, როგორც მისი პირის წკლაპუნის და ლუკმის გადაყლაპვა, როცა შაქრიან პუდინგს მიირთმევდა.

ტონინო გუერა

თ ა ფ ლ ი

(პოემა)



იტალიურიდან

თარგმნა მისხილ ქვლივიძემ

თაფლი და ნაღველი

ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ტონინო გუერას, როგორც კინოსცენარისტს იცნობენ ფელინისთან და ანტონიონისთან ერთად მან შექმნა სცენარები ფილმებისთვის: „ამარკორდი“, „გემი კი მიცურავს“, „ბლოუ-ამ“, „წითელი უდაბნო“. ამ სცენარებით გუერამ მთელ მსოფლიოში მოიხვეჭა სახელი. ცოტა ხნის წინათ ჩვენ გავეცანით მწერლის დახვეწილ, ძალზე სევდიან და მართალ რომანს „ჩიტების გუნდი“, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „რადუგამი“.

იტალიაში ტონინო გუერაზე რომ ჩამოვარდება სიტყვა, პირველ ყოვლისა, მის რომანულ დიალექტზე დაწერილ ლექსებს იხსენებენ. ტონინო გუერა ხომ დიდი და თვითმყოფადი პოეტი! ის ლექსებში უმღერის თავის კუთხეს, მშობლიურ სოფელ სანტარკანჯელოს, სადაც ბავშვობა და სიყმაწვილე გაატარა.

ლექსების წერა გუერამ ძალზე ტრაგიკულ ვითარებაში, ტროისდორფის გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკში დაიწყო. 1944 წლის ზაფხული იყო მაშინ.

აი, რას მოგვითხრობს თვითონ გუერა ამის თაობაზე.

წელიწადში ერთხელ, აგვისტოს თვეში, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე, მშობლიურ სანტარკანჯელოში წარმოვიდგენ თავს: ვითომ ვდგავარ კალეჯატას ეკლესიის კედელს მიყრდნობილი.

1944 წლის 5 აგვისტო იყო. მოკავშირეები უკვე უახლოვდებოდნენ სანტარკანჯელოს, თუმცა წელა მოიწევდნენ წინ — ორ, სამ კილომეტრს თუ გაივლიდნენ კვირაში. მოახლოებული აღსასრულის წინათგრძნობით გონს გადასული გერმანელები და ადგილობრივი ფაშისტები მხეცობას მხეცობაზე სჩადიოდნენ. სანტარკანჯელოდან თითქმის ყველა მკვიდრი გაიხიზნა, რამდენიმე ბერიკაცის და ხანდაზმული ქალის გარდა. დაბომბვას და ზვავს გაუბოდნენ. მეც გავიხიზნე, მაგრამ სახლში დარჩა ჩემი საყვარელი კატა ბარულაუნი. მე წარმოვიდგინე, როგორ დაიმშეოდა საწყალი და... ველარ მოვითმინე: ბოთლით რძე, ცოტა საკმელი წავიძლევანიე და უჩუმრად ჩავედი სოფელში.

ტონინო გამომცდელად მიყურებს — იქნებ გაუფრთხილებლად მოვიქცევი? — ხელებს შლის ის. — არ დაგავიწყდეს, სულ რაღაც ოცდაორი წლის ვიყავი და რატომღაც მტკიცედ მჯეროდა, რომ ცუდი ამბავი არასდროს შემემთხვეოდა. მაგრამ შევცდი. მახსოვს, მოედანზე გადავჭერი და ვია ვერდზე ჩავუხვიე, ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ჩუმად მივუახლოვდი სახლს, კარი გამოვალე და უცებ ვიღაცამ მხარზე ხელი შემავლო. შეშინებული მოვბრუნდი — მეზობელი შემრჩა, მოხუცი მორინი. „ააა, შენ ხარ?! რაღა ზურგიდან წამომეპარე?“

„ჩუ, — ტუჩზე მიიღო თითი, — რატომ დაბრუნდი?“, „კატა უნდა დავაბურო“, — მონინის ოდნავადაც არ გაპკვირვებია. „დააბურო და მერე ჩემთან მოდი, გადაუდებელი საქმე მაქვს“.

ყველა კუთხე-კუჩქული დავათვალიერე სახლში, მაგრამ კატას ვერ მივაგენი. მაღალი ვედი და, პოი საკვირველებავ, რას ვხედავ? — ჩემი კატა ხმაგაკმენდილი მიძვრება ატშის ხეზე. ღმერთმანი, ბარულაუნი დავინახე, სუნთქვაშეკრული მიიწევდა კენწეროსაქვან, რატომ ზღაპრად ჩამომყდარი ჩიტი არ დაეფრთხო. აი, ასწია თათი... უკანასკნელ წამს ჩიტმა შეწყვიტა სუნთქვა და გაფრინდა. სიხარულისგან ტაში შემოვკარა. კატამ რომ დამინახა, ხიდან ჩამოხტა და დაიკნავლა. — გუერამ ამოისუნთქა. — სულ ეს იყო ჩემი სიხარული. მეზობელმა შემატყობინა, რომ წუხელ ჩვენი სოფლელი პარტიზანი ნინო მოლარი დაეხვრიტათ, ისიც ოცდამეცამეტის იყო. — ტონინო ღუმდა ერთ წუთს, შეიძლება მეტ ხანსაც...

„ნინოს ფურცლები დარჩა და დღესვე უნდა გადავცეთ მარიოს, სიგარეტის გამყიდველს, — მითხრა მეზობელმა — მე ამას ვერ შევძლებ, მითვალთვალევენ. წაიღებ, ტონინო?“ სახითათო დავალება იყო. არ იფიქრო, ლევ, რომ მე მეტისმეტად ვაბედული ვარ. უბრალოდ დარწმუნებული ვიყავი, ხიფათი არ დამატყდებოდა. — ტონინო კვლავ დადუმდა. საერთოდ აუჩქარებლად ლაპარაკობს, ფიქრიანად.

— მე დავთანხმდი. ფურცლები პიჯაკის ჯიბეში ჩავიდე და მოედნისკენ გავემართე. მოედანზე გერმანელები საქონელს ერეკებოდნენ, გლეხებისთვის წაერთმიათ. მე ეკლესიის კედელს ავეკარი, ველოდი, როდის ჩაივლიდნენ... და ამ დროს ახალგაზრდა ფაშისტმა ზურგში ავტომატი მომაბჯინა. ალყაში მოვექცეი... როდესაც ფაშისტური პარტიის აღვილობრივ განყოფილებაში მიმიყვანეს, მცველმა ჩაიცინა და მხლებელს პკითხა: — „დღეს რა, მარტო ეს ღლაპი უნდა დავხვრიტოთ?“ ალბათ მართლაც დამხვრეტდნენ, ერთი გლეხის ქალი რომ არ ყოფილიყო იქვე, ფაშისტური პარტიის განყოფილების სახლთან. სატვირთო მანქანაში ჩამავსეს, რათა სხვა „დეზერტირებთან“ ერთად გასამგზავრებელ პუნქტში წავეყვანეთ, იქიდან კი გერმანიაში მიპირებდნენ გადასროლას. გასამგზავრებელ პუნქტში ყველა სათითაოდ გაგვსინჯეს, მე ხომ ფურცლები მეწყო ჯიბეში. და უეცრად ცაზე თვითმფრინავი გამოჩნდა. „ინგლისელებისა!“ — დაიყვირეს მცველებმა და მიწაზე გაფვნენ. ეს ერთი წუთი საკმარისი აღმოჩნდა, რათა გლეხის ქალისთვის (სიბრაღულით აღსავსე თვალებით რომ მომჩერებოდა) ფურცლების შეკვრა გადამეცა. „სასწრაფოდ დაწვი!“ მან თავი დამიკრა, დაიხარა და ფურცლები კალათაში დამალა. — ტონინომ ლოყა მოიწმინდა, მღელვარება დაეტყო.

— ერთი წლის შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკიდან რომ დაბრუნდი, ჩემი მხსნელი მოგნახე. მივედი მასთან და ხელზე ვეამბორე. — ტონინომ გაიღიმა — ღმერთო, როგორ გაწითლდა, პირისახეზე მეწამულმა ფერმა გადაჰკრა... ბარულაუნიც გადარჩა, ეშმაკუნა... — კიდევ სხვა რამეზე გადაიტანა ტონინომ საუბარი — მაგრამ ჩიტებზე მონადირე კატად იქცა. მე კი მხატვრულ სახეებზე „ნადირობას“ მივეც ხელი. იცი, ჩემთვის მხატვრული სახე — თანისუფალი ჩიტია, რომელიც უნდა დაიჭირო და მოიშინაურო... მაგრამ მე მგონი, სხვა რამეზე გადავერთე... მერე საკონცენტრაციო ბანაკი იყო. კატორღული შრომისგან ძალაგამოცლილი ტუსაღები ბარაკებში რომ ბრუნდებოდნენ, სამშობლოზე ნაღველი და დარდი უქამდათ გულს. მერწმუნე, ეს შიმშილზე უფრო მტანჯველია! ბანაკელებს შორის ჩემებურებიც იყვნენ — გლეხები, ხელოსნები. პოდა, ერთ საღამოს მათი გამხნეება გადავწყვიტე და ჩვენებურ დააღლიტზე დაწერილი ლექსები წავუკითხე. კაცმა რომ თქვას, ეს ლექსები კი არა, პატარ-პატარა ამბები იყო, მარტივი და სადა. თუმცა შენ წაკითხული გაქვს და იცი, რაც დავწერე...

მე დავეთანხმე. ეს ლექსები სხვა ტუსაღის, დოქტორ სტროკის მეშვეობით შემოგვრჩა. სიკვდილი ემუქრებოდა, მაგრამ არ შეშინდა, ჩაიწერა ლექსები და განთავისუფლების შემდეგ, სათუთად შენახული ყვითელი ფურცლები გუერას გადასცა.

ტონინოს შუბლი გაეხსნა, მას თავისი პირველი პოეტური ჩანაწერები უკვე სამუდამოდ დაკარგული ეგონა. ბანაკში შექმნილი ლექსებიდან უმრავლესობა შევიდა კრებულში „ხარები“. ეს წიგნი გამოსცა გამომცემლობა „რიცოლიმ“ 1972 წელს.

გუერას ლექსები მარტივია, უბრალო, — გლეხების შრომა-გარჯას, სანტარკანჯელის ბაღებს, ქუჩაბანდებს, ვიწრო მდინარე უზოს და მის ღერწმით დაფარულ ნაპირებს ასახავს.

უკვე ამ კრებულშივე ცხადი გახდა გუერას ერთი იშვიათი თვისება — უარსებითი სიტყვის მოძიება სტროფში. საიდან გაჩნდა ეს დახვეწილობა ლექსისა, სიტყვიერი სიზუსტე და პირველშობილი უბრალოება? ჩემი აზრით, სწორედ აქ გამოსკვივის გუერას ბედ-იღბლის თავისებურება. მან ხომ აღრე შეიტყო ფიზიკური და მორალური დაძაბულობის ზღვარზე მიმდგა-

რი ცხოვრების სიმძიმე. ცხოვრებისეული გამოცდილება, ეტყობა, ისე ამბავს, რომ ადამიანის აღქმას (რა თქმა უნდა, თუკი ის სულიერად მზად არის), რომ სწრაფად აღწევს სახეობრივ და სიტყვიერ უპრობლემას. ამ უბრალოებას „ღვთაებრივი“ უწოდა იტალიელმა მწერალმა და კრიტიკოსმა ჯუზეპე პრეცოლინომ. მე ამ ეპითეტს დაუშვებელი მგონია. გუერას ტრაგიკული ცხოვრებისეული გამოცდილება ბოლომდე აისახა მის შემოქმედებაში, რომელიც შეხედვით არცთუ მამზიდველ ლექსებში.

გუერა არ ესწრაფვის განაცხადების მკითხველი ენობრივი გამორჩეულობით, ფორმის რაღაც განსაკუთრებული დახვეწილობით.

ამ თარგმანების ავტორი, ქართველი პოეტი მიხეილ მელიქიძე თავის ლექსში P. S. ამბობს:

განა არ მესმის სიბნელის ყადრი
(საბელისათვის მეც მიომია)
და ნაინც ძველა „დარდი“ და „ვარდი“
ყველაზე კარგი რითმა მგონია.

ამ ჩვენ თვალწინ საკვირველი თანხედრია იტალიელი და ქართველი პოეტის მრწამსისა (განსხვავება მხოლოდ გუერას ნოვატორულ-რომანებშია — „პარალელური კაცი“, „ჩიტების გუნდი“, „წონასწორობა“)...

აქ ალბათ დროული იქნება, გუერა-პოეტის სცენარისტობაზეც ჩამოვაგდოთ სიტყვა. კინოში მუშაობამ მთელ მის შემოქმედებაზე მოახდინა ზემოქმედება, ამას თვითონ მწერალი აღიარებს, რა თქმა უნდა, თავისებური იუმორით.

— განა კინოსცენარისტის გამოცდილებამ არ შეჰმატა ჩემს ლექსებს ირონიის სიმძაფრე, მეტაფორების ცხოველყოფილობა, ფერის გამახვილებული გრძნობა? — მან ეშმაკურად შეშოშინა. — ეს მე კი არა, კრიტიკოსებმა თქვეს, ისანი კი კომპლიმენტებს აქეთ-იქით არ აფრქვევენ!

— ჰო, ტონინო, იმათ ისიც თქვეს შენზე, რომ გუერა ერთადერთი პოეტია, ფოთლების ცვენის ჩქამს რომ გვესმენსო, — ჩემი მხრივ ვადასტურებ მე და ვუმატებ: გუერას საოცარი უნარი აქვს გამოჰყოს ლექსში ის, რასაც შელოცვიმ „ახრობრივი დეტალი“ უწოდა და რაც სივრცეზე გვიქმნის წარმოდგენას.

გუერას ლექსი ჩვენ თვალწინ იძენს ჟღერადობას და ხილვადობას. ჩვენ თითქოს „უფროებით ხედვის და თვალებით სმენის“ უნარი გვენიჭება.

ყველაზე სრულად ეს ღირსებები გამოვლენდა ტონინო გუერას პოემაში „თაფლი“. ეს პოემა 1981 წელს გამოიცა გამომცემლობა „მაჯოლიში“ და პოეტის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებადაა მიჩნეული.

მაგრამ საკითხავია, რატომ მისცა გუერამ პოემას ასეთი არცთუ მომგებიანი სათაური?

შემთხვევით არ მოქვამს — „არცთუ მომგებიანი“. იტალიელი მწერლები და პოეტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი ნაწარმოების სათაურს, სათაურის ელვარებაზე და მიმზიდველობაზე ხომ ბევრწილადაა დამოკიდებული წიგნის წარმატება. გუერამ თვითონ უპასუხა ინტერვიუში ამ კითხვაზე ჟურნალისტ გუიდო ჯეროზეს.

„ეს ჩემი ყველაზე უფრო დასრულებული ნაწარმოებია. მასში თავმოყრილია ყველაფერი, რისი გადმოცემაც მუდამ მსურდა. მე მას „თაფლი“ დავარქვი. რადგან ეს ნაწარმოები მართლაც ცხოვრების თაფლზეა დაწერილი ანუ ისეთ წვრილმან, ყოველდღიურ რაღაცებს ეხება, რასაც მხოლოდ სიბერეში ან ავადმყოფობის ეპოს ვამჩნევთ... წყლით სავსე ჭიქა, მზის ათინათი, ყოველივე ეს გარკვეულ დრომდე ცხოვრებისეული მირაჟებით არის ხოლმე დაფარული“. — რატომ არის ეს, თქვენთვის უმნიშვნელოვანესი პოემა დიალექტზე დაწერილი? — იკითხა გუიდო ჯეროზამ.

„თაფლი მე მხოლოდ დიალექტზე შემეძლო დამეწერა, — უპასუხა გუერამ, — დიალექტი ჩემთვის უფრო ბუნებრივია, რადგან ის უფრო წმინდაა, სიტყვები არ არის გაცვეთილი, სიტყვებს გლეხკაცის თფლი დასდის, ნაოქები და კოფრები ატყვია. დიალექტური სიტყვები კონკრეტულია და ხელშესახები“.

რა წყობისაა გუერას შემოქმედებითი და ცხოვრებისეული მრწამსის ზედმიწევნით გამომხატველი ეს პოემა?

პოემა „თაფლი“ ცალკეული სიმღერებისგან შედგება. ეს სიმღერები გამჭოლი სიუჟეტით, ორი ძმის ამბით არის გათლიანებული. ძმები სიცოცხლის ბოლოს შეხვდნენ ერთმან-

ნეტს, ერთი მათგანი, უფროსი, რომში ცხოვრობდა და სოფელში დაბრუნდა, რადგან ქალაქში ვეღარ გასძლო. „ოთხი დღე იყო გასული, უკვე სამოცდაათი წლის რაც შევსრულდი, გავიქეცი და დაძრულ ვაგონს შევახტი“. უფროსი ძმა ვამისეულ სახლში დაბინავდა (მეორე ძმას ეს სახლი ერთი დღითაც კი არ მიუტოვებია). ეს უმცროსი ძმა ომის დაწყებამდე ტელეგრაფისტად მუშაობდა სადგურში, სადაც ორმოცი წელია მატარებელს არ გზავნიან.

ომის დროს აყარეს ლიანდაგები
და ალბათ იმათგან ქვემეხებს ასხამდნენ.

უმცროსი ძმა კი ზის და ელოდება. მაგრამ მას არაფერ არ იძახებს, თვითონ ისიც არავის გამოძახებას არ აპირებს. სოფელში სულ ცხრა კაცი დარჩა: ბერიკაცები, ქალები და ფილომენას ჭკუანაკლული ვაჟი. სხვები სამუშაოს საძიებლად წავიდნენ — ზოგი ავსტრალიაში, ზოგი ამერიკაში, ზოგი კიდევ ბრაზილიაში.

სოფელი კვდება. იღუპება ტონინო გუერასათვის ახლობელი გლეხური სამყარო. აი, რატომ ახლავს ამდენი წუხილი, ტკივილი და დარდი პოემას „თაფლი“.

სოფლის ნელი, შეუმჩნეველი აგონიაც მკაფიოდ და ხელშესახები სახეებით არის გადმოცემული.

ზოგჯერ ქუჩის ნათურებიც შუადღემდე ანთია, რადგან „მეზობელ ქალაქში ჩვენ უკვე დაგვივიწყეს“, ქუჩები კი ბალახით დაიფარა. ბალახი „ალაგ-ალაგლაა შერჩენილი, როგორც თმა მოხუცი კაცის თავზე“.

სასაფლაოს მდუმარება, სოფლის მოწყვეტილობა სამყაროსგან — თრგუნავს ჭირგამოვლილ ძველ მოსახლეებს, სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს ავტორი.

სადღაა მწვანე ჯეჯილი, მდელო,
ცერცვი და ქალის სწრაფი თითები,
პარკს რომ ჩურჩიან?*

— კითხვას სვამს პოეტი.

რომანიის წინანდელი, სოფლური ყოფა გუერას ჰარმონიულად და აზრიანად მიაჩნია.

თვითონ ის დიდი ხანია რომში ცხოვრობს, მაგრამ გულით და გონებით ისევ თავის სანტ-არკანჯელოში იმყოფება. ვხაშიც კი, მოგზაურობის ქამს (ის კი ძალზე ბევრს მოგზაურობა) გუერას არ ავიწყდება რომანია, იქაური ხალხი. საინტერესოა ის ამბავი, რომ რომანიის მკვიდრთა და ქართველთა აზრთა წყობაში, თვისებებში და ქცევაში ტონინო დიდ და საგრძნობ მსგავსებას ამჩნევს. საქართველოში პოეტი მუდამ დიდი სიხარულით ჩამოღის.

თუმცა სიტყვა თვითონ ტონინო გუერას მიეცეთ:

„ხშირად თქვენი ხალხის მიხრა-მოხრაში და ქცევაში ჩემს გლეხურ სამყაროს შევიცნობ ჩოლმე. რომანიის მაგონებს მინდვრად გაჭრილი ბილიკები, თბილისში მიმავალი მატარებლის ვაგონიდან რომ მოჩანს. ბერიკაცი ღობეს მიყრდნობია და სიყვარულით უმზერს, როგორ დაბაჯბაჯებს ბალახში ბატი, მერე ალერსიანად მოუხმობს თავისკენ. ბერიკაცის ამ გულისხმიერ დამოკიდებულებაში შინაური ფრინველისადმი და საერთოდ ცხოველებისადმი ისევ და ისევ ჩემს რომანიას შევიცნობ. თბილისში, ქვაფენილზე მშვიდად შეჩვენებულ ხალხს რომ შევყურებ, იგივე განცდა მეუფლება ჩოლმე. ქალების და მამაკაცების თვლებიდან ბრძნული სიმშვიდე და რაღაცნაირი უბიწოება გამოსჭვივის. ქართველი გლეხკაცის აუღელვებლობა, მისი დინჯი, ჭიუტი ნაბიჯი და უამრებამ განვლილი გზისკენ გამოხედვა — ჩემს მშობლიურ მხარეს მაგონებს“.

— გულახდილად რომ ვთქვა, საბჭოთა კავშირში ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება შუა აზიამ და სამარყანდმა მოახდინა, — მეუბნება გუერა. — ქალაქებიდან კი თბილისმა და სამარყანდმა. როდესაც ეწერდი მოთხრობას „ქალაქის გველი“, თვალწინ უზბეკეთის კამკამა ცის სილურჯე, სამარყანდის მეჩეთთა გუმბათების წარმოუდგენელი სილურჯე, ამუ-დარიის დამაბრმავებელი სიყვითლე და ქვიშრობის ყვითელი ზღვა მედგა. იცო, ღედამიწა ზღაპრულად ლამაზია და თუკი მას ატომური ომით დასაღუბავად გავწირავთ, არ გვეპატიება, თუკი, რა თქმა უნდა, დარჩება ვინმე განმკითხველი. როცა ამაზე დავძარი გამაფრთხილებელი სიტყ-

* თარგმნა მ. ქვლივიძემ.

ვა რომანში „პარალელური კაცი“, საშინაოება ნაკლებსარწმუნო ჩანდა. ამჟამად კი მრის-
ხანე საფრთხის წინაშე ვდგავართ. ექვი მეპარება, რომ ჩემს სიტყვას რაიმე ზემოქმედება
მოეხდინოს ბალხზე. პოეტები და მწერლები როდი არიან დღეს აზრთა მეუფენი. მოუხედავად
ამისა, მაინც საჭიროა წერა და ლაპარაკი, ყვირილიც კი, იქნებ ვინმემ ყუბად ედოს ნათქვამი.

ყოველივე ეს გუერამ უჩვეულო მღელვარებით წარმოთქვა.

სამყაროს ბედზე ფიქრი, გულისტკივილი, ეკოლოგიური და რაც მთავარია ატომური სა-
ფრთხის შიში მსკვალავს ტონინო გუერას შემოქმედებას. პოეტი დარწმუნებულია, რომ ადა-
მიანები ძველ ფასეულობებს დაუბრუნდებიან: დიალოგს, მოთმინებას, ურთიერთგაგებას.

გუერას მიზანძვის ღირსად მიაჩნია (წარსული ხომ ყოველთვის უკეთესი ჩანს) თავისი სიჭა-
ბუკისდროინდელი სოფლური ცხოვრება, გლეხკაცური სიწრფელე და შრომისმოყვარეობა.

მაგრამ საამისოდ ატომური ომის საფრთხე უნდა მოისპოს.

— ჩემს ლექსებში ჩაქსოვილი ამბების და პროზის მეშვეობით, განსაკუთრებით კი პოე-
მით „თაფლი“, — ამბობს გუერა — მე ვცდილობ ყველა დავარწმუნო, რომ ომზე ფიქრიც
კი დანაშაულია. ცხოვრების თაფლი კი შეიძლება იგემო და დატკბე ყოველი წვეთით, თუკი
ქვეყნად მშვიდობა იქნება. და თუმცა ეს თაფლი, ისევე როგორც ყოველივე მშვენიერი ცხოვ-
რებაში, „დაშნის წვერზე არის“, უნდა მოვიპოვოთ და გავუფრთხილდეთ.

ამ კეთილშობილ მიზანს ისახავს ტონინო გუერას, მშვენიერი იტალიელი პოეტის, პრო-
ზაიკოსის, სცენარისტისა და ჩვენი ქვეყნის მეგობრის შემოქმედება*.

ლევ კიკუნიძე

დედას,
მამას,
ბებიას,
პაპას,
პაპისპაპას
და ყველა იმათ,
ვინც მარტო დიალექტზე
მეტყველებდა.

სიმღერა პირველი

სამოცდაათი წლის და ოთხი დღის გავხდი იმ დღეს,
როცა სადგურში მატარებელს შევახტი, რადგან
ქალაქში ვეღარ ვჩერდებოდი სულშეხუთული
მარტოობით და უპაერობით.

ახლა სოფლად ვარ, ჩემს ძმასთან. ირგვლივ
სახლები სულმთლად დაცარიელდა.

ათას ორასი მოსახლიდან ცხრანილა დავრჩით:

მე — ჩამოსული, პინელა — გლეხი,

ბინა, ჩემი ძმა (ის ძველ სახლში ცხოვრობდა ისევ)

და ფილომენა იმ თავისი ჩერჩეტი შვილით

და კიდევ სამი პენსიონერი —

ისინი ძველად ხაბაზობდნენ, ახლა კი ქვემოთ,

სოფლის პაწია მოედანზე ისხდნენ და თვლემდნენ...

სხვა ყველა სადღაც გაიკრიფა: ამერიკაში,

ავსტრალიაში გადასახლდნენ, ბრაზილიაშიც,

* წერილი თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ.



სადაც, ამბობენ, გიჟმა ფაფინმა
ჩვეულებრივი დანით მოჰკლა იაგუარი,
რომელიც ფაფინს კატა ეგონა...
დიდი ხნის წინათ, ცხრაას ოცში, ჩვენი სოფლიდან
კალატოზების პატარა ჯგუფი,
ნავით ექვსი თვის მგზავრობის შემდეგ,
ზღვაში ცურვით და მდინარეთა ჩქერში ყურებით
გაბრუნებული და დაქანცული,
ჩინეთის კედელს მიაღგა ბოლოს,
რომელიც დროთა განმავლობაში
დანგრეულიყო და შეკეთებას
საჭიროებდა, ბინას მამაც იყო მათ შორის
და ვიდრე წერილს წაუღებდა მიქელ-გაბრიელს,
ყოველ წელიწადს თითო ბარათს შინ აგზავნიდა
(მათ „ბარათები ჩინეთიდან“ დაარქვა ხალხმა).
პირველ წერილში, — სალამის და მოკითხვის შემდეგ, —
იგი თბის ამბავს კითხულობდა, რომელიც მისი
გამგზავრების დღეს ავად იყო და ახველებდა.
შემდგომ ბარათში იგი წერდა: „ასე და ასე,
წუხელ, ვახშამზე, გველის ხორცი გიახელითო...“
მესამეში კი — ახსენებდა ვიღაც დედაკაცს,
უსასყიდლოდ რომ გაურეცხა შარვალ-ხალათი.
მეოთხე, ძალზე მოკლე წერილი
რალაც დაღვლარქნილ, გაუგებარი
ნიშნებით იყო აჭრელებული,
რაც უსათუოდ ნიშნავდა იმას,
რომ ბინას მამა ჩინელად იქცა
და ყოველივე დაივიწყა — სიტყვების ჩათვლით...

ჩემი მშობლები არსად წასულან.
მამას საეაჭრო ჰქონდა გახსნილი,
ნახშირსა ჰყიდდა. დედა აღრიცხვას
აწარმოებდა და წერა-კითხვის
უცოდინარი რადგანაც იყო,
მუშტრებს ორ ჯგუფად ახარისხებდა:
მკლე მუშტარს ხაზით აღნიშნავდა თავის დავთარში,
გასუქებულს კი წრიული ნიშნით,
ხოლო ამათში — ვის რამდენი ემართა, დედას
შესანიშნავად ახსოვდა მუდამ,
და როს მოვალე ფულს გადიხდიდა,
მის „გვარს“ წაშლიდა ჯვარედინ ხაზით...

აქ ერთობ კარგი ჰაერია. ქუჩების გასწვრივ
არხებში წყალი მოედინება.

ვერსად ვერ ნახავ ავტომანქანებს
და შუა გზაზე ძაღლები წვანან.

სიმღერა მეორე



დღეს დილით, ჭიშკარს გავცდი თუ არა,
მე მომეჩვენა, თითქო სახლში რაღაცა დამრჩა.
ორი ნაბიჯი გადავდგი და დავბრუნდი უკან.

და აი, ახლა, როცა საქმე არაფერი მაქვს,
სარკმელთან ვზივარ და ჩემივე თავს ვეკითხები:
„ეს გინდა?“ ანდა იქნებ „ის გინდა?“

ბუხარში დავწვი წიგნის ფურცლები,
კალენდრები და ატლასები და ჩემთვის ახლა
არც ამერიკა არსებობს და არც ავსტრალია.
ჩინეთი უკვე მარტო სუნია.
რუსეთი — თეთრი აბლაბუდაა,
ხოლო აფრიკა — ჭიქა წყალია,
რომლის დაღევა ყოველთვის მსურდა...
მესამე დღეა პინელას დავდევი,
რომელიც სოფლის სანახებში ველურ თაფლს ეძებს.

სიმღერა მესამე

ჩემი ძმა რკინიგზის სადგურში მსახურობს —
ტელეგრაფისტი.
სადგურს ეძახიან, თორემ აგერ უკვე
ორმოცი წელია ერთ მატარებელსაც
აქ არ გაუვლია.
გასული ომის დროს რკინიგზა აჰყარეს
და ლიანდაგების ლითონი, ეტყობა,
ზარბაზნებს მოხმარდა...

ზის ახლა ჩემი ძმა და სულ ელოდება.
რას? თვითონ არ იცის.
არავინ ეძახის, ისიც არასოდეს
არავის იძახებს.
სულ ბოლო დეპეშა ავსტრალიიდან იყო მოსული
და დაეძებდა რინო ფაბიოტს,
რომელიც უკვე დიდი ხანია
მიწაში იწვა.

იმ დღეს, როდესაც
მე მივაკითხე ჩემს ძმას, ის იჯდა

ჯიბეში ხელეჩაწყობილი, როგორც სჩვეოდა,
თეთრი თუნუქით გადახურულ ღია ბაჭანზე,
ჰაერის შიგნით —
და ჰაერი, გეგონებოდა,
მთლად დაკენკილი იყო ჩიტების მიერ.



მე ჩამოვჯექი მის გვერდით. ჩვენ წინ
უხვად ამოსულ ბალახებში ოდნავდა ჩანდა
კვალი ყოფილი ლიანდაგის, სადაც ოდესღაც
მატარებლები მიმოდიოდნენ.
ახლა იქ ზანტად დასერილობდა
ჭრელი დედალი.
მან ჩაგვიარა ისე, ერთხელაც
არც მიუხედავს ჩვენკენ, დალოცვილს.

სიმღერა ჟმოთხე

მაშ, ასე... კვირას ცხვრებმა რატომღაც
ბალახის ძოვას თავი ანებეს
და თავდახრილნი მინდორში გაჩერდნენ,
გეგონება, ჩაეძინათო.
ორშაბათს იგივე განმეორდა.
სამშაბათს ისინი წყალსაც არ სვამდნენ.
ერთი თვე გავიდა და მათი ჩხირებივით გამხშარი ფეხები
უკვე სხეულის ფიტულს ველარ იმაგრებდნენ
და ისეთი შთაბეჭდილება იყო,
თითქო ფოსოებიდან ამოცვენილი თვალები
საცაა შუბლის ძვალზე ჩამოცურდებიან
და მიწაზე გაგორდებიან.

ერთიმეორის მიყოლებით ცხვრები მიწაზე დაწვნენ
და მათი ჭუჭყიანი ბეწვი
ხელის შეხებისთანავე მტვრად იფშვნებოდა...

ყოველ დღით ფილომენა თავის ჩერჩეტ შვილს გვერდით მოისვამს
და იმ ოცდაათი ცხვრის ამბავს უყვება,
ახლა რომ აღარ ჰყავს.
შვილი უსმენს პირდაღებული
და ნიკაპი დორბლით უსველდება.
იგი ორმოცი წლისაა, მაგრამ უფრო ჯედად გამოიყურება
და წვერ-ულვაში ჯერაც არ ამოსვლია,
ქალებზე ფიქრს რომ არ გადაჰყოლოდა
(ქალები კი სულ თავში უტრიალებენ, შიშვლები,
და ხელუკუდმართობასაც მიაჩვიეს),
მას ერთხელ უთხრეს: ღვთის რაინდი ხარო.
თუ ასეა, მახვილი სადღაა?

მახვილს დაუცადე, ციდან ჩამოგივარდებაო. ისიც ელოდება.
დედამისი კი, ამასობაში, ისევ ცხვრის ამბავს ჰყვება.

მინდორში, სადაც ისინი სხედან,
მათ გარშემო დიდი თეთრი ქვები ყრია, ეს ქვები იმ დროიდანაა,
როცა პერტიკარას ახლო მთა აფეთქდა
და ციდან სეტყვასავით ათასი რამ ცვიოდა...

საღამოხანს დედა-შვილი დგებიან და შინ მიდიან.
ამ დროს, როგორც ამბობენ, თეთრი ქვებიც ატოკდებიან ხოლმე,
ბალახზე გახობდებიან
და იმ დახოცილი ცხვრებით
მათ მიჰყვებიან.

სიმღერა მახუთა

პირინ ევის — მამამისის სახელი აქვს,
მამამისს კი ეს სახელი პაპამ მისცა,
ხოლო პაპას — პაპისპაპამ, ხოლო იმას...
ერთი სიტყვით, ჩვენს სოფელში არასოდეს
არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი მაინც
გვარად ევი, პირინი არ გვყოლებოდა!..
თქვენ თუ იცით, ამერიკის მიწა-წყალზე,
ადრიატიკის გაზაფხული როცა დგება
და გარშემო ჰყვავის თეთრად ყველაფერი,
ველ-მინდვრებში, სადაც ხილის ბაღებია,
საგანგებო მატარებლებს დააქვთ ფუტკრით
გატენილი სკები, რათა ამ ფუტკრებმა,
ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფრინავენ,
როგორც კარგმა გამოცდილმა მაჭანკლებმა,
შეაჩვენონ, შეაუღლონ, დააწყვილონ
ყვავილები და ნექტარი, როგორც თესლი,
ვნებისაგან ბაგეგახსნილ გვირგვინებში
პაწაწინა ხორთუმებით ჩაუწყვეთონ!..

პირინ ევიც ამ ხელობის ოსტატია.
ისიც ყოველ გაზაფხულზე, უთენია
სანახებში გადის სკებით დატვირთული.
აქაც დადგამს, იქაც დადგამს, მერე თვითონ
სადმე ჩრდილში წამოწვება და უცქერის,
ირგვლივ როგორ ირხევიან ყვავილები
ფუტკრის მიერ დაორსულებული...

აი ასე ჩნდება ხილი, თორემ ისე
არც ვაშლი და არც ატამი,
არასოდეს არაფერი გვექნებოდა.

სიმღერა მენაქსე



ბინა ძველ ქოხში ცხოვრობდა
ერთ ვიწრო, მოღრეცილ ქუჩაზე
და თავის თხას
თხრილების გასწვრივ ასეირნებდა.

ქალი იყო თუ კაცი — ცნობა გაგიჭირდებოდათ.
ძუძუები ჰქონდა, მაგრამ ულვაშიც ეზრდებოდა
და მამაკაცის ბათინკები ეცვა.

ჩვენ, ბავშვებს, ძლიერ გვაინტერესებდა,
რა ხდებოდა ბინას კაბის ქვეშ,
მაგრამ ბინა იშვიათად შლიდა
მჭიდროდ მიტყუებულ, გრძელ ნიფხავში გახვეულ ფეხებს.

არავინ იცოდა, მამაკაცთან თუ უცხოვრია,
ან თუნდაც ცხოველთან, მაგრამ ცნობილი იყო,
რომ სამ ამერიკელ დას შორის
ერთს, უფროსს,
თხის წველას ასწავლიდა და ბოხი ხმით არიგებდა:
„თითები მაგრად მოუჭირე... გამოსწიე....
არ გაუშვა...“ ზოგჯერ კი
თავის დაკოჭრილ თათს ქალიშვილის ხელს დაადებდა
და უკანასკნელ მოძრაობას თვითონ აკეთებინებდა,
რომ ეჩვენებინა, როგორ უნდა გამოიწველოს
ცურში ჩარჩენილი ბოლო წვეთი...

ბინა ახლა თითქმის ასი წლისაა.
თხას მიჰყვება თავდახრილი
და თვალს არავის უსწორებს.

სიმღერა მენუვიდო

პიდოს ცოლი
ყოველ შაბათს „ლავატოიოში“¹ სარეცხს რეცხდა.
შუადღე რომ მოატანდა,
პიდო მიაკითხავდა თავის ქალს
და სარეცხის გაწურვაში ეხმარებოდა.

¹ lavatoio — ძველი, საზოგადოებრივი დანიშნულების სამრეცხო, სადაც
მარმარილოს აუზებში მოსახლეობა სარეცხს რეცხავდა.

დადგებოდა შუა ქუჩაში
და გრეხავდა ზეწრებს,
სანამ გრძელ, თეთრ გველებად არ გადააქცევდა,
რომლებსაც წურწურით წყალი ჩამოსდიოდა.



პიდოს ახლა ცოლი არ ჰყავს,
მან შაშვი გაიჩინა მგალობელი
და საღამოობით
თავის ძმაცაცებთან, ყოფილ ხაბაზებთან
ჯებისთან და ნანოსთან ერთად
მოედანზე ზის და იმათ გასართობად
„amor ti vieta“...-ს¹ ლილინებს ზოგჯერ
ჯორდანოს „ფედორა“-დან.

სიმღერა მერვე

წლეულს უქარო დღეები იდგა,
ჰაერი თითქმის არ იძვროდა და ამიტომაც
ხმელი ფოთლები ნოემბრამდე შემორჩა ტოტებს.
ხეები ახლა „ფოკარონეს“ მსგავსად ჩახჩახებენ²,

მონტებელოსთან, მარეკიას თუ დავუყვებით,
ქვემოთ, მთის ძირში მონასტერია
ასი წლის წინათ დაკეტილი, გაუქმებული,
რომლის ეზოში მხარგაშლილი კაკლები დგანან.

მე და ჩემმა ძმამ გალავანში ხვრელი მოგნახეთ
და იმ ძველ კაკლებს მივაკითხეთ, გაშლილ მკლავებით
აღმოდებელი რომ ეჭირათ ოქროს ღრუბელი.

და როცა ზარებს ჩამოვკარით,
ზარის გუგუნზე
ხეებს ერთბაშად ჩამოცვივდა ყველა ფოთოლი
და ჩვენ წინაშე გაშიშვლდნენ უცებ.

სიმღერა მეცხრე

ასი დღე წვიმდა. მონასტრის კრამიტს
შოლტავდა წვიმა კოკისპირული.
მთით მოვარდნილმა ნიაღვრის წყალმა

¹ „სიყვარული უფლებას არ მაძლევს...“ (იტ.) — არია ხსენებული ოპერიდან.

² focarone (იტ.) ასე ეძახიან უზარმაზარ კოცონს, რომელსაც იტალიელები ახალი წლის ღამეს ანთებენ შუა მოედანზე, რათა გასული წლიდან შემორჩენილი ძველი ნივთები დაწვან (ამ კოცონს დიდი თოჯინა აგვირგვინებს — ძველი წლის გამოსახულება).



ჩერ გალავანი გადაანგრია,
მერე ტაძარშიც შეიჭრა, ბოლოს
საძვალეთა და სამარხთა გავლით,
სარდაფშიც ჩაძვრა და დაასველა
უუძველესი ხელთნაწერები,
ბერების მიერ წიგნთსაცავში გადანახული.

ხოლო, როდესაც გამოიღარა,
საიათ-ნოვამ, ყმაწვილმა ბერმა,
გამოიტანა წიგნთსაცავიდან
დაშლილ-დამბალი, დაფურცლული ხელთნაწერები,
სხვენზე აზიდა თავისი ხელით
და გასაშრობად გაფინა მზეზე.

თითქმის მთელი თვე დარი იდგა... ბერი კი ამ დროს
მუხლმოდრეკილი უდარაჯებდა
სხვენზე გაფენილ მღუმარე ფურცლებს
და მოელოდა გულის ფანცქალით
მათ გაცოცხლებას, ამეტყველებას...

და ერთხელ, როცა დილის ნიავმა
სხვენზეც ღონივრად წამოუბერა,
ყმაწვილის სმენას უეცრად მისწვდა
რალაც შრიალი, ზუზუნის მსგავსი —
თითქოს ძველ სკაში მოფრენილიყვნენ
გადახვეწილი სადღაც ფუტკრები
და ზეიმობდნენ შინ დაბრუნებას...
და მაშინ მიხვდა საიათ-ნოვა:
ძველმა წიგნებმა აიდგეს ენა...
და აქვითინდა ყმაწვილი ბერი
და ცისკენ შვებით აღაპყრო მზერა.

სიზღვრა მკათე

დაცარიელდა შეღებილი ვარდისფრად სახლი,
რომლის წინ დიდი მინდორია, სადაც ოდესღაც
ცხენის ბაზრობა იმართებოდა
და ახლომახლო დაბეებიდან და სოფლებიდან
გლეხებს მოჰყავდათ გასაყიდად ბედაურები.

გაფარღალავდა სახურავი.
გაბზარულ კედლებს ბათქაში ცვივა.
ფანჯრებს მინები აღარ შერჩა და სახლის შიგნით
კარგა მოზრდილი ხეც გაზრდილა ატმის კურკიდან,
სოხანეზე რომ დაუგდია ვილაცას ძველად.



ეს სახლი, ასე იავარქმნილი,
სამ ამერიკელ დას ეკუთვნოდა,
გადარეული ფაფინის შვილებს.
ფაფინმა (თქვენ მას უკვე იცნობთ) ბრაზილიაში
რომ ველარ გასძლო, შინ გამოსწია.
ჯერ ზღვით იარა სამგზავრო გემით,
მერე კარეტა იქირავა გენუაში და
სამი დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ
სოფლებს ჯიბეგაფხეკილი გამოეცხადა!

არც მის გოგოებს გაუღიმა ბედმა: უფროსი
სამრეცხაოში, ერთხელ დილით, იპოვეს მკვდარი —
აბაზანაში დამხვრჩალიყო დედაშობილა
და მარტო სახეს უფარავდა თმა ყორნისფერი.
შუათანა და ფერარაში, საროსკიპოში
უნახავთ, ხოლო უმცროსი გოგო,
მე რომ მომწონდა... იგი ერთხელ, დღესასწაულზე
ძმამ საცეკვაოდ გაიწვია, ორივე ხელი
მხრებზე დაადო თათებივით და წაიყვანა...
მე კი ვიჯექი სულელივით და თავდახრილი
ფილებს ვითვლიდი იატაკზე — თეთრსა და ყვითელს.

სიმღერა მათეართმეტა

ნოემბრის პირველ რიცხვებშივე (ორი დღის უკან)
ნისლი ჩამოწვა — მქისე და ბლანტი,
„დანით გასაჭრელს“ რომ იტყვიან, სწორედ ისეთი.
ხეები ჭირხლით დიიფარა. გზა და მინდორი
თითქოს ზეწარში გაეხვია. მერე თანდათან
გამოიღარა, მზემ გააშრო დამბალი მიწა
და მხოლოდ ჩრდილში ჭიდევ დარჩა გრილი სინესტე...

პინელამ ვენახს მიაშურა, ნამჯის ჩელტებით
(მათი კონები ყურზე ჰქონდა შემოდებული)
ვაზებს ახვევდა, ამაგრებდა ჭიგოზე ლერწებს.
მე მას ფეხდაფეხ მივყვებოდი და ვუყვებოდი
ქალაქურ ამბებს, ყოველივეს, რაც იქ გადამხდა,
და ვწუხდი წარსულ ცხოვრებაზე, წლებზე, რომლებიც
ისე უკვალოდ, ისე სწრაფად შემომეცალნენ,
რომ თითქოს ქვეყნად ერთი წუთიც არ მიცხოვრია...
ბოლოს ვუთხარი: აღსასრულის მაწუხებს მოსვლა.

პინელა შედგა, შემომხედა. ნამჯის კონები
მიწაზე დადო და სიჩუმე გამეფდა სრული
(მხოლოდ ისმოდა: სადღაც ბუჩქში უსტვენდა ჩიტი

და ირხოდნენ უხმაუროდ ტოტები ხეთა)...
 — გაწუხებს? — მკითხა. — რატომ? ის ხომ თავს არ გვაბეზრებს?
 სიკვდილი მხოლოდ ერთხელ მოდის, რას სწუხარ ნეტა?!

გერმანული
 ბიბლიოთეკა

სიმღერა მეთორმეტე

როდესაც წვიმს, შენ გსიამოვნებს —
 გეგონება, ბებერ ძვლებს გბანდეს წვიმა.
 როცა სეტყვაა, შენ გეჩვენება —
 კალიები შეგასხდნენ მხრებზე და ხტიან განუკიხხავად.
 ნისლი კი ერთბაშად შლის შენს ფიქრებს
 და მარტო ჩაუმქრალ სანთლებს ტოვებს ტვინში,
 რომლებიც იწვის და იღვენთება.

წუხელ იყო თუ იმის წინაღმართ —
 თოვლმა დაფარა გზა და მინდორი.
 გათენებისას მე და ჩემი ძმა კარში გავედით
 და რაღაც უცნაური დიდი ცხოველის კვალი დავინახეთ თოვლში.
 დათვია?
 ნაფხურები სოფლის განაპირას იწყებოდა
 და შუა მოედანზე თავდებოდა,
 გეგონება, ის ვიღაც თუ რაღაც მიწას მოსწყდა,
 ჰაერში აიწია და გაფრინდა.

სიმღერა მეცამეტე

ბავშვობიდანვე მიყვარდა ლელქაში.
 მდინარის პირას, შამბნარებში
 ვკრეფდი ნედლ, ჯერ კიდევ მწვანე ღეროებს,
 სახლში მიმქონდა,
 მთელი ზაფხულის განმავლობაში მზეზე ვაშრობდი
 და მერე — კოლოს სუნთქვასავით ამჩატებულებს —
 სხვენზე ვინახავდი.

როცა ზამთარში ყინვა ძვლებში ატანდა
 და ჭერმის ძირში მიყუჩული კატები
 საწყალობლად ხაოდნენ,
 მე მაშინ სხვენზე ავირბენდი,
 გათოშილ ხელებს ხმელ კონებში შევაცურებდი
 და მათში შემონახული მზის სიმხურვალით
 ვთბებოდი.

სიმღერა მეთოთხმეტე



დილით ფუტკარმა ფანჯარაში მოგვიკაკუნა,
უკეთეს დღეთა მობრძანება გვახარა. ბინამ
თავისი ტლანქი ფეხსაცმელი უკვე გაიძრო
და ფეხშიშველი — თხას ასეირნებს.
მზე ისეთია, გეგონება, მისი სხივები
წმინდა ძაფივით გაიყრება იმ ნემსის ყუნწში,
ფილომენას რომ უჭირავს ხელში...
ჩაიბურტყუნა პინელამ: „კმარა.“
და თოხ-ნიჩაბი მიწაში ჩაფლა.

ჩემი ძმაც სახლში ადრე დაბრუნდა,
ზის ახლა ხის ქვეშ და ვერ ისვენებს.
დროდადრო დგება, სულ ეჩვენება,
თითქოს შორიდან ტელეგრაფის კაკუნი ესმის...

ეზოში, მიწის მკვრივი ქერქიდან
ნორჩმა ბალახმა თავი ამოჰყო,
რომ მაგრძნობინოს ჩემი სიბერე.
ავიღე მეც და ფეხით გავსრისე,
სახლში გაჩენილ ხოჭოებს რომ ხოცავენ, ისე.

სიმღერა მეთხუთმეტე

მარტის მიწურულს მთებსა და ველებს
მოულოდნელად თავს დაადგა შავი ღრუბელი.
იგი იდგა და არ იძვროდა — არც წინ, არც უკან.
თავდაპირველად მრგვალი იყო,
მერე გაიწელა, დაიკლავნა,
ხან კასრს დაემსგავსა, ხან თივის ბულბულს,
ხან კი უშველებელ გველს, რომელსაც თავი და ბოლო
არ უჩანდა.
დროდადრო მარაოსავით იშლებოდა, გამჭვირვალე ხდებოდა
და მაშინ ჰაერში
თითქოს ქინქლები ირეოდნენ შავი წერტილებივით.

მე და ჩემს ძმას ნამგალები გვეგონა რუსეთიდან ჩამოფრენილი.

ღრუბელი კი განუწყვეტლივ იცვლებოდა.
ისევე ბურთივით გაიბერა, გამკვრივდა, ტყვიისფერი გახდა
და ოვალური ჩრდილი მინდორს დააფინა.
ხან დაბლა ეშვებოდა, ხან ისევ მაღლა აიწევდა
და იმ ადგილებში, სადაც მიწას ეხებოდა,
ღია ფერის ლაქები რჩებოდა,
თითქოს ჯამქრალი კოცონის ნაცარიით

გაცივებული.

და ასე, თანდათანობით, მთელი მინდორი
ოდესღაც ფოთლით, ბალახით და პურის თაველებით
ამწვანებული —

განაცრისფრდა, გათეთრდა, შეშინებული კაცის სახეს
დაემსგავსა.

მერე ღრუბელმა ერთბაშად მთას გადაუარა და მგზობა
გაქრისფრდა.



ქართული

საქართველო

მკალი ხომ არ იყო, ის თხერი?

სიმღერა მკალიდგება

ჩემი ძმა სარგადაცლავლივით დადის.

უკან შემოიწყობს ხელებს,

თითებს გადანასკვავს

და ისე მიაბიჯებს, გეგონება, მიწისმზომელიაო.

ფეხსაცმლის ზონარს რომ ისკვნის,

ცალფეხს აუცილებლად

კიბის საფეხურზე ჩამოდგამს.

როცა დილაობით პირს იბანს,

ოხრავს, ვიშვიშებს, ფრუტუნებს

და სიცივისგან კანკალებს.

ულვაში სწორი და გრძელი აქვს,

მაგრამ გაბზეკილი კი არა,

ნესტოებთან ზეაშვერილი.

ფარფლებიან ქუდს ლოგინშიც არ იცილებს.

თავს არასდროს მოატრიალებს,

თუ დაუძახე, მთელი ტანით შემობრუნდება

და მოგაჩერდება.

ჩვევები და მოძრაობები იგივე შერჩა,

რაც ადრე ჰქონდა:

ასანთის ღერს ლანჩაზე გაუსვამს და ისე აანთებს.

კოვზი მუჭაში უჭირავს.

ზოგჯერ გაჩერდება შუა ოთახში,

კედელს მიაშტერდება

და მელოდირ, ფლეიტისმაგვარ ჰანგზე

სტომაქში დაგროვილ აირს გამოუშვებს ისე,

განსვენებულმა მამაჩვენმა რომ იცოდა...

სიმღერა მეცხრაშეტა

ერთხელ, ზაფხულში, მოედანზე გავედი,
მზეზე გავჩერდი და ვხედავ:
ქუჩები ხალხით ივსება, როგორც ოდესღაც,
როცა აქ აბრეშუმის ბაზრობა იმართებოდა.



მევირაღა ქალებს
ფეხებში ჩაუდგამთ ჭიის პარკით გატენილი ტომრები,
ზემოდან თავიანთი წინსაფრები გადაუფარებიათ
და ორსულებს დამსგავსებიათ.

მაგრამ უმაღლვე ჩვენება გაჰქრა.

და მე ვიყავი
როგორც მოედნის შუაგულში დარქობილი ლურსმანი,
რომელიც თავის მცხუნვარე ჩრდილს
ქვებზე აფენდა.

სიმღერა მათცა

ჯერ იყო — მსხვილმა წვეთებმა ტოტები ააქანავეს
და ჩვენ ფანჯარაში ვიუურებოდით და ველოდით,
როდის გაბანდა წყალი
სიცხისგან შეწუხებულ, დაკმუჭნულ ფოთლებს.
მერე — კოკისპირულად დასცხო ისე, როგორც თვით ღმერთს
უნდოდა,
და მაშინ ჩვენ ფანჯრის რაფაზე ჭიქა დავდგით,
რომ სანტიმეტრებით გაგვეზომა წვიმის წყალი.

საათის ოთხზე მზემ გამოანათა
და ფანჯრის მიღმა გაბრწყინდა ჭიქა
პირამდე გავსებული.

მე და ჩემმა ძმამ დავცალეთ ბოლომდე ჭიქა —
ნახევარი იმან დალია, ნახევარი მე
და მერე ჭის წყალს შევადარეთ
ის, ციდან ჩამოსული სრიალა წყალი,
რომელსაც ელვის სუნი გამოჰყოლოდა.

სიმღერა ოცდამეერთე

ჭერამს სიყვითლე შეეპარა მკათათვის ბოლოს.
მთელი აგვისტო გრძელდებოდა ფოთლების ცვენა
და სექტემბრისთვის ხეს არ შერჩა ერთი ფოთოლი.

მე და ჩემი ძმა ვერთობოდით: ძირს ჩამოვარდნილ
ფოთლებსა ვკრეფდით და ვითვლიდით, თანაც ხმამაღლა.
მე გავყვიროდი: „ათას ერთი და... ათას ორი...
ათას სამი და... ათას ოთხი... და ათას ხუთი...“
ის კი აღრიცხვას აგრძელებდა: „ათას მეექვსე...
ათას შვიდი... ათას მერვე... მეცხრე... ათას...“
ასე, ყოველდღე თავს ვიჭყევდით, სანამ პირამდე
სამი ტომარა არ გავავსეთ გამხმარი ფოთლით.



ერთხელ, შუადღით, ძმამ შეწყვიტა ფოთლების კრეფა,
გაბრაზებული შინ შებრუნდა, სიტყვაც არ უთქვამს.
მერე გავიგე, რა ეწყინა: თურმე „სულელი“
მიწოდებია მისთვის (როდის, არ მახსოვს თვითონ)
იმის გამო, რომ მას გამორჩა ერთი ფოთოლი.
მე მითქვამს: „ორი ათას თხუთმეტი“,
იმას კი: „ორი ათას ჩვიდმეტი“
და „ორი ათას მეთექვსმეტი“ არ ჩაუთვლია!

თითქმის მთელი თვე დავდიოდით გაბუტულები,
პირს ვარიდებდით ერთმანეთს და ხმას არა ვცემდით,
თავდახრილები პურსა ვჭამდით... ამასობაში
ჭირხლი და ნისლი პალტოს მხრებზე ილექებოდა
და ცრეცდა მაუდს, მზეზე უკვე გამოხუნებულს...

სალამობით ჩვენ ბუხართან ვისხედით უბრაოდ
და იმ ხმელ ფოთლებს, რიგრიგობით — ხან ის და ხან მე —
ცეცხლში ვყრიდით და ვუყურებდით, როგორ იწვოდა.

სიმღერა ოცდახუთრა

შემოდგომით,
როცა ხეები გაშიშვლდნენ,
უამრავი ფრინველი მოფრინდა.
ისინი დაღლილები ჩანდნენ
და ტოტებზე ჩამოსხდნენ:
გეგონებოდა, ფოთლები იყვნენ შინ დაბრუნებულები,
რომ ტოტებზე ექანავათ.

სიმღერა ოცდამესამე

დღეს დილიდან ჩემი ძმა რაღაცას ეძებს.
მთელი სახლი გადააქოთა,
მაგიდის ყველა უჯრა გამოსწია,
ტანსაცმლის კარადაშიც შეიხედა,
პიჯაყის და პალტოს ჯიბეები ამოაბრუნა,
სკივრიც გახსნა, თავიანად შიგ შეძვრა

და ყველაფერი ამოჰყარა, საწოლის ქვეშაც შეიხედა,
სამზარეულოშიც არ დატოვა არაფერი მოუჩხრეკავი...

დადის ოთახიდან ოთახში და თითქოს ვერ მამჩნევს.
ჩემს ლოგინშიც რომ დაიწყო ქექვა,
ვერ მოვითმინე და ვკითხე: რა გინდა, რას ეძებ-მეთქი? —
არ ვიციო, — მითხრა, — ჯერ ლურსმანს ვეძებდი, —
მერე ღილს, მერე ყავის მოხარშვა მინდოდა,
ახლა კი შენი ხმა მინდა გავიგონო,
თქვი რამე, თუნდაც სისულელე.

სიმღერა ოცდამეხუთე

თითქმის მთელი თვე
მე და ჩემმა ძმამ ფანჯარასთან გავატარეთ.
რაფაზე გადმოყუდებულები, მიწის იმ ნაპერს მივჩერებოდით,
ჩვენი ეზო რომ ერქვა.

ზაფხულიც მოვიდა.
ახლა ჩვენ სოფლის დაცარიელებულ ქუჩებში დავენეტებით,
ერთმანეთს არ ვუყურებთ, არც ველაპარაკებით
და ისე ვიქცევით, თითქოს უცხონი ვიყოთ.

მოედანზე ელნათურები
ზოგჯერ შუადღემდე ანთია —
მუნიციპალიტეტს არა მარტო ჩვენ ვავიწყდებით,
მათი ჩაქრობაც ავიწყდება
და მზის შუქზე ეს ბრჭყვიალა წერტილები
გაგიჟებულ ციციანთელებს გვანან.

ქუჩები მოკირწყლულია.
აქ ოდესღაც სიბი და პრიალა რიყის ქვა ეგო,
ახლა კი ქვებს შორის ბალახი ამოსულა
და ფეხქვეშ რბილად გვეგება.
როცა საღამოვდება, ჩვენ მიწაზე ვწვებით,
ცაში ვიყურებით
და ქვებს შორის ამოსულ მეჩხერ ბალახს,
მოხუცის კეფაზე შერჩენილ თმას რომ გავს,
ანგარიშმიუცემლად ხელს ვუსვამთ.

სიმღერა ოცდამეექვსე

ტოტებისგან ფარდული ავიგე,
მთელი დღე სკამზე ვზივარ
და მდინარეს გავცქერო...

ერთხელ სალამოს, ვხედავ:
ჩემი ძმის თეთრი იხვი მოცურავს ჩემკენ
(ძმას საფრინველე ჰქონდა
სახლის ზემოთ, მდინარის სათავესთან).

დრო გავიდა და მეორე იხვი გამოჩნდა,
მერე მესამე, მეოთხე... ასე
კვირაში თითო-თითო ფრინველი...



მე მივხვდი, რომ ეს იხვები კი არ არიან,
ძმის ფიქრებია, რომლებსაც იგი ჩემთან აგზავნის.

ერთ დღეს კი, დილაადრიან
იხვების მთელი გუნდი დავინახე:
ისინი ფარდულთან მოცურდნენ
და საშინელი ყიყინი ასტეხეს

და მაშინ მე —
ცუდი წინათგრძნობით შეშფოთებული
შინ გავიქეცი...

სწორედ ამ დროს გამეღვიძა:
იატაკზე ვეგდე, საწოლიდან ჩამოვარდნილი.
ჩემი ძმა ოთახში შემოვიდა და შუქი აანთო.

სიმღერა ოცდამეხვიდე

ხელები ჯიბეში, ხელები ჯიბიდან.
შუა ოთახში დგომა, კედელთან მისვლა
და შემოწმება: არიან თუ არა კედლის ღრიკოებში
მძინარე ხოჭოები.
მერე სკამზე დაჯდომა და მოცდა,
სანამ ძმა დასაძინებლად ემზადება.

მერე მე და ძმა სახლიდან გავდივართ,
მივყვებით ქუჩას, რომლის გასწვრივ ლელქაშია ამოსული
და შუა ქუჩაში ვჩერდებით.

მარჯვნივ — მთებია, მარცხნივ — ზღვაა.
იქ, სადაც მთებია, მზე ჩადის და მკრთალდება.
იქ, სადაც ზღვაა, მთვარე ამოდის და შუქით ივსება.
ეს ორი საგანი, ბურთივით მრგვალი,
ერთიმეორეში ირეკლება, როგორც სარკეში,
და ჩვენ თავს ვატრიალებთ — ხან აქეთ, ხან იქით ვიყურებით,
რადგან გვგონია,
ორ მზეს შუა ვართ მოქცეული.

სიმღერა ოცდამეჩვი

მე ვფიქრობ, კაცი სიბერეში ძუნწი რომ ხდება,
სულაც არაა გასაკიცხი, რადგან ამ ხნისთვის
მის ტვინში უკვე ისადგურებს მოწყენილობა.



მე თუმცა უკვე სამოცდაათს გადავაბიჯე,
მოწყენილობა, მადლობა ღმერთს, არ განმიცდია.
ახლაც ბეჯითად ვსაქმიანობ: ყოველ საღამოს,
დაღამებამდე დიდი ხნით ადრე
მთელ სახლში, ყველა ოთახებში სინათლეს ვაქრობ
და არად ვავდებ ჩემი ძმის ბუზღუნს,
რომელიც ბნელში ავეჯს აწყდება...

საზრუნავს სახლში რა გამოვლევს:
ასანთის დამწვარ ღერებს ვაგროვებ
(ყურის საჩიჩქნად გამოდგება), გარდა ამისა,
შაქრის მარაგსაც მიხედვა უნდა —
ძმას ტკბილი უყვარს, ეს კი უთუოდ
ღვიძლისთვის ძლიერ საზიანოა.

თვით საკუთარი თავის მიმართაც
უშეღავათოდ ვიქცევი: თუმცა
თაფლის გიჟი ვარ, მაინც, კვირადღით,
ბუფეტის ღია კართან რომ ვდგავარ,
თაფლის კოვზს სუფთად გავლოკავ ხოლმე...

სუფრა ჩვენ არ გვაქვს, მის მაგივრობას
გაზეთი გვიწევს. მერე ამ გაზეთს
ვიყენებ ცეცხლის გასაჩაღებლად.
ღამით, როდესაც ერთი ჩვენგანი
ეზოში გადის და ერთადერთი
სანთელი მიაქვს, მაშინ მეორე
ზის სიბნელეში... ამასობაში
გადის საათი, ორიც და მეტიც,
გადის მთელი თვე... ტვინი კი ამ დროს
კარგად მუშაობს — ნათლად და საღად.

სიმღერა ოცდამეცხრე

ღამით რალაც ხმამ გამომალვია.
იგი უბრალოდ ყვირილს არ გავდა —
ძახილი იყო. ჩვენ გავიგონეთ
სახელი. იქნებ ჩემი სახელიც.
ფანჯრებს ვეცით და... კარში არავინ,
არც ოთახებში, არც სხვენზე — არსად.

საწოლის ქვეშაც შევიხედეთ, გზაზეც გავედით...
რაშია საქმე? ნუთუ გვესიზმრა?
კი მაგრამ... როგორ? მეც და ჩემს ძმასაც,
ორივეს ერთად — ერთი სიზმარი?

მაშ ასე: წუხელ სიბნელეში გვეძახდა ვიღაც.
ვისი ხმა იყო — კაცის თუ ქალის?



სიზმარა ოცდაათე

მეათე დღეა მე და ჩემი ძმა შინ ჩაკეტილები
ლოგინში ვწევართ და გარეთ არ გავდივართ.
რაზე არ ვილაპარაკეთ! საზამთროც გავიხსენეთ,
კიტრივით რომ დაგრძელდა და ოვალური გახდა,
წყალწყალა ატამიც, სადღაც გაფრენილი მერცხლებიც,
სახნავი მიწაც, რომელსაც ნაკელი თუ არ გაურიე,
ფერფლივითაა...

მთელი ღამე ხორბლის ხარისხზე ვსაუბრობდით,
განსაკუთრებით „მენტანაზე“,
რომელსაც მოკლე ღერო აქვს და ისეთი გამძლეა,
გრიგალიც ვერ წააქცევს;

მაგრამ „მენტანა“ უკვე გადაშენდა, აღარავის მოჰყავს,
ახალი ჯიშის ხორბალი კი
შიშშილობის დღესავით გრძელია
და ნიაემაც რომ წამოუბეროს,
კახპა ქალივით წაუწვება...
და საერთოდ, სამწუხაროა,
რომ ქვეყანა ასე გაოხრდა და დღითი დღე უარესდება...

მაგრამ აი, ერთხელ დილით
მე და ძმა ლოგინიდან ავდექით
და სკივრში საგულდაგულოდ გადანახული
ჩვენი სადღესასწაულო კოსტუმები ამოვიღეთ,
რომლებიც დიდი ხანია არც ერთ ჩვენგანს არ ჩაგვეცვა.
ჩემი პიჯაკი და შარვალი ჩინებულად მოერგო ძმას,
მისი კოსტუმი თითქოს ჩემს ტანზე იყო შეკერილი.

ჩვენ ჯერ არ ვიცოდით, სად წავიდოდით,
მაგრამ კარი რომ გავაღეთ,
ჩვენ წინ, ეზოს გადაღმა, მინდორში
თეთრად აყვავილებული ალუბლები დავინახეთ,
რომლებიც ცისფერ ჰაერში
დღესასწაულებით გამოიყურებოდნენ...

და მაშინ მე და ჩემი ძმა
მონუსხულებივით გავჩერდით კიბის საფეხურზე
და ხმის ამოუღებლად ქუდები მოვიხადეთ.

სიმღერა ოცდამეტიერთში



ეზოში დავდიოდით და ძმა დავინახე —
ფანჯარაში გადმოყუდებულიყო.

თავი მოვიფხანე და იმანაც მოიფხანა.
ქუდი მოვიხადე და იმანაც მოიხადა,
ყველა ჩემს მოძრაობას იმეორებდა:
პიჯაკიც გაიხადა, ყელსახვევიც მოიხსნა, პერანგიც გაიძრო,
გატიტვლდა ისე,
თითქოს ჩემთან საჭიდაოდ ემზადებოდა...

მთელი ათი წუთის განმავლობაში
თვალებში მივჩერებოდით ერთმანეთს.
მერე მე ზურგი შევაქციე და მოედანზე წავედი,
ის კი ფანჯარაში გაუჩინარდა.

სიმღერა ოცდამეთორმეტში

ოცი დღის წინათ ჭიქაში ვარდი ჩავდე
და მაგიდაზე დავდგი.
როცა ფურცლებს ჭკნობა შეეპარა
და ათრთოლდნენ,
სასწრაფოდ მაგიდას მივუჯექი
და ვარდს მივაჩერდი,
რომ სიკვდილი მენახა მისი.

მთელი დღე და ღამე ვუცდიდი დილით,
საათის ცხრაზე ვარდს პირველი ფურცელი მოსწყდა
და მე ვიმარჯვე: პეშვით დავიჭირე...

მე მომაკვდავის სარეცელთან არასდროს ვმჯდარვარ.
მაშინაც კი, დედაჩემი როცა კვდებოდა,
მახსოვს, სახლიდან მოშორებით, ქუჩის ბოლოში
ვიდექი ჩემთვის, ხეს მიყრდნობილი.

სიმღერა ოცდამეცამეტში

ამ ზაფხულს სოფელს მკალივით შეესიენ
ის მაწანწალა ახალგაზრდები,
ყველგან რომ ცხვირს ყოფენ და ყველაფერში ეჩრებიან,
გზად მიმავალ სატვირთო მანქანებს რომ მიჰყევიან

სადღაც, აღთქმული ქვეყნებისკენ,
აფრიკაში ან ავსტრალიაში.



ისინი სამი ამერიკელი დის სახლში გაჩერდნენ,
სადღაც კედლებს შორის მთელი ჰაერი
ატმის ხეს უკავია, იატაკზე ეძინათ
და მარტო ხელის გაშვება სჭირდებოდათ,
რომ ნაყოფი მოეწყვიტათ და დანაყრებულიყვნენ.

ეს გოგო-ბიჭები ფეხშიშველი დაეხეტებოდნენ
უკაცრიელ ქუჩებში,
ყვიროდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს სახეში მტვერს აყრიდნენ,
თან ნემსებს იკეთებდნენ — მკლავში ან ბარძაყში —
და აინუნში არ აგდებდნენ არაფერს...

მე უკვე ყბა მომეჭცა ერთიდაიმავეს გამეორებით,
რომ მათ თავი მოაბეზრეს ყველას,
რომ ისინი ადამიანები არ არიან
და საერთოდ... მათი დედა ვატირე!

ისინი რომ წავიდნენ,
ფილომენას ტუტუცი შვილიც მათ გაჰყვა.

სიმღერა ოცდაათოთხმეტე

ჯერ მალევიძარა მოიშალა,
მერე ჩემი ძმის ჯიბის საათიც გაჩერდა —
ვიღაც მემანქანის ნაჩუქარი.

და მაშინ ჩვენ
მზის სხივების მეშვეობით ვიგებდით დროს.

როდესაც სამზარეულოში, ბუფეტის თავზე
თინათინი ათამაშდებოდა,
ეს ნიშნავდა — დილის ცხრა საათია.
თორმეტზე, სხივი უკვე ბუფეტში შეძვრებოდა
და თაროზე ჭიქებს ააბრჭყვიალებდა.
მოგვიანებით კედელზე გადაინაცვლებდა,
ორივე საწოლს მოივლიდა
და ბოლოს — ეჭვსზე —
ოთახის კუთხეში გაბმულ აბლაბუდაში
გაიხლართებოდა და გაქრებოდა.

როდესაც წვიმდა, ჩვენი გაფაციცებული სმენა
ქუჩიდან შემოჭრილი ხმაურის მიხედვით იგებდა დროს.
საქმარისი იყო ბინას ფეხის ხმა გაგვეგონა

და ჩვენ უკვე ვიცოდით: დილის შვიდია.
შუადღისას — ბინა შინ ბრუნდებოდა.
კრიჭინები შუალამით წყვეტდნენ კრიჭინს,
ფილომენა კი ხორბლის გაცხრილვას
ყოველთვის ნაშუალამევს იწყებდა, ორზე,
და საცერს თითებს უტყაპუნებდა...
მაგრამ ერთხელაც, მგონი კვირა დღეს,
ჩვენ ყველაფერი აგვერია: ვერ გავარკვეით
დილის ეჭვისი იყო თუ საღამოს ეჭვისი.
და მაშინ მივხვდით: ყურთასმენაც დაგვაკლდა
და ის ხრახნებიც მოგვეშალა, თავში რომ გვეწყო.



სიმღერა ოცდაათხუთმეტა

წყალი და ცეცხლი და მერე ფერფლი
და მხოლოდ ძვლები ამ ფერფლსა შიგან
და დედამიწა გახვეული მთრთოლვარე ბუღში...

სადღაა მწვანე ჯეჯილი, მდელო,
ცერცვი და ქალის მარდი თითები
პარკს რომ ჩურჩნიან? საღაა ვარდი,
გიტარა, ძაღლი, კატა და ეზო?
ქვაფენილები და ლობეები?
სადღაა პირი, რომელიც მღერის?
კალენდრები და მდინარეები
და ძუძუები რძით გავსებული?

სად გაჰქრა ყველა ზღაპარი ანდა
სადღაა მათი დამწერი, როცა
ერთი სანთელიც არსად ანთია?
სად დაიკარგა დრო უსასრულო
თავის დღეებით და საათებით
და მოკაკუნე მოკლე წამებით?

ცაში მზე ბრუნავს და ამოძრავებს
გაქვავებული საგნების ჩრდილებს.

მე თვით საღა ვარ? ან ის სად არის?

უკვე ზღვის ფსკერზე წევს ვენეცია
და ისე მოჩანს, ვით ძვლების გროვა.

მაგრამ განკითხვის დღეც დადგება, ცა გაიხსნება
და ხმა ძლიერი მოუხმობს იმას
ვინც მოიგონა, რაც კი არსებობს:
ბორბალი, რიცხვი,

საათი, დროშა...

მაშინ ა დ ა მ ი წამოდგება და შეუპოვრად

თავაღებული ღმერთს ეახლება

და მოახსენებს: დაშნის წვერზე იყო ის თავლი,

შენ რომ ოდესღაც გვიწყალობე, მაღალო ღმერთო!



სიმღერა უკანასკნელი

ამჟამად ძმები სოფლის სასაფლაოზე განისვენებენ

გვერდ-გვერდით, მუხის ძირას,

იქ, სადაც დაბრეცილი ჯვარია თავადის ქალის საფლავზე,

რომელსაც ორმოცამდე მამული ჰქონდა

და თავისი საკუთარი რეზინის ბორბლებიანი ეტლით

დასეირნობდა...

აღდგომიდან შობამდე

ძმები თურმე შინ ისხდნენ ჩაკეტილები

და გარეთ არამც თუ არ გამოსულან,

ფანჯარაში ცხვირიც არ გამოუყვიათ.

მერე ხმა დაირხა,

თითქოს ერთ ძმას მეორე საკუქნაოში ჰყავდა დამწყვდეული

და პურსა და წყლის მეტს

არაფერს აძლევდა.

თან ავინებდა, მაგრამ სალანძღავი სიტყვა

რატომღაც ყელში ეჩხირებოდა

და ბლუსავით ბუტბუტებდა.

როცა მოლოზანმა ქალმა კარი შეანგრია,

ძმები უკვე აშმორებულ ნაგვის ტომრებს დამსგავსებოდნენ

და საავადმყოფოში

დიდხანს არ გასტანეს.

ისინი იწვნენ რკინის ვიწრო საწოლებზე

ერთმანეთის გვერდით,

(მათ შორის მარტო ტაბურეტი იდგა)

ერთმანეთს არ უყურებდნენ,

მაგრამ ერთი ძმის ხელი მეორეს ეჭირა ხელში

და ისე დალიეს სული,

ერთმანეთისთვის ხელი არ გაუშვიათ*.

* პოემაში გამოტოვებულია XVI, XVIII, XXIV სიმღერები.



მოთხრობა

ხომხურიდან თარგმნა ზეზვა მადულაშვილმა

კლასში გვყავდა სამადი, მადათი, ამირხანი, — მაგრამ „თათარს“ მაინც არტავაზდს ვეძახდით. ახლა ვიცი, რატომაც: მისი ძმები, დახდებოდნენ თუ არა თითო წლისანი, კვდებოდნენ. მასზე უწინ დაბადებულ ძმებზე გეუბნები — დახდებოდნენ თუ არა თითო წლისანი, თურმე მაშინვე კვდებოდნენ, და ბებერ დედაკაცებს დედამისისთვის რჩევა მიეცათ, ბავშვისთვის თათრის ან ქურთის რომელიმე უცხო სახელი დაერქმიათ, ვითომდაო სიკვდილი ვერ მიხვდება, რომ ამ უცხო სახელს სომეხი ბიჭია ამოფარებული და ისევე, ხელცარიელი გაბრუნდება უკანო ასე ყოფილა. მის დედ-მამას ყურად ელო დედაბრების რჩევა, ახალი ბავშვისთვის თათრისა თუ ქურთის უცხო სახელი — არტო დაერქმიათ და ლოდინს შესდგომოდნენ. ერთხელ ერთი მოწყურებული გამვლელი იმათ მესერს გადაჰყუდებოდა, დედამისისათვის ერთი ჭიქა წყალი ეთხოვა და გულზე ატატებული მისი თითო ბავშვისათვის დიდხანს სიცოცხლე ესურვებინა. დედამისს ნალვლიანად გაჰლიმებოდა და ეთქვა, ასე-ასეაო, უცხო სახელი დავარქვით, რადგანაცო... მაშინ გამვლელსაც ნათელი ღიმილი გადაჰფენოდა და მიეგო, ეგ უცხო სახელი კი არა, ნამდვილი სომხური სახელიაო. დედამისი ელდისაგან გაქვავებულიყო, მამამისი კი უსასოო ღიმილით ჩამომჟღარიყო მსხლის ქვეშ. ეგრე ყოფილიყო.

სახელი სომხისა ერქვა, მაგრამ ბავშვი მაინც არ მომკვდარა, ცოცხლობდა და მთელი კლასი „თათარს“ ეძახდა. ერთხელაც კლასში სკოლის დირექტორი შემოვიდა, კლასი ფეხზე ააყენა, თვითონ მძიმედ, სერიოზულად, მკაცრად, მღუმრიად გააჩერდა კლასსა და მანამდე იდგა ასე მღუმარი, სანამ ჩვენი მისდამი პატივისცემა რაღაც შიშისმაგვარ გრძნობაში არ გადაიზარდა, მერე კი სამხედრო ბრძანებასავით გამოგვიცხადა, ყველას ჩვენ-ჩვენი სახელი გვაქვს და ამას იქით ამ სკოლაში მეტსახელის ხსენება აღარ გავიგონოო. თავები ნელა მივაბრუნეთ „თათრისაკენ“ და ამ დროს დირექტორმა დაიჩურჩულა: „სწორდით! თქვენ-თქვენ თავებს მიხედეთ!“ მისი ჩურჩულის გასაგებად ვისუსებოდით და სუნთქვა გვეკვროდა მწვანეთვალეზგამკაცრებული, კლასის წინაშე ასე იდგა მანამდე, სანამ ყველა ჩვენგანში საერთოდ და ყოველ ჩვენთაგანში სათითაოდ არ დაიდასტურა ჯარისკაცული მორჩილება. მხოლოდ ამის

შემდეგ გავიდა საკლასო ოთახიდან და, ჯერ კარგად არც კი იყო მიფარებული, „თათრისთვის“ უკვე ახალი მეტსახელი — „უცხო“ გვქონდა შერქმეული.

„უცხოს“ დედა ბიბლიოთეკის დამლაგებლად მუშაობდა, ჰგვიდა. წყალ მოჰქონდა, მტვერსა სწმენდდა და წიგნს წიგნებშია თავდაყირა სტრეფიდა. ზღაპრად გავწერა-კითხვის უცოდინარი იყო. მას ბიბლიოთეკის ძველი ბიბლიოთეკის ზუნგი, ზედ რომ ცარცის ხსნარით ეწერა — „მოსწყდნენ უცხოელი დამპყრობლები!“ — სახლში წაეღო, გაერეცხა და იმ მუქი წითელი ნაჭრისაგან შვილისთვის ხალათი შეეკერნა.

„უცხოს“ მამა გულით ავადმყოფი იყო, კვნესოდა და არა კვდებოდა, ვაივიშობდა და მაინც არა კვდებოდა, კნასიკნუსობდა და ფრონტზე არ მიდიოდა, შინ იჯდა, თავის შვილთან. ჩვენთან კი არა, თავის შვილთან. სოფელში ისღა იყო ერთადერთი მამაკაცი... და მას სცხვენოდა, რომ სოფელში ისღა იყო ერთადერთი მამაკაცი. ის ხანდახან ცულს გამოართმევდა ხოლმე ჩვენს დედებს, რომ დახმარებოდა ისეთ სამამაკაცი საქმეში, როგორიც შეშის დაჩეხვაა, მაგრამ ორიოდ მოქნევის შემდეგ შუბლზე ნაოჭებს დაისხამდა და გულზე იტაცებდა ხელს. კვნესოდა და არა კვდებოდა, კნასიკნუსობდა და არა კვდებოდა. ამ კვნესაში იყო, მამა იყო, თავის შვილს, თავის „უცხოს“ მამობას უწევდა, მათემატიკური ამოცანების ამოხსნაში ეხმარებოდა, ჩვენი მამები კი ფრონტზე იყვნენ. დილა-სისხამის ყინვისაგან ხელები მქონდა დამსკდარი, როგორღაც ვახერხებდი ძროხებისათვის თივის დაყრას, როგორღაც ვახერხებდი ნიჩბით გომის გამოხვეტასაც, მაგრამ კალმის დაჭერას უკვე ვეღარ ვახერხებდი — თითის წვერებზე ეკალს მასხამდა, მერე როგორ ბასრსა და მჩხვლეტავს! ან რატომ ვამბობ — „ჩემი ხელები“, „ჩემი თითები“-მეთქი, ყველასაც ასე გვქონდა ხელები დაშაშრული, მაგრამ მე მახსოვს ჩემი ტკივილი, ჩემს სხეულს ახსოვს მხოლოდ საკუთარი ტკივილი.

როცა წითელხალათიანი „უცხო“ კლასში შემოვიდა, ყველას გვეგონა, გოგო შემოვიდაო. მერე ვნახეთ, რომ გოგო კი არა, „უცხოა“, წითელი ხალათი აცვია და ჩვენ კი, დანარჩენი ბიჭები, ყველანი დარიჩინისფრად გამოვიყურებით, ჩვენი შინაქსოვი მატყლის ტანსაცმელი ერთპირად დარიჩინისფერია. ჩვენ გაყინულ ხევს ქვევით, სამხერხაომდე ჩავდევდით, იქ მუხის ქერქს მოვიგუდურავდით და სახლებში ვეზიდებოდით, რომ ჩვენს დედებს იმ ქერქით მატყლი დარიჩინისფრად შეეღებნათ, „უცხოს“ კი აგე, უცებ, წითელი ხალათი არ აცვია?! ყველანი წუთით დავდუმდით და დუმბილშივე გავიფიქრეთ, რომ „უცხოს“ მამა კვნესის კი, მაგრამ არა კვდება, რომ „უცხოს“ დედას ბიბლიოთეკიდან წითელი ტილო მოუპარავს და შვილისთვის წითელი ხალათი შეუკერავს. მე ნერწყვი ჩავყლაპე და არ მითქვამს, რომ დედამისმა, მაშასადამე, მოიპარა წითელი...

— გოგოს ტანსაცმელი ჩაგიცვამს! — უთხრეს სხვებმა.

„უცხომ“ გრძელი, ქალური წამწამები დახარა და ნერწყვი გადაყლაპა. თვალი მოვკარი, როგორ აუვიდ-ჩაუვიდა გაღებული ყანყრატო. წავედი და დავჯექი ჩემს ადგილას, რათა მოშორებითა ვყოფილიყავი და თან სამასხარაო არაფერი დამცდენოდა მასზე. მაინც ვერა და ვერ შევძელი არ მეშვირა მისი წითელი ხალათისათვის.

— შენ დროშა ხარ! — ეუბნებიან.

— შენ გმირობის დროშა ხარ!

მერე მადათის ხმელი ხმა მოსწვდა ჩემს ყურს:

— შენ მამაშენის გმირობის დროშა ხარ!

„უცხო“ თვალმდებარე იდგა და მათგან განშორებას ვეღარ ახერხებდა. შემოვიდა ისტორიის მასწავლებელი ქალი. ყველამ თავ-თავის ადგილს მიაშურა, წითელხალათიანი „უცხო“ კი მთელი კლასის წინაშე უხევედ იდგა, თვალმდებარე.

— რატომ არა ჯდები შენს ადგილზე? — მიუბრუნდა მასწავლებელი.

— წითელი ხალათი აცვია და იმიტომ! — დაიძახეს ბიჭებმა.

— დიახ! — თქვა ისტორიის მასწავლებელმა.

ზოზინით, თითქოს აყალო ლაფში მიირწევო, იგი წამოვიდა და დაჯდა ჩემ წინ, თავის ადგილზე. მთელი კლასი მას მისჩერებოდა.

— წითელი ხალათი ჩაუცვამს! — უთხრეს ახლა ბუნებისმეტყველების მასწავლებელ ქალს.

— დიახ! — თქვა ბუნებისმეტყველების მასწავლებელმაც, — წითელი ხალათი ჩაუცვამს, მერე რა მოხდა?

— მამამისის გმირობის დროშაა!

— არა, — თქვა ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა, — თქვენი შურის დროშაა!

დედამისს რამდენიც არ ერეცხნა, თეთრი ცარცი წითელ ნაჭერს არ გასლოდა, კარგად არ გასცლოდა. საპონი არ იშოვებოდა და მარტო ცხელი წყლით... თუმცა ამ ამბავს ტყუილად გიყვები: აბა რას გაიგებ, როგორ შეიძლება მოხდეს, რომ საპონი არ იშოვებოდეს; რომ სარეცხი ნაცარწყალში გარეცხონ; რომ ნაცარწყალში გაბანან; რა იცი, ქეცი რა არის, ან ჩვენ ის მუხის ქერქი იმსიშორე სამხერხაოდან ზურგით რატომ უნდა გვეწიკა სოფელში? ან ბაღლინჯო რა არის, ან თმის გაშვებას რატომ გვიშლიდნენ? რას მიხვდები, რა არის შიშველ სხეულზე ხეშეში მატყლის მუდმივი შეგრძნება, თან კიდევ რომ — არც შეგვეძლო გაგვეხადა და გადაგვეყარა ეს ჩხვლეტელა, განუწყვეტლივ ფხანელა და ჩხვლეტელა უხეში ნაქსოვი (ჩვენი დედები ასე ამბობდნენ: „ნაქსოი“, ან — „ნაქსვი“). შენ არ იცი, რა არის ომი, და რა კარგია, რომ არ იცი.

„უცხო“, მაშასადამე, წამოვიდა და ჩემ წინ დაჯდა. მისი წითელი ზურგი, მინდოდა თუ არ მინდოდა, თვალში მეჩხირებოდა. დედამისს რამდენიც არ ერეცხ-ეჭეჭენა, წებოიანი ცარცი წითელს არ გადასვლოდა. მზერა ცოტა დავაძებე და გავარჩიე ადრინდელი ასოს მთლიანი მოხაზულობა — „უ“. იქვე, „უ“-ს გვერდით „ც“ ასო მოჩანდა. მე ის ჯერ ნული მეგონა, მაგრამ ნულს გვერდით ციფრნიშანი კი არ ესვა, არამედ — „ხ“. გამოვიდა — „უცხ...“ დავიწყე სხვა ასოების ძებნა. მარცხენა ილლიის თავზე „დ“ გავარჩიე. გამოვიდა — „დუცხ“. ვითომ რაო? სრულებითაც არ იყო სასაცილო, მაგრამ მე ვიღიმებოდი, რადგან სადღაც მაინც სასაცილო იყო. გალეულ მხარზე ნახევარი „ნ“ მოუჩანდა. ჩემს მზერას ალბათ ზურგითა გრძნობდა, რადგან სულ იკუნტებოდა და იკუნტებოდა. მე შემრცხვა და თვალი მოვარიდე, ვიფიქრე, მის ზურგს, მის ვაგლახად მოკუნტულ ზურგს, მის გალეულ მხარებს, მის გაწლიოკებულ კისერსა და კისრიდანზე ფოსოს აღარ შევხედავ-მეთქი, მაგრამ ის უკვე აღარ იშმუშნებოდა. გაქვავებულიყო და „ხ“-ს გვერდით თვალის გასარჩევად დაესვა „ო“, — „უცხო“.

„უცხო“ — გულში ვთქვი მე. „უცხო“ — ჩავიჩურჩულე მე, რომ ერთდროულად მეთქვა კიდეც და არც მეთქვა.

— წითელი ხალათი ჩაუცვამს! — ახარეს ახლა უკვე გეოგრაფიის მასწავლებელ ქალს.

— აი, ომი დამთავრდება და ყველანიც ჩაიცვამთ! — გვიხმამს გეოგრაფიის მასწავლებელმა.

„უცხოს“ ზურგზე აწერია „უცხო“, ვთქვი ჩემს გულში, რათა არ მეთქვა ხმამაღლა.

შესვენებაზე მე და მადათი წავიჩხუბენით. ეს, რაღა თქმა უნდა, ჩხუბი არ იყო, მაგრამ როგორ არ იყო ჩხუბი, როცა მადათი გულბოყვზე წამოძვლოდა და პირში ჭუჭყიან თოვლის გუნდას მჩრიდა. პირმოკუმული, თავს აქეთ-იქით ვარიდებდი, ის კი კვლავ და კვლავ გააფთრებით ცდილობდა ჩემთვის პირში ჩაეტენა ჭუჭყიანი თოვლის გუნდა. მე რომ ბეჭებზე ვიწეე, ის კი ზემოდან წამომფაფროდა, ამას ჯერ გამარჯვებად არ თვლიდა, იმ თავის ჭუჭყიან თოვლის გუნდას ცხვირ-პირში მჩრიდა და იმაზე გიჟდებოდა, პირს რომ ვერა და ვერ მახსნევინებდა, ვერა და ვერა.

მერე უკვე დირექტორმა და სამხედროს მასწავლებელმა ქალმაც მოგვისწრეს.

ჩვენ რიგზე მოვეწყვეთ, მერე ვსწორდით მარცხნისაკენ და მის ფოლადიან მზერას გავესუსენით. ერთ წუთას ასე ვიდექით და თანდათან გვიყურებოდა შესვენების დროინდელი სიცელქე, უკვალოდ გვიქრებოდა შესვენების დროინდელი ცეტობა. ასე რომ, ჩაქრა-ჩაყურდა ყველაფერი წელანდელი და დარჩა მხოლოდ ჩვენი უცებ დადინჯებული და, ცოტა არ იყოს, შეშიშინებული მწკრივი. სამხედროს მასწავლებელ ქალს ძმა ფრონტზე ჰყავდა დაღუპული და იმ დაღუპული ძმის გამო მის წინაშე რაღაც დანაშაულის გრძნობა გვაწუხებდა, თუმცა ამაში ჩვენ ბრალი არ მიგვიძლოდა და გარდა იმისა, რომ პატივს ვცემდით, თან გვეშინოდა კიდეც მისი, რადგანაც — როცა გვიყურებდა, ახლაც და სხვა დროსაც, ასე გვეგონა, თითქოს მისი ძმის მკვლელი ჩვენა ვყოფილიყავით. კვირიდან კვირამდე და გაკვეთილიდან გაკვეთილამდე, ხანდახან ერთი დღის განმავლობაშიც კი, მათემატიკის გაკვეთილიდან სამხედროს გაკვეთილამდე, სახეზე სიმკაცრე უფრო და უფრო უმძაფრდებოდა და მაშინ ვხვდებოდით, როგორ უყვარდა თავისი ძმა, რაოდენი ადგილი ეჭირა ძმის სიყვარულს მის გულში და რაოდენ დიდი იყო მისი მწუხარება.

მე ნერწყვი ჩავიბრუნე და გავიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, ჩემი უწიგნური დედის მაგივრად დედაჩემი ესა ყოფილიყო-მეთქი. ასე რომ ყოფილიყო, მისი მათემატიკისა აღარ შემეშინდებოდა, ხოლო მისი სამხედროსი არც როდისმე მშინებია.

— რაო? — დაიჩურჩულა მან.

მე კი მხოლოდ ნერწყვი გადავცლაპე და გავიფიქრე, „კარგი იქნებოდა-მეთქი...“ „არაფერი“, — დაბალი ხმით ჩავილაპარაკე, თითქოს არც მეთქვას რამე, სწორება მივიღე და ვინანე წელანდელი გაფიქრებული.

გოგოები მწკრივს გამოეყვნენ. ეს ნიშნავდა, რომ მან ალბათ ჩაიჩურჩულა ან სულაც მზერით უბრძანა და გოგოებიც ხელად მიხვდნენ, რაც ევალებოდათ — მწკრივს გამოეყვნენ. ზამთრისა და გაზაფხულის იმ მწვირიან

შუალედში, რაც კი სოფელში წითელი, მწვანე თუ ყვითელი მოიძეოდა, ამ გოგოებს ეცვათ ზედ; ისინი უჩამიჩუმოდ შეგროვდნენ და, ცოტა არ იყოს, დამცინავად და ცოტაოდენ — სიყვარულითაც შეათვალიერეს ჩვენი დარიჩინისფერი მწკრივი. დღემდის მახსოვს მათი ცისფერი თვალების ხომლი, ხომლი, ესე იგი, კრებული, ესე იგი, როცა გოგოები შეჩვეულებიან და შეგუებული ერთად შენ გიყურებენ. შეიძლება ითქვას — ვარსკვლავთა ხომლი, ვარსკვლავთვარსკვლავთა, ჭრისტესთვალის ქუჩბეული, შეიძლება ითქვას — თვალკრიალა მზერა ანუ, როცა ისინი გიყურებენ, ცოტა არ იყოს, დაცინვით და ცოტაოდენ სიყვარულითაც, მაშასადამე — გოგონების ცისფერ თვალთა ხომლი!

მან წარბები შეჰყარა და ბიჭები მწკრივში უფრო შევმჯიბროვდით.

მან ზანტად ასწია ნიკაპი და მწკრივის თავიდან ბოლომდე, მთელ ჩვენს შემადგენლობაზე საერთოდ და, ამავე დროს, ყველა ჩვენგანზე სათითაოდ, მძიმედ გადაატარა მწვანე თვალების მკაცრი მზერა. მწკრივი მიხვდა, რომ... მწკრივი სანამ თავს დაიმუნჯებდა, ჯერ გაქვავდა, მერე მომესმა, ქვა რომ ქვას შემოჰკრა, ისეთი მჭახე ხმა:

— პირველი!

— მეორე! — ჩემი რიცხვი მარცხნივ გადავისროლე მე. მზერის იმ რაღაც ნაწყვეტშიც კი თვალში მეცა მთელი ჩვენი მწკრივის ერთნაირი დარიჩინისფერი და მწკრივის სულ ბოლოში — ერთადერთი, კენტი წითელი ხალათი.

— მერვე!

— მეცხრე!

— მათე!

— მეთერთმეტე!

— მეთორმეტე!

მორჩა? არა!

— მეცამ... — მომწვდა „უცხო“ გაუბედავი ხმა. გოგოებს თვალში დამილისმაგვარი რაღაც გაუკრთათ, ხოლო მასწავლებელმა ქალმა კვლავ ჩამოატარა მკაცრი მზერა მთელ მწკრივს თავიდან ბოლომდე. ღრმა სიჩუმე იდგა, სუნთქვაშეკრულები ვიდექით და იმ სიჩუმეში ციალებდნენ გოგოების თვალები. მესმოდა ჩემი გულის ძგერა და ისიც კი, თუ რას ფიქრობდა № 1 № 13-ზე. მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი გულის ძგერა № 1-ის გულის ძგერაა და რასაც ის № 13-ზე ფიქრობდა, მეც სწორედ იმას ვფიქრობ ახლა.

— ურააა!... — ავარდა უცებ, შორეულ „წვეტიანი გორაკის“ თავზე შეყოვნდა და, „დიდ მინდორზე“ დაშვებული, თოვლში სოფლისკენ გამოიგრაგნა მერვეკლასელების ყიჟინა, — ააა-ააა!..

ისინი სამხედრო-საველე ვარჯიშს გადიოდნენ. მათი თოფები ამსიშორედან ნამდვილ თოფებსა ჰგავდა, ხმების ყმაწვილურ ქლერას აყრუებდა საერთო ყიჟინი, ამიტომ შეტევაც ნამდვილი გეგონებოდათ — „წვეტიანი გორაკის“ ჩამოფერდებითა და „დიდი მინდორის“ გადავლით „ენძელოვანი გორაკის“ ასაღებად. ისინი ახლა უკვე აღარც შავ წერტილებად გამოჩანდნენ და გორაკის თეთრი კალთაც ცარიელი იყო, მაგრამ ყიჟინა მაინც ისმოდა. მაშასადამე, ახლა ისინი უკვე მინდორში იყვნენ და „ენძელოვან გორაკს“ უტევდნენ. „ენძელოვანი გორაკი“ ჯერჯერობით ღუმდა. დაძაბულობისაგან თვალები დამიცრემლიანდა, მაგრამ „ენძელოვანი გორაკი“ წელანდელივით თეთრ-სუფთად გამოიმზირებოდა, ზედ არაფერი იძვროდა და ღუმდა. ყველანი „ენძელო-

ვან გორაკს“ გავყურებდით, იქნებ მტერი თეთრი ტანსაცმლით შეინილბაო, ვფიქრობდით და ვუზნერდით დაძაბულნი, არადა მტერი სწორედ მათ ზურგში გამოჩნდა, იმავე „წვეტიანი გორაკის“ კალთაზე, ის ახლა ჩუმად და სწრაზად ეშვებოდა ძირს და, უკვე მინდორზე ჩასული, კვალში უდგებოდა წინ მიმავალს. მერვეკლასელები ჯერ ისევ „ურას“ გაიძახოდნენ, თავიანთი მტრული ყვირლით თავიანთივე ყურები ჰქონდათ გამოტენილი და ვერ ხვდებოდნენ, რა სევდიან ბოლოს იმზადებდნენ იმ სულელური „ურათი“.

მერვეკლასელთა ამ მიაშიტობაზე ჩვენს მასწავლებელს სახეზე ზიზღი გაუქრთა და თითქოს ჩვენა ვყოფილიყავით ის ცარიელ გორაკზე მოიერიშე სულელები, მან გვიბრძანა:

— სწორდით! გადაითვალენით ხელახლა თავიდან ბოლომდე!

ჩემს ყურთან ქვის ქვაზე შემოკვრასავით ისევ გაისმა:

— პირველი!

— მეორე! — გადავისროლე ჩემგან მარცხნივ.

— მესამე!

იგი ახლა ჩვენ დაგვყოფს ორ ჯგუფად, კენტებისა — პირველი ჯგუფი იქნება, წყვილებისა — მეორე. ნეტავ „უცხო“ კენტია თუ წყვილი? ნეტავ კენტი იყოს! უცხოს“ ისედაც გაუბედავ ხმას „მეცამეტეს“ თქმაზე ბლუკუნი გაერია.

— მეთოთხმეტე!

მაგრამ ისინი — დამარცხებული მერვეკლასელებიცა და გამარჯვებული მეშვიდეკლასელებიც, რომელთა ყოყინამ სწორედ იმ წამს აიკლო თოვლით გადათეთრებული მთელი „დიდი მინდორი“, ყველანი მისი მოსწავლეები რომ იყვნენ და ის № 1 მადათიც რომ მისი დაღუპული ძმის შვილი იყო, „უცხოს“ რომ ისეთი დაშინებული ხმა ჰქონდა და მინდორზეც ყოყინა შეწყდა, ჩვენი შინაქსოვი შარვლებით ევროპელ რაინდებს რომ ჩამოვგავდით, ხოლო „დიდ მინდორზე“ რომ ბიჭები ახლა შეიძლება დაღლილები ეყარნენ და თოვლსა სჭამდნენ — აი, ამ ყველაფრისა თუ ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი რადიაციის გამო (ან, ვინ იცის, „უცხოს“ ზურგზე „ც“ ასო შენიშნა), მასწავლებელმა ოდნავ, ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და მე კვლავ გავიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, დედაჩემი ესა ყოფილიყო-მეთქი. ასე იყო: მისი ერთი ღიმილი ჩვენთვის უფრო მეტსა ნიშნავდა, ვიდრე დედის ხელით გაბანება, იმ ცივ ზამთარში ცხელი წყლით ჩვენი გაბანება.

— ორ მწკრივად მოეწე-ყვეთ! ერთი! ორი! სამი!

ქალამნიანი ფეხების რბილად ბიჭებით წყვილრიცხვიანები ორ-ორი ნაბიჯით წინ წავდებოდა, თითოთი გვერდით მივდებოდა და მწკრივი გავმართეთ. ვიგრძენი, რომ თუნდაც მცირე, თუნდაც შვიდეულისაგან შემდგარი რაზმის სათავეში დგომა ძალიან მსიამოვნებს.

— პირველი მწკრივი, მდინარის აღმა „ცხელ წყარომდე“ — სირბილით! იქ აყვავებული ტირიფი დგას, ყოველი თქვენგანი მოიტანს იმ აყვავებული ტირიფის თითო პატარა შტოს. გაიმეორეთ!

გული ამიძგერდა. ეს სირბილის სურვილითაც იყო და იმისგანაც, რომ ჩვენ გვერდით ცისფერ ფვალთა ხომლი კიაფობდა; კიდევ ალბათ იმისგანაც, რომ უკვე მოდიოდა, დგებოდა ყვითელ-მწვანე, ლბილი გაზაფხული.

— არ მინდა, „უცხო“ ჩემი ჯგუფიდან გაიყვანეთ! — ქვის ქვაზე შემოკვრასავით მჭახედ გამოაცხადა მადათმა.

მასწავლებელმა მძიმედ შემართა სახე და დაიჩურჩულა უფრო თვალებით, ვიდრე პირით:

— ვინ უცხო?

ყველანი ნახევრად შევბრუნდით და „უცხოს“ გავხედეთ, ის გამართული იდგა, მაგრამ მომეჩვენა, თითქოსდა მაინც მოკუნტულიყო თავის მეტსახელ „უცხოს“, თავისი მამის კნასიკნუსისა და თავისი დედის მიამიტური ქურდობის ჩრდილქვეშ. გაღეულ ყანყრატოზე ნელა აუვიდა, ცოტა ხანს ასე გაუჩერდა და ისევ თავის ადგილას ჩამოუვიდა ყიყვი. ყველანი მას შევცქეროდით, მასწავლებელიც მას შესცქეროდა და ელოდა, რას იტყოდა მისი ძმისშვილი.

— არტო! — წაიბურტყუნა მადათმა.

— ვინ არტო? — მასწავლებელი ელოდა ამ სახელის სრულად და ხმამალლა გამოთქმას სწორედ ახლა იყო დრო თქმულიყო: „მაგას რომ „უცხო“ არა რქმეოდა, ზედ არ ეწერებოდა!“ ეს იქნებოდა ყველაზე უფრო მახვილი ხუმრობა მთელ სკოლაში, მთელი წლის მანძილზე, მაგრამ იმ წამს, როცა მე ჯგუფის მეთაური ვიყავი და გოგოები მიყურებდნენ, ყვითელ-მწვანე გაზაფხული კიდეც, ჰა და ჰა, სადაც იყო უნდა მობრძანებულიყო, სწორედ იმ წამს „უცხო“ მე მომწონდა, ამიტომ მის წითელ ხალათზე სიტყვა აღარ დამიძრავს.

— არტავაზდი! — ჩაიბურტყუნა მადათმა. იგი, ჩანდა, არ ეთანხმებოდა „უცხოს“ ამ ახლებურად სახელდებას, — არტავაზდი! — მჭახედ, ქვაზე ქვის შემოკვრასავით თქვა მან, — თუნდ არტავაზდიც ერქვას, მაგრამ სულერთია, ჩემი ჯგუფიდან გაიყვანე!

მასწავლებელმა თავისი ფოლადიანი მზერა მიაბჯინა მას, პირდაპირ დაასო ის მძიმე მზერა და თქმით კი არაფერი უთქვამს, ოღონდ გასაგები იყო, რას ეუბნებოდა ამით. ამით ეუბნებოდა, რომ აქ ის მისი მამიდა კი არ არის, არამედ — მათემატიკისა და სამხედრო საქმის მასწავლებელი.

მადათი შეიშმუშნა, მაგრამ მაინც სახეში შესცქეროდა მასწავლებელს. რაც არ უნდა ყოფილიყო, ის მისი მამიდა იყო და, გარდა ამისაც, გამბედავი ბიჭი იყო მადათი.

— გაიყვანეთ! — თავის თავს შეუსწორა მადათმა, — სულერთია, ჩემი ჯგუფიდან გამოიყვანეთ!

— გვაპატიეთ! — დასცინა მასწავლებელმა, — მაგრამ ვინ მოგახსენა, რომ ჯგუფის მეთაური შენა ხარ?

მადათმა გახედა ჯგუფს, დაიხედა თავის თავზე, ჯგუფმა შეხედა მას და ეს ასეც იყო — ის იყო სწორედ ჯგუფის მეთაური. იგი მიაცქერდა მასწავლებელს, ჭიუტად მიაცქერდა მასწავლებელს, არ უთქვამს, „მე ვამბობო“, მაგრამ არც „მაპატიეთ“ დასცდენია. მასწავლებელი უცქერდა მას, ის უცქერდა მასწავლებელს და ვერანაირი გაზით ვერ დაჰგლეჯდი პირიდან პატიების თხოვნას. მასწავლებელი დარწმუნდა, რომ სწორედ ასე იყო, სწორედ ის იყო მთავარსარდალი და „უცხოს“ თავის რაზმში არ იღებდა.

მასწავლებელმა ნელა გაშალა მძიმედ შეყრილი კოპები, ცოტა ხანს დარჩა ასე თვალდახუჭული, ნიკაპალერილი და როცა ის მძიმე კოპები ისევ მძიმედ

შეჰყარა, უკვე ცრემლით სავსე მამიდა იყო და ძალიან კარგად იგრძნობოდა, რომ თავის დაღუპულ ძმას იგი მზერდა მის შვილში. ეს ბიჭებსაც კარგად გვესმოდა, რაკი ამწუთას ამ ბიჭში ჩვენ თვითონაც ვხედავდით გმირს და მთავარსარდალს. ის კარგი სარდალი იყო, მას უნდოდა ჰყოლოდა ისეთი რაზმი, რომლის თვითებული მებრძოლიც საიმედო მორბენალი იქნებოდა. მისი კარგი მასწავლებელი იყო, მას ჩვენ ვუყვარდით საერთოდ და საბრძოლველად, ზვიცდილობდა თავის არსებაში როგორმე შეეთავსებინა ეს სიყვარული და სამხედრო დისციპლინა. მაგრამ ის როგორღაა, როცა მე კარგი ვარ, ის კარგია, შენ კარგი ხარ, მაგრამ რაღაც ცუდი მაინც გამოგვიტყვრება ხოლმე?

ოდნავ თავდახრილი, წვრილკისერა, მსხვილთვალეობიერი „უცხო“ გაჰყურებდა შორეულ მთებს და თითქოს არ სუნთქავდა. „სირბილი არ შეუძლია, გზაში ჩამოგვრჩება, ჩემი ჯგუფიდან გამოიყვანეთ!“ — მომესმა მე. „უცხომ“ თვალეები დაახამხამა. მხოლოდ თვალეები დაახამხამა. „სირბილი არ შეუძლია, დაე, გოგოებთან დარჩეს“, კვლავ მომესმა მე. „უცხო“ გაუნძრევლად ელოდებოდა. ასე მხოლოდ ბატკანი თუ ირთვევინება ნებას, მის დაკვლაზე ილაპარაკონ, ანდა წყალი — გემო უქონ ან უძაგონ, ან არა კიდეც — მზესუმზირა: მომწყვდიტეს — რას ვიზამ, თუ არადა — გადავრჩი და ეგ არიო. ხალათის წითლად კრთომას იგი გაელამაზებინა. მის შესახებ მეთაურის და მასწავლებლის იმ შეპაექრებულ ლაპარაკში, ჩვენს იმ ორაზროვან მზერაში და თავისი ხალათის წითელ კრთომაში იგი მდუმარედ იცდიდა. უცებ გავიფიქრე, რომ იმწუთას მასწავლებელზეც, იმ გმირ მეთაურზეც და გოგოებზეც კარგი სწორედ ის იყო, ცუდი კი მე ვიყავი, რადგან ხელი არავისთვის შემიშლია, ის ჩოკინასავით შუაში არ ჩაეყენებინათ და იმაზე არ ემსჯელათ, სირბილი შეეძლო თუ არ შეეძლო; თან მეც კიდეც მის ზურგზე ასოებს ვეძებდი და ვააზრიანებდი. მან ნერწყვი გადაყლაპა, გაღეულ ყელზე ყიყვი ისევ აუვიდა, ცოტა ხანს გაუჩერდა და ისევ ჩაუვიდა თავის ადგილას. ყანყრატო შემეხუთა და ვხედავ მის მაგიერ მე ვიხრჩობი. ვიხრჩობი იმის გამო, რომ მამაჩემი აგერ, კვნესის, კვნესის და არა კვდება; რომ დედაჩემს ერთი ძველი ტილო მისცეს და ეს როგორღაც ქურდობასა ჰგავს; რომ შემთხვევითობამ ზედ ზურგზე ამომტვიფრა მეტსახელი „უცხო“ და რომ ამ ძლიერთა სამყაროში მხოლოდ მე ვარ უძლური.

— მაღათი მეორე რაზმში გადმოვიდეს, მე კიდეც პირველში გადავალ, — ვთქვი მე.

მასწავლებელმა ყური მოიყრუა.

— მაღათი მეორე რაზმში გადმო...

მასწავლებელმა მკვეთრად შემომხედა. „არ გინდათ და არც...“ — გავიფიქრე მე, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ მას სურდა მიმემართა ისე, როგორც ამას მოითხოვდა სამხედრო დისციპლინა და როგორც შეეფერებოდა სამხედროს მასწავლებელს.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ! — გადავდგი ნაბიჯი წინ, გავიმართე წელში და მოვახსენე, — მაღათს ნება დართეთ, გადმოვიდეს მეორე რაზმში, მე კი — გადავიდე პირველში!

— როგორ?

მე გავიმეორე.

— მე მიბრძანეთ და გადავალ პირველ რაზმში, მაღათი კი გადმოვიდეს

მეორეში, — და მაღათს მივუბრუნდი, — რაკი არ გინდა არტავაზთან ერთად ერთ ჯგუფში ყოფნა, მოდი, ჯგუფები გავცვალოთ.

მან ცეცხლ, როგორღაც აგდებულად შემომხედა და მზერა გაიმრუდა. მე დავიბენი. სიცოცხის მიზეზს მივუხვდი და უფრო ავირიე. ~~ქვემოთ~~ № 1, ჩემზე — № 2-ზე მაღალი იყო, მისი 3-5-7-9-11-13 ჩემს 4-6-8-10-12-14-ზე მაღლები იყვნენ. ასე რომ, მას ტანმაღალთა ჯგუფი ჰყავდა, მე კი ჩემი ტანმომცროთა ჯგუფი შევთავაზე. ის, პატიოსნად უნდა ითქვას, მართლაც კარგი მეთაური იყო. „ჰანიბალი“, გავიფიქრე მე, — სუფიაროვი... კუტუზოვი... ჰასან ხანი... თუ სახელად ჰასან ხანი არ დაგარქვას, არადა, შესაფერისი სახელი თავისივე ჰქონდა — მაღათოვი, გენერალ-მაიორი მაღათოვი. „თუ შენ გენერალ-მაიორი მაღათოვი არ დაგარქვან...“

— გაცვლა არ შეიძლება, — თქვა მასწავლებელმა. — პირველი ჯგუფი მდინარის აუოლებით „ცხელ წყარომდე“ და უკან — სირბილით!

— არა! — მჭახედ, ქვის ქვაზე დარტყმასავით გამოიძახა მან, — „უცხო“ გამოიყვანეთ ჩემი რაზმიდან!

— ვინ უცხო? — დაიწივლა მასწავლებელმა.

— თქვენ იცით, ვინც! — თქვა მან.

— ვინ გითხრა, რომ რაზმი შენია? — დაიწივლა მასწავლებელმა.

— ასეა! — თქვა მან.

— ახლა შეშის სარდაფში რომ ჩაგაგდო და კარი ჩაგიკეტო? — დაიწივლა მასწავლებელმა.

მან ერთ წამს იყოყმანა, მერე მწკრივიდან გამოვიდა და შეშის სარდაფისკენ გაეშურა.

— დაბრუნდი! — დაიწივლა მასწავლებელმა.

უკანაც კი არ მოუხედავს. „ჩამაგდეთ სარდაფში და ჩამიკეტეთ კარი!“ — მოისმა მისი ხმა. ის მიდიოდა, გვშორდებოდა, უკვე სარდაფის კიბეებზე ჩადიოდა, ნახევრად უკვე სიბნელე ჰფარავდა. ასე გაშორიშორებულიყო, ასე წასულიყო სასიკვდილოდ მამამისი — მასწავლებლის ძმა — და ველარც დაბრუნდებოდა, უკვე ველარასოდეს დაბრუნდებოდა უკან.

— დაბრუნდი! — სთხოვა მასწავლებელმა.

ის კიბეებზე იდგა, მხოლოდ თავი მოუჩანდა, აღარც ჩადიოდა, მაგრამ აღარც ბრუნდებოდა. ან უნდა ჩასულიყო, ან — ამოსულიყო. უფრო — ჩამსვლელი იყო, მარტო თავიდა მოუჩანდა. მამიდამისმა თავი მოაბრუნა, რათა მისი ჩასვლა და გაუჩინარება არ დაენახა.

— ყველაფერი შენი მიზეზით! — მომესმა მე.

ყველანი უპატიოდ მიაჩერდნენ „უცხოს“. ახლა, როდესაც ყველანი ასე უპატიოდ მისჩერებოდნენ, იგი — ისევ და ისევ შორეულ მთებზე თვალმიძიებული — ველარ ბედავდა ეფიქრა, რომ დამნაშავე არ იყო. მართლა დამნაშავესავით მოკუნტულიყო და ეშინოდა საჩივარ-საყვედურის ის ერთადერთი საცოდავი ნიშანი, ყანყრატოზე ყიყვის ის ადი-ჩადიც კი არავის მოხვედროდა თვალში. მაღათი კი ამასობაში შემობრუნებულიყო და სარდაფის კიბეებზე ამოდიოდა: ერთი საფეხური, ორი საფეხური! შეჩერდა. სამი საფეხური! ნელინელ მოიმადლაურებდა გენერლობისაკენ, გენერალ მაღათოვობისაკენ. მე იგი სასტიკად არ მომეწონა და ახლა, როცა ყველანი ასე ათვალწუნებით მისჩერებოდნენ „უცხოს“ და „უცხოც“ თავს დამნაშავედ გრძნობდა, სწორედ

იმით, რის გამოც მაღათი არ მომეწონა, ბოლოს და ბოლოს შევძელ მივმხვდარიყავი, რომ „უცხო“ დამნაშავე არ იყო, რომ ბაჭიას თუ ძაღლის შიშით სული ცაცებში ეპარება, სულაც არ ნიშნავს, ბაჭია იყოს დამნაშავე.

არც დათმობა, არც რამე, მოვიდა თავისუფლად, ამაყად, დადგა თავის ადგილას მწკრივის თავში და მშვიდად განაცხადა:

ეროვნული
გზაობა

— გთხოვთ, გაიყვანოთ.

— რატომ?

— კარგად ვერ დარბის.

— დიახ, — თქვა მასწავლებელმა.

— „დიახ“ და, მაშასადამე, გაიყვანეთ. ის ჩვენთან ერთად ვერ ირბენს, რაზმი მაგისი მიზეზით ჩამორჩება. ჩვენ მაგასავით ნელა ვერ ვივლით.

ეს ასე იყო და მხოლოდ ასე იყო. მაგრამ ვერ გამიგია, ვერანაირად ვერ გამიგია, როგორ შეიძლება მიაღწე კაცს და პირში აყვედრო, სუსტი ხარ, მუხლები გეკეცება და სირბილში არ გამოდგები.

— თქვენ არ გინდათ იმასავით ნელა იაროთ, ის სირბილში ვერ გამოგყვებათ, გასაგებია, — თქვა მასწავლებელმა, — მაგრამ, რომ გამოვიყვანო, რა ეუყო?

მაღათმა პასუხი არ გასცა, ბატონკაცურად, ალმაცრივ გადახედა მწკრივს და „უცხოს“ აბუჩად ამგდები მზერა შეავლო, ცოტას გარჩა, მისთვის მწკრივიდან გამოსვლა ებრძანებინა. ესეც არ მომეწონა.

— შენ ისევ შენსას ამტკიცებ? — თქვა მასწავლებელმა. მე ესეც არ მომეწონა. მასწავლებელი თითქოს კმაყოფილიც იყო, რომ იმ მაღათს ჰქონდა თავისი აზრი და მაგრად ადგა თავის აზრს. მასწავლებელი მე მომიბრუნდა:

— შენა?

ქარი ჰქრის, არწივი ბოინობს, ჩანჩქერი ქარაფიდან ჩაიტყორცნება, ხმა მიფრინავს, ხბო ქარში მიიოთხება... სირბილზე აღვილი რაღაა?! მინდოდა მეთქვა, არტავაზდი ჩემს მე-7-ში გამიცვალეთ-მეთქი, უკვე ის-ის იყო ვამბობდი კიდევ, მაგრამ ხელადვე მივხვდი, მაღათსაც სწორედ ეს უნდოდა. ის არც მალავდა, რომ სწორედ ეს უნდოდა. მისი მზერა და ღგომა პირდაპირ ღია უსირცხვილობით მეუბნებოდა, რომ დამამარცხებდა მე, მისი რაზმი დაამარცხებდა ჩემს რაზმს, რომ კლასში ყველაზე სუსტ მორბენალს ძალით ამკიდებდა და ამგვარად, ჭუჭყიანი თოვლის ძალით პირში ჩატენისა არ იყოს, თავის გამარჯვებას სწორედ ისე ჩამტენიდა პირში.

— მე რა? — ვთქვი მე

— არტავაზდი რომ შენს ჯგუფში გადმოვიყვანოთ?

— რატომ გვიცვლით, მაგალითად, — წავიბურტყუნე მე, — სადაც არის, დაე, იქავე დარჩეს.

მან გამოსცრა:

— სმენა! ეს თქვენი სახლი არ არის და არც მე ვარ დედაშენი!

„არც მამიდაჩემი“, გავიფიქრე მე, არადა, მას ჩემგან უფრო სრული და გარკვეული პასუხის გაგონება უნდოდა.

— სუსტია, სირბილი არ შეუძლია, — ვთქვი მე.


ეს, რაღა თქმა უნდა, სიმდაბლე იყო, მაგრამ რა მექნა, როგორა ვყოფილიყავი ერთდროულად შურისმაძიებელიცა და პატიოსანიც?

— ცოტა ხნის წინ თანახმა იყავი! — მითხრა მასწავლებელმა.

როგორ მეთქვა მისთვის, ცოტა ხნის წინ რატომ ვიყავი თანახმა და ახლა რატომ აღარ ვიყავი?

— ახლა აღარა ვარ თანახმა, — ვუთხარი.

— რატომ?

— ეგრეა, — ვთქვი და არ მომეწონა ჩემი თავი.  ^{ქართული} ~~ქართული~~ არ უყვარხართ მე მზერა გავიბრუნე.

მასწავლებლიანთ სახლის გვერდით ორღობეზე შემოეხვივნათ და დაღლილ-დაწყვეტილები მოდიოდნენ ყველანი — ვითომ გამარჯვებული მეშვიდეკლასელებიცა და ვითომ დამარცხებული მერვეკლასელებიც. გეგონება, ბებრები არიანო, ყველანი როგორღაც მოკაცვილ-მორღვეულები იყვნენ. ხის თოფებს ხელით მოითრევდნენ. ზოგნი თოვლსა ლოკავდნენ. ლაპარაკი ეზარებოდათ. ერთი სული ჰქონდათ, დაყრილიყვნენ და ძილს მისცემოდნენ.

— ანდა იყოს, თუ გნებავთ, — ვთქვი მე, — გაუშვით, არტავაზდი ჩვენს ჯგუფში გადმოვიდეს.

— მაშასადამე, ახლა ისევ თანახმა ხარ! — მითხრა მასწავლებელმა მე თავი ჩავლუნე.

— რატომ ხარ თანახმა?

— თანახმაა, — თქვა მალათმა.

— შენ არ გელაპარაკებიან, შენ გაჩუმდი — დაიჩურჩულა მასწავლებელმა, — რატომ ხარ თანახმა?

— თანახმა ვარ იმიტომ, რომ სირბილზე ადვილი რა არის? მას სახეზე ნაღველი აესახა.

— დიახ, — აზრგაფანტულად ჩაიჩურჩულა მან, — სირბილზე ადვილი... ღვარი მიშხუის, ქარი ჰქრის, ქორი ბოინობს, ბაბუაწვერა ნიაზე მიმონანობს, ცაცხვის თესლი ქარს აყოლილი მიფრინავს, მიფრინავს — ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი მიჰქრის... სირბილზე ადვილი რაღაა!

— არტავაზდ, — ნაღვლიანად თქვა მან, — შენი ადგილი ბოლოში მდგარს გაუცვალე.

ჩვენი ქალამნიანი ნაბიჯები ასე თუ ისე ცოტაოდნავ მაინც იყო ჩქამის გამოძლებელი, მან კი ისე უხმაუროდ გამოიცვალა ადგილი, ვიფიქრე, ალბათ მასწავლებლის განკარგულება ვერ გაიგო-მეთქი; შევბრუნდი, რათა მისთვის მეთქვა, აჰა, ყველაფერი დალაგდა, ამხანაგურად გიწვევ-მეთქი, ის კი თავისი მღუმარე არსებობით უკვე ჩემს მწკრივს აბოლოვებდა...

— პირველი მწკრივი, მდინარის აყოლებით „ცხელ წყარომდე“ — სირბილით! იქ აყვავებული ტირიფი ღვას, ყოველი თქვენგანი მოიტანს აყვავებული ტირიფის შტოს. მეორე მწკრივი...

სანამ იგი საჩვენო დავალებას მოიფიქრებდა, იმათ ხევიც გადიარეს და „ოლე მუხის“ აღმართს შეუდგნენ. წვივები დამეჭიმა და ცახცახი დამაწყებინა. ნება რომ მოეცა იმავე გზით გავქცეულიყავით, თვალის დახამხამებაში დავეწეოდით მათ და გავუსწრებდით კიდეც აყვავებულ ტირიფამდე.

— მეორე მწკრივი, მდინარის დაყოლებით სამხერხაომდე და უკან — სირბილით! ყოველი თქვენგანი მოიტანს თითო მუჭა ნახერხს.

მე ჯერ ისევ იმაზე ვფიქრობდი, მდინარის აყოლებით აყვავებულ ტირი-

ფამდე წინ წასულებს როგორ მივასწრო-მეთქი, და ვერასგზით მოვიგონე, სად იყო იმ გზაზე სამხერხაო.

— გაიმეორე ბრძანება!

მაგრამ გამეორებამდე ჯერ უნდა გამეაზრებინა ბრძანება. მე შტერტიტ/ეროვნული/ზიგლინოთეკა

შევხედე მას და:

— ნახერხი? — შევეკითხე.

— ნახერხი.

მე მაინც ვერაფერი გავიგე, მაგრამ არც იმდენად გამემტყუნებოდა — იქ გოგოები იდგნენ და, რასაც მოვიტანდით, ასე მეგონა, გოგოებისთვის უნდა მიგვეცა. იმათ ჯგუფს ტირიფის აყვავებული შტოები უნდა მოეტანა, ჩვენ კი — ნახერხი?

— ნახერხი? — შევეკითხე მე.

— მეორე ჯგუფი, მდინარის დაყოლებით, — ცალ-ცალად გამოკვეთა სიტყვები, — სამხერხაომდე და უკან — სირბილით! ყოველი თქვენგანი მოიტანს თითო მუჭა ნახერხს!

ამჯერად მომეჩვენა, რომ მუხის ქერქი უნდა მოვიკიდო, წელი გადამელ-ლიტოს, ესე იგი გადამექლირტოს, დამეკაწროს და ნაკაწრები ოფლისგან ამეწვას.

— მესმის. მდინარის დაღმა სირბილით სამხერხაომდე და სირბილითვე — უკან! ნება მოგვეცით, შევასრულოთ ბრძანება.

— ოღონდ სამხერხაოდან უნდა მოიტანოთ თითო-თითო მუჭა ნახერხი!

— დიახ, — ვთქვი მე.

— გაიმეორე.

ეს, მართალი გითხრათ, პირში რომ ძალით ნახერხი ჩაგჩაბონ, ისე გამო-დიოდა. მე უამურად გავიმეორე.

— სამხერხაოდან ყველა ჩვენგანმა უნდა მოვიტანოთ თითო მუჭა ნახერხი.

— დიახ. სირბილით!

მოვწყდით და გავვარდით. გავვარდით, მაგრამ სახელით მოძიხმეს. მასწავ-ლებელმა უკან გამიძახა. სირბილის ეშხს მიფუჭებდნენ. მე მივბრუნდი შე-ურაცხყოფილი და — არა მარტო ნახერხის გამო. მასწავლებელი ჩემს შესახ-ვედრად მოდიოდა და ყურადღებით, რაღაც ძალიან განსაკუთრებული ყუ-რადღებით მაკვირდებოდა.

— თავებს ნუ დაიტანჯავთ და ერთმანეთსაც ნუ დატანჯავთ, — დაბალი ხმით მითხრა მან.

— მესმის.

მან გაიღიმა.

— კარგად გაიგე, ეს ბრძანება კი არ არის, — ხმადაბლა თქვა მან, — ჩქარა ნუ ივლით, დინჯად წადით, დინჯად მოდით.

— მადათისები რომ ჩქარა წავიდნენ?

— ისინი ჩქარა წავიდნენ, — თქვა მან, — თქვენ დინჯად იარეთ.

— მესმის.

მოკლე გზებით, თოვლ-თოვლ, სკოლის ბაღითა თუ მესერზე გადახტო-მით, მალე ჩემს ჯგუფს დავეწიე.

— ბიჭებო!.. — მე უნდა მეთქვა მათთვის, თუ ვინ იყო გენერალი მადა-

თოვი და მადათს მეტსახელად რა დავარქვი, მაგრამ იმ წამს, როგორც კი ბიჭებს დავეწიე, „უცხო“ წაიქცა. ფეხი ყინულზე არ ასცურებია, რადგან მიწა მოყინული არ იყო, უბრალოდ, როგორღაც აებლართა ფეხები და დავცა. მინდოდა დამეტუქსა, მაგრამ მან თავი დამნაშავესავით ჩაპკიდა.

— არა უშავს, — დავამშვიდე მე, — გეტყვინათ რა უნდა.

— პირიქით, — იმახვილაკა კიდეც. გინგლომთქვა

— ფეხქვეშ მოყინული არ დაგხვედრია და... — ვუთხარი მე.

— არ დამხვედრია, — ჩამქრალად, ჭიანჭველის ხმით თქვა მან.

— ნუ ლაპარაკობ, — ვუთხარი მე, — მხოლოდ ცხვირით ისუნთქე

— ცხვირითა ვსუნთქავ, — ხმადაბლა, ჭიანჭველის ხმით, ანუ როგორც ჭიანჭველები ლაპარაკობენ ერთმანეთში, თქვა მან.

— სირბილზე ადვილი რამელა იქნება? — ვთქვი მე.

— ვირბენ, — წაიჩურჩულა მან.

— ვიცო, რომ ირბენ, — ვუთხარი მე, — ოღონდ ცხვირით ისუნთქე. ცხვირით თუ არ ისუნთქავ, ყელი გაგიშრება და პირი გაგიმწარდება.

— ჯერ პირი... არ გამმწარებია, — წაიჩურჩულა მან.

მდინარისპირა სწორ გზაზე გავედით და მიშვებული გავქანდით. ყურებში ქარი ამიწივლდა. თვალის კუთხესთან, ჩემს მხარგასწვრივ, ხან გამოჩნდებოდა და ხან ისევ გაქრებოდა, ხან გამოჩნდებოდა და ხან ისევ გაქრებოდა „უცხოს“ წითელი ხალათი. შემოჩნდებოდა ჩემი თვალის კუთხეში, ცოტა ხანს ივლიდა ჩემთან ერთად და მერე ისევ გაქრებოდა ჩემს მხარს უკან. მივხვდი, რომ ძალიან იჭიფებოდა, ტყავიდან ძვრებოდა, რათა გაესწრო ჩემთვის და თუ ვერ გამისწრებდა, მხარდამხარ მაინც მომყოლოდა. თვალი ვკიდე მის დაძაბულ სახესა და დაღრჭენილ კბილებს. მას კი ძალიან უნდოდა თავისი თავისთვის ეჯობნა, წინ გაჭრილიყო, მაგრამ მეც მსიამოვნებდა მასზე თუნდაც ორი ნაბიჯით, თუნდაც ნახევარი ნაბიჯით წინ ყოფნა.

— ბიჭო, ბიჭო, ბიჭო, — დაიძახეს უცებ, — ბიჭო, ეგ რასა სჩადიხართ? — მომესმა ბებრული მიღებული ხმა. „კბენანა“ სარქისა პაპა იყო, პაპაჩემის ძმა, ძროხა გამოეყვანა დასარწყულებლად. ერთი ჯანდაგი ძროხა იყო, იმდენი ძალაც კი აღარ მოსდევდა, ჩვენგან შეფრთხენილიყო. ძროხის კუდზე ხელჩავლებულს — ვითომ, ძროხა არ წამეჭცესო, ან, ეგეც შეიძლება, მე თვითონ არსად წავდლავდეო — პაპას ჩვენს სირბილზე სიცილი აუტყდა: — ეგ რასა სჩადიხართ, კაცო, ეგეთი ტყაპიტყუპით რო მისდიხართ, ემანდ უცბად გერმანია არ შეაფრთხოთ და ხრამში არ გადასჩეხოთ! — პაპამ ყავარჯნით გადაგვიჭრა გზა, ვითომ არ გვიშვებდა, რომ უცაბედად გერმანია არ შეგვეფრთხინა, და მე დამიჭირა. დავეჭერინე, რადგანაც თუ ისევე მიშვებული გავვარდებოდი, უჯანო პაპა ვაითუ წაქცეულიყო! ის მეტორღიანებოდა, რომ როგორმე ეკბინა ჩემთვის ლოყაზე, მაგრამ არც მე მეკრა ხორცი-რამე სახეზე და ვერც პაპა მკიდებდა იმ ერთადერთ კბილს.

— კბენანა პაპამ ღოჯები დაკარგა და კბენას ვეღარ ახერხებს, — ბებრული შემღვრეული ხმით თქვა მან.

როგორც იქნა, დავუძვეერი იმის გალასტულ ნეკნებს და როცა უკვე გავშორდი, მაშინდა მოვიწმინდე ნაკოცნი, მაგრამ მთელი სირბილის მანძილზე მახსოვდა, რომ ჩემი თავი ჰყვარებიათ, უყვართ და რომ პაპამ თავისი გამხმარი, უძალო სხეულიდან საჩემო სიყვარული მაინც გამოწურა. ჩემს სახეს

ახსოვდა მისი წვერის სიფაფუკე, ჩემს ყურში განუწყვეტლივ ხშიანობდა მისი მღვრიე ხმა, მე მახსოვდა იგი, თავის თავს რომ ჩვენგან, ბავშვებისაგან, შერქმეულ მეტსახელს „კბენანა პაპას“ უწოდებდა და თავის ერთადერთ კბილს კიდევ — ღოჯს.

„ეულ ჯვარქვასთან“ ჩემს ჯგუფს დავეწიე, ცოტა ხანს „უფროსი“ მხარდამხარ ვირბინე და ნელ-ნელა მისი ჩამოტოვება დავიწყე. მას მხარდამხარ მხარდამხარ ჩამომრჩენოდა, უნდოდა მხარდამხარ მომყოლოდა, სულ მხარდამხარ, გვერდიგვერდ, ამიტომ როგორც მოკლე მანძილზე რბენისას იციან ხოლმე, გამხდარ გულბოყვს წინ ბურცავდა, იჭიფებოდა და ტყავიდან ძვრებოდა, სახე დასძაბოდა და კბილები დაღრჭენოდა, მაგრამ მაინც ჩამომრჩა. მისი წითელი ხალათი ჩემს თვალ-მხრგასწვრივ თანდათან გაქრა და უკან გაცურდა.

ახლა მე ჯგუფის შუაში მივრბოდი. თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ, თაფა-თაფა-თაფა-თაფა-თაფა-თაფა... ჩემი არსება სავსე იყო ალტაცებით, სიხარულისაგან გული კინადამ ბუდიდან გადმოფრენილიყო, მინდოდა კიჟინა დამეცა. სხეული სირბილსა მთხოვდა, როგორც ფრთები ითხოვენ ფრენას. შემეძლო უფრო ამეჩქარებინა, ამეჩქარებინა, ამეჩქარებინა, მოვწყვეტოდი მიწას და... ერთი შევეკივლე და კიდევ ერთი ჩამოვიტოვე. ჩემს კივილზე წინ მიმარბენმა სხვამ მოიხედა უკან. მე დავეწიე მას და დავუმხარდამხარდი. „ბოდიში, მაგრამ შენც გავისწრებ“, ავუჩქარე, ავუჩქარე, გავხურდი, ვიფიქრე, ჩამოვიტოვე-მეთქი; ამასობაში — თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფა და როცა ჯერ კიდევ მეგონა, მისი ფეხისხმა ჩემ უკან მესმის-მეთქი, ის თურმე მხარშიც გამსწორებია და წაგვერდილი ზურგით, ცოტა არ იყოს, მისწრებს კიდევ. მერე ჩემ წინ მისი უკვე მთლიანი ზურგი გამოიკვეთა და ახლა უკვე თანდათანობით, გოჯ-გოჯობით, მაგრამ ამავე დროს შეუწყვეტლად იზრდებოდა მანძილი ჩვენ შორის. ის ჩემი ჯგუფის ერთ-ერთი 4-6-8-10-12-თაგანი იყო, ერთი ჩვეულებრივი №, მას როგორ უნდა გაესწრო ჩემთვის! მე მოვიბლუნძე, შევძვერე, შევიჭუჭყე ჩემსავ არსებაში და მერე ტყვიასავით გამოვიტყორცნე იქიდან. გავრბოდი, როგორც გარბიან უკანასკნელ ნაბიჯებს მოკლე მანძილებზე რბენისას. ვიკუმშებოდი და ვიშლებოდი, ვიკუმშებოდი და ვიშლებოდი, მეგონა, სადაცაა გავსკდები-მეთქი, მაგრამ ყველაფერი ფუჭი იყო — ის მშორდებოდა და მშორდებოდა. წამით მეჩვენა, თითქოს მის ადგილას მე გავრბივარ, მე ვშორდები სხვას, ის სხვა კი აქ, ჩემს ადგილას, ჭირის ოფლი რომ გადასდის, გახეთქვაზეა და ვერ მეწევა, ტყავიდანა ძვრება და მაინც უკანა რჩება — არტავაზდია, და მისია ეს შელონებული გულიცა და დაწყვეტაზე მიმდგარი მუხლებიც.

მოვეუნელავე, „მეთაურს შეუძლია ბოლოშიც მიჰყვეს თავის რაზმს“, წინ გავუშვი ერთი.

მეორე,

მესამე,

მოვეუცადე წითელ ხალათსაც, რომ დამწეოდა, მხარში გამსწორებოდა და მერე შევეკითხე:

— როგორა ხარ?

მან ჩურჩულით გამოაგნო:

— კარგად.

— ნახერხი უნდა მოვიტანოთ, — ვთქვი მე.

მან ისევ ჩურჩულით:

— ნახერხი უნდა მოვიტანოთ...

— ისე როგორღაც ხომ არა ხარ? — ვკითხე მე.

მან იყუჩა და მერე ისევ დაიჩურჩულა:

— როცა გვერდიგვერდ მივდივართ, მაშინ არა მიშვენივს...

— რამდენი გვექნება გამოვლილი, ნახევარი? — ვკითხე მე.

— ცოტალა გვიკლია, — დაიჩურჩულა მან.

— ცოტალა? შენ რა, არ იცი, სად არის სამხერხაო?

— ერთხელ კი მგზავნიდა დედაჩემი იქა, — დაიჩურჩულა მან, — მაგრამ მამაჩემმა აღარ გამიშვა.

— ჯერ ნახევარიც არ გამოგვივლია, — ვთქვი მე.

მან წაიჩურჩულა:

— ეს ჩემს თავს ვეუბნები... ცოტალა დარჩა... მალე მივალთ-მეთქი.

— არა, ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია. სამხერხაოდან მუხის... — რაღაც შევატყვე და შევეკითხე: — თავს ცუდად ხომ არა გრძნობ?

აღბათ ყელი უშრებოდა, მან ნერწყვი გადაულაპა და დაიჩურჩულა:

— ერთად როცა მივდივართ...

— მაღათს მეტსახელად „გენერალი მაღათოვი“ დავარქვი, — ვუთხარი მე, — ცოტა ავუჩქაროთ.

აქ მე მომეჩვენა, რომ თითქოს კი მინდა, მაგრამ ყოველთვის მავიწყდება მისთვის ერთი ძალიან საჭირო რამის, ერთი ამაღელვებელი რამის თქმა. როცა გამისწორდა, მერეღა მივხვდი, რაც მავიწყდებოდა.

— ჩვენ სულ ერთად ვიქნებით, — ვთქვი მე.

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. თუ მოვუნელავებდი, ისიც უნელავებდა, მოვუმატებდი და — უკანა რჩებოდა, ამიტომ იძულებული ვხდებოდი ისევ შემენელებინა სირბილი, არადა, ჩვენები აგერ, უკვე „ფულურო მუხის“ მოსახვევში იყვნენ. მე რომ ასე მეყენებინა ფეხი, ისიც ბოლომდის ასე იზამდა. ჩანჩქერი, კი ბატონო, ქარაფიდან გადაშხუის; არწივიც, კი ბატონო, დაბოინობს; მწვანე ჯეჟილიც კი ნიაფზე კურდღლაობს, ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იშვებს, თოვლი ბრწყინავს და ციმციმებს მზეზე... მაგრამ სარქისა პაპა ძლივს იდგა ფეხზე და მის ძროხასაც შეფრთხომა დაეზარა.

— ეს რა არის? — წაიჩურჩულა მან, — კარგად ვერა ვხედავ.

— მზე და თოვლი.

— როგორი მზეა! — წაიჩურჩულა კვლავ.

— თვალები მოჭუტე.

მას ლამაზი თავი უკან გადაეგდო და ისე მორბოდა, მზისთვის პირმიშვერილი.

— რას კეკლუცობ, — ვუთხარი მე, — მზესუმზირა ხომ არა ხარ! ის გამისწორდა.

— მზე კია, მაგრამ კარგად არ მიერბივართ, — ვთქვი მე.

მან წაიჩურჩულა:

— ცოტალა დარჩა, არა?

— ვუი, ვუი, ვუი, ვუი! — მომესმა უცებ.

გზისპირა ქვებზე დედაკაცები ჩამომსხდარიყვნენ, ჩვენი დედები; ჩა-

მომსხდარიყვნენ მზეში და, აწითლებულებს, მზესუმზირის ქუჩებულმა რომ იცის, ისე ერთობლივ მოებრუნებინათ ჩვენკენ თავები.

— ის გოგო ამ ბაღებს ნეტა რაზე დაარბენინებს ეგრე? — თქვენს მათ.

თვითონ მათ რაზედა დაარბენინებდნენ, კაცმა რომ თქვას? ერთ იმათ-განს აირწინალიც კი არ მოეძრო სახიდან. მათი სახეები აირწინა მთქმელი რეზინსა და გახურებულ სიარულს აეწითლებინა ასე, თორემ ისინი მჩვენზე უფრო ფერდაკარგულები იყვნენ.

— ნახერხზე! — გადაუგდეს მე.

— ჩვენს ნახერხს მოგცემთ და უკან დაბრუნდით, — გვითხრეს მათ.

ჩვენ გავცდით მათ.

— ვაი, აგრემც იმისი ნახერხიანი თავი ჩავდეს მიწაში, მაშ ეს ბაღები ცოდონი არ არიან?..

ცოდონი უფრო თვითონ იყვნენ. მათ უნდა დაებანათ ჩვენთვის ფეხები, ცხელი წყლით მათ უნდა დაესრის-დაეზილათ ჩვენთვის მუხლები, არათუ ამის შემდეგ ჩვენ დაგვეზილა მათთვის ის დასიებული ფეხები.

— პირი მოკუმე, — ვუთხარი მე, — ცხვირით ისუნთქე.

მან მოკუმა პირი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა მივხედე, უკვე მთლად პირლია სუნთქავდა.

— ცხვირით ისუნთქე!

— ცხვირით რომ ვსუნთქავ, პაერი... — წაიჩურჩულა მან.

— პაერი რა?

— მწარესავით არის, — ის წამობარგანავდა, მომეჯახა და კვლავ უკან ჩამორჩა.

— ეგ ხალათი გარეცხეთ! — ვუთხარი მე.

— გარეცხა, მაგრამ ასოები არ გადადის.

— მადათს მეტსახელად „თათარი“... მადათს მეტსახელად „გენერალი მადათოვი“ დავარქვი, — ვთქვი მე.

— იმათ ეხლა გაუჭირდებოდათ, პირშელმართზე აღიან, — ჩურჩულით ამოთქვა მან, — ახლა ისინი ალბათა დგანან და ველარ იძვრიან.

— ჩვენ დაბრუნებისას უფრო გაგვიჭირდება.

— იმათ ახლა უჭირთ, — ჩაიჩურჩულა მან.

— იმათ ტირიფის აყვავებული შტოები უნდა მიიტანონ.

— ამ წუთას იმათი გზა უფრო ძნელია, — წაიჩურჩულა მან, — ახლა მადათს ალბათ გული ერევა.

— შენც გული ხომ არ გერევა?

— ჩვენ სწორე გზაზე ვართ, ჩვენ ჩავდივართ, — დაიჩურჩულა მან, — ისინი აღიან.

— ისინი ახლა უკან ბრუნდებიან, — ვთქვი მე, — ტირიფის აყვავებული შტოები მოაქვთ, ჩვენ კი ნახერხი უნდა წავიღოთ.

— ნახერხი უნდა წავიღოთ.

— ნახერხი რატომ უნდა წავიღოთ, იცი ეგა?

— არ ვიცი, — თქვა მან — მასწავლებელმა გვითხრა, მოიტანეთ.

— იმიტომ, რომ დარწმუნდეს, მართლა მივედით თუ არა სამხერხაომდე. ნახერხი იმისთვის გვითხრა, რომ ნამდვილად სამხერხაომდის ვირბინოთ. აყვავებული შტოც მაგისთვის არის ნათქვამი.

— ახლა იმათ შავი ღლე ადგათ, — თქვა მან, — ახლა მადათს გული ერევა, — თან ზედ მომაწყდა, თავით დამეჯახა, თითქოს უნდოდა დამკანჭურებოდა კიდევ, მაგრამ ისევ ჩამორჩა.

— ტყუილად არა ჰქენი, — ვუთხარი მე, — ქალებისთვის ნახერხი უნდა გამოგერთმია და დაბრუნებულიყავი. გესმის? დაბრუნდი, ქალებს ნახერხი გამოართვი და წადი, ჩვენც მოვალთ, მოგისწრებთ.

ის გვერდიგვერდ გამომყვა, მერე წაბარგანავდა, გზიდან გადავიდა, ისევ წამობარგანავდა და მომეჯახა, გეგონება, ხბო უჩუნდურებს ფურსათ.

— გაბრუნდი, დედაკაცებს ნახერხი გამოართვი და წადი. ჩვენც მოვბრუნდებით და დაგეწევით, გესმის?

ისე მოდიოდა, თითქოს თავის თავში თვითონ კი არა, ვიღაც სხვა მჯდარიყო, რომელიც სულაც არ ემორჩილებოდა მის ნებას. ის სხვა მას წამდაუწუმ უბიძგებდა გზის ნაპირისაკენ, თვითონ კი იმ სხვას რის ვაინაჩრობით უკანვე უჯიკავებდა, შუა გზისაკენ.

— დადექი, დაბრუნდი!

მე გავჩერდი და მივტრიალდი, ისიც შედგა და აქანავდა. ძლივს ასწია ის ლამაზი თავი. თვალები ამღვრეოდა.

— გაბრუნდი, დედაკაცებს ნახერხი გამოართვი...

მზერა გაფანტული ჰქონდა, მისი თვალებით თითქოს სილიანი ხბო გამოიმზირებოდა, რომელსაც ვერ გაუგია, მისგან რა უნდათ და რატომ არ ანებებენ მშვიდად მოკვდეს და დაისვენოს.

— დავყრუვდი, — წაიჩურჩულა მან, — ყურთ აღარ მესმის, ყურები დამიდგა, თითქოს წყალში ვიყო ჩაყვინთული.

ველოდი, გაბრუნდება-მეთქი, ის კი მხოლოდ ირწეოდა და მღვრიედ იყურებოდა. მივაბრუნე და სოფლისაკენ ვუჯიკავე, ის არ მიძალიანდებოდა და მეგონა, თანახმაა, ბრუნდება-მეთქი.

— ახლა სკოლაში მივდივართ? — დაიჩურჩულა მან.

— შენ — ჰო, მე კი სამხერხაოში მივრბივარ, რომ ნახერხი წამოგიდო.

— თქვენ ყველანი მირბიხართ და... — დაიჩურჩულა მან.

ყელში ბრაზი და ტირილი მომაწვა.

— მაგვიანდება, — ვუთხარი მე, — მაგვიანდება, შენ გამო მაგვიანდება, ბიჭები ახლა სამხერხაოში იქნებიან კიდევ.

— თქვენ ყველანი მირბიხართ და... — ის დაიჭმაჭნა. აქვითინების თავიც კი აღარ ჰქონდა, უხმოდ წამოსცრემლა — ყველანი მირბიხართ, შენ მირბიხარ!..

ყელში ბურთი გამეჩარა.

— ჩემ მაგივრად შენა სტირი? — ავფეთქდი მე, — შენი მიზეზით რამდენი დავიგვიანე?!

— მოდი, ორივენი დავბრუნდეთ, — ყრუდ, როგორც თევზები ლაპარაკობენ წყალში, ისე ჩაიჩურჩულა მან, — მე და შენ ერთად დავბრუნდეთ.

— მე რაღაზე დავბრუნდე, მე სირბილი შემიძლია და მივრბივარ.

— თქვენ ყველანიც მირბიხართ...

— მე რა შენი დედ-მამა მნახე, ჩემთან რომ სტირიხარ, წადი და იმათთან იტირე. — მე მას სოფლისაკენ ვუბიძგებდი, ის კი ჩურჩულებდა:

— ერთად დავბრუნდეთ... ორნი... მე და შენ...

— გზაზე კი არ შეგჭამენ. გზაზე მგელი არ შეგეხვდება, წადი!

— არა! — მკვეთრად თქვა მან.

— მაშ რა?

მან გაჭირვებით ასწია ლამაზი თავი და ამღვრეული მსხვილი თვალები მომაპყრო.

— რას ამბობ, — გავუმეორე მე, — ხომ იცი, რომ მგელი მარტო არ გაბრუნდება უკან?

გალეულ ყანყარატოზე ყიყვი ნელა აუვიდა მალლა, იდგომლა ცოტა და ისევ ნელავე ჩამოუვიდა თავის ადგილას — მერე იტყვიან, რო... — მან მზერა დახარა.

— რას იტყვიან?

— იმას იტყვიან, — ჩურჩულებდა იგი, — იმას იტყვიან: „ყველა დანიშნულ ადგილზე მივიდა და შუა გზიდან მარტო „უცხო“ გამობრუნდაო“. ყველანი, ყველანი მირბიან და მარტო მე ვერ...

— შენ გინდა, რომ... — მაგრამ ყელში ისევ გამეჩხირა ბურთი. და იმისთვის, რომ არ ავტირებულებიყავი, იმისთვისაც, რომ ის მართალი იყო, იმისთვისაც, რომ ვიგვიანებდი, ვიგვიანებდი, წამიწუთწუბამით ვიგვიანებდი და რადგანაც არაფრით, არაფრით შველა არ შემეძლო, მე კიდევ ვუბიძგე მას: — აბა, წადი!

ის წაიქცა და მე გავიქეცი.

— მაგრე იჭექი, — მხარუკულმა გავძახე მას, — შენ ერთ მუჭა ნახერხს მე მოგიტან.

მაგრამ ის ამდგარიყო და რაცრაცით მოდიოდა. მე შევდექი, ჩემამდე რომ მოვა, ვცემ-მეთქი, მაგრამ მან ჩემამდე ვეღარ მოაღწია, ფეხები აერია და დაეცა. — შტერო! — აღმომახდა კივილი. ის კი ოთხზე წახელფეხებულებიყო და ასე დაოთხთათებული ძლივძლივობით აღერდა იმ ლამაზ თავს. ამგვარად შთაიბეჭდა იგი ჩემში.

მე გავიქეცი. უკან მიხედვისა მეშინოდა. მეშინოდა, კიდევ ერთხელ არ დამენახა მისი რწიალა სიარული და დაცემა. ვშორდებოდი და ვშორდებოდი. სირბილი მიმძიმდა და თავს ვინუგეშებდი: ჯერ ერთი, მიმძიმს იმიტომ, რომ აქამდე ამოდენა გზა გამოვიარეთ და მეორეც კიდევ, მარტოცა რომ მივრბივარ — სიმარტოვის გამო-მეთქი. თავს ვიტყუებდი, სირბილი სრულებითაც არ მიმძიმს-მეთქი, ვითომდაც მართლა მივჭროდი და ქარიც ვითომდა მართლა მიწიოდა ყურებში. მე ვგრძნობდი, რაღაც უამური რომ მოხდა და მეგონა, რაც უფრო გავიქეცი, იმ უამურ რაღაცას გავშორდები-მეთქი. ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! — წამდაუწუმ შევახსენებდი თავს. მასწავლებელმა დაგავალა ნახერხის მოტანა... სხვა დავალება არა გაქვს, შენი მიზანი ნახერხია, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!.. რაღაც უამური კი მოხდა, მაგრამ უკვე მოხდა და აღარაფერი ეშველება, შორს, შორს, შორს!.. ხოლო ვისაც სირბილის თავი არა აქვს, ის ნუ ირბენს.

მე მოვუნელავე. მოვუნელავე იმ განზრახვით, რომ უკან მივბრუნებულებიყავი, მაგრამ ამ ქანცგამწყვეტი სირბილით გამოლეული იმსიგრძე გზა დამენანა და თავი მოვიტყუე, თითქოს მოვუნელავე აღმართის მიზეზით. აღმართს დაღმართი მოსდევდა, მარტო თავი უნდა შეგემაგრებინა, არ წაქცეულიყავი და გზა თვითონ ჩაგიყვანდა. მაგრამ სირბილი გაჭირდა და ჰაი როგორ გაჭირდა!

...ახლა კი დავმდგარვარ და გიყვები, ამ ხნის განმავლობაში როგორ მქენ-

ჯნიდა სინდისი. მას აქეთ ოცდახუთი წელია გასული, ოცდახუთი წელი. მოსამართლე ბრალდებულს ეუბნება, შენი ამა და ამ ბოროტმოქმედებისათვის რა გირჩევნია მოვისაჯოს სასამართლომ, სიკვდილი თუ ოცდახუთი წლით პატიმრობაო, ბოროტმოქმედი კი ფიქრობს, ფიქრობს და მერე ამბობს „სიკვდილი თუ ოცდახუთი წლით... მაგრამ განა ეგ ორივე ერთი არ არის?“

არა, მე ბოროტმოქმედება არ ჩამიდენია, არც სასამართლოში მოუცილათ ამგვარი კითხვა ჩემთვის, მე უბრალოდ მიხდოდა მეტყვა, რომ ოცდახუთი წელი სიკვდილის ბარდაბარი დროა, ყველაფერს ჰკლავს, ყველაფერს ცვეთს და ყველაფერს სცვლის. ძველი მკაცრი მასწავლებელი თვალებს წკურავს, თვალებმოწკურული გაკვირდება და ვერ უცვნიხარ: „არა, ვერა ვცნობ... სათვალე თან არა მაქვს... სათვალე დავკარგე, ბოდიში, ვერა ვცნობ“. უყურებ, უყურებ და ვერ გაგიგია, ქალების ამ ჩამქრალ თვალებზე რატომა თქვი ერთხელ „ცისფერ თვალთა ხომლი“. მათი თვალები ცისფრობდა მხოლოდ ოდესღაც, ერთხელ, მერე ის ცისფერი გაფრინდა; წავიდა და ახლა სხვა გოგოების თვალებიდან იყურება. ყველაფერი ჰქნება, ყველაფერი იცვლება... არ იცვლება, არა ჰქნება და არ გავიწყდება მხოლოდ ის, რაც ბავშვობისას გადაგხდენია, რაც შენ თვითონ ჩაგიდენია. თუკი მომხდარა და ჯგუფთან ერთად გირბენია, შენში მუდამ იტრთოლებს მაშინდელი თქვენეული ფეხის ხმა, ამფრთხალი ღამეული ფრინველის ფრთათა ფათქუნს რომ წაემგვანება თაფ-თაფ-თაფ-თაფ-თაფ—თაფა-თაფა-თაფა-თაფა.. და თუ შენ შენი ამხანაგი ნახერხზე გასცვალე... დიახ, შენი თანამორბენალი ამხანაგი ერთ მუჭა ნახერხზე გასცვალე, მოკლედ, დასტოვე ის ოთხზე წაღდავებული და შენი გზის გამომყურე, უკვე აღარ იფიქრო, ვითომ — ამ აღმართს რომ აივლი, მერე აღარაფერი გაგიჭირდება, აღარ მოიხედავ და აღარ დაინახავ შენ უკან ოთხზე მომლოლავს, თავი რომ რის ვაიჭირით აუწევია და მსხვილი თვალების აბლანდული მზერით გამოგჩერებია. უკან არ მიიხედავ, მაგრამ ის შენ წინ იქნება; ჩქარა ირბენ, მაგრამ სირბილი გექნება მძიმე და უფრთო; მაზუთში ამოთხვრილი ფრინველივით იკვნესებს შენი სინდისი, იკვნესებს და ვერ კი აფრინდება.

სამხერხაოდან ურმით ფიცარი მოჰქონდათ. მეურმე ბადალაანთ „მწარია“ პაპა იყო. ურემს მოვეცალე, გზა დავუგდე და, ცოტა არ იყოს, გამიხარდა.

— ავაქა პაპავ, — ვუთხარი მე, — დარბინიანთ არსენა პაპას შვილი-შვილი ჩამოგვრჩა გზაზე, როგორმე დაარწმუნე წამოგყვეს და წაიყვანე რა!

— შენ ვისი ბიჭი ხარ? — შემეკითხა იგი.

ის იმდენად ბებერი იყო, შეიძლება მამაჩემიც კი არა სცნობოდა.

— ავეტიქა პაპას შვილიშვილი ვარ, — მივუგე მე.

ურემს ახალთახალი, მძიმე ფიცარი ედო, ჯანდაგი ხარები ურემს ძლივს ეწეოდნენ. ურმის თვალი ქვამ შეაფერხა.

— შე ძაღლის დაგდებულო, — გადმომახა მან და ხარს სახრე გადაჰკრა, — ამხანაგი გზაზე შენ მიგიტოვებია და მე მეუბნები, წაიყვანეო?

სახრის გადაკვრაზე ხარი დაიძაბა და თვალი ქვაზე გადაატარა. ურემი გამცდა.

ურემი გამცდა, გზა უკვე ცარიელი იყო, მაგრამ სადაც გავჩერდი, იმ ადგილს ველარ მოვწყვეტოდი. გული ყრუდლა მიცემდა და ირგვლივ ღრმა მღუმარება ჩამომდგარიყო. ჭირკვები უძრავად იდგნენ. თოვლი მშვიდად

ბრწყინავდა, მე უძრავად ვიდექი იმ თოვლში. რაღაც ოდესმე ნაცნობი გაცდა მივლიდა, მეჩვენებოდა, თითქოს მუხის ქერქის გუდურა მეკიდა, ტვირთქვეშ მოკაკვილი ვიფლობოდი თოვლში და საკუთარ არსებაში. მერე სახრის ტკაცუნის მოისმა. სადღაც ხარი მიიძაბებოდა, ურმის თვალი ტრიალებდა, ფეხები მიატყაპუნებდნენ, მე კი ამ ჯირკვებში ვიდექი გაჩერებული. გზაზე დავედი და მივხვდი, რომ ამდენ ხანს ფიცრისა და ნახერხის სუსტში ვმდგარი ვარ, თითქოს ისევ მუხის ქერქი უნდა მეწიკა.

უკვე მივრბოდი, მაგრამ პირველ ხანს გულისხმა ვერ დავადევნე, საით მივრბოდი. მივრბოდი, რაღა თქნა უნდა, სამხერხაოსკენ, ჩემი აზრით, სამხერხაოსკენ, მაგრამ მეჩვენებოდა, თითქოს სოფლისაკენ მივრბივარ და ამღვრეული მზერით საწყალობლად ამომჩერებია წაქცეული არტავაზდი. მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, მე სოფლისაკენ კი არა, მაინც სამხერხაოსკენ მივრბოდი, ნახერხისათვის.

სამხერხაოს ზემოთ, გზის გასახვევში შავად დაჩნდნენ ბიჭების გაღეულ ფიგურები. მე შემეძლო მოკლევადი, თოვლ-თოვლ, თუკი გაყინულ ხევს გადავჭრიდი, სამხერხაომდე მივსულიყავ ბიჭებზე ცოტა უფრო ადრეც, მაგრამ მინდოდა მათში გავრეულიყავი, მათში ავთქვეფილიყავი, ვყოფილიყავი ერთ-ერთი მათგანი. სამხერხაოსთან მე მათ დავეწიე და ახლა მათთან ერთად მივრბოდი.

— „უცხო“ ვერ ირბინა? — მკითხეს მათ.

— ვერ ირბინა, — მივუგე მე. ოღონდ ვერ გავბედე მეთქვა: უცხო შენა ხარ-მეთქი, მარტო ესა ვთქვი: „ვერ ირბინა“.

— ჰიტლერ კაპუტი! — უთხრეს მათ ტყვე რუმინელებს.

— ჰიტლერ კაპუტი! — როგორც ერთ-ერთმა იმათგანმა, ვუთხარი მეც ტყვე რუმინელებს, რომლებიც თავიანთ ამხანაგს მტკივან ფეხს უხვევდნენ. ისინი შემობრუნებულიყვნენ და ნალვლიანი ღიმილით გამოსცქეროდნენ იმ გამხდარ-გაწლიოკებულ ბიჭებს, სალამს რომ იძლეოდნენ მათთვის ნაცნობი ერთადერთი უცხოური სიტყვით — „კაპუტი“, მერე ილუნებოდნენ, პატარა, ძვალტყავა ხელებით თითო მუჭა ნახერხს იღებდნენ, მაგრად ბლუჯავდნენ და უკანვე გარბოდნენ. მე რომ ნახერხი მარჯვენითაც ავიღე და მარცხენითაც, ტყვეების ზედამხედველმა დამცინა:

— უბეშიც ჩაიყარე, უბეშიც!

უკვე გამოსაქცევად ვიყავი შემობრუნებული, მაგრამ ნახერხი ორივე მუჭიდან მოვისროლე და ზედამხედველს ვუთხარი:

— აბა, შენ იცი, რისთვის ვიღებ ამას?

— არ ვიცი, — თქვა მან.

— თუ არ იცი, რატომღა დამცინი?

— იმიტომ იღებ, რომ შენი ამხანაგი გზაზე მოსაწევად ჩამოჯდა და შენ გითხრა, ერთი მუჭა კიდევ მე წამომიღეო.

— არა! — დავიკივლე მე.

— შენს მასწავლებელს ვეტყვი და ის შეამოწმებს.

— უთხარი! — მე მოწყვეტით დავიხარე, ავიღე ჯერ მარცხენა ხელით ერთი მუჭა ნახერხი არტავაზდისთვის, მერე მარჯვენით — ერთი მუჭა ჩემთვის და ორივე მუჭაში ნახერხჩაბლუჯული გამოვიქეცი. ცოტა ხნის შემდეგ ვიფიქრე, მარჯვენით რომ მიმაქვს, არტავაზდს სწორედ იმ ნახერხს მივცემ,

როგორც გამარჯობას ეუბნებოდე, მარჯვენას გავუწვდი და ვეტყვი: აჰა, ნახერხი მოგიტანე, შენი ნახერხი გამომართვი-მეთქი.

— რამდენი მუჭა ნახერხი წამოიღე? — ჯგუფში ვკითხე ერთს.

— ერთი, რამდენი?!

— არტავაზდისთვის არ წამოგიღია? — შევეკითხე მეორეს.

— რაო?

— არტავაზდი ჩამორჩა, არტავაზდისთვის ნახერხი არ წამოგიღია?

— რატომ უნდა წამომეღო?

— არტავაზდი ჩამორჩა, — ვუთხარი მე.

— არ წამომიღია.

— მე წამოვიღე, შენ მოგცემ და იმას მიეცი.

— რატომ? შენ წამოიღე და შენვე მიეცი!

მაგრამ მე რომ არტავაზდისათვის თუნდაც ისე, გამარჯობასავით, ხელის გაწოდებაც კი არ შემეძლო, ეგ ველარ გავბედე ამეხსნა ამათთვის, რადგან თვითონაც ვერ გამერკვია, მართლაცდა რატომ არ მქონდა მისთვის ისე უბრალოდ, ძმურად ხელის გაწვდის უფლება.

— ახლა ისინი სად იქნებიან? — ვკითხე მე, — ვითომ უკვე ბრუნდებიან?

— აყვავებულ ტირიფთან იქნებიან.

— იმათ ტირიფის შტოები უნდა მიიტანონ, — ვთქვი მე.

— ჩვენ კიდევ ნახერხი მიგვაქვს.

— არტავაზდის ნახერხს მოგცემ და მიეცი, რა! — ვუთხარი მე.

— შენ წამოიღე და შენვე მიეცი!

— შენ რა, მოჰკვდები?

— შენ რატომ არ გინდა, რომ მისცე?

— არა, ეგა თქვი, მოჰკვდები?

— შენ თვითონ მოჰკვდები?

— ცოტა ნელა წავიდეთ, — ვთქვი მე, — ისინი ჯერ ალბათ ახლა უახლოვდებიან ტირიფს.

— ისინი ახლა სკოლაშიაც იქნებიან ჩამოსულები.

— რალა თქმა უნდა, არტავაზდი ხომ იმათ ჯგუფში არ არის?

— არც რომ ჩვენს ჯგუფშია!

— თუ „მწარია“ პაპამ წაიყვანა... — ვთქვი მე, — ცოტა ნელა ვიაროთ.

— თუ აღარ შეგიძლია, სირბილით ნულარ მოგვყვები, — მითხრეს ბიჭებმა.

ცოტა გვიან მივხვდი, რომ ამას ამბობენ არა საერთოდ სუსტებისა და არტავაზდის შესახებ, არამედ მე მეუბნებიან.

— ეგ ვის აღარ შეუძლია, მე აღარ შემიძლია? აბა, მაშ, ახლა თქვენ...

— მე გავძვრინდი, „დამეწიეთ“-ს კი ვიტყოდი მხოლოდლა მაშინ, როცა მათ უკან ჩამოვიტოვებდი. ვიძაბებოდი და ვიძვებებოდი, მაგრამ რად გინდა? არც ისინი მრჩებოდნენ უკან და არც იმდენზე, რომ იმით მაინც დამედგინა, ამ დაძაბვამ რა შედეგი მომცა. რალაც ისეთ სიცარიელეს ვგრძნობდი, როგორსაც აი, ლოგარითმულ სახაზავზე რომ გეკითხებიან და არ იცი, რა უპასუხო — ისეთს, ჰოდა, ის დაძაბვაც მნელდებოდა. — ის ვინლა იყო, — ვეუბნებოდი ბი-

ქებს, — არტავაზდის მიზეზით რომ თითქმის მთელი საათი ჩამოგრჩათ და მაინც დაგეწიათ?

— შენ, — დამიდასტურეს ერთხმად.

— სწორედ რომ — მე.

— რაც მართალია, მართალია, — თქვეს მათ, — არტავაზდთან შენ დაგეწიე.

— ზედ სამხერხაოსთან ხომ დაგეწიეთ?

— არტავაზდი არ დაგვეწვია, შენ დაგვეწიე.

— დიახაც, მოვედი და დაგეწიეთ.

— ორივენი ჩამორჩით, მერე შენ მოგვეწიე და არტავაზდი კი არ გამოჩენილა.

— მერე მე დამნაშავე ვარ, არტავაზდი რომ ვერ მოვიდა?

— ვინ გეუბნება, დამნაშავე ხარო?

— მე ბრალი არ მიმიძღვის.

— არ მიგიძღვის.

— პირიქით, მე იმას ნახერხი წამოვუღე.

— ნახერხი რად გინდა?

— მას უნდა მივცე.

— რატომ უნდა მისცე?

— იმას წამოვუღე და, მაშ, რა ვუყო?

— რა წამოვუღე?

— ნახერხი, — ვთქვი მე, — ნახერხი, ნახერხი, ნახერხი წამოვუღე. ცოტა ხელა წავიდეთ.

— „კბენანა“ პაპას გამოისობით ვინ ჩამორჩა? — კიდევ მომაგონდა მე, — მერე კი წამოვიდა და დაგეწიათ?..

პასუხი არ გამცეს.

— იქ იმ „კბენანა“ პაპას გამოისობით...

მაგრამ ისინი აღარ მისმენდნენ. ისინი უკვე შორს იყვნენ და უფრო მშორდებოდნენ. ისინი შეწყობილად, მღუშარედ, ზანტი ზოზინით მიიძვროდნენ, თითქოს სულ ერთ ადგილას იტყეპნებიანო, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ. ეს თითქოს არც იყო სირბილი, ეს იყო სირბილის აბუჩად აგდება. არც დიდი ფრთაშესხმა იყო საჭირო, არც ცხენით გამოდგომა, ცოტა რომ დავძაბულიყავი და ფეხებისთვის ძალა დამეტანებინა, ხელად დავეწეოდი მათ... არა მჯეროდა, რომ მართლაცდა მთლიანად დავიცალე და დავიწკრიტე, მაგრამ არც ისა მჯეროდა, რომ მათი სირბილი სირბილის აბუჩად აგდება არ იყო... არადა, ისინი მაინც მშორდებოდნენ, მშორდებოდნენ და მათთან ერთად მშორდებოდა სიცოცხლე, სიხარული, სირბილის აღმაფრენა, ცისფერ თვალთა ხომლი — ცოტა არ იყოს, დამცინავ და ცოტათიც — მომცინარ თვალთა ხომლი, მე კი მრჩებოდა ერთადერთი — სირცხვილი სუსტისა და დაჯაბნილისა. მე მშურდა მათი, მე მძულდა მათი მხრების მწყობრი აწევ-დაწევა, მძულდა მათი მკვდარივით ჭიუტი წინსვლა. ჩემს ცარიელ არსებობას მათ ძლიერ ჯგუფთან ახლა აკავშირებდა მხოლოდლა შური.

— მართოდ მტოვებთ, არა? — წავიჩურჩულე მე.

მათი ბეჭები უგრძნობელნი იყვნენ ჩემი შურისადმი, ისინი მიდიოდნენ, განუწყვეტლივ, შეუწელებლად და აუჩქარებლად მშორდებოდნენ, და როდეს-

საც ერთხელ კიდევ შევმართე მზერა, ისინი უკვე აღარ ჩანდნენ, თოვლი და გზა იყო მხოლოდ. მე გავჩერდი.

— წადით!

მკერდზე თავჩამოგდებულმა და ადგილზე მოქანავემ წავიჩურჩულე:

— ეგეც არაფერი, მგელი კი არ შემჭამს!

და ვიგრძენი, რომ აღარაფერი, ახლა უკვე აღარაფერი მაკავშირებს მათთან — აღარც შური, აღარც პირველობის ან სულაც მათ ჯგუფში ერთ-ერთ იმათგანად ყოფნის სურვილი; რომ ასეც არა უშავს რა: მე ვარ და გზაა, თოვლია, მდუმარებაა და ცარიელ გზაზე მარტო მე ვარ, მინდა — დავწვები, მინდა — გადავუხვევ და თოვლებ-და-თოვლებ წავიღებ ჩემს ცარიელ არსობას იქითკენ, არც რომ ნებადართულია და არც თავად ვიცი, საით.

ვერ გავიგულისხმე, ის როგორ მოხდა, რომ კი არ ვიწეჭი და მეძინა, არამედ ჯერ ისევ მივრბოდი. სულ თოვლი, თოვლი და თოვლი იყო და თითქოს იმ თოვლში მივრბოდი ერთსა და იმავე ადგილზე. თანდათან გონზე მოვდიოდი, მაგრამ კვლავ ვერ ვაგულისხმებოდი, მეძინა თუ ერთსა და იმავე თოვლსა ვტყეპნიდი. მიმწუხრის ბინდისა არ იყოს, თითქოს ერთმანეთსაც ერჩეოდა და ერთმანეთსაც ეთქვიფებოდა ჩემში სირბილი და ძილი. თოვლი, თოვლი და კვლავ თოვლი იყო, თოვლში კვლავ თოვლი იყო და თოვლის სითეთრეში არ იყო რაიმე არათეთრი, რომელიც უკან ჩამომრჩებოდა და მე ვიტყოდი, აჰა, ის ჩემ წინ არის, აჰა, უკვე გავუსწორდი და, აჰა, უკვე ჩამოვიტოვე-მეთქი. სირბილი, რაღა თქმა უნდა, იყო. ჩვენ დავეწყვეთ... გავიყავით ზრ ჯგუფად... შორეული გორაკის თოვლებში უფროსკლასელები „ურას“ იძახდნენ... აწითლებული ქალები ჩამომსხდარიყვნენ და გვიყურებდნენ... მერე ხელები წავეყავით თბილ ნახერხში... სირბილი გვქონდა უწინ, როდისღაც, შეიძლება უკვე მორჩენილებიც ვიყავით სირბილს და ახლა სირბილს სიზმარშიღა ვხედავდი. ამასობაში „უცხომაც“ მოაღწია, ფეხებგაჩარხული გამიჩერდა წინ, მსხვილი თვალების მღვრიე მზერა მომაპყრო და ესეც ერთხელ, მგონი, უკვე იყო და ახლა ამასაც სიზმარში ვხედავდი თითქოს.

— დედაშენს უთხარ, ეგ ხალათი გაგირეცხოს, — ვუთხარი მე და ვიგრძენი, რომ მეც მის წინა ვდგავარ.

მან ნერწყვი გადაყლაპა და ამოსუნთქვას ხვნეშა ამოატანა.

— ნახერხი წამოგიღე.

— ნახერხი, — წაიჩურჩულა მან.

— ნახერხი წამოგიღე, შენი წამოსაღები ნახერხი მე წამოვიღე. არ გითხარი, რომ ნახერხს მე წამოგიღებ-მეთქი?

— შენ წამომიღებ, — წაიჩურჩულა მან. მე ნახერხი ჩავუყარე მუჭაში, მან გამომართვა, თქვა „ნახერხიო“, მაგრამ, მგონი, არც ესმოდა, რას აკეთებდა ან რას ამბობდა. შემეჩილული ხელები გულზე მიიკრა და სამხერხაოსკენ შეიძაბა. ორივე ხელით დავიჭირე და მოვეხვიე. მეამა მიხუტება ამ სუსტი და უსუსური, მაგრამ მაინც ჩემი ამხანაგის სხეულისა, შემოვაბრუნე იგი და გამოვიქეცი მასთან ერთად, ოღონდ იმ წუთას გონებაც კი ვერ დავადევნე, თუ ვინ ვინ შეაბრუნა და საით? — მან მე სამხერხაოსკენ თუ მე ის — სოფლისაკენ?

— შენ ჩემთან რა გინდა, რომ მომდევი? — წაიჩურჩულა მან. საწყალს ეგონა, სამხერხაოსკენ მივრბოდი. — შენ ნულა მომდევი, — წაიჩურჩულა

კვლავ. ხმა აღარ გამიცია, რადგან მეც ისევ მომეჩვენა, თითქოს სამხერხაოსკენ მივრბოდით.

— რატომ მომყვები? — წაიჩურჩულა მან, — ნუ მომყვები.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, — ვუთხარი მე, — ცხვირით ისუნთქე.

— ნუ მომდევ!

ამჯერად გავიფიქრე, რომ მას ჩემთან, ასეთ ცუდ ამხანაგთან, გვერდ-გვერდ სირბილი არ უნდოდა. „მე წავალ და მოვალ, — წაიჩურჩულა მან, — წავალ და მოვალ“; მაშასადამე, სინამდვილეში იგი ფიქრობდა, რომ მე იმდენად კარგი ვიყავი, მხოლოდ მისი გულისათვის მივრბოდი სამხერხაოსაკენ.

— შენ წახვალ და მოხვალ, — ვთქვი მე.

— წავალ და მოვალ, — წაიჩურჩულა მან.

— პირი მოკუმე.

იგი დაეცა, ოთხზე წამობობლდა და ისევ დაეცა.

— წახვილ და მოხვალ, მაშა! — ვუთხარი მე, — აი, ეგ არის შენი წასვლა-მოსვლა!

ვცდილობდი მის წამოყენებას, ვერ ვაყენებდი და ჩემივე წვალება მეამებოდა. მეამებოდა, რომ მას წამოდგომაში ვეხმარები, რომ მას მუჭაში ნახერხი უჭირავს და რომ ჩემი სხეული ეხება მის ნეკნებად ქცეულ სიგამხდრეს.

— სიჩუმეა, — დაიჩურჩულა მან. — ყრუ დუმილია ირგვლივ.

— რისი სამხერხაო, რომელი ნახერხი! — ვთქვი მე, — ვინ შეგვიმოწმებს ნეტავ, მართლა ვიყავით თუ არა სამხერხაოში?

— შენ ხომ ერთხელ უკვე იყავი იქა, შენ ნუ წამოხვალ, — წაიჩურჩულა მან, — მე წავალ და მოვალ.

— პირი გამიმწარდა, ცოტა ნელა იარე, — ვუთხარი მე.

— ნუ მოხვალ, — კვლავ აჩურჩულდა იგი, — მე წავალ და მოვალ.

— ნახერხი მეც ბიჭებმა მომიტანეს, — ვუთხარი მე.

— ნახერხი ბიჭებმა მოგიტანეს... პირი გაგიმწარდა, — წაიჩურჩულა მან, — ააარა! — დაიბლავლა მან, — შენ მოგიტყუებოვარ, სოფელში მიგყავს ჩემი თავი!

წინ გადავუდექი.

— ნახერხი მეც ბიჭებმა მომიტანეს. სულ ერთია, შენ სამხერხაოში ვერ წახვალ, არ გაგიშვებ!

— ააარა!

ხელები შემოვხვიე, დავიჭირე და ორივენი წავიქეცი. და ასე ჩახვეული წოლაც საამო იყო, როგორც ის აღმაფრენა სირბილის დასაწყისში. ძლივს წამოვდექით, რადგან მე მას ხელს არ ვუშვებდი, მას კი ჩემი წამოყენების თავი არა ჰქონდა.

— შენ მატყუებ, — ატირდა იგი, — შენ სამხერხაოში იყავი!

— ჩემი ნახერხი ბიჭებს გამოვართვი...

— თქვენ ყველანიც, ყველანიც იყავით სამხერხაოში, მართო მე ვერ მივდი, — ტიროდა იგი.

ტიროდა, რადგან ძალა აღარ ჰქონდა გაბრუნებულიყო სამხერხაოსაკენ, რადგან შერიგებოდა იმ აზრს, რომ ეგრე, ჩემი მიცემული ნახერხითა და გულზე მიკრული მჯილეებით უნდა ერბინა სოფლამდე. ჰოდა, ძლივ-ძლივ მოიწაწნებოდა და ტირილისაგან სახე ეღრიჭებოდა.

— მაგრამ არ იტყვი... არ იტყვი, არა, რომ ნახერხი შენ მომიტანე?

კიდეც:

— არ იტყვი... არავის ეტყვი, არა, რომ მე სამხერხაოდ ვერ მივედი?

— შენ იყავი სამხერხაოში! — მაგრამ ის მაინც მოლასლასებდა და ტირილი აღრჩობდა.

— რომ შემეკითხონ, სამხერხაოში რა იყო?

— რა იყო და, ნახერხი იყო-თქო, — ვეუბნებოდი მას, — ნახერხი-თქო! ცრემლები მჭილებზე დასდიოდა, მას კი არ უნდოდა ტირილი და სახე ელრიჭებოდა.

— მაგრამ შენ რომ იყავი სამხერხაოში?

— შენც იყავი! — ვეუბნებოდი მე. ის იხრჩობოდა და ფშრუკუნებდა.

— ჰოდა, არ იტყვი, არა, რომ მე იქამდე ვერ მივედი?

— შენი ნახერხი მუტაში გიჭირავს, შენ იქ მიხვედი და იყავი კიდეც, — ვეუბნებოდი მას, მაგრამ სულერთია, მის სხეულში ტყუილისთვის ერთი ბეწო აღვილიც არ მოიძებნებოდა. ის ტირილ-ტირილით კვლავ და კვლავ მეკითხებოდა:

— რომ მკითხონ, ეგ ნახერხი საიდანო?

— სამხერხაოდან-თქო! — ვეუბნებოდი მე.

— მაგრამ მე რომ სამხერხაოდან ვერ მივედი! — იხრჩობოდა იგი, — სამხერხაოში არ ვყოფილვარ და ხელში კი ნახერხი მიჭირავს, საიდან ეს ნახერხი?

სოფელიც გამოჩნდა. მე გავიმართე და ვუთხარი:

— შენ ჩემზე კარგად დარბიხარ.

გორაკებზემოდან სოფელი გამოგვყურებდა. შუბლზე წამოჩრილი სახურავებით გამოგვყურებდნენ სოფლის სახლები. გვიყურებდა და ხედავდა სოფელი, რომ მისი ორი შვილი — არსენა პაპას შვილიშვილი და ავეტიქა პაპას შვილიშვილი ერთად, ამხანაგურად მოდიან. მათში ერთი, რალა თქმა უნდა, ცოტა უფრო ყოჩალი იქნება, მეორე — შედარებით სუსტი, მაგრამ წინაუკმოდ კი არ მოდიან, არამედ ერთად, ამხანაგურად, მხარიმხარ. სოფლის სახლებშუა წამოზიდული სკოლის შენობა ფანჯრების დაისური ციმციმით გამოგვცქეროდა. ჩვენს დაბრუნებას გამოსცქეროდა, რალა თქმა უნდა, სკოლის კარებწინ გამომდგარი გოგოების მწვანე-წითელ-ყვითელი ჯგუფიც... ყვითლად შემოსილი გოგოების ჯგუფი, ხელებს რომ აყვავებული ტირიფის შტოები უმშვენებდა, გამოგვცქეროდა და ხედავდა, თუ რა საცოდავი, რა უმწეო, რა ვულის გამხეთქავად ზანტი იყო ჩვენი, ამ ნაბოლარათა, სვლა.

— სკოლის კარებიდან ახლა გამოგვცქერიან ალბათ, — წაიჩურჩულა მან.

— შენ ჩემზე უფრო კარგად დარბიხარ, — ვუთხარი მე, — მოუჩქარე!

ის დაიძაბა, შეიმართა, დაძაბულობისაგან სახეც კი დაეღრიჯა, მაგრამ მაინც უკანა რჩებოდა. კიდეც უფრო დაიძაბა და შეუტია თავის თავს, ერთ წამს გამისწორდა, ცოტა წაგვერდილად წინ გატანილი წითელი ზურგით თითქოს გამისწროსავით კიდეც, მაგრამ იმ ერთ თვალის დახამხამებაშიც კი ჩანდა, რომ მისი ეს მხარდასწორება ჩემთან წამიერი და წარმავალი იყო. და მის სახეზე გაკრთა და მაშინვე ჩაქრა ის საწყალი ღიმილი, როგორი ღიმილითაც იღიმება ადამიანი, როცა დამარცხებას ურიგდება. მან წაიჩურჩულა:

— შენ წადი.

- „ეულ ჯვარქვასთანა“ ვართ, — ვთქვი მე.
- კარგი ერთი, — წაიჩურჩულა მან, — შენ წადი.
- „ეულ ჯვარქვასთანა“ ვართ.

სხვა რა უნდა მეთქვა? ხომ არ შემეძლო ისე უბრალოდ, რამის უთქმელად, რამის უგრძნობლად — ვითომ გვერდზე არც არავინ მომდევნა და არც სირბილით არის ქანცგაწყვეტილი — ის აქ დამეგდო, გავვარდნილიყავი და გოგოების მზერით ნალოწიანებს ჩემი გამარჯვებული მეობა ზათქით შემეტანა სკოლის ეზოში?

უკვე სკოლის ჩამოდაღმა, ბალის მოსახვევში ვიყავი, როცა უკან მივიხედე. ის მოდიოდა გულსაწყვეტი ძლივძლივობით, სადაც დავტოვე, ისევ იქ იყო. ისა და ჯვარქვალი იდგნენ თოვლში ხევისპირას და თითქმის არ იძვროდნენ.

მე გავსწორდი და შევედი სკოლის ეზოში. სკოლის ეზო ცარიელი იყო. ჩემივე ყურების შუილის გარდა ხმა-ჩქამი არსაით გაიგონებოდა. სკოლის ეზოში სულდგმული არ ჰაჭანებდა. საკლასო ოთახებში არავინ იყო, გაწმენდილი დაფა შავად შემომცქეროდა. სამასწავლებლოშიც არავინ აღმოჩნდა, მარტო საათის ქანქარა ირწეოდა მდუმარებაში და საწერ მაგიდაზეც მდუმარედ ილანდებოდა ტირიფის აყვავებული შტოები. ცარიელ ეზოში, სამასწავლებლოს ზღურბლთან, ცოტაოდენი ნახერხი ეყარა.

— არა, — ჩურჩულით აღმომხდა მე, — არა, არა!..

ყელის ხუთვით გავხსენი მუჭა, მუჭაში ჭერით ნახერხი დამგუნდავებოდა, ნერწყვი ჩავიბრუნე და ჩემი ყიყვი აიჩარა, ყელში ბურთად გამეჩარა და მერე ზანტად ჩაბრუნდა თავის ალაგას. მსგავსი რამ თითქოს ერთხელ უკვე განცდილი მქონდა და ახლა იმ განცდილის დასიზმრებასა ჰგავდა ესა. ნახერხის გუნდა ძირს დავაგდე. გუნდა გასკდა, გაიშალა და ზღურბლზე დაყრილი ნახერხი მაინც ისევ ცოტა ჩანდა, თვითონ რომ არ მოგეტანა, ვერც კი შეამჩნევდი.

დავიხარე, ორივე ხელით შევაქუჩე ყველა ჩვენგანის მოტანილი ნახერხი და მთელი ნახერხი შეიკრა ერთ ლაფის გუნდად. ამ გუნდით გავვარდი მასწავლებლის სახლისაკენ. მას ძროხებისათვის გომში თივა მიჰქონდა. მადათს ტირიფის აყვავებული შტო ეჭირა, გომსა და ძროხებს შუა ჩამდგარიყო და ძროხებს გომში არ უშვებდა, სანამ მამიდამისი თივას ბაგაში არ ჩაყრიდა. მან წარბი შეიკლამაცრივა, ქეშად გამომხედა და გადააწიტა, ვითომ — ეგეც შენაო, აი, ასე ჩაგჩრი შენს დამარცხებას მაგ პირშიო. თივადაილლიავენებულმა მასწავლებელმა შემამჩნია, ილლიაში თივა მოიხელსადაგა და მომაცქერდა. მხოლოდ მე მომაცქერდა. მუჭა გავხსენი და მომესმა ნახერხის დაცემის ხმა. მის მზერაში სიყვარულსა თუ მოფერებასავით რაღაც გაკრთა და ბაგეთა შეუმჩნეველი თრთოლვით, ჩურჩულით შემეკითხა: „არტავაზდი სადღაა?“ მას უნდოდა, რომ ჩემგან მოესმინა: „მოვიდა, სკოლაშია!“ მაგრამ ის ჯერ არ იყო მოსული, სკოლაში არ იყო, ხევის იმ დაბლაურობაში, მარტოკინა, ლასლასითა და ბარბაცით ებრძოდა თავის დაბლაურობასა და სირბილს. „მოდის“, მივუგე მე და მზერა ისეთი გაუხდა, თითქოს ჩემში თავისი ძმის მკვლელსა ხედავდა.

— დიახ! — ის შეტრიალდა და თავიანთ ძროხებს გომში თივა შეუტანა.



მთხრობა

ფრანგულიდან თარგმნა ლაურა კალანდიაძემ

თქვენ გინდათ, გაიმბოთ ყველაზე უცნაური შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან? — თქვა ქალმა, — მოიცათ, მოიცათ, მე ბევრი რამ გადამხდენია თავს.

— კიდეც გექნებათ რაიმე მოსაგონარი.

— ოჰ, არა, დავბერდი, ჭკუაში ჩავვარდი, სხვანაირად რომ ვთქვათ, დასვენება მინდა. ახლა მსიამოვნებს, როცა საღამოობით შემიძლია მარტო დავრჩე, გადავიკითხო ძველი წერილები ან მოვუსმინო ფირფიტებს.

— ვერ დავიჯერებ, აღარავის მოსწონდეთ. თქვენ ხომ კვლავ მომხიბლავი ქალი ხართ, თუმცა გეტყობათ სულიერი ჭიდილიც გადაგიტანიათ. ეს უდავოა.

— ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, მართალია, კიდეც მყვანან თაყვანისმცემლები, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამაზე აღარ ვფიქრობ. მე ხომ კარგად ვიცნობ მამაკაცებს. ვიდრე თავისას მიაღწევენ, აღმაფრენა არ აკლიათ, მერე კი გულგრილობა ან ეჭვები იბყრობთ. ჰოდა, მეც თავს ვეკითხები ხოლმე, რატომ უნდა გავხდე კიდეც ერთხელ იმ კომედიის მონაწილე, რომლის დასასრულიც ჩემთვის ცნობილია? როცა ახალგაზრდა ვიყავი, ყველაფერი სხვანაირად მეჩვენებოდა, ყოველწამს მეგონა, შევხვდებოდი შესანიშნავ ადამიანს, ვინც ეჭვებისაგან გამათავისუფლებდა. მიაბიტი ვიყავი.

ხუთი წლის წინ გავიცანი ჩემი მეუღლე რენო და მეგონა, ხელმეორედ დავიბადე-მეთქი. იგი ძლიერი, თითქმის უხეში მამაკაცი იყო. მან გაფანტა ჩემი ეჭვები, დასცინოდა ჩემს ღირსსა და ნაღველს. მეგონა, მფარველი ვიპოვე-მეთქი. მართალია მას კულტურა და მანერები აკლდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემგან განსხვავებით მაშველი რგოლივით საიმედო ადამიანი იყო. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვფიქრობდი.

— ახლა ასე აღარ ფიქრობთ?

— თქვენც კარგად იცით, რომ არა. რენოს ერთ საქმეში არ გაუმართლდა. იძულებული ვიყავი, დამემშვიდებინა, დამერწმუნებინა, მხარში ამოვდგომოდი. მფარველი პირიქით გამიხდა დასაცავი. ძლიერი მამაკაცი იშვიათად შეგხვდებათ.

— იცნობდით თუნდაც ერთ ასეთ მამაკაცს?

— ვიცნობდი. მე იგი საკვირველ გარემოებაში გავიცანი, თანაც ხან-

მოკლე იყო ჩვენი ნაცნობობა. თქვენ მთხოვეთ მეამბნა ყველაზე უცნაური შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან, და აი, ისიც...

— მიაშბეთ, გთხოვთ.

— ღმერთო ჩემო! რას მთხოვთ? უნდა გადავქექო მოგონებები, თანაც ეს გრძელი ამბავია, თქვენ კი ყოველთვის ჩქარობთ. შეგიძლებოდათ მად-
გონიერება

— რასაკვირველია, გისმენთ.

— იყოს ნება თქვენი... მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ქვრივი ვიყავი, გახსოვთ ჩემი პირველი ქორწინება? მშობლები-სათვის რომ მესიამოვნებინა, ჩემზე ბევრად უფროს მამაკაცზე გავთხოვდი, მე იგი მიყვარდა... მამასავით. ის სიყვარული ჩემთვის სავალდებულო ნაცნობობა იყო და არა სიამოვნება. სამ წელიწადში გარდაიცვალა და საკმაოდ შეძლებულიც დამტოვა. უეცრად აღმოვჩნდი თავისუფალი ოჯახისა და ქმრის მეურვეობის შემდეგ, ჩემი თავისა და ბედის ბატონ-პატრონი. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ იმ დროს საკმაოდ ლამაზი ვიყავი.

— ლამაზი ცოტაა...

— ასე იყოს... მე ვერთობოდი და ხელის მთხოვნელთა მთელი ჯარი მეხვია გარს. ჩემი რჩეული იყო ახალგაზრდა ამერიკელი კაცი, სახელად ჯეკ პარკერი. რამდენიმე ფრანგი, რომლებიც ჩემი გულისთვის ერთმანეთს ეტოქებოდნენ, მეტად მომწონდნენ, ერთმანეთს ვუგებდით. ქათინაურების შესანიშნავი ოსტატები იყვნენ. ჯეკ პარკერი კი ცოტას კითხულობდა, მას მხოლოდ ჯაზი და ბლუზი იტაცებდა, ხატავდა, ბრმად მისდევდა მოდას, სიყვარულზე ცოტას, უფრო სწორად, თითქმის არ ლაპარაკობდა. მთელი მისი არშეყოფა ის იყო, რომ კინოში, თეატრში ან ბალში, მთვარის შუქზე ხელს მომკიდებდა და მეტყვოდა:

„რა მომხიბლავი ხარ!“

თითქოს უნდა მომბეზრებოდა, მაგრამ არა... მასთან სიამოვნებით დავდიოდი, მშვიდი და გულწრფელი კაცი მეგონა, ისეთივე მფარველად მევლინებოდა, როგორც მოგვიანებით, ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში, ჩემი მომავალი ქმარი. ჩემი თაყვანისმცემლები მერყეობდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, რა სჯობდა, ცოლად ვეთხოვე თუ საყვარლად დავესვი. არასოდეს პირდაპირ ამაზე არ მელაპარაკებოდნენ. ჯეკისათვის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. უკანონო სიახლოვეზე ფიქრიც კი ზარავდა. მას უნდოდა ცოლად შევეერთე, ამერიკაში წავეყვანე, სადაც მეყოლებოდა თმახუჭუჭა და მასავით ლამაზცხვირიანი შვილები, მამასავით ნელა და დუდლუნით მოლაპარაკენი, მიამიტები. ვინ იცის, ბანკის უფროსის მოადგილე ერთ დღეს თავმჯდომარეც გამხდარიყო! ასე რომ, ჩვენ არასოდეს არაფერი დაგვაკლდებოდა, გვექნებოდა საუცხოო საკუთარი მანქანაც. საზოგადოების თვალში გამორჩეული ვიქნებოდით. გამოგიტყდებით, მოხიბლული ვიყავი. გიკვირთ? მე ხომ ბუნებით ასეთი ვარ, თვითონ რთული ბუნების ქალს, მარტივი პიროვნებები მიზიდავდა. ოჯახში ჩემი არ ესმოდათ, ჩემთვის ამერიკაში წასვლა თავის ხსნას ნიშნავდა. ჯეკი რამდენიმე თვის სტაჟირების შემდეგ პარიზიდან ნიუ-იორკს უნდა ჩასულიყო, შევთანხმდით, იქ ჩავიდოდი და დავქორწინდებოდით. მისი საყვარელი არ ვიყავი, თვითონ არ მოინდომა, ვერც გამიბედავდა, რადგან კათოლიკე ამერიკელი იყო, მკაცრ წესებზე აღზრდილი; მეხუთე ავენიუზე, წმინდა პატრიკის ეკლესიაში

ქორწინებაზე ოცნებობდა; წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ გვეხვეოდნენ გარს ღილილოებში თეთრ მიხაკებჩაბნეული და გახამებულ მარმარილოებს, კაბებში გამოწყობილი ხელისმომკიდე პატარა გოგო-ბიჭები. მეც არანაკლებ მზიბლავდა ეს ყოველივე.

გადაწყვეტილ აპრილში გავმგზავრებულიყავი. ჯერ ჩემთვის პირველი უნდა დაეჯავშნა თვითმფრინავში. მინდოდა საფრანგეთის საჰაერო-სატრანსპორტო კომპანიის თვითმფრინვით მემგზავრა და ეს ისე ბუნებრივი მეჩვენებოდა, ჯერ არც შევთანხმებოდა. ბოლო წუთებში ავიღე ამერიკის საჰაერო სააგენტოს მიერ გაცემული ბილეთი პარიზ-ლონდონის და ლონდონ-ნიუ-იორკის მიმართულებით, ამერიკის საჰაერო სააგენტოს თვითმფრინავებს იმ ხანებში ჩვენთან დაფრენის უფლება არ ჰქონდათ. ეს ცოტათი მამბრებდა, მაგრამ მოგახსენებთ, კარგი ბუნებისა ვარ და ახალი გადაწყვეტილების მიღებას ვარჩიე ამ გარემოებასაც შევგუებოდი. ლონდონში საღამოს შვიდი საათისათვის უნდა ჩავსულიყავი, მესადილა აეროპორტში და ცხრა საათისათვის ნიუ-იორკში გადავფრენილიყავი.

გიყვართ აეროდრომები? მე მათთან აუხსნელი გრძნობა მაქვს ირებს: რკინიგზის სადგურთან შედარებით იქ მეტი კომფორტია და სისუფთავითაც „საოპერაციოს“ ჰგავს. უცხო, ძნელად გასაგები, უცნაური ხმები მგზავრებს შორეული და ეგზოტიკური ქალაქებისაკენ უხმობენ. მინებს იქით მოსჩანს, როგორ ეშვებიან და მიფრინავენ უზარმაზარი თვითმფრინავები. ზღაპრული და საუცხოო სანახაობაა; ვისადილე და ის იყო ხავსისფერ ტყავის ინგლისურ სავარძელში ჩავეფალი, რომ რადიოში რაღაც გრძელი წინადადება გამოაცხადეს. ვერ გავარჩიე, მაგრამ გავიგონე „ნიუ-იორკი“ და ჩემი თვითმფრინავის ნომერი. ცოტა ავფორიაქდი, აქეთ-იქით დავიწყე ცქერა. მგზავრები წამოიშალნენ.

ჩემ გვერდით, სავარძელში, საინტერესო გარეგნობის ორმოციოდე წლის მამაკაცი იჯდა. დახვეწილი იერი ჰქონდა; თმა ოდნავ აწეწოდა, საყელომოდელი ინგლისელ რომანტიკოს პოეტებს მომაგონებდა, განსაკუთრებით შელის, შევხედე და გავიფიქრე: „მწერალია ან მუსიკოსი“, და მომინდა თვითმფრინავში მის გვერდით მოვხვედრილიყავი. მან ჩემი მოულოდნელი დაბნეულობა შეამჩნია და ინგლისურად მომმართა:

— მაპატიეთ, ქალბატონო, თქვენ 632 რეისით უნდა გაფრენილიყავით?

— დიახ... რა გამოაცხადეს?

— ტექნიკური მიზეზით დილის 6 საათამდე არ გაფრინდება. ვისაც სასტუმროში დარჩენა უნდა, კომპანია რამდენიმე წუთში შესთავაზებს ავტობუსს.

— მე მგონი წვალებად არ ღირს, სასტუმროში წახვიდე იმისათვის, რომ დილის ხუთ საათზე აღგე! რა საშინელებაა!.. თქვენ რას აპირებთ?

— ო, მე, ქალბატონო, გამიმართლა, მეგობარი მყავს, რომელიც აეროპორტში მუშაობს და აქვე ცხოვრობს, ჩემი მანქანა მის გარაჟში დგას. ახლავე გამოვიყვან და უკანვე დავბრუნდები. — ერთი წუთის შემდეგ კი დაუმატა: — ანდა არა, ვისარგებლებ ამ შეფერხებით და გავისეირნებ... მე ორლანის ამწყობი ვარ და დროდადრო მიწევს მათი შემოწმება ლონდონის ბევრ ეკლესიაში. ჰოდა, აი ახლა გაუთვალისწინებელი შესაძლებლობა მომეცა ორი ან სამი ორლანი შევამოწმო.

— როგორ, ღამით ეკლესიაში შესვლა შეგიძლიათ?

მან გაიღიმა და ჯიბიდან გასაღებების ასხმა ამოიღო.

— რასაკვირველია! რომ არავინ შევაწუხო, სწორედ ღამით ვაწუხებ

ორლანს.

— უკრავთ კიდევ?

— ვცდილობ.

— ალბათ კარგი მოსასმენია ორლანი განმარტოებასა და სიბნელეში.

— კარგი? როგორ გითხრათ. რელიგიური მუსიკა მიყვარს, დიდი ორლანისტი არა ვარ, მაგრამ მუსიკა რომ დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ეს ცხადია. — წამით შეყვანდა და დაუმატა:— მომისმინეთ, ქალბატონო, ერთი უცნაური რამ უნდა შემოგთავაზოთ... თქვენ მე არ მიცნობთ და არც მე გამაჩნია რაიმე უფლება თქვენი ნდობა დავიმსახურო, მაგრამ თუ ჩემთან ერთად წამოსვლა გესიამოვნებათ, შემოძლია წაგიყვანოთ და უკანვე მოგიყვანოთ... თქვენ მუსიკოსი უნდა იყოთ.

— მართალია, როგორ მიხვდით?

— ხელოვანის ოცნებასავით თვალწარმტაცი ხართ. ასეთ რამეში არ ცდებიან.

გარწმუნებთ, ამ ქათინაურმა დამაბნია. ამ კაცს რაღაც გასაოცარი ძალა გააჩნდა. ვიცოდი, შუალამისას უცხო კაცთან ლონდონში სირბილი გაუფრთხილებლობა იყო, ბუნდოვნად ვგრძნობდი რაღაც მოულოდნელს, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია შევწინააღმდეგებოდი.

— წავიდეთ! — ეთქვი მე, — მაგრამ რა მოვუხერხო ჩანთას?

— საბარგულში ჩავდეთ ჩემს ჩანთასთან ერთად.

უძლური ვარ მოგიტხროთ იმ სამ ეკლესიაზე, სადაც ვიყავით იმ ღამეს და იმაზეც, რასაც უკრავდა ჩემი იღუმალის მგზავრი; მახსოვს ხვეული კიბეები, მისი დახმარებით რომ ავდიოდით; შუქი, ეკლესიის დიდ ფანჯრებში რომ იჭრებოდა და დიდებული მუსიკის ჰანგები. შევიცანი ბაბი, ფორე, პენდელი, მაგრამ მე მგონი, უფრო ხშირად, ჩემი გიდი იმპროვიზირებდა. ეს საოცრება იყო. იტყოდით, ტანჯული სულის ბობოქარი აღსარებააო. შემდეგ ციური და დამათრობლად ნაზი ხმები იღვრებოდა. მთვრალივით ვიყავი. დიდ ხელოვანს სახელი ვკითხე. პეტერ დაუნი ერქვა.

— თქვენ ალბათ ცნობილი გახდებით, თქვენ გენიოსი ხართ.

— არ დაიჯეროთ. ღამე და გარემო ილუზიას გიქმნით. მე ერთი საშუალო შემსრულებელი ვარ. მაგრამ ახლა ღმერთი და თქვენი აქ ყოფნა შთამაგონებს.

ამგვარი განცხადება არ გამიკვირდა და არც მეხამუშა. პეტერ დაუნი ერთი იმათგანი იყო, ვისაც რამდენიმე წუთის შემდეგ შეგიძლია დაუახლოვდე. იგი არაამქვეყნიური ჩანდა. როცა სამი ეკლესია მოვიარეთ, ძალიან უბრალოდ მითხრა.

— თითქმის შუალამეა. გინდათ ჩემთან გაატაროთ დარჩენილი სამი-ოთხი საათი? ვაგიმასპინძლდებით ომლეტით, ცოტა ხალიც მაქვს.

ბედნიერი ვიყავი. რაკი ყველაფერს გიყვებით, გამოგიტყდებით, ბუნდოვნად ვიმედოვნებდი, ეს საღამო სიყვარულის დასაწყისი იქნება-მეთქი. ქალები გრძნობებს უფრო მეტად ვყვებით, ვიდრე მამაკაცები. ამ ღვთაებრივმა

მუსიკამ, ამ სიმღერით სავსე ლაქემ, ამ ნაზმა და მტკიცე ხელმა, რომელიც სიბნელეში მიმიძღვებოდა, ჩემს არსებაში ბუნდოვანი სურვილები გააღვიძა. თუ ჩემი მეგზური მოისურვებდა, მადლობის მეტი რა მეტყმოდა. რა ვქნა, ასეთი ვარ.

მომეწონა მისი პატარა, წიგნებით სავსე „კვერცხის“ ~~წიგნების~~ ^{წიგნების} თეთრად შეღებილი, შავლავგარდიანი ოთახი; იმავ წუთს გავშინა ~~წიგნები~~ ^{წიგნები} და სამგზავრო მოსასხამი მოვიხადე. შევთავაზე, მოგეხმარები-მეთქი ვახშმის სამზადისში პაწაწინა სამზარეულოში. მან იუარა:

— არ არის საჭირო, მიჩვეული ვარ, წიგნი აიღეთ. ახლავე მოვალ.

რადგანაც დრო მქონდა, შექსპირის სონეტები ავარჩიე და სამი სონეტი წავიკითხე; ისინი საუცხოოდ ეთანხმებოდნენ იმ წუთში ჩემს გუნება-განწყობას. პეტერი დაბრუნდა, ჩემ წინ პატარა სუფრა გაშალა და საქმელი გადმომიღო.

— ყველაფერი შესანიშნავია, — ვთქვი მე, — რა კარგია, მშობოდა... რა საოცარი ადამიანი ხართ! ყველაფერი გეხერხებათ. რა ბედნიერია თქვენი მეუღლე.

— მე მეუღლე არა მყავს, უმჯობესია საკუთარ თავზე ილაპარაკოთ, თქვენ ხომ ფრანგი ხართ? განა ასე არ არის? ამერიკაში მიემგზავრებით?

— დიახ, ამერიკელს მიუყვები ცოლად.

მას არ გაკვირვებია, არც უკმაყოფილება გამოუხატავს.

— გიყვართ?

— უნდა მიყვარდეს, ისე ვერ გავბედავდი სამუდამო მეგობრად ამერჩია.

— ეს საბუთი არ არის, ხშირად ქორწინებისაკენ შეუგნებლად, სურვილის გარეშე მიიღტვიან. მერე უეცრად აღმოჩნდებიან ხოლმე მოვალეობის წინაშე. უკან დასახევად აღარ ყოფნით ვაყვაცობა. ესეც თქვენი უბედობა. მაპატიეთ, ასე პესიმისტურად რომ ვმსჯელობ, როცა არაფერი ვიცი თქვენს არჩევანზე. შეუძლებელია თქვენნაირი ქალი შეცდეს... ერთადერთი რაც მაკვირვებს...

— ის შეჩერდა.

— თქვით... ნუ გეშინიათ, არ მეწყინება, მე ძალიან ფხიზელი გონების ადამიანი ვარ, ამით ის მინდა ვთქვა, რომ შემიძლია საკუთარი საქციელი განვსაჯო, საჭიროებისამებრ წარვმართო და თვალ-ყურიც ვადევნო.

— მაშ კარგი! — დაიწყო მან, — რაც ძალიან მაკვირვებს, ის კი არ არის, რომ თქვენ შეიძლება ამერიკელი მოგეწონოთ (რატომ არა, ისინი შესანიშნავი და ამავე დროს ძლიერ მიმზიდველი მამაკაცები არიან), არამედ ის, რომ გინდათ წახვიდეთ მის ქვეყანაში, თანაც სამუდამოდ... რაც მართალი მართალია, იქ ნამდვილად იპოვით „ახალ, ნამდვილ სამყაროს“, რომელიც თქვენსას ვერ შეედრება. შეიძლება ეს ინგლისური ცრურწმენაა ან შეიძლება თქვენი საქმროა ისეთი კარგი, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევთ საზოგადოებას.

წამით დავფიქრდი, არ ვიცი რატომ, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი, რაც უნდა მისთვის მეთქვა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო და რომ ვალდებული ვიყავი, ზუსტად გადამეცა მისთვის ჩემი ფიქრების უმნიშვნელო ნიუანსებიც კი.

— ასეც ნუ იფიქრებთ, — ვთქვი მე. — ჯეკი (ჩემი მომავალი ქმარი) სუ-

ლაც არ არის განსაკუთრებული ადამიანი და დარწმუნებული ვარ არც ჩემი იდეალია. ჯეკი საუცხოო, ძალიან პატიოსანი ყმაწვილია, ერთგული ქმარი იქნება და მისგან ჯანსაღი შვილები მეყოლება. მაგრამ შვილების, მისი საქმეების, პოლიტიკისა და მეგობართა ანეგდოტების გარდა, ჩვენ ძალიან ცოტა რამ გვექნება საერთო... გთხოვთ სწორად გამიგოთ. ჯეკი უჭკუო კაცი არ არის. იგი ძალზე საქმიანი და მოხერხებული კაცია. სილამაზის აღქმის უტყუარი ალლოც აქვს. მხოლოდ ეს არის, პოეზიას, მხატვრობას, მუსიკას არაფრად მიიჩნევს. ასეთ რამეზე არასოდეს ფიქრობს...

— მერე რა, — თქვა პეტერმა, — შეიძლება ძალიან მგრძნობიარე ადამიანი იყო და არ გიყვარდეს ან არ გესმოდეს ხელოვნება. მე მაინც გულწრფელი გულგრილობა მიჩვენია მოჩვენებით და ხმაურიან სნობიზმს. მაგრამ თქვენისთანა ლამაზი ქალის ქმარი რომ გახდეს... იქნებ ისეთი გულისხმიერია, რომ შეუძლია გვერდზე მყოფის გულის იდუმალი ძგერა ამოიცნოს?

— არა, ასე ღრმად წვდომა არ შეუძლია, არც უკითხავს საკუთარი თავისთვის, რატომ არ შეუძლია. ეჭვიც არ ეპარება, რომ გამაბედნიერებს: მეყოლება მშრომელი ქმარი, მექნება ბინა პარკ-ავენიუზე, საუკეთესო მანქანა და მომემსახურებიან დედამისის მიერ ამორჩეული ვირჯინიელი საუცხოო ზანგი მოახლეები. რა უნდა ინატროს ქალმა ამაზე მეტი?

— ნუ იქნებით სარკასტული. სარკაზმი ყოველთვის უსინდისობის ნიშანია. როცა ძალიან ცდილობენ შეიყვარონ, მაშინ გრძნობა მკვდარია. მთავარი და მნიშვნელოვანია, ნაზი და კეთილმოწყალე იყოთ ადამიანებისადმი, თითქმის ყველა ისე უბედურია...

— არა მგონია, ჯეკი უბედური იყოს. იგი ერთი იმ ამერიკელთაგანია, რომელიც კარგად ეგუება თავის საზოგადოებას და რომელსაც ღირსეულად აფასებენ ხალხში. რისი უნდა ეეჭვებოდეს მას?

— ყველაზე მეტად თქვენი. თქვენ მას დატანჯავთ.

არ ვიცი, როგორ გაგრძნობინოთ, რომ იმ ღამეს, იმ გარემოში ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

ძალზე უცნაურად, უჩვეულოდ ვიქცეოდი ღამის პირველ საათზე მარტინმარტო იმ ინგლისელი კაცის ოჯახში, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ გავიცანი აეროდრომზე. კიდევ უფრო საოცარი ის იყო, რომ ჩემს პირად ცხოვრებასა და მომავლის გეგმებზე აღსარებას ვუკითხავდი. დაბოლოს, სულ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ იგი მაძლევდა რჩევებს და მე ერთგვარი პატივისცემით ვუსმენდი.

ერთი სიტყვით, ეს ასე იყო: პეტერი ასხივებდა სიკეთეს და ღირსებას, უშუალობას. მას არც წინასწარმეტყველის და არც მღვდლის მანერები გააჩნდა. სულაც არა, ეს იყო გულწრფელი ადამიანი, იგი გულლიად იცინოდა ჩემს სასაცილო შენიშვნებზე. იგი სერიოზული და გულწრფელი იყო, რაც ასე იშვიათია... დიახ, ასეა ეს, ძალზე უშუალო იყო... გესმით? ადამიანების უმრავლესობა იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს, მათი სიტყვების უკან ყოველთვის საწინააღმდეგო აზრები იმალება... აზრები, რომელთაც ერთმანეთს უმაღავენ, და საერთოდაც, სურთ ღრმად დამალონ... ან არადა, ლაპარაკობენ ყველაფერს, რაც ენაზე მოადგებათ. პეტერი ტოლსტოის ზოგიერთი გმირივით მოქმედებდა, იგი პირდაპირ წვდებოდა საქმის არსს. ამან ისე განმაცვიფრა, რომ ვკითხე:

— თქვენ რუსის სისხლი გირევიათ?

— როგორ მიხვდით? მართლაც, დედა რუსი მყავდა, მამა ინგლისელი. ჩემმა პატარა აღმოჩენამ ისეთი სიამაყით ამავსო, რომ დაგიტოვებოდა გან-
ნაგრძე:

— ცოლი არ გყავთ და არც არასოდეს გყოლიათ?

— არა, ქედმაღლობაში თუ არ ჩამომართმევთ, მე ~~უფრო~~ ^{უფრო} რაიმეს-
თვის ვემზადები.

— დიდი სიყვარულისათვის?

— დიდი სიყვარულისათვის, მაგრამ არა ქალისადმი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამქვეყნიური მოჩვენებითი შესაძლებლობების გარდა კიდევ არის რაღაც ძალზე კარგი, რის გამოც ღირს ცხოვრება.

— და ეს „რაღაც“ თქვენ რელიგიურ მუსიკაში პოოვთ?

— დიახ და პოეზიაშიც, ისევე როგორც სახარებაში. მე ჩემს ცხოვ-
რებაში უნდა გავაკეთო რაღაც ძალზე წმინდა, ბოდიშს ვითხოვ, რომ ჩემზე
გელაპარაკებით და თანაც ამგვარად... ქედმაღლურად... ასე არაინგლისურ
ყაიდაზე... მაგრამ მეჩვენება, რომ კარგად გესმით ჩემი, ისე სწრაფად...

ავდექი და მის ფეხით ჩავცუცქდი. რატომ? ვერ გეტყვით. სხვაგვა-
რად არ შემეძლო.

— დიახ, მესმის, — ვთქვი მე, — მეც თქვენსავით ვგრძნობ, რომ სიგი-
ჟეა, ერთხელ ნაბოძები სიცოცხლე გავფლანგოთ უშნოდ, ამაო შრომაში,
უბადრუკ კინკლაობაში. მე ვისურვებდი, მუდამ თქვენ გვერდით ვყოფილიყა-
ვი. თუმცა ვიცი, რომ ეს არ მოხდება... უძლური ვარ... მივატოვებ ასეთ ცხოვ-
რებას, რადგან ეს უფრო ადვილია... გავხდები ქალბატონი ჯეკ ტ. პარკერი,
ვითამაშებ კანასტას, გოლფს. ზამთარში წავალ ფლორიდაში და ასე გავა წლე-
ბი, ასე გაგრძელდება სიკვდილამდე. ალბათ მეტყვით, რაოდენ დასანანიოა,
არა? მართალი იქნებით, მაგრამ რას იზამ.

მის მუხლებს დავეყრდენი. ამ წუთებში მე მისი ვიყავი, დიახ, თურმე
არაფერს ნიშნავს ვინმეს ეკუთვნოდე, ყველაფერი ურთიერთგაგება ყოფილა.

— რას იზამთ, — თქვა მან. — დაიმორჩილეთ საკუთარი თავი! რატომ
არ უნდა მიჰყვეთ ცხოვრების დინებას? თქვენ ხომ ცურვა იცით. მე მინდა
გითხრათ: თქვენ სავსე ხართ ენერგიითა და კეთილშობილებით. დიახ! სხვათა
შორის საჭირო არ არის ბრძოლა საკუთარი ბედის დასამორჩილებლად. ადა-
მიანის ცხოვრებაში არის ხოლმე რამდენიმე იშვიათი წუთი, როდესაც ყველა-
ფერი წყდება და წყდება თანაც დიდი ხნით. ეს ის წუთებია, როცა საჭიროა
გაეჟაცურად თქვა ან ჰო ან არა.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ მე ახლა მაქვს ასეთი წუთი?

თმაზე მომეფერა, მერე ხელი სწრაფად წაიღო უკან და ჩაფიქრდა.

— ძნელი კითხვა დამისვით, — თქვა მან. — რა უფლება მაქვს მე,
ვინც წესიერად არც გიცნობთ, არაფერი იცის თქვენზე, თქვენს ოჯახზე, თქვენს
შომაველ ქმარზე — რაიმე რჩევა მოგცეთ? მე რისკზე მივდივარ და შეიძლება
უბეში შეცდომაც დავუშვა. ამაზე ვერ გიპასუხებთ: თავად უნდა გადაწყვი-
ტოთ, რადგან მართო თქვენ იცით, რა იმედებსაც ამყარებთ ქორწინებაზე,
მართო თქვენ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ რა მოყვება ამას... ერთი რამ შე-
მიძლია გირჩიოთ, ყურადღება მიაქციოთ იმას, რაც ჩემი აზრით და აგრეთვე

თქვენი აზრითაც მთავარია და შეგეკითხოთ: „დარწმუნებული ხართ, რომ თქვენსავე თავში არ კლავთ ყოველივე საუკეთესოს?“

ჩავფიქრდი.

— სამწუხაროდ, არა ვარ დარწმუნებული. ის, რაც ჩემს არსებაში საუკეთესოა, არის მსხვერპლის გაღების სურვილი. ბავშვობაში ~~ცოცხებული~~ ~~გავმხდარიყავი~~ წმინდანი ან გმირი... ახლა ვოცნებობ თავი შევწირა ~~და დამეჭდა~~ ადამიანს და თუ შევძლებ დავეხმარო თავისი მისიის განხორციელებაში... ის რაც გითხარით, არავისთვის მითქვამს. თქვენ რატომ გეუბნებით? თქვენ გაქვთ რაღაც ისეთი, რაც განაწყობს გულახდილობისა და ნდობისაკენ.

— ეს რაღაცა, — თქვა მან, — თვითგვემაა. მას, ვინც თავისთვის აღარ ეძებს იმას, რასაც ადამიანები ბედნიერებას უწოდებენ, ალბათ შეუძლია შეიყვაროს სხვა რაღაც და მასში ხელახლა ჰპოვოს ბედნიერება.

მაშინ მე გავთავხედდი, ხელები დავუჭირე და ვუთხარი:

— პეტერ დაუნ, არ გინდათ თქვენი წილი ბედნიერება? ხეირიანად არც გიცნობთ და მაინც მეჩვენება, რომ თქვენ ხართ ის ადამიანი, ვისაც ყოველთვის ქვეშეცნეულად ვეძებდი.

— არ დაიჭეროთ... გეჩვენებათ მხოლოდ, სინამდვილეში ასეთი არა ვარ, ვერც ერთი ქალისათვის ვერ ვიქნები ვერც სასურველი ქმარი, ვერც სასურველი საყვარელი. ძალიან კარგად შევიცანი საკუთარი თავი, მე ვერ ავიტანდი ჩემ გვერდით დიდიდან საღამომდე ადამიანს, ვინც ჩემგან ყოველ წამს მოითხოვდა ყურადღებას და ვისაც უფლება ექნებოდა...

— ყურადღება ორმხრივი იქნებოდა.

— უეჭველად, მაგრამ მე არ მჭირდება ყურადღება...

— თქვენ ისეთი ძლიერი ხართ, რომ ცხოვრების არ გეშინიათ.

— უფრო სწორად, ისე ძლიერი ვარ, რომ შემიძლია პირისპირ შევხვდე ცხოვრებას ყველა კეთილ ადამიანთან ერთად... სამყარო რომ უფრო წმინდა, უფრო ბედნიერი გახდეს... ყოველ შემთხვევაში, უნდა ეცადო, ეს გააკეთო.

— ეს შეიძლება უფრო გაგიოლდეთ თუ გვერდით გეყოლებათ მეგობარი, თუ უყვარხართ, იგი გაიზიარებს იმ რწმენას, რომელიც თქვენ გაცოცლებთ. თუ თქვენ მას უყვარხართ...

— მარტო ეს არ კმარა... მე კარგად ვიცნობდი ერთ ქალს, რომელიც მთვარეულივით დაჰყვებოდა თავის შეყვარებულს. ერთ მშვენიერ ღღეს კი მიხვდა, კარგი არაფერი ელოდა. გადაწყვიტა, დაბრუნებოდა ცხოვრებისეულ ყოველდღიურობას. კაციც სიბრაღით გამოჰყვა ქალს და შემდეგ, როგორც თქვეს, ისინი ყოველდღიური ცხოვრების მორევმა შთანთქა: აი, განიარაღებული მებრძოლი!

— თქვენ მარტო გსურთ ბრძოლა?

მან ნაზად მიპასუხა:

— ასე არასოდეს გამძნელებია ამის თქმა, მაგრამ ეს მართალია... მე მარტო მინდა ბრძოლა.

ამოვიოხრე:

— სამწუხაროდ მზად ვიყავი თქვენთვის შემომეწირა ჯეკი.

— აჯობებდა, მე და ჯეკი შეგეწირეთ...

— ვისთვის?

— თქვენთვის, თქვენი თავისთვის.

ქუდი ავიღე და სარკისაკენ წავიდი. პეტერმა პალტო გამომიწოდა.

— მართალი ხართ, — თქვა მან, — უნდა წავიდეთ. აეროპორტი აქედან შორსაა.

მან სამზარეულოში შუქი ჩააქრო. ოთახიდან გამოსვლამდე მომეჩვენა, რომ ძლივს მოერია თავს, ხელები მომხვია და დაძმურად ჩამეყინა, არ გავ-
ძალიანებივარ. მივენდე, მსიამოვნებდა ჩემი უპირატესობა, მაგრამ მან ხე-
ლები შემიშვა, კარი გააღო და გამატარა. ქუჩაში მისი პატარა მანქანა იდგა,
მის გვერდით უსიტყვოდ მოგკალათდი.

წვიმდა და ღამისეული ღონდონის ქუჩები პირქუშ სევდას მოეცვა. მერე
პეტერი ალაპარაკდა. იგი მიაშობდა იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ პატარა,
ტიპიურ ბინებში ცხოვრობდნენ; მიაშობდა მათ ერთფეროვან ყოფაზე, იმე-
დებზე, პატარ-პატარა სიამოვნებებზე. გაგოცებდა მისი მეხსიერება. იგი დიდი
მწერალი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მერე გარეუბნის საქარხნო ზონას მივუახლოვდით. ჩემი მეგზური მი-
ჩუმდა. ვფიქრობდი იმაზე, როგორ ჩავიდოდი ნიუ-იორკში, ვფიქრობდი, ჯეკ-
ზე, რომელიც ამ ამაღელვებელი ღამის შემდეგ, უეჭველია, ცოტა სასაცი-
ლოდაც კი მომეჩვენებოდა.

— პეტერ, შეჩერდით! — უეცრად ვთქვი მე, მან სწრაფად დაამუხრუჭა.

— რა მოხდა? ცუდად ხართ? რაიმე ხომ არ დაგრჩათ ჩემთან?

— არა. ნიუ-იორკში წასვლა აღარ მსურს. აღარ მინდა გათხოვება.

— რატომ?

— დავფიქრდი. თქვენ მე თვალები ამიხილეთ. თქვენ მითხარით, რომ
ცხოვრებაში არის წუთი, როცა ყველაფერი წყდება და თანაც დიდი ხნითო...
აი ერთი ასეთი წუთიც... პოდა, გადაწყდა, მორჩა და გათავდა. მე არ გავყვები
ჯეკ პარკერს.

— ძალზე მიხარია, რომ გირჩიეთ, მაგრამ იქნებ მე ვცდები

— თქვენ არ ცდებით, თანაც მე არ შემიძლია შევცდე ახლა, როცა ნათ-
ლად დავინახე, რომ სისულელის ჩასადენად მივდიოდი. მე არ წავალ.

— დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი! — თქვა მან. — თქვენ გა-
დარჩენილი ხართ. დასალუპად მიდიოდით. ხომ არ გაშინებთ პარიზში დაბრუ-
ნება, ახსნა-განმარტებები?

— რატომ? ჩემი მშობლები და მეგობრები წუხდნენ ჩემს გამგზავრებას.
მათ ჩემს ქორწინებას ახირება უწოდეს... ისინი ბედნიერი იქნებიან, თუ მე
დავებრუნდები.

— ბ-ნი პარკერი?

— ჯეკი რამდენიმე დღე ან საათი იღარდებს. თავმოყვარეობა შეელახება,
მაგრამ თავს დაარწმუნებს, რომ მოსწყინდებოდა ცხოვრება ასეთ ჭირვეულ
ქალთან, თანაც გაუხარდება, რომ განხეთქილება მოხდა ქორწინებამდე და არა
ქორწინების შემდეგ. სასწრაფო დეპეშას გავუგზავნი, რომ ხვალ ამაოდ არ
დამიწყოს ძებნა.

პეტერმა ხელახლა აამუშავა ძრავა.

— რა ვქნათ? — თქვა მან.

— წავიდეთ აეროპორტში. თქვენი თვითმფრინავი გელოდებათ.
ბეც მელოდება ჩემი თვითმფრინავი და გავფრინდები საფრანგეთში. ოც-
ნება დამთავრდა.

— კარგი ოცნება იყო, — თქვა მან.

— აუხდენელი ოცნება.

აეროპორტში მისვლისას ფოსტაში შევედი და ჯეკს დეპეშა გავუგზავ-
ნე: „მივხვდი ქორწინება უაზრობაა. ვნანობ ძალიან მიყვარხარ მაგრამ საზ-
ღვარგარეთ ცხოვრებას ვერ შევძლებ წრტ. განმსაჯეთ როგორც შენთვის წრტ
გეგზავნით ბილეთს დასაბრუნებლად წრტ. საუკეთესო სურვილებით მაყვალა“

გადავიკითხე და „საზღვარგარეთ ცხოვრება“ „უცხოური ცხოვრებით“
შევცვალე. ამ ორმა სიტყვამ ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდა.

სანამ დეპეშას გაავაგზავნიდი, პეტერმა თივისი თვითმფრინავის ამბავი
გაიკითხა, დაბრუნდა და მითხრა:

— ყველაფერი რიგზეა, უფრო სწორად, ყველაფერი ცუდადაა: ძრავა,
შეაკეთეს. ოც წუთში მივფრინავთ. თქვენ კი შვიდ საათამდე უნდა იცადოთ.
ვწუხვარ, მარტოს გტოვებთ. გინდათ წიგნი გიყიდოთ?

— არა, — ვუთხარი მე — საფიქრალი ბევრი მაქვს.

— დარწმუნებული ხართ, არაფერს ინანებთ? ჯერ კიდევ არის დრო,
მაგრამ თუ დეპეშას გაავაგზავნით, მერე უკვე გვიან იქნება.

უსიტყვოდ გადავაწოდე ბლანკი ფოსტის მუშაკს.

— განსხვავებული? — მკითხა მან.

— არა.

შემდეგ პეტერს ხელკავი გავუკეთე:

— ძვირფასო პეტერ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თვითმფრინავზე
ჩემს ძალიან ძველ მეგობარს მივაცილებდე.

არ ძალმიძს გაგიმეოროთ ყველაფერი ის, რაც მან დარჩენილ ოც წუთ-
ში მითხრა. მან მე ცხოვრებისეულ კანონებს მაზიარა. თქვენ არაერთხელ
გითქვამთ, რომ მე კაცის თვისებები მაქვს, რომ ერთგული მეგობარი ვარ,
რომ მე არ ვცდები. თუ ეს ყველაფერი ნაწილობრივ მართალია, მხოლოდ
პეტერს უნდა ვუმაღლოდე.

ბოლოს რეპროდუქტორმა გამოაცხადა:

„ნიუ-იორკში წამსვლელთათვის რეისი 632...“ პეტერი კარამდე მივა-
ცილე, მეუღლესავით ვაკოცე და მეტი აღარასოდეს მინახავს.

— არასოდეს გინახავთ? რატომ? მისამართი არ მიგიციათ?

— კი, მაგრამ არასოდეს მოუწერია. ვფიქრობ, მას უყვარდა ასე შეჭრი-
ლიყო ადამიანების ცხოვრებაში, მიეცა მათთვის ცხოვრების გეზი, შემდეგ კი
გაუჩინარებულიყო.

— ლონდონში ჩასვლისას არასოდეს გიცდიათ მასთან შეხვედრა?

— რისთვის? რაც საუკეთესო ჰქონდა, როგორც ამბობდა, მან მე მომცა.
ის დაუვიწყარი ღამე არასოდეს განმეორდება, არა, ეს იყო... ეს კარგი იყო...
უნდა ეცადო არ გააცოცხლო ძალიან ამაღელვებელი წუთები...

განა ტყუილი გითხარი, რომ ეს შემთხვევა ყველაზე უცნაური იყო-
მეთქი ჩემს ცხოვრებაში. ის, ვინც შეცვალა ჩემი ბედი, დამტოვა საფრანგეთში
და არა ამერიკაში, ვინც ჩემზე უდიდესი ზეგავლენა იქონია, — იყო აერო-
პორტში შემთხვევით გაცნობილი უცნობი ინგლისელი კაცი. განა ეს საოც-
რება არ არის?

— ეს ანტიკურ ამბავს წააგავს, სადაც მათხოვრის ან უცხოელის ტან-
საცმელში გამოწყობილი ღმერთი მომაკვდავთ გამოეცხადება ხოლმე... სინამ-
დვილში, მარსელა, უცნობმა თქვენ ვერ გამოგცვალათ; თქვენ ხომ რენოზე
გათხოვდით, რომელსაც სხვა სახელი ჰქვია, თორემ ისეთივე კაცია, როგორიც
ჯეკი იყო.

მარსელა წუთით დაფიქრდა:

— მართალია, — თქვა მან. — ადამიანის ბუნება უცვლელია, ხანდახან
თუ გადაუხვევს გზიდან.



უკრაინულიდან

თარგმნა ამირან ასანიძემ

ნაწილი მეორე

ენეასმა კი თავის ნავიდან
კვლავ რომ მოხედა დიდონას ქალაქს,
ველარ მოთოკა გმირმა თავი და
ცხელი ცრემლები გადმოსკდა ღვარად;
თუმცაღა სატრფო ასე გაწირა,
მისმა სვემ დასწვა და აატირა —
მივატოვებო ქალი, რა ქალი!..
მაგრამ რაც მოხდა, რომ უთხრეს მყისვე,
თქვა: „იმას ღმერთმა ცხონება მისცეს,
მე კი აქ, ცოცხალს — ქვრივი ახალი!..“

ამ დროს აღუღდა წყალი მრისხანედ,
ამოიგმინა ზღვამ გაავეებით,
შმაგმა ქარებმა შვეს ქარიშხალი,
მიმოიფანტნენ ირგვლივ ნავები.
ოო რა მზაკვრულმა ჟამმა უყელათ —
ბზრიალ-ტრიალით ლამის სუყველა
მორევში დანთქას შავმა ზვირთებმა;
შეიქმნა ერთი ვაი და ვიში,
ლამის გათავდნენ ტროელნი შიშით —
ეს ზღვა არაფერს კარგს არ პირდებათ!..

პალინურუსი²⁷ ერქვა სახელად,
მხნეობით ბევრს რომ სჯობდა აშკარად —

1983 წლის № 5 „საუნჯეში“ დაიბეჭდა „ენეადას“ პირველი ნაწილი. ვაჭვეყნებთ მეორე ნაწილს. გაგრძელება იქნება.

გადარეულ ზღვას ცერად გახედა,
ენაკვიმატმა და ლაზღანდარამ:
არ შეუცვლია ხიფათში ნირი,
მიდგა ნებტუნს და უხშირა ყვირილს:
„ნუთუ დაღუპვა ჩვენი გწყურია?!
პატივისცემა სულ აღარ ფასობს,
რატომ ივიწყებ ხუთშაურჩიანს,
რა მოგივიდა შე კაი კაცო.



მთლად გაზარმაცდი!.. მოუსვი ერთი! —
და მიუბრუნდა ტროელებს ახლა, —
თქვენი თავები მიცოცხლოს ღმერთმა,
ხედავთ ბატონმა ნებტუნმა რა ქნა? —
გაათავხედა ეს ზღვა ძალიან, —
ველარ ჩავალწევთ ჩვენ იტალიას —
ამ წყალმა ასე თუ გვაბზრიალა:
სული გაგვძვრება გზაში წვლებით,
არც ფლოქვები აქვს და არც ნალები —
ნავი ნავია, ცხენი კი არა!

ყურის ძირშია აქ სიცილია,
მივიდეთ, გული მიგრძნობს რაღაცას,
ასე მდიდარი მხარე — ტყვილია,
თუ არა, აგერ ნახავთ მაგასაც...
იქ გავიქარვით გულის ვარამი,
ბატონ აკესტეს²⁸ ვუთხრათ სალამი —
ღმერთმანი, დაგვხვდეს მართლაც მეფურად;
მშობლიურ სიტბოს მოგვეფენს ნაპირი —
მეფეს ყელამდე აქვს ყველაფერი,
ერთს შევეუბერავთ ჩვენც ძველებურად“.

თქვა და მოუსვეს ნიჩბებს ღონივრად,
გადაივიწყეს დაღლა სრულებით,
ისე მიქრიან, კაცს ეგონება
კუდქვეშ ნიშადურამოსმულები.
ტროელებს თვალი მოჰკრეს თუ არა,
სიცილიელებს წამოუარათ —
მთელ ქალაქა ზღვიან მოეჩქარება!..
დამხედურნი სტუმრებს იკრავენ გულში,
შეიქმნა ხვევნა და მტლამატლუში
ელით ხელმწიფე და დროსტარება.

ენეასს შეხვდა აკესტე ძმურად,
გადაეხვივნენ, მოგეცათ ლხენა,
მეფემ, პალატებს რომ მიაშურეს,
ტროელს არაყი აგახა ხელად,

არაუთან ერთად, მოსულებს შორით,
მიართვეს ძეხვი და ქონი ღორის,
ცხაგზე დაყარეს პური ზვინებად...
ბოდლიწო ხვრიპა ყველამ ბურახის,
ბინაც ყველას იქ გამოუნახეს,
დასადგურება ვინც სად ინება.



ტროელთა დაღლას ვიღამ უყურა,
ზღაპრული ლხინი გახურდა ისევ,
ფისოებივით მორთეს კრუტუნნი,
რომ მიეძალნენ პაშტეტს და კისელს;
ჯერ წიწიბურის ნივრიან კვერით
ხომ დაძლნენ, მერე დარიეს ხელი
ღვიძლთან შებრაწულ მჭადიო სოკოს;
ბურჯგნეს და ბურჯგნეს ცხელ-ცხელი პური...
ლამის გააფრთხო ტროელმა სული —
სვა, მაგრამ რა სვა!.. სვა, მაგრამ როგორ!..

აუმც აერია ვაეკაცს იერი,
აზრი შემორჩა ნათელი ყოვლად —
მემკვიდრე გახლდათ ის ღვთისნიერი —
დიდ პატრეს სცემდა ანჭიზეს ხსოვნას:
სწორედ დღეის დღეს მშობელი მამა,
ვინც თბლაშიოსთან არ იყო ხამად,
გაგუდულიყო საია არყით —
ტროელმა სუფრის გაშლა ინება,
რომ მამის სულის დასალხინებლად
არაფრისმქონე დაეძლო ხალხი...

სიტყვას უხდება საქმე დროული —
არ უფიქრია ენეასს დიდხანს,
ბჭობად მოიხმო ყველა ტროელი
და საკადრისი დასჭეჭა სიტყვა:
„მამულიშვილნო, თანამოძმენო,
თვითონ ბრძანდებით ამის მოწმენი,
ანჭიზესი ვარ შვილი და ძირი,
გახსოვთ? — დღეის დღეს რახი წყალივით
სვა და გაქმეულ ბუზანკალივით
უცებ გაქრა და მოგჭამათ ჭირი.

სწორედ ამიტომ ვაპირებ ქელებს —
დავსხამ გლაზაკებს, დიდი ხნის მარხულთ,
არ ეშველება ამ საქმე მერე —
ხვალვე ვქნათი აბა, რას იტყვით, ხალხო?“
ქურდს რა უნდაო და ღამე ბნელი —

გული აევსოთ ტროელებს ღებნით
სუყველამ ერთხმად დაიღრიალა:
„გწყალობდეს ღმერთი, ჩვენო ენეას!
ყველანი მზად ვართ მოსაშველებლად,
ძმები ვართ შენი. მტრები კი არა!“



თქვეს და საქმეზე გავარდნენ ხელად,
ბლომად იყიდეს ხორცი, არაყი,
როცა ჯამ-ჭურჭლის მთა აიწვერა,
პური და ბლითიც მოიმარაგეს.
იქვე მოხარშეს ქერის წანდილი.
თაფლწყალს უთაქეს თაფლი ნამდვილი,
დაიყაბულეს საჩქაროდ მღვდელი,
მოხიკეს გზაში ყველა მშვიერი,
უხმეს მასპინძელ სიცილიელებს,
ფულით მოუთბეს დიაკვანს ხელი.

ზე წამოიჭრნენ სისხამზე მარჯვედ,
ეზოში ცეცხლი დაანთეს სწრაფად,
შეიქნა ერთი ცხობა და ხარშვა,
ძვალი და რბილი გაინთქა ქაფად —
ხუთ ქვაბში ბორგავს ცხელი წვნიანი,
ბარე ოთხია ატრიიანი,
ექვსში ბორში დულს, მომგვრელი მადის;
არვინ დარჩება, ნაღდად, ნაწყენი —
ცხვრის ხორცთან ყრია აურაცხელი
შემწვარი იხვი, ქათამი, ბატი...

მოაქვთ და მოაქვთ ლუდი კასრებით,
რახს ვედროებით მოზიდულს სვამენ,
კოვზებს მაღიმალ მოუნაცვლებენ
გალიცლიცებულს პირთამდე ჯამებს:
რომ წამოიწყეს „წმიდათა თანა“,
თუ ვინმემ ღვარა, ტროელმა ღვარა
მამის ქელეხში ცრემლი მღუღარე;
ისე გამოსკდნენ, გითხრათ მართალი,
ძირსაც მოიღო ბევრმა ზღართანი,
და სუფრას წირვაც გამოუყვანეს.

ანქიზეს ხსოვნას, ვითარცა ჯერ არს,
პატივი რომ სცეს მართლაც ქებული,
ტროელი რახმა გამოაშტერა,
სუფრასთან იჯდა გაოგნებული,
კიდევ ერთიც რომ გადაჰკრა სირჩა
წამოიძარტა ვითომდა ყინჩად

და ეზოსაკენ დაიძრა ნელა;
სულ ბლუჯა-ბლუჯად აბნია ხურდა
ხალხში, რადგანაც ძალიან სურდა
დახსოვებოდა ეს სუფრა ყველას.



ბოლოს ხელ-ფეხი რომ დაეებრა
და თითქოს ტვინშიც ჩაასხეს რვალი,
ლამის შეიქნა კრუნჩხვების წერა,
მიკიოტივით დაყვლიბა თვალი;
დამძიმებოდა უფმურით გული,
რუმბივით გახდა, ღმერთი და რჯული,
რვიანებს წერდა, რომ გაიარა,
გაბმული სმისგან გაცლოდა ღდინი
და რადგან უკვე უტევდა ძილი,
სკამქვეშ მიეგდო ტანსაცმლიანად.

დილით კი... დილით, ნაბახუსევზე,
ბატონ ენეასს დღე ადგა შავი,
მთლად მოშხამული ჰქონდა გუნება —
მხოლოდღა მაშინ ასწია თავი,
პურის არაყმა რომ შეახურა
და კათხით ბოლო მოუღო ბურახს —
გამისწორებსო ნაღდად ხასიათს;
და აჰა, მძიმედ წამოდგა იგი,
დააცხიკა და დასჭექა რიხით:
„ახლა დავურტყათ, ვინც ვაჟკაცია!“

თქვა და ბიჭებიც, სმაში ნაქებნი,
კვლავ გაშლილ სუფრას მიაწყდნენ ჯარად,
და მისცხეს! — როგორც თხლეს ბურვაკები,
იმგვარად ხვრებდნენ ცეცხლივით არაყს,
ვერ დაძრახავდით მასპინძლებს მაშინ,
ტოლს არ უღებდნენ ტროელებს სმაში —
სასმისებს ცლიდნენ გნიას-გნიასით...
სამ-სამი ჭიქა ვინც ჭიჭურ ცალა
და რახის ხვრების კვლავ შერჩა ძალა,
ღვიძლი ძმა იყო ის ენეასის!

და ჰა, ტროელმა ისევ იჭექა,
მთვრალს ახლა სხვა რამ მოეგუნება:
სადა მყვანანო ყოჩი ბიჭები,
მუშტი-კრივისო მინდა ყურება...
ღუღს ხალიანდრა — ბოშათა ცეკვა,
ყოველ სარკმელთან ზარივით რეკავს

შეგირდთა გუნდის ხმები წკრიალა,
სიმს აკვნესებენ ბრმა კობზარები,
გაჰქუხს მუსიკა, ხოლო მთვრალეები
რას არ მღერიან ომახიანად.



წინკარში დაჯდა სულ თავკაცობა,
ხალხი ყოჩს ელის ვეება წრეში,
ვინ ალაყაფის თავზე აცოცდა,
ვინ სარკმელს ეცა სეირის ეშხით;
და აი, ისიც ბრგე და ჩასხმული,
კომპანიელის²⁹ დარად ჩაცმული,
მხეცი დამრტყმელი, სახელად დარეტ³⁰!..
მკლავის გამართვა ახლავე ნებავეს;
მუშტი შემართა და მოჰყვა ყეფას
დამდულრულივით ცხარედ და მწარედ:

„აბა, ვინა ხართ, გამოდით ჩქარა!
გასინჯეთ ჩემი მუშტების ძალა;
ვისაც თავ-ღრანჭი არ გენანებათ,
რომ ყველას სისხლი გადინოთ ღვარად!
ქვეშაფსიებო, მოიწით აქეთ,
რა ბიჭიცა ვარ, ახლოდან ნახეთ,
რომ გაგისივოთ ტყლიპი ახლავე!..
გაგალამაზებთ სუყველას მალე —
ჯერ დაგიბუშტავთ ლილისფრად თვალებს
და მერე კბილებს გადაგაყლაპებთ! —

მეტი შიშისგან სუყველა ღუმდა —
ეს მხეცი არვის გაახარებდა,
მიტომაც იყო, არავის სურდა
ცოცხალი თავით გასვლა დარეტთან;
ყვიროდა, — ვხედავ, კვდებით კანკალით,
გინდ თქვენ ყოფილხართ, გინდ ბუზანკალი,
ნეხვის ტომრები რომა ხართ, ვიცი!“
რომ გაიკრიფა მუტრუკი ენად,
ისეთი ლაფი დაასხა ყველას,
გასკდომა ჯობდა ნამდვილად მიწის.

რისხვამ იხუვლა აბცესტის³¹ გულში —
ტროელს, კაზაკთა შორის ქებულის,
თვალწინ დაუდგა მყის ენტელუსი³².
და ადგილს მოსწყდა გაცეცხლებული;
საჩქაროდ სადმე რომ მოენახა
და ეთქვა: ძმაო, კაცი შენა ხარ,

ამოგვეყარეო ჯავრი დარეტის;
ხოლო ვეება ენტელუსს ამ დროს,
მართლა დევივით ჯან-ლონის პატრონს,
სადღაც ეძინა არყით გაღეწილს;



ბოლოს მიაგნეს კიდეც ლობესთან —
ჩრდილში ხვრინავდა მამაპაპურად;
ყურში ძახილი როცა მობეზრდათ,
ხალხი ხელ-ფეხზე დაეჯაჯგურა!
ძლივს მოაბრუნეს უგონოდ მთვრალი,
ხვრინვა შეწყვიტა და ცალი თვალით
ბიჭებს ახედა: „არა გწამთ ღმერთი?
რას მერჩით, რატომ აღარ მაძინებთ,
შემეშვით, ამის დედაც ვატირე!“
აბურტყუნდა და იცვალა გვერდი.

გაგიჟდა ხალხი: „ადექი, კაცო,
ახლა გვჭირდება შევლაც, გატანაც!“
ენტელუსმა კი, ავსილმა ბრაზით,
მოსულებს ერთიც დაუტატანა,
მაგრამ ყველაფერს რომ ჩაჰყვა აზრით,
წამოხტა, თითქოს აძგერეს ბასრი,
აღარ აცალა სხვებს ლაპარაკი, —
იყვირა: — „რაო? მომკალით ბარემ,
ყოფას ვუტირებ ტრაბახა დარეტს,
გამიჩინეთო ოღონდ არაყი!“

მოურბენინეს არაყი ხელად —
სულ ფაცხაფუცხით, კარდალით თანაც,
დევეკაცმა ყელი რომ ჩაისველა, —
ერთი გემოზე რომ დაიჭლანა,
ამოამთქნარა: „მომყევით, ძმებო,
თქვენი დარეტი იმგვარად ვზეპო,
ცომად ვუქციო ძვლები ახლავე;
ისე გავუხდი ტრაბახას ნეკნებს,
ჭკუის სასწავლად მისდღეში ექნეს,
მოვდებ — ლეკვივით მივასაკლავებ!“

აი, დარეტიც!.. და ენტელუსმა
ჩაიროხროხა ისევ: — „ერიჰა!
შე მართლა ვირგლა, გიჯობდა სადმე
შეთესილიყავ, სანამ მთელი ხარ!
არა და გელის დღე შავზე შავი —
ფაშვზე გაგხეთქავ გომბეშოსავით,

ვერ დამიძვრები ნაღდად ხელიდან!
ველარ გამასწრებ იცოდე ვერსად —
უნდა გაქციო ეშმაკის კერძად,
კრიჭა შეგიკრა ამიერიდან!”



ძირს დაანარცხა ფაფახი კუშტად,
დაიკაპიწა ორთავე ხელი,
მერე ჰაერში შემართა მუშტი,
კბილის ღრჭიალით მოშულარს ელის,
თუ მისწვდა დარეტს — პაპაპა, მტრისას! —
მძიმედ მიიწევს მისკენ და მიწას
ფეხს უბაყუნებს — „დამიდექ, აბა!“
დარეტს მეტოქის გამჭოლი მზერით
ცოტა არ იყოს, ეცვალა ფერი,
თუმცა თავიდან არ ჰგავდა ჯაბანს.

ოლიმპიელებს, ამასობაში,
უზენაესთან ლხინი გაებათ,
იმ გაბმულ სმაში და ერთ ყოფაში
ვილას ახსოვდა კაცთა ვაება;
სულ თაფლის კვერით და თეთრი პურით,
ვაშლით და კენკრით ეოხათ გული,
გამომთვრალიყვნენ კიდევაც იქვე;
იმდენს ხეთქავდნენ მუცელმერთები,
რომ დასკდომაზე ჰქონდათ ფერდები —
დამგვანებოდნენ გატიყნილ ჩიქვებს.

აბა, იმათგან მოკვდავთა ჭირი
სხვამ ვინ უწყოდა, მერკურზე უკეთ —
იმ კატასავით ისკუბა, პირი
რომ უნდა სტაცოს ყველიანს, მსუყეს.
დასჭყივლა სუფრას: „სამწყსოზე ხელი
მთლად ჩაიქნიეთ? — სირცხვილი თქვენი!
ნის მეტი საქმე არა გაქვთ განა?
ნახეთ, რა ხდება სიცილიაში! —
კაცს ეგონება ზრიალ-გნიასით
შემოესია მომხდური ქალაქს!“

თქვა და ღმერთებმაც შეწყვიტეს ლხინი
და ისე ჰყიტეს ციდან თვალები,
ცვრიან მდებლოზე, ზაფხულის დილით,
რომ დააჭყეტენ ხოლმე მყვარები...
ენტელუსი კი კვართის ამარა
დამდგარა წრეში და წარამარა

ჰაერში მუშტებს იქნევს ვეებას;
დარეტი ნაღდად ბედმა გაწირა: —
ამ მხეცთან ჭიდილს უჯობს ასწილად
შავიზღვისპირელ კახაკს შეებას!



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ვენერამ მიწას რომ გადმოხედა
და თვალი მოჰკრა ფერწასულ დარეტს,
ღრიალი მორთო: „ვაიმე, დედა!..
გაწყდით!.. მოისპეთ!.. არ გაიხარეთ! —
და ზევსთან გაჩნდა — თქვენ თუ მიშველით,
რომ მთელი შერჩეს დარეტს კისერი —
სძლიოს ენტელუსს, რამე აღონეთ!..
ჩემს დარეტს მიწა რომ დაწყარონ,
მეც დამივიწყებს მთელი სამყარო,
მის მეტი, აბა, ვინ მომიგონებს...“

ამ დროს ბახუსი წამოხტა მთვრალი,
იწყო ვენერას ლანძღვა-გინება,
ლამის მუშტებით მითეთქვა ქალი,
არ იქნა მისი დაშოშმინება:
„ხმა გაიკმინდე, შე კახპა, შენა!
რისი დარეტი, დახსნა და შველა,
როცა ენტელუსს უფრო ეგების!..
ისე იქნება, როგორც მე მინდა,
თორემ ხო იცი, ერთს დავთვრები და
მერე მომჭამოს ზევსმაც ფეხები!..“

ენტელუსს ნეტა რა ქება უნდა,
რახს წყალივით სვამს, წვეთს არ იპარავს,
სულში ვიძვრენდი ასეთებს მუდამ,
ემფარველობდი და კვლავ დავიფარავ!..
ღიახ, არავინ გადაემტეროს,
თორემ ბღღვირს ადენს ჩემი ენტელუს!..
ჰოდა, მოგჭამა დარეტმაც ჭირი,
ნულარ გაჰკივი გულშემზარავად...
ის გირჩევნია ფსლუკუნს და ტირილს,
დაემშვიდობო მაგ შენს ფალავანს!“

არყისგან ცხვირ-პირ გაბიყვინებულს,
ზევსს არ ეამა მათი ლაქლაქი:
რას მიქვიაო ლანძღვა-გინება,
ამოიღნავლა ვაი-ვაგლახით:
„ჰა? ვისთან ბედავთ, რო ბედავთ მაგდენს,
ძამას ძალადაც კი აღარ მაგდებთ,

მე თქვენ გიჩვენებთ ზევსთან ბალაგანს!
რა დახმარება, რის დახმარება! —
გინდათ ჩასვართ საქმე მთვრალეებმა?!
მორჩით! — ვუყუროთ ვინ ვის გალახავს!"



ცრემლებით შეხვდა ვენერა უარს —
მშრალზე დატოვა მამილოს სიტყვაჲ,
კუდი ძალლივით ამოიძუა
და კარის ზღურბლთან ამრეზით მიდგა,
ესიამოვნა იქ მარსის ხილვა —
მყის მოჰყვა ზევსის თათხვსა და კილვას!..
ბახუსმა ფეხი დაჰკრა მაშინვე.
განიმედისკენ მოუსვა სწრაფად
და მის სარდაფში სათლით თხლაშიო,
დაბოლმოდ გულზე სულ ხვნეშით ყლაპა.

შენიშვნები

²⁷ პალინურუსი — ენეასის გემის მესაჭე. ვერგილიუსის ერთ-ერთი შიშის თანახმად, პალინურუსს გემის საჭესთან ძილი მოერია და ზღვაში გადავარდა. მაგრამ იგი ტალღებმა არ დააბრჩევს, იტალიის სანაპიროზე გარიყეს, სადაც აბორიგენებმა მოკლეს. სხვა ვარიანტის მიხედვით იგი თავად შეზღვაურებმა გადააგდეს ზღვაში. ამ ვერსიაში ხაზგასმულია ის უძველესი ჩვეულება, რომლის მიხედვითაც შეზღვაურები გასაჰირის დროს თავის გადარჩენის მიზნით, ერთ-ერთ ნაოსანს მსხვერპლად წირავდნენ ხოლმე ამა თუ იმ ღვთაებას.

²⁸ აქესტე — ლეგენდარული მეფე კუნძულ სიცილიაზე, წარმოშობით ტროელი.

²⁹ კომპანიელი — ყოფილი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი უკრაინაში. (კოტლიარ.) XVII-XVIII სს. კომპანიელები დაქირავებული მხედრები იყვნენ და უშუალოდ პეტმანებს ემორჩილებოდნენ. კომპანიელთა პოლკები კლასობრივი ბრძოლის დროს ჩამოყალიბდა, როცა პეტმანები და კახაკთა სტარშინები თავიანთ გამგებლობას დაქირავებული ჯარით განიმტკიცებდნენ. ამ პოლკებში მოხალისენი შედიოდნენ და ისინი პეტმანთა საგანგებო კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. XVIII ს. მიწურულს ეს ნაწილები რუსეთის რეგულარული არმიის მსუბუქი კავალერიის პოლკებად გადაკეთდა.

³⁰ დარეტი — ტროელთა ომის ერთ-ერთი მონაწილე. სამშობლოდან გამოქცევის შემდეგ ენეასთან ერთად მოგზაურობდა.

³¹ აბცესტი — ერთ-ერთი ტროელი.

³² ენტელუსი — ანტიკური მითების მიხედვით სიცილიელი გმირი, რომელიც ამ კუნძულზე აქესტესთან ერთად მოვიდა. ფიქრობენ, თითქოს მისი სახელი უნდა ერქვას სიცილიის ქალაქ ენთელასს.

(გაგრძელება იქნება)



მოთხრობა

ქაქეზიანიდან თარგმნა ელადიშვილმა ზარიძემ

(ცნობილიდან „ეროსი — თანატოსი“)

მარკიზი დე ტროე, ვენაში საფრანგეთის მისიის ძალზე ახალგაზრდა ატაშე, ამ ბრწყინვალე ქალაქის მზიარულ ცხოვრებას ახლად ჩამოსულის გასაოცარი გამძლეობით შეეწყო. ყველა ლამაზ ქალში იგი ძლევამოსილი იერიშის საგანს ხედავდა. ჩამოსვლის პირველსავე დღეებში ყველა არისტოკრატის სახლში შეაღწია და რადგანაც ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი ამგვარ კარიერას ეწია, მაშინვე მაღალი საზოგადოების დროსტარებათა ორომბრიალში მოექცა. მის ცეცხლოვან სიჭაბუკეს, სიცოცხლით სავსე თვალებს, მიმზიდველ ნატიფ ნაკვთებს რაღაც საერთო ჰქონდათ ჯიშთან ცხენთან. არც ზრდილობა და გერგილიანობა ჰკლებია. ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ მარკიზს უმდიდრესი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი (იგი ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე იყო და მშობლები აღმერთებდნენ), რაც უბედნიერესი ატაშეობის საწინდარი უნდა ყოფილიყო. ამ მრავალმხრივ სახელგანთქმულ ჭაბუკს, ვისიც ჩუმად შურდა კიდევ ბევრს, უკვე მტერიც გასჩენოდა, თანაც ისეთი, რომლის არად მიჩნევა შეუძლებელი იყო. ეს გარემოება კი ამ ლამაზი უცხოელის მიმართ ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო აღვივებდა.

მარკიზს არაფერი გამოუკითხავს, არაფერს ჩასძიებია, ისე დაუგო სიყვარულს დანატრებული გული ფეხქვეშ მონარქიის ერთ-ერთი მაღალი მოხელის მეუღლეს, გრაფინია ფანი ჰოენშაუტს და ამ მომაჯადოებელ ქალთან სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე შეხვედრის შემდეგ, ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა იგი სახლში დაემართხელებინა. ჩაბნელებული სარკეებიანი სალონის გავლით, რომლის იატაკზეც ყელყელა ჩინური ვაზები იდგა, ხოლო სვეტებს მოოქროვილი კონსოლები ამკობდა, ლაქიამ მარკიზი გრაფის მეუღლის ბუდუარამდე მიიყვანა. მისი სტუმრობით განცვიფრებული ქალი, ცოტა არ იყოს, შეშინდა. შიშის მიზეზი კი ფანის ნამდვილად ჰქონდა. მისი გულის მფლობელი ჯორჯ ალან სეიმური ხომ სწორედ ამ დროს მოდიოდა ხოლმე. მარკიზმა იქაურობას მოავლო თვალი და როცა დარწმუნდა გრაფის მეუღლე მარტო იყო, ჭაბუკური მგზნებარებით ემთხვია მის სათუთ ხელს, მერე მუჭში მოიმწყვდია ქალის მავა, კულულებით დამშვენებული სახე ზეაღმართა და ღილი-

ლოსფერ თვალეზში სიყვარულით ჩახედა . ისედაც დამფრთხალი ფანი კედევ უფრო დაფრთხა, როცა მარკიზი ქალების დამატყვევებელი ჩვეულო რაინდული წესით მუხლებზე დაეშვა და მიმართა:

— ქალბატონო, თავადაც ხედავთ, რომ ყოველივე — დიდებულები, სიცოცხლე და გული ჩემი დაშნის წვერზე პკილია. პირველი ნაბიჯი ჩემი მიყვარდით და მას აქეთ, დღისით თუ ღამით, მხოლოდ თქვენ დაგტრიალებთ ჩემი ფიქრი. აი, ამ თქვენს პატარა ხელებს ვანდობ ჩემს ბედს! — სასიამოვნო, ოდნავ მოგუდული ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები, ნაჩქარევად, მაგრამ მკაფიოდ, რის შემდეგაც მარკიზმა ქალის მეორე ხელიც აიღო, ნაზად შეაერთა ორივე და ღონიერ მარჯვენაში მოიმწყვდია, ხოლო მარცხენა ხელი მსუბუქად დაიდო იმ ადგილზე, სადაც მაქმანმოვლებული ჟაბოს ქვეშ ჭაბუკურ თავგადასავლებს მოწყურებული გული უძგერდა. თეთრი მარმარილოს ბუხრის თავზე დაკიდულმა პატარა საათმა ოთხი ჩამოჰკრა.

— მარკიზ, ადექით! — თქვა გრაფის მეუღლემ. მუხლმოდრეკილ რაინდს მოეჩვენა, რომ მის ხმაში დაპირება გამოკრთოდა. — ადექით, შესაძლოა ვინმე მოვიდეს.

მარკიზი არც შერხეულა, ისე შეღაღადა ქალს:

— მითხარით, ქალბატონო, მითხარით, თუ შეგიძლიათ ჩემი შეყვარება, მითხარით, მაქვს თუ არა თქვენი სიყვარულის უფლება!

გრაფის მეუღლის დაძაბულ სმენას მეზობელი ოთახიდან ნაბიჯების ხმა მისწვდა, მოსალოდნელმა საფრთხემ ძალა შემატა და ღონიერი მოძრაობით გაითავისუფლა ხელი დაუცხრომელი არშიყის მარწუხებისაგან, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და რა არის, ეს სახიფათო სცენა დაესრულებინა, თვალდახუჭულმა წაიჩურჩულა:

— შესაძლოა!

მარკიზმა ეს წყალობად ინიშნა, წელში გაიმართა, დაშნა გაისწორა და სოსნისფერი სავარძლის სახელურს ხელით დაეყრდნო. ნაბიჯის ხმა ახლა ზედ მის ზურგთან გაისმა. ჭაბუკი მიტრიალდა. მსახურმა აუწყა თუ არა ქალბატონს ჯორჯ ალან სეიმურის მოსვლა, სტუმარიც ფეხდაფეხ შემოჰყვა. მარკიზმა შეხედა და თავისი მტერი იცნო.

ალან სეიმური ოცდაათ წელს მიტანებული, ახოვანი მამაკაცი იყო. ზორბა მხარ-ბეჭზე მსხვილი, ღონიერი კისერი ედგა. დემონის თავი ჰქონდა ამ კაცს, მისი სახე ვნებათაღელვას დაეფარა, პირი კლდის ნაპრალს მიუგავდა, ხოლო თვალეზი მიწყვიტ აქეთ-იქით გაურბოდა.

გრაფის მეუღლეს გულის წასვლამდე აღარაფერი აკლდა. ორივე დიპლომატი ცივად მიესალმა ერთმანეთს, ხოლო როცა ხანმოკლე და გულგრილი საუბრის შემდეგ მარკიზმა წასვლა ამჯობინა, სეიმურმა უმაღლეს სავარძელში მოიკალათა და ფეხი ფეხზე მშვიდად გადაიდო, რამაც გამოუთქმელად გააშმაგა ჭაბუკი მარკიზი.

ორი დღის შემდეგ მარკიზი გრაფის მშვენიერ მეუღლეს ერთ-ერთ დიდ წვეულებაზე შეხვდა და უთხრა:

— ქალბატონო, ჩემი მეტოქის სახელის გაგონებაც არ მსურს, ხოლო თქვენ რომ საფრთხეში არ ჩაგაგდოთ, თქვენივე შინამოსამსახურე გოგო გავიერთგულებ.

გრაფის მეუღლე გაფითრდა. მარკიზის ეს თამამი საქციელი ძალადობის მომასწავებლად ენიშნა.

მოახლე გოგონას გადმობირება საკმაოდ იოლი საქმე გამოდგა. იმავე საღამოს, როცა გრაფის მეუღლეს პირველი, უჩვეულო ეფიქტით ეწვია, ჰექტორ დე ტროემ თავის მსახურს დაავალა დაახლოებოდა ფანქარმაუთის პირისფარეს და მისთვის თავისი ბატონის სიყვარული ეუწყებინა. ბიჭმა ბრძანება პირნათლად შეასრულა, რითაც ორივე მხარე უზომოდ კმაყოფილი დარჩა. მან მაშინვე შეატყობინა მარკიზს, რომ მეტისმეტად თვინიერმა არსებამ, პეპიმ, კარგად შეიგნო, რაოდენ დიდი პატივი იყო მისთვის ამგვარი სიყვარულის დამსახურება, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რა გზით მოახერხა მარკიზმა მისი ნახვა, მარჯვე მსახურმა ამასაც ადვილად გაართვა თავი, საიდუმლოების ვარდისფერ ბურუსში გახვია ყოველივე, რამაც გოგონას გულში ვნების ცეცხლი კიდევ უფრო გააღვივა.

იმ პირველი ვიზიტიდან მესამე დღეს, ღამის თერთმეტი საათისათვის, შავ მოსასხამში გახვეული მარკიზი, რომელსაც თავისი მსახურის წყალობით უკვე ყველა გზა ხსნილი ჰქონდა, პოენმაუთების სასახლის თაღებქვეშ გამოჩნდა. საბაზმაკეში მოთავსებული სანთლით განათებულ გრძელ დერეფანს სამზარეულოსა და ფარეშთა სადგომისაკენ მიჰყავდით. ჰაბუკმა ფრთხილად შეაბიჯა სასახლის ქვით მოკირწყლულ ეზოში, რომელსაც ტალანის მაგვარი შუშაბანდები გადმოჰყურებდა, ორი სართულის სიმაღლეზე რომ გასდევდა მთელ სსახლეს.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირებია მარკიზს. ჩაბნელებული დერეფნიდან მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმა. პეპი გაუბედავად მიუახლოვდა და უმაღ იგრძნო, თუ რა ნაზად შემოხვიეს მკლავები. მარკიზმა გოგონა სინათლისაკენ გაიყოლია, გამომცდელი მზერა სტყორცნა და უთხრა:

— ჩემო ტკბილო, ჩემო პატარავ, სად არის შენი ოთახი?

მოახლე გოგონას აგერ უკვე ორი დღე-ღამეა თავგზა ჰქონდა აბნეული ამ რომანტიული სიყვარულისაგან, რის შესახებაც ეგზომ მოკლედ აუწყეს. ხოლო როცა მარკიზმა იგი მკერდზე მიიკრა, მხურვალედ აკოცა და აგრძნობინა, შენთან წავიდეთო, საბრალო კიდევ უფრო დაიბნა, რადგანაც სულაც არ ელოდა ამას. წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ჰაბუკის ძლიერმა ხელმა პატარას ოდნავ განათებული ხვეული კიბისაკენ უბიძგა. ქალი, ამჯერად უკვე წინააღმდეგობის გაუწევლად, მორჩილად გაჰყვა მარკიზს, რომელმაც ადვილად გაიგნო გზა. მარკიზი ამ უწყინარი არსების სათუთ მკლავებში უშფოთველ ნეტარებას ეწია, რაც მას კიდევ უფრო მიმზიდველად უნდა მოსჩვენებოდა, რადგან მოახლე გოგონას სიყვარულის ქსელი რომ გააბა, სრულებითაც არ უფიქრია, ეგზომ ტკბობას თუ იგემებდა.

რამდენიმე დღე, როცა შეატყო, განზრახულის აღსრულების ჟამმა მოაწიაო, მარკიზმა თავის ნორჩ სატრფოს კიდევ აგემა შმაგი სიყვარული. იგი არც სხვა მხრივ დარჩენილა უქმად. ერთხელ კიდევ ეწვია გრაფის მეუღლის ბუდუარს სწორედ იმ დროს, როცა სეიმური მოდიოდა ხოლმე. ამჯერად დაჟინებით აიძულა მდუმარე ალანი თან გაჰყოლოდა და ჰაბუკური უდარდულობით გაანდო თავისი ახალი, ღამაზი სასიყვარულო თავგადასავლის საიდუმლო. უბედური ვერ მიხვდა, რომ ამით სეიმური, რომელმაც ადვილად აუღო ამ ფანდს ალლო უფრო ფხიზლად ჩაუდგებოდა მას კვალში. თავისი ჰაბუკური

გულუბრყვილობით მარკიზი ფიქრობდა, რომ ხვაშიადის გამჟღავნებით გულუბრელ მეტოქეს ყოველგვარ ეჭვს გაუქარწყლებდა.

ერთხელაც ქალაქის საზოგადოებამ ტყეს მიაშურა, სადაც დიდი სპარეზობა გაიმართა. მარკიზმა, სხვა რაინდებს რომ ეჯიბრებოდა, ქაშაღრობაში, ჩვეულებისამებრ თაყვანი სცა გრაფის მეუღლეს და ფეოქსიდას უწყინრად მიეახლა, ხოლო როცა ქალბატონის ეტლი დაიძრა, გაბედა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ქალბატონო, ხვალ ღამით თქვენს საძინებელ ოთახში დაგელოდებით! ვიდრე ლაფშურით მიმავალი ლიპიცანელები¹ კორტეჟს შეუერთდებიან, თავისი სმენასუსტი მეუღლის გვერდით მჯდომ ფანის საკმაო დრო ჰქონდა, ამგვარი განცხადების შემდეგ ცოტა დაწყნარებულიყო. ცხადია, ყველა ღონეს იხმარდა, რათა დროულად შეეშალა ხელი ამ მართლაცდა გადარეული განზრახვისათვის. მეორე დღეს, საღამოთი, დიდი წვეულება იმართებოდა, რასაც დიპლომატთა კორპუსისა და საზოგადოების ელიტის საპატივცემულოდ აწყობდა ესპანეთის დესპანი. ისედაც საკმაოდ გვიან დანიშნული წვეულება, ალბათ, შუაღამეს გადასცდებოდა, სამეფო კარის დიდებულები კიდეც რომ აშლილიყვნენ, და მაინც მარკიზის მხრივ პირდაპირ გაუგონარი თავხედობა იყო, რომ თავის ქალბატონს მისივე ჰერქვეშ დაუნიშნა პაემანი, თანაც ასეთუ ისე ნაადრევ საათს. ამასთან, მარკიზი იმაზედაც ამყარებდა იმედებს, რომ გრაფი ბანქოს დიდი ტრფიალი გახლდათ და მაგიდას რომ მიუჯდებოდა, აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად. გრაფის მეუღლემ ყოველივე რომ აწონდაწონა, ცოტა არ იყოს დაიბნა. მისი ფიქრი სულ იმას დასტრიალებდა, თუ რა მოჰყვებოდა ამ მაცდუნებელ ნაბიჯს და გუნებაში არც გაუვლია მარკიზისათვის ხელი აეღებინებინა თავხედურ განზრახვაზე. მას ნაშუადღევსაც არ მიეცა საშუალება უარი შეეთვალა მარკიზისათვის, საქმე ისაა, რომ მტკიცე უარი, რომლის თქმასაც თავდაპირველად აპირებდა, ამდენი ფიქრის შემდეგ უბრალო საყვედურად იქცა, რაც ქარაფშუტა ყმაწვილს ვერ დააბრკოლებდა. მაგრამ ეს ისე შეუმჩნეველად მოხდა, რომ თვითონ გრაფის მეუღლეს კი ვერაფერს მიხვდა.

უკვე შუადღე იყო, როცა გრაფინია ფანის გამოეღვიძა და 'პეპიმ ვერცხლის ლანგრით საუზმე მიართვა. მას უმაღლესე გაახსენდა, თუ რას უქადდა დამდეგი ღამე. და აი, ფანიმ კვლავ გაიხსენა მარკიზის ნათქვამი, რამაც იგი, ერთი პირობა, განაცვიფრა, მერე კი ამდენი დროსტარებით გაბრუებულმა, არად მიიჩნია ეს ყოველივე. ამიტომაც იფიქრა, სწორედ მოვიქცევი, თუკი მოახლე გოგონას მკაცრად გავაფრთხილებ, არამც და არამც არ შემოუშვას მარკიზი, ოღონდ მის კადნიერ განზრახვაზე არას ვეტყვიო. მაგრამ როგორც კი პეპის მარკიზის სახელი უხსენა, გოგონას მოეჩვენა, ჩემს ტკბილ საიდუმლოს ფარდა აეხადაო, გრაფის მეუღლეს ფეხებში ჩაუვარდა და ღვთისა და ყველა წმინდანის სახელით შეწყალება სთხოვა. მოახლის დაბნეულობა ქალბატონს თავისებურად ენიშნა, მან სიტყვა აღარ გააგრძელა, პეპი უგულისყურობისათვის დატუქსა და გულში მშვენიერი ჭაბუკის გაბედული სიჭიუტით მოხიბლულმა, მოახლე ორაზროვანი მითითებით დაითხოვა, მომავალში უკეთ

¹ ცხენის ჯიში, ტრიესტთან მდებარე ცხენსაშენის სახელწოდების მიხედვით (მთარგმნელი).

სჭეროდა თვალი ქალბატონის კეთილდღეობაზე. ფანიმ თავი დაიწმუნა, რომ მოახლეს, თუნდაც მარკიზის ნამდვილი თანამზრახველი გამოემდგარიყო, ამაზე მკაცრად ვერ მოექცეოდა. პეპი აცანცახებული გაშორდა რეზურობას. პატარა ბარათი, რომელიც დილით გადასცა მას მარკიზის მოხერხებულმა მსახურმა, იმ ღამით დიდგვაროვანი საყვარელის სტუმრობის დასაწყისად გადაწყვიტა ამჯერად თავის ოთახში არ შეეშვა მარკიზი. „ამჯერად“, გაიმეორა მან თავისთვის, რადგან საცოდავი არსება ცოტა რომ დამშვიდდა, საკუთარ თავს გამოუტყდა, ამ ტკბილი კავშირის მოულოდნელი გაწყვეტა სამუდამოდ დაუკოდავდა გულს.

საღამომაც მოაწია, გრაფის მეუღლე პეპის დახმარებით ნაადრევად შეუდგა ჩაცმას. კარადის მაღალ სარკეში იგი შემთხვევით მოახლის შეშინებულ მზერას წააწყდა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა თითქოს არც კი შეუმჩნევია. როდესაც პეპი აკანკალებული თითებით უსწორებდა თმას ქალბატონს, ორივე ქალის ფიქრი თავგადასავალთა გულად მაძიებელს დასტრიალებდა, რომელიც ამ დროს სეიმურის მიერ ინგლისიდან ცოტა ხნის წინ ჩამოყვანილი ულაყის სანახავად იყო მიწვეული, აბოჟირებულ ცხოველს ზურგზე მოქცეოდა და მანერზე ცდიდა ცხენის კუნთებში მიმალულ ძალას. ცხენის პატრონი ჩვეულებისამებრ გულხელდაკრეფილი იდგა წმინდა ქვიშით მოფენილ მოედანზე და პირქუშად შესცქეროდა გაზაფხულის ბინდის ჩამოწოლას. ერთ-ერთი თავისი მსტოვრის წყალობით მას უკვე შეეტყო ფრანგი მარკიზისა და პეპის ამაღამინდელი პაემანის ამბავი და როგორც დიდი ხნის საყვარელი არცთუ უკარება ქალისა, ამჯერადაც თავისი ვარაუდითა და ეჭვით იყო შეპყრობილი. მისი გეგმაც უკვე საბოლოოდ მომწიფდა. რამდენჯერაც მარკიზმა მოახლე გოგონა მოინახულა, იმდენჯერ არ დაუკარგავს თვალთაგან ალანს გრაფის მეუღლე, ვისაც თვითონ ასე თუ ისე ყოველდღე ხვდებოდა ხან სად და ხან სად. მოგვიანებით მან მოისყიდა ერთ-ერთი მოსამსახურე, რომელიც უდარდელი პარიზელისა და პატარა მოახლე გოგოს შეხვედრებს აუწყებდა ხოლმე.

ესპანეთის საელჩოში მისვლისთანავე სიყმაწვილითა და მშვენიერებით გაბრწყინებულ გრაფის მეუღლეს იმდენი ხალხი დაეხვია, რომ ვერც ალანმა და ვერც მარკიზმა კარგა ხანს ვერ მოახერხეს მასთან მიახლოება. ინგლისელმა ხელზე აკოცა გრაფის მეუღლეს. იქვე შორიახლოს მხოლოდ რომის პაპის ელჩი იდგა. როგორც კი მათკენ მომავალი ფავორიტი დაინახეს, რამდენიმე ახალგაზრდამ მოწიწებით და ალბათ შიშითაც დაიხია უკან სახელგანთქმული მოფარიკავეს წინაშე.

— მეეტლე გავაფრთხილე, — უთხრა ინგლისელმა. გრაფის მეუღლეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. რამდენიმე კვირა იყო, რაც სეიმურის თანამემამულე და ძალღივიტ მისი ერთგული მეეტლე ემსახურებოდა, რომელიც ინგლისელმა გრაფს დაუთმო. რადგან სურვილის მიუხედავად არცთუ ხშირად ხვდებოდნენ სეზონური გასართობების მოზღვავეების გამო, ასე შეთანხმდნენ: გრაფი რომ თავის საყვარელ თამაშში ჩაეფლობოდა, გრაფის მეუღლე სეიმურთან ერთი საათით მიჰყავდა მეეტლეს, მერე კი, რადგან გრაფის წამოყვანა აღარ ევალებოდა, ცარიელი ბრუნდებოდა შინ. გრაფის მეუღლე კი სეიმურის ეტლით მიდიოდა სასახლის უკანა ჭიშკრამდე, როცა შინ დაბრუნებისას მოაწევდა. ზოგჯერ მრავალი კვირა ისე ჩაივლიდა, რომ მოხუცებული

გრაფი თავის ახალგაზრდა ცოლთან ღამით არც კი შევიდოდა ხოლმე. სამაგეროდ აღან სეიმურს არგუნა ბედმა ღამეული პაემნები, რაზედაც გრაფის მეუღლე მხოლოდ მისი ფიცხი ხასიათის შიშით ვერ ეუბნებოდა უარს. ყოველი პაემნის შემდეგ ხომ ქალი ცოცხალ-მკვდარი ბრუნდებოდა შენეულ სეიმურის სიტყვებში ფანის თავზარი დასცა. მაგრამ იმდენი სიძულვილი სიმტკიცე კი გამოიჩინა, რომ მაშინვე არ უთხრა უარი, რაც, უეჭველია, მხოლოდ განარისხებდა მის საყვარელს. იხტიბარი არ გაიტეხა და თავი იმით დაიმშვიდა, ეგების ამ საღამოს განმავლობაში რაიმე გამოსავალი მოეძებნო.

ვახშამი გვიან დასრულდა, გრაფის მეუღლემ განაწამები თვალებით აღანს დაუწყო ძებნა, მაგრამ ველარსად მიაგნო. ინგლისელს საჭიროდ აღარ ჩაეთვალა მასთან ხელახალი შეთანხმება და უკვე შინ წასულიყო.

— დღეს ძალზე ჩქარა მიგატოვებს თქვენმა მოტრფიალეებმა, — წასჩურჩულა ვილამ ნილნილა ხმით, როდესაც ფანიმ მღელვარე მკერდზე მიიღო ზელი და წამით დაბნეულად ჩააშტერდა ფეხის წვერებს. მოხუცი არისტოკრატი ქალი გახლდათ, ასე მოურიდებლად რომ მიმართა გრაფის ახალგაზრდა მეუღლეს.

გრაფის მეუღლემ მხოლოდ გაიღიმა და სწორედ თეთრი კბილები გამოაჩინა:

— ღიახ, დღეს დიდად არ შეუწუხებიათ თავი! — ეს სიტყვები კი აღმოხდა მის ბაფთით შემკულ ყელს, მაგრამ მტანჯველი ფიქრები არ ასვენებდა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი იმეორებდა გულში: „რა ვიღონო, ღმერთო, რა?“ ვინაიდან ქალისათვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ სიტყვას არც მარკიზი გადავიდოდა.

წასვლის მიზეზი რომ დაემაღა, მარკიზი არავის გამოსთხოვებია, თავის ეტლში ჩაჯდა და ჰოენშაუთების სასახლიდან კარგა მოცილებულ გზაჯვარედინამდე მივიდა. იქ მეეტლე გაუშვა და გზა ფეხით განაგრძო. გული ნეტარებით ჰქონდა სავსე. მალე მის წინ შავი სასახლე აღიმართა. ჰიშკარი ღია იყო. როგორც ყოველთვის, მეკარეს ეძინა. მოსასხამში გახვეულმა მარკიზმა გაღავანს ჩაუარა და პირდაპირ ეზოში შეაბიჯა. აი, კვლავ გამოჩნდა მის თავზემოდ ძველებური შუშაბანდების წრერგვალი, რომელთაგან ერთ-ერთი — ეს მან იცოდა — გრაფის მეუღლის საწოლი ოთახის წინ მდებარეობდა. მთვარეს შარავანდედი დასდგომოდა. ძლიერი ქარი გაზაფხულისა ვერ აღწევდა მნათობის მყუდრო სავანემდე, მაგრამ ფაფარაშლილი ღრუბლები მოწმობდნენ მის ახალგაზრდულ შემტევ ძალას. პეპი, რომელიც ზედა სართულზე იცდიდა და სარკმლების ჯახუნს აყურადებდა, სასწრაფოდ გამოეშურა მარკიზისკენ, თანაც ეტყობოდა, რომ საშინლად ღელავდა.

— გრაფის ცოლმა ყველაფერი იცის! — თქვა აქოშინებულმა.

— შენ ხომ არ გამოუტყდი? — იყვირა მარკიზმა.

გოგონა ჩაფიქრდა, მართლა ხომ არ გამოუტყდი ქალბატონს და თუ ასეა, რაში გამოუტყდიო. თუმცა ყოველი წვრილმანი თვალწინ ედგა, — თვით ქალბატონის ნაწნავების ელვარებაც კი, მის ხელებქვეშ რომ სრიალებდნენ, — მაინც ვერ იხსენებდა იმ დამამცირებელი საუბრის შინაარსს.

რამდენიმე აბდაუბდა კითხვის მერე, რაც მაინც ვერაფერს მოჰფენდა შუქს, მარკიზმა თავი დაიწმუნა, რომ მისი სატრფოსათვის არ იყო ცნობილი ის მეტისმეტად ინტიმური გზები, რისი წყალობითაც იგი საწადელს უნდა

სწეოდა. არც ის უნდოდა, რომ მოახლე გოგონას ფანიზე ექცია. ამიტომაც, როცა ცოტაოდენი ყოყმანის მერე პეპის ოთახს მიუახლოვდა, ვერცხლად უცაბედ ცნობისწადილს აეტანოს, გრაფის მეუღლის საწოლი ოთახის ნახვა მოითხოვდა. პეპი ხვდებოდა, რომ თავისი ქალბატონის წყნარება დანაშაულის სჩადიოდა, თანაც მაშინ, როცა გრაფის მეუღლეს მკაცრად მოწყალება გამოიჩინა ამ დილით მისდამი. ახლა კი მას, ვისაც ანდეს ამ ოჯახის სიმყუდროვე, უცხო კაცის იდუმალი შემოპარებით უნდა დაერღვია და შეელახა კიდეც სახლის სიწმინდე. და მაინც გოგონამ მარკიზი შიგნით შეუშვა.

მარკიზი დიდხანს ათვალიერებდა თეთრ, მდუმარე დარბაზს. მოახლე გოგონაც უტყვად ადევნებდა თვალს თავისი მბრძანებლის ზედმეტად ცნობისმოყვარე მზერას. რა წამს მესამე კარი შენიშნა, (ერთ კარს გავყავდით გასახლდელში, მეორეს — პატარა ოთახში, რომელიც უშუალოდ ეკვროდა სადარბაზოს) ჭაბუკმა მოისურვა შეეტყო სად გადიოდა იგი. პეპიმ კარი გააღო და ოთახში შემოჭრილი ნაზი შუქი მთვარისა დაეფინა გაშლილ ლოგინს. ისინი შემინულ აივანზე გავიდნენ. ეს ერთ-ერთი იმ შუშაბანდაგანი გახლდათ, ეზოს თავზე წრეს რომ კრავდნენ. ნახევრად ღია სარკმლიდან მარკიზმა ეზოს სიღრმეში ჩაფლული ქვაფენილი დალანდა. ამ დროს გალავნის მიღმა ბორბლების ყრუ დაგადუგი გაისმა.

— გრაფინია, — წამოიყვირა შეშინებულმა გოგონამ. ეს ხმაური მარკიზსაც რაღაც უჩვეულოდ მოხვდა გულში. ეს არ იყო ჩვეული, გამარჯვების წყურვილით აღსავსე გულდაჯერებულობა, სმენად ქცეული მარკიზის სულში ამაყად რომ გაშლიდა ფრთებს, ეს იყო უცნობი ბედისწერის კუმტი წინათგრძნობა. მოულოდნელად, მისგან შორს მყოფი მშობელი დედის კეთილი სახე წარმოუდგა გულისთვალს მისას, ვითარცა გამაფრთხილებელი ხილვა. მოახლე გოგონა ლამის ფეხებში ჩაუვარდა. გემუდარებით, ოთახიდან გადით. ის აყოვნებდა. არ ძალედვა განშორებოდა ამ მომლოდინე კედელთა სიწყნარეს, გლუვ მერხს, სადაც ალბათ თავის ყოველდღიურ ლოცვას აღავლენდა ქალბატონი, თოვლივით ქათქათა საწოლს, რომელზედაც მთვარის ნაზი შუქი დაღვრილიყო. ამ დროს მოესმათ, რომ ქვემოთ ვილაცამ კარი გააღო. პეპი მთელი ტანით აცახცახდა. იგი დაჟინებით იმეორებდა თავის თხოვნას და თავზარდაცემული, თვითონაც გასასვლელისკენ მიიწევდა. სხვა დროს საცოდავი მოახლე გოგონა ვერც გაბედავდა მიკარებოდა წარჩინებულ საყვარელს (თუ არ ჩავთვლით იმ ღამეებს, რომლებსაც მარკიზი მის მკერდზე დაკონებული ატარებდა), ახლა კი მეზობელი ოთახისაკენ უბიძგებდა მარკიზს, რომელიც თითქოს ახლა ამის დრო ყოფილიყო, სამშობლოზე უჩვეულო ფიქრში ჩაფლულიყო და მისი მუდარა არ ესმოდა. მარკიზი ღია კარით კვლავ აივანზე გავიდა, ხელით ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მთვარის სხივებში მობანავე ეზოს მზერაში ჩაიძირა. შიშისაგან მთლად გაოგნებულმა მოახლემ ამით ისარგებლა, აივნის კარი გამოხურა და სწრაფად გადარაზა. მარკიზი მიხვდა, რომ სატრფოს საწოლი ოთახის გვერდით, შუშაბანდაში გამოამწყვდიეს მთვარესთან ერთად და უმაღლეს სიღრმეში შეიპყრო. მან დააკაკუნა, მაგრამ კვლავ შემოესმა, რომ ვილაცამ კარი გაიხურა, და თავი ანება ფუჭ მცდელობას.

პეპი გრაფის მეუღლეს გაეგება. როცა ფანი მიხვდა, რომ ვერ გაუძლებდა საფრთხეს, რომელიც ორი მოქიშპის შეხვედრას მოჰყვებოდა, უქეიფობა მოიმიზეზა, თავისი მეუღლე, მართალია, ზრდილობიანად, მაგრამ უდ-

როდ ააყენა სათამაშო მაგიდიდან და დაჟინებით სთხოვა, სახლამდე მიმაცილეო. სეიმურის ყოფილმა მეეტლემ, რომელსაც სატანისა არ ეშინოდა ისე, როგორც ძველი პატრონისა, რაკილა იძულებული შეიქნა გრაფი სასახლეში მიეყვანა, რაწამს საჯინბოში დაბრუნდა, ცხენები ერთ მთვლემარე მეჯინბეს გადასცა და თვითონ რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავისი მბრძანებლისაგან მოუსვა, რათა ეუწყებინა მომხდარი ამბავი. სეიმური, მოისმინა თუ არა ეს, მყის პოენმაუთების სასახლისაკენ გაეშურა თავისი ეტლით, იქვე ეზოში რომ ედგა. არად ჩააგდო საფრთხე და უმახვილოდ, მსუბუქ მოსასხამში გახვეული, მტკიცე ნაბიჯით (მეეტლეს უბრძანა დამიცადეო, თითქოს სახელმწიფო საქმეზე იყო მოსული) გაემართა მეკარისაკენ. დარწმუნდა თუ არა, რომ გრაფი და მისი ცოლი დაბრუნებულიყვნენ, ცივად უთხრა მადლობა მეკარეს და თითქოს შუადამე არ ყოფილიყოს, იმავე შესასვლელით აღმოჩნდა სასახლის ეზოში, საიდანაც ამასწინათ მარკიზი შევიდა. მეკარე უკვე კარგა ხანია ყურადღებას აღარ აქცევდა ზოგ-ზოგი ბატონების ხუშტურებს და აღან სეიმურს თავის ქნევით გააყოლა მზერა, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა ეტლს, რომლის გაკაშკაშებული ფარნებიც უხვად აფრქვევდნენ შუქს, ხოლო ცხენების ფრუტუნს თაღები ექოს აძლევდნენ, თავისდაუნებურად ხელი ჩაიქნია, აქაოდა ბრალი არაფერში დამედებაო და წაცუხცუხდა, რათა ცოლისთვის გადაეხარებინა პოენმაუთების სასახლის ღამის მორიგეობა.

მიუახლოვდა თუ არა მთვარის შუქით მოფენილ მოედანს, სეიმური კვლავ მოთვალთვალის როლში აღმოჩნდა, რაც ამ ბოლო ხანებში მისთვის უცხო ხილი არ ყოფილა. ჭიშკრის ქვეშ შედგა და გულდასმით, მონადირის მახვილი თვალით დაზვერა ეზო, მერე კი მაღალი შუშაბანდებისკენ გააპარა მზერა. ზევით, მოპირდაპირე აივნის სარკმელთან იდგა მთვარის შუქით განათებული, ოცნებადქცეული მარკიზი. ქალბატონი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ დაეძლია შიში, მეუღლესთან აყოვნებდა. სეიმურმა მაშინვე შეიცნო მარკიზი. ხელი უნებურად იარაღისაკენ გაექცა, მაგრამ წამსვე დაუშვა, რადგან ერთმა შემზარავმა აზრმა ცხადად გაუელვა თავში. ფრთხილად მიატოვა სათვალთვალთ ადგილი და მეორე სართულზე ამავალ კიბეს ფეხაკრეფით აუყვა. მერე ვიწრო დერეფანი გაიარა. მარჯვნივ გაუხვია და აღმოჩნდა ოთახში, რომელიც გრაფინიას საწოლ ოთახს ემიჯნებოდა. ამავე ოთახით სარგებლობდა მოახლე გოგონა, როცა იგი თავისი ოთახიდან პატარა ხვეულა კიბით და რამდენიმე გასახდელის გავლით ქალბატონთან მოდიოდა. სეიმური შეჩერდა და ჩაფიქრდა. მისი აზრით, მარკიზი ან იმ წუთს ელოდა, როცა სასახლეში სიჩუმე დაისადგურებდა ან არადა უბრალოდ აივანზე იყო გასული, სანამ გრაფის მეუღლე გაიხდიდა. ეს აზრი მან თავიდან მოიშორა, რადგან საწოლი ოთახი სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. ფანი ჯერ არ შესულიყო თავის საუფლოში. სეიმურმა გაიხსენა, რა პირგამეხებული გამოეშურა აქეთ. მას მერე ათი წუთიც არ იქნებოდა გასული.

გრაფინიამ მეუღლესთან ერთად ჩაის მირთმევა ინება. ის შედარებით უკეთ გრძნობდა თავს. ქმარი ცოტა არ იყოს უნდობლად შესცქეროდა. რას ნიშნავდა ეს უცაბედი სინაზე ქალისა, ვინაც იგი კარგა ხანია უარჰყო? როდესაც ცოლი ოთახიდან გავიდა, დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული, მოვერცხლილ ხელჯოხს დაყრდნობილი და სანთლების ნელ ღვენთასთან ერთად მისი ჩრდილი კედელზე თანდათანობით იზრდებოდა.

გულაფორიაქებული პეპი გარეთ ელოდა ქალბატონს, რომელმაც მოახლის გამოკითხვა მოინდომა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. ამ საღამოს პეპის არ უნდა მიეტოვებინა თავისი ქალბატონი. ამიტომაც ფანიმ უბრძანა, ჩემს ოთახში გაიშალეო ლოგინი. პეპის ელდა ეცა. მას ჯერ კიდევ ვერ მოესაზრებინა, როგორ გამოეხსნა მარკიზი. სხვა გზა არ იყო, უნდა ეგვეყვებოდა ქალბატონი. მაგრამ ამ სატანჯველისაგან იგი ერთმა საშინელმა შემთხვევამ მოსწავსოდა. ორსაათლიანი შანდლით ხელში ქალბატონის წინ მიმავალმა კარი გააღო და თვითონ განზე გადგა, თითქოსდა საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილი ქალბატონი ზღუბლზე შედგა. მაგრამ ამ ყოყმანმა ერთ წამსაც არ გასტანა. ფანიმ გაბედულება მოიკრიბა, ზღუბლს გადააბიჯა და... მის წინაშე აღან სეიმური აღიმართა. პეპის საშინელი ყვირილი აღმოხდა და შანდალი გაუვარდა: იფიქრა, მკვლელსა ვხედავო. ოთახი წყვდიადმა მოიცვა, რადგან მთვარე ამ დროს ღრუბელმა ჩანთქა. სეიმურმა გოგონას ხელი ჩასჭიდა, ოთახის შუაგულისკენ წაათრია და მბრძანებლური ხელის მოძრაობით გვერდითა სადგომში გამავალ კარზე მიუთითა. მობუზული პეპი დამფრთხალი ძალღივიტ გაუსხლტა ინგლისელს. გრაფინიამ ორივე ხელი მძიმედ მფეთქავ მკერდთან მიიტანა. თავბრუ ესხმოდა. აღანი შეეშველა, დივანთან მიიყვანა, დააწვინა და დერეფანში გამავალი კარი გასაღების ორი სწრაფი გადატრიალებით ჩაკეტა. მერე წყნარი ნაბიჯით მივიდა აივნის კართან და ფარდა ჩამოაფარა. მისი ფრთხილი მზერა მოხვდა შემინული გალიის შორეულ კუთხეში შეყუთულ მარკიზს, რომელმაც თავისდაუნებურად თვალები დახუჭა. სეიმური მშვიდად შეუდგა გახდას.

მარკიზმა ხოხვით მიაღწია თავისი უნებლიე სათვალთვალის ღიად დარჩენილ სარმკლამდე. საშინელი მღელვარებით შეპყრობილი ერთხელა ფიქრობდა: როგორ ჩაელწია ეზომდე. შეეცადა სიმაღლე წარმოედგინა, მაგრამ სასახლის სიდიადემ თავზარი დასცა. გადახტომა შეუძლებელი ჩანდა. ერიდებოდა ყოველგვარ მოძრაობასაც, რადგან, უეჭველია, ფარდებზე დაცემული ჩრდილით საკუთარ თავს გასცემდა... უეცრად საზარელი კითხვა დაებადა: ხომ არ შენიშნა იგი სეიმურმა? მაგრამ ეს აზრი მყის მოიცილა, რადგან თუ ეს ასე იყო, ინგლისელი არ დააყოვნებდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიწვევდა. უნებურად დაშნისკენაც კი წაიღო ხელი, მაგრამ არ აღმოაჩნდა. გაახსენდა, რომ პეპისთან კომოდზე მიაყუდა.

ქვემოთ, ჭიშკართან მთელი ტანით აცახცახებული გოგონა იდგა და საყვარლის დანახვას ლამობდა. სად გაუჩინარდა იგი? ისეთი თავზებელაღებული ხომ არ იქნებოდა, რომ გრაფინიას საწოლ ოთახში შესულიყო? უცებ საწოლი ოთახის კარზე რაღაც ჩრდილის მაგვარი შენიშნა და დაინახა, როგორ ჩამოაფარეს ფარდა. რა ხდებოდა იქ, ზევით? სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიბა და იმის განუსჯელად, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის განზრახვას, მეკარისაკენ გაეშურა. მის მბუუტავ ფანჯარასთან შედგა. ეს არ იყო სწორი გამოსავალი. გრაფზე ფიქრი ძრწოლას გვრიდა. ამღამინდელი ამბები მის თავში ქარბუქივით ირეოდნენ. უნდა გამოეძებნა ჩაკეტილი მარკიზისათვის ხსნის გზა. მან ფოიეში გრძელ შავ სკამზე მოვლემარე კამერდინერს ჩაუქროლა და დაუკაკუნებლად (ანდა სად ჰქონდა დაკაკუნების თავი) შევარდა ოთახში, სადაც ჯერ კიდევ ხელჯოხზე დაყრდნობილი გრაფი ფიქრს მისცემო-

და. როგორც კი გოგონა დაინახა, მაშინვე ზე წამოიჭრა და ყვითელი, გამბდარი ხელით მაგიდის კიდეს ჩაებლაუჭა.

— რა მოხდა? — იკითხა გრაფმა ხრინწიანი ხმით.

— ქალბატონი... — სხვა ველარაფერი თქვა პეპიმ. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. გრაფმა შანდალს სტაცა ხელი და კარისაკენ წაფორთხელდა. მანვე ვეულო პროცესიას ცნობისმოყვარე კამერდინერიც შეუერთდა.

მარკიზის სმენას რომელიღაც კარის გაღების ხმა მისწვდა. ნამდვილად დამინახესო, გაიფიქრა, შიშისაგან გონდაკარგული წამოხტა და ფანჯრის რაფას გადაევლო, — დიდხანს ეკიდა ის მთვარით განათებული მღუმარე ეზოს თავზე ფანჯრის რაფას ხელებით ჩაბლაუჭებული. გრაფმა ცოლის საწოლი ოთახის კარზე დააკაკუნა. სეიმური ოდნავ წამოიწია და ქალს ანიშნა, ქმარს გაეპასუხეო.

— ვინ არის?

— მე ვარ, — იყვირა გრაფმა, — უკვე დაწეჭი? კარი გამიღე!

ქალი სეიმურს მიეკრა. სეიმურმა ქალის ხელი მოიცილა, მე მივდივარ, მერე გაუღეო, — წასჩურჩულა და ჩაცმას შეუდგა. ხოლო როცა გულგახეთქილი ქალი სანთელს ანთებდა და აქვითინებული ცდილობდა გავეშებული მეუღლე დაეშოშმინებინა, სეიმურმა ხელის ერთი მოსმით გადასწია აივნის ფარდა, რათა მოქიშპის სასიკვდილო ნახტომის ხილვით დამტკბარიყო და გამარჯვება ეზეიმა. იგი არ წავიდოდა აქედან, სანამ ფანის არ დაუმტკიცებდა, რომ ჯორჯ ალან სეიმურთან ყველა მტერი უძლური იყო. კარზე მონუსხულობით მიშტერებულმა მარკიზმა დაინახა, როგორ შეირხა ფარდა და ყვირილით მოწყდა მოაჯირს. მისი სხეულის დაცემის ხმამ ყრუ ექოდ ამოაღწია ზევით.

— აი, იქ წევს შენი ბიჭუნა, — თქვა სეიმურმა და კარის სახელური ჩამოსწია. ირგვლივ მთვარის შუქი დაიღვარა. სეიმური გაუჩინარდა.

გრაფმა კარი ფეხით შეამტვრია, მაშინვე აივანზე გავარდა და მოაჯირს გადაეყუდა. ძირს მამაკაცის სხეული ეგდო. ჭიშკრის ჩრდილში შემალულმა სეიმურმა ეზოს მოაელო თვალი. მისგან რამდენიმე ნაბიჯზე სისხლის ტბაში ცურავდა მარკიზის დაჩეჩქვილი გვამი. ზემოდან გრაფის თეთრი თავი გადმოხრილიყო...

სეიმური ჭიშკრის გავლით (მეკარე ქალი, რომელიც წელან პეპის გაჰყვა, ლაქიებთან იდგა და უკვე ენად გაკრეფილიყო) მისთვის გამზადებული ეტლისაკენ გაეშურა, მეეტლეს მხარში ჩაავლო ხელი და ბურანიდან გამოარკვია.

— შინისაკენ!



მთხრობა

გერმანულიდან თარგმნა ლია სიმბაშა

ქალს უცებ გაელვოდა. სამის ნახევარი იყო. ჩაფიქრდა, ნეტავ რამ გამაღვიძაო — აა! სამზარეულოში ვილაც სკამს დაეჯახა. მიაყურადა. სიჩუმე იყო, დიდი სიჩუმე. როცა ხელით მოსინჯა, გვერდით საწოლი ცარიელი დახვდა. ამიტომაც ასე განსაკუთრებულად საგრძნობი გახდა სიჩუმე. ადგა, სიბნელეში ხელის ცეცებით გაიარა ოთახი და სამზარეულოში შევიდა. სამის ნახევარი იყო. სამზარეულოს კარადასთან რაღაც თეთრი დალანდა — სინათლე აანთო. ისინი ღამის პერანგებში იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ღამით. სამის ნახევარზე. სამზარეულოში.

მაგიდაზე პურის თეფში იდო. ქალმა დაინახა, რომ კაცს თავისთვის პური ჩამოეჭრა. დანა ისევ თეფშის გვერდით იდო. სუფრაზე პურის ნამცეცები ეყარა. საღამოობით, დაძინებამდე ქალი ყოველთვის ალაგებდა მაგიდას. ყოველ საღამოს. ახლა კი მაგიდაზე ნამცეცები ეყარა. დანაც აქვე იდო. იატაკი ცივი იყო. თეფშს თვალი აარიდა.

„ვიფიქრე, აქ რაღაც მოხდა-მეთქი“, — თქვა კაცმა და სამზარეულო მოათვალიერა. „მეც რაღაც მომესმა“, — უპასუხა ქალმა და გაიფიქრა, ღამით, პიჯამოში კაცი უფრო ხნიერი ჩანსო! თანაც როგორი მოხუცი. სამოცდასამი წლისა. „დღისით ხანდახან უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ახლა ხნიერი ჩანს, — ფიქრობდა კაცი, — ღამის პერანგში საკმაოდ ხნიერი ჩანს. ეს ალბათ თმის ბრალია. აბურდული თმა ქალს ყოველთვის ასაკს მატებს“. „ფეხსაცმელი უნდა ჩაგეცვა. ასე ფეხშიშველი ნუ დგახარ ცივ იატაკზე. ისევ გაცივდები“.

ქალი აღარ უყურებდა, რადგან ველარ იტანდა, კაცი რომ ცრუობდა; ცრუობდა ქორწინებიდან ოცდაცხრამეტი წლის შემდეგ.

„ვიფიქრე, აქ რაღაც მოხდა-მეთქი“, — გაიმეორა კაცმა და ისევ უაზროდ მოათვალიერა სამზარეულო. „აქედან რაღაც მომესმა, თურმე არაფერიც არ მომხდარა“.

ქალმა თეფში აიღო და სუფრიდან ნამცეცები გადაწმინდა. „არა, მართლაც არაფერი მომხდარა“, — უიმედოდ გაიმეორა კაცმა. მიეშველა. „წამოდი, ალბათ გარეთ იყო რამე. წამო, დავწვეთ. შენ ისევ გაცივდები. ცივ იატაკზე დგახარ“.

კაცმა ფანჯარაში გაიხედა „ჰო, ეს ალბათ გარეთ მოხდა რაღაც. მე კი არ მეგონა“.

ქალმა ხელი გამომრთველისაკენ წაიღო. „სინათლე უნდა გამოვრთო, დრო-რემ ისევ თეფშისაკენ გამექცევა თვალი, — ფიქრობდა ის, — მე არ უნდა შევ-ხედო თეფშს“.

„წამოდი“, თქვა ქალმა და სინათლე გამორთო „ნამდვილად სახურავი ხმაური. სახურავი იქნებოდა. ქარის დროს ყოველთვის ბრაზუნობს“.

ხელის ცეცებით მიდიოდნენ ბნელ დერეფანში საწოლი ოთახისაკენ. შიშ-ველ ფეხებს იატაკზე მიატყაპუნებდნენ.

„ქარია“, ფიქრობდა კაცი, „მთელი ღამე ქარი ქროდა“. როცა ლოგინში წვებოდნენ, ქალმა თქვა: „ჰო, მთელი ღამე ქარი ქროდა. ნამდვილად სახუ-რავი იყო“.

„ჰო, მეც არა ვთქვი, რა უნდა მომხდარიყო სამზარეულოში! მართლაც სახურავი ყოფილა“, კაცმა ეს ისე თქვა, თითქოს ძილღვიძილში ლაპარაკობ-და. ქალმა შეამჩნია, რა ყალბად ჟღერდა მისი ხმა, როცა ცრუობდა. „ცივა“, თქვა ქალმა და ნელა დაამთქნარა, „მე საბანში შევძვრები — ძილი ნებისა“, „ძილი ნებისა“, უპასუხა კაცმა და დაუმატა: „დიახ კარგა გვარიანად ცივა“.

სიჩუმე ჩამოვარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალმა გაიგონა, კაცი ნელა, ჩუმად ილუკმებოდა. ქალი განზრახ ღრმად და თანაბრად სუნთქავდა, რათა კაცს ჰგონებოდა, სძინავსო. კაცის მოძრაობები ისეთი თანაბარი იყო, რომ ქალს ნელ-ნელა კიდევ ჩაეძინა.

მეორე საღამოს, როცა ქალი შინ დაბრუნდა, კაცს ოთხი ნაჭერი პური მო-აწოდა. იგი ჩვეულებრივ მხოლოდ სამ ნაჭერს ჭამდა.

„შეგიძლია მშვიდად შეჭამო ოთხი ნაჭერი“, თქვა ქალმა და ლამპას მოშორდა, „პური აღარ მიყვარს, მწყენს. შენ ჭამე. მე არ მინდა“.

ქალი ხედავდა, რა ახლოს დაიხარა კაცი თეფშზე. კაცი ველარაფერს ამ-ჩნევდა იმ წუთში. ქალს შეეცოდა.

„შენ მაინც ვერ შეჭამ ოთხ ნაჭერს“, — თეფშიდან თავის აულებლად უთხრა კაცმა.

„ჰო, საღამოობით პური მწყენს, ჭამე, ჭამე“. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ მიუჭდა ქალი ლამპით განათებულ მაგიდას.



ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარბრაძე



უვალ გზებს შორის ის ბინადრობდა

უვალ გზებს შორის ის ბინადრობდა,
ნაკადულების პირად,
ქალწულთან ყოფნას არცინ ნატრობდა,
იყო ეულად, მწირად.
თითქოსდა ჰგავდა პატარა იას
ხავსიან ქვებში მალულს,
ან ვარსკვლავს, ცაზე რომ იწყებს ციალს
და გვფენს სინაზეს ქალურს.
იყო ეული, ვერვინ გაიგო
როდის წავიდა ლუსი,
მისი სხეული მიწამ წაიღო,
ჩამიქრა სხივი გულში.

ლონდონი, 1802

მილტონ! შენ უნდა ცოცხლობდე ამ წამს,
ინგლისს სწყურიახარ, ქცეულს ჭაობად,
მას დაუჩლოუნგდა გამბედაობა
და თუ ოდესმე აღსდგება, არ მწამს!
მტვერი დაედო, ო, საკურთხეველს
და ჩაინავლა სიმდიდრე ძველი,
მოგვეცი ძალა და გაგვადღევე,
მოგვეცი სიბრძნე, მე შენს ხმას ველი,
ეგ წმინდა სული მოგავდა ვარსკვლავს,
ზღვის ტალღის ხმაურს შენი ხმა ღვრიდა.
ის დღესაც სულში იმედებს არ სხლავს
და არ გადმოდის აროდეს ზღვრიდან.
კრძალვით გიგონებ შორი მგოსანი,
თუ ვით იყავი შენ ღვთისმოსავი.

სტრიკონები, უთხზული საღამოს —
ნავით სერიანობისას

ბინდით მოსირმულ წყლის ზედაპირზე
საღამო ბზინვით უხვ ფერებს ავლებს,
ნავი გასცქერის წითელ დასავლეთს

და წყნარ დინებით აელვებს ჭავლებს.
უკუდინების წყვეტილი მძივი
თითქმის ბნელია და უშუქარი,
მგზავრო, მიიღე შენ მცირე სხივი
და მცირე სხივით სასო შეჰყარი.



ამნაირ ხილვით ტკბება მგოსანი,
თითქოსდა იყოს იგი მარადი,
ჰგონია, ფერთა კრიალოსანი
შერჩება მუდამ, კვდომის კარამდი.
და ნუ გაუქრობთ დაიმედებას,
ფუჭ ილუზიას და რწმენას სათუთს,
მას ხვალ ნაღველი დაებედება
და, დაე, შერჩეს ნათელი ამ წუთს!

●
ვხეტილობდი ეულივით, როგორც ღრუბელი,
ზანტი ფარფატი მთა და ველზე რომელიც წვება,
როცა უეცრად მე დავლანდე უბერებელი,
მოოქროსფერო ნარგიზები სიუხვის წყებად,
აცეკვებდა და ათრთოლებდა ბრიზი მათ ღეროს,
მათი სიმღერა ტბასთან ახლოს რომ დაიმღეროს.

ვარსკვლავები რომ ციმციმებენ უწყვეტ ნაკადად
და შუქით თბება მოციაგე ცის იკანკელი,
იმ ნარგიზებმაც თვალი მომჭრა, წყალმა დახატა,
როგორ სდევნიდნენ ტბის ჭავლები ნარგიზს კანკალით.
ერთ შეხედვაზე დავინახე ასი ათასი,
და მათი ცეკვით ბევრჯერ ტკბობის ავსილა თასი.

ტალღები თრთოდნენ და ტოკავდნენ მათ სიახლოვეს
და ყვავილების უხვი წყება, ვით სასწაული,
გადაიშალა და ეს ფიქრი დავიმარტოვე:
— ბუნების ზეიმს ვერასოდეს თვალს ვერ აუვლი, —
ვუცქეროდი და ვუცქეროდი, ცოტას ვფიქრობდი,
თუ ეს სავსება მე ოდესმე სევდას მიქრობდა.

და ხშირად, როცა მე ვისვენებ ჩემს სარეცელზე,
დადლილ, უაზრო და სევდიან განწყობილებით,
გაიელვებენ, გინდაც თვალი მათ არ ეძებდეს,
გაიელვებენ ნარგიზები ტანწყობილები,
მარტოობაში მყოფი სული აყვავილდება
და ჩემი სული ნარგიზებად დახვავილდება.



თარგმანა ნანა ღარსიაშვილი

1898

10 ივლისი. რახანია პოლიანა

დღეს უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, დავრწმუნდი, რომ ტალანტი ვერ განვითარდება თანდაყოლილი ნიჭისა და თავგადაღებული დაძაბული შრომის გარეშე. მე არ ვიცი არც ერთ ნიჭიერ კაცს, ვინც თავისი ხელოვნების ფორმაზე მთელი ძალით, დაძაბულად, ყოველდღიურად არ შრომობდეს. დღეს ვუყურებდი, როგორ გადააკეთა რამდენჯერმე მამამ ერთი წინადადება — ხან ასე, ხან სხვაგვარად, მერე ისევ და ისევ დაუსრულებლად. — და რეპინიც ასე იქცევა, როცა ხატავს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ვერასოდეს ვერ მივალ-წევ სრულყოფილების ვერავითარ დონეს: მე არა მაქვს ამის ნიჭი, არა მაქვს იმის უნარი, რომ ფორმას ასეთი მნიშვნელობა მივანიჭო. ხშირად მიკვირს, რომ მამას ასე ძლიერად აქვს გამჭდარი ეს თვისება. ჩემის აზრით, მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ როცა შინაარსი გიყვარს, გინდა ყველაზე სრულყოფილი ფორმა მოუძებნო.

8 სექტემბერი

მამა ამბობს, რომ მხატვრობაში, მუსიკასა და ლიტერატურაში არსებობს თითო დიდი „sham“¹. მხატვრობაში — რაფაელი, მუსიკაში — ვაგნერი, ხოლო ლიტერატურაში — შექსპირი.

4 დეკემბერი.

მამამ დიდი ხანია მითხრა და ეგნიაშვილს ჩაწერა თავის დღიურში, საკუთარი თავის გამოცდა ყოველთვის ასე შეიძლება: უნდა წარმოიდგინო, რომ შენი ამქვეყნად ცხოვრების ბოლო დღეა. მაგრამ ამის წარმოდგენა ვერ შევძელი. ვერაფრით ვერ ვიჭერებ, რომ უცებ მოვკვდები და აღარ ვიქნები.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 2, 3.

¹ თვალთმაქცი.

28 დეკემბერი

გუშინ საღამოს ის კაცი მოვიდა ჩემთან ოთახში და სხვათაშორის მითხრა, რომ მამასთან ერთად სასეირნოდ ყოფილა და მისთვის შეუჩივლია, ცხოვრება მოსაწყენიაო, — უფრო სწორად, მოსაწყენი კი არ არის, ყრამედ ცხოვრება არ გეძახის, არ გიბყრობს ერთიანად, თითქოს არც არსებობს მამას უპასუხნია, რომ ცხოვრობ ზოგჯერ ასე — უბრძოლველად — მთელი წელიწადი ანდა წლები მხოლოდ ერთი წუთის გულისთვისო. ეს ჭეშმარიტებაა.

1894

24 იანვარი. გრინოვკა

გუშინ საღატურში დიდხანს ვორჭოფობდით, გავემგზავროთ თუ არაო, რადგან ძლიერად ქროდა. ორივენი ვყოყმანობდით და მერე როგორღაც უხალისოდ გადავწყვიტეთ წავსულიყავით.

მაგრამ როგორც კი დავიძარით, საშინელმა შიშმა და ნალველმა მომიცვა. ჯერ ერთი, მამას ნაბდის ჩექმები დაგვაფიწყდა, მარტო მაღალყელიანი ფეხსაცმელები და კალოშები ეცვა. როგორც კი გავემგზავრენით, ამოვარდა ქარიშხალი, ჩამოწვა წყვდიადი, ხან ნამქერი ავარდება, ხან შიშველი მიწა ჩანს, ქარი ზუზუნებს, თოვლის ფანტელები ირევს, — ძალიან შემეშინდა: თავს ვკიცხავდი, ეს რა ეგოისტი ადამიანი ვარ, მამაზე სულაც არ ვზრუნავ, დამაფიწყდა მისი ნაბდის ჩექმები, არ დავიყინე, ღამის გასათევად დავრჩეთ-მეთქი, შემეშინდა, მარხილიდან გადმოძვრომა მოგვიწევს, მამა გაცივდება და ავად გახდება-მეთქი. და აი, დავისაჯე კიდეც ჩემი ეგოიზმის გამო.

მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა. თბილად ვიყავით, გზისპირა ზოლიანი ბოძები ჩანდა, დავმშვიდდით და ვსაუბრობდით.

ვლაპარაკობდით „პოსრედნიკის“ მოსალოდნელ დევნაზე. მამა ამბობდა, ჩვენ ვერ გავუგებთ მთავრობის ხალხს, ისევე როგორც მათ არ ესმით და ეშინიათ კიდეც ისეთი ხალხისა, როგორიც „პოსრედნიკელები“ არიან, ისინი ხომ არაფერს კარგავენ, თუნდ გადაასახლონ ან დააპატიმრონ. მათ არაფრის დაკარგვის არ ეშინიათ, ვერც ვერაფერს წაართმევ: ვერც ვერავითარ პირობებს, ვერც ღვინოს, ვერც პაპიროსს და ვერც ქალებს, მათ არაფერი აქვთ ისეთი, რის გამოც დათმობაზე წავიდოდნენ, ან რითაც მოისყიდდი.

26 იანვარი

ახლა დიდხანს ვისაუბრეთ მე და მამამ. მაგრამ გული მთლად ვერ გადავუშალე, რადგან ცრემლი მახრჩობდა და არ შემეძლო ის მეპასუხა, რაც მინდოდა, თავის მწერლობაზე მელაპარაკებოდა, მითხრა, მოახლოებულ სიკვდილს სავსებით თავისუფლად ვუცქერი და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ, დავწერო ის, რაც ვიცი და რაც სხვებმა არ იციან, — და რაკი ხელს არ მიშლის არც პატივმოყვარეობა, არც შიში, არც რაიმე ამდაგვარი, ეს ჩემთვის სულ ადვილიაო. და საერთოდაც, ცხოვრებას ასე უნდა შეხედოო. არ ვიცი, როგორ გამომიწვია და მათქმევინა, ყველაზე მეტად გაორების გრძნობა მტანჯავს, რასაც გამუდმებით ვგრძნობ-მეთქი. მაგალითად, ჩემს სულში დიდი ხა-

ნია მწიფდება კერძო საკუთრების საკითხი. სავსებით გულწრფელად და შეგნებულად ვისურვებდი და საჭიროდაც მიმაჩნია მისგან გავთავისუფლდე, მაგრამ უცებ გამიელვებს ხოლმე ფიქრი, რომ შეიძლება ისეთი სურათები დაეხატო, რომლებშიც ათასობით მანეთს გადამიხდიან-მეთქი, ჰოდა, უცებ შემშურდება, რომ ვილაცას კარგი ცხენები ჰყავს და ა. შ. სურათს უცვლელად აქამ ბავშვებს, რომ ვუყურებ, ბევრსა ვფიქრობ აღზრდაზე და მსგავსება ჩემი ფიქრები და ისევ გაორება მიპყრობს. მამა მეუბნება, რომ ამის გამო სასოწარკვეთას ნუ მიეცემი, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შენს სულში შინაგანი ჭიდილი ხდებაო.

შემდეგ რატომღაც (დღეს ძალზე გამოშტერებული ვარ, არაფერი მახსოვს, ჩაწერა კი მინდოდა, რაც მამამ თქვა) სიყვარულისა და ქორწინების საკითხებზე ჩამოვარდა სიტყვა, ვთქვი, ამ საკითხშიც იგივე მემართება, რაც ფულის საკითხში-მეთქი, და მამამ მკითხა: უფრო მტკიცე რომელიაო, ვუთხარი, სიყვარული-მეთქი. გაეხარდა, რაღაცები გამომკითხა და შემდეგ თქვა: თქვენ, ქალიშვილები, სათანადოდ ვერ აფასებთ საკუთარ უმწიკვლოებას, ვერც წარმოგიდგენიათ რა სიმდაბლეა ქალისთვისაც და კაცისთვისაც ეს ფიზიკური სიახლოვე და რომ ეს მთელ ცხოვრებას დაღს ასვამსო. ვუთხარი, ეს ყველაფერი ვიცი და ყოველთვის ვგრძნობდი ჯერ ინსტინქტურად, შემდეგ უფრო შეგნებულად-მეთქი და მუდამ მოხარული ვიქნები, რომ არ გავთხოვდი-მეთქი. მამამ მითხრა: „არადა სულ მზად ხარ ვინმე შეიყვარო“. ვუთხარი, ეს სიმართლეა, მაგრამ თავს ამის ნებას არასოდეს ვაძლევდი-მეთქი.

მამამ მითხრა, ზოგჯერ მებრალები, რაკი არ განგიცდია ქორწინებისა და განსაკუთრებით დედობის სიხარულიო. ვისურვებდი შენც გაგეგო ამ საქარყინულის გემოო.

ამ საუბარმა დამამშვიდა და მანუგეშა, თითქოს თავზე ხელი გადამისვსო. მივდივარ დასაძინებლად. გული მწყდება, რომ ძალიან გამოვსულელდი ამ ბოლო ხანს. ცხოვრება მხოლოდ ერთია, მე კი ასე უსარგებლოდ ვფლანგავ.

27 იანვარი. ხუთშაბათი

მამამ დღეს მკითხა: „ტანია, ასე რატომ შემომაწვა ნალველი გულზე დღეს?“ ვერაფერი ვუპასუხე, მაგრამ თავს ვუსაყვედურე, ეს ჩემი ბრალია, მოწყენილი რომ არის, მე ვგვრი სევდას შეუცნობლად, ჰიპნოზურად.

მამა ძალიან ალერსიანად მექცევა, მეკითხება: „რატომ გახდი?“ მთხოვდა მეჭამა რამე, რძე დამელია. სონიას უბრძანა, კარგად აჭამეო. „თორემ ჩამოხმა“, — თქვა და კეფაზე თმა ამიჩეჩა.

29 იანვარი

მამამ გუშინ გვითხრა, იმღერეთო. ახლა სონია მოვა და მე აკომპანიმენტს გავუკეთებ. ძალიან სასიამოვნო ხმა აქვს და პირველ დღეებში სული ამიფორიაქა.

მამამ ლევს კარგი წერილი გაუგზავნა, ეს წერილი მე გადავიწერე.

ამას წინათ ეზოში შევხვდით ერთმანეთს მე და მამა და გამოველაპარაკეთ, თურმე ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით: გაგვაკვირვა რამდენი მონა მუშაობ-

და ბატონებისთვის. ამ ამბავმა განსაკუთრებით აქ განგვაცვიფრა, რადგან ორივენი როგორც ბავშვს ისე ვუყურებთ ილიას. თურმე ნუ იტყვი და მის განკარგულებაში ყოფილა სერიოზული, მომთმენი, ქანცაწყვეტილი ადამიანები. ილიას ხელთაა ამ ადამიანების ბედი, რასაც მოისურვებს, იმას გაუკეთებს. გამახსენდა, რომ ოვსიანიკოვოში ჩემს მამულს ივან ალექსანდროვიჩმა გამგებლობს და ამაღ ისევ მომაგონა კერძო საკუთრების არსებობა და ისიც, რომ აუცილებლად უნდა მოვიშორო. ვიცი, უფრო ადვილი და სასიხარულო იქნებოდა ამის გაკეთება ჩემთვის, მაგრამ რატომღაც მეშინია ნაბიჯი გადავდგა. რაც მთავარია, იმიტომ მეშინია, რომ ვფიქრობ, ვაითუ მერე უცებ სხვაგვარად დავიწყო ფიქრი და გული დამწყდეს იმაზე, რაც გავაკეთე.

31 იანვარი

ახლა მამას მის დღიურებზე ველაპარაკებოდი, ვთხოვე, ოდესმე რომელიმე მათგანი წასაკითხად მომეცი-მეთქი. მითხრა: „ჰოო“, თუმცა ისე წერს, რომ არავინ წაიკითხოს. ვკითხე: „სიკვდილის შემდეგ?“ მაშინ რასაკვირველიაო, მიპასუხა. სონიამ ჰკითხა: „ოლონდ არ უნდა დავბეჭდოთ, ხომ?“ არ ვიციო, — გვიპასუხა. მე: „ანდერძით მე და მამას გვითხვებ?“ მამა: „და ჩერტკოვს“. მამა ამბობს: არავის ისე არ ესმის ჩემი, როგორც ჩერტკოვსა და რუსანოვსო. რუსანოვს უფრო მხატვრულობის მხარე ესმისო, ჩერტკოვს კი მორალური მხარეო, ჩერტკოვი ზოგჯერ ზედმეტი მოკრძალებითაც არჩევს ყველაფერს, რაც მე მეხება, მაგრამ სამაგიეროდ არაფერი გამორჩებაო.

რატომღაც მერე ჩემს სამიჯნურო ამბებზე ჩამოვარდა სიტყვა და მამამ ჩემი საქმროები ჩამოთვალა — ათამდე დავთვალეთ. მამას უხაროდა, რომ მე ასე კეთილად ავუარე მათ გვერდი. და მირჩია, მომავალშიც ასე მოიქეციო.

ვგრძნობ, როგორ თანდათანობით მშორდება მოსკოვის ყველანაირი დაღლილობა. აქ ვისვენებ, და რალაცნაირი აპატიური, ღუნე და ცარიელი დღეები მისდევს ერთმანეთს. მამა ამბობს, შინაგანი ჭიდილი ხშირად ძალიან ღრმად ხდება სულში და ვინემ არ დასრულდება შეიძლება ვერც იგრძნო. გული არ გაიტეხოო, მითხრა. მე სულაც არა ვარ მოწყენილი და ასეც ვუთხარი.

მამამ კარგი წერილი მისწერა კ. ბოლს გულგატეხილობასა და სევდიანობაზე. ეს წერილიც და კიდევ რამდენიმე სხვა, გადავიწერე.

უსიამოვნოდ ვფიქრობ მოსკოვზე. ისევ იგივე ნერვებადობული ყოფნა მელის დილიდან საღამომდე. ისევ ხატვა მელის, რაშიაც ვაქსოვ ყველაფერს, რაც გამაჩნია — ყურადღებასა და ძალას. კვლავ მამაჩემის საქმეები უნდა ვაკეთო. წერილებზე პასუხი გავცე, რალაცრალაცები შევამოწმო. ზოგჯერ ვთარგმნი კიდევ და შუალედებში კი უნდა მივიღო სტუმრები, სტუმრები დაუსრულებლად. მოხვალ სკოლიდან — ვერც ისაღილებ მშვიდად, ვერც წაიკითხავ რასმე, ვერც წერილს დაწერ — არაფერს არ გაცლიან. მარტო მხოლოდ მაშინ ხარ, როცა მიასწიკის ქუჩას მიუყვები ფეხით. მამა ამბობს, უნდა დაინახო და დააფასო საზოგადოებრივი ცხოვრების უპირატესობაო. მე კი გული მწყდება, ჩემი ცხოვრება ასე ფუჭად რომ მიედინება, არავის არ სჭირდება და თანაც მძიმე ტვირთად მაწევს.

3 თებერვალი. იასნაია პოლიანა

გუშინ 12 საათისათვის უკვე აქ ვიყავით. როდინოვიჩმა ჩამოგვიყვანა წყვილად შებმული გალალეხული ჭაკი ცხენებით. დაგვხვდნენ მაშა, მარია ალექსანდრეს ასული და ხოხლოვი სამოვრიტა და შერიის ~~სამოვრიტა~~ — მალიან მესიამოვნა, იასნაიაში რომ შევედით. „პრეშპექტი“, ცხენები, სახლი, კოთახები — ყველაფერი ისე ნაცნობი და საყვარელია.

დღეს ჭასთან მივედი, შერეულ ტყეში, სიცოცხლე მიხაროდა. შემხვდნენ გლეხები, რომელთაც ახლა უამრავი შეშა ჩამოაქვთ ზასეკიდან — ჯანსაღნი, ფეროვანნი, თავმდაბალნი — ხოხლოვის შემდეგ ამათ დამამშვიდა. პოლკა ბალხინი, კონსტანტინ რომაშკინი, პაშკა დავიდოვი — ლამაზები, მხიარულნი არიან.

ამ დღეებში მამამ მითხრა, როცა ჩემს ნაწერებს ხელს მოვაწერ, აუცილებლად ყველაფერი უნდა გადაწერო, რათა ხელთ გვქონდეს მთლიანი ეგზემპლარი დასრულებული სახითო; თორემ ზოგჯერ, როცა რაღაცის გასწორებას ვიწყებ, ავურევ ხოლმე, ადრინდელს ველარ ვუბრუნდები, რადგან ყველაფერი გადაჯაბნილი და ჩასწორებულ-გადასწორებულიაო. ეს უნდა დავიხსოვო.

5 თებერვალი. იასნაია პოლიანა

ყველანი წავედით — მამაც, — აგაფია მიხეილის ასულთან დღეობის მისალოცად. ბოლოს აგაფიასთან მარტო მე დავრჩი, გამოვკითხე მამაჩემის დედის ამბები. მითხრა, ყველაზე მეტად შენ გგავდა, მაგრამ უფრო დაბალი იყო. უფრო სწორად, ტანსრული ქალი ეთქმოდაო. აგაფია წამდაუწუმ იმეორებდა „ბებიაშენი „განსწავლული“ ქალი იყო, იცოდა ენები, ფორტეპიანოზე მშვენივრად უკრავდა, ლანძღვა არ ეხერხებოდაო.

რა გულდასაწყვეტია, რომ ასე უმწეონი ვართ აღვადგინოთ ის, რაც ადრე იყო. დროთა განმავლობაში ისეთი სრულყოფილი ფოტოგრაფიები, ფონოგრაფიები და ა. შ. იქნება, რომ შესაძლებელი გახდება ადამიანი ცოცხალივით აღადგინო.

5 თებერვალი. ღამის 12 საათი

ჰო, ცუდ გუნებაზე ვარ. დღეს ისევ ვიეჭვიანე მაშასა და მამაჩემზე. თუ მამა მასთან შევა და ჩემთან არა, არ მსიამოვნებს. ასე მგონია, არ ვუყვარვარ და მოსაწყენი პიროვნება ვარ-მეთქი. ამიტომ ვცდილობ უფრო ჭკვიანი, მხიარული და ლამაზიც კი გავხდე. რა სისულელეა! ეს ეჭვიანობის გრძნობა ჩემთვის სავსებით ახალია და უცნაურია, რომ მხოლოდ მაშაზე ეჭვიანობ. ნუთუ ყველა ცუდი ადამიანური გრძნობა უნდა გამოვცადო?

9 თებერვალი

ხშირად ვგრძნობ, მინდა მოვიშორო სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ, აგერ კიდევ პაპა გე ისე აღგზნებული ქადაგებს ხოლმე, სუსტი არსებანი მიყ-

ვარსო, მამაც ამასვე ამბობს, ცოტა შემთვრალნი მიყვარსო, რადგან მორჩილნი და დამცირებულნი არიანო. პოშა თავს ნებას აძლევს გრძნობებად დაიღვაროს მაშასთან, გვაიძულებს რომანსები ვიმღეროთ ორ ხმაში, არ სცოდნება მაშას, თვალეში შესცივინებს და ღნება მის დანახვაზე.

პაპა ყვირის, უნდა ცხოვრობდე, უნდა გიყვარდეს, უნდა გულისხმობდე სილამაზის დანახვაზე — რომ ეს ღმერთია! ანუ სილამაზე ღმერთიო. არ მიყვარს ის ადამიანები, ჭკუას რომ გასწავლიან: „ძმებო, შეწყვიტეთ ხორცის ჭამა“, — ის ადამიანები, რომლებიც სრულყოფილნი არიან. ასეთები ეკლესიაში კედლებზე უნდა გააკრა ხატების ნაცვლადო. ყველაზე დიდ აღტაცებას მგვრის ახალგაზრდა ქალიშვილის დანახვა, ვის გვერდითაც კაცი დგას და ამ კაცს ეს ქალიშვილი უყვარსო. ვიცი, პაპა ბევრ რასმე მჭევრმეტყველების გამო ამბობს და კიდევ იმიტომ ამბობს, რომ გააკვირვოს მარია ალექსანდრეს ასული, რომელიც ვიშვიშებდა: რა სიმდაბლეთა — მაგრამ ბევრ რასმე პაპა მართლაც ასე ფიქრობს და ერთ-ორ რამეში მართალიც არის. სახელდობრ მართალი იყო იმ საკითხში, რასაც მამა ამბობდა: ცარიელი მსჯელობები შინაგანი ლტოლვის გარეშე არაფრად ღირს და სიყვალბის მეტს არას მოიტანსო. ეს იმ ამბავს დაემსგავსება, ერთმა კაცმა ავადმყოფი რომ აიყვანა მოსავლელად, აქაოდა, კეთილ საქმეს ვაკეთებო, ისე გააწამა, ავადმყოფი ეხვეწებოდა, თავი დამანებე, დაე მოკვდეს, ოღონდ მომასვენეო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღარ ეცადო სრულყოფილებას მიაღწიო, თავის ნებაზე მიუშვა გრძნობები და ინსტინქტებს დაემორჩილო.

მიხარია, რომ გვერდით მიდგას ადამიანი, ვინც ასე უმოწყალოდ მკაცრია საკუთარი თავის მიმართ და ვისგანაც მეც გადამედო ეს თვისება. ძალიან მიყვარს იგი და თანაც მიყვარს კარგად, ისე მიყვარს, როგორც მამა მეუბნებოდა გუშინ ლევისადმი თავის სიყვარულზე: მისი (ლევის) სულიერი ცხოვრებისა და შეხედულებების სულ პატარა ცვლილებასაც კი ვგრძნობ, თვალყურს ვადევნებ, ვხედავ ყოველგვარ მერყეობას, და გული მტკივა, როცა უკან იხევს და მიხარია, როცა იგი უახლოვდება ჭეშმარიტებასო. მაგრამ მის ფიზიკურ მდგომარეობაზე სრულიად არ ვფიქრობ და ვერც ვზრუნავო. მამამ თქვა, სხვაგვარი სიყვარულიც არსებობს, ასეთი სიყვარულის დროს მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ადამიანი ჯანმრთელი, ჩაცმულ-დახურული და მაძლარი იყოსო. ზოგჯერ სიყვარულის ეს ორი სახესხვაობა ერთმანეთს უახლოვდება, მაგრამ აჯობებდა ყოველივესთან ისეთი დამოკიდებულება ჰქონდეთ, როგორიც მე მაქვს ლევთანო. მერე გაიცინა და თქვა: „აი გული მწყდება, ტანისა რომ კბილები სტკივა“.

16 თებერვალი

ვაგონში სმოლენსკსა და ვარშავას შორის, გზად პარიზისაკენ.

სამი დღის წინათ ვერც ვიფიქრებდი პარიზს გამგზავრებას, მაგრამ, აი უცაბედად მომიხდა... გამაცილეს მამამ, დედამ, მაშამ, კოლია ობოლენსკიმ და დუნაევმა. ამიღეს ბილეთი, ჩამსვეს მეორე კლასის ქალთა განყოფილებაში, სადაც სრულიად მარტო აღმოვჩნდი. გვერდით მამაკაცთა განყოფილებაში ორი კაცი იყო.

ჯერ მხიარულად ვიყავი, მაგრამ მესამე ზარის შემდეგ გული ამიფანცქალ-

და, შემეშინდა ამ ჩემი ბებრების დატოვება, რომელთა სიცოცხლეს ბევრზე ეკიდა. თანაც ორივენი ისე წუხდნენ ჩემზე, რომ მათი შეშფოთება მეც გადამედო. ჩემ გამო კი არა, მათ გამო შევწუხდი. გამიკვირდა, მაშა, რომ ასე წუხდა.



17 თებერვალი. პარიზი

რა ხდება მოსკოვში? ან ლიოვა რას აკეთებს?

მოსკოვში გეს დატოვებაც მენანებოდა. მე იგი მიყვარს... ჩამოიტანა სურათი „ჯვარცმა“, რომელიც უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე. ორი ჯვარია და არც არის ჯვარი, არის I, მესამე არ ჩანს, ასე რომ ქრისტე კი არ არის სურათის ცენტრში, ცენტრი გადატანილია მასა და ავაზაკს შორის. წარმოდგენილია ის წუთი, როცა ქრისტე კვდება. ეს უკვე ცოცხალი ადამიანი აღარ არის, თუმცა თავი ჯერ ისევ მაღლა უჭირავს და სხეული მთლიანად არ მოშვებულია. ავაზაკს მისკენ მიუბრუნებია თავი და ხედავს, რომ ის ადამიანი, ერთადერთი ადამიანი, ვინც ოდესღაც სიყვარულიანი სიტყვა უთხრა, კვდება, რომ იგი კარგავს სულ ახლახან შეძენილ მეგობარს, ავაზაკი შეძრწუნებულია და სასოწარკვეთილებისაგან ყვირილი აღმოხდება.

სურათი ძალიან ძლიერია და თან ახალიც. ორივე ჯვარცმული ადამიანი მიწაზე დგას. ავაზაკი მილურსმნული არ არის, თოვით მიუბამთ. ძალიან კარგად არის დახატული, მაგრამ უნდა გამოვტყდე, ჩემზე არ მოუხდენია ძლიერი შთაბეჭდილება; მხოლოდ გული დამწყდა. დამენანა დაკარგვა სიცინცხალისა, სულიერი შთამბეჭდაობისა. სურათს რომ შეხედა, მაშა ატირდა, იგი და გე შემოსასვლელში ეხვეოდნენ ერთმანეთს და ორივენი ტიროდნენ.

25 თებერვალი

სახლიდან ყოველდღიურად ვიღებდი წერილებს.

აქ უფრო უკეთ მესმის, ვიდრე ოდესმე, რატომ მოემართება ხალხი მასთან ქვეყნიერების ყველა კუთხიდან. არსად არ არის ისეთი სინათლე, როგორსაც იგი აფრქვევს და თუ სადმე ვარსკვლავები ბრწყინავს, ეს ვარსკვლავებიც მისი ანთებულია. დღეს ლევმა მითხრა, ზოლასთან მიმიწვიესო, მაგრამ გავიფიქრე, ნეტავ, რატომ უნდა მივიღეს ზოლასთან, რა უნდა უთხრას ახალი, საინტერესო ან ჭკუის სასწავლო-მეთქი. ასეთია ყველა აქაური სახელგანთქმული ადამიანი.

16 მარტი. მოსკოვი

„სევერნი ვესტნიკში“ წავიკითხე „ომსა და მშვიდობაზე“ დაწერილი ტურგენევის წერილის ნაწყვეტი, ანენკოვს რომ გაუგზავნა. ტურგენევი აქებს მხატვრულ მხარეს და კიცხავს ფსიქოლოგიურს, როგორც ეს შეპფერის ჭეშმარიტ ესთეტი.

მაშა პარიზში მწერდა, მსურს დავწერო ქრისტიანული მოძღვრება ბავშვებისათვის, მაგრამ შემდეგ აღარაფერი უთქვამს ამ საკითხზე. ალბათ არ დაწერს. სულ ტულონზე მუშაობს, რომელიც არც მას და არც სხვა ვინმეს მაინც-

დამაინც არ მოსწონს. იქ ბევრი რამ არის კარგი, მაგრამ მე ყოველთვის გული მწყდება, როცა მისი კილო პოლემიკური და არაკეთილმოყვრულია, ძალიან მინდა, დაწეროს ნაწარმოები, ყოველგვარი დავისა და პოლემიკის გარეშე, შიგ ჩააქსოვოს მთელი თავისი სიყვარული, სილამაზე და სიკეთე, რაც მუდამ ასე მშვენივრად გამოსდის და სულს ათრთოლებს თავისი გულწრფელობით, და ამ გრძნობებით ხომ მას სავსე აქვს გული. ნეტავი თუ მოვესწრები ამას ყოველთვის მეშინია, რაიმე მოხდება და ეს ხელს შეუშლის-მეთქი.

8 აპრილი

ჩერტკოვების მამულიდან პოშა ჩამოვიდა, ამბავი ჩამოიტანა, ხვალ მამა და მამა ჩამოდიანო, და თან მამაჩემის წერილი გადმომცა. წერილი გრძელია, სამ ჯერზე დაუწერია ლამდამობით, თანაც დარდით არის აღსავსე. მამას ეშინია ჩემი ნახვაც და ჩემი სულიერი მდგომარეობისაც, ეშინია, რომ საკუთარ თავთან ჭიდილი მომიხდება მისი სიყვარულისა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე შიშის გამო და ჩანს, ეს ამბავი მას გულსაც ტკენს და ძალზე წყინს კიდეც. მე კი მეშინია, ასე სწრაფად და იოლად რომ ჩამომცილდა მთელი ჩემი გატაცება.

მომიწევს, უფრო ცუდი რამე ვამცნო მამას, ვიდრე ჰგონია, არავითარი საფრთხე მე არ მელის, იყო მხოლოდ სიყვარულობანას თამაში. შეუგნებლად გრძელდებოდა მთელი ეს ხანი და მხოლოდ იშვიათად გამოერეოდა წუთები, როცა ვგრძნობდი, საკუთარი თავის ჰიპნოზირება იყო საჭირო, რათა შემენარჩუნებინა ეს გრძნობა, ახლა კი როცა მოვისურვე ყოველივე დამევიწყებინა, დავინახე, თურმე გრძნობის ნატამალიც აღარ დამრჩენოდა და რაღა უნდა დამევიწყებინა.

11 აპრილი

იაროშენკო ჩამოვიდა მამას დასახატად. ხვალ დაიწყებს

11 მაისი. იასნაია პოლიანა

ჩემი ბოლო დღიური მამამ მთლიანად წაიკითხა და მიეხვდა, ჩემზე გული გაუტყდა. მითხრა, წინანდებურად საინტერესო პიროვნება აღარა ხარ ჩემთვისო. მაგრამ ვგრძნობ, რაც იგულისხმება ამ ნათქვამს მიღმა, ამიერიდან აღარ მცემს პატივს და ცოტა ნაკლებადაც ვუყვარვარ. მთელი ცხოვრება ვგრძნობდი, იგი ტყუვდებოდა, უკეთესი ადამიანი ვეგონე, ვიდრე სინამდვილეში ვარ, სულ მეშინოდა და მსურდა, თვალები ახელოდა; აი ახლა კი ვნანობ და თან მიხარია, ეს რომ მოხდა. მაგრამ ამას რომ ვწერ, ვტირი. მამა მიხვდა, რა სულელი და სუსტი პიროვნება ვარ და თუმცა კი კარგია, რომ ილუზია დამთავრდა, მენანება მასთან ურთიერთობის დაკარგვა.

15 მაისი

გე ამბობს — და ყველანიც (მე კი არა მჯერა), თითქოს მამას მაშაზე მეტად მე ვუყვარვარ. ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ის იყო დავასრულებ დღიურის წერა, შემოვიდა და მკითხა, რას წერო. ვუთხარი, დღიურს ვწერ-მეთქი.

მკითხა, რაზეო? დავიწყე ლაპარაკი და უცებ ტირილი ამივარდა; მამა ძალზე შეშინდა და შეცბა, დამიწყო დამშვიდება, იოტისოდენადაც არ შეცვლილა ჩემი შენდამი გრძნობაო, ის, რაც შენი სულის ხატად მიმაჩნია, უწინდებურად მიყვარს და მიხარია, ასე რომ გიყვარვარო. ეს ძალიან კარგია და არც არასოდეს მეჭერაო... მითხრა, შენს დღიურში წაგიკითხეს, მამამ ჩემდამი ინტერესი და პატივისცემა დაკარგაო, რომ მუდამ ასეთი თავდაჯერებული ვარო და კიდევ რაღაცები. თავის ოთახში დედამ გაიგონა ველურივით რომ ვღრიალებდი და მოვიდა ამბის გასაგებად რა მოუვიდაო.

3 ივნისი. იასნაია პოლიანა

ამას წინათ მე და მამა ვსაუბრობდით. დაინახა, მოწყენილი ვიყავი და ნუგეისის საცემად მოვიდა. მითხრა, გულს ნუ გაიტეხ, ჯერ კიდევ მომხიბვლელი ხარ და შეგიძლია სასოწარკვეთილებას არ მიეცეო. მითხრა, ევგენი რვანეს ძეს სულში არაფერი აქვს ისეთი, რისი შეყვარებაც შენ შეგეძლოო. მამაჩემისაგან ამის თქმა სულაც არ მჭირდებოდა, — მე მუდამ მსურს და ველი კიდევ, მისგან სიმკაცრეს. მინდოდა ეთქვა, რაღა დროს შენი სიყვარულია, იგი აღარც მოვა და არც უნდა მოვიდესო. მეც მუდამ ამას ჩავჩიჩინებ საკუთარ თავს, მაგრამ სისუსტის წუთებში მარტოობას ვგრძნობ და მეშინია.

ირგვლივ უამრავი ადამიანი დაიჭირეს, ბევრიც გაჩხრიკეს. ბუღიგინი კრაპივნოში ჩასვეს ორი კვირით იმის გამო, რომ უარი განაცხადა თავისი ცხენები წაეყვანა ჩასაწერად. კუდრიავეცევი ციხეშია, რადგან მამაჩემის თხზულებები გადაწერა, სობოცკო პეტერბურგშია დაჭერილი — მიზეზი არ ვიცი. ალბათ ჩვენამდეც მოაღწევენ. ამას ველი უშიშრად და ცოტა სიხარულითაც. მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ ჩვენ ხელს არ გვახლებენ, „პოსრედნიკის“ თანამშრომლებს კი დაერევიან; სწორედ ამის მეშინია.

ვფიქრობ, ჩემთვის კარგი იქნებოდა ასეთი შეხურება, თორემ ძალიან ნაზი და ეგოისტი გავხდი, გამუდმებით მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობ. ყველაზე მეტად ახლა დედას გამო მეშინია — ძალიან დაიტანჯებოდა და თანაც ვერც იმით ინუგეშებდა თავს, საკუთარი რწმენის გამო ჩავვარდი ამ ყოფაშიო. მამა ხშირად ამბობს, მოხარული ვიქნები მეც თუ დამიწყებენ დევნასო. მაგრამ მგონია, მასაც გაუძნელდებოდა.

22 ივნისი

გუშინ მამამ მითხრა, ასე მგონია, რაღაც უნდა დამთავრდეს, დაინგრესო, ამ მინაშენშიც აღარავინ იცხოვრებსო. ამ დღეებში მეც ვფიქრობდი და სულ თვალწინ მედგა ეს მინაშენი უჩარჩოო, დაჭედილი ფანჯრებით. შესაძლებელია, გადაგვასახლონ.

1896

7 აპრილი. კვირადღე. მოსკოვი

საღამოს იყო ტრიო: ტანეევი, გრეიმალი და ერლიხი. დაუკრეს ჰაიდნის ტრიო. ბეთჰოვენის ორი ტრიო. გრეიმალიმ და ტანეევმა დაუკრეს ბეთჰოვენის

სონატა. ჩინებულად უკრავდნენ ვფიქრობ, არსად ისეთი მონდომებით არ უკრავენ, როგორც მამაჩემის წინაშე.

მამასთან რაღაც ახლოს ვერა ვარ.

8 აპრილი

მამასთან ურთიერთობა გამომიკეთდა. ახლა მე და სუხოტინს ფილოსოფოს Spir'-ზე გვიამბობდა, ამ ფილოსოფოსმა ამჟამად ძალიან ვაიტაცა. Spir-ის ასულმა გამოუგზავნა მამამისის ოთხი წიგნი, რადგან ბევრ საერთოს ზედავს მამამისისა და ტოლსტოის ნააზრევში.

19 აპრილი

მამამ წერილი გაუგზავნა ორ მინისტრს: მურავიოვსა და გორემიკინს, სადაც სთხოვდა, ჩემი თხოვნებების გამო მე განმდევნეთ, იმათ კი, ვისაც სდევნით, თავი დაანებეთ. კარგი წერილია (ორივე ერთი შინაარსისაა), ქედმაღლური კი არა, — უბრალო და ჭკვიანური წერილებია. ამ დღეებში კიდევ ორი კაცი დააპატიმრეს...

რაღაც ამ ბოლო ხანში დამიჩლუნგდა თანაგრძნობისა და აღშფოთების გრძნობა, ალბათ იმიტომ, რომ მეტისმეტად გაზვიადებული ვიყავი. შემახვედრებია. ნეტა რას უნდა ფიქრობდნენ ან გრძნობდნენ ამ დევნაში მონაწილე ადამიანები, კორონაციების, სადილების, მუნდირების, წარმოებების გამო იქნებ არა სცალიათ წამით მაინც რომ დაფიქრდნენ?

გუშინ „ზიგფრიდზე“ ვიყავით.. მამამ ვერ გასძლო მეორე მოქმედებამდე და ლანძღვა-გინებით, — დღეს საღამოსაც რომ გრძელდებოდა, — გაიქცა თეატრიდან სერგეი ივანეს ძესთან ერთად, მეც ძალიან მომეწყინა და დავიღალე, მაგრამ ბოლომდე გავუძელი და ამიერიდან აღარასოდეს წავალ ვაგნერის მოსასმენად.

მამა დღეს კითხულობდა ჩეხოვის ახალ მოთხრობას „მეზონინიანი სახლი“. მე არ მსიამოვნებდა, რომ ამ მოთხრობაში სინამდვილეს ვჭვრეტდი და რომ გმირი ქალი ჩვიდმეტი წლის გოგონა იყო. აი ჩეხოვი კი, სხვა კაცია. მას ნამდვილად პირველქმნილი სიყვარულით შევიყვარებდი. ასე, პირველი შეხვედრისთანავე მასავით არასოდეს არავინ ჩამძვრომია სულში. კვირას პეტროვსკებთან ვიყავი მისი სურათი რომ მენახა. თვითონ ჩეხოვი კი მხოლოდ ორჯერ მყავს ნანახი.

7 მაისი. იასნაია პოლიანა

მამამ სულ დაანება თავი ველოსიპედით სიარულს. მიზარია, რადგან ვიცი, რაოდენ სასიამოვნოა, როცა საკუთარ თავს რაიმეზე უარს ეუბნები. თანაც ჩვენც დავმშვიდდებით და ისე შეწუხებულები აღარ ვიქნებით, მთელი საღამოები რომ ველოდით წვიმაში და ყოველის მხრით ვაგზავნიდით ხალხს მის მოსაძებნად...

11 მაისი. პელსინფორსი

9-ში გავემგზავრე ჩქარი მატარებლით იასნაიიდან. შინ დავტოვე მამა,

რომელსაც მაღალი სიცხე ჰქონდა და თავი სტკიოდა და მამა — ცოტა დაბნეული, რაკი მარტო რჩებოდა ავადმყოფ მაშასთან.

პეტერბურგში დილიდან საღამომდე გავჩერდით, ვუყიდე მიშას სპორწონო სმოკინგი, მივედი საელჩოში, გემთა სააგენტოში და ბარონესას სასახლეში. გვითხრა, ჩემმა ნათესავმა გორემიკინმა მაცნობა, ტელეგრაფის მეშვეობით მივიღეო. როცა ბარონესას უკითხავს, „რა შინაარსის არისო“, უპასუხნია: „მთავრობის გამოწვევაა“. ბარონესამ ჰკითხა, პასუხს თუ გაუგზავნითო, მან თურმე უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ბარონესამ თქვა, მთავრობა მეტისმეტად მავენდ მიიჩნევს მამათქვენის მოძღვრებას, რადგან მის შედეგად უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე. მთავრობამ კი არ იცის როგორ მოიქცეს მსგავს შემთხვევებშიო...

4 აგვისტო

ახლა ტელეფონით გადმომცეს დედაჩემის, მაშასა და მამაჩემის ღია ბარათები. მამა აი რას მწერს: „მინდა წერილი მოგწერო, სულელო, მოუსვენარო ტანია. თუ სულს უხარია, ამქვეყნად ყველაფერი სასიხარულოა. ჩვენც შევეცადოთ ასე მოვიქცეთ. მე ვცდილობ და შენც ეცადე. და ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი ნაზად, გიკოცნი შენს ჭაღარა თმას. ლ. ტ“.

1897

15 მარტი. იახნაია პოლიანა

მამაზე გულისტკივილით ვფიქრობ. ცუდად ვუხდი სამაგიეროს ჩემდამი სიყვარულის გამო. დღეს სინაზისა და მღელვარების გრძნობით აღსავსე ვფიქრობდი მასზე. თუ მე გულს არ ვიტეხ, თუ ვცდილობ ზნეობრივი და პატიოსანი ვიყო, უმთავრესად მისი წყალობით არის. თუ არ მისი სიყვარული, სასოწარკვეთილების წყვდიადში ჩავეშვებოდი და, რასაკვირველია, ათასგზის უფრო ცუდ დღეში ვიქნებოდი, ვინემ ახლა ვარ.

24 მარტი

კალუგიდან ჩამოსულმა მამაჩემის ისეთი ნაზი და კეთილი წერილი მივიღე, რომ უცრემლოდ ვერ წავიკითხე. და ახლაც, რამდენჯერაც გადავიკითხე, იმდენჯერ ავტირდი. დიახ, ის ისეთი მეტოქეა ჩემი სიყვარულებისა, ვისაც ვერავინ დაამარცხებს.

17 ივნისი

მამამ დღეს ხელი მოაწერა თავის სტატიას ხელოვნებაზე, მაგრამ ვფიქრობ, ვიდრე სრულად დაამთავრებდეს, კარგა ხანი გაივლის.

2 აგვისტო. იახნაია პოლიანა

გადავწერე მამაჩემის ძველი უცხოური წერილები და მაღამოდ დამედო გულზე მისი ღრმა აზრები, ხშირად გულუბრყვილოდ რომ არის გამოთქმული

იმის გამო, რომ საკმარისად კარგად არ იცის ინგლისური და წერის დროს ორ-
თოგრაფიულ შეცდომებსაც უშვებს. ზოგიერთი დედაჩემის გადაწერილია
წვრილი ხელით და ზოგიერთიც მისივე გასწორებული.

უცნაურია შეხამება ამ ორი ადამიანისა! იშვიათად შეიძლება შეხვედრ
ესოდენ განსხვავებული ბუნების და თან ასე მჭიდროდ დაკავშირებული
მანეთთან. ყველაზე საუკეთესო წუთებშიც, როცა დედას სურს უფრო მეტი
იაროს და ცდილობს გამოხატოს მისი ფიქრები და შეხედულებები, გაგიკვირ-
დება, რა ცოტა ესმის დედას მამაჩემისა და რა შორს არის სინამდვილისაგან
დედაჩემის წარმოდგენა მამის შეხედულებებზე. ზოგჯერ ვბრაზობ დედაზე
ამის გამო, მაგრამ ეს სიმკაცრეა ჩემის მხრივ და თანაც აზრი არა აქვს.

1898

4 თებერვალი. მოსკოვი

ამ დღეებში დავბრუნდი პეტერბურგიდან, სადაც „პოსრედნიკის“ საქმეზე
ვიყავი. გავჩერდი სტახოვიჩთან — იმიტომ გამგზავნეს, რომ სუვორინისათვის
მეთხოვა ეყიდა ნაღდ ფულზე „პოსრედნიკის“ თვითწერილი გამოცემის თუნდაც
ასი ცალი. ეს შესაძლებლობას მოგვცემდა ბეჭდვისა და ქაღალდის ფული
გადაგვებადა, და ყველაფერი ვალით არ გაგვეკეთებინა, რაც არახელსაყრე-
ლია. სუვორინმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და შეგვპირდა ორასიდან
ექვსას ცალამდე და ზოგჯერ უფრო მეტსაც ვიყიდიო; თანაც ჩვენ გამოცემე-
ბზე ისეთსავე განცხადებებს გამოაქვეყნებდა, როგორც თავისაზე. მან თავისი
ლოჟა დამითმო მცირე თეატრში, ვიდრე პეტერბურგში დავყოფდი, მაგრამ
წარმოდგენას მხოლოდ ორჯერ დავესწარი: „ჩაძირულ ზარს“ და „ახალ სამყა-
როს“. პირველი — სისულელე და უზნეობაა, მეორე — სიბილწე და უნი-
ჭობა.

ვნახე რეპინი. მასთან ვისაუზმეთ ზოსია სტახოვიჩმა, მიშა ოლსუფიევმა
და მე. არც ერთი თავისი ნამუშევარი არ უჩვენებია, იქნებ იმიტომ, რომ უცებ
მოვიდნენ დრაგომიროვი და მისი ქალიშვილები და საერთო საუბარი გაჩაღ-
და. იგი ისევ თავის „ცდუნებაზე“ მუშაობს, შარშან ზამთარში რომ ვნახეთ და
მამამ ურჩია, თავი დაანებო. რეპინი სულ თხოვს მამას, სიუჟეტი მომეციო.
ამისათვის ჩამოვიდა მოსკოვში, შემდეგ კიდევ მომწერა და ვიდრე პეტერ-
ბურგში ვიყავი, რამდენჯერმე მომაგონა. გუშინ მამამ მითხრა, ერთი სიუჟეტი
მომათქმურდა, თუმცა სავსებით არ მაკმაყოფილებსო. ეს ის წუთებია, როცა
დეკაბრისტები საბრჩობელაზე აპყავთ. ახალგაზრდა ბესტუჟევი-რიუმინი გაი-
ტაცა მურავიოვ-აპოსტოლმა, უფრო მისმა პიროვნებამ, ვიდრე იდეებმა, და
სულ მუდამ მასთან ერთად იყო, მხოლოდ სიკვდილით დასჯის წინ გატყდა,
ატირდა, მურავიოვმა ხელი მოჰხვია და ასე ორივენი ერთად გაემართნენ საბ-
რჩობელებისაკენ.

ვისადილეთ იაროშჩენკოსთან. ხმა დაუკარგავს, მაგრამ მაინც ყოჩაღია.
ვნახე მასთან მოხუცი შიშკინის პორტრეტი სიკვდილის წინა წუთებში და ვე-
ზუვის ყელი.

პეტერბურგში ერთ კვირას დავყავი და წამოსასვლელად რომ ვემზადე-
ბოდი, მამაჩემისაგან ასეთი შინაარსის დეპეშა მივიღე: „პეტერბურგს მოემგ-
ზავრებიან სამარელი მალაკნები, დარჩი, დაეხმარე მათ“. ცოტა კი მეუხერ-

ზუღებოდა ჩემი მასპინძლების სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენება, მაგრამ მალაქნებისთვის შემწეობის აღმოჩენა ჩემს *აქტივებს* უფრო მნიშვნელოვანი საქმე იყო და დავრჩი. მალაქნების ჩამოსვლამდე მთელი დღე მათ დასახმარებელ გზებს ვეძებდი და ვფიქრობდი, *ქვეყნის* დავადგე, ვის მიემართო-მეთქი. ვიცოდი, რომ ხელმწიფეს მიღებულყოფილმა მამაჩემის წერილი, რომელშიც დაწვრილებით აღწერდა, სამ მალაქანს როგორ წაართვეს ბავშვები, ვიცოდი, კონიმ მათთვის სენატში ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, უხტომსკიმ თავის გაზეთში დაბეჭდა მამაჩემის წერილი ამ საქმეზე, ისიც ვიცოდი, რომ არავინ არსაიდან გამოხმაურებიათ. სხვა გზები უნდა მეძებნა. რადგანაც საქმე, როგორც ჩანდა, პობედონოსცევზე იყო დამოკიდებული, გადავწყვიტე პირდაპირ მასთან მივსულიყავი.

თავდაპირველად სტახოვიჩის გოგონებს დავეთათბირე, მათ მოიწონეს ჩემი გეგმა, შემდეგ ალექსანდრე ვასილის ძე ოლსუფიევთან მივედი რჩევის საკითხავად: მასთან დამხვდნენ ალექსეი ვასილჩიკოვი, მიტია ოლსუფიევი და თავადი კანტაკუზენი. ვუთხარი ჩემი საქმისა, გრაფმა კიდევ ერთხელ დამიმოწმა, რომ მან პირადად გადასცა წერილი ხელმწიფეს და მითხრა, პობედონოსცევთან თქვენი მისვლა საქმეს არაფრით ზიანს არ მოუტანს, რადგან მაინც ეს საქმე მის ხელთ არისო. ვკითხე, ხომ არ იკადრებს პობედონოსცევი დახმარების ნაცვლად მალაქნები სასწრაფოდ გაასახლოს-მეთქი. ოლსუფიევმა მიპასუხა, ამის უფლება მას არა აქვსო. ვასილჩიკოვმა და მიტიამ ძალიან წამაქეზეს. ვასილჩიკოვმა კი მითხრა, ღმერთმა უწყის, რას არ მივცემდი უჩინმაჩინის ქუდით თქვენს პაემანზე რომ დამასწრონო. მაშინ გადავწყვიტე ტელეფონით დავლაპარაკებოდი და მეკითხა, როდის შეიძლებოდა პობედონოსცევის ნახვა. მან პაემანი მეორე დღეს დამინიშნა 11-დან 12 საათამდე.

მეორე დღეს ავდექი, ჩავიცვი, გავემზადე წასასვლელად, რომ უცებ მოვიდნენ მალაქნები და გადმომცეს მამაჩემის წერილი. მამა მწერდა, მეინდორფის, უხტომსკისა და კონის შემწეობით იმოქმედო. ბოლო ორთან მისატანი წერილებიც გამოგზავნა და ამით სულ ამირია თავგზა. ოლსუფიევებთან ყოფნისას ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ უხტომსკისთვის მხოლოდ მაშინ მიგვემართა დასახმარებლად, თუ საქმის გახმაურება გახდებოდა საჭირო. მაგრამ არა გვგონია ამ საქმეს გახმაურებამ არგოს რამე, პირიქით, ზიანს უფრო მოუტანსო. მაშინ გადავწყვიტე მამაჩემის წერილი განზე გადამედო და მხოლოდ კონისთან მიმეტანა წერილი, თანაც მეთქვა რაც გადავწყვიტე.

კონიმ მითხრა, რჩევა რომ გეკითხათ ჩემთვის, რა გავაკეთოო, რჩევას არ მოგცემდითო, მაგრამ თქვენი იქ მისვლა საქმეს არას ავნებსო. მაჩვენა კანონი, რომლის თანახმადაც ის მშობელნი, ვინც მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე არიან მონათლულნი და თავის შვილებს კი სხვა რწმენით ზრდიან, დატუსაღებულ უნდა იქნან, თანაც ბავშვები უნდა ჩამოერთვათ. შემდეგ მიჩია, ვისი მეშვეობით მემოქმედნა, თუკი მოვისურვებდი შეწყალების თხოვნას მისი უმაღლესობის სახელზე, და ისე გამომისტუმრა, რომ წარმატების იმედი არ მქონია, მისგან პირდაპირ საეკლესიო უწყების სახლში წავედი ლიტენინაზე.

შევედი წინკარში და კარისკაცს ვუთხარი, მოახსენეთ კონსტანტინე პეტ-

1 უხერხულობა.

რეს ძეს გრაფის ასულს ტოლსტაიას თქვენი ნახვა სურს-მეთქი. კარისკაცმა მკითხა: „ტატიანა ლევის ასულს?“ „დიახ!“ „მობრძანდით გელოდებით.“ შემდეგი კაბინეტში, სადაც მაშინვე შემოვიდა პობედონოსცევიც.

იგი უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი, მხნედ გამოიყურებოდა. თანაც ცქვიტია, მარჯვე. გამომიწოდა ხელი, სკამი ჩემკენ გამოსწია და მკითხა, რით შემოიძლია გემსახუროთო. მაღლობა ვუთხარი მიღების გამო და მოვასენე, მამამ მაღაყნები გამომიგზავნა და დამავალა, დავეხმარო. ვუთხარი მათი ამბავი და ისიც, საიდან არიან.

— ოჰ, ვიცი, ვიცი, — თქვა პობედონოსცევმა, — სამარელმა არქიელმა მეტიშვეტი გულმოდგინება გამოიჩინა, — ახლავე მივწერ გუბერნატორს ამის თაობაზე. ვიცი, ვიცი. თქვენ მხოლოდ მათი გვარები მითხარით და ახლავე მივწერ.

წამოხტა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა საწერი მაგიდისაკენ. ისე გამოგნა, ასე სწრაფად რომ დამეთანხმა ჩემის თხოვნის შესრულებაზე, რომ მთლად დავიბენი; თან კი მქონდა მაღაყნების წერილობითი თხოვნის შავი პირი, მაგრამ გვარები მიწერილი არ იყო. ვუთხარი და თან დავსძინე, არაფრით არ ველოდი ჩემს თხოვნას ასე სწრაფად თუ მოპყვებოდა შედეგი, მხოლოდ იმის იმედი მქონდა, რომ მირჩევდით, რა მეღონა-მეთქი. აქვე დავსძინე, გლებებს უნდათ წერილობითი თხოვნა გაუგზავნონ მის უმაღლესობას-მეთქი და ვკითხე, მირჩევთ თუ არა გაგზავნას-მეთქი. მან მოისმინა თხოვნის შინაარსი.

„თქვენო იმპერატორის უდიდებულესობავ, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ!“

1897 წ. 21 აპრილს, დღისით ჩვენს სოფელში ურიადნიკი ჩამოვიდა და მოითხოვა ჩვენი ერთადერთი ვაჟიშვილი, ხუთი წლის ბიჭუნა, ქალაქს წაეყვანა. ბიჭი ამ დროს ავად იყო, მაღალი სიცხე ჰქონდა და არ დავანებეთ ურიადნიკს მისი თავი. მეორე დღეს, შუადღისას, ჩამოვიდა უბნის ბოქაული და ისევ ჩვენი ბიჭი მოითხოვა, თან დაგვემუქრა, თუ წინააღმდეგობას გამიწევთ, დაგაპატიმრებთო. ავიყვანეთ ავადმყოფი ბავშვი და ქალაქში წამოვიყვანეთ. ქალაქში მე და ჩემს ცოლს გამოგვიცხადეს, შვილი წაგერთვათ იმის გამო, რომ მართლმადიდებლობიდან 1889 წელს მაღაყნებად დაეწერეთო და ბავშვს მხოლოდ მაშინ დაგიბრუნებთ, როცა მართლმადიდებლობას დაუბრუნდებითო. იგივე გვითხრეს მონასტერშიც, სადაც ჩვენი ბავშვი მოათავსეს. როცა მონასტერში განვაცხადეთ, მხოლოდ იმ რწმენას ვაღიარებთ, რომელსაც ჭეშმარიტად და საჭიროდ მივიჩნევთ ჩვენი უკვდავი სულის სახსნელად და ვერ შევიცვლით ჩვენი პირმშოს დაბრუნების გამოც-თქო, ამის შემდეგ აღარ გვიშვებდნენ ჩვენს ბიჭუნასთან და უკანასკნელად მხოლოდ რამდენიმე წუთით გვანახეს.

გვარაუდობთ რა, რომ ეს სავსებით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაა და თქვენი უმაღლესობის ნება-სურვილს არ გამოხატავს, გემუდარებით, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, უბრძანოთ გამოასწორონ ჩვენს მიმართ ჩადენილი უსამართლობა და დაგვიბრუნონ ჩვენი ერთადერთი შვილი“.

თხოვნა რომ მოისმინა, პობედონოსცევმა მითხრა, გაგზავნა არ არის საჭირო, რადგან ამ საქმეზე საკმარისად ითქვა და დაიწერა და რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს საქმე მაინც მასთან მივა და როგორ გადაწყვეტს მასზე იქნება

დამოკიდებული. შემდეგ მითხრა, მონასტერში ბავშვები ისე კარგად არიან, შინ დაბრუნება არცა სურთო.

შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ მშობლებისათვის უდიდესი უბედურებაა შვილის მოშორება-მეთქი.

— დიახ, დიახ, მესმის. ეს სულ სამარელი არქიელის ზედმეტ-გულმოდგინების გამო მოხდა. თექვსმეტ მშობელს წაართვეს შვილი, ღვეწიან სკამისო კანონიც არ არსებობს.

მე კი ეს კანონი ახლახან ვნახე კონისთან, ვერ მოვითმინე და ვუთხარი:— მაპატიეთ, მაგრამ ეს კანონი ვგონებ, არსებობს, თუმც საბედნიეროდ არასოდეს გამოუყენებიათ.

— დიახ, დიახ. გამომიგზავნეთ მალაქნების სახელები და მე სამარაში მივწერ.

დავფიქრდი, კიდევ რაიმე ხომ არა მაქვს შესაკითხი-მეთქი და, რაკი არაფერი მომაფიქრდა, ავდექი და დავემშვიდობე. პობედონოსცევი კიბემდე გამომყვა, მკითხა, პეტერბურგში დიდი ხნით ჩამობრძანდით, სტუმრად ვისთან ბრძანდებითო. კიბის თავში მდგარი ისევ დამემშვიდობა. უცებ, როცა უკვე დაბლა ვიყავი ჩასული და ქურქს ვიცვამდი, ისევ გამოვიდა და გადმოამჩანა:

— რა გქვიათ?

— ტატიანა.

— მამის სახელი?

— ლევის ასული.

— მაშ თქვენ ლევ ტოლსტოის ქალიშვილი ბრძანდებით?

— დიახ.

— მაშ თქვენ ბრძანდებით სახელგანთქმული ტატიანა?

გამეცინა და ვუთხარი, აქამდე ეს არ ვიცოდი-მეთქი.

— აბა, ნახვამდის.

წამოვედი. გზაში სულ მეცინებოდა, ვერ გამეგო რატომ მოიკატუნა თავი, თითქოს არ იცოდა, ვის ელაპარაკებოდა, მაშინ როცა კარისკაცმა მოახსენა, ვინც ვიყავი; თანაც ვუთხარი, მამამ მალაქნები გამომიგზავნა-მეთქი. მერე კი თვითონვე მითხრა, ამაზე რამდენი რამ ითქვა და დაიწერაო.

კონი მეორე დილით მოვიდა ჩემთან და პობედონოსცევის საქციელი ასე ამიხსნა: პობედონოსცევს რომ ლევ ტოლსტოის შვილად შეეცანით, მისთვის უხერხული იქნებოდა არ ეთქვა რაიმე მამათქვენზე, მაშინ ისიც უნდა ეთქვა, ვიცი, ტოლსტოიმ წერილი რომ გაუგზავნა ხელმწიფესო, ვიცი, ეს საქმე რომ დიდი ხანია სენატშიაო, თან ახსნა-განმარტებაც უნდა მოეცა, ამდენი ხანი რატომ არავისგან არ არის არავითარი პასუხიო. ასე კი, თითქოს უცნობ თავადის ასულთან საუბარში, მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო მაშინვე დაემთავრებინა საქმე. იქნებ კიდევ გაუხარდა, რომ პირდაპირ მას მივმართე და ამით საშუალება მივეცი მაშინვე შეეწყვიტა საქმე.

შინ რომ მივედი, მალაქნების გვარები ჩამოვწერე და მათი ხელით წერილი გავუგზავნე პობედონოსცევს, რომელშიაც ვთხოვდი ეპასუხა ვისთან და როდის უნდა მისულიყვნენ პასუხის მისაღებად ან ვინ მისცემდა მათ რწმუნებას უკან წაეყვანათ თავიანთი შვილები. პობედონოსცევმა მიიღო მალაქნები, ესაუბრა („ნაზად მასლაათობდარ“, ასე თქვა ერთმა).

სხვათა შორის, უთქვამს, თქვენს შვილებზე ნუ სწუხართ, ისინი მონას-

ტერში უფრო უკეთ არიან, ვინც შინ, და მათ თვითონვე არა სურთ იქიდან წამოსვლაო. ამის პასუხად ერთ-ერთ მაღაყანს უთქვამს: შეიძლება ჩიტიც ისე შეაჩვიო გალიას, რომ რომც გაუშვა, ისევ უკან შეფრინდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თავისუფლებას პატიმრობა სჯობდესო. პობედონოსცევი-
ტი წერილი გამომიგზავნა:

„მოწყალეო ხელმწიფავ ტატიანა ლევის ასულო! ვურჩიე გლებებს, რომ ტყუილუბრალოდ ფულს ნუ ხარჯავენ აქ (მიშა ოლსუფიევმა იხუმრა, რომ შეეძლოს სიამოვნებით გირჩევდათ თქვენც, პეტრბურგში „ნუ იხარჯებითო“), ნუ ელოდებიან, უკან გაბრუნდნენ და სამარაში, გუბერნატორთან იკითხონ საქმის ვითარება, რომელსაც დღესვე მივწერე უკვე მათი ამბავი და ვფიქრობ, უეჭველად დაუბრუნებენ ბავშვებს.

უმორჩილესი მსახური კ. პობედონოსცევი“.

მაღაყნები მესამე დღეა გაემგზავრნენ მოსკოვის გავლით სამარაში და ახლა ისღა დაგვრჩენია სამარის გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი პობედონოსცევის წერილის პასუხს დაველოდოთ.

6 თებერვალი

მამა ჰაინეს კითხულობს და გუშინ ერთი ლექსი მითხრა, ზეპირად უსწავლია.

„რა არის ხელოვნება“ „პოსრედნიკმა“ ცალკე წიგნად დაბეჭდა (I გამოც). ერთ კვირაში 5000 ცალი გაიყიდა.

8 მარტი

მამამ მაღაყნებისაგან წერილი მიიღო, ბავშვები დაუბრუნებიან.

1900

3 ნოემბერი. კოჩეტი

გუშინ გაემგზავრა აქედან მამა იულია ივანეს ასულ იგუმნოვასთან ერთად. 18 ოქტომბრიდან გუშინდლამდე დაჰყო ჩვენსა. უცნაური გრძნობა მქონდა: მრცხვენოდა, რომ ვუღალატე, მაგრამ არ ვნანობდი. გულახდილად ძალზე ცოტა ველაპარაკე, მეშინოდა, ვაითუ მკიცხავს ან იქნებ დარდობს ჩემს გათხოვებას-მეთქი. ამის გამოკითხვას აზრი არ ჰქონდა, რადგან არა მგონია, ჩემთვის გაემხილა გულის ნადები და რომც გაემხილა, მოსმენა ფრიად მატკენდა გულს.

1901

9 ნოემბერი. გასპრა

მამა ავად არის. ციება სჭირს. მასთან არიან ექიმები ალტშულერი და ელპატიევსკი.

10 ნოემბერი

მამა უკეთ გრძნობს თავს. დღეს იჭდა მაღლა თავის აივანზე. მასთან იყო დუხობორი, რომელმაც მიატოვა თავისი კანადელი ძმები და ჩავიდა იაკუტსკში, მაგრამ ახლა აღარ იცის რა გააკეთოს, ნანობს, კანადიდან რომ წამოვიდა.

24 ნოემბერი

მამას ძალიან აწუხებს რევმატიზმი.

30 ნოემბერი

მამა ჩივის: ხელ-ფეხი მტკივაო.



13 დეკემბერი

მამა ჩამოვიდა იალტიდან, სადაც ექვსი დღე დაჰყო იმიტომ, რომ დაბრუნება ვერ შეძლო, ისე სუსტად ჰქონდა გული. მაჯისცემის ამოვარდნა აწუხებს და დღეს ალტშულერი ისე შეშინდა, რომ ქაფურის ნემსი მოამზადა შესაშხაპუნებლად.

23 დეკემბერი

მამა გაცილებით უკეთ არის. რევმატიული ტკივილები და ციება აღარ აწუხებს. გულიც კარგად აქვს.

1903

20 ოქტომბერი. იასნაია პოლიანა

გუშინ საღამოს მამამ შექსპირის წინააღმდეგ დაწერილი თავისი სტატია წაგვიკითხა. ვუსმენდით ალექსანდრ სერგის ძე ბუტურლინი, ზოსია სტახოვიჩი და ჩვენ. ამის შემდეგ ზოსია მამას ეკამათა. დღეს დილით კი მამამ ისევ გადახედა შექსპირის ზოგიერთ ნაწარმოებს და ზოსიას რამდენიმე შენიშვნას დაეთანხმა.

საღამოობით მე და მამა ბანქოს ვთამაშობთ. დღისით კი არა მცალია, მიშასთვის საკუთარი პორტრეტის კოპიოს ვხატავ და მამას წერილებს ვარჩევ ჩემი მოგონებებისათვის.

დღეს საღამოს მიშა-ძმა იყო ორი საათით. საშასთან ერთად ბალალაიკასა და გიტარაზე უკრავდა, შემდეგ კი ათასნაირი რომანსი იმღერა, სხვათა შორის, ერთი მისი შეთხზული იყო ლინას სიტყვებზე, რომელიც მამას ძალიან მოეწონა.

მამა საოცრად ალერსიანად მეპყრობა, იცინის ჩემს ხუმრობაზე და Coquelin aîné*-ს მეძახის.

1904

5 იანვარი. იასნაია პოლიანა

ჩვენს ჩასვლამდე ერთი დღით ადრე იასნაიაში ბრაიანი (ამერიკელი სოციალისტი, შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი) ყოფილა. იგი მამას ძალიან მოსწონებია. მასზე ვერაფერს დავწერ, მეშინია რაიმე არ ივუროთ, სხვისი გადმონაცემის მიხედვით ძნელია წერა. მივდივარ დასაძინებლად.

* ბებერი თაფლაყინა.

16 თებერვალი

დაიწყო იაპონიასთან ომი. რუსეთში გამოცოცხლება და პატრიოტული ენთუზიაზმი იგრძნობა. გული მეწურება, რომ ომი ისევ შესაძლებელია...
მამა ცხენით მიდის ტულაში დეპეშების ჩამოსატანად. *მარკუნული გიგლიყთუკა*

18 ივნისი

15-ში ყუმბარით მოკლეს შინაგან საქმეთა მინისტრი პლევე. ძნელია, არ გაგეხარდეს ეს ამბავი.

ამ დღეებში ჩვენთან იყო დაღუპულ „პეტროპავლოვსკიდან“ გადარჩენილი მეთაური (იაკოვლევი). სიმპათიური ადამიანია, თავმდაბალი და მართალი კაცი ჩანს, მაგრამ სულიერ მოთხოვნილებებს ჯერ არ გაუღვიძია მის არსებაში.

14 ოქტომბერი. კოჩეტი

17 სექტემბერს მიშა, ალა და მე იასნაიიდან პეტერბურგს გავემგზავრეთ. პეტერბურგში ჩემს ძველ ნაცნობთან, პოლიციის დეპარტამენტის ახლანდელ დირექტორთან ალექსეი ალექსანდრე ძე ლოპუხინთან მივედი, რათა მეთხოვა დაშველიების რუსეთში დაბრუნების ნება. საუბარში ლოპუხინმა განაცხადა, რომ „გადაწყვეტილია, აღარ დევნონ ტოლსტოველობა“. როგორ მოგწონთ! სვიატოპოლსკ-მირსკიმ და ლოპუხინმა, რომელსაც უნივერსიტეტის პირველი კურსიდან ვიცნობდი, როგორც არაბობასა და უმაქნის ბიჭს — გადაწყვიტეს, რომ შეიძლება „ტოლსტოველობა“ არ დევნონ.

ვთხოვე ასევე ბირიუკოვისა და ჩერტკოვის გამო. ლოპუხინი შემპირდა, ბირიუკოვს დაბრუნების შესაძლებლობას მივცემთ და პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ აღარ გვეყოლება.

მამა ჯანმრთელად არის, მხნედ, აგროვებს ბრძენთა და ფილოსოფოსთა გამონათქვამებს. ერთი თვეა გაზეთებს არ კითხულობს, დიდხანს გაუძლებს?

23 ოქტომბერი

გუშინ ორი საინტერესო კაცი მოვიდა:

ერთი დანიელი, იყო, სანაძლეოზე ფეხით უნდა ჩასულიყო უგროშოდ ვლადივოსტოკიდან კოპენჰაგენში. ეს მანძილი ერთ წელიწადში უნდა გაეგლო, მაგრამ გუშინ ვადა ამოიწურა და სანაძლეო წააგო. წაიღო მხოლოდ საქმელი.

მეორე მღვდელი იყო. ადრე სატუსალოშია ნამსახური. თავდაპირველად მამა ცივად შეხვდა, მაგრამ შემდეგ, ალბათ აღარ მოისურვა უპატივცემულოდ მოქცეოდა და სერიოზულად ესაუბრა. უეჭველია იმიტომ მოვიდა, რომ მამას მოქცევის იმედი აქვს, ან იქნებ პოლიციური მიზანიც ამოძრავებს. როცა ჩაიზე მარტონი დავრჩით, ჩემი მოქცევაც სცადა, მაგრამ ვუთხარი, იმიტომ, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიას ზურგი აქციო, საკმარისია იცოდა, როგორ დევნის ხალხს ეკლესია იმ რწმენის გამო, თვითონვე რომ წარმოშობს და ის სისასტიკე, ქრისტეს სახელით რომ სჩადის. ძალზე პრიმიტიულ

ხერხს მიმართავდა. იმის მაგივრად, რომ უბრალოებითა და გულწრფელობით მოახდინოს ზემოქმედება, მას უშუალობაც აკლია და არც სათანადო რწმენა გააჩნია.

ვაკეთებ ასლებს და გადავწერე მამაჩემისადმი გამოგზავნილი წერილები სხვადასხვა ადამიანების მიერ. გუშინ ვიპოვეთ ტურგენევის გამოუქვეყნებელი წერილები, მამას რომ გამოუგზავნა სხვადასხვა დროს 56 წლიდან დაწყებული.

18 ნოემბერი

დღეს საშას წერილი მივიღე, მწერს, მამამ წაიკითხა შენი წერილები გეზე და დამავალა გადმოგცე, რომ მოეწონა. მამამ ხაზი გაუსვა იმ ადგილებს, განსაკუთრებით რომ მოეწონა, ისიც აღნიშნა, წერილის შემოკლება შეიძლება გეს ნახატებზე რეცენზიების ხარჯზე.

1905

18 ოქტომბერი

საღამოობით ვკითხულობთ კუბრინის „ორთაბრძოლას“, უმეტესად მამა კითხულობს. მოსწონს და მისი აზრით, კუბრინი გორკიზე უფრო ნიჭიერია.

22 ოქტომბერი

გუშინ ნ. ნ. გუსევი ჩამოვიდა, მოსკოვიდან და ტულიდან ფრიად სამწუხარო და შემაშფოთებელი ახალი ამბები ჩამოიტანა. მოსკოვსა და ტულაში „პატრიოტები“ ანუ „შავრაზმელები“ ებრძვიან რევოლუციონერებსა და სოციალ-დემოკრატებს. ტულაში ამას დაერთო ებრაელთა საკითხი, გუსევის სიტყვით, გუშინ ტულაში სროლა ყოფილა და ორმოცამდე კაცი დაღუპულა.

იმ დღესაც, მიშა ორიოლში რომ იყო, იგივე მომხდარა და იქაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყოლია.

მამა ბასოვოში გაემგზავრა, რათა შარავზაზე ტულიდან მომავალ ხალხს გამოჰკითხოს ახალი ამბები.

1909

8 ივნისი. კოჩეტი

დღეს საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ ჩამოვიდნენ მამა, დედა, გუსევი, დუშან პეტრეს ძე მაკოვიცკი და ილია ვასილის ძე.

მამა მხნედ არის, ყველაფერი აინტერესებს. საიდუმლოდ მითხრა, რომ მხატვრულის დაწერა მსურსო.

10 დეკემბერი

მამა კოჩეტიდან 3 ივლისს გაემგზავრა. ვფიქრობ, ჩვენთან კარგად გრძნობდა თავს. მნახველები ცოტანი იყვნენ, არავინ ერეოდა მის გონებრივ

სამუშაოში, არც არავინ ატანდა ძალას და არც მბრძანებლობდა. სავსებით თავისუფალი იყო, ირგვლივ კი სიყვარულსა და ალერსს გრძნობდა, თვით-ულს სურდა რითიმე ესამოვნებინა. მსურდა ერთი შეკითხვა მიმეცა, მაგრამ ვერ ვუბედავდი და შემთხვევას ვუცდიდი, უფრო ადვილად და ბუნებრივად გამომსვლოდა. ასეც მოხდა, როცა მელენსკში გავყევი .ორივენი პატარა სამ-ცხენიან ეტლში ვისხედით, მამა ძალზე აღფრთოვანებული იყო, ყველაფერზე მოსწონდა: ამინდიც, ადგილმდებარეობაც, ცხენებიც, ისიც, ეტლი რომ არ ინჯღრეოდა და რაღაც-რაღაცას მეკითხებოდა ჩემს ცხოვრებაზე. ერთი შეკითხვა როგორღაც ასე წამოიწყო: „მსურდა შენთვის ერთი ინტიმური ამბავი მეკითხა“... როცა ვუბასუხე (ახლა აღარც კი მახსოვს რა შემეკითხა, ისე კი ძალიან ადვილად ვუბასუხე) მერე ვუთხარი:

— აი, მეც მინდა ერთი ინტიმური ამბავი გკითხო.
— რა ამბავი? სიამოვნებით გიპასუხებ.
— რატომ გწადია, რომ შენი სიკვდილის შემდეგ შენმა მემკვიდრეებმა უარი თქვან ლიტერატურული საკუთრების უფლებასა და მიწაზე?
— საიდან იცი, რომ მე ეს მწადია?
— ერთხელ თვითონ თქვი ჩემი თანადასწრებით: „რისი იმედი აქვთ ჩემს ვაჟიშვილებს? თუ წიგნების...“ და არ დაასრულე. მივხვდი, რომ ამგვარი სულისკვეთების ანდერძის დატოვებას აპირებ. (გარდა ამისა, საშამ მაჩვენა დღიურებში ჩაწერილი იგივე სურვილი, მაგრამ საშა რომ არ გამემხილა, არაფერი მითქვამს.)

— რატომ მეკითხები ამას?
— იმიტომ, რომ მეშინია, ვაითუ, შენმა სურვილმა, — ჩემმა ძმებმა გააკეთონ ის, რაც შენ თვითონ არ გაგიკეთებია, — ცუდი გრძნობები აღძრას. არც თვითონ გაგიკეთებია ეს და არც მემკვიდრეებს თხოვ ამის გაკეთებას სიცოცხლეში.

— ჰო მაგრამ, მგონია, რომ ჩემი სიკვდილი მათ გულს მოულობს.
— მაშინ, დაე, თვითონ მათ გააკეთონ. ყველამ იცის, რომ მთელი სიცოცხლე ამის მოსურნე იყავ და იმათ, ვისაც უნდა და შეუძლია, დაე, თავისი ნებით აღასრულოს ეს სურვილი.

— კაცმა რომ თქვას, მე ხომ ანდერძი არცა მაქვს. ეს სურვილივით ჩავიწერე. კანონის თანახმად მისი შესრულება არ არის აუცილებელი.

— ვიცი, მაგრამ ის, ვინც ვერ შესძლებს დაემორჩილოს შენს ამ სურვილს, გაუჭირდება მის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, როცა ეს სურვილი ასე კატეგორიულად არის გამოთქმული.

— დიახ, დიახ, დავფიქრებდი. ძალიან მადლობელი ვარ შენი, რომ მითხარი. მართალი ხარ... რა კარგია, რომ მითხარი. ვნახავ, სადა მაქვს ეს ჩაწერილი.

მეტი აღარაფერი გვითქვამს ამაზე და სხვა თემაზე დავიწყეთ ლაპარაკი. როგორღაც სიტყვამ მოიტანა და ვთქვი, რომ ზოგჯერ კაცს ერთის კეთილდღეობისათვის, სხვები ავიწყდება-მეთქი. მე ვეუბნები: „აი, ისე, როგორც ახლა ვლაპარაკობდით იმ საკითხზე...“

— რა საკითხზე?

— აი შენ გინდა, ჩემმა ძმებმა გადასცენ მიწა გლეხებს, გლეხებისათვის...

— აჰ, არა! უნდა გამოვტყდე, რომ ეს რეაბილიტაციისათვის... თუმცა რის რეაბილიტაცია?

გავუმეორე:

— რა რეაბილიტაცია? იტყვიან — თვითონ არ გააკეთა, შვილებისაგან კი მოითხოვა...

— ჰო, ჰო, რასაკვირველია.

შემდეგ იასნაიაში რომ ჩავედი ივლისში და საერთო განწყობილება მძიმე იყო, მითხრა, ძალიან მაწუხებს მიწის საკუთრებაო. გაკვირვებული დავრჩი.

— მამა! შენ ხომ აღარაფრის მფლობელი აღარა ხარ!

— როგორ? იასნაია პოლიანა?

— არა, იგი ხომ შენს მემკვიდრეებს გადაეცემა, როგორც სხვა ყველაფერი.

შემაწყვეტინა და მითხრა:

— აბა, მომიყევი ყველაფერი, როგორია საქმის ვითარება.

ვუამბე, რომ მან იასნაია თავდაპირველად დედასა და ვანიკოს არგუნა სანახევროდ. ბოლო ვანიკოს სიკვდილის შემდეგ, ვანიკოს წილი ხუთ ძმას ერგო. უდიდესი ყურადღებით მისმენდა და ხანდახან ჩამკითხავდა ხოლმე: ნამდვილად იცი, რომ ასეა, რასაც მეუბნებიო. ვუმტკიცებდი, ასეა და თუ გინდა, დამამტკიცებელ საბუთებს გიჩვენებ-მეთქი.

საუბრის დასასრულს ვუთხარი, ალბათ, ძალიან გიხარია, ასე რომ არის-მეთქი. მაგრამ მითხრა: „არა, მსურდა გლეხებისათვის ნაჩუქრობის წერილი მიმეცა“.

ეს იყო ერთი იმ პერიოდთაგანი, როცა განსაკუთრებული სიძლიერითა და მტკივნეულად გრძნობდა ფუფუნებაში ცხოვრების მთელ სიმძიმეს მაშინ, როცა მთელი სულით უნდოდა უბრალოდ ეცხოვრა.

1910

5 თებერვალი, იასნაია პოლიანა

რამდენიმე დღის წინ ჩვენთან იასნაიაში სახალხო ბიბლიოთეკა გახსნეს. პაველ დოლგორუკოვი ჩამოვიდა ამის გამო და მამას სიტყვით მიმართა, რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა და მამა ამას გრძნობდა. და საერთოდაც ამ ბიბლიოთეკას გულცივად შეხვდა, თქვა ეს „წვრილმანი“ არისო!

22 ივნისი. კოჩეტი

მამამ კოჩეტიში 2-დან 20 მაისამდე დაჰყო. 27 მაისს ჩამოვიდა ჩერტკოვი და მამას გამგზავრებამდე დარჩა. დედა ჩერტკოვის შემდეგ, ჩამოვიდა და მასზე ადრე წავიდა, 5 მაისს.

მამა ტკბებოდა, მთხოვნელები და მნახველები რომ არ მოდიოდნენ და საერთო კეთილმეგობრული და მშვიდი განწყობილება სუფევდა. მას იასნაიაში ყოფნა განსაკუთრებით უმძიმეს (ჩემთან 18 დღე დაჰყო და მერე ჩერტკოვთან წაემგზავრა. გული მტკივა, როცა ვამბობ, რომ მამასა და დედას სიამოვნებით ერთმანეთისაგან შორს ყოფნა. დედას ვრცელი წერილი მივწერე, შევეცადე

მოიარებით, სიყვარულით განმეშართა, რომ სისულელეა, უაზრობაა, მეურნეობას რომ მისდევს, მაგრამ პასუხად მომწერა, ტრაგიკული არაფერი ხდება, მამა ოდნავადაც არ იტანჯება და 48 წელიწადი ერთად ცხოვრების შემდეგ საიდან მოვიგონეთ, რომ თითქოს რაღაც მოხდა. კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ის, რაც მას ოცდახუთი წელი არ ესმოდა, მისთვის ბოლომდე გაუგებარი დაბრ-ჩა. სწორედ დღეს ვნახე წერილი, რომელშიც 1906 წელს დაანდობით იმასვე ვწერდი, რასაც ახლა, მაგრამ მაშინ ის წერილი არ გამიგზავნია.

ვიყავი იასნაიაში 2-დან 5 ივნისამდე. მამას დედაზე ველაპარაკებოდი. იგი მუდამ უხალისოდ და იშვიათად გველაპარაკება დედაზე. მაგრამ ახლა ისე უმძიმდა, რომ გულახდილად მითხრა ყველაფერი. და ჩემთან, ვგონებ, უფრო უადვილდება დედაზე ლაპარაკი, ვიდრე სხვასთან, რადგან იცის, დედას კი არ ვკიცხავ, — მებრალებ. ამბობდა, ჩემი ცხოვრების ერთადერთი მიზანია — ყველასთან სიყვარულით ვიცხოვრო და მით უმეტეს დედასთან, ვის გვერდითაც ნახევარი საუკუნე გავატარეო — მაგრამ მიძნელდებაო.

ერთხელ კარზე დავუკაკუნე — არ შემიშვა და მკითხა: რა გინდაო? ვუთხარი, ბოლომდე არ წამიკითხავს შენი პიესა-მეთქი. ძალზე აღელვებულმა მიპასუხა, წასაკითხი არაფერი არ არის, ძალიან ცუდია და საერთოდ ყველაფერი საძაგლობააო. ვკითხე: რა არის საძაგლობა? „სულში ვგრძნობ სისაძაგლეს, უნდა წავიდე აქედან, ეს ერთადერთია, რის გაკეთებაც შესაძლებელია“. თურმე სეირნობიდან შინ დაბრუნებისას, ჩერქებს შეეჩება, რომელსაც დასასჯელად მიჰყავდა მოხუცი პროკოფი მხოლოდ იმიტომ, რომ მან ხმელი ტოტები აკრიფა.

წავედი. როცა დედა შემოვიდა ჩემთან ოთახში, ვუთხარი, მამა ძალიან აღელვებულია-მეთქი და არც აღელვების მიზეზი დამიმაღავს. ვიდრე ჩვენ ვლაპარაკობდით, შემოვიდა მამა და მითხრა, მოვედი გთხოვო არავის უთხრა ჩემი ნათქვამი, ყველაფერი კარგად არის და არც არაფერი მომხდარაო.

მე კი განზრახ ვუთხარი დედას. თორემ ისე ხდება ხოლმე, რომ მამა თვითონ არაფერს ეუბნება, მოიწყენს, ჩუმად არის, ცუდ გუნებაზეა — დედა კი ამას უბრალოდ უგუნებობას მიაწერს ან კუჭის ან ღვიძლის ტკივილს, და არა იმას, რომ მამა მეტისმეტად იტანჯება, ებრძვის საკუთარ თავს, საკუთარ სურვილს — წავიდეს და მიატოვოს მთელი ეს საძულველი ცხოვრება.

იასნაია პოლიანას მეგობრები და სტუმრები

ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს აწ გარდაცვლილ მეგობარს დუშან პეტრეს ძე მაკოვიცკის, მამაჩემის უოფილ ექიმსა და მეგობარს.

ნაწილობრივ, დუშან პეტრეს ძის დაყინებული თხოვნის შედეგად დავწერე ეს ნარკვევები. დუშან პეტრეს ძე თითქმის ყოველთვის ეხვეწებოდა ლევ ნიკოლოზის ძის ახლობელ ადამიანებს, ჩაეწერათ ყველაფერი, რაც გაახსენდებოდათ ლევ ტოლსტოიზე ან მასთან საუბრიდან.

თუკი ვინმე რომელიმე ეპიზოდის მოყოლას დაიწყებდა ლევ ტოლსტოის ცხოვრებიდან, დუშანი მაშინვე აღელდებოდა, ეხვეწებოდა მონათხრობი ჩაიწერეთო. „ახლავე ჩაიწერეთ, ნუ გადადებთ, წადით და ახლავე ჩაიწერეთ, თორემ დაგავიწყდებათ“, — ამბობდა იგი.

ბევრს რვეულს აძლევდა საჩუქრად და სთხოვდა „ჩანაწერები“ გაეკეთებინათ ლევ ნიკოლოზის ძეზე.

მიზეზთა გამო, რომელთა მოტანა აქ არ შეიძლება, მე არ ვიწერდი ხოლმე მამის საუბრებსა და საქციელს და ამიტომ სრულად ვერ განვახორციელე ღუშან პეტრეს ძის ოცნება „ჩანაწერებზე“. მაგრამ მინდოდა მამის მომსვლელებიდან ზოგიერთ პირთა ჩანახატები გამეკეთებინა. ამ წიგნში მხოლოდ რილი ნარკვევები შემთხვევით დაიწერა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში, მაგრამ უმეტესწილად ღუშან პეტრეს ძის წაქეზებით.

დაე მკითხველი ნუ გამკიცხავს სიჭრელის გამო. მე რომ დრო და შესაძლებლობა მქონოდა დამეწერა ნარკვევების ციკლი, რომლებიც ჩატკრებული მაქვს, მათ უფრო მიზანშეწონილად დავაჯგუფებდი; ვინ იცის, ეგების ოდესმე მოვახერხო ამის გაკეთება.

ივან სერგის ძე ტურგენევი

ჩემს სიყმაწვილეში ტურგენევი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი მწერალი გახლდათ. იმ ხანებში იგი უკვე წერდა და აქვეყნებდა და მისი ყოველი ახალი რომანის გამოჩენა უდიდესი მოვლენა იყო მთელი მკითხველი ახალგაზრდობისათვის. ახალგაზრდები მაშინვე ხარბად ეწაფებოდნენ ახალ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს. მგზნებარედ მსჯელობდნენ მის მიმართულებაზე, არჩევდნენ მისი გმირების ხასიათებს, და ახალგაზრდობა ისე ერწყმოდა რომანს, თითქოს ეს რომანი მისი ცხოვრების ნაწილი ყოფილიყო. საუბრისას კარგა ხანს ხმარობდნენ სიტყვებს მისი ახალი რომანიდან, და ყველანი არა მარტო ცდილობდნენ მიეხატათ ტურგენევის გმირებისათვის, არამედ ბევრი თავისდაუნებლიეთ კიდევ ემსგავსებოდნენ მათ.

ივან სერგის ძესთან ნაცნობობა უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა, ხოლო ჩვენ, როგორც მწერლის შვილებს, თითქოს უნდა გვქონოდა სხვებზე მეტად ამის შესაძლებლობაც და უფლებაც გვცნობოდა ტურგენევი, მაგრამ ამ სიხარულს მოკლებულნი ვიყავით, რადგან ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მამა და ტურგენევი წაჩხუბებულან. ჩხუბის მიზეზი არ ვიცოდით, ვიცოდით მხოლოდ ის ამბავი, რომ მამამ ტურგენევი ღუელში გამოიწვია, ტურგენევმა კი არ მიიღო ეს გამოწვევა.

ნახევრად ბავშვური სული, როგორიც იყო იმ ხანებში ჩემი სული, ახლოს არ იკარებდა ცრურწმენას — თითქოს წყენა სისხლმა უნდა ჩამორეცხოს. სავსებით თანავუგრძნობდი ტურგენევს, ვინაც უარი განაცხადა ღუელზე და ვერ მივმხვდარიყავი, რატომ ითვლებოდა ღუელზე უარის თქმა სირცხვილად.

შემდეგ გავიგე, რომ მამამ წერილი მისწერა ტურგენევს, თხოვდა დაევიწყებინა ძველი წყენა და შერიგებოდა.

მამა მიაშობდა, რომ ის პირველი წერილი ტურგენევისადმი ვილაც საერთო ნაცნობს გაატანა და დაიკარგა. ძალიან უკვირდა და სწყინდა კიდევ, როცა ეუბნებოდნენ, ტურგენევი შენდამი კეთილმეგობრულად არ არის განწყობილი.

მოგვიანებით, საკუთარი „სულიერი დაბადების“ გარდამავალ ხანაში, როგორც თვითონ უწოდებდა თავისი ცხოვრების ამ პერიოდს, რაკი სურდა

სახარების მოძღვრებას მიჰყოლოდა, მოისურვა შირიგებოდა ყველას, ვის-
თანაც რაიმე გაუგებრობა შემთხვეოდა. მან მეორე წერილი გაუგზავნა ტურგენ-
ევს. ეს წერილი ამჟერად მიიღო ტურგენევი და მამას ძალზე სასიამოვნო
პასუხი მოუვიდა.

ტურგენევი იწერებოდა, რომ მამას წერილმა იგი „გაახარა“ — „გული
აუჩუყა“. „უდიდესი სურვილი მაქვს და მზად ვარ განვაახლო ჩვენს ურთი-
ნოვან მშობრობა და მაგრად გართმევთ ხელს, თქვენ რომ გამომიწოდეთ“.

ზაფხულის დასასრულს — ეს იყო 1878 წელს — ტურგენევი პარიზიდან
რუსეთში უნდა დაბრუნებულიყო და შეგვპირდა, უსათუოდ შემოვივლითო.

იყო თუ არა იმ ზაფხულს, თუ მხოლოდ ერთი ან ორი წლის შემდეგ
მოვიდა, აღარ მახსოვს. მაშინ მოზარდი ვიყავი — ჯერ კიდევ მოუწიფავი, —
ტურგენევი კი მოხუცი მახსოვს. დიდ პირისახეზე არშიასავით შემოვლებო-
და ხშირი, ჭაღარა კულულები, თვალებში სიკეთე და ალერსი ჩადგომოდა.
მაგრამ დაღლილი. გამომეტყველება ჰქონდა და თავის ასაკთან შედარებით
უფროსი ჩანდა. როცა არაფერი არ შთააგონებდა, მისი უზარმაზარი სხეული
იღვენთებოდა, თვალები ჩაუქრებოდა და გულგრილად იყურებოდა. სწორედ
ეს კონტრასტი — რომელიც თავს იჩენდა ხოლმე მის მხიარულ ხასიათსა,
ცოცხალ მიხვრა-მოხვრასა, ბრწყინვალე საუბარსა და შინაგან სევდას შო-
რის, დროდადრო რომ გამოკრთებოდა საუბრის დროს და ხშირად სჩანდა
გამოხედვასა და თვალების გამომეტყველებაში — ტურგენევის ყველაზე და-
მახასიათებელი თვისება იყო.

ის, რასაც ტურგენევი ჯერ ისევ 1858 წელს სწერდა მამას ერთი წე-
რილის ბოლოს, გვარწმუნებს, რომ მისი სევდა გარეგანი კი არ იყო, არა-
მედ ღრმად ჰქონდა სულში გამჯდარი.

„...ეჰ, საყვარელო ტოლსტოი! — წერს იგი, — თქვენ რომ იცოდეთ,
როგორ მიმძიმს ცხოვრება და რა მოსაწყენია იგი! ჩემგან აიღეთ მაგალითი:
არ მისცეთ ცხოვრებას საშუალება გაგისხლტეთ ხელიდან და ღმერთმა და-
გიფაროთ გამოსცადოთ ამგვარი გრძნობა: რომ ცხოვრება უკვე გათავდა მა-
შინ, როცა იმასაც გრძნობთ, რომ იგი არც დაწყებულია, ხოლო წინ კი გაქვთ—
ახალგაზრდობის გაურკვევლობა სიბერის უნაყოფო სიცარიელესთან ერთად.
როგორ უნდა მოიქცეთ, ასეთ უბედურებაში რომ არ ჩავარდეთ, არ ვიცი. და
საერთოდ, იქნებ არც გიწერიათ ამ უბედურებაში ჩავარდნა! მიიღეთ მაინც
ჩემი გულწრფელი სურვილები ნამდვილი ცხოვრებისა და ჭეშმარიტი ბედ-
ნიერებისა. ამას გისურვებთ ღრმად და დამსახურებულად უბედური ადა-
მიანი...“ (ეს წერილი არ შესულა ტურგენევის წერილების კრებულში. და
საერთოდ, როცა მამაჩემისადმი გამოგზავნილ ტურგენევის ნამდვილ წე-
რილებს ვარჩევდი, დავინახე, რომ მრავალი მისი წერილი, — ჩემის აზრით—
ყველაზე საინტერესო — არ გამოუქვეყნებია ლიტერატურულ საზოგადო-
ებას ტურგენევის წერილების კრებულში. ვკითხე მამას ასე რად მოხდა-მეთ-
ქი? იმიტომ ხომ არა, რომ იმ წერილებს, რომლებიც არ დაბეჭდილა, უფრო
ინტიმური ხასიათი ჰქონდა, ვინემ სხვებს, რომლებიც დასაბეჭდად გადასცა-
მეთქი. მიბასუხა, რამდენადაც მახსოვს, ეს შემთხვევით მოხდა, ტურგენევი
დასაბეჭდად გადასცა ის წერილები, რაც ხელთ ჰქონდა, როცა მოსთხოვეს).

ტურგენევის შეხვედრა მამაჩემთან გულითადი და სასიხარულო იყო.
რამდენადაც მახსოვს და რამდენადაც შემეძლო მაშინ თვალი მიმედევნებია,

მამასა და ტურგენევის შორის აღსდგა ყველაზე მეგობრული და ყველაზე ნაზი ურთიერთობა, არც ერთ სერიოზულ საკითხზე აღარ საუბრობდნენ, თითქოს ცდილობდნენ მხოლოდ იმ საგნებზე ელაპარაკათ, რომელთა გამოც არ შეიძლებოდა მათ შორის უთანხმოება მომხდარიყო.

მახსოვს ტურგენევი ბევრს ეკამათებოდა იმხანად ჩვენთან მწერალ მყოფ თავადს ლ. დ. ურუსოვს, მაგრამ მამა ცოტას მოსწონებოდა ამ კამათში. პირიქით, რამდენადაც მახსოვს, მამა კეთილი ირონიით ეკიდებოდა ურუსოვის ცდებს, თავის რწმენაზე „მოექცია“ ტურგენევი.

ურუსოვი მამაჩემის ძალზე ახლო მეგობარი იყო. მათი ნაცნობობის პირველივე დღეებიდან იგი მამაჩემის შეხედულებათა მგზნებარე მომხრედ იქცა. ის, რასაც მამა წერდა და ამბობდა იმ ხანებში, ურუსოვის სულში მუდამ პოულობდა გამოძახილს, თითქოს მამა სწორედ იმას წერდა და ამბობდა, რაც თანხვდებოდა ურუსოვის რწმენასა და შეხედულებებს. ეს სწორედ რომ ახალი აღმოჩენა იყო ურუსოვისათვის. იგი მხოლოდ თვითონ კი არ ტკბებოდა საკუთარი მოქცევით, არამედ სურდა თავისი ბედნიერება გაენაწილებინა ყველასათვის, ვისაც კი შეხვდებოდა.

ურუსოვმა ჩვენს სახლში ტურგენევი რომ დაინახა, ვეღარ მოისვენა და სცადა მოექცია იგი. ტურგენევის კი კამათი სულაც არ სურდა. ცდილობდა აერიდებინა ურუსოვის გამომწვევი კილო, ერთხელ გავიგონე კიდეც, თუ როგორ შესჩიოდა მამას ურუსოვზე, თან კეთილად ეცინებოდა.

— სულა ჩემო, — ეუბნებოდა იგი, — ეს თქვენი ტრუბეცკოი (ურუსოვის ნაცვლად) ნამდვილად ჰკუიდან შემშლის.

როგორც ჩანს, ტურგენევის სურდა, ჩვენს სახლში დაესვენა, მას უფრო სიამოვნებდა ჩვენთან ერთად სეირნობა, ჩემს ძმასთან ჭადრაკის თამაში, დეიდაჩემის სიმღერის მოსმენა და საუბარი ყველაფერზე, ოღონდ არა ფილოსოფიურ საკითხებზე.

მახსოვს ბევრს საუბრობდნენ ლიტერატურაზე.

რათა შეემოწმებინა ვისიმე მხატვრული ალლო, ტურგენევი ყოველთვის ამას ეკითხებოდა:

— პუშკინის „ღრუბელში“ რომელი სტრიქონია ცუდი?

მახსოვს მამამ მაშინვე დაუსახელა: «И молния грозно тебя обвивала».

— რასაკვირველია! — დაუდასტურა ტურგენევმა, — როგორ შეეძლო პუშკინს ასეთი ლექსი დაეწერა? ელვა არ ეხვევა, ეგრაგნება — «обвивала» ეს არ ქმნის სურათს...

მახსოვს, ამის შემდეგ იგივე შეკითხვა ფეტს გაუმეორა. ფეტი ოთახში არც იყო შემოსული და მამას გამარჯობაც არ ეთქვა, რომ შეეკითხა:

— აბა, ერთი, ათანას ათანასეს ძევ, პუშკინის „ღრუბელში“, რომელი სტრიქონია ცუდი?

ფეტი არც დაფიქრებულა, მაშინვე მშვიდად უპასუხა:

— რასაკვირველია, «И молния грозно тебя обвивала»...

ტურგენევი ბევრს ლაპარაკობდა მოპასანზე, აღფრთოვანებული იყო მისი ნაწარმოებებით და გვიამბობდა მისი ცხოვრების ამბებს. მან პირველმა მიუთითა მამაჩემს მოპასანზე, როცა მოპასანი ჯერ კიდევ დამწყები, ახალგაზრდა მწერალი იყო.

ტურგენევმა მისცა მამას მოპასანის რომანი „La maison Tellier“.

ლები უმწეოდ უყანყალებს, პირისაზე ნაცემი და დასისხლიანებული აქვს. ველური, ჩახრინწული ხმით იგინება. მეეტლე დააკვირდა გლეხს, კოფოზე მჯდარი შებრუნდა ტურგენევისაკენ და შენიშნა: ხელით ნამუშევარი, ივან სერგეის ძე.

ერყენული

მახსოვს ტურგენევი ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, ადრეულ-განუცხულზე, საზიდარზე იჯდა დედასა და მამასთან ერთად.

შელამებულა. მამა თოფით ხელში (მაშინ იგი ჯერ ისევ ნადირობდა) ველზე, წვრილ, ჯერ გაუშლელ ვერხვნარში დგას, შორიახლოს — დედაჩემი და ივან სერგეის ძე დგანან. ჩვენ ბავშვები იქვე, არც ისე შორს, კოცონს ვანთებთ ხმელი ტოტებისაგან. ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობენ, რათა არ დააფრთხონ აქეთ მომფრინავი ტყის ქათმები.

ბედმა გაუღიმათ. ისმის რალაცნაირად მსუბუქი, გამჭვირვალე სტვენა ტყის ქათმებისა და შემდეგ დამახასიათებელი კრიახი. ამ წუთებში ყველანი ყურდაცქვეტილნი და სუნთქვაშეკრულნი არიან... ბახ! — გაისმის სროლა... მეძებარი ძალღი წრიალებს და გარბის მოკლული ფრინველის საძებნელად. შემდეგ ისევ ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

ტურგენევის ბეზრდება ჩუმად ყოფნა და ნელა ელაპარაკება დედაჩემს. მათ საუბარში გამოერია სიტყვა „სიყვარული“, რამაც ჩემი ნახევრად ბავშვური გული ააღელვა და უფრო ძალუმაღ ააძგერა. (ტურგენევი დედაჩემს ეუბნებოდა, რატომ ვეღარ წერდა რომანებს. ეუბნებოდა, სიყვარულზე წერა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თვითონ თრთი სიყვარულისაგან. და რაკი ეს სიყვარული ვეღარ მითრთოლებს გულს, მასზე წერაც აღარ შემიძლიაო).

რას ამბობს ნეტავი ეს ლამაზი მოხუცი სიყვარულზე? რა როლი შეასრულა სიყვარულმა მის ცხოვრებაში? ბუნდოვნად ვიცი, დიდებული მომღერალი ქალი რომ უყვარდა დიდხანს და ძალიან ერთგულად, — წარმოვიდგინე, როგორ არაჩვეულებრივად პოეტური და ამაღლებული სიყვარული უნდა ჰქონოდათ და რაოდენ ბრწყინვალე და შინაარსიანი იქნებოდა მათი ცხოვრება პარიზში, ამ დედაქალაქთა დედაქალაქში.

საღამოვდება. ნესტი და სიბნელე მოიპარება. ტყის ქათმები არ მოფრინავენ და ჩვენც შინ ვბრუნდებით.

ტურგენევის ჩამოსვლა იასნაია პოლიანაში 1881 წლის ზაფხულში უფრო ცხოვლად მახსოვს და რამდენიმე სურათი ჩამრჩა გონებაში.

დილაა. მივედი სახლის წინ მდგარი ტირიფის ძირას ყავის დასაღევად და რას ვხედავ: გრძელ ძელზე, დიდ ჩილიკაზე რომ არის გადებული შუაში, ერთი მხრიდან მამაჩემი ხტება, მეორე მხრიდან — ტურგენევი. ყოველ ახტომაზე ძელი გადაიწონება და ზევით ისვრის საპირისპირო მხარეზე მდგარს. ხან მამა აფრინდება მაღლა, ხან — ტურგენევი. მაღლა ამხტარი ისევ ძელზე ეცემა ფეხებით და გადაწონის ხოლმე, მაშინ კი საწინააღმდეგო ბოლოში მდგარი ახტება მაღლა და ა. შ.

ტურგენევის ნეკრესის ქარები აწუხებდა და ამიტომ უზარმაზარ, ძალიან ფართო ცხვირიან ფეხსაცმელებს იცვამდა, ყოველ ახტომაზე ერთმანეთზე მიდგმული ორი უზარმაზარი ფეხი ხვდება ძელს და ირხევა მშვენიერი ჭალარა კულულები. დღემდე ნათლად ვხედავ ამ ორ დამახასიათებელი აღნაგობის ადამიანს, ბავშვური გასართობით გატაცებულთ.

მეორე სურათი: ტურგენევი ურუსოვს ეკამათება. ისინი სასადილოში

სხედან ჩაის მაგიდასთან. ურუსოვი ისე აღგზნებული უმტკიცებდა რაღაცას, რომ სკამიდან ჩამოცურდა და ახლა იატაკზე მჯდარი განაგრძობდა კამათს, მაგიდის ქვეშედან რაღაცას ხელით უჩვენებდა და თან უყვიროდა ტურგენევს. ივან სერგეის ძემ ვეღარ მოითმინა და სიცილისაგან გადაკოტრილდა, რის შემდეგაც კიდეც შეწყდა კამათი, რაც ტურგენევისათვის შეტად წაესო.

ამ ზაფხულს იასნაია პოლიანაში მეფობდა ხალისი, სიმღერები, ცეკვები, რომანების სულისკვეთება — ერთი სიტყვით, სულისკვეთება ადრეული სიჭაბუკისა. ფლიგელში ცხოვრობდა დეიდაჩემი ტ. ა. კუზმინსკაია თავისი ოჯახითურთ და მათ გარდა სახლში უამრავი ახალგაზრდა იყო სტუმრად. ყველანი მოზარდები ვიყავით და ერთმანეთზე შეყვარებულნი. თითქმის ყოველ საღამოს ვცეკვავდით და დეიდაჩემი მღეროდა. მას მშვენიერი ხმა ჰქონდა. ჩემი უფროსი ძმა მიუჯდებოდა ფორტეპიანოს სააკომპანიმენტოდ, სხვები კი დავსხდებოდით დარბაზის ღია ფანჯრებთან და ვუსმენდით. მახსოვს ზაფხულის ამ საღამოებში სული მეფლითებოდა მღელვარებისაგან, რაღაც გაურკვეველი ოცნებებისა და გრძნობებისაგან, რაღაც ტკბილი ნაღველისაგან, რასაც მომახვევდა ხოლმე დეიდაჩემის მშვენიერი ხმა და რომანსების მგზნებარე სიტყვები.

ერთ საღამოს ცეკვები გაიმართა და ტურგენევმა დედა გაიწვია კადრილის საცეკვაოდ. მახსოვს, უცებ ერთ-ერთი ფიგურის შესრულების დროს ხელის ცერა თითები გაუყარა ჟილეტის ჭრილში და კანკანის რამდენიმე ძალზე სასაცილო ილეტი გააკეთა. ყველანი აღფრთოვანდით, მე კი ჩემს მეწყვილესთან ერთად ივან სერგეის ძის *Vis-a-vis* ვიყავი, და უბრალოდ, სიხარულისაგან თავგზა მქონდა დაკარგული.

დეიდაჩემის სიმღერას ტურგენევი მუდამ აღფრთოვანებული ისმენდა.

— რა უბედურება მჭირს! — მითხრა ერთხელ, — ყველა სხვა მუსიკაზე მეტად სიმღერა მიყვარს, თვითონ კი ყელში ხმის ნაცვლად საყმაწვილო-იანი გოჭი მიზის.

მახსოვს ერთ საღამოს, აღგზნებულნი სიმღერებისა და ცეკვების შემდეგ, ყველანი ანუ მთელი ახალგაზრდული ჯგუფი ერთად ვისხედით და რაღაცაზე ჩუმად ველაპარაკებოდით ერთმანეთს. ტურგენევმა დაგვინახა, მოვიდა და ჩვენთან ერთად დაჯდა.

— აი რას გეტყვით, — გვითხრა მან, — მოდით თვითნებულმა ჩვენთანმა გვიამბოს თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებზე.

გადავწყვიტეთ, ივან სერგეის ძეს დაეწყო მოყოლა. დაგვეთანხმა და ერთი თავისი სიყვარულის ამბავი გვიამბო. თავდაპირველად იგი უბედური იყო, ეჭვი აწამებდა და ორჭოფობდა, მაგრამ ერთხელ, როცა თვალებში ჩახედა საყვარელ ქალს და მის მზერას შეეფეთა, იმდენი სიყვარული გამოკრთოდა ამ თვალებში, რომ ტურგენევმა იგრძნო, დასრულდა მისი ტანჯვა და შემდგომშიც, როცა კი ამ შემთხვევას იგონებდა, სწორედ ამ წუთს მიიჩნევდა თავისი ცხოვრების უბედნიერეს წუთად.

ტურგენევის ამ ნაამბობის შემდეგ თვითნებულ ჩვენთანმა, რომელსაც ან მართლა უყვარდა ვინმე, ან თავი შეყვარებული ეგონა, ხან თვითონ ვიყურებოდით ასეთი თვალებით, ხან სხვის თვალებში ვიჭერდით სიყვარულის

მზერას და წარმოვიდგენდით ხოლმე, რომ ჩვენი ცხოვრების უბედნიერეს წუთს განვიცდიდით.

იასნაია პოლიანადან რომ გაემგზავრა, ტურგენევი წერილში გამოუგზავნა მამას, და მათ შორის ისევ გაჩაღდა მიწერ-მოწერა. თითქმის ყოველ წერილში ტურგენევი პირდაპირ ანდა მინიშნებით თხოვდა მამას მოეკიდა ხელი ლიტერატურული შრომისათვის.

1882 წლის 14 მაისით დათარიღებულ წერილში იგი სწერს მამას:

„ძვირფასო ტოლსტოი! არ შემიძლია გადმოგცეთ, როგორ ამიჩუყა გული თქვენმა წერილმა. გეხვევით წერილის თვითნაირი სიტყვის გამო. ჩემი ავადმყოფობა *angine pectorale goutteuse*, — რომლის ლამის მადლობელი ვარ, იმდენი თანაგრძნობა მივიღე, — საშიში სულაც არ არის, თუმცა კი საკმაოდ შემაწუხებელია. მთავარი უბედურება ის არის, მკურნალობას ცუდად ემორჩილება და შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს და მოძრაობის შესაძლებლობაც წამართვას. ეს ავადმყოფობა განუსაზღვრელი ვადით მაშორებს ჩემს გამგზავრებასთან სპასკოეში. მერე როგორ ვემზადებოდი იქ გამგზავრებლად! მაგრამ ყოველგვარი იმედი ჯერ კიდევ არ არის დაკარგული. რაც შეეხება ჩემს სიცოცხლეს, ალბათ კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ, თუმცა ჩემთვის უკვე ყველაფერი დამთავრებულია. თქვენ კი კიდევ დიდხანს უნდა იცოცხოთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლე მაინც კარგი რამ არის, არამედ იმიტომაც, რომ დაასრულოთ საქმე, რისთვისაც ხართ მოწოდებული და რომლის ოსტატიც თქვენს გარდა სხვა არავინ გვყავს. ვიგონებ შარშანდელ თქვენს სანახევროდ დაპირებას — და არ მინდა ვიფიქრო, რომ არ შეასრულებთ. ბევრი წერა არ შემიძლია, მაგრამ თქვენ ვესმით ჩემი...“

იმავს წლის სექტემბერში ტურგენევი წერს:

„...გავიგე, რომ თქვენი სტატია, „რუსეთის მისლში“ რომ უნდა გამოქვეყნებულიყო, ცენზურის განკარგულებით დაწვეს. იქნებ ანაბეჭდი გადაგიჩაოთ. ხომ არ დამდებთ პატივს და ხომ არ გამომიგზავნით აქ (უმჯობესია პარიზში, 50, rue de Dounai) ფოსტით? წავიკითხავ და მაშინვე უკან დაგიბრუნებთ. ძალიან მინდა ამ სტატიის წაკითხვა.“

ამ წერილს იასნაია პოლიანაში გიგზავნით, რადგან გვარაუდობ, რომ თქვენ, ვიდრე არ დაზამთრდება, მოსკოვში არ დაბრუნდებით. აღარ გეკითხებით, ხომ არ შეუდექით მხატვრულ საქმიანობას, რადგან ვიცი ეს საკითხი არც მაინცდამაინც გსიამოვნებთ, მაგრამ ძალიან მსურს რაიმე ვიცოდეთ თქვენზე, თქვენს ჯანმრთელობაზე, ისევე როგორც ყველა თქვენიანზე, რომელთაც, გთხოვთ, გადასცეთ ჩემი სალამი“.

მამამ ერთი ნაცნობი მანდილოსნის ხელით გაუგზავნა ტურგენევის პარიზში თავისი „აღსარება“, თან სთხოვდა ტურგენევის წაეკითხა ეს წიგნი და კი არ გაბრაზებულიყო, არამედ ცდილიყო მის თვალსაზრისზე დამდგარიყო და გაეგო მისი.

ტურგენევი ასე უპასუხა:

„თქვენ სტატიას რომ სწორედ ისე წავიკითხავ, როგორც თქვენ გსურთ, ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ვიცი, ამ სტატიას წერდა ძალიან ჭკვიანი, ძალიან ნიჭიერი, ძალიან გულწრფელი ადამიანი. შემიძლია არ დავეთანხმო, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, შევეცდები გავიგო და სწორედ მის ადგილზე დავდგე. ეს ჩემთვის ჭკუისსასწავლიც იქნება და საინტერესოც, ვიდრე ის,

რომ საკუთარი არშინით გავზომო, ანდა გეძებო, რა განსხვავებანი არსებობს ჩემსა და მას შორის. გაბრაზება კი სრულიად წარმოუდგენელია. ბრაზობენ მხოლოდ ახალგაზრდები, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ სინათლე იმდენია, რამდენიც მათ ფანჯრებში შემოდის. მე კი ამ დღეებში 64 წლისა ვიყავი სრულდები. ხანგრძლივი ცხოვრება გასწავლის, ყველაფერს ეჭვის თვალით არ შეხედო (რადგან ყველაფერზე ეჭვის თვალით შეხედვა ნიშნავს — მხოლოდ საკუთარი თავისა გწამდეს), ხოლო საკუთარ თავში დაეჭვება, — ნიშნავს სხვა რამ იწამო და გჭირდებოდეს კიდევაც. აი ასეთი სულისკვეთებით წავიკითხავ თქვენს ნამოლვაწევს“.

„...ისევ შევუდექი შრომას. როგორ გავიხარებდი, რომ გამეგო, თქვენც ასევე შეუდექით-მეთქი მუშაობას. რასაკვირველია, მართალი ბრძანდებით, უწინარეს ყოვლისა საჭიროა იცხოვრო როგორც საჭიროა, მაგრამ ერთი ხომ ხელს არ უშლის მეორეს...“

მაგრამ ტურგენევი, ჩანს, ვერ გაიგო „აღსარება“ და არ გაიზიარა მამის შეხედულებები. მამას მისწერა:

„მინდოდა დიდი წერილი მომეწერა თქვენთვის თქვენი „აღსარების“ პასუხად, მაგრამ არ დამისრულებია და არც დავასრულებ, სწორედ იმიტომ, რომ კამათის კილო არ მიეცეს...“

იმავლე დროს გრიგოროვიჩის ატყობინებდა თავის აზრს „აღსარებაზე“.

„ამ დღეებში მივიღე ერთი ძალზე მომხიბვლელი მოსკოველი ბანოვანის ხელით გამოგზავნილი ის „აღსარება“ ტოლსტოისა, რომელიც ცენზურამ აკრძალა. უდიდესი გულისყურით წავიკითხე: შესანიშნავი რამ არის გულწრფელობით, სიმართლითა და დამარწმუნებელი ძალით. მაგრამ მთლიანად არასწორ წანამძღვრებზეა აგებული — და, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი მიჰყავს ყოველგვარი ცოცხალი ადამიანური ცხოვრების ყველაზე პირქუშ უარყოფასთან... ესეც თავისებური ნიპილიზმია და მაინც ტოლსტოი — მედროვე რუსეთის ლამის ყველაზე გამოჩენილი ადამიანია“...

სხვებივით მეც ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს, რა არის მიზეზი ასე ხშირად რომ ჩხუბობდნენ-მეთქი მამა და ტურგენევი?

ლიტერატურულ პაექრობაზე, მგონია, სალაპარაკოც არაფერია. ტურგენევიც მაშინვე, როგორც კი მამამ პირველივე ნაბიჯები გადადგა ლიტერატურულ სარბიელზე, აღიარა მისი უდიდესი ნიჭი და არც არასოდეს უფიქრია მეტოქეობა გაეწია მისთვის. იმ ხნიდან მოკიდებული, როცა ჯერ კიდევ 1854 წელს სწერდა კოლბასინს: — „ღმერთმა მხოლოდ სიცოცხლე აცადოს ტოლსტოის და მე მტკიცედ მწამს, კიდევ გაგვაკვირვებს სუყველას“, — იგი განუწყვეტლივ აღევნებდა თვალს მამაჩემის ლიტერატურულ მოღვაწეობას და მუდამ აღფრთოვანებული აქებდა.

„როცა ეს მაჭარი დაღვინდება, — სწერს ტურგენევი 1856 წელს დრუჟინინს, — ღმერთების საკადრისი სასმელი დადგება“.

1857 წელს კი პოლონსკის სწერს:

„ეს ადამიანი შორს წავა და ღრმა ნაკვალევს დატოვებს“.

და ამასთან ერთად ეს ორი ადამიანი ვერასოდეს ვერ ეწყობოდა ერთმანეთს.

როცა კითხულობ ტურგენევის წერილებს (მამისადმი გამოგზავნილს, ხედავ, რომ გაცნობისთანავე მათ შორის გაუგებრობამ იჩინა თავი, რომლის და-

ვიწყებას და შენელებას მუდამ ცდილობდნენ, მაგრამ ზოგჯერ ცოტა ხნის მერე გაუგებრობა ისევ იჩენდა თავს, ისევ თავიდან უნდა გაერკვიათ ურთიერთობა და შერიგებულიყვნენ.

1856 წელს ტურგენევი სწერს მამას:

„თქვენი წერილი საკმაოდ გვიან მივიღე, საყვარელო ჩემო ნიკოლოზის-ძევ... დავიწყებ იქიდან, რომ ფრიად მადლობელი ვარ თქვენი, ცალკე იმისათვის, რომ წერილი დაწერეთ და იმისთვისაც, რომ გამომიგზავნეთ. მუდამ მეყვარებით და დავაფასებ თქვენს მეგობრობას, თუმცა თვითნებური ჩვენთაგანი ერთმანეთის გვერდით კიდევ დიდხანს იგრძნობს მცირე უხერხულობას და ეს ალბათ ჩემი ბრალია... საიდან წარმოდგება ეს უხერხულობა, ახლა რომ ვახსენე, ვფიქრობ, თვითონვე გესმით. ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისთანაც გაუგებრობა მომიხდა. და ეს სწორედ იმის გამო, რომ არ მინდოდა მხოლოდ უბრალო კეთილმეგობრული დამოკიდებულებით შემოვფარგლულიყავი, — უფრო შორს და უფრო ღრმად წასვლა მოვინდომე, მაგრამ ეს ფრთხილად ვერ გავაკეთე, შეგეხეთ, შეგაშფოთეთ და რაკი საკუთარი შეცდომა შევამჩნიე, უკან დავიხიე, ეგების ვიჩქარე კიდევ. აი, რამ წარმოშვა ეს „უფსკრული“ ჩვენს შორის. მაგრამ ეს უხერხულობა მხოლოდ ფიზიკური შეგრძნებაა და მეტი არაფერი. და თუ როცა შეგხვდებით, თვალებში ისევ დაიწყებენ ხტუნვას ჭინკა ბიჭები, განა იმიტომ, რომ ცუდი ადამიანი ვარ. გარწმუნებთ, სხვაგვარად ამის ახსნა არ შეიძლება. მხოლოდ აქვე დავსძენ, რომ გაცილებით ხნიერი ვარ თქვენზე, სხვა გზით მოვდიოდი...“

გარდა საკუთარი, ეგრეთწოდებული ლიტერატურული ინტერესებისა, — ამაში დავრწმუნდი, შეხების წერტილი ძალზე ცოტა გვაქვს. მთელი თქვენი ცხოვრება მომავლისაკენ მიისწრაფის, მთელი ჩემი ცხოვრება კი წარსულზეა დაფუძნებული... შეუძლებელია თქვენ გამოგყვეთ, ვერც თქვენ გამომყვებით — ესეც შეუძლებელია. მეტისმეტად დაშორებული ხართ ჩემგან და ამას გარდა, თვითონაც ძალზე მყარად დგახართ საკუთარ ფეხზე, რომ სხვისი მიმდევარი გახდეთ. შემიძლია დაგარწმუნოთ, არასოდეს მიფიქრია, რომ თქვენ ბოროტი ხართ, არც არასოდეს შემპარვია ეჭვი, რომ ლიტერატურული შურითა ხართ შეპყრობილი. მე თქვენ (მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის) გაბრალებთ ბევრ რასმე უაზრობას, მაგრამ არასოდეს ცუდი არაფერი მიფიქრია. თქვენ კი თავად მეტისმეტად შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, რომ არ იცოდეთ, ჩვენ ორში თუ ვინმეს უნდა შურდეს მეორესი, — ყოველ შემთხვევაში, მე არა...“

მომდევნო წელს ტურგენევი მამას წერილს უგზავნის, რომელიც, ჩემის აზრით, მამაჩემისა და ტურგენევის ურთიერთობის გასაღებს წარმოადგენს.

„...მწერთ, ფრიად კმაყოფილი ვარ, რომ არ დავუჯერე თქვენს რჩევას და არ გავხდი მხოლოდ ლიტერატორი. არ გეკამათებით, ეგების მართალიც ხართ, მაგრამ მე, ცოდვილი ადამიანი, რამდენსაც არ ვიმტვრევ თავს, ვერაფრით ვერ მომიფიქრებია, ვინა ხართ თქვენ, თუ არა ლიტერატორი? ოფიცერი? მეამბულე? ფილოსოფოსი? ახალი რელიგიური მოძღვრების ფუძემდებელი? ჩინოვნიკი? საქმოსანი? გეთაყვათ, გამომიყვანეთ ამ მძიმე მდგომარეობიდან და მითხარით, რომელია უფრო მართალი ამ ჩემი ვარაუდიდან?“

ვხუმრობ, სინამდვილეში კი ძალიან მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს, გასცუ-
როთ ბოლომდე გაშლილი იალქნებით“...

ასე მგონია, ტურგენევი, როგორც მხატვარი, მამაჩემში ხედავდა მხო-
ლოდ მის უზარმაზარ ლიტერატურულ ტალანტს და არ უნდოდა ელიარებინა,
რომ ტოლსტოის ჰქონდა უფლება გარდა მხატვარი-ლიტერატორისა სხვა რა-
მეც ყოფილიყო. მამაჩემის ყოველგვარი სხვა მოღვაწეობა თვითონვე გულს
ტკენდა ტურგენევს, და ბრაზობდა, რომ მამა ყურად არ იღებდა მის რჩევა-
დარიგებას და მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობას არ მისდევდა. ტურგე-
ნევი მამაჩემზე ბევრად უფროსი იყო, ვაჟკაცურად აღიარა, ნიჭიერებით მას-
ზე დაბლა რომ იდგა და მხოლოდ ერთს მოითხოვდა მამისგან — მთელი თა-
ვისი სასიცოცხლო ძალა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიეძღვნა.

მამას კი მისი დიდსულოვნებისა და მორჩილების გაგონებაც არ სურდა,
ყურს არ უგდებდა და იმ გზას მიჰყვებოდა, საითკენაც მიუთითებდა საკუ-
თარი სულიერი მოთხოვნილებები. თვითონ ტურგენევი გემოვნებითა და ხა-
სიათით სავსებით საწინააღმდეგო ბუნებისა გახლდათ, ვიდრე მამაჩემი. რამ-
დენადაც ბრძოლა საერთოდ შთააგონებდა და ძალას აძლევდა მამას, იმდე-
ნადვე უცხო იყო ეს ტურგენევისათვის.

ეფიქრობ, ის ამბავი, რომ ტურგენევი ხალისით მიემგზავრებოდა ხოლ-
მე რუსეთიდან და საზღვარგარეთ ცხოვრობდა, დამყარებული იყო სწორედ
იმასზე, რომ მას ბრძოლისა ეშინოდა. მოვლენები, რომლებიც იმ ხანებში ვი-
თარდებოდა რუსეთში, ტურგენევს არ მოსწონდა. ამბობდა, რუსეთში მტერი
მყავს — ბატონყმობაო. მაგრამ რაკი ბრძოლის სურვილი არ ჰქონდა, ვფიქ-
რობ, გაუცნობიერებლად, ერჩივნა გაშორებოდა ყოველივე იმას, რაც მას
აწამებდა, სტანჯავდა, ვინემ ბრძოლაში ჩაბმულიყო. შორიდან უთვალთვა-
ლებდა რა ხდებოდა რუსეთში და ემზადებოდა რუსეთის ცხოვრებაში მონა-
წილეობა მიეღო, მაგრამ მრავალი მისი გეგმა გეგმადვე დარჩა.

„...გადავწყვიტე მთელი მომავალი წელიწადი მივუძღვნა გლეხებთან სა-
ბოლოო გაყოფის საქმეს, — სწერს ივან სერგეის ძე მამას 1857 წლის ნო-
ემბერში, — თუნდაც ყველაფერს მათ მივცემ, „ბატონი“ კი აღარ ვიქნები.
ეს სავსებით მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, და სოფლიდან არსად წავალ,
ვიდრე ყოველივეს არ დავასრულებ...“

მომდევნო წელიწადს 17 (29) იანვარს ტურგენევი რომიდან ატყობინებს
მამას:

„აღსრულდა თითქმის, რასაც დიდი ხანია ველოდებით, — და ბედნიერი
ვარ, ამ დროს რომ მოვესწარი. აღარაფერს გეტყვით იმ საკითხზე, რამაც
აღბათ, უკვე ყურები გამოგიჭედათ, მაგრამ ვარწმუნებთ, რომ ეს საქმე ლა-
მის უფრო მეტად გვაინტერესებს, ვიდრე თქვენ ყველას, რომლებიც მანდ
იმყოფებით. ყოველ ახალ ამბავს ხარბად ვეწაფებით, ლაპარაკსა და კამათს
დასასრული არა აქვს. მე კიდევ მემორიალი დავწერე, გავგზავნე უკვე (ეს
ჩვენს შორის დარჩეს. საქმე ეხება ჟურნალის დაარსებას, მხოლოდ გლეხთა
საკითხის დამუშავებას რომ მიეძღვნება), ერთი სიტყვით, ყველანი ციბრუ-
ტივით დავტრიალდით წერილი გავუგზავნე ჩვენს წინამძღოლს...“

რამდენადაც ვიცი, ტურგენევმა ვერც ერთი განზრახვა ვერ განახორცი-
ელა. ხელოვნება მთლიანად ნთქავდა მის ცხოვრებას და სხვა ყველაფერი მის-
თვის მხოლოდ თანაური საქმე იყო.

თუმცა მამაჩემისათვის ნიშანდობლივი ეთიკური მისწრაფება, ვფიქრობ, საკმაოდ უცხო იყო ტურგენევისათვის, იგი მაინც ძალზე აფასებდა მამასთან ურთიერთობას და მუდამ ცდილობდა კეთილგანწყობილება შეენარჩუნებინა.

ქართულად

„არ ეგების მიწერ-მოწერა შევაჩეროთ, — წერდა მამაჩემი წელს, — გვითხარით, რას აკეთებთ? იქნებ ისევ გაგიტაცათ დათვების განადგურების საქმემ, როგორც ოდესღაც მეურნეობამ, მეტყვევებამ გაგიტაცათ და ა. შ.“ 1861 წლის მარტში ტურგენევი წერს:

„ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, საყვარელო ტოლს-ტოი, რომ თქვენმა წერილმა ძალზე გამახარა. წერილმა მაგრძნობინა, რომ დასრულდა მტრული თუ არა, გულცივი დამოკიდებულება მაინც, ჩვენს შორის რომ სუფევდა. განვლილ გაუგებრობებს წერტილი დაესვა.“

მაგრამ როგორც კი მათ შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება, ტურგენევი მაშინვე უბრუნდება თავის შეგონებებს. ზემოთ მოტანილი წერილის შემდგომ, აი რას სწერს მამას:

„...გამახარა იმის გაგებამ, რომ ხელოვნებას უბრუნდებით: თვითნებური ადამიანი ისე შეუქმნია ღმერთს, რომ მან ერთი საქმე უნდა აკეთოს. დახელოვნება ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ნიშანია. თქვენი ხელობა კი, უწინარეს, ხელოვნებაა; ეს რასაკვირველია, არ გამორიცხავს, რომ შეგიძლიათ პედაგოგობასაც მისდიოთ, განსაკუთრებით ისეთი პირველყოფილი სახის პედაგოგიას, როგორიც შესაძლებელია და სჭირდება ჩვენს რუსეთს.“

და ბოლოს, ლამის სიკვდილის წინა დღით, ფანქრით სწერს მამას თავის ბოლო წერილს, ძალა არ შესწევს ხელი მოაწეროს სისუსტის გამო და ხელმოწერის ნაცვლად ვერ ამთავრებს სიტყვას „დავიღალე“... სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე უგზავნის მამას წერილს, რათა უთხრას, რაოდენ მოხარული იყო, რომ წილად ხვდა ყოფილიყო მისი თანამედროვე და გააგებინოს თავისი უკანასკნელი გულწრფელი თხოვნა. „ჩემო მეგობარო, დაუბრუნდით ლიტერატურულ მოღვაწეობას, — თხოვს იგი და ისევ იმეორებს: — ჩემო მეგობარო, რუსეთის მიწაწყლის დიდო მწერალო, ყურად იღეთ ჩემი თხოვნა...“

რამდენადაც ვიცი, მამას უბასუხნია ამ წერილზე, ორ თვეში კი ტურგენევი აღარ იყო ცოცხალი...

ნიკოლაი ნიკოლაის ძე გე

პირველად ნ. ნ. გე მოსკოვში ენახე, ჩვენს სახლში, 1882 წელს.

მაშინ ის-ის იყო თვრამეტი წელი შემისრულდა. მახსოვს, საციგურაოდან დავბრუნდი, ციგურები ხელში მეჭირა, მამის კაბინეტისაკენ გავემართე და რომელიღაც შინაურმა მითხრა, მასთან მხატვარი გე არისო. მითხრეს, იგი საგანგებოდ მამის გასაცნობად ჩამოვიდა თავისი მამულიდან, ჩერნიგოვის გუბერნიიდან.

მამამ წარმადგინა ნიკოლაი ნიკოლაის ძესთან, რომელიც ალერსიანად მომესალმა და მამას მიუბრუნდა:

— თქვენ ისე დიდად გაისარჯეთ ჩემთვის და ისე მიყვარხართ, რომ

სანაცვლოდ მეც მინდა რაიმე გაგიკეთოთ, რაც ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატება, აი, მეც დავხატავ თქვენს ქალიშვილს.

თავით ჩემზე ანიშნა. შემდეგ ორი-სამი შეკითხვა მომცა და მაშინვე მისდამი ნდობა და სიახლოვე ვიგრძენი.

მაშინ ორმოცდათერთმეტი წლისა იყო უკვე თითქმის მთავარი ტეზის, საფეთქლები გასჭაღარავებოდა, მაგრამ თვალები ახალგაზრდულად უბრწყინავდა.

იმ ხანებში მხოლოდ ის ვიცოდი, რომ გე დიდი მხატვარი იყო, აკადემიაში აღზრდილი და თავისი ნახატისათვის „საიდუმლო სერობა“ სახელმწიფო ხარჯზე იტალიაში გაგზავნეს. ვიცოდი, რომ ის იყო ყველაზე უფრო დიდი მოღვაწე და დამაარსებელი „მოძრავი გამოფენების“. და იმავე წლის გაზაფხულზე, როცა გავიცანი, სრულიად რუსეთის გამოფენაზე ვნახე „საიდუმლო სერობა“ და მეორე ცნობილი სურათი „პეტრე პირველი და მეფისწული ალექსეი“. ორივე ნახატმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ამიტომ გეს გაცნობა ჩემთვის ფრიად საგულისხმო ამბავი იყო.

მისმა სურვილმა, დავეხატე, ფრიად მაამა, მაგრამ მაშინვე სთხოვა დედაჩემის სურათი დავხატა.

დაუხანებლად, იმავე თუ მეორე დღეს, დაიწყო სეანსები.

ნიკოლაი ნიკოლაის ძესთან ერთად ჩამოვიდა მისი მეუღლე ანა პეტრეს ასული. ტანდაბალი, ქერაკუთულებიანი მანდილოსანი, ვინაც ძალზე გაბედული და შეუბოვარი იყო, როცა რაიმეს ამტკიცებდა, ამიტომ ქმარი ხუმრობით „პროკურორს“ ეძახდა. თავისი ქმრის მსგავსად ანა პეტრეს ასულმაც ძალზე სწრაფად გამონახა ყველასთან საერთო ენა.

ანა პეტრეს ასული მუდამ ესწრებოდა ქმრის მუშაობას და ისიც ხშირად ეკითხებოდა ხოლმე რჩევას.

— აბა, ანუკა, — ეტყოდა ქმარი, — მოდი ერთი ნახე, რა ვერ გავაკეთე კარგად.

ანა პეტრეს ასული დაჟდებოდა მის ადგილას, შეხედავდა ჯერ პორტრეტს, მერე დედაჩემს და თავის მშვიდ, მაგრამ შეუვალ კილოზე ეტყოდა შენიშვნებს. თითქმის ყოველთვის ეთანხმებოდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე და მაშინვე შეასწორებდა ნახატს.

უცხოთაგან შენიშვნების მიცემის განსაკუთრებული უფლება ჰქონდა ჩემს უფროს ძმას, იმხანად სტუდენტს. ყოველდღე გამოძებნიდა ხოლმე რაიმეს გასაკრიტიკებელს და გეც მორჩილად უსმენდა. ხან ეტყოდა, დედაჩემი სარგადაყლაპულივით ზისო, ხან მეტისმეტად ახალგაზრდად გამოიყურებაო.

ნიკოლაი ნიკოლაის ძე სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, უყვიროდა: „ბარბაროსო! ბოროტო!“ მაგრამ მაინც უცვლიდა პოზას და პირისახეზე ნაოქებს უმატებდა.

ბოლოს ნახატი თითქმის მზად იყო. დედაჩემი სავარძელში ზის, მაქმანებიანი ხავერდის კაბა აცვია, მაგრამ ერთ დილას ნიკოლაი ნიკოლაის ძე ყავის დასალევად შემოვიდა სასადილოში და გამოგვიცხადა, პორტრეტი არაფრად არ ვარგა და უნდა გავანადგუროო.

— არა, ეს შეუძლებელია, — ამბობდა იგი, — ზის ქალბატონი ხავერდის კაბაში გამოწყობილი, და მართო ის იგრძნობა, რომ ამ ქალბატონს 40

ათასი მანეთი უღევს ჯიბეში. უნდა დახატო ქალი, დედა. ეს კი რასა ჰგავს, უმსგავსობაა და მეტი არაფერი.

გვიამბო, წუხელ დასაძინებლად დავექე და ჩვეულებისამებრ ძილის წინ სახარება ავიღე წასაკითხად, მაგრამ ვერ წავიკითხე, რადგან პორტრეტზე ფიქრი მაწვალებდაო. და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როდესაც წავიკითხე, რაც გავაკეთე, იმას გავანადგურებ და მუშაობას თავიდან დავიწყებ-მეთქი.

ამგვარად, ის პორტრეტი გაანადგურა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დახატა ახალი. სურათზე გამოხატულია დედაჩემი შავი მოსასხამით, ღვას და ხელში უჭირავს ჩემი უმცროსი და საშა, რომელიც მაშინ სამი წლისა იყო.

2

სეანსების დროს გე ბევრს გვესაუბრებოდა ხოლმე თვითეულს.

სხვათა შორის გვიამბო, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მამაჩემის სტატია მოსკოვში ჩატარებული აღწერის საკითხზე. და რომ ამ სტატიაში სრულიად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა და წარმართობიდან ქრისტიანად მოაქცია.

სიცოცხლის ბოლომდე იგონებდა ამ ამბავს და შეინარჩუნა გულთბილი მადლიერების გრძნობა, რასაც ხშირად ეუბნებოდა ხოლმე მამას, უფრო ხშირად კი ჩვენ, მის შვილებს, რაკი ეშინოდა, საკუთარი გრძნობების მალიმალ გამომჟღავნებით უსიამოვნება არ მიეყენებინა მამაჩემისათვის.

ძნელი სათქმელია, რა ზემოქმედება მოახდინა მამამ გეს სულიერ-ზნეობრივ გარდაქმნაზე. მეტისმეტად ახალგაზრდა გახლდით მათი პირველი ნაცნობობის ქამს, რათა ნათელი წარმოდგენა შემქნოდა ყოველივე ამაზე. ამჟამად კი ასე მგონია, რომ გესა და მამაჩემის სულიერი გარდაქმნის გზები თავდაპირველად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიემართებოდა, მაგრამ ერთი მიმართულებით. ორივე მხატვრები იყვნენ, ორივეს წარსულში უკვე შექმნილი ჰქონდათ დიდი ნაწარმოებები, რომელთაც მათ, როგორც მხატვრებს, დიდება მოუტანეს, და რომ მოყირჭდათ ეს დიდება, დაინახეს, იგი ვერ შესძენდა აზრს სიცოცხლესა და ბედნიერებას. მამაჩემმა რამდენიმე წელი მტანჯველურ ძიებასა და იჭვებში გაატარა. რამდენადაც ვიცი, გესაც იგივე სჭირდა. სიცოცხლის რამდენიმე წელი ისე გავიდა, არც ერთი ნახატი არ შეუქმნია. ცხოვრობდა თავისთვის მალაოროსიის ხუტორში და ნალვლობდა, ამ ცხოვრებაში საქმე და მიზანი რომ არა ჰქონდა.

იგი გზის გასაყართან იდგა, და როგორც კი დაინახა მამის სტატიების მიხედვით, რომ მამაც იმავე შინაგან ჭიდილს განიცდიდა, შეიცნო საკუთარი თავი და გახარებული და აღტაცებული მივარდა მამას იმ იმედით, ეგებ დამეხმაროს და თავი დამალწევინოს იმ წყვდიადიდან, ამ ბოლო ხანებში რომ დაუფლებია ჩემს სულსო. ეს ასეც მოხდა. და თუმცა დროდადრო გაღიზიანდებოდა ან მარტოობის გრძნობა მოიცავდა ხოლმე იმ ადამიანებში მყოფს, რომლებიც არ იზიარებდნენ მის შეხედულებებს, მაინც მუდამ ჰყოფნიდა ძალა დაეთრგუნა საკუთარი თავი და ისევ მშვიდად და მხიარულად ყოფილიყო.

1886 წელს მწერდა: „როცა აღმოვაჩინე სიცოცხლის აზრი და უკან მივი-

ხელე, შემზარა, სად ვიყავი-მეთქი, ახლა ყოველ წუთს, ყოველ წამს სულ უფრო და უფრო მატულობს სინათლე, შუქი, ურომლისოდაც უკვე აღარ შემიძლია ცხოვრება, და ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ამ ბედნიერების გარეშე ვერ ვიქნებოდი ასე მშვიდი, გონიერი, თავსაც გავიტანჯავდი და, რაც ყველაზე უარესია, სხვებსაც გავტანჯავდი...”

სხვა წერილში იგი მწერს: „ჩემი გაღიზიანება, — გამოწვეული ცხოვრების დისონანსისაგან ჩემსა თუ ჩემ ირგვლივ მყოფთა ცხოვრებასა და უწმინდეს ჭეშმარიტებას შორის, — ცხრება. უფრო მშვიდი და უკეთესი ვხდები, უფრო მესმის სახარება და უდიდეს სიხარულს განვიცდი, რაკი მისით ვსულდგმულობ...”

ხშირად ამბობდა, თუმცა ზოგჯერ სრულიად მარტო აღმოვჩნდებოდი ხოლმე ჩემი შეხედულებებით, მაინც ვგრძნობდი, რომ ის, რაც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასი იყო, — ადამიანებს იზიდავდა ჩემკენ, განსაკუთრებით კი უბრალო და დაჩაგრულ ხალხს. „ჭეშმარიტება ყველაზე ღრმა გაგებით არა მხოლოდ ესმით სუფთა გულის უბრალო ადამიანებს, — წერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში, — არამედ საფუძვლად უდევს მათ ცხოვრებას“.

მას შემდეგ, რაც გე და მამაჩემი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეიძლება ითქვას, რომ მათი შეხედულებები მუდამ თანხედებოდნენ და ბევრ რამეში მათი გზებიც ერთდებოდა.

„ვხედავ, ჩემო ძვირფასო, რაოდენ მტკიცედ მიდიხართ, რაოდენ კარგად, — სწერდა იგი მამაჩემს 1884 წლის მაისში, — და მეც თქვენ გამოგყვებით უკან, თუმცა კი დამიჩეჩქვავენ ცხვირს, მაგრამ მაინც ფორთხვით წამოვალ“...

სხვა წერილებში იგი წერს: „ვცხოვრობთ ერთი რწმენითა და ერთი გონებით“.

„ვიმედოვნებ, საყვარელო მეგობარო, რომ ცურვა-ცურვით მოვალწევ იმ ადგილამდე, სადაც თქვენ დგახართ, არც მიგატოვებთ, არც ჩამოგრჩებით და მწამს, რომ ღმერთი შემეწევა“.

„თქვენ, ძვირფასო, ნათელი ლევ ნიკოლოზის ძევ, თვითონაც არ უწყით, რაოდენი სინათლე შეგაქვთ იქ, სადაც კეთილი ნიადაგია. რაოდენ ნათლად, ცხადად და უბრალოდ კეთდება ყოველივე. ღვთის ნება-სურვილის აღსრულება უფრო ადვილია, ვინემ მიჰყვე დინებას“.

რაკი ერთი და იგივე ამოსავალი წერტილი ჰქონდათ, ანუ ქრისტეს მოძღვრების რწმენა, გესა და მამაჩემის შეხედულებები ხშირად ერთგვარად ვლინდებოდა ცხოვრებაში.

მამაჩემივით გეც ვეგეტარიანელი შეიქნა და სიკვდილამდე ცდილობდა ხორცი არ ეჭამა. მამაჩემივით გეც ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ნაკლებ დაეჭირავებინა მსახურები და თვითონ იკეთებდა, რის გაკეთების ძალიც შესწევდა. გეც აღიარებდა ფიზიკური შრომის აუცილებლობას და გარდა იმისა, რომ თავის ხუტორში მინდვრად, ბაღში მუშაობდა, ფუტკრებს უვლიდა და ა. შ. მან თავის ხელობად აირჩია ღუმლების აწყობა. იგი კარგად აკეთებდა ამ საქმეს და უყვარდა კიდევ. ვფიქრობ, თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში არა ერთი ათეული ღუმელი ააწყო შინაურებისათვის და აგრეთვე გლეხებისათვისაც. ერთხელ მომწერა: „ამ კვირაში ხელოვნებისათვის ხელი არ მიხლია, — ღუმელს ვაკეთებდი და არ დამიმთავრებია, მძიმე სამუშაოა და ეს მახარებს.“

გრძნობ, რომ ყველა მშრომელის თანასწორი ხარ და ამას რა სჯობს“. ჩვენ-
თან, იასნაია პოლიანაში, ერთ უბედურ ქვრივ ქალს აუწყო ღუმელი. მამა-
ჩემმა, ჩემმა დამ, მე და იმხანად ჩვენთან მცხოვრებმა მეგობრებმა განვიზ-
რახეთ ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცისათვის ცეცხლგამძლე ქიხი აგვეშენე-
ბინა თიხისა და ჩალისაგან. გე გამოვიძახეთ ღუმლის გასაყვითელად, მახ-
სოვს რა მხიარულად და მხნედ მუშაობდა, უტყაბუნებდა სველ თიხას და მალ-
ლა ღუმელზე მდგარი ათასნაირ სახუმარო სიტყვებს გადმოგვძახოდა.

უბრალო ხალხს გე არა მარტო სიყვარულით, არამედ პატივისცემითაც
ეპყრობოდა. როცა რომელიმე ნახატს დაასრულებდა, ყოველთვის დაუძახებ-
და მეზობელ გლეხებს, უჩვენებდა თავის ნამუშევარს და ყურადღებით ის-
მენდა მათ აზრს.

„ჩემთვის მათი გამოხმაურება მუდამ ჯილდოა, წვალების საფასურია, —
სწერდა იგი მამას, — ვინ მოიგონა, რომ გლეხები და საერთოდ უბრალო ხალ-
ხი უხეში და უზრდელი არისო? ეს სიცრუეა, ბოროტი სიცრუე. არსად და
არასოდეს შევხვედრივარ ესოდენ დელიკატურობასა და სიფაქიზეს. მართალი
უთქვამთ, უნდა დაიმსახურო ადამიანური მოპყრობა, ბატონში ადამიანი უნდა
დაინახონ, მაგრამ როცა დაინახავენ — მარტო დელიკატურობი კი რა, — ფა-
ქიზნიც არიან“.

გემ და მამაჩემმა ერთდროულად შეწყვიტეს თამბაქოს წევა. ამ მრავალ-
წლიან ჩვევაზე გამარჯვებამ გე ალაფრთოვანა. ამბობდა, ადრე, როცა დავილ-
ლებოდი, დასასვენებლად პაპიროსს ვექაჩებოდიო, ახლა კი რამე საქმეს ვკი-
დებ ხელსო. „ისვენებ, მაგრამ მაინც ცხოვრობ, — სწერდა იგი მამას, — ადრე
კვამლში ვახრჩობდი ყოველგვარ ცოცხალ აზრს; და ეს ყველაფერი თქვენი
დამსახურებაა. გახსოვთ კია, როგორ ვხვნეშოდიო პატარა, ნამცეცა კაბინეტში
მსხდომნი...“

მამაჩემივით გეც ერთგული დარჩა თავისი სულიერი ცხოვრების გამოვ-
ლენის იმ ფორმისა, რითაც დაიწყო. მის მთავარ საქმიანობად ხელოვნება დარ-
ჩა. ხელოვნება ახლა მისთვის გადაიქცა მხოლოდ სახარების სიუჟეტების გა-
მოსახატავ ფორმად და მხოლოდ იმ აზრით შეიცვალა სახე, რომ გე ნაკლები
სიმკაცრით ეკიდებოდა ფორმას და მთელ თავის ძალ-ღონეს თავისი ნახატების
შინაარსს ახმარდა.

მას მუდამ უყვარდა ქრისტე. ამის საბუთია მისი პირველი ნახატი „საი-
ღუმლო სერობა“. მაგრამ ადრე, თუ მის სიტყვებს დავიმოწმებთ, მას უყვარდა
და ესმოდა ქრისტე მხოლოდ გულით, ბოლოს კი გონებითაც შეიცნო.

ქრისტე მგზნებარედ და ნაზად უყვარდა, როგორც თავისი ახლობელი
ადამიანი, მთელი სულითა და გულით. ხშირად, ცხარე კამათის დროს ნიკოლაი
ნიკოლაის ძე ამოიღებდა ჯიბიდან სახარებას, რომელსაც მუდამ თან ატა-
რებდა და საუბრისათვის სათანადო ადგილს წაიკითხავდა ხოლმე.

„ამ წიგნში ყველაფერია, რაც ადამიანს სჭირდება“, — ამბობდა იგი, სახა-
რებას რომ კითხულობდა, ხშირად მსმენელს უყურებდა და ისე ამბობდა,
წიგნში არც იხედებოდა. პირისახე ისეთი შინაგანი სიხარულით ჰქონდა გაცის-
კროვნებული, რომ ცხადად ჩანდა, რაოდენ ძვირფასი და ახლობელი იყო
მისთვის წაკითხული სიტყვები. თითქმის ზეპირად იცოდა სახარება, მაგრამ
მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის, როცა კითხულობდა, ისევ და ისევ
ჰეშმარიტ სულიერ ტკბობას ეძლეოდა. ამბობდა, სახარებაში არა მარტო ყვე-

ლაფერი მესმის, არამედ როცა ვკითხულობ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საკუთარ სულში ვკითხულობდე და შემოდღია უფრო და უფრო ავმალულდე ღმერთისკენ, შევერწყა მას.

3



ქართული

გეს განსხვავებული თვისება იყო ხალხის, ადამიანების სიყვარული. ყველ ადამიანში აღმოაჩენდა ხოლმე სიკარგეს. „უმშვენიერესი ჭაბუკია“, „შეუდარებელი ადამიანია“, „უმშვენიერესი ადამიანია“ — ეს ჩვეულებრივი ეპითეტები იყო, ნიკოლაი ნიკოლაის ძე რომ იყენებდა საუბარში. როცა მუშაობდა და ვინმე მივიდოდა მასთან რჩევისათვის ან რაიმეს სათხოვნელად, მაშინვე მიანებებდა თავს სამუშაოს და მთელ ყურადღებას სტუმარს უთმობდა, რა მოსაწყენი და უინტერესო ადამიანიც არ უნდა ყოფილიყო.

„ადამიანი ტილოზე ძვირფასია“, — მითხრა ერთხელ, როცა გული დამწყდა, ვიღაცამ საქმეს რომ მოწყვიტა.

გეს საოცარი ნიჭი ჰქონდა ადამიანებზე ზემოქმედებისა, შეეძლო ლაპარაკით დაეტყველებინა ყველა. შეეძლო ყოველ ადამიანთან ეპოვა სულიერი სიახლოვის ის წერტილები, სადაც უთანხმოება ვერ წარმოიშობოდა. იგი მშვენივრად ლაპარაკობდა და თავის სიტყვებში მუდამ გულსა და სულს აქსოვდა. ზოგიერთს აკვირვებდა, ზოგჯერ კი აღიზიანებდა კიდევ, რომ გეს შეეძლო პირველი შეხვედრისთანავე ადამიანებთან ახლო ურთიერთობა დაემყარებინა. მამაჩემის სიტყვებს თუ დავიმოწმებ, ისეთი უბრალო და კეთილი იყო, რომ ამგვარ დამოკიდებულებას შეუჩვეველ ადამიანებს არ უყვარდათ მისი გულწრფელობა და ზოგჯერ ეგონათ, ამ სიკეთის მიღმა რაღაც ეშმაკობა იმალებო.

ხშირად მისაღმებლისას შემხვედრს გადაკოცნიდა ხოლმე, შორიდან რომ იცნობდა, იმასაც კი. მახსოვს, ერთხელ მე და ის ერთად შევედით „პოსრედნიკის“ რედაქციაში ჩვენს მეგობრებთან, სადაც წარუდგინეს ერთი ჭაბუკი, ახალბაბა რომ მიეღოთ რედაქციაში. ნიკოლაი ნიკოლაის ძე მიესალმა და საკოცნელად წაიწია, ახალგაზრდამ გაკვირვებითა და უნდოდ შეხედა, ჯერ უკან დაიხია, მაგრამ როგორც კი დაინახა ნიკოლაი ნიკოლაის ძის სიკეთითა და ალერსით სავსე პირისახე, გახარებულმა თვითონაც აკოცა.

ფულს გე სავსებით გულგრილად უცქეროდა. როცა მისგან ყიდულობდნენ სურათს ანდა პორტრეტს, უმთავრესდ იმიტომ უხაროდა, რომ ეს მისი ნამუშევრის აღიარება და დაფასება იყო.

რადგან შინ მკაცრი ვეგეტარიანელი იყო, თავისთვის თვითონ იმზადებდა კერძს და თითქმის მათხოვარივით იცვამდა. ამიტომ ბევრი ფული არ სჭირდებოდა. რამდენჯერ მე და ჩემს დას ამოგვიკემსავს მისი ტანსაცმელი. დედაჩემს კი შეუკერავს წყვილი პანტალონი, რომლითაც ძალიან ამაყოფიდა. მე შალის ფუფაიკა მოვუქსოვე, სიკვდილამდე ეილეთის მაგიერ რომ იცვამდა. საყულო გადაკეცილ უხეში ტილოს პერანგს და ძველ გაქეჩილ პიჯაკს იცვამდა.

ასე ჩაცმული დადიოდა მოსკოვსა და პეტერბურგში და არასდროს არავის გულისთვის არ გამოეწყობოდა, თუმცა სხვადასხვაგვარ საზოგადოებაში უხდებოდა ყოფნა.

4

გე თავისი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს სოფელში ატარებდა. მაგრამ ზამ-

თრის მიწურულს უსათუოდ მიემგზავრებოდა პეტერბურგს „მოძრავი გამოფენის“ გახსნაზე. არასოდეს აუვლია ჩვენთვის გვერდი, ყოველთვის შემოგვივლიდა ხოლმე, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით მოსკოვსა თუ იასნაია პოლიანაში. ზოგჯერ ჩვენსა დიდხანს ცხოვრობდა და თანდათან ისე შევეთვისეთ, რომ ყველა ინტერესი—სიხარული თუ მწუხარება საერთო გვექონდა. ჩვენი ოჯახის უმცროს წევრებს მუდამ „შენობით“ ელაპარაკებოდა, ხოლო ჩვენ, უფროსებს, მხოლოდ ჩვენი ნაცნობობის ბოლო წლებში მოგვმართა „შენობით“.

როცა ერთმანეთს ვცილდებოდით, წერილებს ვწერდით ხოლმე. რაც ჩვენსა ხდებოდა, მუდამ ყველაფერს ვაგებინებდით. ვეკითხებოდით აზრსა და რჩევას და ისიც სასწრაფოდ გვიგზავნიდა პასუხს.

ერთხელ იასნაია პოლიანაში მამამ განიზრახა სამი უმთავრესი სურვილი გამოეკითხა ყველასათვის: თვითონ მამამ მხოლოდ ორის მოფიქრება შეძლო: 1) უყვარდეს ყველა, 2) უყვარდეს ყველას; მახსოვს, ჩემმა ძმამ მიშამ, მაშინ სულ პატარა რომ იყო, თქვა: „გამოდის, რომ მამას ერთი სურვილი ჰქონია, ეს არის პირველი სურვილი, მეორე კი ისედაც აქვს“. მე წერილობით შევეკითხე გეს, თქვენი სამი მთავარი სურვილი რა არის—მეთქი და ასეთი პასუხი მივიღე: „სურვილს რაც შეეხება, შემიძლია გითხრა, ჩემი პირველი სურვილია, კარგ ადამიანებს თავიანთ ოჯახებში ჰქონდეთ ის სიხარული და სინათლე, როგორიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ვინც ირწმუნა და შეიყვარა ქრისტე. ჩემი მეორე სურვილია, რომ საყვარელი ლევ ნიკოლოზის ძე ჯანმრთელად იყოს, მესამე კი — რათა ღმერთმა მაკურთხოს დავასრულო ჩემი სამუშაო, რასაც ვაკეთებ ყველასთვის ქრისტეს ნათელის სახელით. იქნებ, რომ დავფიქრებულობდეს, რაიმე უკეთესი მომეფიქრებინა, მაგრამ განგებ არ დავუფიქრდი, ვთქვი ის, რაც თავში მომივიდა“.

გე ხშირად ატარებდა ჩვენთან ერთად შემოდგომას, რადგან მინდვრის სამუშაოები ხუტორში მთავრდებოდა, ის კი ჯერაც არ შედგომოდა ხატვას. დედაჩემი ვაჟიშვილებთან ერთად მოსკოვს მიემგზავრებოდა, ისინი გიმნაზიებში სწავლობდნენ, იასნაია პოლიანაში კი ვრჩებოდით მამა, მაშა, მე და ხშირად ნიკოლაი ნიკოლაის ძე გე. ამ ხანებში შინაურ საქმეთა გარდა, მხოლოდ წერილობით საქმიანობას ვეწეოდით და ნიკოლაი ნიკოლაის ძეც გვეხმარებოდა. საღამოობით მოგვექონდა ფოსტა და ყველანი ერთად ვარჩევდით. მამა წერილებს სამ ჯგუფად ახარისხებდა: წერილები, რომლებზედაც თვითონ გაცემდა პასუხს; წერილები, რომლებზედაც ჩვენ უნდა გვეპასუხნა და მესამე — უპასუხოდ დაგვეტოვებინა.

ზოგჯერ მამა თვითონ მიემგზავრებოდა ფოსტაში.

ერთხელ ცხენით წავიდა სადგურში. მე, მაშა და ნიკოლაი ნიკოლაის ძე კი შინ ვისხედით სამოვართან და ველოდით. სადგური კოზლოვ-ზასეკამდე სამნახევარი ვერსია. მამა საღამოს ცხრა საათზე წავიდა, ფოსტის მატარებელი კი თერთმეტ საათზე მოდიოდა. დარეკა თერთმეტმა საათმა, გახდა თორმეტის ნახევარი, მამა კი არ ჩანს. სამივენი ძალიან ვღელავდით. ბოლოს ნიკოლაი ნიკოლაის ძემ გადაწყვიტა, წავალ საჩინბოში და გავიგებ, ის ცხენი ხომ არ მობრუნებულა, რომლითაც მამა წავიდაო. მე და მაშა დარბაზში დავრჩით და აღელვებული ველოდით გეს დაბრუნებას. რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის კარის გაღების ხმა წინკარში და ნ. ნ. ყვირის სრულიად შეცვლილი ხმით: „ტანია, ცხენი მოკვდა!“ რასაკვირველია, სამთავემ რაღაც საშინელება წარმო-

ვიდგინეთ, გავიქეციტ საჩინიბოშა და ვუბრძანეთ, რაც შეიძლება სწრაფად შევბათ ცხენი „კატკიში“ (ასე ვეძახდით ეტლს), ჩავსხედით და ის იყო უნდა გავფრენილიყავით მამის მოსაყვანად, ჩვენის აზრით სადმე გზაზე რომ ეგდო მარტო, რომ უცებ გამოჩნდა ფეხით მომავალი — ცოცხალი და უვნებელი. თურმე ცხენი მიუბამს, მაგრამ ვიდრე მამა სადგურში მისულა, ცხენი დგებოდა რთხალა, მომავალ მატარებელს დაუფრთხია, მიუგლეჯია თოკი და შემჩნევით რუნებულა. რალა უნდა ექნა მამას, ფეხით წამოსულა, და ამიტომაც შეავციანდა. მახსოვს მეწყინა, მამა ჩვენს დასამშვიდებლად კი არ გამოეშურა, პირველად იმის გასაგებად წავიდა, ცხენი თუ დაბრუნდაო, მაგრამ გეს შევხედე და შემრცხვა; სიხარულისა და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული უყურებდა მამას. ჩანდა, რა გულმხურვალედ უყვარდა მამაჩემი და რაოდენ ბედნიერი იყო, უვნებელს რომ ხედავდა.

ჩვენი ნაცნობობის მანძილზე ნიკოლაი ნიკოლაის ძეს მრავალჯერ დაატყდა თავს ოჯახური უბედურება თუ სიხარული, რომელთაც მუდამ გვიზიარებდა. ყველაზე დიდი და მძიმე იყო მისთვის მეუღლის გარდაცვალება. მარტოდ დარჩენილი კიდევ უფრო შეგვეთვისა და შეეძლო უფრო დიდხანს დარჩენილიყო ჩვენსა, რაკი შინ არავინ ელოდა: ორივე ვაჟიშვილს ოჯახი ჰქონდა და ცალკე ცხოვრობდნენ.

დასვენების ჟამს ცოტას მუშაობდა, ალბომში არასოდეს ხატავდა, — არც არასოდეს ჰქონდა თან, რადგან მისთვის წარმოუდგენელი იყო ასე, უბრალოდ ხატვა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის. ამასთან დაკავშირებით თავისი მასწავლებლის ბრიულოვის სიტყვებს იხსენებდა ხოლმე, რომელიც ძალიან უყვარდა, უკეთესია არაფერი აკეთო, ვიდრე აკეთო არაფერი.

პორტრეტებს იმ ადამიანებისა, რომლებიც მას განსაკუთრებით უყვარდა, საღებავებით ან ნახშირით ხატავდა თავისი ნაღდი სურათების გარდა, ახლობელ მეგობრებს აძლევდა საჩუქრად.

ერთხანს დაიწყო ინგლისური ენის შესწავლა, რადგან მიაჩნდა, რომ არც ერთ ენაზე არ იყო დაწერილი იმდენი კარგი წიგნი, რამდენიც ინგლისურ ენაზე და თანაც ემზადებოდა ოდესმე ინგლისში წასულიყო. ხუტორში იზუთხავდა ინგლისური ენის გრამატიკას, ისვენებდა მხატვრობისაგან და გვწერდა, მიხარია, რომ მეხსიერება ჯერ ისევ შემომრჩენიაო. „ვსხედვართ სალამოობით გიმნაზიელებივით და ვსწავლობთ გაკვეთილებს: ის ფრანგულს, მე — ინგლისურს! ორივეს ყურებზე ხელები გვაქვს დადებული და ვიზუთხავთ თავგამოდებით“, — გვწერდა თავის ერთ ნაცნობსა და საკუთარ თავზე.

როცა ჩვენთან ჩამოდიოდა, ჩემი უმცროსი ძმა ვანიკო ინგლისურ სიტყვებს ასწავლიდა. ორივენი ყველაზე ადრე დგებოდნენ, და როცა ჩვენ სასაღილო ოთახში მივიდოდით, გულისამაჩუყებელ სურათს ვხედავდით: ექვსი წლის ბიჭუნა აიძულებდა თმაქალარა მოხუცს გაემეორებინა ინგლისური სიტყვები. „ეს ჩემი მასწავლებელი გახლავთ“, — გვეუბნებოდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე ვანიკოზე.

თვითონ ნიკოლაი ნიკოლაის ძესაც ბევრი რამ ჰქონდა ბავშვური. ხშირად საიდანმე დაღლილი დაბრუნებულა და უთხოვია, ნება მომეცი შენს ოთახში ტახტზე წამოვწვეო; წამოწვებოდა და მაშინვე ბალლივით ჩაეძინებოდა. გამოდვიძებული, ზოგჯერ რაიმე ტკბილეულს მოითხოვდა, ამიტომ მუდამ ეცდილობდნენ ტკბილეულობა მომეძარაგებინა, რათა გავმასპინძლებოდნენ.

„გიგონებთ თქვენი ოჯახის კუთხეში მჯდარს, — მომწერა ერთხელ, — ზიხართ, და ნუნციოს კითხულობთ, მე კი თაფლის კვერებით მიმასხმინებლობით. გვოცნით, საყვარელო ტანია, და ხშირად გიგონებთ“.

ძალიან უყვარდა ანეკდოტები და შეეძლო სულ უბრალოდ და სუბტილურ ანეკდოტზე გულიანად ეცინა. ხშირად ხუმრობდა, ზოგჯერ ადამიანებს გამოჯაგრებაც უყვარდა, მაგრამ ამას ყოველთვის კეთილად იქმნა.

5

რადგანაც მაშინ მხატვრობას მივდევდი, ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ნიკოლაი ნიკოლაის ძეს ამა თუ იმ საკითხზე რჩევას. და ისიც ძალზე ძვირფას დარიგებას მაძლევდა ხოლმე.

ერთხელ მისი თანდასწრებით დავიწყე მაშას პორტრეტის ხატვა, რათა პრაქტიკულად ზოგიერთი მითითება მოეცა. როცა ზეთის საღებავი წავუსვი, მოვიდა, დახედა და ნამუშევარი არ მომიწონა. „ოჰ, ტანია, განა შეიძლება ასე ხატვა? აი, ასე უნდა დახატო“. გამომართვა პალიტრა, რამდენიმე დიდი ფუნჯი, და თავიდან წაუსვა ზეთის საღებავი. მერე გადმომცა პალიტრა და მითხრა, განაგრძეო. მაგრამ ისე კარგად იყო დაწყებული, რომ არ მინდოდა გამეფუჭებინა და ვთხოვე თვითონ დაესრულებინა პორტრეტი, ასეც მოიქცა. ეს პორტრეტი „მოძრავ გამოფენაზე“ იყო წარმოდგენილი, მერე ოჯახს გადმოგვცეს, სადაც ახლაც ინახება. გული მწყდებოდა, რომ არ შემეძლო იმის გაკეთება, რაც ასე იოლად გამოსდიოდა ნიკოლაი ნიკოლაის ძეს. ამასთან დაკავშირებით ბრიულოვის ერთი შენიშვნის ამბავი მომიყვა. ერთხელ ბრიულოვი აკადემიაში ერთ-ერთ მოწაფესთან მისულა და ეტიუდი შეუსწორებია. მოწაფეს დაუხედავს შესწორებული ნამუშევრისთვის და უთქვამს: „რა უცნაურია, თითქოს სულ ოდნავ შეასწოროთ, სულ სხვაგვარი კი გახდა“. „მთელი ხელოვნება სულ ოდნავიდან იწყება“, — უპასუხნია ბრიულოვს.

როცა ნიკოლაი ნიკოლაის ძე გაემგზავრებოდა, რჩევა-დარიგებებს წერილობით მიგზავნიდა და მეხმარებოდა. აი რა წერილი მივიღე ჩემი თხოვნის პასუხად, დამხმარებოდა თავისი მითითებებით, რომ მხატვრობასა და პერსპექტივაში მევარჯიშნა.

„იმედი მაქვს, შევძლებ ვემსახუროთ და მრავალი რამ გადმოგცეთ იმ საქმისა, რომელიც შევისისხლბორცე, რაკი მთელი ცხოვრება ვემსახურებოდი. მოხარული ვარ, რომ გსურთ გაჰყვეთ ხელოვნებას, ნიჭი დიდი გაქვთ, მაგრამ დაიხსომეთ, რომ ნიჭი საქმისადმი დიდი სურვილის გარეშე ვერაფერს შეგაძლებინებთ. არ არსებობს უფრო უდიდესი გონებრივი სიაშოვნება, ვიდრე საკუთარი სულის მოძრაობის გამოხატვაა გონიერისა და მშვენიერების ფორმაში. სწორედ ფორმის გრძნობის დიდი ნიჭი გაგაჩნიათ. იზრუნეთ ფორმაზეც, მაგრამ უფრო მეტად იმაზე, რაც ფორმით უნდა გამოითქვას. მთელი ხელოვნება შინაარსში მდგომარეობს, ეს ის არის, რაც ჭეშმარიტად ყველაფერზე ძვირფასია თქვენთვის და რასაც სულში ინახავთ, როგორც ყველაზე ძვირფასს, ყველაზე წმინდას. იგი, ეს სიწმინდე გიჩვენებთ სახის ფორმის ხასიათს და მოგთხოვთ ამა თუ იმ ფორმის შესწავლას. იგი თქვენ გიხელმძღვანელებთ, და იცოდეთ, ემსახურეთ მას, გწამდეთ მისი, არ უღალატოთ და მხოლოდ მაშინ იქნება თქვენი ნაწარმოებები ჭეშმარიტად მხატვრული და ძვირფასი თქვენთვისაც და თქვენ ირგვლივ მყოფთათვისაც, ანუ ადამიანებისათვის.“

შეისწავლეთ პერსპექტივა და როცა დაეუფლებით, გამოიყენეთ მუშაობის, ხატვის დრო, არასოდეს არ გამოყოთ ხატვისაგან, როგორც მრავალნი აკეთებენ, ანუ ხატავენ ისე, როგორც გრძნობა კარნახობთ, შემდეგ კი პერსპექტივის წესების მიხედვით ასწორებენ, პირიქით, დაე, პერსპექტივა თქვენს საქმიანობის მუდმივი თანამგზავრი იყოს და ერთგულების დარაჯი დაეწესა წილს მხატვრობის იმ ნაწილშიც, სადაც მექანიკურად ვერ მუშაობთ. ლითად, როცა ხატავთ თავს — პორტრეტს — პერსპექტივაში ვერ მოიყვანთ თავის სხვადასხვა ნაწილს, მაგრამ როცა პერსპექტივა იცით, გრძნობთ, მაშინ მიუსადაგებთ თავის ხატვას და დახატავთ სავსებით სწორად — აი, რა მინდოდა მეტქვა“.

„აი წესი, — მწერდა იგი სხვა წერილში, — რომელსაც ნურასოდეს დაივიწყებთ: ხატვა ნიშნავს პროპორციების ხედვას და ამიტომ ნურასოდეს ნუ მისცემთ თავს იმის ნებას, რომ ხედავდეთ მხოლოდ ერთ ნაწილს მთლიანობის გარეშე, ანუ თქვენ ხატავთ არა ცხვირს, არა თვალს, არა ყურს, არა თავს, არა ხელს, არამედ იმას, რა როლს ასრულებს ეს ცხვირი პირისაზე, ან ტუჩ-პი-რი და ა. შ. ყოველთვის, როცა რომელიმე ნაწილს ხატავთ, ხატეთ ზოგადთან მიმართებაში; სიმეტრიული ნაწილები მუდამ ერთად დახატეთ, ანუ ორივე თვალი, ორივე ყური, ორივე ღოჭა და ეს ყოველივე მთლიანთან მიმართებაში. ასევე ფიგურის თავი, როცა ფიგურას ხატავთ, ხატვა დაიწყეთ ცენტრიდან: პირისაზე თავში — ტორსი ფიგურაში. მთავარ ნაწილებს რომ მოხაზავთ, პროპორციების შესამოწმებლად უსათუოდ გააკეთეთ მთავარი ჩრდი-ლები და საერთო შუქი, ხატეთ მუდამ, ყოველ წუთს, ზოგადი ხატეთ მუდამ თავიდან ბოლომდე, დეტალებზე თანდათანობით გადადით. აი მთელი საიდუმ-ლო ხატვისა. ისწავლეთ ამ გზით სიარული და — თქვენც უკვე ხელოვანი იქნებით!“

სხვა წერილებში გე გადმომცემს პერსპექტივის თეორიას და სანიმუშოდ ურთავს ნახაზებსა და ნახატებს.

როცა მხატვრობასა და შექმნის თეორიაზე ვსაუბრობდით, გე მირჩევდა, სურათების დახატვისას წინასწარ ეტიუდები არ გააკეთო. მეუბნებოდა, ისე-ვე როგორც ფუტკარს შეაქვს თავისი თაფლი სკაში, ასევე შენც შენი შთა-ბეჭდილება პირდაპირ სურათში უნდა შეიტანო. „თორემ, — მეუბნებოდა, — ეტიუდში ვერ გამოხატავ მთელ შთაბეჭდილებას იმ სიძლიერით, რა სიძლიე-რითაც შეიგრძნობ, როცა ნახატში ეტიუდის კოპირებას ახდენ, კიდევ რაღაც ნაწილს ფლანგავ ამ შთაბეჭდილებისას“.

ნახატზე მოქმედი პირების განსაღაგებლად, გე მირჩევდა პატარ-პატარა ფიგურები გამომეძერწა ცვილისა ან თიხისაგან. იგი ძალიან აქებდა ამ ხერხს, მხოლოდ მაფრთხილებდა, გამოწვლილვით არ გამომეძერწა, რადგან თვალი შეიძლებოდა მიჩვეოდა თიხის ფიგურების უგრძნობელობას და ნახატზეც ასე გადამეტანა.

„სურათი სიტყვა როდია! — ამბობდა იგი იმ შთაბეჭდილებაზე, რაიც ნახატს უნდა მოეხდინა მაყურებელზე. — იგი გაძლევს ერთ წუთს და ამ წუთ-მა ყველაფერი უნდა დაიტოს. შეხედე — და მორჩა! როგორც რომეომ შეხე-და ჭულიეტას ანდა პირიქით! ეს თუ არ არის — არც სურათი არსებობს“.

მთელი ზამთარი ნიკოლაი ნიკოლაის ძე თავის ხუტორში მუშაობდა. როცა სურათს დაასრულებდა, პეტერბურგში წაიღებდა და „მოძრავ გამოფენაზე“ წარადგენდა. პეტერბურგში მუდამ შეჩერდებოდა ხოლმე მეგობრებთან, მეგობრები კი ყველგან მრავლად ჰყავდა, და იქ ერთ თვეს დაჰყოფდა.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში გემ უფრო და უფრო გაითქვა სახელი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის და როგორც კი პეტერბურგში ხმა დაიბრუნდა, გე ჩამოვიდაო, მასთან იმდენი სტუშარი მიდიოდა, რომ ძალა აღარ ჰყოფნიდა ყველასთან საუბრისა, და მან ცოტა-ცოტაობით შეითვისა მანერა ნახევრად საუბრის, ნახევრად ლექციისა თუ ქადაგებისა იმ თემაზე, რაიც მისთა მსმენელთა უმეტეს ნაწილს აინტერესებდა.

პეტერბურგიდან მოსკოვში ჩამოდიოდა ჩვენთან. და ისევ იგივე ცხოვრება იწყებოდა. ნიკოლაი ნიკოლაის ძეს ყველგან ეპატიებოდნენ და ისიც ვერავის ეუბნებოდა უარს. მახსოვს, ჩემი მეგობრები მხატვრობისა და ქანდაკების სკოლიდან, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში დავდიოდი, როგორ ელოდნენ გეს ჩამოსვლას, წინასწარ ამზადებდნენ სხვადასხვა საკითხს მასთან განსახილველად. ჩვეულებრივად, შეკრების ადგილად ირჩევდნენ რომელიმე მოსწავლის ბინას, სადაც სხვა ამხანაგებიც იყრიდნენ თავს, გეს ძალიან უყვარდა ეს თავყრილობები. „წარმოიდგინეთ, — მიამბობდა მე ერთი ასეთი თავყრილობის ამბავს, — პაწია ოთახი გაჭედილი ახალგაზრდებით. სკამები ცოტა ჰქონდათ, სკამზე მხოლოდ მე დამსვეს, სხვები კი ჩემ ირგვლივ იატაკზე დასხდნენ. რაზე აღარ ვსაუბრობდით და, რასაკვირველია, მხატვრობაზეც. მეკითხებოდნენ, რა აზრისა ვარ მხატვრობაში პეიზაჟის მნიშვნელობაზე და მხატვრის მიერ ფოტოგრაფიის გამოყენებაზე. თვითეულ ამ ახალგაზრდას მოტანილი ჰქონდა საკუთარი ეტიუდები და ესკიზები და რჩევას მეკითხებოდა“.

ეს ახალგაზრდა მხატვრები, ყველანი, ნიკოლაი ნიკოლაის ძის აზრით, „უმშვენიერესი ქაბუკები“ იყვნენ, და მათ ნაწარმოებებს უმეტესწილად აქებდა. განსაკუთრებით მშვენიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე ერთ-ერთ ესკიზს, რომელზეც გამოსახული იყო პეტრე დიდი, როდესაც იგი ლედი ჰამილტონის მოკვეთილ თავს ჰკოცნიდა. „ეს შემზარავად ძლიერია, — ამბობდა იგი, — ეშმაკმა უწყის, რაოდენ ძლიერია“

ზოგჯერ გე კიევშიც ჩადიოდა, სადაც ასევე უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა.

„ვიყავი კიევში, სადაც სტუდენტების ჯგუფმა მიმიწვია, — მწერდა 1892 წლის ნოემბერში, — მთხოვეს ჩავსულიყავი და განმემართა მათთვის ბევრი რამ ლევ ნიკოლოზის ძის მოძღვრებიდან, და რაც მთავარია, გამერჩია ის, რაც იქნებ არც იყო მისი. რამდენიმე საღამოს მქონდა ასეთი საუბრები, ესწრებოდა ოცდახუთამდე სტუდენტი, ახალგაზრდა მანდილოსნები, ქალიშვილები. არავინ არ ეწეოდა პაპიროსს. სამი საათი ვესაუბრებოდი თემაზე, ორი საათი კი ახსნა-განმარტებას ვაძლევდი. გული ჩემი ხარობდა ესოდენ ძვირფასი ვითარებისაგან.“

გარდა ამისა სამხატვრო სკოლაში ასამდე კაცი მელოდა. მთხოვდნენ განმემართა მხატვრობის ინტერესები. ის ამბავი კი არ მახარებს, რომ მეძახიან, ის მახარებს, რომ ჰვმმარტება, ესოდენ ფასეული ჩემი და ჩემი ძვირფასი

მეგობრებისათვის, სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლება სადი გონების აღამიანებს....“

გეს უყვარდა ხელოვნება, უყვარდა ყველა მისი სფერო და გამოვლინება. უყვარდა ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა და ხშირად გამოგზავნილ წერილებში გვიზიარებდა წაკითხულის შთაბეჭდილებას. ერთი ხანობა მკუთხედოვად ანუნციომ გაგვითაცა, მაგრამ ეს დროებითი გატაცება იყო. მოგონებებში აღტაცებული კითხულობდა, ძალზე აფასებდა და პირველი კლასის მწერლების გვერდით აყენებდა. მამაჩემზე ზომ სათქმელიც არაფერია. ყველაფერს, რასაც მამა წერდა, გე მაშინვე, ჯერ კიდევ მელანშეუშრობელს კითხულობდა ხარბად და აღფრთოვანებით. თითქმის ყველა წერილში გვთხოვდა გაგვეგზავნა ის, რაც მამამ დაწერა. ბევრი რამ, რაც რუსეთში არ დაბეჭდილა, გემ საკუთარი ხელით გადაიწერა თავისთვის. თვითონაც სცადა ძალა მწერლობაში და გერცენზე მოგონებები დაბეჭდა „სევერნი ვესტნიკში“. აპირებდა ასევე ხელოვნებაზე დაეწერა, ანუ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, — „მხატვრისა და კრიტიკის დამოკიდებულებაზე ხელოვნებასთან“, მაგრამ დრო არ იყო.

მუსიკა მასზე ძალიან ძლიერად ზემოქმედებდა. მახსოვს, როგორ იღვრებოდა ცრემლად, როცა ფორის სიმღერას „Crucifix“ ისმენდა დეიდაჩემის ტ. ა. კუზმინსკაიას შესრულებით, მაგრამ, რასაკვირველია, მისთვის უპირველესი მხატვრობა იყო. მუდამ უდიდესი შთაგონებით მუშაობდა და ბოლომდე, ვიდრე ჩაფიქრებულ სურათს არ დაასრულებდა, ეს შთაგონება არ უნელდებოდა. და ის-ის იყო თითქმის დამთავრებული ჰქონდა ერთი სურათი, რომ გეს უკვე, როგორც თვითონ ამბობდა, „სიუჟეტების მთელი გროვა“ უტრიალებდა თავში, რომლებიც ტილოზე გადატანას ითხოვდნენ.

ვიდრე ტილოზე ხატვას დაიწყებდა, ნიკოლაი ნიკოლაის ძე ბევრს ფიქრობდა თავის ნახატზე, გვიამბობდა და გვწერდა თავის ჩანაფიქრზე, უამრავ ესკიზს ხატავდა, და როცა მის წარმოდგენაში უკვე მზად იყო, სწრაფად, სულმოუთქმელად შეუდგებოდა ჩანაფიქრის აღსრულებას. მას უძვირფასესი თვისება ჰქონდა, რა გატაცებითაც არ უნდა ემუშავა, კრიტიკულ დამოკიდებულებას არასდროს კარგავდა. თუ ნახატი არ აკმაყოფილებდა, ისევ და ისევ თავიდან ხატავდა. ხშირად უთქვამს, თუ მხატვარს ენანება თავისი შრომა, ვერაფერს შექმნისო. ზოგიერთ თავის ნახატს, რომელიც რატომღაც არ მოსწონდა, დაუნანებლად ანადგურებდა. ასე მაგალითად, სურათი „რა არს ჭეშმარიტება“, ნახატ „მოწყალებას“ დაახატა ზევიდან. იმ ხანებში, როცა „რა არს ჭეშმარიტება?“ ჰქონდა ჩაფიქრებული, მას შესაფერი ტილო არ აღმოაჩნდა, „მოწყალება“ კი კარგახნის დამთავრებული ჰქონდა და სახელოსნოში ეკიდა. მან უკვე გული შეაჯერა ამ ნახატს, უკვე თვალი შეაჩვია, გონება და გული ახალი თემით ჰქონდა სავსე, ტილოს ზომა შესაფერისი იყო, დიდხანს აღარ უფიქრია და ძველ ტილოზე ახალი ნახატი შექმნა.

წერილებში ხშირად შემოგვჩიოდა, როგორ იტანჯებოდა მუშაობის დროს, მაგრამ ყოველთვის დასძენდა ხოლმე, სანაცვლოდ, როცა შევძლებ იმის გამოხატვას, რაც მსურდა, ისეთ აღტაცებასა და ტკბობას განვიცდი, რომ ყოველგვარი ტანჯვა მავიწყდებოდა.

მისი აზრით კარლელი მართალი იყო როცა ამბობდა, რომ შემოქმედება შეუცნობადია. „რამდენჯერ — ეძებ, ეძებ და მაინც თითქოს ერთ ადგილზე დგახარ, — გვწერდა ერთხელ, — და უცებ, თითქოს შუქი მიადგაო, — ყვე-

ლევერს არაჩვეულებრივად ნათლად ხედავ, თანაც სრულიად ძალდაუტანებლად... როცა შინაგანი ჭიდილი სულში დაცხრება, უცებ სულიდან წარმოჩნდება ნათელი სახეება, რომელიც მაშინვე სავსეა და სრულქმნილი... და რა საოცარი რამ არის — ამ სახეებაში მე მაინც ვჭვრეტ მთელ წრეს ჩემი დაუსრულებელი შრომისა. მაშასადამე, ამოდ არ მიტანჯია...

იმაზე, რაც სურდა გამოეხატა თავისი სურათებით, გეოსე გატაცებით და შთაგონებით გვიამბობდა, რომ — უნდა გამოვტყდე — ნახატს როცა ვნახავდი, უფრო სუსტი მეჩვენებოდა ჩემს წარმოდგენასთან შედარებით. ეგების ეს ნაწილობრივ იმის გამოც ხდებოდა, რომ ნიკოლაი ნიკოლაის ძე თავის ბოლო ნახატებში ისე იყო გატაცებული შინაარსით, რომ ფორმა ამ შინაარსისა, მისთვის დიდად საინტერესო არ გახლდათ, არც მნიშვნელოვანი და ამ ფორმას რამდენადმე დაუდევრად ექცეოდა. მე კი, რაკი მხატვრობას მივდექი, ჩემდაუნებურად შესრულების სრულყოფას ვეძიებდი.

ბოლო წლების მისი რამდენიმე ნამუშევარი უცენზუროდ მიიჩნიეს და გამოფენიდან ჩამოხსნეს.

ეს მისთვის ფრიად გულსატკენი იყო. რამდენი შრომა გასწია, რამდენი ძალა დახარჯა, რამდენი ცრემლი დაღვარა და უცებ ამ ძიების ნაყოფის ჩვენებას უკრძალავენ! მაგრამ იგი აქაც ცდილობდა კარგი მხარე აღმოეჩინა და ხალისიან წერილებს გვიგზავნიდა.

„თქვენი წერილი სწორედ დღეს მივიღე, როცა ძალიან მჭირდებოდა, — მწერდა პარიზში, მას შემდეგ როცა გამოფენიდან ჩამოუხსნეს „რა არს ჭეშმარიტება?“ — ამხანაგებთან ახლახან დავბრუნდი მეტისმეტად გულნატკენი. ჩემი თავმოყვარეობა კი არ შელახულა, არამედ ის განსაკუთრებული გრძნობა, რომელსაც განიცდი, როცა გრძნობ და ხედავ, რომ ადამიანები წყვედიად არიან, წყალწადებულებივით ხელს თვითონვე გიშლიან, რომ ამოათრიო და ამიტომაც იხრჩობიან...“

8

თავისი დიდი ტილოების გარდა, რომლებიც თითქმის ყველა სახარების სიუჟეტზე იყო შექმნილი, გემ ამავე თემაზე უამრავი ნახატი, ეტიუდი და ესკიზი შექმნა.

ერთი ხანობა მიზნად დაისახა სახარებისათვის ილუსტრაციები დაეხატა. იასნაია პოლიანაში ნახშირით შესრულებული ნახატების მთელი სერია ჩამოიტანა, რომლებიც მთელ დარბაზში ჩამოჰკიდა ირგვლივ, რათა თვითეული თანამიმდევრობით და მოხერხებულად გვენახა. ზოგიერთი ნახატი საოცრად ძლიერი იყო და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. აღელვებული და გულათრთოლებული დაატარებდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე მამაჩემს ერთი ნახატიდან მეორისაკენ და მის აზრს ელოდა. და მამაჩემსაც მუდამ აღაფრთოვანებდა და მოსწონდა გეს ნამუშევრები, რადგან წყარო, საიდანაც გამომდინარეობდა ნიკოლაი ნიკოლაის ძის სახეები, მისთვის მახლობელი და გასაგები იყო.

ერთი ხანობა გემ დააპირა დაეხატა შვიდი სურათი საერთო სათაურით: „ქადაგება მთაზე“. 1886 წლის სექტემბერში გე მამას სწერს: „ორი დღეა მხოლოდ „ქადაგებაზე“ ვფიქრობ, ვცადე შემექმნა ერთ სურათად და მხოლოდ მაშინ შევიმეცნე იმ ახალი ფორმით, უცებ რომ ნათლად დავინახე: თვი-

თეული მცნება განსაკუთრებულად იქნება შექმნილი და თვითეულივე, ელვარებასა და სინათლეში, ქრისტეს მიერ იქნება აღსრულებული. ეს ისე გულისამაჩუყებელი რამ არის — ღმერთმა რომ ჩამაგონა — რომ სიხარულისაგან ავტირდი“.

სურათების ხატვა გემ ზეთის საღებავებით დაიწყო ორ ტონში და პირველი გამოხატავდა: მოწაფეებითა და ხალხით გარშემორტყმულ ქრისტეს, ხოლო მეორე უნდა ყოფილიყო ილუსტრაცია სიტყვებისა: „ნეტარ არიან ღატაკნი“. ხოლო დანარჩენი ხუთი უნდა შექმნილიყო ქრისტეს ხუთი მცნების მიხედვით.

პირველი — მათეს სახარების მე-5 თავის 21-26 სტრიქონი — გამოხატავდა შემდეგს: ერთ კაცს, ვიდრე საკუთხეველს მსხვერპლს შესწირავდეს, ახსენდება, რომ არსებობს მასზე განრისხებული მეორე კაცი და პატიებას თხოვს თავის მტერს. მაგრამ ის ამაყად აქცევს ზურგს და უყურადღებოდ ტოვებს მთხზვნელს. ზეცაში კი, ხილვასავით, ამ ცნებას აღასრულებს ქრისტე, რომელიც ფეხებს ჰბანს იუდას.

მეორე მცნება — იმავე თავის 27-32 სტრიქონი ასეა გამოხატული: სურათის ქვედა ნაწილში მუშები — ცოლი და ქმარი — მოდიან და მათ შესახებ ვედრად მოემართება მდიდარი კაცი, რომელიც შედგა და ვნებიანად უყურებს მუშის ცოლს. მეორე პლანზე პირველ ჯგუფს მისდევს სასოწარკვეთილი, ქმრისაგან მიტოვებული მდიდრის ცოლი. ზეცაში კი, როგორც აღქმის აღსრულება, ქრისტემ ზურგი აქცია სატანას, მის ცდუნებას რომ ცდილობდა. სატანას გარს ეხვევიათ ქალები და მაცხოვრის გვირგვინს სთავაზობენ.

მესამე მცნება — (33-37 სტრიქონი) ასე გამოისახებოდა: სურათზე, ქვემოთ — პეროდე, მკმუნვარე წევს მეომრის წინ, რომელიც პეროდის გადასცემს იოანე ნათლისმცემლის თავს. ზევით გამოსახულია ქრისტე გეთსიემანიის ბაღში, სიტყვებით: „იყოს ნება შენი“.

დანარჩენი ორი სურათი გეს არ დაუხატავს, ხოლო ის სამი, რომლებიც ვახსენე, არ დაუსრულებია.

ამ ნახატებს გარდა გემ შესანიშნავი ილუსტრაციები შექმნა მამაჩემის მოთხრობისათვის — „რა აცოცხლებთ ადამიანებს?“ ეს ილუსტრაციები ცალკე ალბომად გამოიცა.

ჩვენთან სტუმრად ყოფნის დროს გემ ნახშირითა და საღებავით რამდენიმე ჩვენი მეგობრის პორტრეტი დახატა სახელდახელოდ და მათ შორის — ჩემიც. მამაჩემის მშვენიერი სურათი, ახლა ტრეტიაკოვის გალერეაში რომ ინახება, რამდენიმე სეანსში დახატა მოსკოვში ყოფნის დროს, სწორედ მაშინ, როცა მამა თავის კაბინეტში მუშაობდა. მახსოვს, რა კმაყოფილი იყო გემ, მეუბნებოდა მუშაობის დროს მამათქვენს ზოგჯერ ავიწყდებოდა ჩემი იქ ყოფნა და დროდადრო კიდევ ბუტბუტებდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდაო.

ერთ ზაფხულს იასნაია პოლიანაში გემ მამაჩემის ბიუსტის გამოძერწვა დაიწყო. ძალიან გაიტაცა ამ სამუშაოში. მახსოვს, ერთხელ დილით, როცა ბიუსტი დაამთავრა და ფლიგელში შეიტანა, სადაც მეყალიბეს უნდა ჩამოესხა, გემ დარბაზში იჯდა და ყავას სვამდა. უცებ, როგორც კი მამაჩემი შემოვიდა დარბაზში და გემ თვალი შეავლო მის პირისახეს, წამოვარდა და კისრისტენით დაეშვა კიბეზე. დავუძახეთ, რა დაგემართათ-მეთქი, მაგრამ არც მოუხე-

დავს, გარბოდა და ყვიროდა: „მეჭეჭი! მეჭეჭი!“ ცოტა ხანში ფლიგელიდან მშვიდი და სახეგაბრწყინებული დაბრუნდა: „მეჭეჭი არის!“ — ხარზვიმით გამოაცხადა მან.

თურმე მამაჩემისათვის მეჭეჭი შეუმჩნევია ლოყაზე და რაკი აღარ ახსოვდა, ქანდაკებისას მეჭეჭი გაუკეთა თუ არა, გაქანდა ფლიგელში, რომ იქნებ მეყალიბეს ჯერ არ ჩამოუსხამს ქანდაკება და მივუსწორო, აღმოჩნდა, რომ გეს მეჭეჭი არ დავიწყნოდა და ისიც დამშვიდდა.

9

ჩვენთან ნაცნობობის დროს გემ ხუთი დიდი სურათი დახატა. „რა არს ჭეშმარიტება?“ „თანამდევ არს სიკვდილისა“, „სინდისი“, „საიდუმლო სერობის შემდგომ“ და „ჯვარცმა“.

სურათში „რა არს ჭეშმარიტება?“ გეს სურდა გამოეხატა კონტრასტი ორ ადამიანს შორის: ერთი ფუფუნებაში და ფუქსავატურად რომ ცხოვრობს და ჭეშმარიტებას არად დაგიღევს, ხოლო მეორე მხოლოდ ამ ჭეშმარიტებით რომ ცოცხლობს და მისთვის მთელი ცხოვრება ამ ჭეშმარიტებას რომ ემორჩილება.

ამ ნახატმა დიდი აურზაური გამოიწვია. ჰყავდა მგზნებარე თაყვანისმცემლებიც და გაშმაგებული მოწინააღმდეგენიც. აი, რას წერდა მამაჩემი ამ სურათზე ერთ-ერთ კერძო წერილში:

„სურათის აზრი ასეთია: ქრისტემ ღამე თავის მწვალებლებთან გაათია. მას სცემდნენ, ერთი უფროსისაგან მეორესთან მიჰყავდათ და ბოლოს, დილით, პილატეს მიჰგვარეს. პილატეს წარჩინებულ რომაელ ჩინოვნიკს, ებრაელთა შორის მომხდარი ეს არეულობა უმნიშვნელო ამბად მიაჩნია. არსმა ამ ამბისა არ შეიძლება იგი დააინტერესოს. მაგრამ არეულობა კი უნდა აღგავოს, როგორც რომის ხელისუფალთა წარმომადგენელმა. მას არ სურს გადამწყვეტი ზომების მიღება, არ სურს გამოიყენოს სიკვდილით დასჯის უფლება, მაგრამ როცა გააფთრებულმა ებრაელებმა მოითხოვეს იესოს დასჯა, იგი დაინტერესდა, ეს არეულობა რამ გამოიწვიაო? მან უხმო იესოს პრეტორიაში და მოისურვა თვითონ მისგან გაეგო, რით აღაშფოთა ასე ებრაელნი. როგორც ყოველი წარჩინებული ჩინოვნიკი, წინასწარ რომ გამოიცნობს მიზეზს და თვითონვე ამტკიცებს, იგი დაჟინებით იმეორებს, ებრაელები იმან აღაშფოთა, რომ იესო თავის თავს იუდეველთა მეფეს უწოდებსო. ორჯერ ჰკითხა იესოს, მიგაჩნია თუ არა თავი მეფედო. იესო ხედავს, ყველაფერი იმის დასტურია, რომ შეუძლებელია ამ კაცმა გაუგოს, ხედავს, რომ იგი სულ სხვა სამყაროს ადამიანია, მაგრამ მაინც ადამიანია და იესო თავის თავს ნებას არ აძლევს მას „ლუსკუმა“ უწოდოს და დაუმალოს ის სინათლე, რომელიც მან, იესომ, ამქვეყნად მოიტანა, და მის შეკითხვაზე. — ხარ თუ არა მეფეო, — რაც შეიძლება მოკლედ აცნობს თავისი მოძღვრების არსს (იოანე, 18, 37). „იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვივლინე ჭეყვნად, რომ ჭეშმარიტებას ვემოწმო. ყველა, ვინც ჭეშმარიტებისაგან არის, შეისმენს ჩემს ხმას“.

იხილავს რა იმ წლის „მოძრავ გამოფენას“ პეტერბურგის ერთ-ერთ პატარა გაზეთში, დ. მორდოვცევი წერს:

„ამ გამოფენაზე ნ. ნ. გეს ნახატის — „რა არს ჭეშმარიტების?“ — გარ-

და, სხვა რომ არაფერი ყოფილიყო წარმოდგენილი, მაშინაც კი თავისუფალი ფუნჯის შემოქმედების განვლილი წელიწადი არ შეიძლებოდა უნაყოფოდ ჩაგვეთვალა. მე სხვა ნახატებზე არას ვიტყვი. როცა ადამიანის სულს მოლიანად ავსებს რომელიმე ერთი ძლიერი შთაბეჭდილება, იგი დროებით, გამოდევნის ხოლმე სხვა ყველაფერს. და მართლაც, შთაბეჭდილება, ჩემი მხატვრული, როცა „რა არს ჭეშმარიტებას“ ვუყურებდი, იმდენად უნაყოფოა, რომ სხვაგვარად არ ძალმიძს შევაფასო გეს ქმნილება, თუ არ როგორც უდიდესი მოვლენა არა მხოლოდ ხელოვნების სფეროში არამედ ფილოსოფიის ისტორიის სფეროშიც. დააკვირდით შემკითხველსა და მოპასუხეს. პირველი — ეს გახლავთ გამაძლარი, გაზულუქებული რომაელი ლუკულუსის დროისა; რას წარმოადგენს მისთვის ჭეშმარიტება? როცა ამ ჩამოძენძილმა, განაწამებმა და ნაცემმა უპოვარმა, ვინც მასვე გადასცეს განსასჯელად, უშიშრად ჩამოუგდოს სიტყვა ჭეშმარიტებაზე, რომაელი, ვისთვისაც უცხო არ იყო არანაირი აბუჩად აგდება ჭეშმარიტებისა, მხოლოდ გამაძლარი კაცის ირონიით შეხვდა საცოდავი უპოვარის სიტყვებს, ჭეშმარიტებაზე თქმულს. „რა არს ჭეშმარიტება? რა თავში ვიხლი? ნეტავ რას მელაპარაკები ჭეშმარიტებაზე?“

მაგრამ მოპასუხე!.. არასოდეს დამავიწყდება მისი სახე, თვალები! ისინი დღემდე თან მდევენ და დარწმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს არ მომასვენებენ, სულს ამიფორიაქებენ ხილვასავით. ასეთი სახე და ასე მეტყველი თვალები შეიძლება მხოლოდ მას ჰქონდეს, ვისზედაც მხატვარს ძალზე ბევრი უფიქრია და ჩემის აზრით ღრმად შეუცნია. გაიხსენეთ: მას, ამ მოპასუხეს, მთელ ღამეს აწამებდნენ, სტანჯავდნენ, ურტყამდნენ პირისახესა და თავში, თმას აგლეჯდნენ, დასცინოდნენ. ნაწამებს მთელი ღამე არ დაუძინია. ბოროტად დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ, სახეში აფურთხებდნენ, სიძულვილს მიაგებდნენ. მთელი ღამე შემზარავი სასიკვდილო აგონიისაგან ძრწოდა მისი სული, ლოცულობდა, რათა არ რგებოდა ტანჯვის ფიალის დაცლა, რისთვისაც, კაცმა რომ თქვას, მოევლინა ამ ქვეყანას. განა შეიძლება იგი სხვაგვარად ეახლოს დიდ პილატეს, თუ არა ისეთი, როგორიც იგი გემ დახატა?

...და ეს ღვთისნიერი ტანჯული, ვინაც იტვირთა ათასწლოვანი დანაშაული თავისი სისხლბორცეული სამშობლოსა — იუდეველთა და დანაშაულობანი ამაყი, ღრმად შემცოდე და გარყვნილი რომისა — დედამიწაზე თავისი ღვთაებრივი მისიის გადამწყვეტ ჟამს — ალაპარაკდა ჭეშმარიტებაზე — ნაცემი, ნაფურთხები, ჩამოფლეთილი, ფეხშიშველი, ხელზე შერჩენილი თოკის ნაგლეჯებით, რომლითაც ხელები შეუკრეს, — ეს საოცარი ადამიანი, თან მეფეს რომ უწოდებს თავს, და გასაგებია, როცა იმან, ვინ ხელშიც იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, და ვისაც ქარაფშუტულად დაჰკარგოდა რწმენა ადამიანის ყოველგვარი ჭეშმარიტებისა, ჰკითხა: „რა არს ჭეშმარიტება?“ — რა უნდა ეპასუხნა ამ ფუქსავატურ შეკითხვაზე იმას, ვინც სიკვდილზე მიდიოდა ამ ჭეშმარიტების გამო, თუ არა ისე შეეხედა შემკითხველისათვის, როგორც ამას ხედავთ ნ. ნ. გეს შესანიშნავ ტილოზე, რომელიც განცვიფრებთ თავისი შემზარავი რეალურობით? შემკითხველისათვის ეს რომ ფუჭი შეკითხვა იყო, — იქიდანაც ჩანს, რომ პასუხს არც ელოდება, ისე მიდის. „და ამ სიტყვებით კვლავ გამოვიდა იუდეველებთან“. ასევე გამოხატა, ჩემის აზრით, მხატვარმაც: სანახევროდ შებრუნებულ შემკითხველს სახეზე არ ეტყობა, არც ყურადღება, არც მოლოდინი — იგი გულგრილია ჭეშმარიტებისადმი“...

რეცენზენტი თავის სტატიას სრულიად მოულოდნელად ასეთი შეკითხვით ამთავრებს: „საინტერესოა, ნახა თუ არა ეს ნახატი ლევ ტოლსტოიმ?“

ამ სურათმა ისე მოწუსა ერთი ვეჭილი, ვინმე ბ-ნი ილინი, რომ/თხოვდა ნიკოლაი ნიკოლაის ძეს, ნება მომეცით საზღვარგარეთ წავიღო.

გე ძალიან გაახარა ამ წინადადებამ და მისცა სურათი მისთვის, რომელიც ძალიან მოეწონა. მაშამ ვილაც-ვილაცებს თავის ნაცნობთაგან წერილი მისწერა გეს სურათზე და სთხოვდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდნენ სურათის წარმატებით გამოსაფენად. აი, რას სწერს იგი კენანს ნიუ-იორკში:

„...ჩემი წერილის მიზანი ასეთი გახლავთ: ამ ზამთარს პეტერბურგში „პერედვოენიკების“ გამოფენაზე გამოჩნდა ნ. გეს ნახატი „ქრისტე პილატეს წინააღმდეგ“, სათაურით „რა არს ქვეშაობა?“ (იოანე 18, 38) გარდა იმისა, რომ სურათი შექმნილია დიდი მხატვრის მიერ (აკადემიის პროფესორის მიერ), რომელიც ცნობილია თავისი ნახატებით — განსაკუთრებით ბრწყინვალეა „საიდუმლო სერობა“ — ამჟამად წარმოდგენილი სურათი ყველას ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ შესრულების ოსტატობით, არამედ ძირითადი აზრის გამოხატვის სიძლიერით და საგნისადმი ახლებური და გულწრფელი დამოკიდებულებითაც... ამ სურათს საშინლად ესხმოდნენ თავს საეკლესიო მსახურნი და ხელისუფალნი ისე აღშფოთდნენ, რომ მეფის ბრძანებით სურათი გამოფენიდან ჩამოხსნეს და ჩვენება აკრძალეს.

ამჟამად ერთმა ვეჭილმა ილინმა (პირადად არ ვიცნობ) გადაწყვიტა საკუთარი სახსრებისა და რისკის ფასად სურათი ამერიკაში წამოიღოს, ხოლო გუშინ მივიღე წერილი, სურათი უკვე გაიგზავნათ. ჩემი წერილის მიზანი ის გახლავთ, რომ თქვენი ყურადღება მივაპყრო ამ ნახატს, რომელიც, ჩემის აზრით, ქრისტიანული მხატვრობის ისტორიაში მთელ ეპოქას ქმნის და თუ ეს ნახატი, რაშიც თითქმის დარწმუნებული ვარ, თქვენზე ისეთსავე შთაბეჭდილებას მოახდენს, როგორსაც ჩემზე ახდენს, გთხოვთ დაეხმაროთ და განუმარტოთ ამერიკის საზოგადოებას მისი შინაარსი.

სურათის აზრი, ჩემი შეხედულებით, ასეთი გახლავთ: ისტორიულად იგი ასახავს იმ წუთს, როდესაც იესო, — უძილო ღამის შემდეგ გათოკილს აქეთ-იქით დაათრევდნენ და სცემდნენ, — პილატეს მიჰგვარეს. პილატე, რომელიც გუბერნატორი, ჩვენი ციმბირელი გუბერნატორების მსგავსად, რომელთაც თქვენც იცნობთ, მხოლოდ მეტროპოლიის ინტერესებით ცხოვრობს, და რაღა თქმა უნდა, აბუჩად იგდებს და რამდენადმე ზიზღითაც უყურებს ამბოხებებს, თანაც რელიგიურ ამბოხებებს იმ უხეში ცრუმორწმუნე ხალხისას, რომელსაც თვით მართავს.

სწორედ იმდროინდელი საუბარია იმ სურათზე აღბეჭდილი: (იოანე, 18, 33-38) რომელშიც კეთილ გუბერნატორს სურს იქცეს en bon prince*-ად და თავის ქვეშევრდომთა ბარბაროსულ ინტერესების მოზიარედ და როგორც ეს საპატიო გვამთ სჩვევიათ, თვითონვე წინასწარ შეიქმნა წარმოდგენა იმაზე, რაზედაც ეკითხება და თვითონვე წინასწარ ამბობს ისე, რომ პასუხიც არ აინტერესებს. ჩემის აზრით, მისი შემწყალებე ღიმილი შემდეგს გამოხატავს: „მაშ, შენა ხარ იუდეველთა მეფე? იესო ნაწამებია, და საკმარისია ერთხელ შეავლოს თვალი ნაპატივებ, თვითკმაყოფილ, ფუფუნებაში ცხოვრებისაგან

* კეთილ პრინცად ანუ გულმოწყალებე ხელისუფლად.

გამოლენჩებულ პირისახეს, რათა იგრძნოს ის უფსკრული, მათ რომ აშორებს, და იგრძნოს, რომ შეუძლებელია, ანდა მეტისმეტად ძნელია პილატეს მის მოძღვრებას რამე გაუგოს. მაგრამ იესოს ახსოვს, რომ პილატეც ადამიანია, ძმაც, მართალია, შეცდომილი, მაგრამ მაინც ძმაც, და ამიტომ არა აქვს უფლება მასაც არ გადაუშალოს ის ჭეშმარიტება, რასაც ხალხს ასწავლის. იესო იწყებს ლაპარაკს (37). მაგრამ პილატე აჩერებს სიტყვას „ჭეშმარიტება“ და შეუძლია უთხრას ამ ჩამოგლეჯილმა მათხოვარმა მას, — რომელი პოეტებისა და ფილოსოფოსების მეგობარსა და თანამოსაუბრეს — ჭეშმარიტებაზე? პილატეს არ სურს ბოლომდე უსმინოს ამ უგვანი ებრაელის ნაროშავს. თანაც ხომ შეიძლება ამ მაწანწალას ეგონოს, შემოძლია რომელი დიდგვაროვანსაც ვასწავლო ჭკუაო, ამიტომაც სასწრაფოდ შეაწყვეტინებს ლაპარაკს: სიტყვა „ჭეშმარიტებასა“ და მის მცნებაზე შენზე და შენს ებრაელებზე უფრო ჭკვიანი, უფრო სწავლული და უფრო დახვეწილი გემოვნების ადამიანები ფიქრობდნენ და მათ უკვე დიდი ხანია ნათელჰყვეს, რომ შეუძლებელია ცოდნა იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტება, რომ ჭეშმარიტება — ფუჭი სიტყვაა. მერე წარმოთქვა „რა არს ჭეშმარიტება?“ — ქუსლებზე შემობრუნდა ეს კეთილი და თვითკმაყოფილი გუბერნატორი და წავიდა. იესოს კი ებრალება ადამიანი და მთელი არსებით შეძრულია სიცრუის უფსკრულის გამო, რომელიც აშორებს ასეთ ადამიანებს ჭეშმარიტებისაგან. სწორედ ეს სიბრაღული და ფიქრია გამოხატული მის სახეზე.

ჩემი აზრით, სურათის ღირსება ის არის, რომ მართალია (რეალისტურია, როგორც ახლა ამბობენ), ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... ქრისტიანულ მხატვრობაში ეს ნახატი ეპოქას იმიტომ ქმნის, რომ იგი ამყარებს ახალ დამოკიდებულებას ქრისტიანულ სიუჟეტებისადმი. ეს ის დამოკიდებულება არ არის, როცა ქრისტიანულ სიუჟეტებს ისე ექცევიან, როგორც ისტორიულ მოვლენებს. ასე ბევრმა სცადა და წარუმატებლადაც. ნაპოლეონის მიერ ხელმწიფობაზე ხელის აღება ანდა ელისაბედის სიკვდილი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე მათ სახეზეა გამოსახული. მაგრამ ქრისტე იმ ხანებში, როცა მოღვაწეობდა, არათუ პატივდებული არ გახლდათ, არამედ შეუმჩნეველიც იყო და ამიტომაც მისი ცხოვრების ამსახველი ნახატები ვერასოდეს იქნება ისტორიული ნახატი.

დამოკიდებულებამ ქრისტესადმი როგორც ღვთისადმი, მრავალი ნახატი წარმოშვა, რომელთა უმაღლესი სრულქმნილება კარგა ხანია უკან დაგვრჩა. თანამედროვე ხელოვნებას აღარ შეუძლია ასე შეხედოს ახლა ქრისტეს. და აი, ჩვენს დროში შეეცადნენ ასახონ ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრების ზნეობრივი გაგება. გემ კი ქრისტეს ცხოვრებაში იპოვა ისეთი მომენტი, რომელიც მაშინ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, მისი მოძღვრებისათვის და რომელიც სწორედ ასევე მნიშვნელოვანია ახლა თვითეული ჩვენთაგანისათვის და მეორდება ყველგან, მთელ მსოფლიოში. ადამიანის ზნეობრივი, გონივრული შეგნება, ცხოვრების შეუმჩნეველ სფეროებში რომ ვლინდება, ებრძვის დახვეწილ, კეთილ და თვითკმაყოფილ ძალმომრეობას, რომელიც თრგუნავს ამ შეგნებას. და ასეთი წუთი უამრავია და შთაბეჭდილება, წარმოქმნილი, ასეთ მომენტთა ასახვისაგან, ძალზე ძლიერი და ნაყოფიერია...

თავისი მოგზაურობის დასაწყისში ნახატს დიდი წარმატება ჰქონდა და სადღაც, ვგონებ, გერმანიაში, მუშათა საზოგადოებამ გადაწყვიტა გესთვის

შეეკვეთა „რა არს ჭეშმარიტების?“ ასლი, მაგრამ ამერიკაში ბ-ტონ ილინს არ ეყო ფული რეკლამისათვის და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალ ჭირ-ვარამგამოვლილი, უნდა დაბრუნებულიყო რუსეთში. ამ მარცხმა გააბოროტა ბ-ნი ილინი და რატომღაც დაადანაშაულა ნიკოლაი ნიკოლაის ძე, რომელსაც არაერთხელ მიაყენა დიდი უსიამოვნება და ყოველივე იმის დაწვევით, რომ მის წინააღმდეგ ცილისწამებით სავსე წიგნი დაწერა.

გემ, რასაკვირველია, შეუნდო ყველაფერი და უდრტვინველად გადაიტანა, როგორც ცილისწამება, ისევე მატერიალური ზარალი და დანაკარგი.

სურათი შეიძინა ტრეტიაკოვმა და გამოჰფინა თავის გალერეაში, სადაც ამჟამადაც ინახება.

10

სურათში „თანამდევ არს სიკვდილისა“ გეს სურდა დაეხატა ქრისტე, რომელიც გონებაში ლოცულობს თავის მტერთა გამო და ღმერთს ევედრება, შენდობის ძალა მისცეს. რადგან მათ „არა იციან, რას იქმნიან“. იგი კუთხეში დგას კედელზე მიყრდნობილი და ხელი წვერზე მიუდევს. გვერდით ჩაუვლის სინედრიონი მთელი თავისი დიდებულებით. მღვდელმთავარი ანა და კაიაფა მობრძანდებიან ზეიმურად, მსახურთა თანხლებით, იმ შეგნებით, რომ აღასრულებს თავისი ვალი და სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა. მხოლოდ ნიქოდე გრძნობს, რაც ხდება, და სახეზე ხელებაფარებული ზის ნახატის მარცხენა კუთხეში. ვილაც ბერიკაცი, ქრისტეს გვერდით რომ ჩაუვლის, მიხრწნილ თითს მაღლა იშვერს და რაღაცას ემუქრება. მეორე პირისახეში აფურთხებს, მათ მიღმა განხვნილია კარი, საიდანაც მოჩანს სამხრეთის მუქი-ლაყვარდისფერი ზეცა.

სურათი „სინდისი“ ერთადერთია გეს ბოლო დროის ნამუშევართაგან, რომელზედაც ქრისტე არ არის დახატული. ამ ნახატის შინაარსს გე ასე გადმოგვცემს: „იუდა კვალდაკვალ მიჰყვება ბრბოს, ქრისტე რომ მიჰყავს, მაგრამ ბრბო სწრაფად მიდის. მოწაფეები — იოანე და პეტრე — უკან მისდევენ, ხოლო კარგა მოშორებით მათგან ნელა მიაბიჯებს იუდა: არც გაქცევა შეუძლია, არც დატოვება. სული ეფლითება; უცებ ჩახვდა თავისი საქციელის მთელ სისაძაგლეს და შეზარა ყოველივემ. რა ქნას? საით წავიდეს? წინ — არ შეიძლება, უკან — გზა არა აქვს“. „იუდა წმინდაწყლის მოღალატეა, — გვწერს გე ერთ-ერთ წერილში, — ჩუმი, შესახედავად მშვიდი, მაგრამ სიმშვიდედაკარგული, დამკარგავი იმისა, რითაც ცხოვრობდა, რაც უყვარდა და არც შეუძლია ჩამოშორდეს და არც შეიძლება მასთან დარჩეს, — თვითონვე მოიკვეთა თავი სამუდამოდ. ასეთ უსულო გვამს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს — მოკვდეს. ისიც მოკვდა“.

ამ სურათსაც ისევე აქებდნენ და ესხმოდნენ თავს, როგორც „რა არს ჭეშმარიტებას?“ ნ. კ. მიხაილოვსკიმ „რუსკიე ვედომოსტში“ დაწერა სტატია, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს სურათს „სინდისი“ და დასცინის მას. მაგრამ მგზნებარე ქომაგნიც გამოუჩნდნენ და კარგა ხანს პრესაში გაცხოველებული პოლემიკა მიმდინარეობდა მის გარშემო. აი, როგორ აღწერს ამ სურათის ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებას რომელიღაც გაზეთში ერთ-ერთი მომხრე:

„უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული სიტყვები, რითაც იგი (იესო

ქრისტე) შეეგება თავის გამცემსა და თავის მტრებს, ყურში მკაფიოდ ჩაესმის ცოდვილ იუდას. მაცხოვრის უცოდველი პიროვნება წარსდგა ახლა იუდას წინაშე მთელი თავისი დიდებულებით. გონება ეხსნებოდა და თანდათან გულდებნებოდა, რა ცოდვაც ჩაიდინა. მტანჯავი ფიქრი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, უცოდველ სისხლს ვუღალატეო. იუდას სულში ბორგაღმართი გრძნობა და ფიქრი. მას სტანჯავს საკუთარი დანაშაულის შეგნება მტანჯველ ველებზე გაბოროტებულია და ხალხისაც რცხვენია. ღამის წყვიადი და სიჩუმე კიდევ უფრო აძლიერებენ მტანჯველ გრძნობას. არც ერთი თანაგრძნობის სიტყვა არ ესმის იუდას; ყველამ ზურგი აქცია. იგი მარტოა, სრულიად მარტო ამ უზარმაზარ სამყაროში. ჯოჯოხეთური წამებით აღსავსე სულმა იუდა გამოათაყვანა. გაჰყურებს იუდა იუდეველთა და მეომართა უხეშსა და უღმრთელ ბრბოს, იესო რომ მიჰყავთ. ისინი თითქმის მიეფარნენ თვალს, იუდა კი ფიქრობს, რა ჰქნას? როგორ მოიქცეს? და აი სწორედ ეს საგულისყურო წუთი აქვს ასახული გეს თავის სურათში.

ლაბადამოსხმული იუდას ფიგურა დაკვირვებულ მნახველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. მხატვარმა განსაცვიფრებელი ოსტატობით ასახა მოღალატის დათრგუნვილი სულიერი მდგომარეობა. ამ ფიგურას რომ უყურებ, ნათლად გრძნობ იმ ჯოჯოხეთურ ტანჯვას, რასაც იუდა განიცდიდა სინდისის გაღვიძების წუთებში...

„სინდისის“ მომდევნო სურათი იყო „საიდუმლო სერობის შემდეგ“. ეს სურათი, ჩემი აზრით, უძლიერესია გეს ყველა ნახატს შორის იმ განწყობილებით, რომელიც ცხადად იგრძნობა. სამწუხაროდ, იგი კერძო პირმა იყიდა, ხოლო ტრეტიაკოვის გალერეაში მხოლოდ მისი ესკიზია შენახული. შინაარსი ასეთია: საიდუმლო სერობის შემდეგ მთვარიანი სამხრეთის ღამეს გარეთ გამოსულ ქრისტეს თავი ზეცისაკენ აუწევია, ხელები მაგრად აქვს ჩაჭიდებული ერთმანეთზე. იცის, რაც მოელის და მზად არის. ახალგაზრდა იოანე შეშფოთებული გაჰყურებს წყვილიადს და იუდას დაეძებს, მის მოძრაობაში ჩანს, რომ აფორიაქებულია. ქრისტეს დანარჩენი მოწაფეები მშვიდად ჩამოდიან პარმალის კიბეზე. ისინი ნეტარები იმით, რაც ახლა უთხრა მათმა მოძღვარმა, მაგრამ არც ერთი არ გრძნობს, რომ აღსასრული ასე ახლოს არის...

11

ასე მგონია ყველაზე საყვარელი ნაწარმოები თვითონ ნ. ნ. გესათვის იყო „ჯვარცმა“. ამ სურათზე იგი უფრო მეტად მუშაობდა, ვიდრე სხვებზე. რამდენჯერმე გადახატა მთლიანად, ძირის-ძირობამდე, გამუდმებით ეძიებდა იმ ფორმას, რომელიც მთელი სისავსით შეასხამდა ხორცს მის ჩანაფიქრს. ხატვა დაიწყო 1889 წლის ზამთარში და ისეთი გზნებითა და გულმოდგინებით მუშაობდა, როგორც არასდროს არც ერთ ნახატზე არ უმუშავნია. დღისით ხატავდა, საღამოობით კი ესკიზებს აკეთებდა. 1890 წლის იანვარში იგი წერს, რომ სურათი დაასრულა: „გამოვედი იმ განსაკუთრებული სამყაროდან, სადაც მას ვქმნიდი“. 1892 წლის შემოდგომაზე გე მწერს:

„ჩემი სურათი თავიდან დავხატე და ეს ბოლო ბიძგი ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა, ხოლო თქვენმა მამამ—ლევ ნიკოლოზის ძემ—მომცა, როცა მომწერა ამბავი ერთი შვედის ნახატისა, სადაც ჯვარცმულნი დგანან, ამ ამბავმა

განმაცვიფრა. დიდი ხანია მსურდა ასე გამეკეთებინა, ვეძებდი გამართლებას და ვიპოვე კიდეც რიჩისთან (არის ასეთი სიძველეთა ლექსიკონი) და რენანთან, და დავხატე. ამავე ხანებში ველოდი შვედის ნახატს და ძალზე გამიკვირდა, მსგავსი ვერაფერი რომ ვერ ვიპოვე მასთან. შვედის ნახატი ძველესზე მსჯელობას ემყარება, კათოლიკურს, როგორც მე ვეძახი, ანუ მთელი გარემოცვა ძველია და ჩანაფიქრიც ძველია — მთელი სურათი ჩაფიქრებულია ტანჯვისადმი სიბრაულის გასაღვიძებლად — ეს კი უკვე ცოტაა და რაკი ახალი ბიძგი მივიღე შვედის ნახატის მოლოდინში, ასევე ახალი სურათი შევადგინე ჩანაფიქრითაც და გარემოებითაც. ახალი იმიტომ, რომ მაყურებლის სულში აღვიძებს ანდა უნდა გააღვიძოს სურვილი ისევე სრულქმნილნი ვიყვეთ, როგორც არის მონანიე ყაჩაღი.

სურათი წარმოადგენს შემდეგ სანახაობას: სამივე ფიგურა მიწაზე დგას, ფეხები მილურსმული აქვთ ჯვრის ბოძზე, ხელები მხოლოდ ორს მიულურსმეს კადონზე, მესამე თოკით არის მიბმული, რადგან ჯვრის კადონი უფრო მოკლეა. პირველი ავაზაკი ქრისტეს ეუბნება: „მომიგონებდე მე, უფალო“, — თავი ჩაუქინდრავს და ტირის. გულმოწყალე და მოყვარულ ქრისტეს მისკენ მიუბრუნებია თავისი ნატანჯი სახე, სავსე სიყვარულითა და სიხარულით, მესამეს კი კისერი წაუგრძელებია, რათა დაინახოს თავისი ამხანაგი და მისი ცრემლის დამნახავი გაოგნებულია.

ფიგურები კედელთან დგანან პერსპექტივაში და მზით არიან განათებული. სურათი ნათელია, შორს ჩანან მსახურნი, რომლებიც შემოხვევიან იმას, ვინაც გათამაშებისას მოიგო ქრისტეს ტანსაცმელი, და უკანა პლანზე შეჯგუფებულიან...”

ერთი თვის შემდეგ გემ სურათი ისევ გადააკეთა მთლიანად და მომწერა: „საყვარელო ძვირფასო ტანია, რაკი ასე წვრილად მოგწერეთ ჩემი სურათის ამბავი, ისევ უნდა შეგატყობინოთ, საბოლოოდ რა გამოვიდა, როცა ჩემი ჩანაფიქრი განვაფიქრებ, თორემ ასე მოხდება: იმ სურათს კი ვერ ნახავთ, რომლის ნახვასაც მოვლით, არამედ სულ სხვა სურათი შეგჩვენებთ ხელში, და ეს შეგაცბუნებთ. ყველაფერი გადავაკეთე და ის მანუგეშებს... რომ ამ მხრივ ჩემს ძვირფას მეგობარს ლევ ნიკოლოზის ძეს ვგავარ, არ შემიძლია შევჩერდე უფრო და უფრო ამაღლებულის ძიების დროს...”

განვიცდი იმასვე, თითქოს ავაზაკის დღეში ვარ ჩავარდნილი, რაც ძნელი არ არის, რადგან თავად გახლავართ ასეთი*. სწორედ მაშინ ჩავიფიქრე მისი სიკვდილი ანუ კვდომა ანდა უკანასკნელი წუთი და მართლაც ასე აღმოვაჩინე სურათი მართებულიც, ძლიერიც და კარგიც...”

მაგრამ გეს ძიება არც შეუწყვეტია და კიდეც მთელი წელიწადი გრძელდებოდა.

ნ. ნ. გე ბევრს წვალობდა ჯვრების ხატვისას და ერთი ხანობა გადაწყვიტა, ჯვრები არ დაეხატა, გამოესახა ქრისტე და ორი ავაზაკი, ახლახან რომ აიყვანეს გოლგოთაზე. სურდა დაეხატა სამი ტანჯული სულის ძრწოლა: ქრისტე ლოცულობს, ერთი ავაზაკი ცახცახებს მხოლოდ ფიზიკური საშინელების

* ნ. ნ. გემ ორი ფოტოსურათი გამომიგზავნა: ერთს ქრისტეს თავი აქვს, მეორეს — ავაზაკისა. პირველს მიწერილი აქვს „იგი“, მეორეს „მე“.

მოლოდინში, მეორე კი დგას გულმოკლული, იგრძნო, რომ ცუდად იცხოვრა და ამიტომაც ჩავარდა ასეთ ცუდ დღეში.

„თვითონვე ვტირი, სურათს რომ ვუყურებ“, — სწერს იგი მამაჩემს სურათის ამ ვარიანტზე.

„ჯვარცმანზე“ მუშაობის ქამს, ზეთის საღებავებით შესრულებულ ნახატებს გარდა, დაუგროვდა კიდევ რამდენიმე ალბომი, სავსე იმავით სურათებით, რომლებით. ერთი ესკიზი ასეთი შინაარსისაა: ჯვარცმულმა ქრისტემ უკვე განუტევა სული, ყაჩაღი ჯერ ცოცხალია, ქრისტეს სული დახრილა მის თავით, ეხვევა და ჰკოცნის (ეს სურათი მოთავსებულია მისი ვაჟიშვილის მიერ გამოცემულ ნ. ნ. გეს ნახატებისა და სურათების ალბომში). „ეს რომ დავხატე, ვიგრძენი, რომ ჰკუთას ვკარგავდი, — გვითხრა ნიკოლაი ნიკოლაის ძემ ამ ესკიზზე, — და დროებით მივატოვე სამუშაო“.

ბოლოს, 1893 წლის 10 აგვისტოს იგი მწერს:

— სურათი საბოლოოდ დავაზუსტე და ორი დღე სულელივით დავიარებოდი; — სულ მეჩვენებოდა, რომ იმაზე მეტი გავაკეთე, ვიდრე მეგონა... შევეჩერდი სიტყვებზე: „დღეს ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“, სწორედ ეს შევექმენი. ვიმედოვნებ დავასრულო და არა მაქვს არავითარი სურვილი კვლავ ძიებისა, კმაყოფილი ვარ და მუშაობის ხალისიც დამიბრუნდა“.

„ჯვარცმის“ საბოლოო ვარიანტის შინაარსი ასეთია: ტილოზე მხოლოდ ორი ფიგურაა: ქრისტე და ავაზაკი. ქრისტე მილურსმულია ასო T-ს მსგავს ჯვარზე, ავაზაკიც ასეთსავე ჯვარზეა მიბმული. ორივე ჯვარცმული მიწაზე დგას. მეორე ავაზაკი კი გემ მოსპო, რადგან მისი აზრით ზედმეტი იყო და მხოლოდ ხელს შეუშლიდა იმას, რის გამოხატვაც სურდა, ნ. ნ. გე ცდილობდა მის მიერ დახატული ავაზაკის სახით გადმოეცა ის, რასაც თვითონ განიცდიდა, მის ადგილზე რომ ყოფილიყო.

„და აი, მე წარმოვიდგინე ადამიანი, — გვიამბობდა გე, — ბავშვობიდანვე ბოროტებაში რომ ცხოვრობდა, ბავშვობიდანვე რომ ჩააგონეს, რომ უნდა ძარცვო, შური იძიო, ძალით უნდა დაიცვა თავიო, მასაც ხომ ასე ექცეოდნენ, და უცებ, იმ წუთში, როცა უნდა მოკვდეს, ამ კაცს ესმის სიყვარულისა და შენდობის სიტყვები, რაც წამში ცვლის მთელ მის მსოფლმხედველობას. ავაზაკს სწყურია ისევ მოისმინოს შეწყალების სიტყვები, თავისი ჯვრიდან მიიწევს იმ ადამიანისაკენ, ვინაც ახალი შუქი და სიმშვიდე ჩაუღვარა სულში, მაგრამ ხედავს, რომ ამ ადამიანის მიწიერი ცხოვრება სრულდება; მან უკვე გადაატრიალა თვალები და სხეულიც ჩვარივით ჩამოეკიდა ჯვარზე, ყაჩაღი შეძრწუნებული ყვირის, ეძახის, მაგრამ უკვე გვიანია“.

„...მე გამოვცადე ეს საშინელება და სასოწარკვეთილება, როცა ანეჩკა კვდებოდა, — დასძინა ნიკოლაი ნიკოლაის ძემ თბრობის დასასრულს, — და სწორედ ეს მინდოდა აღმებეჭდა ავაზაკის სახეზე“.

„ჯვარცმა“ ნიკოლაი ნიკოლაის ძემ პეტერბურგში ჩაიტანა „მოძრავ გამოფენაზე“, მაგრამ მთავრობის ბრძანებით ჩამოხსნეს. ნ. ნ. გეს ნაცნობმა ოჯახმა შესთავაზა, სურათი კერძოდ გამოვფინოთ ჩვენს ბინაშიო. მაღლიერების გრძნობით აღსავსე გე დაეთანხმა და მთელი ხანი, რაც სურათი იმ სახლში იდგა, მის წინ მუდამ ზღვა ხალხი ირეოდა. ალბათ მოძრავ გამოფენაზე ამდენი ხალხი ვერ ნახავდა; ყოველ შემთხვევაში, ისე შესამჩნევი არ იქნებოდა უამრავ სხვა სურათთან შორის. აქ კი მარტო ეს ნახატი იყო, მხოლოდ მის სანა-

ხავად მოდიოდნენ და ამას გარდა, აქ მუდამ იმყოფებოდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე, თანაც უხსნიდა, ეუბნებოდა მნახველებს, რისი გამოხატვა სურდა, და ამით აძლიერებდა სურათის მიერ შექმნილ შთაბეჭდილებას.

პეტერბურგში თავისი ნახატის გამოფენის შემდეგ გე ჩვენთან ჩამოვიდა მოსკოვში. ეს იყო 1894 წლის ზაფხულზე. ძალზე დაღლილი და დასუსტებული გვეჩვენა, თუმცა არაფერს უჩიოდა. როგორც ჩანს, ყოველდღიურმა ახსნა-განმარტებებმა ნახატის ირგვლივ ქანცი გაუწყვიტა. გულგრილი მოამბე ვერ იქნებოდა, იგი ხომ მთელ სულსა და გულს აქსოვდა თავისი ნახატების შინა-არსში, რასაც მნიშვნელოვან და საპატიო საქმედ მიიჩნევდა.

თავისი ნახატი მოსკოვშიც ჩამოიტანა იმ განზრახვით, რომ აქაც ეჩვენებინა საზოგადოებრიობისათვის ისევე, როგორც პეტერბურგში; როცა საამისოდ შენობას ეძებდა, ამ დროის განმავლობაში ნ. ნ. გე ჩვენთან ცხოვრობდა და ისვენებდა.

იმ ზაფხულს მოსკოვში მხატვართა პირველი ყრილობა იყო. მე ამ ყრილობის წევრი გახლდით, ვესწრებოდი ყველა კრებას, და რაკი ცოტაოდენ მონაწილეობას ვიღებდი „პოსრედნიკის“ წიგნთგამომცემლობის მხატვრული განყოფილების მუშაობაში, დავარწმუნე „პოსრედნიკის“ ერთი მონაწილე მოხსენება წაეკითხა სახალხო სურათებზე, რათა ამ საქმეზე მხატვრები მოეზიდა. ამ მოხსენებას წარმატება კი ჰქონდა, მაგრამ მცირე შედეგი გამოიღო.

როცა გე ჩამოვიდა, მოვიხსენიე ისიც ჩამება საქმეში და შეიძულებინა მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში. მაგრამ გე გულცივად შეხვდა ერთსაც და მეორესაც.

— არა, ტანია, — მითხრა მან, — მე იქ არაფერი მესაქმება. იქ დიდი თავადი თავმჯდომარეობს და არ მსურს მასთან შეხვედრა.

გული გამიტყდა.

— ჩემი აზრით, სწორედ თქვენ უნდა იყოთ იქ, — ვარწმუნებდი, — თქვენ ერთ-ერთი დამაარსებელი ბრძანდებით „მოძრავი გამოფენისა“, თქვენი ძმა იქ დიდხანს ვერ იბოგინებს, თქვენ კი შეგეძლოთ ახალგაზრდობისათვის რაიმე სასარგებლო გეთქვათ.

ნ. ნ. დასაძინებლად წავიდა, არაფერი გადაუწყვეტია, ისე, მაგრამ მეორე დილას, როცა ყავის დასალევად მივედი, მხიარული და თვალეგაბრწყინებული იჯდა.

— ტანია, მთელი ღამე ვფიქრობდი, — მითხრა მან, — და აი, ნახავ, დღეს იმათ რას ვეტყვი. — როცა მამა მოვიდა, იმასაც გააგებინა: „ტანიამ მთხოვა მხატვართა ყრილობაზე სიტყვით გამოვიდე და წუხელ გადავწყვიტე, ასეც მოვიქცე“.

იმ დღეს ყრილობის ბოლო სხდომა საღამოს იყო დანიშნული და შემდეგ ყრილობა რჩებოდა.

ნასადილეც მე და ნიკოლაი ნიკოლაის ძე ისტორიის მუზეუმში წავედით, სადაც ყრილობა იყო გახსნილი. დიდი თავადი არ ესწრებოდა, დავსხედით მე და ნიკოლაი ნიკოლაის ძე, მოვისმინეთ რამდენიმე მოხსენება, შემდეგ თავმჯდომარეს შევუთვალეთ, ნ. ნ. გეს სიტყვით სურს გამოსვლა-თქო.

მაშინვე გამოგზავნეს კაცი, ვინაც გე კათედრამდე მიაცილა. ადგილიდან ვუყურებდი, როგორ გამოვიდა ხალხში, ისევ იგივე უხეში პერანგი და გაქე-
ქილი პიჯაკი ეცვა, მაგრამ როგორც კი დაინახეს, უცებ ისეთი ოვაცია გაუშარ-
თეს, ატყდა ისეთი ყვირილი და ბრახუნი, ნ. ნ. გე მეტად აღელდა, დაინახე,
სახეზე სიწითლემ როგორ გადაჰკრა და როგორ გაუბრწყინდა ახალგაზრდულ-
თვალები. როცა ცოტა ჩაწყნარდნენ, გე ორივე ნიდაყვით კათედრას დაეყრდ-
ნო, თავი მალლა ასწია და დაიწყო:

— ხელოვნება ყველას გვიყვარს...

ვერც მოასწრო სიტყვის დასრულება, რომ ტაშისცემა, შეძახილები, ბრა-
ხუნი კიდევ უფრო გაძლიერდა, ნიკოლაი ნიკოლაის ძემ ვერ შეძლო სიტყვის
გაგრძელება, რამდენჯერმე დაჩეყო, მაგრამ ისევ ტაშს უკრავდნენ და ყვი-
როდნენ.

ფრაკებში გამოწყობილი სხვადასხვა დიდგვაროვანთა შაბლონური სიტყ-
ვის შემდეგ, რომლებიც თავიანთ გამოსვლას ასე იწყებდნენ: „მოწყალეო
ქალბატონებო და მოწყალეო ბატონებო“, — და ა. შ. გეს სიტყვამ მაშინვე
გააერთიანა ყველა დამსწრე და მისმა ლამაზმა, ორიგინალურმა გარეგნობამ
უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

გამოსვლის აზრი ის იყო, რომ მხატვარს, რომელიც თავს ხელოვნებას
უძღვნის, არ უნდა ჰქონდეს იოლი ცხოვრების იმედი; ამ მოწოდებას როცა
იტვირთავს, ცხოვრებაში უამრავ სიძნელეს უნდა მოელოდეს და გამუდმებუ-
ლი ბრძოლისათვის უნდა იყოს მზად... გემ იმაზეც ილაპარაკა, თუ რა დიდ
სიკეთეს სჩადიან ადამიანები, რომლებიც დროულად გაუმართავენ ხოლმე
ხელს და გაამხნევებენ მეორეს მისი ცხოვრების მძიმე წუთებში. კეთილად
მოიხსენია პ. მ. ტრეტიაკოვი, ვისაც არა მარტო ფულით, არამედ თავისი კე-
თილი თანაგრძნობით შეეძლო მხარში ამოდგომა მხატვარს გაჭირვებისა
და სასოწარკვეთის ქაშს. ისე თბილად და გულითადად ლაპარაკობდა, რომ
ბევრს ცრემლი მოერიდა, და როცა კათედრიდან ჩამოვიდა, ისეთივე ტაშითა და
ზარზვიმით გამოაცილეს, როგორც შეხვდნენ.

გაზაფხული იყო, თბილი ღამე და მე და ნ. ნ. გე ფეხით მივედით სახლში
ალექსანდროვის ბაღის გავლით. ჩუმად მივდიოდით, შევყურებდი და ვფიქრობ-
დი, მხოლოდ იმ ადამიანს ძალუძს სხვებზე ზემოქმედების მოხდენა, ვინც გეს
მსგავსად იწვის ადამიანებისა და ყოველივე იმის სიყვარულით, რაიც ამ ადა-
მიანთა სულს სჭირდება-მეთქი.

ამ შეკრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ აღმოვაჩინეთ შენობა გეს ნახა-
ტის გამოსაფენად. და ისიც წავიდა, რათა გამოფენა მოეწყო. როცა ყველაფერი
მზად იყო, გემ ნება დართო ყველა მსურველს მისულიყო და ენახა ნახატი.
აღელვებულნი გავემართენით ჩვენც „ჯვარცმის“ სანახავად, რაზეც ამდენს
მოგვითხრობდა და გვწერდა ნიკოლაი ნიკოლაის ძე და რაზეც ამდენი ხანი
იმუშავა.

ახლაც იგივე დამემართა, როგორც ყოველთვის — მოლოდინი ცოტა არ
გამიმართლდა. ნახატს რომ ჩემზე ზემოქმედება მოეხდინა, იგი უფრო ძლიერი
უნდა აღმოჩენილიყო იმ წარმოდგენაზე, რაიც ნიკოლაი ნიკოლაის ძეს
მონათხრობმა შემიქმნა. ხოლო ის, რაც ჩემს წარმოდგენაში აღმოცენდა ამ
მონათხრობთა მიხედვით, უფრო სრულყოფილი გახლდათ შესრულებითაც და
გამომსახველობითაც, ვიდრე ის, რაც ვიხილე.

მამაჩემს ასე არ დამართნია. ვიდრე მე, ჩემი და კიდევ რამდენიმე მეგობარი სახელოსნოში ვიყავით, მოვიდა მამა, რომელსაც გე მოუთმენლად ელოდა. მამა განაცვიფრა ნახატმა, სახეზე ეტყობოდა, როგორ ებრძოდა საკუთარ მღელვარებას. ნიკოლაი ნიკოლაის ძე ხარბად შეჰყურებდა, და მამაჩემის მღელვარება მასაც გადაედო. ბოლოს გადაეხვივნენ და დიდხანს ეჭყრებოდნენ. მთხრეს ერთმანეთს, რადგან ცრემლი ახრჩობდათ.

„ჯვარცმა“ მოსკოვში რამდენიმე კვირას იდგა და ამ ხნის განმავლობაში სახელოსნოში მუდმივად ირეოდა ხალხი. ხშირად მივდიოდი, რადგან მაინტერესებდა თვალი მიმედევნებინა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ნახატი საზოგადოებაზე, აგრეთვე იმიტომაც, რომ დამყავდა ჩემი ამხანაგები სკოლიდან. შთაბეჭდილებები უკიდურესად განსხვავებული იყო, ზოგს ძალზე არ მოსწონდა, ზოგიც ფრიად აღტაცებული რჩებოდა.

მახსოვს, ამ გაზაფხულზე, მაისში, თუ არ ვცდები, ნ. ნ. გე და მამაჩემი იასნაია პოლიანაში გაემგზავრნენ, გემ იქ მცირე ხანი დაჰყო და მერე თავის ხუტორში წავიდა ჩერნიგოვის გუბერნიაში.

მალე მეც წავედი იასნაიაში, მაგრამ გე იქ აღარ დამხვედრია.

აღარ გვეწერა, კიდევ გვენახა ერთმანეთი.

2 ივნისს სალამოს დეპეშა მოგვიტანეს. მამა ოთახში არ იყო, ვიყავით დედაჩემი, მამა და მე. მოკლე დეპეშით ნ. ნ. გე-ვაჟიშვილი გვაუწყებდა მამამისის გარდაცვალებას, 1 ივნისს, შუალამისას (1894 წ.).

გონს ვერ მოვსულიყავით ამ ამბის გამგებნი და ჩუმად ვისხედით. უცებ მამაჩემის ნაბიჯის ხმა გავიგონეთ, კიბეზე ამოდიოდა. გული ჩამწყდა, და ვითხოვე, რომელიმემ გააგებინეთ მამას ეს ამბავი-მეთქი, ვგრძნობდი ხმა და ენა არ მემორჩილებოდა. ჩემმა დამაც უარი განაცხადა. და მახსოვს, რა უცნაური, არაბუნებრივი ხმით უთხრა დედამ:

— აი, ამათ უსიამო მოვალეობა დამაკისრეს, უნდა გაუწყო ამბავი, რომელიც გულს გატკენს, — და გადასცა მამას დეპეშა.

მალე დეპეშის მიღებიდან მამას გეს უფროსი ვაჟიშვილის, პეტრე ნიკოლაის ძისაგან მოუვიდა წერილი, რომელშიც უამბობდა, როგორ გარდაიცვალა მამამისი. მისულა შინ უფროსი ვაჟიშვილისაგან წამოსული, თავი ცუდად უგრძნია, დაწოლილა და ისე გათავებულა, ცნობაზე არც მოსულა.

მამამ უპასუხა პეტრე ნიკოლაის ძეს:

„ძალზე მადლობელი ვარ თქვენი, პეტრე ნიკოლაის ძეგ, წერილისათვის, რომელშიც დაწვრილებით მატყობინებთ ჩემი საყვარელი მეგობრის უკანასკნელი დღეებისა და წუთების ამბავს. ესოდენ მტკივნეულად თითქმის არც განმიცდია ვისიმე დაკარგვა, როგორც ამჟამად განვიცდი. ვერაფრით შევეჩვიე და დღეში რამდენჯერმე ვიხსენებ, არც პირველ წუთს მჯერა და ყოველთვისაც ისევ ახლიდან განვიცდი მისი დაკარგვის მტანჯველ გრძნობას. განვიცდი იმასაც, რასაც თქვენ მწერთ, თითქოს ვინანიებდე და ნაგვიანებად ეწუხდე იმას, რომ თითქოს არასაკმარისად მიყვარდა, უფრო სწორად, არასაკმარისად ვამყლავნებდი ჩემს საყვარულს მისდამი, რადგან მე ხომ იგი მთელი სულით მიყვარდა. მაგრამ თვითონ კი მართლაც მეტისმეტად მოსიყვარულე იყო და ზოგჯერ მგონია, რომ ჯეროვნად ვერ ვაფასებდი ამ ბედნიერებას. განსაკუთრებით სამძიმოა მისი სიკვდილის დაჯერება, რადგან არ მეგულება სხვა კაცი, — ჩემი ადამიანური თვალთახედვით, — მასზე უფრო სავსე სულიერი

ძალებითა და მომავლის გრძნობით. მის სულს არანაირად არ ერწყმოდა სიკვდილზე ფიქრი. გული მწყდებოდა, რომ არ გაუკეთებია ყველაფერი, რაც სურდა და შეეძლო, მაგრამ ჩანს, ეს არც იყო საჭირო. ჩანს, არსებობს ხევა, უმაღლესი მოსაზრებანი, ჩვენთვის შეუცნობელნი, რომელთა მიხედვით იგი ანდა უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან. მე ეს მწამს.

მისმა სიკვდილმა მეც და ყველანი სულიერად აღგვამალა, რომელიც გვამაღლებს ხოლმე მუდამ დიდი ადამიანის სიკვდილი, ვისაც არა მარტო შინაგანი ნიჭი, არამედ სუფთა გულიც აქვს და ისეთივე სათაყვანოა, როგორც მამათქვენი იყო. როგორ იმოქმედა ყველაზე მისმა დაღუპვამ! ყოველის მხრიდან — სტრახოვი, ლესკოვი, სტასოვი, ვესელიტსკაია, — მომდის წერილები და ვხედავ, რომ მისმა სიკვდილმა ყველანი აღამაღლა და გული მოუღებო. ისევე როგორც მე, თუმცა კი ცოტა უფრო ნაკლებად.

სტასოვს სურს დაწეროს მისი ბიოგრაფია ანდა ნარკვევი მის მოღვაწეობაზე და თუმცა ეს არც ისე სრულყოფილი იქნება, — მაინც კარგია, რადგან მას ესმის თუნდაც ერთი მხარე მამათქვენის სიდიადისა.

კარგი ჰქენით, რომ გამომიგზავნეთ მისი სურათები: ჯერ არ მიგვიღია, როგორც კი მივიღებთ, რაც საჭიროა ყველაფერს გავაკეთებთ. მე უკვე ვწერ წერილს ტრეტიაკოვს, ვუხსნი მისი, როგორც მხატვრის მნიშვნელობას, ვურჩევ მან შეისყიდოს და მოათავსოს თავის გალერეაში ყველაფერი, რაც დარჩა. იმედი მაქვს წერილს დღესვე დავამთავრებ და გავუგზავნი.

გმადლობთ, როგორც მეგობარს რომ მომმართეთ და ყველაფერი აღმიწერეთ. თქვენ მუდამ ძვირფასი იქნებით ჩემთვის. როგორ არის კოლეჩკა? გვეგონა, ჩამოვიდოდა. ამიტომაც არ მიმიწერია ჯერ. ჩემი სალამი გადაეცით თქვენს მეუღლეს.

თქვენი მოსიყვარულე ლ. ნ. ტოლსტოი.

13 ივნისი. 1894 წ.

შემდეგ მივიღეთ უმცროსი ვაჟის, ნიკოლაი ნიკოლაის ძის, წერილი, ვისაც ყველანი მეგობრულად კოლეჩკას ვეძახდით. იგი მამაჩემს სწერდა, ნებას გრთავთ სურვილებისამებრ განაგოთ ნ. ნ. გეს ნახატები, რომლებიც მე მხვდა წილად მამისაგან მემკვიდრეობით, ხოლო ორს საჩუქრად გვიგზავნიდა იასნაია პოლიანაში.

მამა უკვე სურათის მიღებამდე ფიქრობდა მათ ბედზე და ამის თაობაზე ორი წერილი გაუგზავნა პ. მ. ტრეტიაკოვს. აი ისიც:

პ. მ. ტრეტიაკოვს

14 ივნისი, 1894 წ.

პაველ მიხეილის ძევ, ხუთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გავიგე გეს სიკვდილის ამბავი და გონზე ვერ მოვსულვარ.

ამ ადამიანის არსებაში ჩემთვის შერწყმული იყო ორი პიროვნება, სამიც კი: 1) ყველაზე უფრო სათნო, უმწიკვლო და უმშვენიერესი ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი; 2) მეგობარი, ნაზად რომ ვუყვარდი და ნაზად მიყვარდა არა მარტო მე, არამედ მთელს ჩემს ოჯახს დიდიან-პატარიანად; 3) მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხატვარი, რუსეთზე არას ვამბობ; გეს სწორედ ამ მესამე მნიშვნელობაზე მინდოდა მეუწყებინა თქვენთვის ჩემი აზრები.

გთხოვთ ნუ იფიქრებთ, რომ მეგობრობამ დაშაბრმავა: ჯერ ერთი, იმდენად მოხუცი და გამოცდილი გახლავართ, რომ შემძლია გრძნობა მოვთხოვ შეფასებისას, მეორეც, რაც მჭირდება, მეგობრობის გამო ესოდენ დიდი მნიშვნელობა მივაწერო ხელოვნებაში; ჩემთვის საკმარისი იქნებოდა შემეძლო, როგორც ადამიანი, რასაც ვაკეთებ კიდევ და რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

თუ ვცდები, მაშასადამე, მეგობრობის გამო კი არ ვცდები, არამედ იმიტომ, რომ ყალბი წარმოდგენა მქონია ხელოვნებაზე. იმავე წარმოდგენის მიხედვით, რაც ხელოვნებაზე გამაჩნია, გე ისევე აღემატება ყველა მის თანამედროვე მხატვარს, რომლებსაც მე ვიცნობ, რუსი იქნება თუ საზღვარგარეთელი, — როგორც მონბლანი ჭიანჭველების ბუდე. ვშიშობ, ეს შედარება უცნაური და არასწორი მოგეჩვენებათ, მაგრამ თუკი ჩემს თვალსაზრისზე დადგებით, მაშინ უსათუოდ დამეთანხმებით. ხელოვნებაში, გარდა გულწრფელობისა, ე. ი. როცა მხატვარი არ ცდილობს მოგაჩვენოს, თითქოს უყვარს იგი, რაც არ უყვარს, და სწამს იგი, რაც არა სწამს, — როგორც ბევრს, ვითომდა რელიგიურ მხატვარს ჩვევია — გარდა ამ თვისებისა, რომელიც გეს გააჩნდა უმაღლეს ხარისხში, ხელოვნებაში არსებობს ორი მხარე: ფორმა-ტექნიკა და შინაარსი-აზრი. ფორმა-ტექნიკა ჩვენს დროში უდიდესად სრულყოფილად არის შემუშავებული. და ტექნიკის ოსტატებიც ამ ბოლო დროს, როცა სწავლება მასებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა, მრავლად გამოჩნდნენ, დროთა ვითარებაში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება. მაგრამ ადამიანები, რომლებიც ფლობენ შინაარსს, ანუ მხატვრულ აზროვნებას, ანუ ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ახლებურად გაშუქების უნარს, ასეთი ადამიანები, ტექნიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რითაც კმაყოფილდებიან მცირედ განვითარებული მოყვარულები, თანდათან მცირდება და ბოლო ხანებში ისე ცოტანი არიან, რომ ყველა გამოფენა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, ავსებულია ხან გარეგნულ ეფექტებზე დამყარებული სურათებით, ან ისეთი პეიზაჟებით, პორტრეტებით, უაზრო ჟანრის ნაწარმოებებით, და გამოგონილი ისტორიული თუ რელიგიური ნახატებით, როგორიც აქვთ უდეს, ბეროს, ჩვენს ვასნეცოვს. გულწრფელი, შინაარსიანი ნახატები აღარ არის. გეს მთავარი ძალაა — გულწრფელობა, ყველასთვის გასაგები, ნათელი და მნიშვნელოვანი შინაარსი.

ამბობენ, მისი ნახატები ტექნიკურად სუსტიაო, მაგრამ ეს არ არის მართალი, შინაარსიანი ნახატის ტექნიკა მუდამ ცუდი გვეჩვენება, განსაკუთრებით იმათ, ვისაც შინაარსი არ ესმის. გეს კი ეს მუდამ ემართებოდა. რიგითი მაყურებელი ითხოვს ქრისტე-ხატს, რის წინაშეც ილოცებდა, ის კი თავაზობს ქრისტეს — ცოცხალ ადამიანს, და მნახველსაც მოლოდინი არ უმართლებს და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეუფლება იმის მსგავსად, ადამიანი ღვინის დასალევად რომ განეწყობა, მას კი პირში წყალს ჩაასხამენ, ადამიანი მაშინვე ზიზლით გადმოაფურთხებს წყალს, თუმცა წყალი უფრო სასარგებლო და უკეთესია ღვინოზე.

ამ ზამთარს სამჯერ გახლდით თქვენთან გალერეაში და ყოველთვის ჩემუნიებურად შევჩერდებოდი ხოლმე „რა არს ჭეშმარიტება“-ს წინ, ეს ჩემუნიებურად ხდებოდა და არა იმიტომ, რომ გე ჩემი მეგობარია, მავიწყდებოდა კიდევ, რომ ეს მისი ნახატია. ამ ზამთარს ჩემთან ორი ჭკვიანი და განათლებული გლეხი ჩამოვიდა, ეგრეთ წოდებული მალაქნები, ერთი — სამარიდან,

მეორე — ტამბოვიდან. ვურჩიე თქვენს გალერეაში მოსულიყვნენ. და ორივე, თუმც მე არაფერი მითქვამს გეს ნახატზე, ორივე სხვადასხვა დროს იყვნენ, ყველაზე მეტად გააკვირვა გეს სურათმა „რა არს ჭეშმარიტება?“ ამ ჩემს აზრს იმიტომ გიზიარებთ, რათა გირჩიოთ შეიძინოთ ყველაფერი, რაც დარჩა გესაგან, რათა თქვენმა ეროვნულმა რუსულმა გალერეამ არ დაკარგოს თავისი საუკეთესო ფერმწერის ნაწარმოებები მას შემდეგ, რაც არსებობს რუსული ფერწერა.

ძალზე ვწუხვარ, რომ ამ ზამთარს არ მინახიხართ. გისურვებთ ყოველივე კარგს.

თქვენი მოსიყვარულე ლევ ტოლსტოი.

3. მ. ტრეტიაკოვს

15 ივნისი 1894 წელი.

პაველ მიხეილის ძე! გუშინ რაც მოგწერეთ, იმას კიდევ დავსძინო მინდა: მთავარი განსხვავება გესა და ვასნეცოვს შორის ის არის, რომ გე უჩვენებს ადამიანებს იმას, რაც წინ მოელით, მოუწოდებს მოქმედებისა და სიკეთისაკენ. წინ უსწრებს თავის დროს ასი წლით, მაშინ როცა ვასნეცოვი უკან უხმობს ადამიანებს, იმ წყვილიადისაკენ, რომელსაც ესოდენი ძალითა და მსხვერპლის ფასად ეს-ეს არის ძლივს აღწევენ თავს, მოუწოდებს უმოქმედობისაკენ, ცრურწმენისაკენ, ველურობისაკენ და თავის დროს ასი წლით ჩამორჩება.

მომიტევეთ, გეთაყვა, თუ ჩემი მსჯელობით გულს გატკენთ ანდა შეურაცხყოფთ. ვაღიარებ, მაღელვებს და მანცვიფრებს ის ამბავი, რომ თქვენ იმ ადამიანებივით მსჯელობთ, გულგრილად და ზედაპირულად რომ ეკიდებიან ხელოვნებას. თუკი რაიმე გამართლება გააჩნია ადამიანთა მთელ იმ უზარმაზარ შრომას, რაც თავმოყრილია თქვენს გალერეაში ნახატების სახით, ეს ხომ მხოლოდ ისეთი სურათებითაა გამართლებული, როგორიც არის კრამსკოის „ქრისტე“ და გეს ნამუშევრები, რაც მთავარია, მისი „რა არს ჭეშმარიტება?“ თქვენ კი სწორედ ამ სურათს, რომელიც მთელ თქვენს გალერეაში ყველაზე უფრო ძლიერად და სასიკეთოდ ათრთოლებს ადამიანთა გულებს, სწორედ ამ სურათს მიიჩნევთ თქვენი გალერეის ლაქად, რომელიც ღირსი არ არის იდგეს ერთ შენობაში ლემანის ბანოვანების გვერდით და ა. შ.

ამბობთ, „ჯვარცმა“ არამხატვრულიაო. მხატვრულ სურათებს ვერც დათვლი, ბაზარში ყრია რამდენიც გნებავთ, მაგრამ მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ისინი არავის არაფრად სჭირდება და მხოლოდ ამხელენ მდიდართა ფუფუნებასა და უსაქმურობას, მათი ცოდვების სამხილს წარმოადგენენ. ხოლო შინაარსიანი, გულწრფელი-შინაარსიანი სურათები არ არსებობს, ანდა ძალიან, ძალიან ცოტა არსებობს. არადა, მხოლოდ ასეთ სურათებს აქვთ არსებობის უფლება, იმიტომ, რომ ზნეობრივად ემსახურებიან ადამიანებს. ვიცი, ვერ დაგარწმუნებთ და არც არის საჭირო. ჭეშმარიტი ნაწარმოებები, კაცობრიობისათვის საჭირო, როგორიც არის გეს ნახატები, არ ილუბებიან ისინი თავისი განსაკუთრებული გზით მოიპოვებენ აღიარებას. სხვაგვარად არც შეიძლება. გენიალური ნაწარმოებები მაშინვე ყველასათვის გასაგები რომ იყოს, გენიალური არ იქნებოდნენ; შეიძლება ნაწარმოებები გაუგებარი იყოს

და თან ცუდიც, მაგრამ ჭეშმარიტად გენიალური ქმნილება მუდამ იყო და იქნება პირველ ხანებში უმრავლესობისათვის გაუგებარი.

კიდევ ერთხელ მომიტევეთ, თუკი თქვენთვის უსიამოა ჩემი უხეში კილო, და მიიღეთ ჩემი სრული პატივისცემა.

თქვენსული
ბიზული ლექსდოსტოი.

ბოლოს და ბოლოს მივიღეთ გეს ორი სურათი: „ჯვარცმა“ და „თანამდეგ არს სიკვდილისა“. როცა შეფუთული გავხსენით, თავზარი დამეცა, რა დამართნოდა ბოლო სურათს: გამოღებული იყო ჩარჩოდან, გაზეთის ქაღალდი ჰქონდა შემოხვეული და დაგრაგნილი იყო. რადგან გე მუდამ ეკონომიას იცავდა და იაფფასიან საღებავებს ყიდულობდა, ალბათ ზოგიერთი საღებავი გლიცერინში იყო აზელილი და კარგად არც გამშრალიყო. ამიტომაც ყველა გაზეთი მიკვროდა სურათს და როცა აგლეჯა დავიწყე, შევძრწუნდი, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო — ნახატი გაფუჭდებოდა. ცოტა დავასველე გაზეთები და ნაწილ-ნაწილ ვაცილებდი. მაგრამ მაინც მრავალ ადგილზე დარჩა გაზეთის ანაბეჭდი.

გადავჭიმე სურათი ჩარჩოზე და ჩემს სახელოსნოში დავდგი იასნაია პოლიანაში, ვიდრე გადაწყდებოდა მისი შემდგომი ბედი.

აი, რა მისწერა მამამ ამ საკითხთან დაკავშირებით ნიკოლაი ნიკოლაის ძე გე-უმცროსს.

„ცოტა დაგვიანებით გიგზავნით პასუხს, ჩემო საყვარელო მეგობარო კოლეჩკა, და ამიტომაც ხუტორში გწერთ. მანამდეც, ვიდრე თქვენს წერილს მივიღებდი, მანამდეც ჩემი ძვირფასი მეგობრის დანატოვარისადმი წარმოუდგენელი იყო სხვაგვარი დამოკიდებულება, თუ არ ისეთი, რომ ვიდრე სული მიდგას, მოვალე ვარ გავაკეთო, რაც შემიძლია, რათა მისმა შრომამ გამოიღოს ის ნაყოფი, რომელიც უნდა გამოეღო. მისწერეთ პეტრუშას და მოგვეცით მე და ჩერტკოვს „Carte blanche“* და ჩვენც გავაკეთებთ, რასაც შევძლებთ და მოვახერხებთ. აქამდე მხოლოდ წერილებს ვუგზავნიდი ტრეტიაკოვს. ბოლო წერილში მატყობინებს, არ შემიძლია „სამსჯავროსა“ და „ჯვარცმის“ შეძენაო, მათ ან აკრძალავენ ანდა ვშიშობ, მტრები გააფუჭებენო, განსაკუთრებით სურათს „რა არს ჭეშმარიტება“. ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც ჩავუნერგე მთელი მნიშვნელობა იმისა, რაც გემ დატოვა და როგორც კი მოსკოვში ჩავალ, შევეცდები მისი ან სოლდატენკოვის ან კიდევ ვინმეს შემწეობით მოვაწყო გეს მუზეუმი. ჩემის ფიქრით, უნდა მოვნახოთ შენობა და თავი მოვუყაროთ გეს ყველა ნამუშევარს, შევინახოთ და ვუჩვენოთ. ნახატების გამოცემაზე ვერაფერს ვიტყვი, ვიდრე არ ვნახავ. თუკი ხუტორიდან გაემგზავრებით, გადმოგიგზავნეთ აქეთ, იასნაია პოლიანაში. ვნახავთ საგულდაგულოდ და ჭერჯეობით შევინახავთ.

...ახლა კი ვზივარ ხშირად ტანიას სახელოსნოში, ვუყურებ ორივე სურათს და რაც უფრო მეტს ვუყურებ, უფრო მესმის და მიყვარს. ეს სურათები იქმნებოდა მხატვრის გონებასა და გულში — და მერე როგორი მხატვრის — ათეულობით წელი, ჩვენ კი გვინდა ხუთ წუთში გავიგოთ და განვსაჯოთ“.

როცა ნახატები ჩემს სახელოსნოში გამოვფინე, ვაცნობე ჩემს მეგობრებსა

* თავისუფლება, ემოქმედოთ ჩვენი შეხედულებისამებრ.

და გლეხებს სოფელში, ვთხოვდი ყველანი მოსულიყვნენ და ენახათ სურათები და თუკი ვინმეს დასჭირდებოდა, განეუმარტავდი კიდეც.

აქვე დავსძენ, ბუნდოვნად კი ვიცოდი, მაგრამ უსაბუთოდ არ მიწოდდა დამეჭვრებიანა ის ამბავი, რომ გლეხთაგან იშვიათად თუ ვინმეს ეცოდინებოდა, ვინ იყო ქრისტე და როგორი ცხოვრება ჰქონდა მას. ხოლო მასწავლებელმა მოსული გლეხის ქალებიდან არც ერთს არაფერი სმენოდა მატყვარაზე.

მე და მამა გამუდმებით ვღებულობდით წერილებს საერთო მეგობრებისაგან, გვეკითხებოდნენ ნიკოლაი ნიკოლაის ძის სიკვდილის ამბავს.

ნ. ს. ლესკოვი მერეკიულიდან 1894 წლის 8 ივნისს მწერდა:

„პატივცემულო ტატიანა ლევის ასულო!

მაპატიეთ და უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე, მაცნობოთ, სად და რა პირობებში გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი ნ. ნ. გე და სად და როგორ დაკრძალეს მისი ნეშტი? საერთოდაც ყველაფერი მომწერეთ, რაც იცით ამ საქმის ირგვლივ თქვენს სახლში? აქ, მერეკიულში ეს ცნობა 4 ივნისს სალამოს ჩამოიტანა პეტრე ის. ვეინბერგმა, ხოლო 5-ში უკვე გაზეთებშიც მოვიდა. ამ ამბის გაგებაამდე ერთი საათით ადრე, ჩემთან შიშკინი იყო და გეზე ვსაუბრობდით. აქ მხატვრები მრავლად არიან, და მას ყველანი დიდი კრძალვით იგონებენ და სურთ დცოდნენ, სად და როგორ განუტევა სული მე და ის. რაღაც განსაკუთრებული თანატოლები ვიყავით: დავიბადეთ, ერთი და იგივე წლის ერთსა და იმავე დღეს — ნიკოლაი სტუდიტის ხსოვნის დღეს, რომელსაც არასოდეს არავინ არ აღნიშნავს, ის კი ჩვენი პატრონი იყო და ისიც მხატვარი გახლდათ...“

ვ. ვ. სტასოვმა მე და მამაჩემს გვთხოვა გადაგვეცა ჩვენს ხელთ არსებული რაიმე მასალა გეს ბიოგრაფიისათვის. მამამ პასუხად ასეთი წერილი გაუგზავნა:

ვ. ვ. სტასოვს

12 ივნისი 1894 წ. იასნაია პოლიანა.

ვლადიმერ ვასილის ძე!

ფრიად მახარებს, რომ თქვენ ასე აფასებთ გეს მოღვაწეობას და გესმით იგი, ჩემი აზრით, გე არა მარტო გამოჩენილი რუსი მხატვარი, არამედ ერთი იმ უდიდესი მხატვართაგანი იყო, ხელოვნებაში ეპოქას რომ ქმნიან. მე და თქვენი თვალსაზრისი ამ აღამიანზე იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ თქვენთვის ის ქრისტიანული მხატვრობა, რის შექმნასაც გე უძღვნიდა მთელ თავის მოღვაწეობას, წარმოადგენს ერთს უამრავ საინტერესო ისტორიულ სიუჟეტთა შორის; ჩემთვის კი, ისევე როგორც თავად მისთვისაც, გეს სურათების ქრისტიანული შინაარსი იყო გამოხატვა იმ მთავარი უმნიშვნელოვანესი მომენტებისა, რისი გადატანაც უწევს კაცობრიობას, რამეთუ კაცობრიობა მხოლოდ იმდენად მიიწევს წინ, რამდენადაც ასრულებს ქრისტეს მიერ დასახულ პროგრამას, და რომელიც მოიცავს კაცობრიობის მთელ, რომელიც გნებავთ, ინტელექტუალურ ცხოვრებას. ეს ჩემი აზრი ნაწილობრივ კიდეც პასუხობს იმ კითხვას, რატომ ვლაპარაკობ ქრისტეზე. არ ილაპარაკო ქრისტეზე, როცა ლაპარაკობ კაცობრიობის ცხოვრებაზე, მისი განვითარების გზებსა და ასევე თვითნებულ ადამიანისათვის ზნეობრივ მოთხოვნებზე — იგივეა, ზეციურ მექანიკაზე საუბრისას რომ არაფერი თქვა კოპერნიკზე ანდა ნიუტონზე.

ღმერთზე კი იმიტომაც ვლაპარაკობ, რომ ეს მცნება ყველაზე უბრალო, ზუსტი და აუცილებელია, უიმისოდ ზნეობრივსა და სიკეთის კანონებზე ისევე შეუძლებელია სიტყვის თქმა, როგორც იმავე ზეციურ მექანიკაზე საუბრისას, არაფრის თქმა მიზიდულობის ძალაზე, რასაც თავისთავადვე გააჩნია ნათელი განსაზღვრება. ისევე როგორც ნიუტონმა თქვა მიზიდულობის ახსნისას, რომ არსებობს რაღაც, სხეულის მიზიდულობის მსგავსი — *quassi attraluntur**, ასევე ქრისტესაც და არც ერთ მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია არ თქვას, რომ არის რაღაც, რამაც შეგვქმნა ჩვენ და ყველაფერი, რაც არსებობს და თითქოს რომლის სურვილის თანახმად ყველამ და ჩვენ უნდა ვიცხოვროთ. აი, ეს გახლავთ ღმერთი—მცნება, ძალზე ზუსტი და აუცილებელი. არავითარი საჭიროება არ არსებობს გავექცეთ ამ მცნებას. და ასეთ მისტიურ შიშს ამ მცნების წინაშე მივყავართ ფრიად მავნე ცრურწმენებისაკენ.

გეს წერილებს მე შეგიგროვებთ, მოვძებნი იმ წერილებსაც, ჩემს ქალიშვილებს რომ გამოუგზავნა. მისი საუბრები, განსაკუთრებით ხელოვნებაზე, მეტად ძვირფასი რამ იყო. ვთხოვ ჩემს ასულს ჩაიწეროს ეს საუბრები და მივეხმარები ამ საქმეში. მისი განსაკუთრებული თვისება იყო ცინცხალი, ბრწყინვალე გონიერება და ხშირად გამოსახვის საოცრად ძლიერი ფორმა. ყოველივე ამას იგი აფრქვევდა ხოლმე საუბრებში. მისი წერილები დაუდევრად არის დაწერილი და ჩვეულებრივია.

ძალიან ვისურვებდი თქვენს ნახვას.

ლევ ტოლსტოი

რეზინი მწერდა:

„გარდაიცვალა გე! როგორ მებრალება! რა დიდი მხატვარი იყო!“

და მომდევნო წერილში, ხელოვნებაზე მსჯელობის დასასრულ „თითქოს თავისთვის“ წერს: „სულში უსაზღვროდ ვნანობ, რომ გე დაუდევრად ექცეოდა ხელოვნების გარეგნულ მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ გენიალური ტალანტი და იშვიათი სულიერი განვითარება ჰქონდა, თავისი ღრმა მხატვრული იდეები მან მხოლოდ უხეშად გაგოზილი ზეთის საღებავებით დაგვიტოვა. მომიტევეთ — ვიცი, რომ სხვა აზრისა ბრძანდებით....“

მამაჩემის ამ ღრის წერილები სავსეა თავისი მეგობრისადმი სიყვარულისა და აღფრთოვანების გრძნობით.

1894 წლის 12 ივნისს იგი საპასუხო წერილს უგზავნის ი. ი. გორბუნოვ-პოსადოვს:

„მადლობელი ვარ თქვენი, ივან ივანეს ძე, ორივე წერილის გამო. ჩემი მეგობრის სიკვდილის მერე გონს ვერ მოვსულვარ, ვერაფრით შევეგუე. რაოდენ საოცარი საიდუმლო კავშირი სუფევს სიკვდილსა და სიყვარულს შორის. სიკვდილი თითქოს აშიშვლებს სიყვარულს, აცლის საბურველს და მუდამ გული გწყდება, ნანობ, გიკვირს, როგორ შემეძლო ასე ცოტა მყვარებოდა ან, უფრო სწორად, ასე ცოტა გამემყდევნებინა ის სიყვარული, განსვენებულთან რომ მაკავშირებდაო; და როცა აღარ არის ის, ვინც მოკვდა, გრძნობ მთელ

* „თითქოსდა მიიზიდებიან“ — ნიუტონის სიტყვები მიზიდულობის კანონის მისივე ფორმულირებიდან.

სიძლიერეს მასთან დაკავშირებული სიყვარულისას, ათმაგდება ძლევამოსილება სიყვარულისა, ხედავ ყოველივე იმას, ღირსს სიყვარულისა, რასაც ადრე ვერ ამჩნევდი, — ანდა ამჩნევდი, მაგრამ როგორღაც გრცხვენოდა გაგეშვებებზე, თითქოსდა ეს კარგი უკვე რაღაც ზედმეტი იყო.

იგი იყო საოცარი, სპეციაკი, ნაზი, გენიალური მოხუცი ბავშვების მძღოლი. სავსე ყველასა და ყველაფრის სიყვარულით იმ ბავშვებით, რომელთა მსგავსად უნდა ვიცხოვროთ, რათა შევალთ ზეციური საუფლოს კარიბჭე. ბავშვურად ნაღვლობდა და გული წყდებოდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ უყვართ არც ის და არც მისი საქმე. ხოლო მისი საქმე არასოდეს ყოფილა მართო მისი საქმე, ღვთისა იყო; და ბავშვური მადლიერება და სიხარული ეკუთვნით მათ, ვინც აფასებდა მას და მის საქმეს.

ის, ვისთვისაც თაყვანი უნდა ეცა მთელ ქრისტიანულ სამყაროს, სავსებით ბედნიერი გახლდათ და ერთიანად გაბრწყინებული, თუ მის ნამუშევრებს მოიწონებდა გიმნაზიელი ან კურსისტი ქალი. რამდენ ადამიანს არ სწამდა მისი მხოლოდ იმიტომ, რომ მეტად ნათელი, უბრალო და ყველას მოსიყვარულე პიროვნება იყო. ადამიანები ისე გაფუჭდნენ, ეგონათ, მისი სიკეთისა და ალერსის მიღმა რაღაც იმალებოდა; მიღმა კი არაფერი იყო გარდა სიყვარულისა ღვთისადმი, მის გულში რომ ცოცხლობდა. ჩვენ კი ხშირად ისეთი ცუდები ვართ, რომ გვრცხვენია, გვეუხურხულება ამ სიყვარულის ღმერთის დანახვა, იგი გვააშკარავებს და ჩვენც ზურგს შევაქცევთ ხოლმე. ვინმეზე კი არა, საკუთარ თავზე მოგახსენებთ. რამდენჯერ ასევე შემიქცევია მისთვის ზურგი. უბრალოდ, ცოტა მიყვარდა. სამაგიეროდ ახლა უფრო მეტად მიყვარს. და ის არ წასულა ჩემგან. ვიცი, სადაც უნდა ვიპოვო. ღმერთში. გამაღლებს ასეთი სიკვდილი, ასეთი ცხოვრება.

პეტრუშასაგან, მისი ვაჟისაგან, დიდი წერილი მივიღე, სადაც აღწერილია გეს ბოლო დღეებისა და სიკვდილის ამბავი. იგი ის-ის იყო ემზადებოდა სამუშაოდ და სავსებით ფლობდა თავის სულიერ ძალებს, მხიარულად იყო, ჩამოვიდა შინ, გადმოვიდა ეტლიდან, რამდენჯერმე დაიკვნესა და გარდაიცვალა.

აი, ორი ამონაწერი მამაჩემის წერილებიდან ნ. ს. ლესკოვსა და ლ. ფ. ანენკოვას რომ გაუგზავნა.

„...გეზე გამუდმებით ვფიქრობ და გამუდმებითვე ვგრძნობ მის სიახლოვეს, რაც იმის ბრალიცაა, რომ მისი ორი ნახატი: „სამსჯავრო“ და „ჯვარცმა“ ჩვენს სახლში დგას და ხშირად ვუყურებ, და რაც უფრო მეტს ვუყურებ, მით უფრო მეტად მესმის და მიყვარს. კარგი იქნებოდა, მოგონება რომ დაგეწერათ მასზე ალბათ მეც დავწერ. ის ისე დიდი ადამიანი იყო, სუყველამ რომ დავწეროთ მისი ცხოვრების ამბები სხვადასხვა კუთხით, ალბათ მაშინაც კი ვერ მივუახლოვდებით ერთმანეთს ანუ არ დაგვჭირდება ერთმანეთის ნათქვამის გამეორება“.

„...ახლა უნდა გაგიმხილოთ გრძნობები, ლეონიდა ფომას ასულო, თქვენმა წერილმა რომ აღმიძრა. ალბათ უკვე გეცოდინებათ ჩვენი მეგობრის ნ. ნ. გეს სიკვდილის ამბავი?“.

ჯერ კიდევ სიკვდილამდე მწერდა ევგ. ივ. პოპიკი იმაზე, რომ კოლეჩკა, მისი ვაჟი, მეტისმეტად მოწყენილიაო... მალე კი მამამისის სიკვდილი მაცნობეს.

არ მახსოვს, ვისამე სიკვდილს ასე ძლიერად ემოქმედოს ჩემზე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ძვირფასი ადამიანის სიკვდილის მოახლოებისას.

ცხოვრება უფრო სერიოზული გახდა, უფრო ნათლად გამოიკვეთა საკუთარი სისუსტე, ცოდვები, ქარაფშუტობა, სიყვარულის უკმარისობა — მხოლოდ ის, რაც არ კვდება და უბრალოდ, დამენანა, რომ ამქვეყნად ერთი მეგობრით, ერთი დამხმარით, ერთი მუშაკით ნაკლები დამრჩა...”

მამამ როცა, მოიფიქრა და მოითათბირა ახლობელ მეგობრებთან ერთად გეს ნახატების ბედზე, პ. მ. ტრეტიაკოვს შესთავაზა მისი სურათების გალერეასთან მოეწყო გეს მუზეუმი, სადაც თავს მოუყრიდნენ ყველა მის ნამუშევარს. გეს ვაჟიშვილები ტრეტიაკოვს უფასოდ გადასცემდნენ მამის ყველა სურათსა და ნახატს.

კეთილგონიერმა და ფრთხილმა პაველ მიხეილის ძემ მოისმინა მამაჩემის წინადადება არა მარტო მისი სახელით, არამედ გეს შემკვიდრეთა სახელითაც და შეჰპირდა, პასუხს ერთი წლის შემდეგ მოგახსენებთო.

ზუსტად ერთი წლის თავზე ჩამოვიდა მამასთან და მოახსენა, რომ თანახმაა წაიღოს ყველა ნახატი და შეჰპირდა პირველი შესაძლებლობისთანავე ჩამოკიდებდა მათ გალერეაში სხვა ნახატებთან ერთად, — და რომ ცალკე შენობის გამოყოფას იგი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ მოახერხებდა.

მამა და უმცროსი ვაჟი დასთანხმდნენ ამ პირობებზე. სურათები გაუგზავნეს ტრეტიაკოვს. მაგრამ სულ რაღაც ხუთ წელიწადში ტრეტიაკოვი გარდაიცვალა. ამის შემდეგ გეს ზოგიერთ ნაწარმოებს ხან გამოფენდნენ, ხან კი ცენზურის სიმკაცრის გამო ისევ უმაღლვდნენ საზოგადოებას.

1903 წლის შემოდგომაზე „ჭვარცმა“ გეს ვაჟიშვილმა ჟენევაში გამოფინა, სადაც დიდი წარმატება ჰქონდა.

ერთ რუს ემიგრანტზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ სულიერად დაავადებულა: თურმე საათობით არ აშორებდა თვალს სურათს. შემდეგ კი ყოველ შემხვედრს გულში ისე იკრავდა, ლამის გაეგუდა და ეუბნებოდა, ყველას უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, თორემ დავიღუპებითო.

ჟენევის საუკეთესო გაზეთმა „Journal de Geneva“, თუმცა სრულიად არ ეთანხმებოდა ნახატის კონცეფციას, მაინც აღნიშნა ის, რაც გეს მთავარ ძალას წარმოადგენს.

„ეს არის ქმნილება სავსე რწმენით, ღრმად უმწიკვლო, გულდასმით ნაფიქრი და შესრულებული. მთლიანობაში ეს არის ძლიერი და მგრძნობიარე ნაწარმოები ძალზე ნაზი მხატვრისა, რომელიც არსს წვდება და უყვარს“.

სიყვარული და სინაზე იყო ჭეშმარიტად გეს გამორჩეული თვისება და ყველაფერი, რასაც აკეთებდა ცხოვრებაში, ნათლად იყო გაცისკროვნებული მისი სულის ამ თვისებებით.

როცა იგონებ. ნ. გეს სახეს, მუდამ წარმოგიდგება სიყვარულისა და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული, რადგან, ფრიად იშვიათი გამონაკლისის გარდა, მისი სიყვარული ადამიანებისადმი მათაც ედებოდა და ისინიც ისეთივე სიყვარულით პასუხობდნენ, როგორსაც თვითონ ამჟღავნებდა მათ მიმართ.

ლ. ა. სულერჟიცი

სიცოცხლე მშვენიერი უნდა იყოს.

ადამიანები ბედნიერები უნდა იყვნენ.

და ამ ორ მიზნის განსახორციელებლად ადამიანებმა უყურადღებოდ არ

უნდა დატოვონ არავითარი, თვით ყველაზე წვრილმანი და ქარაფშუტული საქციელი.

თუკი შეგიძლია ადამიანებს სიხარული მიანიჭო თავშესაქცევი მოთხოვნით ანდა სასაცილო ანეკდოტით, — მაშინ დაე გაუმარჯოს თავშესაქცევი მოთხოვნას და სასაცილო ანეკდოტს!

თუკი შეიძლება ადამიანის ცხოვრება გაალამაზო ნახატით, წარმოდგენით, სიმღერით და ამისათვის შრომაა საჭირო — ეს ხალისიანად და მხიარულად უნდა გააკეთო!

თუკი ადამიანთა ბედნიერებისათვის ტანჯვა იქნება საჭირო — ამაზეც მხნედ, მტკიცედ და სიხარულით უნდა წახვიდე.

აი მოკლედ, რამდენიმე სიტყვით „profession de foi“* ახლახან გარდაცვლილი ჩემი სამხატვრო სკოლის ამხანაგის ლ. ა. სულერჟიციისა!

არ ვიცი, თვითონ როგორ განსაზღვრავდა თავის შინაგან მსოფლქვერეტას, იქნებ სხვაგვარად, ვიდრე მე ვაკეთებ. ეგების მხოლოდ შეუცნობლად ცოცხლობდა მის არსებაში ის მგზნებარე სიყვარული სიცოცხლისა და ყოველივე მშვენიერისა, რაიც აიძულებდა ხალისით ეშრომა და მხიარულს ეტანჯნა.

მაგრამ ყველა, ვინც იცნობდა სულერჟიციის, არა მარტო გრძნობდა მის ამ თვისებას, არამედ თვითონაც გადაედებოდა ხოლმე.

სულერჟიცი თითქმის ბიჭი მახსოვს.

მხატვრობისა და ქანდაკების სკოლაში, სადაც დავდიოდი რამდენიმე ზამთრის განმავლობაში, სულერჟიცი ამხანაგებში პატარა ცენტრივით იყო.

სუსტი, პასიური, ღუნე ხასიათის, მერყევი რწმენის ადამიანები ეტმასნებიან იმ ადამიანებს, მათზე უფრო დიდი ნიჭით რომ დააჯილდოვა ბუნებამ.

ასევე იყო ჩვენს სკოლაშიც.

სულერჟიცი ანუ სულერი, შემოკლებით ვეძახდით ასე, მუდამ ანთებული იყო რაიმე ახალი ჩანაფიქრით ანდა ახალი აღმოჩენით და თავის ამხანაგებსაც გადასცემდა ამ აღტაცებას.

თუკი სადმე სკოლაში შეჩვეულებოდნენ მოწაფეები და რალაცაზე ცხარედ მსჯელობდნენ. უშეცდომოდ შეგედლო გამოგეცნო, სულერის ირგვლივ იყვნენ შეკრებილნი. როცა ხმამაღალ სიცილს გაიგონებდი, მაშასადამე, ამხანაგები იცინოდნენ სულერის რომელიმე მოთხოვნის, ანეკდოტის ან წარმოდგენის გამო. თუკი სადმე ხმაშეწყობილად მღეროდნენ მოწაფეები — ეს მისი ხელმძღვანელობით შემდგარი გუნდი იყო.

სულერი ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი გახლდათ ხელოვნების ყველა სფეროში.

მაგრამ მთავარი ინტერესი, რაც ყველას გვაკავშირებდა სკოლაში, მხატვრობა იყო.

საშობაოდ გამოფენას ვაწყობდით და მანამდე გაცხარებულები ვემზადებოდით. როდესაც შევიკრიბებოდით, უფრო ხშირად ხელოვნებაში სხვადასხვა მიმდინარეობასა და მიმართულებებზე ვსაუბრობდით. ვუჩვენებდით ერთმანეთს საკუთარ ნამუშევრებს და ერთმანეთს რჩევას ვეკითხებოდით.

მახსოვს, სწორედ შობის წინა დღეს სკოლაში შევიკრიბენით და ჩვენი

* რწმენის სიმბოლო (ფრანგ.).

გამოფენის საქმეს ვიხილავდით. ვიღაც-ვიღაცებმა თავიანთი ტილოები მოიტანეს.

სულერი მანამდე თავის ნახატს არ გვაჩვენებდა და არც შინაარსს გავიყუებოდა. თუმცა დიდი ხანია ამზადებდა. იგი ახალ გზებს ეძებდა და არ უნდოდა, რომ სხვების აზრს გზა აებნია მისთვის.

ამიტომაც ამ სურათის გამოჩენას ყველანი დიდი ინტერესით ველოდით.

ერთ დღეს სულერი სადღაც გაქრა და ცოტა ხანში აღელვებულმა მოიტანა თავისი ნამუშევარი, იატაკზე დადგა კედელთან და გვთხოვა, უკან დაიხიეთ, მოშორებით დადექით და შორიდან შეხედეთ.

ახლა წერილად აღარ მახსოვს ნახატი. მახსოვს შთაბეჭდილება: დიდი, ცარიელი ოთახი, მბუჟტავი ნაცრისფერი განათება და მარტოსული ფიგურა.

სურათი სევდის, ნალველისა და მარტოობის განწყობილებას აღძრავდა. მოწაფეები გაუჩივნენ და დიდხანს სულგანაბლნი უყურებდნენ. შემდეგ გაისმა შეძახილები:

- ყოჩაღ, სულერი!
- როგორი განწყობილებაა!
- მაგარია, სულერი!

სულერი ბრწყინავდა. დაიწყო მოყოლა, რა აზრები და გრძნობები უნდოდა ჩაექსოვა ნახატში. ამხანაგები არწმუნებდნენ, ყოველივე ეს სავსებით მოახერხე, მნახველი ამას გრძნობს ნახატის ცქერისას.

სამხატვრო სკოლაში ასობით მოწაფე სწავლობდა და განსაკუთრებით დავუახლოვდი რამდენიმე ჯაბუკსა და ქალიშვილს, ჩვენთან ხამოვნიკებში რომ მოდიოდნენ ხოლმე. მათ შორის, რასაკვირველია, სულერიც იყო.

იმ ხანებში მამაჩემი დაკავებული იყო ხალხისათვის იაფფასიანი ლიტერატურის გამოცემის საქმით. წიგნით მოვაჭრე ი. დ. სიტინთან და ზოგიერთ თავის სხვა მეგობართან ერთად მან სათავე დაუდო გამომცემლობა „ბოსრედნიკს“.

მე ძალზე ვუჭერდი მხარს ამ საქმეს და გამომცემლობის მხატვრული გაფორმება ვიტვირთე. ვიმედოვნებდი საქმეში ჩემი ამხანაგებიც ჩაებნა. უნდა შეგვეცვალა აქამდე მრავლად არსებული უნტში, უზნეო და უხერხული ნახატები უფრო მხატვრული და ზნეობრივად მისაღები ნახატებით.

შევიკრიბებოდით ხამოვნიკებში და გრძელ მაგიდასთან ჩაიზე ბევრს ვბჭობდით, მაგრამ ამ ჩვენს ბჭობას ნამდვილი საქმე მაინცდამაინც არ მოჰყოლია. მეტიმეტად უმწიფარნი და მერყევი ბუნებისანი ვიყავით. ცხოვრება აქეთ-იქით გვარწევდა და ჯერ კიდევ არ შეგვეძლო საქმეს გულისყურით მოგვიდებოდით.

მამა ალერსით ექცეოდა ჩემს ამხანაგებს, განსაკუთრებით კი სულერს, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩვენსა.

როგორღაც მოხდა, რომ სულერმა სკოლაში მეტად მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, ეს კი უფროსობას არ მოეწონა და იგი სასწავლებლიდან გარიცხეს.

ყველანი, მისი ამხანაგები, განცვიფრებულები, გულნატკენნი და აღშფოთებულნი დავრჩით ამ მოვლენის გამო და ჩვენს მომდევნო გამოფენაზე პირ-

ველ ნომრად გამოვფინეთ მისი პორტრეტი მთელ სიმაღლეზე — შესანიშნავად შესრულებული ჩვენი ამხანაგის, როსინსკის მიერ.

კატალოგში ამ ნომრით აღნიშნულია: „ვ. როსინსკი — „ამხანაგის პორტრეტი“. ამით აშკარად ვაცხადებდით, თუმცა ხელმძღვანელობამ სულერი გარიცხა, მაგრამ მაინც ჩვენს ამხანაგად ვთვლით-თქო.

ამის შემდეგ სულერი ჩვენსა კიდევ უფრო ხშირად დაიარებოდა ჩვენს ლობდა მამაჩემის რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებს, ისმენდა მის საუბრებს მრავლრიცხოვან მომსვლელებთან და მალე მამაჩემისთვის ძალზე ახლობელი გახდა თავისი შეხედულებებითა და რწმენით.

მრავალი, ე. წ. „ტოლსტოველის“ საპირისპიროდ, სულერს, რომელიც ტოლსტოის გავლენის ქვეშ მოექცა, არ დაუკარგავს თვითმყოფადობა. მიუხედავად ღრმა აზრებისა, გამუდმებით რომ ჩნდებოდა სულერის თავში, იგი კვლავინდებურად დარჩა მხიარულ, ენამოსწრებულ კაცად, დახვეწილ მხატვრად.

ზოგჯერ სადილად სულერი ანეკდოტს ანეკდოტზე ყვებოდა და ყველანი, მამაჩემის ჩათვლით, სიცილისაგან ვიხოცებოდით.

ხოლო მაგიდიდან როცა წამოდგებოდა, მღეროდა, ცეკვავდა, ხანაც ვინმეს გამოაჯავრებდა, განასახიერებდა და ყველანი სიამოვნების ღიმილით შეჰყურებდნენ.

მახვილი თვალი ჰქონდა და ამიტომ შეეძლო საოცრად კარგად მიეზიდა ადამიანების, ცხოველებისა თუ ფრინველებისათვის, საგნებსაც კი ბადავდა და რაკი მისი მხატვრული ალლო არაფერს ბანალურს, უხეშსა და თვალში საცემს არ დაუშვებდა, ამიტომ მისი ცქერა ან მოსმენა ნამდვილ ესთეტიურ სიამოვნებას განიჭებდა.

მახსოვს, გადმოაბრუნებდა გიტარას, ხელებს უბრაგუნებდა და რომელიღაც აღმოსავლურ სიმღერას მღეროდა. დაბალი, მაგრამ მშვენიერი ტენორი და შესანიშნავი სმენა ჰქონდა. როცა ვისმენდი სევდისმომგვრელ გაბმულ სიმღერას ჩვეული აღმოსავლური ინტერვალებით, ჩემი ბავშვობის დღეებში გადავეშვებოდი, როცა სამარის ველებზე მოხუცი ბაშკირი ბაბაი, ბაღჩის დარაჯი, ზაფხულის თბილ ღამეებში ასეთსავე სევდიან სიმღერებს იმღერდა და თან გადმოაბრუნებულ რკინის სათლზე ურტყამდა ხელს.

მაგრამ აი სულერი სრულწლოვანი გახდა და ძნელი დღეები დაუდგა.

სამხედრო ვალდებულება უნდა მოეხადა.

როგორ მოიქცეს?

იმისათვის, რომ ომები შეწყდეს და ბოლო მოეღოს ომებისგან გამოწვეულ საშინელ ტანჯვა-წვალებას, — მსჯელობდა იგი, — ჯარში არავინ არ უნდა წავიდესო. მაშასადამე, თუკი ასე გწამს, სამხედრო ვალდებულების მოხდაზეც უარი უნდა განაცხადო.

უნდა გადასდო თავი სატანჯველად.

და სულერმაც გადასდო, როგორც ყოველთვის, მხიარულად და მხნედ.

განაცხადა, ჩემი რელიგიური რწმენის გამო არ შემიძლია სამხედრო სამსახურიო.

სულერს მძიმე სასჯელი ელოდა.

მეგობრები დატრიალდნენ. თვითონ ისეთი თავაზიანი პიროვნება გახლ-

დათ, ყველა კეთილად იყო განწყობილი და ისე მოახერხეს, რომ დროის მოსაგებად ციხის საავადმყოფოში დააწვინეს გამოსაცდელად.

მე ვინახულე იმ საავადმყოფოში.

როცა ვუახლოვდებოდი შემზარავ, პირქუშ კედლებს, რომელთა მიღმა საშინელებები და ტანჯვა მესახებოდა, — დარდისაგან გულზე შეწყურებოდა.

სულერთან რომ შევედი, ცხვირ-პირი ჩამომტიროდა, არ ვიცოდი, რა მეთქვა, როგორ მენუგეშებინა.

მაგრამ როგორც კი შევხედე, განწყობილება მაშინვე შემეცველა. ისეთივე მხიარული და ხალისიანი იყო, როგორც ყოველთვის, და ორი წუთის შემდეგ ისევ თავისუფლად ვცხედობდით, თითქოს ჩვენს საყვარელ სკოლაში ვყოფილიყავით ანდა ხამოვნიკების სახლში.

სიცილით მიამბო, როგორ გადააკეთა საავადმყოფოს გრძელი ხალათი გამოსასვლელ პიჯაკად; თურმე ინგლისური ქინძისთავეებით დაამაგრა. მერე რამდენიმე იქაურ ავადმყოფსაც გამოაჯავრა და მალე ციხის კედლებმაც გაიგონეს მათთვის უჩვეულო, მხიარული, გულწრფელი სიცილი...

მაგრამ იმ დღეს მხოლოდ სასაცილო ამბები როდი მითხრა.

სულერმა ისიც მიამბო, როგორ აცდუნებენ უარყოს თავისი რწმენა და თანხმობა განაცხადოს სამხედრო ვალდებულების მოხდაზე... როგორ იტანჯებიან მისი ახლობელი ადამიანები, — განსაკუთრებით მამა, ამ უარის გამო და როგორ კიცხავენ მის საქციელს... რომ იგი უკვე მერყეობს..

არავითარი რჩევა არ მიმიცია, მეშინოდა სინდისის საქმეში ჩავრეოდი, მაგრამ ვაგრძნობინე, რომ ჩვენი ოჯახი ზურგს არასოდეს შეაქცევს, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს.

სულერმა ბოლომდე ვერ გაუძლო და შევიდა მოხალისეთა არმიაში.

როგორ იტანჯებოდა, როცა ამ დათმობაზე წავიდა, ამის გაგება შეუძლია ყოველ პატიოსან ადამიანს, ვინც დამორჩილებია სიყვარულის გამო ახლობელთა ნება-სურვილს და არ აღუსრულებია ის, რასაც სინდისი ჰპარნახობდა.

ყოველივე ამის შესახებ გვწერდა წერილში.

მამაჩემმა გაუგო და ამიტომაც განსაკუთრებული გულმხურვალებით შეიბრალა იგი.

„ძვირფასო ლ. ა. — წერს მამა; — მთელი სულით ვიტანჯებოდი თქვენთან ერთად, როცა თქვენს ბოლო წერილს ვკითხულობდი. თავს ნუ იტანჯავთ, ძვირფასო მეგობარო. ის კი არ არის მთავარი, რა გააკეთეთ, მთავარია ის, რაც სულში გაქვთ. ის ჭიდილი, სულში რომ ბორგავს და ღმერთთან გვაახლოვებს. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე განცდილმა თქვენ კი არ დაგაშორათ, არამედ უფრო მიგაახლოვებთ მასთან. საქციელსა და იმ მდგომარეობას, რომელშიც ვარდება ადამიანი მის მიერ ჩადენილი საქციელის გამო, თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველგვარ საქციელსა და მდგომარეობას, რაშიც ამ საქციელის შედეგად ვარდება ადამიანი, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ბრძოლის მიხედვით, რაც სულში ხდებოდა, იმის მიხედვით, თუ რა ძლიერი იყო ცდუნება, რასაც ებრძოდა. თქვენ კი ძალზე მძიმე ბრძოლა გადაიტანეთ და ამ ბრძოლაში ის აირჩიეთ, რაც უნდა აგერჩიათ. განგებ კი არა, გულწრფელად გეუბნებით, თქვენს ადგილას მეც თქვენსავით მოვიქცეოდი, რადგანაც ჩემის აზრით, ასეც უნდა მოქცეულიყავით.

ყველაფერი ხომ, რასაც სამხედრო სამსახურზე თქვენი უარით აკეთებთ, მხოლოდ იმიტომ გააკეთეთ, რათა არ დაგერღვიათ კანონი სიყვარულისა, ჰოდა სიყვარულის უფრო დიდ დარღვევად რა ჩაითვლება — ჯარისკაცთა რიგებში ჩადგეთ თუ გულგრილად უცქიროთ მოხუცის ტანჯვას?

არსებობს ასეთი საშინელი დილემები და მხოლოდ ჩვენმა სწავლულმა ღმერთმა იციან, რომ საკუთარი თავისთვის, საკუთარი პიროვნებისათვის ვიქმოდით და ვიქმთ იმას, რასაც ვიქმთ ღვთის გულისთვის. ასეთი მდგომარეობანი კი, თუ ჭეშმარიტად ღვთის გულისთვის არის არჩეული, სასარგებლოც კია: რადგან ხალხის ყბაში ვვარდებით (არა ახლობელ ადამიანთა, ქრისტიანთა, რამედ ბრბოის) და ამის გამო უფრო მტკიცედ ვეჭიდებით ღმერთს.

გულს ნუ გაიტეხთ, საყვარელო მეგობარო, პირიქით, გიხაროდეთ ის განსაცდელი, ღმერთმა რომ გამოგიგზავნათ. იგი განსაცდელს უგზავნის ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს, ამიტომაც ეცადეთ გაუმართლოთ იმედი. ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას; არ გადაუხვიოთ არჩეული გზიდან, რადგან ეს ერთადერთი ვიწრო გზაა. უფრო და უფრო განიმსჭვალეთ სურვილით შეიცნოთ ღმერთისა და აღასრულოთ იგი, ნურავითარ ყურადღებას ნუ მიაქცევთ საკუთარ მდგომარეობას და რაც მთავარია, რას ფიქრობენ ადამიანები, ოღონდ იყავით მორჩილი, მართალი და მოსიყვარულე და რაოდენ დახლართულიც არ უნდა გეჩვენებოდეთ ის მდგომარეობა, რაშიც იმყოფებით, იგი თავისთავად გაიხსნება.

ყველაზე ძნელი განსაცდელი, როცა სასწორი მერყეობს და არ იცი, რომელი მხარე გადასწონის, — უკვე განვლილია. განაგრძეთ ისეთივე სიყვარულით ცხოვრება, როგორც აქამდე გიცხოვრიათ — მორჩილად, მართლად — და ყველაფერი კარგად იქნება.

ლევ ტოლსტოი

განუზომლად მეტად მიყვარხართ ახლა, გადატანილი ტანჯვის შემდეგ, ვიდრე ადრე მიყვარდით“.

სულერმა საზღვაო სამსახური აირჩია და შორეულ ნაოსნობაში წავიდა.

ამის შემდგომ ცხოვრება უფრო და უფრო იშვიათად გვახვედრებდა ერთმანეთს. მაგრამ რა იშვიათადაც არ უნდა შევხვედროდით, ბოლომდე შევინარჩუნეთ მეგობრული და ამხანაგური დამოკიდებულება.

გასული საუკუნის ცხრაასიან წლებში საჭირო შეიქნა ხალხი, რომელიც გააცილებდა რუსეთიდან ემიგრაციაში მიმავალ დუხობორებს. გაემგზავრა ჩემი ძმა სერგეი. მაგრამ კიდევ იყვნენ საჭირო დამხმარეები.

ჩვენი არჩევანი, სხვათა შორის, სულერზე შეჩერდა.

სულერს უკვე მოხდილი ჰქონდა სამხედრო სამსახური და სრულიად თავისუფალი გახლდათ. ვიცოდით, საქმიანი და ენერგიული ადამიანი იყო, მუშაობა შეეძლო. ხოლო რაკი აქ დაჩაგრულსა და წამებულ ხალხს უნდა დახმარებოდა, ეჭვს არ იწვევდა, რომ თანაუგრძნობდა მათ და უარს არ იტყოდა.

და სულერიც გაემგზავრა. ზოგჯერ უჭირდა, მაგრამ რაკი ჩვევად ჰქონდა „მხიარულად ეტანჯა“, შეეძლო ყველა სიძნელეს გამკლავებოდა. ჩინებულად აღასრულა თავისი საქმე და ყველა დუხობორის უსაყვარლესი კაცი გახდა.

შემდგომ გავიგე, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრში მოეწყო რეჟისორად, შემდგომ უფრო და უფრო ხშირად აღწევდა ჩემამდე ხქები, რომ სულერი

ავადმყოფობსო... ბოლოს კი შევიტყვე, რომ უკვე აღარ იყო ცოცხალი...
 კიპროსზე, სადაც მან ღუზობორები წაიყვანა, ციება შეეყარა. ციებამ
 ჯანმრთელობა შეურყია და ორმოცდაექვსი წლისა საფლავში ჩაიყვანა...
 ცხოვრება მშვენიერი უნდა იყოს...
 ყოველივე, რის გაკეთებაც შეეძლო სულერუიციის, ~~რატომც~~ ^{რატომც} ცხოვრება მართ-
 ლაც მშვენიერი ყოფილიყო, გააკეთა კიდევ.
 ჩემი გამოსათხოვარი და მადლიერი თაყვანისცემის გრძნობა მას ამის გა-
 მო. მეც სხვებთან ერთად მერგო ჩემი წილი იმ მშვენიერებისა, რის მოცემაც
 მოასწრო მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე...

იასნაია პოლიანა. 16 იანვარი, 1917 წელი.

შვედი აბრაამ ფონ ბუნდე

იასნაია პოლიანაში იგი მოუსაველიანი 1892 წლის ადრიან გაზაფხულზე
 ჩამოვიდა. იმხანად იასნაია პოლიანაში არავინ იყო. დედა და უმცროსი ბავშ-
 ვები მოსკოვში ცხოვრობდნენ, ხოლო მამა და ჩვენ — ორი უფროსი ქალი-
 შვილი — ბეგიჩევკაში, რაევსკების მამულში, რიაზანის გუბერნიაში ვიყავით,
 სადაც დამშეულთათვის სასაღილოებს ვხსნიდით.

იასნაიაში რაკი არავინ დაუხვდა, შვედმა ბეგიჩევკისაკენ გამოსწია. ჩა-
 მოვიდა მამაჩემთან და ისე დასახლდა მასთან, თითქოს დარჩენილი დღეების
 გატარებას მის გვერდით აპირებდა.

1892 წლის 30 აპრილს მამა წერილს უგზავნის დედას მოსკოვში:

„დღეს ჩამოვიდა ორიგინალური მოხუცი შვედი ინდოეთიდან...“ ხოლო
 2 მაისს უფრო დაწვრილებით შეატყობინა: „სამი დღის უკან გამოგვეცხადა 70
 წლის მოხუცი, შვედი, ოცდაათი წელს: ამერიკაში უცხოვრია, ნამყოფია ჩი-
 ნეთში, ინდოეთში, იაპონიაში, გრძელი მოყვითალო ქალარა თმა და ასეთივე
 წვერი აქვს, პატარა ტანის არის, უზარმაზარი შლაპა ახურავს, ჩამოფლეთი-
 ლია, ცოტა მე მგავს. სიცოცხლეს ქადაგებს ბუნების კანონებს მიხედვით.
 მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად, ძალზე ჭკვიანი, ორიგინალური და სა-
 ინტერესო კაცია, სურს სადმე იცხოვროს (უკვე იყო იასნაიაში) და ასწავლოს
 ადამიანებს, როგორ შეიძლება ერთმა კაცმა გამოკვებოს ათი ადამიანი, როცა
 მხოლოდ 400 საყენი მიწა გააჩნია და იმასაც პირუტყვის გარეშე, მარტო
 ბარით ამუშავენ. მივწერე ჩერტკოვს მისი ამბავი, მინდა მასთან გავგზავნო.
 ჯერ კი, აქ არის, კარტოფილს ძირს უთოხნის და გვიქადაგებს. იგი ვეგეტარი-
 ანელია, არც რძეს სვამს და არც კვერცხს გიახლებათ, ურჩევნია უმად ჭამოს
 ყველაფერი. ფეხშიშველი დაიარება, იატაკზე სძინავს, სასთუმლად ბოთლი
 უდევს და - ა. შ“.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა ისევ იხსენიებს მას თავის წერილში: „შა-
 ბათი დღეა, სადამოს ცხრა საათი. მაგიდაზე სამოვარი დგას, ამ სამოვარს შვედი
 „კერპს“ ეძახის (ჩამოთვლილია მაგიდასთან მსხდომნი), შვედმა ვაშლი შეჭამა
 და მეტი აღარაფერი სურს. მასზე ამბობენ, ნამდვილი ანტიქრისტიანო. გვპირ-
 დება ოც ადამიანს ჩანახის მერვედს ვამყოფინებო და უკვე აგროვებს კიდევ,
 მაგრამ იმ პირობით, თუ სულს მივყიდით“.

მამას ეშინოდა, ცოლი არ შევაშფოთო, არ მიუწერია დედაჩემისთვის მოს-

კოვში, რომ იგი გაიტაცა შვედის ნაქადაგებმა უმი საკვების თეორიამ, და რომ ისიც შვედთან ერთად მიირთმევდა მის პირველყოფილ საკვებს. ნედლი ვაშლის გარდა, შვედი რალაცნაირ კვერებსაც ამზადებდა და გამოუმცხვარს ჯანდასვამდა აგრეთვე ქერის ფქვილის წყალგარეულ ფაფას. ქვასავით კვერებმა, რასაკვირველია, მთლად შეურყიეს ჯანმრთელობა მამას, მას ხომ ისედაც მთელ ცხოვრება კუჭის ტკივილი აწუხებდა. მამას ძვირი დაუჯდა თავისი „გაიტაცება“. დედას წერილი გაუგზავნა უკვე შეტევის შემდეგ, რომ „ორ მაისს მუცლის არეში ისეთივე ძლიერმა ტკივილებმა შეუტოეს, როგორიც ქვის გავლის დროს ჰქონდა“.

მაგრამ დედამ უკვე იცოდა ყველაფერი, და ვიდრე მოსკოვში მამაჩემის წერილს მიიღებდა, უმალ ბეგიჩევკაში გაჩნდა. მამას ავადმყოფობის ამბავი მამულის პატრონი ქალის, ე. პ. რაევსკაიასაგან გაუგია. რაევსკაიას შეშინებია და დედაჩემისთვის წერილი თუ დებეშა გაუგზავნია, ბეგიჩევკაში ვილაც შეშლილი მოხუცი შვედი დასახლდა, და ლევ ნიკოლოზის ძეს მოუხარშავ ქერის ფაფას აჭმევსო და ამის გამო ლევ ნიკოლოზის ძესაც კუჭი ძლიერ ასტკივდაო. ურჩევდა დედას: ის ვილაც შვედი თავიდან მოიშორეთ, თორემ სხვაგვარად ლევ ნიკოლოზის ძის გამოჯანმრთელება საეჭვოაო.

იმ ხანად მოსკოვში ვიყავ, შიმშილმა ავად გამხადა და რამდენიმე დღით დედასთან ჩავედი, რომ დამესვენა და ცოტა მომეკეთებინა. დედამ უმცროსი ბავშვები მე დამიტოვა და თვითონ „წესრიგის დასამყარებლად“ ბეგიჩევკაში გაემგზავრა.

როცა ჩავიდა, მამა უკვე სავსებით ჯანმრთელად იყო.

„მამა ჯანმრთელად დამხვდა, — მწერს დედა ბეგიჩევკიდან 1892 წლის 6 მაისს, — მაგიდასთან იჯდა თანამშრომლებთან ერთად; იქვე იყვნენ ორნი — ფილოსოფოები — და შვედი, რომელსაც იატაკზე ეძინა...“ შემდეგ ამბავს განაგრძობს, და რატომღაც შვედს ნორვეგიელს უწოდებს: — „ნორვეგიელი გაემგზავრება ისე, რომ არავითარი წყენა არ დარჩება. ეს განსაკუთრებით სურს ელენა პავლეს ასულსაც (რაევსკაიას, ბეგიჩევკის პატრონს).

მეორე დღეს მწერს: მოხუცი, ფეხშიშველი და ჭუჭყიანი ნორვეგიელი უკიდურესი რწმენის კაცია, მაგრამ რატომღაც არ მესიმპათიურება. მისი იდეალია — health* და ჯანმრთელობის სახელით — მთელი თეორია. არავითარი ზნეობრივი თუ სულიერი იდეალები არ გააჩნია. მდიდარი იყო — მოსწყინდა, ავადმყოფობდა. მიხვდა, რომ უბრალოება, ცხოვრების პირველყოფილება იძლევიან ჯანსა და სიმშვიდეს და მიაღწია კიდევ ამას. ძროხასავით ბალახზე წევს, ბარავს მიწას, იბანს დონის წყალში, ჭამს ძალიან ბევრს, სძინავს სამზარეულოში — მეტი არაფერი. ძალზე დელიკატურად ვუთხარით, რომ ელენა პავლეს ასული ჩამოდის და უნდა გაემგზავროს. შეგვპირდა, გავემგზავრებო“.

დედამ ბეგიჩევკაში ორი-სამი დღე დაჰყო, მოაგვარა მამაჩემის კვების საქმე და ისევ მოსკოვს გამოემგზავრა თავის უმცროს შვილებთან.

შვედმა უეჭველად იგრძნო, რომ დედაჩემს არ მოუვიდა თვალში, რადგან მისი გამგზავრებიდან პირველსავე წერილში, მამა ატყობინებს: „შვედი მოწყენილია, ზის კუთხეში და კანკალებს. მაგრამ ისევ ისე რადიკალურად და ჭკვიან-

* ჯანმრთელობა (ინგლ.).

ნურად მსჯელობს“. „შვედი უწინდებურად წინასწარმეტყველ იერემიას ჰგავს და საინტერესო კაცია“, — სწერს მამა დედაჩემს თავის ბოლო წერილში, რომელიც ბეგიჩევიდან გაუგზავნა 1892 წლის 16 მაისს.

მალე ამის შემდეგ ყველანი დროებით შვეიცარიებით გადასახლდნენ პოლიანაში, რათა თუნდაც რამდენიმე კვირა მაინც გაგვეტარებინა ერთად.

მე, დედა და უმცროსი ბავშვები მოსკოვიდან ჩავედით, მამა და მამა ბეგიჩევიდან, სასადილოების საქმე დროებით ჩვენს თანამშრომლებს მიანდეს: — როცა მარტო ვმგზავრობ მატარებლით, ძალიან მრცხვენია, ყურადღებას რომ მაქცევენ, არადა, ჩემი ორეული რომ თან წამომეყვანა და ისიც ნახევრად შიშველი — სწორედ რომ ვერ გავბედე, — გამბედაობა არ მეყო, — გვითხრა მამამ, როცა იასნაიაში ჩამოვიდა.

მეორე დღეს ტულის გზას დავადექი შვედთან შესახვედრად. ძალიან მაინტერესებდა მისი ნახვა და მინდოდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად გამეცნო. თანაც ეგრძნობდი, მისი დაცვა მომიხდებოდა დედაჩემის აშკარად გამოხატული ანტიპათიისაგან.

ამას გარდა შვედისთვის გაგზავნილ ახალგაზრდა ცხენზე ფიქრიც არ მასვენებდა, რადგან ცხენი ფიცხიც იყო და თან მეტისმეტად მფრთხალიც.

შარაგზაზე არც ვიყავი გასული, რომ დავინახე, მთიდან ფორანი ეშვებოდა. როცა გამისწორდა, მეეტლემ ცხენი შეაჩერა და თვალი ვკიდე ეტლში მჯდარ უცნაურ არსებას. ტანზე ყოლოსფერი ბამბაზიის საბანი ჰქონდა შემოხვეული, საბნიდან მოყვითალო ჭალარა წვერი მოუჩანდა. დაკვირვებული, მაგრამ ასე მომეჩვენა, ბოროტი თვალები იყურებოდნენ დაფანჩულ წარბებს ქვეშოდან. თავზე ეხურა დიდი, ფორმადაკარგული ფეტრის შლაპა. ფეხები მუხლისთავამდე შიშველი ჰქონდა.

— ჩემს ცხოვრებაში ცხენით აღარ ვიმგზავრებ, — მომახალა ინგლისურად ისე, რომ არც მომსალმებია და არც უკითხავს, ვის ელაპარაკებოდა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ ეს სისასტიკეა და საშიშიც არის, — მიპასუხა მან.

„ოჰ, ალბათ, რაღაც დააშავა ჩემმა კანდაურიხამ, — გავიფიქრე გუნებაში, — ტყუილად კი არ ვშიშობდი“.

მეეტლემ მიაშბო, როცა ტულიდან მოვდიოდით, კიევის შოსეზე კანდაურიხა დამფრთხალა და ყალყზე შემდგარა: ბედი არ გინდა, უცებ ეტლიდან ტაბიკი გამოვარდნილა და შვედი, ფორნის უკანა ბორბლები და ძარა შუა ქუჩაში მარტო დარჩენილა. ცხენი კი წინა ბორბლებთან ერთად გაქცეულა. საბედნიეროდ, მეეტლეს ხელი არ გაუშვია სადავისთვის, სწრაფად შეუჩერებია ცხენი და ყველაფერი მოუწესრიგებია.

ჩავჯექი შვედთან ერთად ეტლში და შინ მივედით. გზაში ვისაუბრეთ, გაბრაზებული თვალები აღარ ჰქონდა, კეთილმეგობრულად შემომცქეროდა.

შვედს იასნაია პოლიანაში ცივად შეხვდნენ. მამა კარგა ხანია შინ არ ყოფილა და ასევე კარგა ხანი იყო დასვენება არ გამოეყენებინა თავისი ლიტერატურული საქმიანობისათვის. ამას გარდა მეტისმეტად შეაწუხა ჩვენს ოჯახში დატრიალებულმა რომანმა, შვედი ვისღა ახსოვდა. დედას კი შვედი თავიდანვე არ მოსვლია თვალში და ბოლომდე დარჩა თავისი შეხედულების ერთგული. დედა იასნაიაში გრძნობდა, რომ შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია შვედისათვის, რომელიც ქადაგებდა გამოუმცხვარი კვერები და მოუხარ-

შავი ფეტვის ფაფა ჭამეთო, ამიტომაც არ დაუჭინია, გინდა თუ არა გააგდეთ აქედანო. მაგრამ სამაგიეროდ არავითარი გულისყური, არავითარი სიმპათია არ გამოუჩენია მისდამი. მე კი შვედს მალე დავუმეგობრდი.

შვედმა თავისი ცხოვრების ამბავი მითხრა.

ამ მონათხრობში რა არის სიმართლე და რა მონაგონი, მე ვერ ვიპოვე. ამიტომ სიტყვასიტყვით გავიმეორებ, რაც მიაძმო.

ამბავი იწყება იმ დღიდან როცა იგი ნიუ-იორკში მდიდარი კაცი, სახლის მეპატრონე გახლდათ. ამ სახლის სულ ქვემო სართულის სარდაფში, თურმე, ერთი საწყალი ქალი ცხოვრობდა ჭირით. ერთ დღეს შვედს გაუგონია ქალი როგორ უჩიოდა ბედს და წყევლიდა მას, მდიდარ სისხლისმსმელს, ნესტიანი სარდაფის საფასურად უკანასკნელ გროშებს მართმევსო.

— ვიგრძენი მისი სიტყვების სიმართლე და დაირღვა კიდეც ჩემი სულიერი სიმშვიდე. ბედნიერება დავკარგე. რაკი ადამიანის დანიშნულება ამქვეყნად ბედნიერებაა, საკუთარ თავს დავეკითხე: რად მინდა ჩემი სიმდიდრე, თუკი ტანჯვას მომიტანს. ვიფიქრე, რა გავაკეთო, ისევ ბედნიერი რომ ვიყუ-მეთქი? და გადავწყვიტე ჩემი სახლის თვითნებური ბინა საჩუქრად გამეცა. ქალმა ახლა კიდეც უფრო მოუმატა ჩემს ლანძღვა-გინებას: „მერედა, ვინ ამი-ნაზღაურებს იმ წლების მწუხარებასა და შიმშილს, — ყვიროდა იგი, — ჩვენ რომ გადავიტანეთ, როცა ქუჩაში გვერეკებოდა, ამ ნესტიანი სარდაფიდან ეს სისხლისმსმელი და გვართმევდა საკუთარი ოფლითა და სისხლით მონაგარ ფულს?“ ბედნიერების ნაცვლად ჯოჯოხეთში ჩავვარდი. მაშინ გავიქეცი. გავმგზავრე ინდოეთში და იქ საკუთარი შრომით ვირჩენდი თავს. სწორედ ინ-დოეთში გავიგონე ტოლსტოის ამბავი! აი, ეს კაცი საჩემოა-მეთქი, — ვიფიქრე მე, — ვიცხოვრებ მასთან, მის შვილებს ფიზიოლოგიას შევასწავლი, რათა შე-იცნონ ბუნების კანონები, ისწავლონ ამ კანონების თანახმად ცხოვრება და ბედნიერი იყვნენ. მიწის მუშადაც გამოვდგები, აი, რა გავიფიქრე და კი-დეც გამოვეშურე; როგორც ხედავთ უკვე აქა ვარ...”

ჩვენთვის ფიზიოლოგიის სწავლება საბრალო აბრაამმა ვერ შეძლო, მიწის დამუშავება კი თვითონაც არ უცდია. ჩემის აზრით, ბეგიჩევკაში კარტოფილის კვლების თოხნისას მიხვდა იგი, რომ სამოცდაათი წლის ბერიკაცს გაუჭირდებოდა მიწის დამუშავება და ამიტომაც სამუდამოდ აიღო ხელი ამ სამუშაოზე.

ცხოვრობდა იასნაიაში და დღითიღლე ცხადად გრძნობდა, რომ თავის ად-გილას არ იყო და ოჯახის დიასახლისს თვალში არ მოსდიოდა.

მისი ფიზიოლოგიის გაკვეთილები მხოლოდ ეს იყო, რომ ქალებს გვერდ-ში ატაკებდა ხოლმე თითს, აბა, ერთი ვნახოთ კორსეტი თუ აცვიაო. ვისაც შეამჩნევდა უქადაგებდა, მეტად მავნებელი რამ არისო; ვისაც არ ეცვა კორ-სეტი, იმას აქებდა. საერთოდ, ადამიანს რაც შეიძლება ნაკლები ტანსაცმელი უნდა ეცვასო. ძილის დროს ჟოლოსფერ ბამბის საბანს იხურავდა, რომელიც დაუკითხავად წამოეღო თურმე რაევსკების სახლიდან. პერანგი წელამდე გადა-ღედილი ჰქონდა, იცვამდა მოკლე პანტალონებს, რომლებსაც დროდადრო მუხლს ზემოთ აიკარწახებდა ხოლმე. ფეხსაცმელს საერთოდ არ იცვამდა და არც ჰქონდა.

ჟოლოსფერი საბნის გარდა, კიდეც გრძელი დაგლეჯილი ძველი ხალათი ჰქონდა, როცა შესცივდებოდა მაშინ იცვამდა.

აივანზე იძინებდა, პირდაპირ იატაკზე, ქვეშაგების გარეშე. თავქვეშ ცა-

რიელ ბოთლს ამოიდებდა, რადგანაც მისი აზრით, ბალიში თავს აბურებს და ყურებს ახშობს, ეს კი ჯანმრთელობისათვის მავნებელია.

ჰამდა ქერის ფაფას და იშვიათად ბოსტნეულს, სადილად რომ მოგვართ-
მევედნენ.

ერთხელ რძე შევთავაზე.

— დედაჩემი დიდი ხანია გარდაიცვალა, — მიპასუხა და მოწყენილმა შემომხედა.

რადგან ვერ გავიგე, რა კავშირი იყო ჩემს ნათქვამსა და მის პასუხს შორის, თვალები დავაჭყიტე.

— დედაჩემის რძე იყო ერთადერთი, რაც მე მეკუთვნოდა — მიპასუხა მან, — ძროხის რძე კი ხბოს ეკუთვნის.

იასნოპოლიანელი შინამოსამსახურენი უდიდესი ზიზღითა და აღშფოთებით უყურებდნენ შვედს და ჩვენი მსახური ზოგჯერ კიდევ გვაფრთხილებდა მე და ჩემს დას, ტერასაზე ნუ დაიარებით, რადგან იქ თითქმის შიშველი შვედი წევს, საცვლები არ აცვიათ.

ერთხელ აბრაამს ვთხოვე, დადექით მენატურედ და დაგხატავთ-მეთქი.

— კარგი, — მითხრა, — თლონდ წუთით მადროვეთ, გავშიშვლდები. არაფერია ადამიანის სხეულზე უფრო მშვენიერი და იგი შიშველი უნდა დაიხატოს.

მე მაინც ვარჩიე ჩაცმული დამეხატა, თუმც იგი არცთუ მაინცდამაინც ხალისით დამიდგა მენატურედ.

ერთხელ დედა თურმე ხეივანში მიდიოდა და გუბურასთან ბალახზე მოსეირნე შიშველი კაცი დაუნახავს. დაუკვირდა და შვედი შეიცნო!

აბრაამი დედაჩემის დანახვაზე ოდნავადაც არ შემცბარა, არც ცდილა და-მალულიყო, პირიქით, მშვიდად სცემდა ბოლთას მზის გულზე.

ბალახზე ეფინა მისი საცვლები, ახლახან რომ ამოერეცხა ტბორში. რადგან გამოსაცვლელი არ ჰქონდა, იძულებული იყო შიშველი დალოდებოდა, ვიდრე მზეზე გაშრებოდა მისი ერთადერთი ხელი ტანისამოსი.

დედაჩემი აღშფოთდა.

შვედის მიმართ არაკეთილგანწყობა იასნაია პოლიანაში დღითი დღე იზრდებოდა. და ბოლოს საჭმე იქამდე მივიდა, რომ საცოდავი აბრაამი გააძევეს ჩვენი სახლიდან.

ეს ამბავი ასე იყო: იასნაია პოლიანაში ჩამოვიდა ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული ფრანგი m-r Huret, redacteur au „Figaro“*. იგი მამასთან ჩამოვიდა, რათა გამოეკითხა შიმშილობის ამბები და ამის თაობაზე სტატია დაეწერა.

შუა ზაფხული იყო, ცხელოდა და ჩაის ვსვამდით სახლის წინ ხეების ჩრდილში. იურემ მანდილოსნებს პაპიროსის მოწევის ნება გვთხოვა და რაკი თანხმობა მიიღო, სიგარა ამოიღო და მოუკიდა. იქვე მჭდარი შვედი დაუფარავი ზიზღით შეჰყურებდა ფრანგს. როცა იურემ გააბოლა, შვედი მომიბრუნდა და, ჩვეულებისამებრ, ინგლისურად მთხოვა მეთარგმნა ფრანგისთვის შემდეგი სიტყვები.

— ჰკითხეთ ამ ადამიანს, — მითხრა მან, — ხომ არ სურს სახეში შევაფურთხო?!

* ბატონი იურე „ფიგაროს“ რედაქტორი.

დავინახე, რა შეშინებული თვალებით შემომხედა დედამ, იმედი ჰქონდა, არ შევეუსრულებდი შვედს თხოვნას. მაგრამ მე ახალგაზრდა და საკმაოდ ეშინაქი გახლდით და წინასწარ მოვემზადე თავი შემექცია მოსალოდნელი ორთაბრძოლით. სწრაფად შევხედე მამას და შევამჩნიე, რომ რამდენადმე მხიარულად და მაცდურად მიუყურებდა, ამიტომ სტუმარს თამამად და ხმამაღლა ვკითხე ფრანგულად:

— ბატონო იურე, ეს ბატონი გეკითხებათ, ხომ არ გინდათ სახეში შეგაფურთხოთო?

იურეს საქციელი წაუხდა, შეცბა, მაგრამ თავს მოერიო და ღირსების გრძნობით მკითხა:

— კი მაგრამ... რისთვის?

შვედს გადაეცა, ფრანგი გეკითხებათ, რატომო?

— უთხარით, — მითხრა შვედმა, — გულს მირევს კვამლის სუნი, რომელსაც ის აფრქვევს.

მე ვუთარგმნე.

— თქვენ კი გადაეცით, — გაცხარდა ფრანგი, — რომ მანდილოსნებმა ნება დამრთეს, მას კი ყურადღებას არ ვაქცევ, მით უფრო, რომ ასე თუ არ მოვიქცეოდი, გული ამერეოდა მისი ჭუჭყიანი ფეხების დანახვაზე.

— ცრუობს, — მშვიდად მიპასუხა შვედმა, როცა ვუთარგმნე ფრანგის პასუხი. — გადაეცით, რომ ცრუობს, რადგან ჭუჭყის დანახვაზე გული არ შეიძლება აგერიოს, ხოლო მყრალი კვამლის სუნზე შეიძლება გულიც აგერიოს, უსიამოვნო გრძნობაც აღგედრას და გაწყინოს კიდეც.

დედაჩემი ჩემკენ საშინელი თვალებით იყურებოდა, მაგრამ უკვე აღარ მინდოდა შევჩერებულიყავი, მით უფრო, რომ მამაჩემის თვალებში აკიაფებული ეშმაკური ნაპერწკალი საამისოდ მაქეზებდა.

ბოლოს და ბოლოს ფრანგი მთლად გაცხარდა და თქვა, ქალები რომ არ ისხდნენ, ამ მოხუც თავხედს სილას გავაწნავდიო.

აქ დედაჩემის სტუმარმასპინძლობის გრძნობამ იძალა და საჭიროდ ჩათვალა დაეცვა თავისი ფრანგი სტუმარი. აღელვებულმა და გაბრაზებულმა ინგლისურად უთხრა შვედს, თუკი არ გსურთ თავაზიანად მოექცეთ ჩემს სტუმრებს, შეგიძლიათ იასნაია პოლიანადან სადაც მოგესურვებათ, იქ წაბრძანდეთო.

ისევე აღუშფოთებლად და მშვიდად, როგორც ფრანგს ელაპარაკებოდა, შვედი დედაჩემს მიუბრუნდა:

— იცით თუ არა, რომ დედამიწაზე ხუთი აკრი მიწა მე მეკუთვნის...

— მერედა, გაემგზავრეთ იქ, — შეაწყვეტინა სიტყვა დედამ.

— დავიანგარიშე, — განაგრძო შვედმა, — რომ ყოველ ადამიანს ჩვენს პლანეტაზე უფლება აქვს ხუთი აკრი მიწა გამოიყენოს. მაშასადამე, მეცა მაქვს ამის უფლება და მსურს ეს ხუთი აკრი მიწა ავიღო აქ.

— მე კი არა მსურს, — ისევ შეაწყვეტინა სიტყვა დედამ, — აიღეთ თქვენი ხუთი აკრი, სადაც გნებავთ, მაგრამ არა იასნაია პოლიანაში!

— კარგი, — მორჩილად უთხრა მოხუცმა შვედმა, — რადგან ასე მეწინააღმდეგებით, შემიძლია აქ არ ავიღო. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ უარი მითხრათ მიწის იმ ფართობზე, რომელსაც იჭერს ჩემი ორი ფეხისგული... აი, ამ-

დენი — უთხრა მან და ორივე ხელისგული დააწყო მაგიდაზე, რათა ეჩვენებინა, რამდენი მიწის დაკავება სურდა.

დედამ არც იმდენი მიწის მიცემა ისურვა.

და გადაწყდა შვედი გაესახლებინათ იასნაია პოლიანადან და მასთან შევთავაზე, ჩემს მამულში, ოვსიანიკოვოში გადასულიყვნენ იასნაია პოლიანადან შეიდიოდ ვერსზე, ცარიელ პატარა ხის სახლში ეცხოვრა.

რადგან სახლში არავითარი ავეჯი არ იდგა, ვკითხე, რა ჩამოგიტანოთ-მეთქი.

— ერთი ცარიელი ბოთლი, — მითხრა.

ალარ დამიტანებია ძალა და, აი, ამ ავეჯით გადასახლდა შვედი ოვსიანიკოვოში.

ოვსიანიკოვოს კარმიდამოში, ერთ ქოხში ჩვენი ნაცნობი მ. ა. შმიდტი ცხოვრობდა, მეორეში — დარაჯი. არც მარია ალექსანდრეს ასული და მით უმეტეს, არც დარაჯი ინგლისურად არ ლაპარაკობდნენ, შვედმა კი რუსული არ იცოდა, ასე რომ, დასამუნჯებლად იყო განწყობილი.

ზოგჯერ მამაჩემი ჩააკითხავდა ცხენით, ხშირად მე ფეხით ან ცხენით ჩავდიოდით და აი, მაშინ მოიჭერებდა შვედი გულს სადაც ცხოვრებაზე საუბრებითა და ქადაგებით. ხშირად ჩამყავდა იქ ჩემი სტუმრები, ხოლო ზოგჯერ შვედს მოინახულებდა ტულის გუბერნატორის, ზინოვიევის, ოჯახი, აგარაკზე რომ ცხოვრობდა ოვსიანიკოვოს მეზობლად. მათთან ერთად ჩადიოდა იქ მაშინდელი ვიცე-გუბერნატორი ი. მ. ლეონტიევი, შესანიშნავად მოუბარი ინგლისურად.

არა მგონია, აბრაამს ვინმე დაერწმუნებინოს, აუცილებელია ადამიანი პირველყოფილ ცხოვრებას დაუბრუნდესო, მაგრამ გულისყურით კი უსმენდნენ, რადგან მშვენივრად ლაპარაკობდა, მგზნებარედ, გულწრფელად დამაჯერებლად. და ეს ბერიკაცი, მიქელანჯელოს ფრესკაზე დახატულ წინასწარმეტყველ იერემიას რომ მოგაგონებდათ და ლამაზი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, ძალზე შთამბეჭდავი სანახავი იყო.

როცა მარტო რჩებოდა ოვსიანიკოვოში, ჩაჯდებოდა იატაკზე ცარიელ სახლში და ჩანაწერებს აკეთებდა. მერე წასაკითხად მაძლევდა: ინგლისურად იყო დაწერილი, რაღაც უცნაური ორთოგრაფიით, თვითონვე რომ გამოეგონებინა. ამბობდა, რომ გაამარტივა რთული და სულელური ინგლისური ორთოგრაფია, მაგრამ მე ვინც ჩვეულებრივ ორთოგრაფიას ვიყავი შეჩვეული, მიძნელდებოდა მისი ნაწერის გარჩევა. ესეც არ იყოს, ჩემი აზრით მისი ნაამბობი გაცილებით სჯობდა მის ნაწერს.

სალამოს აბრაამი დაწვებოდა ცარიელ ოთახში, პირდაპირ ხის იატაკზე, თავქვეშ კი ცარიელ ბოთლს ამოიდებდა.

ქალური გუმანით ვგრძნობდი, რომ მოხუცი ხანდახან მოწყენილი იყო და ობლადაც გრძნობდა თავს ამ მიყრუებულ, დახავსებულ კარმიდამოში, სადაც მხოლოდ კოჭლი დარაჯი და მოხუცი, სუსტი, მუდამ საქმიანი დედაბერი ცხოვრობდნენ. აბა მათთან რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა?! მაგრამ შვედი არ ჩიოდა. იგი მთელი არსებით საკუთარ ფიქრებში იყო ჩანთქმული.

ზაფხულში მე და მამა ისევ უნდა წავსულიყავით ბეგიჩევკაში სასადილოების საქმეებთან დაკავშირებით. მაგრამ მამა შეუძლოდ შეიქნა და მარტო გამგზავნეს. ყველანი შემპირდნენ, წერილებს გამოგიგზავნითო, და მართლაც პირველსავე ფოსტამ მოიტანა მამაჩემის, დედაჩემის, მამასა და სხვების წერი-

ლები. მამა რამდენიმე დავალებას მაძლევდა და ერთი-ორი ალერსიანი, გამამ-
ხნევებელი სიტყვაც მომწერა. დედა მატყობინებდა ყველაფერს, რაც იასნაძე
პოლიანაში ხდებოდა, და სხვათა შორის, შვედის ამბავიც არ დავიწყნია. შვედმა
ჩვენთან ისადილა, ზანდერს (ჩვენს სახლში მცხოვრებ სტუდენტ-მედიკოსს)
რალაცას შთააგონებდა მედიცინაზე და მისი ხმა ყველაფერს ახსოვდა. ჩვენი
ძალზე მოსაბეზრებელი იყო.

შემოდგომაზე, როცა მთელი ჩვენი ოჯახი იასნაია პოლიანადან გასამგზავ-
რებლად ემზადებოდა, აბრაამიც მოემზადა. გარკვევით თვითონაც არ იცო-
და, საით წავიდოდა. ფული სულ ორასი მანეთი ჰქონდა. პირველად რომ ჩა-
მოვიდა ბეგიჩევკაში მამასთან, მისთვის უნდოდა მიეცა, დამშეულებს მოახმა-
რეთ, მაგრამ მამაჩემს ფული არ გამოუერთმევია, არ უნდოდა აბრაამი მთლად
უფულოდ დარჩენილიყო.

როცა გაემგზავრა, აბრაამს იასნაია პოლიანაში დარჩა თავისი ძეწკვიანი
საათი, რომელზედაც მიმაგრებული იყო კომპასი და რალაც სხვა ხელსაწყოე-
ბიც. ეს ნივთები შვეციაში გავუგზავნეთ იმ მისამართზე, ჩვენ რომ დავგი-
ტოვა. რამდენიმე კვირაში ამანათი უკან დაგვიბრუნდა, რადგან ადრესატი ვერ
ეპოვნათ.

საით წავიდა? სად იხეტიალა? კიდევ დიდხანს იცოცხლა? სად დატოვა
თავისი ბებერი ძვლები? — აი კითხვები, რაზეც ვერასოდეს ვერავან შეძლო
პასუხის გაცემა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

წერილები — თარგმნა ნანა ახობაძემ

მიხაილ ალექსანდრეს ძე ბაკუნინი

(1814-1876)

მცდართი წელი გავიდა „ანარქიის მოციქულის“ — ბაკუნინის გარდაცვალებიდან. მცდართი წელი შავსერთუკიან ჩინოვნიკთა ლეგიონები ცდილობენ ჩვენს თვალთა ხედვას მოაფარონ კოცონი, რომელზეც თავად ბაკუნინი დაფერფლა თავისი სიცოცხლე. ტყაცუნებდნენ და შიშინებდნენ ნდელი ღერები, რომელთაც წყალუბვი რუსული მდინარეები გადმოსცურებს. მოღქვა-ბოლქვად აღიოდა კვამლი. ბოლოს ავარდა ცეცხლი და ახლა ჩინოვნიკები აქვითინდნენ იწყებს როკვა და კრუნჩხვა: რაღა იყო გასათბობი, დარჩენილიყო ტყავი და ძვლები და დაწვისაც ეშინოდათ. ჩინოვნიკები იფურთხებიან და იკრუნჩხებიან, ჩვენ კი ვკითხულობთ ბაკუნიანს და ვისმენთ ცეცხლის სტვენას.

„ბაკუნინი“ — ჩაუქრობელი, ის კი არა, იქნებ, ჯერ კიდევ გაუჩაღებელი კოცონია. დაუმცხრალია კამათი კოცონის გარშემო — დღე, იუოს ეს კამათი იმგვარად ცეცხლოვანი და ამაღლებული, რომ დაბუგოს ყველა წვრილ-წვრილი უთანხმოება! ღარიბი ლიტერატურა ბაკუნინის შესახებ იწყებს შევსებას. „თავისუფლების“ პირველსავე წელს გამოიცა ხუთი ცალკე წიგნი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჯერ უფრო მეტად შორიდან უვლიან ბაკუნიანს, ხმადაბლა, კბილებშუა გამოსცრიან გერცენის კლასიკურ სიტყვებს მის შესახებ, „სრული კრებულის“ გამოცემამდე კი ისევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი. სამი ნარკვევიდან, „თავისუფლების“ პირველსავე წელს რომ გამოიცა, ყველაზე უფრო ნათელ შთაბეჭდილებას ქმნის ბატონ ანდერსონის ნარკვევი („განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლნი“. მ. ა. ბაკუნინი, სპბ). ავტორმა დაინახა სწორედ ის მარადიული, რაც განწმენდს და აკეთილშობილებს ყოველ მტვერწაყრილ ფაქტს; ამოიტანა ისინი ზედაპირზე და მზის სხივებს მიუშვირა. ანდერსონის ნარკვევი გაცილებით უფრო ლიტერატურულადაა დაწერილი, ვიდრე დანარჩენი ორი. დრავომა-ნოვი — სერიოზული მკვლევარია, ითვლება ბაკუნიანის მცოდნედ, თუმცა მიზნად არ ისახავს ზოგად ამოცანებს; ბაკუნიანს იგი ახასიათებს როგორც უფრო პოლიტიკურ მოღვაწეს. მესამე ავტორი, ბატ. კულჩიკი („მ. ა. ბაკუნინი, მისი იდეები და მოღვაწეობა“, სპბ), წერს არასრულად, პოლიტიკანობს და რაღაც-რაღაცაზე დუმილს არჩევს. მიიჩნევს ბაკუნიანს „უპირველეს ყოვლისა — საქმის კაცად“.

ბაკუნიანი რუსული ყოფის უთვალსაჩინოესი გზაჯვარედინია. ვგონებ მხოლოდ რუსეთის ყოფან შეუძლია განაცვიფროს მსოფლიო ამგვარი ქმნილებებით. მძაფრ წინააღმდეგობათა ურიცხვი ოდენობა დაზვინულა ერთ სულში: „ტალღა და ღორღი, ლექსი და პროზა, ყინული

და ნაპერწკალი“, — თუ ამათგან რამე აკლდა ბაკუნინს, აკლდა მხოლოდ ლექსები — მარ-
შონიის თვალსაზრისით. მას არც არასოდეს არ უშეძერია, არამედ, თუკი შეიძლება ასე ითქვას, —
ღრიალებდა მთელი ევროპის გასაგონად, ანუ „ბლაღოდა, როგორც დაქრილი ბარი“. დენგელი-
ლად და უწყალოდ, ნამდვილ რუსულად მასში ჩაბუდებულიყო რუსული სამიტიზმის
მთვრალი ღარდმანდობა. იყო ყველაზე დაუცხრომელ საქმეთა და წამოწყებათა უნარი და
ჭილდოებული, რასაც მხოლოდ სიზმარში ან კუბერის კითხვისას თუ წარმოიდგენს, —
თან ზანტი და ლოხი — ვერებრთელა, უშველებელი ტანი, ლომის ფაფურა —
შეშუბებული ქუთუთოები, როგორსაც არაერთგზის შეხვდებით რუს მემამულეთა შორის, —
გამუდმებით ოფელში ცურავდა. მასში შერწყმულიყო სიკეთე და ყოველდღიურ ცხოვრებაში
უკიდურესად უხერხული ხელგაშლილი დამოკიდებულება მეგობართა ფულადი საკუთრე-
ბისადმი და ღრმა და ცივი ეგოიზმი. თითქოს უაზრო დუღიისა შეეშინდაო (მისგანვე შეურაცხ-
ყოფილ კატკოვთან), ბაკუნინმა საჩქაროდ ბედის სასწორზე შეაგდო ყველაფერი: საკუთარი
სიცოცხლე და სიცოცხლე უამრავი ადამიანისა, ღრუდენის მადონა და შემთხვევითი ცოლი,
კეთილი გუბერნატორის მეგობრობა და ნდობა, მშობლიური რუსეთი და მასთან ერთად ყვე-
ლა განაპირა მხარე და სლავური მიწები. მხოლოდ გენიალურ ლოთს ხელეწიფებოდა ამგვარი
თამაში გაეჩაღებინა ცეცხლთან. ბაკუნინმა საკუთარი მარტვენით მოამწადა აქანყება პრალასა და
ღრუდენში და ამის გამო ცხრა წელიწადი მოათია გერმანიის, ავსტრიის თუ რუსეთის საპატიმ-
როებში, თვეობით იყო მიჯაჭვული საპროზილეთა კედლებზე, გაიქცა ციმბირის გადასახლე-
ბიდან, შემოიარა მთელი დედამიწა — თავდაპირველად როგორც ტუსადმა, მერმე როგორც
გადასახლებულმა, ბოლოს, როგორც გამარჯვებულმა ლტოლვილმა — და თავისი მოგზაურო-
ბის საწყისი პუნქტის ახლოს — ლონდონს შეჩერდა.

აქ პირველი დღეებიდანვე კვლავ გაათქცეული ენერგიით, ძველებურად ამოქმედდა. ვინ
არ იცნობდა მას, ვინ არ მიაგო მისაგებელი ყველამ — დაწყებული იმპერატორ ნიკოლოზით,
რომელმაც თქვა: „იგი კკვიანი და კარგი ყმაწვილია, მაგრამ საშიში ადამიანია და საჭიროა მისი
ჩამწყვდევა“, — გათავებული ერთი მშვიერ-მწყურვალე იტალიელი გლეხით, რომელმაც ბოლო
წლებში არ მიატოვა და ბოლონის აქანყების დამარცხების შემდგომ სამოცი წლის ანარქისტს
თივაში დაუდო სამალავი.

ბაკუნინზე შეიძლება დაიწეროს ზღაპარი. მისი პიროვნება გარემოცულია ანეკდოტების,
ლეგენდების და სახაცილო, გულისამაჩუყებელი ან დრამატული სცენების გაუვალი ტივრით.
გვხვდება როკამბოლისა და დიუმას შემთხვევებიც. მაგალითად, ამბავი პოლონეთისათვის იარა-
ღით ხომალდის დატვირთვისა — ამბავი დანჯღრეული ხომალდისა, რომლის ეკიპაჟი მონალისე ჩხუ-
ბისთავეების, ექიმის, სტამბის მუშის, ორიოდ აფთიაქარის, პოლონელი ოფიცრების და ყველა
ეროვნების ჯარისკაცებისაგან, მათ შორის კაფრებისა და მალაელებისაგან იყო შედგენილი.
საგულისხმოა, რომ ბაკუნინმა მოახერხა თავისი ხომალდის ბედით დაეინტერესებინა შვეციის
მეფის ძმა, შვედი მინისტრები და გავლენიანი პირები; მაგრამ საქმე მაინც უშედეგოდ დას-
რულდა, სრულიადსლავური არგო უვარგისი გამოდგა და გრიგალმა ისე დაფლთა, ამოი გა-
მოდგა ყოველი ღონისძიება თავი შეეფარებინა გერმანიის ან შვეციის ნაპირებისათვის. ეკიპაჟის
ნახევარი დაიღუპა, ხოლო იარაღი ხელში ჩაუვარდა შვეციის ფრეგატს.

ბაკუნინი წერდა ბევრს, მაგრამ დიდი ნაწილი თავისი ნაწერებისა დაუსრულებელი და-
ტოვა. ისინი დღესაც ხელნაწერების სახით არსებობს. ბაკუნინი გამუდმებით ეწინააღმდეგებოდა
საკუთარ თავს, მაგრამ ცხადია, „არა ბოროტი განზრახვით“. გვსურს იგივე ვიფიქროთ მის
„საეჭვო“ ქმედებებზეც, რომელთა ირგვლივაც კამათობენ და ცხარობენ, ესწრაფვიან თუ
დაგმოხადონ, თუ გამართლებას, თუკი კატკოვს, რომელიც კარგად იცნობდა ბაკუნინს, არ შეეძ-
ლო ყოფილიყო გულგრილი და არ უნდოდა ყოფილიყო გულწრფელი — მაშინ ჩვენ, ალბათ,
უფრო გვაქვს უფლება დავივიწყოთ წვრილმანი ფაქტები ამ დიდი სიცოცხლისა იმ ყოვლის-
გამომსყიდველი ცეცხლის სახელით, მას რომ გააჩნდა. დიახ, ბაკუნინი არ ყოფილა ცხოვრების
კაცი — და ესეც ყოველთვის როდი მეთქველებს მის საქებრად. ყველაფერს, რაც მისი
მოღვაწეობის შემაფერხებელი კომფორტისაგან განთავისუფლების უმსუბუქესი საშუალებებით
მიიღწეოდა, სქემასა და განუენებულობასთან მიჰყავდა, განუენებულობას — წინააღმდეგობრი-
ობასთან და საშუალებას აძლევდა სახელდახელოდ შეეკავშირებინა დაუკავშირებელი.

ეძიებდნენ და უარყოფდნენ ღმერთს, იყო თავზნებულადებული „ნიჰილისტი“ და გწამდეს სა-
კუთარი მოღვაწეობისა იმგვარად, როგორაც სწამდათ, ალბათ, ალექსანდრე მაკედონელსა და
ნაპოლეონს, გეზიზღებოდნენ და უგულვებელყოფდნენ ყველა დადგინებას წესრიგისას — სახელ-

მწიფობები წყობილება იქნება იგი თუ საზოგადოებრივი წყობა, და ბოლოს საკუთარი საცხოვრებლის ქერს, საკვებს, ტანსაცმელს და ძილს — ყოველივე ეს ბაკუნინისათვის იყო არა უბრალოდ სიტყვა — არამედ საქმე. რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს — მისი სახე მოგვაგონებს ვლადიმირ სოლოვიოვის სახეს. საკვირველია, რომ ეს მსგავსება მიდის უფრო შორს — სადღაც ოჯახის სიღრმეში. მე არაერთხელ მომისმენია უამრავი საოჯახო მოგონებანი სოლოვიოვსა და ბაკუნინზე და ყველა მათგანში შესაძლებელია ვხვდეთ ერთი მუსიკა — მუსიკა ძველი რუსული ოჯახებისა, რომელიც სავსებით დადუმებულია ახალგაზრდა რამოლიკებსა და ბუზლუნა დეგენერატებში.

შეიძლება თუ არა ბაკუნინისაგან ავიდოთ ცხოვრების მაგალითი? ცხადია, არა, არა, — და არა მარტოდენ იმიტომ, რომ ამგვარი ადამიანები იზადებიან, ამგვარი უჩვეულო სიმწყობრე და მარმონია წინააღმდეგობრივობებისა და დაპირისპირებულობებისა არ გვეძლევა არანაირი ვარჯიშით. მაგრამ ეს „სინთეზურობა“ მაინც რაღაცნაირად აღიზიანებს ჩვენს დანაწევრებულ და გათიშულ სულებს. ისინი გათიშა იმ შეგნებაში, რაც არ გააჩნდა ბაკუნინს. მან პეგელის თეზასა და ანტითეზაზე დააფუძნა ნაჩქარევი, მაგრამ დიდებული სინთეზი, დიდებული იმიტომ, რომ მისით ცოცხლობდა, აზროვნებდა, იტანჯებოდა, ქმნიდა. ჩვენ წინაშეა — ახალი ზღვა „თეზებისა“ და „ანტითეზებისა“. დავებხებით ცეცხლს ბაკუნინს! მხოლოდ ცეცხლში გაღვება სევდა, მხოლოდ ელვა გაფანტავს ქარიშხალს.

„მერი სავესა ქარიშხლის მაუწყებელი ამბებით! ამიტომ მივმართავთ ჩვენს დაბრმავებულ ძმებს: მოინანიეთ! მოინანიეთ! ახლოსაა ღმერთის საუფლო! — ჩვენ მივმართავთ პოზიტივისტებს: გაახილეთ თქვენი სულის თვალები, დაანებეთ მოკვდავთ — დამარხონ თავიანთი მკვდრები. და ირწმუნეთ ბოლოს და ბოლოს, რომ სული — მარად ყრმა და ახალშობილი არ უნდა ვეძებოთ ნანგრევებში... გვიბოძეთ ნება, მივედოთ მარადიულ სულს, რომელიც მხოლოდ იმიტომ ანგრევს და ანადგურებს, რომ ძალა შესწევს იყოს დაუშრეტელი და მარად შემოქმედი წყარო ყოველგვარი სიცოცხლისა. უინი ნგრევისა ამავე დროს არის უინი შექმნისა“.

ამას ამბობს ჭაბუკი ბაკუნინი, მაგრამ ამასვე გაიმეორებს ხანდაზმულიც. აი, რატომ გვიმწერს მისი სახელი ისტორიიდან სხვა ხშიანი სახელების გვერდით. სასიამოვნოა, შევიცნოთ ბაკუნინი, დაჟინებით და თვალმოუშორებლად შევხედოთ თვალებში, სახეზე, რომელიც მხოლოდ სიკვდილმა დაუშვია; ქარტახილებმა დაღარეს იგი. „ბაკუნინი დამნაშავეა და ცოდვილი, — წერდა ბელინსკი, — მაგრამ მასში არის რაღაც, რაც გადასწონის ყველა მის ნაკლს, ეს მარად მოძრავი საწყისია, რომელიც მისი სულის სიღრმეში დევს“. გადავთარგმნოთ ეს ძველი „მუმანური“ სიტყვები მარად ახალ ენაზე. ვთქვათ: ცეცხლი.

ოქტომბერი, 1906 წ.

მზე რუსეთის ცაზე

როცა 1881 წელს პოხედონოსცევმა დაარწმუნა ხელისუფლება „მეფისმკვლელობა“ ხუთეული ჩამოებრჩით, ლევ ტოლსტოიმ შეწყალების არზა გაუგზავნა პოხედონოსცევს და სთხოვა მეფისთვის გადაეცა იგი. პოხედონოსცევის უარის მიუხედავად, წერილმა მაინც მიაღწია მეფემდე (გენერალ ჩერევენის მეშვეობით)¹. მაშინ სახელმწიფო საბჭოს სახელგანთქმულ სხდომაზე, 8 მარტს, პოხედონოსცევმა წარმოთქვა ისტორიული სიტყვა, დაჟინებით მოითხოვა დამნაშავეთა ჩამოხრჩობა, მიიტაცა სახელმწიფო ხომალდის საბჭი, ხელიდან არ გაუშვია მეოთხედი საუკუნე და შემწარავი პრაქტიკული მოღვაწეობითა და თავისი თეორიების ურყევი, სამარისებური სიცივით ბებერი „ვამპირის“ სახელი დაიმკვიდრა.

ბებერი „ვამპირი“ დღეს საფლავში წევს, მაგრამ ჩვენ ვიცით: რომ 28 აგვისტოს დიად წლისთავზე, შემოდგომის წყნარი მზის ნათელში, დაღლილ-დაქანცულ და ჩაძინებულ, მაგრამ

¹ 1881 წლის 3 აპრილს მეფე ალექსანდრე II მკვლელობაში მონაწილეობისათვის სიკვდილი მიუსაჯეს ხალხოსნებს — ა. ლ. ქელიაშოვს, ს. ლ. პეროვსკიას, ტ. მ. მიხაილოვს, ნ. ლ. კიბალჩიჩს და ნ. ი. რისაკოვს. ს. ა. ტოლსტაის მოგონების მიხედვით, ლ. ნ. ტოლსტოის თხოვნაზე სკვდილმისჯილთა შეწყალების შესახებ ალექსანდრე III განაცხადა, თავდასხმა რომ თვით მასზე მოეწყოთ, იგი შესძლებდა შეწყალებას, მაგრამ მას არა აქვს უფლება შეიწყნაროს მამამისის მკვლელები.

ისევ იმ დიად რუსეთში ლევ ტოლსტოის იუბილესთან დაკავშირებული გამოსვლებისა და ზე-
იმის წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციულ განკარგულებათა და გუბერნატორულ-ურბი-
ადნიკულ აკრძალვათა ნაცნობი აკომბანიშენების ქვეშ კვლავ გაერთა ის შემზარავი აჩრდილი.

ბებერი „ვამპირის“ აჩრდილმა ტახტს დაადო სიხარულს. მზ აგვისტოს დღემ ჩაიარა, რო-
გორც მიღებულია გამოთქმა, „საყოველთაო სიმშვიდეში“; თუ რუსულად ვთარგმნი, ეს ნიშ-
ნავს — ავისმომასწავებელ, სამარისებურ სიჩუმეში. „რეაქცია“, „დაქანცულობა“ —
უძღვნიან გუთანს და სამოვარს. ტოლსტოის უგზავნიან დებულებს, ამცნობენ მისი წიგნის
ქვეშას ბნელზე, რამდენიმე გაზეთი უშვებს საიუბილეო ნომერს... ასეთია დღე 28 აგვისტოსი.

ყოველივე ჩვეულებრივია, ყოველივე ნაცნობია ისევე, როგორც ყველა სხვა დიადი დღე,
გადატანილი რუსეთის მიერ. ცოცხლდება შავბნელი წარსული სამშობლოსი, ყველაფერი, რო-
გორც ეს შეეფერება დიად დღეებს. ვისი უსულო ხელი მართავდა დანტესის და მარტინოვის
დამბაჩებს? ვინ იყო იგი, მომაკვდავი გოგოლის სისხლის შესასმელად რომ მოვიდა? რა „საი-
დუმლო და სწრაფდამბუგავ ცეცხლში დაინთქნენ ბელინსკი და დობროლიუბოვი? ვინ მიიყ-
ვანა დოსტოევსკი სემიონოვკის შორდანზე და მკვდარ სახლში? ანკი როდის არ იყო რუსეთში
რეაქცია, ის, რაც მის დროს და მას შემდეგ ხდება, ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ მ იანვრის სის-
ხლიან განთიადზე, ახლა კი განწირულნი ვართ გადავიტანოთ იგივე ყოველდღე? ან, განა ეს
ცოტაა — „პოლიტიკური რეაქცია?“ ამ ვულგარული სიტყვის უკან დგას ის ყოველდღიურობა
და ჩვეულებრიობა, რასაც საკუთარ ტუაზე ვგრძნობთ მთელის ძალით და სიცხადით. ეს არა
მარტო „უხერხულია“, „მოხაბვრებელია“. ეს შემზარავია და უცნაურია.

დღევანდელი ევროპის უდიდესი და ერთადერთი გენიოსი, რუსეთის უმაღლესი სიამაჟე,
კაცი, ვისი მარტო სახელიც კეთილსასურველად ჟღერს, უდიდესი სიწმინდისა და სისპეტაკის
მწერალი — ცხოვრობს ჩვენ შორის და მას კვალდაკვალ, ბეჭითად უთვალთვალვებს სხვისი
ფხიზელი თვალი. ვინ არის იგი: მინისტრი, რუსული სიტყვიერების საქმეს რომ განაგებს,
უბრალო აგენტი თუ ურიადნიკი? და განა ჩვენთვის, ყველასათვის, ვისაც ისე გვიყვარს ტოლ-
სტოი, როგორც საკუთარი სულისა და მიწის ნაწილი, უცნაური და საშინელი არ იქნებოდა,
თუ ჩვენს სულსა და მიწას მხოლოდ ისინი ჩაუდგებოდნენ კვალში? განა ისინი ამჩნევენ ჩვენი
მიწისა და სულის იდუმალებას, იასნაია პოლიანას კურთხეულ სიშორეს? არა, ისინი არ უთ-
ვალთვალვებენ ტოლსტოის, მათი თვალებით ვამპირის მკვდარი და ფხიზელი თვალი, მიწის-
ქვეშა, საფლავისმიერი თვალი იცქირება, და აბა, კაშკაშა და ჩაუქრობელი მზის შუქზე,
ლევ ტოლსტოის უდავო დაბადების დღეს, და ამისდაკვალად — ჩემი და ათასობით ადამიანის
სახელობის დღეს — ჩვენ, მწერალთა სამშო, შეძრწუნებული ვართ და უძველესი, ქაოსური
და სამარეთა გადმოცემების ენით წარმოვთქვამთ შემფოთებულ სიტყვებს.

ხშირად გამიელვებს თავში ეს აზრი: არაფერია, არა უშავს რა, და საშიშიც არა არის რა,
ვიდრე ლევ ტოლსტოი ცოცხლობს. გენიოსი თავისი სიცოცხლითაც თითქოს გვიჩვენებს, რომ
არსებობს რაღაც მყარი, გრანტიტისებური საყრდენი: თითქოს თავისი მხრებით უჭირავს თა-
ვისი ქვეყანა და თავისი სიყვარულით კვებავს თავის ხალხს. არაფერია, თუ უწმიდესმა სი-
ნოდმა სიხარული აგვიკრძალა: უიმისოდაც კარგა ხანია შევეჩვიეთ მწუხარებასაც და სიხარულ-
საც. ვიდრე ტოლსტოი ცოცხლობს, ვიდრე კვლებში დააბიჯებს და გუთანს და თავის თეთრ
ცხენს მისდევს — ისევ ნამიანი და ნორჩია დილა. არაფერია, ვამპირნი თვლემენ და ღმერთს
მადლობას ვწირავთ. ტოლსტოი მოდის — ეს ხომ მზე მოდის, მაგრამ თუკი მზე ჩაესვენა,
ტოლსტოი მოყვდა, უკანასკნელი გენიოსიც გადაეგო — რა იქნება მაშინ?

დაე, დიდხანს აცოცხლოს ღმერთმა ჩვენ შორის ლევ ტოლსტოი, დაე მან იცოდეს, —
ყველა თანამედროვე რუსმა მოქალაქემ განურჩევლად იდეის, მიმართულების, რწმენის, ინდი-
ვიდუალობის თუ პროფესიისა, დედის რძესთან ერთად რომ შეისისხლხორცა უმცირესი ნა-
წილი მაინც მისი უდიდესი სასიცოცხლო ძალისა.

აგვისტოს დასასრული — სექტემბრის დასაწყისი, 1908.

რადიო-გერო

ერთი მოგონება წარუშლელად შემორჩა მეხსიერებას. ეს მოხდა თორმეტ წლის წი-
ნათ. იდგა ჩვეულებრივი, უფერული პეტერბურგული დღე. მივაცილებდი მიცვალებულის
კუბოს. ჩემ წინ მიიბიჯებდა თავშიშველი, ძველ ქურჭში გამოწყობილი, მაღალი ტანის გამხ-

დარი კაცი. ცვიოდა წვრილ-წვრილი ფანტელები, მაგრამ ირგვლივ უველადი იყო ერთფე-
როვანი და უფერული, როგორც მხოლოდ პეტერბურგში იცის ხოლმე, და თოვლის ფიფქებ-
საც მარტოდენ წინ მიმავალი ფიგურის ფონზე თუ შეასწრებდით თვალს. მას ქუჩის
უკუბრუნებელი სახელოზე დაჰფენოდა რუხი ფოლადისფერი თმა. ისე შემწარად განსვადე-
ბოდა იგი გარშემოყოფთაგან, რომ სილუეტი გეგონებოდათ. ჩემს გვერდით გენერალმა
ჰკითხა თანამგზავრ ქალს: „იცით, ვინ არის ეს ახმაბი? ვლადიმირ სოლოვიოვი, გენერალად,
ეტლების უკან ფრთხილად მიმავალ ჩვეულებრივ ადამიანებს შორის. ამ კაცის სვლა
მართლა საოცრებად მოგეჩვენებოდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი ავწიე და წინ გავი-
ხედე: კაცი არ ჩანდა. იგი შეუმჩნევლად გაქრალიყო — და ის მსვლელობაც კვლავ იქა
ჩვეულებრივ სამგლოვიარო პროცესიად.

არც მანამდე, არც იმ დღის შემდეგ ვლადიმირ სოლოვიოვისათვის თვალი აღარ მო-
მიკრავს, მაგრამ უოველივებს, რაც მასზე წავიკითხე და მოვისმინე შემდგომში, და უველა-
ფერს, რაც მასთან დაკავშირებით განვიცადე, მოუშორებლივ ახლდა ის უცნაური ხილვა.
სოლოვიოვის გამოხედვაში, რომელიც იმ დღეს სრულიად შემთხვევით მან ჩემზე შეაჩერა,
მოჩანდა უძირო სილურჯე: სრული განდგომილება და მზადყოფნა უკანასკნელი ნაბიჯის გა-
დასადგმელად. ის უკვე იყო წმინდა სული: ცოცხალი ადამიანი კი არა, გამოსახულება: სიმ-
ბოლო, ნახაზი. მარტოსული, ყარიბი კაცი დააბიჯებდა მოჩვენებათა ქალაქის ქუჩებში ჩვეუ-
ლებრივი პეტერბურგული შუადღისას, ნელა მიაბიჯებდა უცნობი ცხედრის უკან უცნობ
შორეთში და სივრცესა და დროს ეღარ ამჩნევდა.

იმ დროს სოლოვიოვის გარშემო ქუხდა ნამდვილი დიდება, მარტო რუსული კი არა,
ევროპული დიდება. ამ დიდებაში, როგორც უოველთვის, პეტერბურგამდე ქუჩუნიანი ლაქიური
ქორებისა და რალაც განსაკუთრებული სიძულვილის ტალღების სახით მოატანა. მაშინ ზო-
გიერთ წრეებში არ შეიძლოთ გულგრილად მოესმინათ სოლოვიოვის სახელი. მიაჩნდათ
იგი საშიში და მავნე შერეკილის სინონიმად. კარგა ხნის შემდეგ, როცა სოლო-
ვიოვი ქალაქის სათათბიროს დარბაზში პანმონგოლიზმზე ქადაგებდა, ერთმა ცნო-
ბილმა მისტიკოსმა მახვილგონივრულ საქციელად ჩათვალა სკამიდან გადავარდნილიყო. თუ-
მცა ეს უწყინარი დაცინვა იყო იმ სიძულვილთან შედარებით, რომლითაც პეტერბურგის
საშუალო წრეებმა თითქოსდა ცხოვრებიდან გამოთიშეს იგი, რაკილა მისი აბირებული ქცე-
ვებით უკიდურესად იყვნენ აღშფოთებულნი. სოლოვიოვი მაშინაც კი სულ სხვა სახით
ჩანდა ჩვეულებრივად მაცქერალთა თვალში, მსჭვალავდა გულებს მახვილი, გამოკვეთილი,
არაადამიანური სილუეტით. თავისი მიწიერი სიცოცხლის ამ უკანასკნელი სამი წლის მან-
ძილზე მან, ეტყობა, გარკვევით იცოდა, მისთვის დაწესებული სიცოცხლის ვადა რომ ამო-
წურულიყო. ამის გამო გარეგნულ მომხიბვლელობასა და ბრწყინვალეობას შეემატა კიდევ რა-
ღაც, რაც მას აცისკროვნებდა და სხვებისგან იფარავდა. აღსრულდა ძველთაძველი კანონი, —
ბრძენი, თუმცა დაცემითა და დალატით ძალაწართმეული სიცოცხლე სიბერეს უბრუნებს
ახალგაზრდობას. ამ ახალგაზრდობის შორით მანათობელი წერტილი, როგორც მოგო-
ნება იმ ქვეყანაზე, საიდანაც მოვიდა, რაც დაივიწყა ცხოვრების უდაბნოში მოქ-
ცეულმა, მოასწავებდა წრის შეკვრის სიახლოვეს, დასასრულის სიახლოვეს, მაგრამ არა
დაღუპვას; მიძინებას, მაგრამ არა სიკვდილს. მოწიფული, საქმიანი ადამიანები პატივს მია-
გებენ სიკვდილს და მზად არიან გამოხატონ თავიანთი დანაება დაღუპვის გამო, მაგრამ მი-
ძინება და დასასრული სძულთ, რადგან ისინი მთელ სიცოცხლეს ანათებენ სხვაგვარი. შუქით,
რომელშიც მიწიერი საქმენი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებიან. ისინი მზად არიან დაუსრუ-
ლებლად ამტკიცონ ერთი და იგივე აზრი „ომისა და მშვიდობის“ გენიალურობაზე, ოღონდ
კი მიჩქმალონ მიძინება და დასასრული თავად ტოლსტოისა.

აქ ახალი, ცხადია, არაფერია. ამაზე იტყვიან, ჩვეულებრივ, არ შეიძლება ეჭვი შევიტა-
ნოთ ამა თუ იმ საქმეში, რადგან საქმენი ხერხოდ ერთობ ცოტააო. ეს დავა უსუსურობის
ნაყოფია და არა ძალის. ვლ. სოლოვიოვი ქეშმარიტად დიდ საქმეებს აკეთებდა სწორედ
იმ დროს, როცა საქმიანი ხალხი მას უსაქმურ კაცად მიიჩნევდა. აი, ეს იწვევდა სიძულვილს,
სიძულვილი კი, როგორც უოველთვის, იწვევდა თაყვანისცემას. სიძულვილისა და თაყვანისცე-
მის გუგუნში ქირდა სხვა ხმების გამორჩევა, რომელიც უცხო იყო ერთისთვისაც და მეო-
რისთვისაც. მაშინ იყო, გუგუნით რომ ამხობდნენ ცოცხალ სოლოვიოვს, და გუგუნითვე, რო-
გორც კერპს, თაყვანს სცემდნენ ცოცხალს. გავიდა ათი წელი და ახალი საუკუნეც დადგა.

ნუთუ დღესაც ძველებურად გავაგრძელებთ თაყვანისცემას განსვენებულის წინაშე და გუ-
გუნით მივივიწყებთ იმას, რაც მის უკან იდგა?

არის რაღაც შემადრწუნებელი საიუბილეო დღეები. აქ ხოლად ზეიმობს უსამართლო, რომ-
მლის ერთადერთი სახელია — მივიწყება. მეტისმეტად მაცდუნებლად ბრწყინავს სიუბი-
ლეო სუდარა, რომლის ქვეშაც სძინავს ბევრისთვის საუვარედო, ბევრისთვის თანამედროვე
ადამიანს; ასევე მეტისმეტი სიამოვნების მომგვრელია მისი ცხოვრების ყველა მომენტის
ის სურათები, რომლებიც მორიგეობით იცვლებიან ჩვენს წინაშე, როგორც *ქართული* *ქართული*
ფარნის ეკრანზე. თითქოს აღმებს, პატარა დროშებს ვუყურებდით, რაზედაც თვალის შევ-
ლება უხარის ყველას ჩვეულებრივ კვირა დღეს, მივიწყების დღეს, დიადის მცირეზე შენა-
ცვლების დღეს. აღმებზე წერია: „ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ გვყავდა დიდი ადამიანი. გვწყინს,
რომ იგი წაგვართვა უწყალო დრომ“. მაღლა კი, დროის თავზე, სადღესასწაულოდ ფრია-
ლებს და შრილებს უნილავი დროშა გაუგებარი წარწერით. იტყვიან: ეს დამის ცაა, ზოლო
ცაზე „ჩვეულებრივი ვარსკვლავები“.

განსაკუთრებით ელვარე და მრავალმხრივია ვლ. ს. სოლოვიოვის სახე. ამიტომაც განსაკუთ-
რებით თვალწარმტაცია სურათები ჯადოსნური ფარნის ეკრანზე. დღეს ბევრი ჩვენ-
განი დაქანცა საიუბილეო შუქის ბრწყინვალეობამ და ცდილობს თვალი მოარიდოს მას. ისი-
ნი ერთმანეთსაც კი იკვნეულად უშალავენ რაღაც თავისეულს, საკუთარს, ჩვენი სიტყვები
ხშიანებენ გაიშვიათებულ ჰაერში, ისინი ჰგვანან ჩაქუჩის ცემას ცარიელი კუბოს სახურავ-
ზე. რატომაც აგრე? გადახწიეთ სუდარის კიდე, ახადეთ კუბოს თავი, იქ არავინ წევს —
საფლავი ცარიელია. ჩვენ ამ კუბოში ვერ ვიპოვით მოღვაწისა და ადამიანის ნაწილებს, რომ-
ნელიც ერთნაირად კაშკაშა და ძვირფასი იქნება ყველასათვის. ახლაც, როგორც ათი წლის
წინათ, ყველანი აღიარებენ უდიდეს ტალანტს, მაგრამ ბევრი კვლავ შეცბუნებული შეჩერ-
დება მისი მოღვაწეობის ამა თუ იმ საკითხთან. — ცნობილი ფილოსოფიური სკოლა სატყ-
ვოდ გამოაცხადებს ვლ. სოლოვიოვის მიხედვით ფილოსოფიას, რაკი მასში ვერ იპოვით შე-
მცნების დასრულებულ თეორიას. არც ერთი მანაკი პუბლიცისტებისა არ აღიარებს სოლო-
ვიოვის შესწორების გარეშე მხოლოდ იმის გამო, რომ სოლოვიოვი დაბეჭდებით ამტკიცებ-
და „წმინდა ომის“ აუცილებლობას „წმინდა სიყვარულის“ სახელით. ზოგი ჩვენგანი იმიტომ,
რომ, თუმცა აღიარებს ომის საჭიროებას, მაგრამ არა წმინდა ომს, არამედ სახელმწიფოებ-
რივს — პოლიტიკური უთანხმოების სახელით. მეორენი იმიტომ, რომ, თუმცა აღიარებენ სიყ-
ვარულს, მაგრამ არა წმინდა სიყვარულს, არამედ ჰუმანურს, რომელიც პრინციპში უარყოფს
ყოველგვარ ომს. — ვლ. სოლოვიოვი — კრიტიკოსი? მან ვერ შენიშნა ნიკიტე, ცალმხრივად
შეაფასა ზუშკინი და ლერმონტოვი. — ვლ. სოლოვიოვი — პოეტი? აქაც მოგვიხდება მივა-
კუთვნოთ მას მომცრო ადგილი, თუკი შევხედავთ როგორც „წმინდა“ მხატვარს. — რჩება
ვლ. სოლოვიოვი — ადამიანი. აქ კი სურათთა უსაზღვრო მრავალფეროვნებაა: მოგონებები
და ანეკდოტები დღემდე უწყვეტად იბეჭდებიან თურნალების ფურცლებზე. რა შეიძლება და-
ვასკვნათ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ანეკდოტებიდან „უცნაურ“ ქცევებსა და სიტყვებზე, მე-
ტადრე — „უცნაურ“, ზოგისთვის კი — შემწარავ ხარხარზე, რომელსაც ყველანი დიდის
ხალისით იხსენებენ? მხოლოდ ერთი: ვლ. სოლოვიოვი იყო მეტად სიმპათიური და ორიგი-
ნალური ადამიანი, თუმცა ახასიათებდა უამრავი უცნაურობა — მათ შორის ზოგი ასე
თუ ისე მიუღებელი ზოგი კი — აშკარად დასაგმობი. მაგრამ, რაკი მისი მეგობრები ყველა-
ნი ძლიერ კარგი ადამიანები იყვნენ, შეუდობლდნენ ზოლმე ამ რომანტიკულ შერეკილს მის
უცნაურ ქცევებს.

მე შევარჩიე უარესი ყოველივე იმისაგან, რასაც ამბობენ და ფიქრობენ ვლ. სოლოვიო-
ვზე. დიდი მოაზროვნის და ბრწყინვალე ადამიანის სახეს ამით ჩრდილი არ მიაღვება. მე
მინდა დაგანახოთ, რომ სოლოვიოვს — ფილოსოფოსს, პუბლიცისტს, კრიტიკოსს, პოეტს
და ადამიანს ყოველთვის ჰყავდა და ეყულება მტრებიც და თაყვანისმცემლებიც, ანუ ერთ-
სულთანა აღიარება მის ამ თვისებებს არ ჰქონიათ და არც ექნებათ. მაშასადამე, მისი
მიწიერი ხსოვნის ზეიმი ადვილად შეიძლება გადაიქცეს ჩვეულებრივ იუბილედ, ანუ მი-
ვიწყების დღედ, როდესაც გაივლის კიდეც რამდენიმე ათეული წელი და ფილოსოფიისა და
მეცნიერების მორიგონტზე ახალი ვარსკვლავები აკიაფდება, „ვლ. სოლოვიოვი“ დაჰკარგავს
სასიცოცხლო ღირებულებას და იქცევა ფილოსოფიის მეისტორიეთა დისერტაციების საარ-
ქივო მასალად. ახე ფიქრობს, ალბათ, ბევრი, მაგრამ, თუკი საიუბილეო სუდარას ჩამოვ-
დიქთ და ჩავაქრობთ იუბილეს შუქს, — სულ სხვას დავინახავთ.

ვლ. სოლოვიოვი ისევ გაორებული სახით დგას ჩვენ წინ. იგი სიცოცხლეშიც გაორე-

ბული იყო — ამას მოითხოვდა მისი მოღვაწეობა. მან იმთავითვე სასტიკად შე-
ლაბა თავისი რეპუტაცია საუკუნის წინაშე. საუკუნე შეუნდობს ყველა ცოდვას — თვით
სულიწმიდის წინაშეც კი — მაგრამ არ შეუნდობს ერთს — დროის სულიწმინდის ლა-
ლატს. ვლ. სოლოვიოვი მეტისმეტად კარგად იცნობდა ამ მოალერსე ურჩხულს — პირმოთ-
ნე და საზარელ დროს. მან თავის თავში აღზარდა ორი ძალა, ორი თვისება — აუცილებელ-
ნი საიმისოდ, რათა ორი მხრიდან მყისვე დასხმოდა თავს მტერს. ერთი — სოლოვიოვი — აქა-
ური — ამარცხებდა მტერს მისივე იარაღით: ის დაეუფლა დროის არად ჩაგდებას; მხოლოდ
აშოშმინებდა, აფარებდა ურჩხულის ბანჯგვლიან ტანს სიცოცხლის მსუბუქ ვერცხლისფერ ფა-
ტას. აი, რატომ იყო ეს სიცოცხლი ზოგჯერ უცნაურიც და საზარელიც. მარტო ასეთი ვლ. სოლო-
ვიოვი რომ არსებობდეს — ჩვენ პატივისცემის გულგრილ ულუფას მივაგებდით მეტა-
ფიზიკურ მაკიაველიზმს — ეს იქნებოდა და ეს. მაგრამ ჩვენ გვინდა გვახსოვდეს, რომ ის
იყო გონიერი მსახური სხვისა. სხვა — უცხო — არაქაური — არც უგულებელყოფდა, არც
აშოშმინებდა. ის იყო „ქრისტეს ღირსეული მეომარი“. მან ოქროს მახვილი აღმართა მტერ-
ზე. ჩვენ ყველამ ვიხილეთ მისი ელვარება, მაგრამ დავივიწყეთ, თუ სხვად მივიჩნიეთ. ჩვენ
„ერთობ დიდი ადამიანური“ უფლება გვქონდა საგონებელში ჩავვარდნილიყავით გაორებუ-
ლი ვლ. სოლოვიოვის ბილვით, და არ ვიცოდით, რომ ის კეთილი კაცი, რომელიც გონიერ
წიგნებს წერდა და ხარხარებდა, საიდუმლოდ შეკავშირებოდა სხვას, იმას, ვისაც ოქროს
მახვილი აღმართა დროის თავზე.

დავივიწყეთ წუთით ღრმა ფილოსოფოსი, შესანიშნავი კრიტიკოსი და პუბლიცისტი,
ფეტის პოეზიის მადლიერი მოწაფე და უცნაური კაცი. დღეს ჩვენ მოვალენი ვართ გავიხსე-
ნოთ ის, ვისაც არ შევინს არც იუბილეები, არც სამეცნიერო დამსახურებანი, არც ანექდო-
ტები. ამისათვის აუცილებელია დავეხსნათ გაორებულიობას, დავივიწყოთ აქაური ვლ. სო-
ლოვიოვი, ჩავაქროთ ცეცხლის ალი, რითაც ასე ბრწყინავდა მისი გონება, და დავგლიჯოთ
ყვავილები, რითაც ნაზად ყვაოდა მისი სული. დაე ახლებურად დალაგდეს ყოველივე ცოც-
ხალი — სული სხვა სხივებით, არანახესხები შუქის სხივებით დალაგდეს. სიცოცხლის ქადო-
სნური ფანარი ზომ სინამდვილეში დაბნელებულია სიკვდილითა და მსახვრალი დროით.

Смерть и время царят на земле,
Ты владыками их не зови.
Все, кружась, исчезает во мгле,
Неподвижно лишь солнце любви¹.

ვიდრე საიუბილეო ეკრანზე აცემცემდებოდეს მდიდარი სიცოცხლე — ჩვენ შეგვიძლია
დავინახოთ წყვედიადიდან წამოშორებული ახალი, ჩრდილდაუტყრავი სახე. აქ სუსტი შუქი
ანათებს ჭავჭავს, შავი ანაფორის ნოქებში ილანდება ფარი და მახვილი. იგივე მზერა,
აზრით დაუურსული, წინ მტკიცედ მიპყრობილი. იგივე რუხი ფოლადისფერი თმა და სიგამ-
ხდრე, რასაც ვერა და ვერ ფარავს ტანსაცმელი. ახალი სახე ბუნდოვნად მოგვაგონებს იმას,
ცოცხალსა და ბრწყინვალეს, რომელსაც სულ ახლახან განვშორდით. აქვია იგივე ატრიბუ-
ტებიც, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარადაა დალაგებული; ყოველივე გარდაისახა, სხვად იქცა,
გაქვავდა; ჩვენ წინაშეა არაამქვეყნიური სოლოვიოვი; ჩვენ წინაშეა რაინდი-ბერი.

რას წარმოადგენს სოლოვიოვის უზარმაზარი მწიგნობრული შრომა ამ სურათზე? მხოლოდ
ფარსა და მახვილს — რაინდის ხელთ და კეთილ საქმეთ — ბერის ყოფაში. რა არის ფარი
და მახვილი რაინდის ხელთ, კეთილი საქმენი და მიწიერი დიალექტიკა იმისათვის, ვინაც
„სულით დაიწვა?“ მხოლოდ საშუალება, რა... — რაინდი ეკვეთოს ურჩხულს, ხოლო ბე-
რი — ქაოსს, ფილოსოფოსი — უგუნურებას და წუთისოფლის გაუტანლობას. დიანაც, ერთ
მიწიერ საქმედ ღირს დატყვევებული მეფის ასულის, მსოფლიო სულის განთავისუფლება,
რომელსაც საშინლად მოუწყენია ქაოსის მარწყვებში და „კოსმიურ გონთან“ საიდუმლო
კავშირი შეუტრავს. მთელი მიწიერი რომანტიზმი და უცნაური ახირებულობა მხოლოდ და
მხოლოდ სურნელოვანი ყვავილია, რომელსაც მიწიერი ტრფიალებით გათანგული „ფერმი-
ხდილი რაინდი“ ტყვე მეფის ასულის ფერხით დააწყობს.

ეს ახალი სახე არის სწორედ ძლივსგახსოვანად მოშრილ დროშა, რომლის ზედწარწერის
წაკითხვაც არ ძალგვიძს აღმებით აქრელებულ კვირადღეს. მარტივი წარწერა გვაუწყებს,

¹ სოლოვიოვის ლექსიდან «Бедный друг, истомил тебя путь...».

რომ ეს სახე არ არის ოცნება, იგი სინამდვილეა. რანდი-ბერი ფლობს სინამდვილის ნიშნებს.

თუკი ყურისგდებით წავიკითხავთ ვლ. სოლოვიოვის პოემას „სამი პაემანი“, არადა ჩავაგდებთ სახუმარო ტონს და განგებისად დაუხვეწელ ფორმას, რაც საუკუნისა და გარე-შოშცველი წრის ზემოქმედებით იყო განპირობებული, უკუვაგდებთ მათ ისევე, როგორც უკუაგდეს ყველა მიწიერი „მშვენიერება“ ვლ. სოლოვიოვისა — შეუმცდარი მრწამსის პირისპირ აღმოვჩნდებით. აქ ქრონოლოგიური და გეოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი „ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც კი თავს გადახდენია ცხოვრებაში სოლოვიოვს“.² პოემა, რომელიც ლექსების მომცრო კრებულშია დაბეჭდილი და თანამედროვეობის მთელი დრო მკრათიულობითაა გამოცემული, არსებითად არაფრით გამოირჩევა გარდასულ საუკუნეთა წარწერებისაგან. თავდაპირველად ლათინურ, ხოლო შემდგომ ეროვნულ ენებზე ისინი მოკლედ და საზეიმოდ ლაღდებენ ყოველივე იმაზე, რაც ჭეშმარიტი და ფასეულია მსოფლიოს ყოფაში. მათ წააწყდებით საკურთხევლებსა და ტაძრებზე, დროშებზე, მავზოლეუმებსა და მინდორში დაუბრუნ ქვებზეც კი.

ამ წუთებში ვიგონებ ერთ წარწერას — რავენის შემოგარენში, წმ. აპოლინარის ბაზილიკის შუაგულში მოთავსებულ აკლდამაზე. წარწერა ლაღდებს:

„Sanctus Romualdus Ravennus ad altare hoc noctu orans beato martyre Apollinare bis viso ad sacru <m> ordine <m> monasticum vocatus eit annd DCCCCXXVII) — „წმინდა რომუალდი, მკვიდრი რავენისა, ღამით მლოცველი ამ აკლდამის წინ და ორჯერ მხილველი წმინდა აპოლინარისა, ნეტარი მოწამისა, მოხმობილ იქნა უწმიდეს სამონასტრო ორდენში 927 წელსა“.

ვლ. სოლოვიოვის პოემა, რომელიც მისი პირითვე უშუალოდაა მიმართული იმისადმი, ვისაც პოეტი მარადიულ დად უზმობს, გვაუწყებს: „მე ვლადიმირ სოლოვიოვმა, მოსკოვის მკვიდრმა, გიხმე და გიხილე შენ სამგზის: მოსკოვში — 1862 წელსა, კვირის წირვისას ცხრა წლის უმაწვილმა; ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში, შემოდგომას 1875 წლისა, იშუამად უკვე ფილოსოფიის მაგისტრმა და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტმა; და უდაბნოში, ქაიროს მახლობლად, დამდეგს 1876 წლისა;

Еще невольник суетному миру,
Под грубою корою вещества
Так я прозрел нетленную порфиру
И ощутил сиянье божества»³.

აი, რას ვკითხულობთ რანდი-ბერის გამოსახულებაზე. შუასაუკუნეობრივ წარწერათა დარად, იგი განმარტებას როდი ემსახურება, არამედ მთლიანი სურათის დამტკიცებას: არ კმარა მხოლოდ ნახაზი, საჭიროა დამამკვიდრებელი სიტყვაც; და სიტყვა იგი წარმოთქმულია.

პოემა, რომელიც სიცოცხლის დასასრულს დაიწერა, გვიჩვენებს, სად იწყება სიცოცხლე; ამიერიდან, სოლოვიოვის ქმნილებათა შესწავლას რომ შევუდგებით, მოვალენი ვართ, კი არ ავმალდეთ იქამდე, პირიქით, მისგან ამოვიდეთ. მარტოოდენ ამ სახის შუქზე, — რომელიც მხოლოდ მას შემდეგ განათდა, როცა ის, მეორე, წამოშლული და წარმოებული დაბნელო სიკვდილმა, — შესაძლებელია ჩავწვდეთ ვლ. სოლოვიოვის მოძღვრებას და პიროვნებას. ეს სახე თვით ცხოვრებამ გვიბოძა — არანაირი აზრით იგი აღეგორია არ არის; დაე, იქცეს მეცნიერული გამოკვლევის საგნად, მისი არსი მაინც დაუნაწევრებელი დარჩება. იგი გამოასხივებს არანივთიერ ოქროს სინათლეს. ოქროთი და სინგურიტ იწერებოდნენ სიტყვები, გაბრიელის ბაგეთაგან რომ იბადებოდნენ: „Ave, gratiae plena“*. ელემენტთა პერიოდულ სისტემაში — ეს ძირითადი უმარტივესი ელემენტი ოქროდ და სინგურად უნდა იწოდებოდეს.

ვლ. სოლოვიოვის თანამედროვეებმა დაჰკარგეს უმარტივესის წვდომის საიდუმლო. მეცხრამეტე ასწლეული უჩვეულო გულჩათხრობილობით გამოირჩეოდა: ამ ვერაგმა საუკუნემ,

² სოლოვიოვის შენიშვნა, რომელიც მან დაურთო პოემას „სამი პაემანი“.

³ პოემა „სამი პაემანი“.

* იხარე, კურთხეულო (ლათ.).

თავისი შვილები რომ გაათანაწიროს, გადატვირთვა მათი გონი ხელოვნურად და აიძულა დაევიწყებინათ არსი, ქუჩაში გამოყარა პოზიტივიზმისა და ნატურალიზმის ლოზუნგები, თვით კი, ფილოსოფოსთა და სწავლულთა სენაკების სიმუდრეოვით ამზადებდა იმას, რის მოწმედ და მონაწილედაც უოფნა ჩვენი ხვედრი უნდა უოფილიყო. ბევრს უკვე თვალი ეხილება, როგორც სოლოვიოვმა აღმოაჩინა „პოზიტივიზმის მამის“ ჭეშმარიტი სახე, როცა კაცობრიობის იდეა ჩამოაყალიბა, როგორც წმ. სოფიომ ღვთაებრივი წიწმინდე — მ. კონტთან, ჩვენც არ ძალგვიძს არ დავინახოთ „ნატურალიზმის მამის“ — ე. ზოლას ჭეშმარიტი სახე. ჩვენ ზურგს უკან დგანან ტოლსტოისა და ნიცშეს, ვაგნერისა და დოსტოევსკის დიადი აჩრდილები. უოველივე ცვალებადია; ჩვენ ახლისა და საუოველთაოს პირისპირ ვდგავართ. ამჟამად როდის გადავიტანეთ ვლ. სოლოვიოვის სიკვდილიდან დღემდე ის, რასაც სხვები ასე წლის მანძილზე გამოსცდიან. ტუუილად კი არ დავინახეთ, თუ ვით ისროლა მიწაზე თავისი თესლი მიწისზედა და მიწისქვეშა სტიქიათა ჭეჭა-ჭუნბილში ახალმა საუკუნემ. ამ ჭუნბილის შუქზე გამოჩნდა ყველა საუკუნე და დაგვაბრძენა გვიანი სიბრძნით. ყველა ჩვენგანი, ვინც ვერ წარმოცა და ვერ მახინჯქმნა მიმდინარე ათწლეულის ტალღებმა — სრული უფლებითა და ნათელი რწმენით მოელოდება ახალ სხივს ახალი საუკუნისაგან.

ყველაზე საუკეთესო, რაც კი ვლ. სოლოვიოვის სახსოვრად და პატივის მისაგებად შეგვიძლია გავაკეთოთ — არის ხალისით გახსენება იმისა, რომ სამყაროს დედაარსი — მარად ზედროული და მარად ზესიერცობრივია, რომ შეიძლება მეორედ ვიშვათ და თავი დავაწიოთ ბორკილებსა და ფერფლს. ვუსურვოთ ერთურთს, რომ ვუერთგულოთ პერსექსისა და ანდრომედეს ძველთუძველეს მითს. ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ, რამდენადაც ძალა გვეუოფა, გავიღოთ წვლილი ქაოსის მიერ დატყვევებული მეფის ასულის ანუ მსოფლიო და საკუთარი სულის დასახსნელად. ჩვენი სული ხომ მსოფლიო სულის თანაზიარია. დღეს ბევრი ჩვენგანი დადლილობას და მომკვდინებელ სასოწარკვეთას მისცემია. ახალი სამყარო ზღურბლზე მომდგარა. ხვალ ოქროს შუქს გავიხსენებთ, აგრერიგად განსხვავებული ორი საუკუნის სამანზე რომ ციმციმებდა. მეცხრამეტემ გვაიძულა დაგვევიწყებინა თვით წმიდანთა სახელები — იქნებ მეოცემ დაინახოს ისინი თვალნათლივ. ეს სასწაული ჩვენ, რუსებს, მოგვივლინა ჭერ კიდევ შეუცნობელმა და გაორებული სახით მდგომმა ვლადიმირ სოლოვიოვმა.

И в этот миг незримого свиданья
Нездешний свет вновь озарит тебя,
И тяжкий сон житейского сознанья
Ты отряхнешь, тоскуя и любя!

13 დეკემბერი, 1910 წელი.

ხელოვნება და გაჯათი

ადამიანებს უყვართ ლამაზი. ლამაზი „ბუნებრივია“, ჩვენია, აქაური. ძნელია არ გიყვარდეს ლამაზი. ეგ რომ შეძლო, მეტისმეტად დაბეჩავებული და ცხოვრებისაგან გატანჯული უნდ იყო, ანდა... უნდა იცოდე რაღაც, რაც უფრო მეტია, ვიდრე ლამაზი და უფრო მეტი, ვიდრე ავთვალი: უნდა იცოდე მშვენიერი.

მშვენიერი არ უყვარს თითქმის არავის. უფრო ზუსტად — მშვენიერს ვერ დაიბურობ იმ სიყვარულის ძალით, რითაც უყვართ ლამაზი, გონიერი, კეთილი, ანდა მართალი, რითაც უყვართ მზის ჩასვლა, ლამაზი ქალბუ მწყობრი დიალექტიკა, კეთილი საქმენი.

როგორც ყოველივე ლამაზი არის მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვალე საბურველი, რაც გადაჰფენია რაღაცას, რომელსაც ლამაზი მხოლოდ პირობითად თუ დაერქმევა, — ასევე სიყვარულის მრავალგვარ ძალებს შორის თავს იჩენს სხვა ძალის ნაკადი, რომელსაც შეიძლება ვერც უწოდო სიყვარულის ძალა, ასევე, ლამაზის, კეთილის, მართალის აღმნიშვნელი ყოველი სიტყვის იქით შესაძლოა მოვისმინოთ სხვა სიტყვა და მასთან შედარებით მთელი წყება სიტყვებისა აღმოჩნდეს მხოლოდ საბურველი, ამგვარადვე ვარსკვლავების გუნდი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, რასაც პოეტები უმღერიან, თავის მიღმა ფარავს რაღაცას, რაზეც ვარსკვლავები მოგვითხრობენ თავიანთი ციმციმით.

* ვლ. სოლოვიოვის ლექსიდან — «Зачем слова? В безбрежности лазурной»...

ლაშაში ვარსკვლავები, აივნიდან რომ შესცქერს ქალწული, როდესაც ღამე თივისა და ვარდის სურნელით გაუღენთილა; გონიერი ვარსკვლავები, რომელთაც შესცქეროდა ბაინეს¹; ქეთილი ვარსკვლავები, რომელთაც გზა გაუნათეს ზღვაოსნებს, მხოლოდ საბურველია და ამ საბურველს იქით ილანდება მშვენიერი, მშვენიერი ესიზმრება ქალწულს, ბაინეს, ზღვაოსანს.

მშვენიერი არის სამყარო ყოველი არსისა, რასთანაც კი დაკავშირებულია ხელოვნება. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ხელოვნება გვიყვარდეს ისე, როგორც გვიყვარს ბუნება, გვიყვარს ქალი, გვიყვარს დიალექტიკა. ხელოვნება არ არის ის მასალა, რომლისაც შევიძლია მივლაცოდო, გაეთამაშო, გაუშინაურდე. ვერც განადიდებ და ქებას შეახსამ მას, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, — ვერ მივახლები, მისგან მხოლოდ თუ უკუდგები, რადგან იგი დიალია. ამასვე ფიქრობდა პუშკინი, როცა ამბობდა:

Служение муз не терпит суеты.
Прекрасное должно быть величаво².

დიახ, დიალი. დიალი შეიძლება იყოს სიცოცხლე, დიალი შეიძლება იყოს სიკვდილი. დიალი შეიძლება იყოს დაღუპვა. რას დაატარებენ თან ის სამყაროები, რომელნიც ჩვენს ენაზე ხელოვნების სამყაროებად იწოდებიან, როგორი ქარიშხლებით დაგვაბრძავენ, როგორი ბგერები გაბატონდებიან ჩვენთვის უცნობ ამ მსოფლიო ორკესტრში — ეს ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი:

Прекрасное должно быть величаво.

ხელოვნება არ მოგვატყუებს და არც არის საჭიროება მოვიტყუოთ თავი. საზოგადოების ფართო წრეები მას არასოდეს ეტანებოდა და არც დღეს ეტანება. და მათ არ უნდა იცოდნენ ეს. უმჯობესია, ადამიანს არ სმენოდეს დანტეს, ესქილეს, შექსპირის, პუშკინის სახელები, ვიდრე დაახურდავოს ისინი წვრილ-წვრილ მონეტებად, მოიხიბლოს მათი სიშარბილით, ზნეობით, სილამაზით.

ხელოვნებასთან დამოკიდებულების წესი უნდა იყოს დინჯი, მნიშვნელოვანი, განტვირთული ფუსფუსის, მოუსვენრობის და რეკლამისაგან. სიტყვა ხელოვნებაზე უსათუოდ უნდა იყოს ასეთი და თუკი ასეთი არ იქნება, ადრე თუ გვიან ფუსფუსის მოთავენი დაიხტებიან, მათ თავს დაატყდებოთ ხალხის უსწრაფეს სასჯელზე უფრო მძიმე სასჯელი. ხელოვნება შურს იძიებს ამისათვის, როგორც ძველი ღვთაება ანდა ხალხის სული. იგი ფერფლად აქცევს და მიწის პირისაგან აღგვის ყოველივეს, რაშიც დევს ნიშანი ფუსფუსისა და მოუსვენრობისა, რომელიც ცდილობს აჩქარებული და სულისშემბუთველი რიტმით ჩაახშოს მისი ერთადერთი და ზომიერი რიტმი.

გაზეთის ბუნება აჩქარებული და დაუდგრომელია. სწრაფია ცხოვრების რიტმი. გააფთრებით უვირის პოლიტიკური და მასთან ერთად ყოველგვარი ყოველდღიურობა.

ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა გაზეთის ფურცლებზე ვისაუბროთ ხელოვნების შესახებ, რომელსაც არა აკავშირებს რა პოლიტიკასთან, მეტიც — არ მტრობს მას, რადგან ხელოვნების სამყაროებს, რომელთაც მსოფლიოში დღემდე არ შესხმიათ ხორცი სრულყოფილად, პოლიტიკისადმი გააჩნიათ დაახლოებით იმგვარი დამოკიდებულება, როგორიც ზღვას ხომალდის მიმართ. ცხადია, მე ვლაპარაკობ არა დამოკიდებულების შინაარსზე, არამედ მასშტაბზე.

სულერთია, ვინ მიაპობს ზღვას — ისლანდიელი მეთევზე, თუ ამერიკული „ტიტანიკი“. ეს პატარა ცივილიზაციაა, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩაწინწკლულია დიდ კულტურათა იშვიათი ბრილიანტები.

სულერთია, ქარიშხალი ამოვარდება, თუ ყინულის მთა შემოგვეჩიხება — ეს უცნობი სტიქიაა, ხელოვნების სტიქიის მსგავსი, დღემდე შეუსწავლელი მსოფლიო გენიოსთა მიერ. მათ ვერ შესძლეს სრულად მოესმინათ სტიქიის ხმა, რადგან, თვით უდიადესნიც კი, „ღვთის ქნართან“ შედარებით ნაკლებად სრულქმნილნი აღმოჩნდნენ, ამასთან, როგორც ყო-

¹ ბლოკი გულისხმობს ბაინეს ლექსს „გონიერი ვარსკვლავები“.

² პუშკინის ლექსიდან „19 ოქტომბერი“.

ველი ადამიანი, უამრავი საზრუნავით დატვირთული. ყინულის მთასთან შეჯახებისას თუ ქარიშხლის მძვინვარებისას ზღვისა თუ სტიქიის ზემოთ, ბრეტონული ლეგენდების მსგავსად, გამოჩნდება ჭვარის ნატება. ეს რელიგიაა, რომელიც წინათგარძნობით მსჭვალავს და სტიქიასთან უფრო ადვილად შეარიგებს უკუღმართო მეთევზეებს, ვიდრე „ტიტანის“ ცივილიზებული მილიარდებს.

[illegible]

ამგვარად, რა უნდა აკავშირებდეს ერთმანეთთან ზელოვნების სულის, რომელსაც უოველ დროში აქვს ერთი მიზანი — გამოიყენოს ჩვენი სამყაროს ენა, ფერები და ფორმები და შექმნას სულ „სხვა სამყაროები“, — და გაზეთის სულს, რომლის მიზანია იბრძოლოს და იზრუნოს მხოლოდ ჩვენი სამყაროებათვის, ან უფრო ვიწროდ — ჩვენი სამშობლოსათვის, და კიდევ უფრო ვიწროდ — ჩვენი სახელმწიფოსათვის?

რუსული გაზეთების უმრავლესობაში დღემდე ჩვენს მხერას წინ დაუდგება არაჩვეუ-
ლებრივად უხამსი, მაგრამ ამასთან მეტად ჰკუთხსასწავლებელი სურათი, ტრაგიკულ
ფარსს რომ წაგავს, რომლის შინაარსიც გვამცნობს, რომ ის, ვისაც უღმობლად ამცირებენ
და ამათრახებენ, ყოველთვის აღსავსეა რწმენით, რომ მას კი არ ამცირებენ და ამათრახე-
ბენ, თვით იგი სჯის და განარიგებს და საკუთარ ხელში უჭირავს წარმმართველი სადავე-
ები. ეს ფარსი, ჩვენი გარდამავალი დროის რუსული ცხოვრების არაერთ სცენაზე რომ
არის წარმოდგენილი დიდის წარმატებით — ჩვენთვის, მხატვრებისთვის, განსაკუთრე-
ბულად ჰკუთხსასწავლებელია, ცხადია, ხელოვნების გაზეთთან და გაზეთის ხელოვნებასთან
დამოკიდებულების თვალსაზრისით. რა ხდება: გაზეთების უმრავლესობაში ხელოვნების
განყოფილება წარმოდგენს სასხვათაშორისო, მსუბუქ საკითხავს, ანდა თეატრალურ სანა-
ხაობათა თუ მხატვრულ ღონისძიებათა შესახებ საზოგადოებისათვის ცნობების მიმწოდე-
ბელს. ამგვარ მოთხოვნას რომ შეეგუება, იგი სულ უფრო მეტად იმსჯელებს გაზეთის საერ-
თო სულისკვეთებით, რაც ყველაზე უფრო ემჩნევა მის ენას. თეატრალური შთაბეჭდილე-
ბის, საღაროების დარბევის, ცნობილი მწერლის ახალი მოთხრობის შესახებ მომეტებულად
გვიამბობენ ერთი და იმავე რანგის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმით განსხვავდებიან,
რომ ერთმა თავის პროფესიად გაიხადა (უფრო ზუსტად: ცხოვრებამ ოდესღაც აიძულა ეს
პროფესია აერჩია) — საგაზეთო ქრონიკა, მეორემ — თეატრალური რეპორტიორობა, ხო-
ლო მესამემ — ლიტერატურული კრიტიკა. აი, სწორედ ეს ადამიანები ამათრახებენ სასტიკად
თავისსავე თავს, თუმცა ამას თვითონ ვერ გრძნობენ. ისინი ვერ ამცირებენ ხელოვნებას ვერც
მაშინ, როცა, ამა თუ იმ შეხედულების ძალით, აქებენ უნიჭოს, ანდა ლაფში ამოსვრიან ტა-
ლანტს; ვერც მაშინ, როდესაც ემხანურებიან „მხატვრული ცხოვრების ყოველდღიურო-
ბას“, რომელიც ხშირად არანაკლებ უხამსია, ვიდრე ქალაქის სათათბიროს სხდომების
დღე; და ვერც მაშინ, ბოლოს და ბოლოს, როცა ძალზე ნიჭიერი არიან და ნიჭიერება
აიძულებთ დაივიწყონ სიცარიელე, მათში რომ ბუდობს. ეს „ვიატალანტები“, როგორც
ამ დღეებში უწოდა მათ ერთ სტატიაში მერეტუოვსკიმ, ჩვენი დროის თავზარდამცემ უბე-
დურებას მოასწავებენ, რადგან სწორედ მათ — და უმთავრესად სწორედ მათ — დასცეს
დღევანდელი ჩვენი ლიტერატურა მკითხველი საზოგადოების თვალში, რომლის რიცხვიც
ყოველდღიურად მატულობს და რომელიც ლიტერატურასთან მოდის წრფელი გულით.
ესენი კარგად ცნობილი რევოლუციის ფშუტყვაკილებია, რომელთაც არ შეუძლიათ დაქკ-
ნობა, ეს ის ხალხია, ვისაც არ გააჩნია სულიერი კულტურა, ენა, იდეა, მშვენიერის წვდო-
მის უნარი, ხალხი — აღსავსე უჩვეულო ნიშბილიზმით, მოურჩეულებელი ირონიით, დაცინვით
ყოველივესადმი, პირველ რიგში საკუთარი თავისადმი — რომელიც ფარივით იცავს მათ,
ერთის მხრივ, თავდასხმებისაგან, მეორეს მხრივ, ამაღლებულსა და მშვენიერთან შეხვედრისა-
გან.

ყოველივე დიადს მსოფლიოში თან მოჰყვება უბედურება, გადამდები დაავადებები, უამიანობა. ხაოცრებამ, რომელიც 1805 წელს აღსრულდა ჩვენზე და გაგვამდიდრა უდიადესი შესაძლებლობებით, ლიტერატურაში მოიყოლა დაჭიანებულ „ვაიტალანტა“ და ხულისი განთა-მთელი რაჴმები ამ სიტყვის უღრმესი გაგებით.

მათი ფიქრით, რაზეც ისინი საუბრობენ, სწორედ ის იწოდება ზელოვნებად და ლიტე-

რატურად; საზოგადოებაც ამასვე ფიქრობს, რადგან ასე ასწავლიან ისინი; და თუკი რამე სრულყოფილად იცინ, იცინ სწორედ ის ხერხები, რომლითაც შესაძლებელია შემოქმედება მოახდინონ მასის უკეთურ ინსტინქტებზე. მაგრამ მასა ფლობს სხვა — ჯანსაღ და არა ფალსუოფურ — ინსტინქტებსაც, და ამ ინსტინქტების ძალით თანდათან უკუიქცევა „მხატვრული კრიტიკოსებისაგან“, იმათთაგანაც, ვისზედაც ისინი ლაპარაკობენ ქებით თუ კიცხვით. მათი ქება ხომ ხშირად უფრო შხამიანი და საზიანოა, ვიდრე კიცხვა. და საზოგადოებაც ამჩნევს, რომ ვისზედაც ისინი საუბრობენ, მათ უკან დგანან, ყველანი — „ერთ ნროვას“ ეკუთვნის.

ხელოვნებასთან დაკავშირებული ხულიგნობისა და თავხედობის უმრავლეს სახეობათა და ნიუანსთა აღწერა დაუსრულებლად შეიძლება გავაგრძელოთ; არიან რევოლუციით შობილნი, არიან ისეთებიც, მასთან ერთად რომ არც დაწყებულან, არც დასრულებულან, — არიან ოდითგანვე არსებულნი: „რუსული თუ ებრაული, ნიჭიერი ანდა უნიჭო; ამას იმიტომ ვამბობ, რათა ვაჩვენო, რომ რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში ხელოვნებისადმი დამოკიდებულების საერთო დონეს, დამსახურებისა და პატივისცემის უგულვებელმოყვად და მოყიდებულებას, განურჩეველ დამოკიდებულებას თან მოაქვს საზოგადოების ინტერესის შესუსტება, დაექვება ხელოვნების ნაწარმოებთ და ლიტერატურით, საერთოდ. ამით ხელოვნება როდი მღაბლდება, — ხელოვნების დამღაბლება შეუძლებელია, რადგან იგი ჩვენი არაა, — მაგრამ მღაბლდება, ეცემა კულტურის საერთო დონე. ცალკეულ შემთხვევებში (რომლებიც გაცილებით მეტია, ვიდრე შეიძლება ვივარაუდოთ) ესეც არ ხდება; უამრავმა რუსმა ადამიანმა ძალიან სწრაფად, რაც ერთობ დამახასიათებელია ჯანსაღი რუსული ხულისათვის, დააღწია თავი მთელს ამ უიდეო აურზაურს და უმღაბლეს გაგებათ, რომლებიც ვრცელდება ლიტერატურული და სხვა საგაზეთო რეცენზენტების მიერ, ხოლო ეს უკანასკნელნი, კვლავაც ბელადებად რომ მიიჩნევენ თავს, ყოველი ახალი ლიტერატურულ-საგაზეთო-ებრაულ-ნეირასტენიული გამოსვლით ხალხის წინაშე, რომელიც ვერ გულის ფუსუსსა და რეკლამას, თვითვე იმათრახებენ საკუთარ თავს. ეს არის სწორედ ის ტრაგიკული ფარსი, რომელიც გათამაშდება ხოლმე უამრავი გაზეთის ფურცლებზე.

მაშ ასე: დროა ბოლო მოეღოს ამგვარ გამოსვლებს ხელოვნებზე, რომლებიც ხმაურიანი და მოუსვენარი პოლიტიკის უაიდაზოა აგებული.

განა შეიძლება ხელოვნების ენით ვისაუბროთ გაზეთში, რომელიც ყოველდღიურობას ემსახურება?

ვფიქრობ, დროა, ჩავატაროთ ექსპერიმენტი, რომელიც ჯერ არავის ჩაუტარებია. არ არის საჭირო, ვილაპარაკოთ ბევრი, საჭიროა ვილაპარაკოთ საუბრად დეზო. მხატვრული განყოფილების ენა არ უნდა ჰგავდეს დეპეშების და ქრონიკების ენას. ხელოვნებაზე უნდა საუბრობდნენ ადამიანები, რომლებიც თვისებრივად განსხვავდებიან იმათგან, პოლიტიკურსა და საჭირობოროტო საკითხებზე რომ საუბრობენ. ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და პოლიტიკურ მემკვიდრეობას საერთო არა გააჩნიათ რა. და ამის გამო საუბარი პოლიტიკაზე და ხელოვნებაზე ერთიმეორეს არ უნდა ჰგავდეს.

რა დასამალია, რომ ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის არსებობს მარადიული და ტრაგიკული წინააღმდეგობა, მათ ამქვეყნად დღემდე მხოლოდ მსუბუქი, საძაერო, თვალწარმატაცი ხიდები აერთებდათ, რომლებიც მაშინვე გაქრებოდნენ, როგორც კი მათზე გადაივლიდნენ მათივე მშობელი დიდებული ქარტეხილები და აღესრულებოდნენ მსოფლიო გენიოსები, რომლებიც თავიანთი გენიალობის ძალით დასაბამიდან ქმნიდნენ ამ ხიდებს, როცა უმოკლესი და უმშვენიერესი წამის მანძილზე ამთლიანებდნენ საკუთარ თავში ცხოვრებას და ხელოვნებას.

გაუწაფავი ხელებით ამ ხიდების აგება ან უგუნურებას მოასწავებს, ან, და უფრო ხშირად — შეუმცდარი აღლოს უქონლობას როგორც ხელოვნებისადმი, ასევე ცხოვრებისადმი, ანდა მიგვითითებს უვარგის სააღმწრდელო ხერხებზე.

ჩემი ფიქრით, რუსეთში უკვე საკმარისი ოდენობით მოიპოვება მკითხველი, რომელსაც მომაკვდინებლად მობეზრდა ხელოვნების ნაწარმოებში მაინცდამაინც პოლიტიკური, პუბლიცისტური და სხვა წვრილმანი იდეები მოიძიოს. მას კარგად ესმის, რომ ცხოვრების, კულტურის, ცივილიზაციის, ხელოვნების, რელიგიის წინააღმდეგობანი ვერ გადაიჭრება ვერც სიტყვებით, ვერც თეორიებით, ვერც მათი გადაწყვეტისაგან ირონიული განდგომით, რომ ეს წინააღმდეგობანი თავისთავად ღრმად ჰკუთსასწავლებელი და აღმწრდელობითი ხასიათისანი

არიან, რომ ყველა მათგანი თავისი მხრებით დაატარებს მათ, რამდენადაც კი საამისო ძალა შესწევთ; რომ მათი გადაჭრა მომავლის საქმეს, საერთო საქმეს წარმოადგენს.

აი, ასეთ მკითხველს უნდა გულისხმობდეს, ვგონებ, ის ხალხი, რომელთაც აქვთ სურვილი ისაუბრონ ხელოვნების ენით თუნდაც გაზეთის ფურცლებზე. ისინი მოვალენი არიან ისაუბრონ სენტიმენტალობის, პოლიტიკანობის და ირონიის გარეშე.

პოლიტიკა და ხელოვნება გაზეთში — ეს საკითხი ჰგავს ქალაქისა და სოფლის პრობლემას. თუკი ქალაქზე უსათუოდ უნდა გადადიოდეს ფაბრიკა-ქარხნების ქაშაღის სუნი და, შესაძლოა, ისიც კი ვისურვოთ, რომ ქალაქი სწრაფად გადაიქცეს ფოლადის ურჩხულად, რომელსაც თავის ბრჭყალებში მოუქცევია ადამიანი („რომელიც გეგულების საქმედ, ყავ ადრე“³). სოფლად, რომელიც ათიოდე კილომეტრითაა მოშორებული ქალაქს, უნდა ფეთქავდეს სხვა ცხოვრება. იქ შესაძლებელია და აუცილებელიც — არ დაემორჩილო, წინააღმდეგობა გაუწიო დაუსრულებელ ფუსფუსს, იქ საამო არის საცქერლად პირველი თოვლიც, იქ ადვილად შენიშნავ პირველ იებს.

ხელოვნებისადმი მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულების წყალობით შეიძლება მხატვრის მკაცრი და მტკიცე Veto დავადოთ იმ ხატყუარს — ფარსს, რომელსაც უოველდღიურად ვადევნებთ თვალს, Veto დავადოთ ფასეულობათა საშინელ ვულგარიზაციას, რომელმაც უკვე გამოიღო ნაყოფი — მკითხველისა და ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოების თვალში შერყვნა, გაუკუდმართა და ფასი დაუკარგა უამრავ მოვლენათა აზრს, რომელიც მშვენიერის სფეროს განეკუთვნება.

1912 წლის დასასრული — დეკემბრის დასაწყისი.



³ იხ. იოანეს საბარება, VIII, 27.

ანდრე მორუა

ფრანგულიდან

თარგმნა თინათინ ქიქოძე

ლიტერატურული ეტიუდები

ფრანგი მწერალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ანდრე მორუა (1885—1967) XX საუკუნის თვალსაჩინო მწერალთა რიცხვს ეკუთვნის. ფართოდაა ცნობილი მისი ფსიქოლოგიურ-ბიოგრაფიული რომანები (ბაირონი, პიუგო, ეოჟ სანდი, ბალზაკი და სხვ.), შედარებით ნაკლებადაა ცნობილი მისი კრიტიკულ-ესეისტური წერილები, სადაც მწერალი ღრმა და მრავალმხრივ ინტერესს იჩენს ლიტერატურული შემოქმედებისადმი. წინამდებარე წერილები ამოღებულია მისი ოთხტომეულიდან „ლიტერატურული ეტიუდები“.

ქვეყნიერება ჩემს წიგნებს დაემსგავსა“, — წერდა მალო. თავის რომანებში ის აღწერდა რისკს, ბრძოლას, რევოლუციას. მართლაც, მის დროს მთელი ქვეყანა აჯანყებებისა და ომების აღში იყო გახვეული.

მალორის მთელი ცხოვრების მანძილზე იზიდავდა ისეთი ვაჟკაცური ლიტერატურა, რომელშიც სიმამაცე და სიამოვნება უფრო მეტად იქნებოდა შეფასებული, ვიდრე მგრძნობიარობა. ეპოქის სულმა მას ეს დაუდასტურა. ხენტიმენტალური ფასეულობანი სტაბილურსა და მოცალეობის დროში მეფობენ. ახალგაზრდობა, რომელიც ავტომატების კაკანში იყო აღზრდილი, უფრო მკაცრ მასწავლებლებს ეძებდა. მას ნაკლებად აინტერესებდა ინდივიდუულის ანალიზი, უფრო მეტად მასებთან სურდა გაერთიანება. მკითხველს უნდა მოსწონებოდა და მოეწონა კიდევ მალორისი და ჰემინგუეის ნაწარმოებები, რომელთაც იგი სისხლიანი, გმირული ბრძოლების ცეცხლში შეჰყავდა.

მაგრამ მალორის პრესტიჟულობის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ თვით ცხოვრება აძლევდა პასუხს მის შემოქმედებას. ერთხელ სადღაც უთქვანს, შემუარები ერთადერთი ჟანრია, რომლის წერა ღირსო. მისი რომანები სწორედ მამაცი და ინტელიგენტი ადამიანის მიერ ტრანსპონირებული შემუარებია. მალორმა თვითონ შეიცნო და განიცადა ჩინეთის მოვლენები, რომლებიც „დამპყრობელებსა“ და „აღმართურ არსებობაში“ აღწერა. იგი იბრძოდა ესპანეთის ომში „იმედის“ მოხალისეთა გვერდით. 1940 წელს ტანკისტად იყო, როგორც „ალტენბურგის თხილნარის“ გმირები. იგი შეთაურობდა ბრიგადას საფრანგეთის გათავისუფლების კამპანიაში. თანამებრძოლებმა ეს უველაფერი იცნან და პატივს სცემენ. „ახალგაზრდობაში მრავალი ჩვენთაგანისთვის მალორ იგივე იყო, რაც სხვებისთვის იუვენ პეგი, ბა“

რესი, ხოლო მანამდე შატობრიანი“. შატობრიანზე უფრო მეტად მაღრომ შექმნა თავისი ცხოვრებისაგან შედეგრი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის ცხოვრებაში არ ყოფილა ძნელი მომენტები. ფაქტობრივად მამიებელი ყოველთვის რისკს ეწევა. მაღრომ თხოულობდა წლის მანძილზე საერთაშორისო რევოლუციასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, თუმცა კომუნისტურ პარტიაში არ შესულა. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ მიბრუნდა შემდგომში იგი ეროვნული ბრძოლისაკენ, გოლიზმისა და ხელისუფლებისაკენ. ეს არის შატობრიანი, რომელსაც ისე სწყურია თავისი ბიოგრაფიის თამაში, როგორც მსახიობს თავისი როლისა, შატობრიანი და იმავე დროს საკუთარი ცხოვრების დრამის ავტორმა და შემსრულებელმა ანდრე მაღრომ თავისთვის შესანიშნავი ტექსტები შექმნა. მომავალში, რაც არ უნდა მოხდეს, წარმატება უზრუნველყოფილი ჩანს.

1

აბსურდის წინამორბედი

სამყაროს აბსურდულობის იდეამ ჩვენს დროში დიდი ხმაური გამოიწვია. კამიუს შემოქმედების უდიდესი ნაწილი მიძღვნილია „აბსურდული ადამიანისადმი“, იმისადმი, ვინც გაწომა უფსკრული ადამიანის იმედებსა და სამყაროს გულგრილობას შორის. უნდა ითქვას, რომ ეს აზრი სულაც არ იყო ახალი. მაღროს, როგორც ბევრ სხვას, პასკალის სიტყვები მოაქვს: „აბა, წარმოიდგინეთ მრავალი ბორკილგაყრილი ადამიანი, ყველა სიკვდილმისჯილი, რომელთაგან ყოველდღე ერთ ნაწილს დანარჩენის თვალწინ ხვრეტენ და ცოცხლები მათ მსგავსთა ხვედრში საკუთარ ბედისწერას ხედავენ... ასეთია სურათი ადამიანის ბედისა. დიან, სწორედ ამაში იმალება აბსურდის დედაარსი. „სიკვდილი სიკაცხლის აბსურდულობის უცილობელი საბუთია“.

მორწმუნეთათვის აბსურდულობის პრობლემა ნათელ გადაწყვეტას ვარაუდობს. მათი სამყარო გულგრილი არ არის. იგი ემორჩილება ყოვლის შემძლე ღმერთს, რომელიც ყოველი სულდგმულის მიმართ ყურადღებიანია და რომლის გულის მოღობა ღოცვით არის შესაძლებელი. მორწმუნეთათვის სიკვდილი არ არის ყველაფრის დასასრული, იგი ტეშმართი არსებობის დასაწყისია: „სიკვდილო, სად არის შენი გამარჯვება?“ სული უკვდავია და იგი ღმერთის არსებობით ტკბება. მაგრამ მაღროს გმირებისთვის, გარინისა და პერკენისათვის, ღმერთისა და მანიენისათვის, ღმერთი მკვდარია. მაშ რიდასთვისაა სული, თუკი ღმერთი არ არსებობს? გარინს სჭირდება, რომ ქვეყნის აბსურდულობა დაიჭეროს. „ადამიანი უსუსურია, მას არ გააჩნია ნამდვილი ცხოვრება, თუ არა აქვს რწმენა, თუ გამუდმებით არ აწუხებს სამყაროს ამოცანაზე ფიქრი.“

მაღროს არსად არ ამბობს, რომ გარინს ეთანხმება, და მე არა მგონია, რომ ის სავსებით ეთანხმებოდეს გარინს, მაგრამ თვითონ გვიმტაცებს: „მიზანდასახულობის არქონა, რაც თვით ცხოვრებისგანაა მოცემული, ცხოვრების პირობად იქცა“. ეს არქონა მოქმედებას ათავისუფლებს. რაკი არაფერი არ არის, შეიძლება ყველაფერი გავხედოთ. ასეთია, შენიშნავს პიერ დე ბუადეფრი „ცთუნება ლუციფერული, რომელსაც თვითონ მაღროს კი თავს აღწევს, მაგრამ ჩვეულებრივად ვერ უძლებდნენ „დამპყრობნი“, კალიგულადან თვით პიტლერამდე“. ადამიანი, რომელსაც სულში სიცარიელე აქვს, ადვილად ებმება გაბედულ სპექულაციებში. რას კარგავს? ჩინელი ტერორისტები და ესპანელი ავიატორები თავიანთ სიცოცხლეს მწვანე მაუდზე ჩადიან. ამ ფსონს მათ თვალში არავითარი ფასი არა აქვს.

მაშ რატომ აკეთებენ ამას? თუკი სამყარო ესოდენ გულგრილია, განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, ადამიანი ბედნიერი წუთებით დამტყბარიყო და არ ჩაბმულიყო ჩხუბში წამებისა და სიკვდილის საქმენელად? რამეთუ გარინი „იდუალებისთვის“ როდი იბრძვის. ის ზიზღნარევი ირონიით დაპარაკობს ადამიანებზე, რომლებიც გვარწმუნებენ, ხალხის საკეთილდღეოდ ვიბრძვითო. „ეს კრეტინება“ დასაბუთებას მოითხოვენ. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი დასაბუთება არსებობს, რომელიც პაროდის არ ჰგავს: საკუთარი ძალის ყველაზე ეფექტური გამოყენება“. პატივმოყვარეა თუ არა გარინი? (რომელშიც რაღაც არის მაღროსი, ოღონდ ახალგაზრდასი). მას არ ახასიათებს ისეთი პატივმოყვარეობა, მომავლის გეგმებს რომ ანგარიშობს და თანმიმდევრულ გამარჯვებებს ამჟღავნებს. მას არ ახასიათებს რასტინიაციის ანგარებიანი პატივმოყვარეობა, მაგრამ „თავის თავში ერთთავად გრძნობს მტკიცე, მუდმივ მოთხოვნილებას, ფლობდეს ძალას“. ძალისაგან ის არ მოელის არც ფულს, არც აღიარებას, არც პატივისცემას. არაფერს, გარდა იმისა, რომ მას ეს ძალა უნდა თავისთავად. „ის იმ დასკვნამდე მიდის,

რომ თუ ძალა მიენიჭა, მას ერთგვარი ნუგეშისცემა, ერთგვარი გათავისუფლება მოაქვს. მისთვის გასაგები იყო თავისი თავით თამაში. მალრომ, ამ მამაცმა კაცმა, იცოდა, რომ ყოველგვარი დანაქარგი სიკვდილითაა შეზღუდული“.

ამგვარი ფიქრები ყოველ ნაბიჯზე სიკვდილს აწუდებდნენ. ხანდახან ის საკითხის გადაწყვეტად ეჩვენებოდა. ბერუეს პაპა „ალტენბურგის თხილნარში“ თავს იკლავს, როგორც ეს თავით მალროს პაპამ ქნა. და აი, სიკვდილამდე ორი დღით ადრე დიტრიხ ბერუე თავის მხვანათობაზე: „შენ თვითონ რომ შეგეძლოს არჩევა, როგორ ცხოვრებას აირჩევდი?“ — შენა? — გუფიცები, რაც უნდა მოხდეს, თუ სიცოცხლე მეორედ მომეცემოდა, სხვა ცხოვრებას არ ვინატრებდი, გარდა დიტრიხ ბერუესი“. თვითმკვლელობა უკვე იგულისხმებოდა სიტყვებში „რაც უნდა მოხდეს“. მაგრამ ამ კაცს სიცოცხლე უყვარდა და ფანატურად ებლაუჭებოდა აზრს ყოფილიყო ის, ვინც იყო. იქნებ, სწორედ ამ მიზეზით მოუსწრაფა თავს სიცოცხლე.

მალროს სხვა პერსონაჟებში სიკვდილის იდეა მკვლელობის მანიადაა გადაქცეული. ასეთი ულმობელობა განსაკუთრებით დამცირებულ ადამიანებში წარმოიშვება. „დიდი დამცირება სამყაროს უარყოფას იწვევს. ამგვარი მარტოობა მხოლოდ შეუპოვარი სისხლისღვრით, ნარკოტიკებით და ნევროზებით იკვებება“. გერმანელი კლასიკი რომანში „დამპყრობელნი“ ზიზლისგან ძრწის. „ყოველთვის ერთი და იგივე რამე ხომ არ უნდა გვტანჯავდეს. ერთი დღესასწაული მაგონდება, დიდი ხნის წინანდელი, როცა ვუყურებდი... ეჰ, მაშინ რომ დამბაჩა და რამდენიმე ტყვია მჭონოდა და გამეხვრიტა ის... არ ვიცი, როგორ ვთქვა, ის ღიმილი... გამეხვრიტა... იმ სიფათების დანახვა, ერთი წუთითაც რომ უღუკმაპუროდ არ დარჩენილანი ხო, მაგათ ყველას უნდა გავაგებინო, რომ ის რაღაც, რასაც ადამიანის სიცოცხლე ბჭვია, მაინც არსებობს“. და კიდევ: „რა არის რევოლუცია? დამიჯერე, ეს არავინ იცის. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ქვეყანაზე დიდი სიღარიბეა, მარტო ფულის ნაკლებობა კი არა... საქმე ის არის, რომ მუდამ არიან მდიდარი ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ, და სხვები, რომლებიც არ ცხოვრობენ“.

ეს არ არის სიბრაღე, გრძნობა, რომელიც მალროს გმირებისთვის ნაკლებად მისაწვდომია და ბევრი მათგანი ზიზლითაც კი მოექცედილობდა. ეს არის მოთხოვნილება, რომ თავისთვისაც და სხვებისთვისაც მოიპოვონ ადამიანური ღირსება. „რას ეძახით თქვენ ღირსებას?“ — ეკითხებიან კიოს („ადამიანური არსებობა“). ის მიუგებს: „დამცირების საწინააღმდეგო გრძნობას“. ეს არ არის ცუდი პასუხი. ღირსება — ეს პატივისცემაა, რაც ადამიანს თავისი თავის მიმართ უნდა ჰქონდეს და რაც მას შეუძლია სხვისგანაც მოითხოვოს. როცა ღირსებას პატივს არ სცემენ, ის დამცირებაში გადადის, რაც თავის მხრივ ტერორიზმს იწვევს.

ხონგმა („დამპყრობელნი“) სიღარიბეს თავი დააღწია, მაგრამ არ დაუფიქნია მისი გაკვეთილები და ის, უძლური სიძულვილით შეფერადებული, სურათი ქვეყნისა, რომელსაც სიღარიბე წარმოშობს. „მხოლოდ ორი რასა არსებობს, — ამბობს ის, — განწირულნი და ყველა დანარჩენნი“. მან აღმოაჩინა, რომ იმდენად მდიდართა კეთილდღეობა კი არ სძულს, რამდენადაც მათი თავისი თავისადმი პატივისცემა შურს. „ღარიბსო, — ამბობს ის კიდევ, — არ შეუძლია თავისი თავის პატივისცემა“. მალროს რომ თავისი წინაპრებისთვის ჰქონოდა რწმენა, ჩემი ყოფიერება ინდივიდუალური ცხოვრებით არ არის შეზღუდული, ასეთი გრძნობა მისთვის უცხო იქნებოდა. მაგრამ ეს მას უკვე აღარ სწამს. ამიტომ ადამიანური არსებობა მას სრულ აბსურდულობად წარმოუდგება და ახლა ერთადერთ დარჩენილ ნუგეშს ებლაუჭება: მძულვარებას. მას სძულს იდეალისტები, რადგან ისინი გვარწმუნებენ, რომ ქვეყანაზე წესრიგს აშუარებენ. ხონგს წესრიგის დამყარება არ სურს, რამეთუ ის ანარქისტია. ეს გახლავთ ექსტრემალური პოზიცია ადამიანისა, რომელსაც თავისი აბსურდულობა შეგნებული აქვს. არის უფრო მეტად კონსტრუქციული პოზიციებიც. მათი თავშესაფარი მოქმედებაა.

II

ავანტიურა და მოქმედება

„ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ზღვაში გადასროლილი ქვა, ხოლო, როცა ეს იცი, თვით ტრაექტორიას ჩადიხარ ფხონში“. მაგრამ არსებობს რისკის გაწევის კიდევ მრავალი სხვა ხერხი და ავანტიურის ათასნაირი ფორმა. მალრომ ახალგაზრდობაში რევოლუციური ბრძოლა აირჩია. არა იმიტომ, რომ კომუნისტური რევოლუცია სწამდა. ის არასოდეს ყოფილა მარქსისტული იდეების მიმდევარი. რამდენიმე მისი გმირი კომუნისტია: ბოროდინი, კიო. კიოს მამა ერიზორი ამბობს: „მოსკოვში წასვლის სურვილი არა მაქვს. მარქსიზმი მოკვდა ჩე-

მში. კიოსთვის ეს ნებისყოფის გამომჟღავნება იყო, ნე კი მასში ფატალურობას ვხედავ“. (ეს არ ნიშნავს მარქსიზმის უარყოფას, მაგრამ ჩვენი ღრვის უარყოფით რომ ვტყუართ, „დემისტოფიკაცია“). გარინმა არ ისურვა კომუნისტური პარტიის წევრი გამხდარიყო. რაკ იცოდა, რომ მის დისციპლინას ვერ აიტანდა. გარინს ხალხი არ უყვარს. ცხადია, ის მძიღრებთან შედარებით ღარიბებს აძლევს უპირატესობას, რადგან ისინი უფრო მუშანურნი არიან, მაგრამ მათს მუშანურობაში დამარცხებულთა სიკეთეს ხედავს. „კარგად ვიცი, ვამარჯვებო, რომ გვმზიმა, ისინი მაშინვე საძაგელნი გახდებოდნენ“.

მალროს გმირებს მოქმედება უფრო აინტერესებთ, ვიდრე თეორიები. ცხადია, თავიანთი იდეებით ისინი ერთმანეთისგან განირჩევიან. და ბევრად უფრო მეტად განირჩევიან, ვიდრე ამას აღიარებენ. ერთმა კრიტიკოსმა (ანდრე რუსომ) დაწერა: „მალროს გმირები ისე უსიცოცხლონი არიან, რომ უშაღვე კვდებიან მკითხველის მეხსიერებაში. ჩემთვის უველანი, გარინიდან ვენსან ბერჟემდე, ხელში ბომბიანი თუ რევოლვერიანი მოსაუბრე სილუეტები არიან მეტაფიზიკური ტვინით“. მე არ ვიზიარებ ამ აზრს. გარინი დაუვიწყარია. ტერორისტი ზონგი ზარდამცემი. იდეალისტი ჩენგ-დაი საოცრად ადამიანური პიროვნებაა, მას ათასნაირი იერის მიღება შეუძლია. ცოლ-ქმარ კიო-შეის უცნაური სიყვარულის წყალობით ტრაგიკული ცხოვრება აქვთ. მსხვილი საქმოსანი ფერალი — ძლიერი პორტრეტია. მაგრამ არცერთი არ ცდილობს, რომ მათი სურვილი სხვებისთვის გასაგები გახდეს. მათთვის საჭიროა გაემიჯნოს თავის თავს, თავის აბსურდულ შეგნებას. ავანტიურა მათი აღიბია. რისკი მათი სტიქიაა. „ნიფათის გრძნობაც, როგორც სხვა უოველი დაძაბული გრძნობა, გაქრობისას მას გამოფიტულს ტოვებდა, მას კი სწადდა ხელახლა შეეგრძნო ეს“. ეს წინადადება გამოყენებულია „ადამიანური არსებობის“ პერსონაჟის — ჩენის მიმართ, მაგრამ აბა, დააკვირდით, როგორ ესადაგება ის თვით მალროს, რომელმაც ძლივს დაიძვრინა თავი ბიფათისაგან, ახლა შეგნებულად სხვა ნიფათს ეძებს და ინტერნაციონალურ ბრიგადას მხოლოდ იმისთვის ტოვებს, რომ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში მიიღოს მონაწილეობა.

მანამდე ბევრი მისი გმირი, და ზოგიერთი საუკეთესოც კი, უცხოვდ გრძნობდა თავს იმ ქვეყანაში, რომლის ინტერესებისთვისაც იბრძოდა. გარინი ჩინელი არ არის. კიო მეტისია. ბოროდინი ნაკლებად ზრუნავს ჩინეთზე. ინტერნაციონალური ბრიგადა არსებითად, ესპანური არ არის. თანამედროვე ფათერაკის მაძიებლები, იქნება ეს ინგლისელი ლოურენსი,¹ რომელიც არაბთა გვერდით იბრძვის, თუ ამერიკელი პემინგუეი, რომელიც ესპანელ რესპუბლიკელთა რიგებში იბრძვის, უმრავლეს შემთხვევაში უცხონი არიან იმ ქვეყანაში, რომლის თავისუფლებისთვისაც სიცოცხლეს სწირავენ. კიდევ უფრო პარადოქსული ის არის, რომ მალროს გმირი (1840 წლამდე) სრულიადაც არ იბრძვის იდეისთვის. ის პარტიაში თავს კარგად ვერ გრძნობს. ის იბრძვის მდიდართა, ძლიერთა, ხელისუფალთა წინააღმდეგ, ილაშქრებს საყოველთაო ტარტიუფობის წინააღმდეგ, როგორც ვან-გოგი² ილაშქრებდა აკადემიზმის წინააღმდეგ. ის იმისთვის იბრძვის, რომ იბრძოლოს. ეს ყველაფერი ილუზიების გარეშე ხდება, რწმენით, რომ ფარისევლობა სხვა სახით აღსდგება. ეს სუფთა მოქმედებაა.

წარმოდგენილი მაქვს, რა სიმშვილეს ბოვებდა მალრო, როცა დე გოლში მისი სულისკვეთების გმირი აღმოაჩინა, კაცი, რომელიც ადამიანებს ისევე უყურებდა, როგორც თვითონ, მაგრამ თავისი საქმიანთვის უცხო კი არ იყო, პირიქით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ავანტიურის ჩაყენება წესრიგის სამსახურში პრობლემას წყვეტდა. ბრძოლა საფრანგეთისთვის, ბრძოლა დასავლეთისთვის, კულტურისთვის, — სწორედ ეს ემთხვეოდა მალროს პიროვნების უღრმეს ბუნებას. ფრანსუა მორიაკმა გულშიჩამწვდომი ინტუიციის ადამიანმა, წინასწარ იგრძნო ეს ევოლუცია ჯერ კიდევ მაშინ, როცა რომანმა „ადამიანური არსებობა“ გონკურის პრემია მოიპოვა, ხადაც ერთგვარად თავბრუდახვეული ბურჟუაზიული, კაპიტალისტური საზოგადოება გვირგვინს ადგამს ახალგაზრდა კაცს, რომელიც მას აჯანყებებით, საყოველთაო გაფიცვებით ემუქრება და იმათთან ერთად მუშაობს, ვისაც აზიიდან ევროპის გაძევება სურს.

„საოცარ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, — წერდა მაშინ მორიაკი, — იგი მობერდა, მოწყენილია და, თუკი რამით გაართობ ყველაფერს მოგიტევენს, თუნდაც შიშის ფასად... ტალანტი მას განაიარაღებს აი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც სიჭაბუკიდანვე ხელში ხანჭლით მიიწევდა მასზე. მაგრამ შერე რა? იგი ნიჭიერია, ყველა თავის ტოლ ბიჭზე უფრო ნიჭიერი...“

¹ ლოურენსი, თომას (1888-1925) — ინგლისელი მხვერავი და მწერალი. პირველი მსოფლიო ომის დროს ცდილობდა არაბული ტომები თურქეთის წინააღმდეგ აემხედრებინა.

² ვან-გოგი, ენსენტი (1853-1890) — ფრანგი მხატვარი, წარმოშობით ჰოლანდიელი. აქვს ნატიურმორტები, პეიზაჟები, პორტრეტები.

და იმ დღის წყალობა 1938 წელს ერთმა წიგნმა უველადერი დაფარა“. გასაკვირი ის არის, რომ გონკურის პრემია და წარმატება მორიაკმა ასე ახსნა. ეს არის „წარმატების შექმნა ბედობაში, რომელიც სასოწარკვეთილებასაა ორიენტირებული“. იგი დაასკვნის: „ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება პატივმოყვარეობაც გამოსავალი იყოს“. 1945 წელს მორიაკმა თავის თავთან დადებული სანაძლეო მოიგო, მალრო კი მინისტრი გახდა.

თავად მე, უველა მისი წიგნი მაოცებდა სხვადასხვა ტექნიკური დარგის ცოდნით არიან ჩენის მსგავსი თავზებელალებულები, რომლებიც ტლანქი და პრიმიტიული მოქმედებისათვის არიან შექმნილნი. მაგრამ მოქმედება მოითხოვს აგრეთვე ბელადებს, ხოლო ბელადები რომ ბრძანებლობდნენ, მათ უნდა იცოდნენ, რაზე ილაპარაკონ. მალრო შესანიშნავად ჩასწვდა დამხობის, ტერორიზმის, რევოლუციის მექანიკას. ის მთავრობის მექანიკასაც უნდა ჩასწვდომოდა. იცოდა, რომ საბოლოო ჯამში მხოლოდ ტექნიკას შეეძლო რევოლუციისთვის გამარჯვება მოეპოვებინა. „თავდაპირველად რევოლუცია მხოლოდ ვრცელი ასპარეზია ავტორიტეტის მითვისებისათვის“, — ამბობს გარსია („იმედო“). ერნანდესი მიუგებს: „ამ მილიციას თავისი საქმის მცოდნე ორი ათასი ჯარისკაცი ბოლოს მოუღებდა“. და ზიმენესიც დასძენს: „სიმამაცე ისეთი რამაა, რაც ორგანიზდება, რაც ცოცხლობს და რაც კვდება, მას ისე უნდა გაუფრთხილდე, როგორც თოფს“...

მალრო ომზე ისე ლაპარაკობს, როგორც პროფესიონალი ჯარისკაცი: „კვლავ ეკონომიკური პრობლემაა: რაც შეიძლება მეტი ლითონი და ფეთქებადი ნივთიერება უნდა დაიხარჯოს, რათა, რაც შეიძლება ნაკლები ცოცხალი ხორცი დაიკარგოს“. ამერიკელი გენერლები, რომელთაც 1943—1945 წლებში ვიცნობდი, სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდნენ. არ უნდა დაგვაფიქსედეს, რომ მალრო აქტიური ავიატორი, ესკადრილიის უფროსი იყო, რესპუბლიკურ ავიაციას წინამძღოლობდა მედელინთან შეტაკებაში. ასეთი კომპეტენტურობა მის სამხედრო აღწერილობებს უცილობელ უტყუარობას ანიჭებს.

„სამი თვითმფრინავი აფრინდა ტერუელის მოედნიდან, თითოეული მათგანი ცდილობდა სხვების პოზიტიური შუქი დაეჭირა, რათა საბრძოლო ხაზზე გამწკრივებულიყვნენ. ქვემოთ, მოედნის ახლა მთლად დაპატარავებული ტრაპეცია იკარგებოდა ველების ვეებერთელა ღამეულ სივრცეში, რომელიც, როგორც მანიენს ეჩვენებოდა, მთლიანად ამ უზადრუკ შუქზე იყო დამიწნებული...“ „ღრუბლებიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა მტრის ექვსი თვითმფრინავი. რესპუბლიკელთა გამანადგურებლები ერთადგილიანნი იყვნენ, დაბალი ფრთები ჰქონდათ და შეუძლებელი იყო „ბეინკელებში“ აგრეოდათ. მანიენმა დურბინდი დადო. ყოველივე ცხადი იყო, მან თავის სამ თვითმფრინავს ერთმანეთთან ახლოს მიჰყარა უბრძანა. „ხეირიანი ტყვიამფრქვევები რომ გვქონოდა, შეიძლება დარტყმისთვის გაგვეძლო, — გაიფიქრა მან. მაგრამ მანიენს ისევ ის ძველი „შეუწყვილებელი ლუისები“ ჰქონდა და მეტი არაფერი. „წუთში 800 გასროლა $\times 3$ ქვემეხზე = 2400. ყოველ „ბეინკელს 1800 გასროლა აქვს $\times 4 = 7200$ “. ეს უველადერი კარგად იცოდა, მაგრამ კიდევ და კიდევ გამეორება მუდამ სიამოვნებას ჰგვრიდა“.

უფრო საკვირველი და ჭეშმარიტად ბალზაკისეული ტექნიკით აღწერს მალრო ფერალს, ამ საქმოსან კაცს, მე მომწონს ის სცენა, სადაც ფერალი პირისპირ აღმოჩნდება: „მსხვილ საკრედიტო დაწესებულებათა დირექტორებთან...“ „ომის შემდგომ წლებში, — ფიქრობს ის, — ტახტზე მჯდომი ეს პატარა შამფური საფრანგეთის ბაზინას თვრამეტი მილიარდი დაუჯდა მხოლოდ სახელმწიფო ფონდებით. ძალიან კარგი. როგორც ის ათი წლის წინათ ამბობდა: „ადამიანი, რომელიც რჩევას ეკითხება ახლო ნაცნობს, სად მოათავსოს თავისი ქონება, — უპრიადაა გაკოტრდეს“. ეს წინადადება შეიძლება გობსეის ყოფილიყო. მე ის ხოტბად მიმაჩნია. გობსეი უდიდესი საქმოსანი იყო და მალრო არ ცდება“.

მალროს მოქმედი სიცოცხლის მრუდი ზუსტადაა აღნიშნული „იმედის“ სამი ნაწილის ხათურებით: 1. „ლირიკული ილუზია“ — ის დიდხანს არ გაგრძელებულა და ადგილი დაუთმო სასოწარკვეთილ სიფხიზლეს. 2. „აპოკალიპსი მოქმედებაში“ — ეს არის ომი ომისათვის, ტერორიზმი ტერორიზმისათვის. 3. „იმედი“ — ავანტიურის მიღმა ცისკარივით ამოდის სურვილი იმედისა. „არ არსებობს ბრძოლის ორმოცდაათი ხერხი. არის მხოლოდ ერთი — იყო გამარჯვებული“. ადამიანი თავისი მოქმედების ჯამია. თავისი მოქმედებითი ისტორია ხდება. დაე, ეს ისტორია, რამდენადაც შესაძლებელია, დიადი იყოს. აი, რა არის მიზანი, აი სად არის გამოსავალი აბსურდიდან.

ადამიანი და ისტორია



მეც ვარაუდობ, რომ მაღრო კოსმოსური გონების პატრონია. ყველაფერი, რასაც ხედავს, მას უკვე მომხდარ ამბავს ახსენებს.

1940 წელს ტუვერბაში მყოფი, როცა თავის ამხანაგებს შეხვედრებში, მათში აღმოაჩენს (როგორც პრუსტი სცნობდა 1914 წლის ქარისკაცებში სენტ-ანდრე-დე-შანის ფრანგებს) გოთურ სახეებს და უხსოვარ დროში განცდილ ჭირ-ვარაშს. „ამ ათასწლოვანი ჩვევების ქვემოთ ჩვენ ვარჩევთ ადამიანის ასეთსავე ათასწლოვან ცბიერებას. აქ იმალება მის მიერ გადატანილი ჭირვარაში და რწმენა მოთმინებისა. შესაძლებელია, ეს იგივე მოთმინებაა, ოდესღაც მღვიმის ადამიანს რომ ჰქონდა შიმშილის მიმართ... მარადიულობის მცხუნვარე მზის ქვეშ გათანგულ ჩვენს ბუნაგში ერთთავად წინაისტორიული ჩურჩული გაისმის“. როცა ტანკები მუხლუხების ღრქილით ევაკუირებულ სოფელში შედიან, მაღრო იქ შეხვდება ძველებურ კალოს, ძველებურ მკას, იგივე გოშიებს...

„მე მესმის, როგორ ბზუის ამ თვალწარმტაცი სიუხვის უკან საუკუნეთა კრაზანა. ეს საუკუნეები იმავე სიღრმეში იძირებიან, რომელშიც ამ ღამის წუველიაღი. ეს ხორბლითა და თივით ყელთამდე სავსე ბეღლები, ეს ბეღლები, სადაც ნივნივებიც კი დაფარულია შიგ დაზინული ნაქურჩალით, ფარცხებით, ხელჯოხებით, ხელნებით, ხის ურმებით, ბეღლები, სადაც ყველაფერი — ხორბალი, ხე, თივა თუ ტყავი (ლითონი რეკვიზირებული იყო), — ყველაფერი ლტოლვილთა და ქარისკაცთაგან დატოვებულ ჩანავლულ ციცხლის ნაცარში იფლოდა. ეს გოთური ეპოქის ბეღლებია. ქუჩის ბოლოში წყალს აგროვებენ ჩვენი ტანკები, ეს ბიბლიური ქების წინ მუხლმოყრილი ურჩხულები... ო, როგორ მოხუცებულხარ, ცხოვრება!“

მას უუვარს ათასწლეულების გამოხმობა და საუკუნეთა ჩურჩულის მოსმენა. მაგრამ რაღა ძალიან ჰკვიანია, თავს ეკითხება, რამდენად კანონიერია მარადიული ადამიანის ძებნა ჩვენი დროის ადამიანში. ასეთია ერთ-ერთი თემა იმ გასაუბრებისა, რომელიც „ალტენბურგის თხილნარის“ უდიდეს ნაწილს შეადგენს. ეს მშვენიერი წიგნი, ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი მაღროს ნაწარმოებებში, გვახსენებს შარლ დიუ ბოს¹, ანდრე ჟიდის, პოლ დეჟარდენის², პონტინის³ საუბრებს. თუ არ ვცდები, ალტენბურგის საუბრების აღწერისას მაღროს ცისტერციის სააბატო ედგა თვალწინ. ისიც მეჩვენება, რომ კონტ რავოს გარეგნობაში შარლ დიუ ბოს ნიშნებს ვხედავ. მაგრამ მაღრო ყველაზე ხშირად სიტყვას აძლევს გერმანელ მეცნიერს მელბერგს, რომელიც ფრობენიუსის⁴ მსგავს იდეებს გამოთქვამს.

ფრობენიუსი და ძველი ცივილიზაციების სპეციალიტი მელბერგი ამბობს, რომ, როცა მეცნიერი საუკუნეთა სიღრმეში იძირება, ურის სამეფოსა და შუმერთა სამყაროზე ადრინდელ ქალაქებსა და სახელმწიფოებს პოულობს. იგი ხედავს საზოგადოებას, რომელიც ჭიანჭველისა მსგავს, აქ ქურუმთა მაღლა მეფე დგას, რომლის ძლიერება მთვარის ზრდასთან ერთად იზრდება და, რომელსაც მთვარის დაბნელებასთან ერთად კლავენ. ეს მეფე ერთსა და იმავე დროს ადამიანიც არის და მთვარეც. აქ ჩვენ ვიმყოფებით კოსმოსური შეგნების სფეროში, რომელიც უოველგვარი რელიგიის გარეშე დგას. „კლავენ მარადიულობაში. ღმერთები ჭერ არ დაბადებულან“. მოგვიანებით, იქნება ეს ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა თუ ისლამი, — მთელი ნაცნობი სამყარო რელიგიურ აზროვნებას იწყებს. „მაგრამ მენტალური სტრუქტურა, რომელსაც კოსმოსური ცივილიზაცია შეიცავს, იმდენადვე შეუთავსებელია იმასთან, რომელსაც რელიგია კმნის, რამდენადაც ქრისტიანობა შეუთავსებელი ვოლტერისეულ რაციონალიზმთან“. სადღაა აქ მარადიული ადამიანი?

ზოგმა ხალხმა ვერ აღმოაჩინა კავშირი სქესობრივ აქტსა და ადამიანის დაბადებას შორის. როგორ გავაგებინოთ მათ ქრისტიანობა და ხარება? ზოგმა გაცვლა-გამოცვლა არ იცის. როგორ ავუხსნათ მათ ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი სოციალური სტრუქტურები? სად არის კავშირი ჩვენსა და მათ შორის? „მხოლოდ ისტორია, ღმერთების მსგავსად, აძლევს აზრს ადამიანს“.

¹ დიუბო, შარლ (1882-1939) — ფრანგი მწერალი, კრიტიკული ესეების ავტორი.

² დეჟარდენი, პოლ (1859-1940) — ფრანგი მწერალი, პონტინის საუბრების ორგანიზატორი.

³ პონტინი — ქალაქი, სადაც მწერლები იკრიბებოდნენ.

⁴ ფრობენიუსი, ლეო (1873-1939) — გერმანელი ეთნოლოგი და ფილოსოფოსი.

ნის არსებობას, — ამბობს მელბერგი, — იგი ადამიანს დაუსრულებლობასთან აკავშირებს... ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვართ ადამიანები, რომ ვაზროვნებთ; მაგრამ ჩვენ იმას ვაზროვნებთ, რის უფლებასაც ისტორია გვაძლევს, ხოლო თვით ისტორიას, ალბათ არა აქვს აზრი. ჩვენ კი არ შეგვიძლია ავითანოთ ის, რომ ისტორიას არ ჰქონდეს აზრი. ვუწოდებთ ჩვენს აზრს ისტორიას თუ სხვა რამეს, ჩვენთვის აუცილებელია შემეცნებადი სამყარო. „ვეცით ჩვენ აზრი, თუ არ ვიცით, მას, მხოლოდ მას შეუძლია დააცხროს ჩვენი უკიდურესი სურვილი სხვაზე მეტხანს ცხოვრებისა. უკეთეს მენტალური სტრუქტურები პლენიფიკატორთა მხატვრულ დაუსრულებლად ქრებიან, უკეთეს ცივილიზაციები მხოლოდ იმისთვის არიან გამოსადეგნი, რომ ადამიანი ერთიმეორის მიუღწევლობით არარსობის უძირო კურორტში ჰყაროს, უკეთეს ადამიანის არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ერთი უღმრთესი მეტამორფოზის ფასად გრძელდება, რაღა მნიშვნელობა ჰქონია იმას, რომ ადამიანები რამდენიმე საუკუნის მანძილზე ერთმანეთს გადასცემენ თავიანთ ცნებებს და ტექნიკას: რამეთუ ადამიანი შემთხვევითობაა, ხოლო სამყარო, თვით თავისი არსებით, დავიწყებისგანაა შექმნილი“.

მელბერგში მალრომ ნაწილობრივ საკუთარი თავი, თავისი ნეგატიური მხარე განახიერა. როცა გასაუბრების რომელიმე მონაწილე დაიჟინებს, რომ ეს მსჯელობა პარადოქსია, რომ ადამიანში არის რაღაც მარადიული, რომ ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ეგვიპტური თუ გოთური ხელოვნების ნაწარმოები, მელბერგი მიუგებს, ხელოვანი (და ის ადამიანები, რომელთაც ხელოვნება ესმით) გამოჩაგდის არისო. ქრისტიანულ სამყაროში მრავლად იყვნენ არა-ქრისტიანი ადამიანები, როგორც ეგვიპტეში იყო უამრავი მიწათმოქმედი, რომლებიც არ იყვნენ ეგვიპტელები. კვლავ პოულობთ თქვენ ძველებურ ბედლებს, ძველებურ მკას? — რა საკვირველია.

„რაც უფრო ნაკლებ უკავშირდებიან ადამიანები თავიანთ ცივილიზაციას, იმდენად უფრო მეტად ჰგვანან ისინი ერთმანეთს. გეთანხმებით! მაგრამ რამდენადაც ნაკლებად უკავშირდებიან, იმდენად უფრო წარმავალნი არიან... შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანის ერთგვარი მუდმივობა, მაგრამ ეს მუდმივობა არარსობაა... აზრის მიღმა თქვენ ხან ძალღთან გაქვთ საქმე, ხან ვეფხვთან, თუ გნებავთ, ლომთანაც. მაგრამ ყოველთვის პირუტყვთან კი. ყოველი ადამიანი ჭამს, სვამს, სძინავს, ცხადია, ავხორცობს კიდეც. მაგრამ ერთსა და იმავეს არ ჭამენ, ერთსა და იმავეს არ სვამენ, ერთსა და იმავე სიზმარს არ ხედავენ. როცა უსიზმროდ სძინავთ, მათ საერთო მხოლოდ ძილი აქვთ, — ძილი და სიკვდილი“.

აქ არ უნდა დაგვაფიქსედეს, რომ საქმე გასაუბრებას ეხება. მელბერგის თეზისი უკიდურესად გადაჭარბებულია და მალრომ ეს კარგად იცის. გასაუბრების მეორე მონაწილე არ ხედავს მიზეზს, რომელიც ხელს უშლის კაცობრიობის არსებობას ისტორია გახდეს. „უველლად დიდი ხაიდუმლოება, — ამბობს ვალტერ ბერუფი, — ის კი არ არის, რომ ჩვენ ალაღბედზე ვართ გადაგდებული მატერიის ხიუხვება და მნათობთა დოვლათს შუა, არამედ ის, რომ ამ საპყრობილეში შევძელით ჩვენი თავიდან ამოგვენთხია საკმაოდ ძლიერი სახეები, რათა ჩვენი არარსებობა უკუგვეგდოს“. ამავე იდეას შევხვდებით, როცა შევეხებით მალროს აზრებს ხელოვნებაზე. მაგრამ ისტორია შემოქმედების სხვა ფორმაა. ის გონებისათვის მისაწვდომ წესრიგს თავს ახვევს ერთი შეხედვით ქაოტური ფაქტების მასას, და ამ როლს მეცნიერებაც ასრულებს. მალრო არ სცნობს ჰეგელიანიზმისა ან მარქსიზმის ყოვლისშემძლე ისტორიას, ამ ერთგვარ შეუქცევ ნაკადს, რომელიც კაცობრიობას გაიტაცებს. ისტორია იქმნება ადამიანის ნებისყოფით ყოველ წუთსა და დედამიწის ყოველ წერტილში. „ადამიანი ის არ არის, რასაც მაღავს... ხაიდუმლოებათა ერთი უბადრუკი გროვა... ადამიანი ის არის, რასაც აკეთებს“.

მერე რა უშავს, თუ ათასწლეულების შემდეგ გაუგებარი გახდება ის, რასაც ადამიანი აკეთებს, როგორც გაუგებარია დღეს მთვარე-მეფეები ან ადამიანი-პანტერები. პეგიმ უკვე გვაჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც შთამომავლობას მიმართავენ, არაოდეს დაფიქრებულან, თუ რა არის შთამომავლობა. „რომ შთამომავლები მათ გვანან, რომ შთამომავლები ისინი თვითონ არიან, ოდნე უფრო მოგვიანებით... მათ სურთ შთამომავლები მოხმართლები გახადონ. შთამომავლობას კი ალბათ, სხვა თავსატეხი საქმეები — თავისი საკუთარი საქმეები ექნება“. პეგი მართალია, შთამომავლები, დიახაც, ცხადია, დაინტერესებულნი იყვნენ კეისრით, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე რომელიმე პატარა სამინისტროთი (თავის დროზე), ნაკლებად, ვიდრე რომელიმე კინოვარსკვლავით (ჩვენს დროში). შთამომავლები კიდეც ფიქრობენ კეისარზე, ლუი XIV-ზე, მაგრამ არც ისე ხშირად. და თუ მათ მაინც აგონდებათ ლუი XIV, ეს დაკავშირებულია ვერსალთან ან სენ-სიმონთან, ესე იგი, ხელოვნების ნაწარმოებთან. ეს ჩვენ

უკან გვაბრუნებს ფუნდამენტურ აზრთან: ადამიანი ის არის, რასაც აკეთებს, ანდა რასაც აკეთებინებს.

მალრო და მისი გმირები გულგრილად სრულიადაც არ უყურებენ იმას, რომ ისტორიაში თავისი ადგილი მოიპოვონ. „არსებობდე ადამიანთა მრავალრიცხოვან ჯგუფში, და შესაძლებელია დიდი ხნით. მე მინდა ამ რუკაზე ნაჭრილობები დაფტოვო. რაღაც იმედოვნებული ვარ ჩემი სიკვდილის წინააღმდეგ ვითამაშო, მირჩევნია ოც სხვადასხვა ტექნიკა ვითამაშო, ვიდრე ერთ ბავშვს“. ოც ტომს? უკეთესი იქნება მთელ ერს, მთელ უძველეს ერს, რომელიც გმირს თავისი წარსულის და თავისი დიდების აურაცხელი საუნჯით აჩილდობს. რამეთუ ხალხიც ხომ ის არის, რაც მან გააკეთა.

„ქვის მსგავსად კოსმოსთან შეუღლებული, — აი, ვინ არის ფრანგი გლეხი... ოდნავ შეღებული კარი, თეთრეული, ბეღელი, ადამიანის კვალი, ბიბლიური განთიადი, სადაც საუკუნეების ტევა არ არის, რა ხილრმეს იძენს დილის თვალისმომკრელი იდუმალება მასში, ვინც ამ გაცვეთილ ბაგეებს წეებო! როგორც კი ადამიანის იდუმალება ამ ბუნდოვან ღიმილში იჩენს თავს, მიწის გამოღვიძება მხოლოდ და მხოლოდ მოცახცახე დეკორაციაა და სხვა არაფერი.

ახლა მესმის, რას ნიშნავდა ძველისძველი მითები ადამიანებისთვის, რომლებიც სიკვდილს იუვნენ გამოგლეჯილნი. შიში თითქმის აღარ მაგონდება. მე ჩემს თავში მხოლოდ უბრალო და წმინდა საიდუმლოების აღმოჩენას ვატარებ.

შესაძლებელია სწორედ ასე შეხედა ღმერთმა პირველ ადამიანს...“

წმიდათაწმიდის კოსმოსური გრძნობა, საფრანგეთის ისტორიული გრძნობა, — შესაძლებელია სწორედ ეს არის უველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანი რამ მომწიფებულ მალროში.

IV

ეროტიზმი და სიუვარული

მრავალი ადამიანი ფიქრობს, რომ მან ჰპოვა აბსოლუტი სიუვარულში — ერთსა და იმავე დროს ხორციელსა და მისტიკურ მთლიანობაში. მაგრამ მალროს გმირები ასეთნი არ არიან. ისინი თავშესაფარს ეძებენ არა სიუვარულში, არამედ ეროტიზმში. „თუ წიგნში ნაჩვენებ ფიზიკურ სიუვარულში იძულების აზრია შერეული, ასეთ წიგნში ეროტიზმია“ — წერს მალრო „სახიფათო კავშირების“ წინასიტყვაობაში.

თითქმის უოველი კაცი, რომელსაც მალრო აგვიწერს, ისეთ სიტუაციაზე ოცნებობს, რომელშიც ის ქალს ძალდატანებით ეხვევა ან რაიმე ტყივილს აყენებს. მისთვის ქალი სიამოვნების საგანია, ქალის სხეული საგანია საგანთა შორის.

„რა იგრძენი იმის შემდეგ, რაც პირველ ქალთან დაწევი? — იკითხა ეიზორმა. ჩენმა თითები ერთმანეთს გადააქდო.

— სიამაყე.

— იმისგან, რომ მამაკაცი იყავი?

— იმისგან, რომ ქალი არ ვიყავი.

მის ხმაში ბოლმა აღარ ფლერდა, არამედ რაღაც რთული გრძნობა ზიზღისა.

დაძალება, შეზიზღება და ამით შენი სიძლიერის დამტკიცება, — აი, რას ეძებენ ეროტიზმისაგან ფერალი („ადამიანური არსებობა“) და პერკენი („სამეფო გზა“), მათ მოსწონთ, რომ მსხვერპლი (პარტნიორზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლება) მათ არ ნებდება. მათი სურვილია, რომ ქალი უსახო იყოს. რომ ის უბრალოდ „სხვა სქესის იყოს“. პერკენს სწამს, რომ თითქმის უველა მამაკაცი გულის სიღრმეში ქალთმოდულა. „სხეულს ეუფლებოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მას სცემდა“. რაც შეეხება ფერალს, „იგი სიამოვნებას განიცდიდა იმის გამო, რომ თავს სხვის ადგილზე გრძნობდა, აქ უველაფერი ნათელი იყო. სხვის, იძულებულის, მის მიერ იძულებულის ადგილზე“.

ეს პოზიცია ქალის სიშმაგესა და სიძულვილს ამართლებს. აი, ვალერის, ძლიერი ქალის წერილი ფერალისადმი: „მე იმ ქალების რიცხვს არ ვეკუთვნი, ძვირფასო, რომელთაც ეუფლებიან, მე ის უგონო სხეული არა ვარ, რომლის მოტყუებით ჰპოვებენ სიამოვნებას და ისე ატყუებენ, როგორც ბავშვებსა და ავადმყოფებს. თქვენ, ჩემო კარგო, ბევრი რამ იცით, მაგრამ შესაძლებელია ისე მოკვდეთ, ვერც კი შეამჩნიოთ, რომ ქალიც ადამიანია... არ მსურს ვიყო მხოლოდ სხეული ისევე, როგორც თქვენ არა ხართ მხოლოდ ჩვეის წიგნაკი“. კლოდ მო-

რიაკმა! გვიჩვენა, რომ კოლეტის ზოგიერთი აღსარება მალროს ვაღერის აღსარებებს უაქოდ-
დება. რა იცის მამაკაცმა ქალის მგრძნობელობაზე? თითქმის არაფერი. მხოლოდ ის, რაც
ქალს უნდა გამოხატოს, ან რისი მოჩვენებაც უნდა.

მაგრამ მალროს მამაკაცებში ეს არცოდნა მწვავე განცდებს იწვევს. კლოდ მორიაკი აღნიშ-
ნავს, რომ დ. ჰ. ლოურენსი² მალროს იმით აჯადოებს, რომ ცდილობს ეროტიკულ ცდას
ქალის თვალსაზრისით დააკვირდეს. „არცერთ მამაკაცს არ შეუძლია იმსჯელოს ქალზე, — ან-
ბობს ვაღერი, იმიტომ, რომ არცერთ მამაკაცს არ ესმის, რომ ყოველი ახალი კოსმეტიკა, ყო-
ველი ახალი კაბა, ყოველი ახალი სატრფო, — ყოველთვის ახალი სულია“. და ეს ქეშმარი-
ტებაა. ფერალს ეს არ ესმის. ამიტომაც, ცდილობს ვაღერი დათრგუნოს.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ეროტიზმს, რომელსაც იძულებითი ზომები სურს იხმაროს,
სადიზმთან, ტკივილის მიუყენებასთან მიჰყავს ადამიანი. აქედან ერთი ნაბიჯია მანიაკურ
მკვლევლობამდე. ტერორისტი იმით იწყებს, რომ თავისი საქციელის ეშინია. მერე კი მოდის
სიამოვნება. ჩენიც, როგორც მრავალი სხვა, სისხლისღვრის სურვილითაა შეპყრობილი. „თით-
ქმის ეროტიკული გატაცებაა სიკვდილით“ — წერს გაეთან პიკონი, ხოლო მარსელ ტიებო ამ-
ბობს: „სისხლი სდის ამ რომანს“. რომელიმე ჩენისთვის მკვლევლობის გახსენება იმდენად სი-
დისის ქენჭია არ არის, რამდენადაც სანატრელი რამ. ტერორისტი, რომელმაც ერთხელ მოკ-
ლა, ადამიანის მკამელი ვეფხვივით მის წინ აღმართულ თარჯს დაინახავს, ის მოთხოვნილე-
ბას განიცდის, ისევ და ისევ კლას, ანდა საკუთარი სიცოცხლე გასწიროს. სიკვდილის გამოწვევა
ეროტიზმის ფორმაა, ყოველისშემძლეობის განხორციელება.

ეს სადიზმი მკითხველზეც მოქმედებს, რომელიც რომანს საშინელების მზარდ დაძა-
ბულობაში ჰყავს დატყვევებული. დასასრული „ადამიანური არსებობისა“, სადაც პატიმრები
წამებისა და ორთქლმავლის ქვაბში დაწვის მოლოდინში არიან, თითქმის აუტანელი წასაკითხია.

არის თუ არა ამ ეროტიზმისა და სადიზმის ჯოჯოხეთში ვნება-სიყვარულის ადგილი? დიდი
ხნის ნათქვამია, რომ ვნება-სიყვარული ქრისტიანობის შესანიშნავი აღმოჩენაა, რომელიც და-
კავშირებულია ადამიანის პიროვნების პატივისცემასთან, ქალწულის კულტთან, ბოლოს ჭვარო-
ხნულ ომებთან, როცა მარტოდ დატოვებულ ქალს განსაკუთრებული პრესტიჟით ამკობდნენ.
მაგრამ არსებობენ სიყვარულის სხვა, უფრო ძველი ფორმებიც: ჰექტორის სიყვარული ანდ-
რომაქეს მიმართ, ულისესი პენელოპეს მიმართ, იაკობისა რახილის მიმართ. მიდრეკილება,
რომელშიც რაღაც მტკიცე გრძნობა სურვილს აძლიერებს, არა მარტო შესაძლებელია, არა-
მედ უცვლელად ახასიათებს ყველა განვითარებულ ცივილიზაციას.

მალრო ხანდახან ისეთ სიყვარულს აღწერდა, რომელშიც უმარტივესი სექსუალური მოთ-
ხოვნაღება სხვის ინტუიტიურ გაცნობას ეგუება. მაგალითად, კიოსა და მეის სიყვარუ-
ლი. „ეს ხშირად გამაღიზიანებელი სიყვარული, რომელიც მათ ისე აკავშირებდა ერთმანეთთან,
როგორც ავადმყოფი ბავშვი აკავშირებს ხოლმე მშობლებს, ორივესთვის საერთო აზრი ცხოვ-
რებისა და სიკვდილისა, ხორციელი ურთიერთგაგება... მარტო მეისთვის კიო როდი იყო ის,
რაც მან გააკეთა, ხოლო მარტო კიოსთვის ქალი სულ სხვა რამ იყო, ვიდრე მისი ბიოგრა-
ფია. ერთმანეთის ხვეწნას, რითაც სიყვარული ორ ერთმანეთზე მიკრულ არსებას მარტო-
ბისგან იცავს, ადამიანისთვის კი არ მოაქვს დახმარება, არამედ გიჟისთვის, იმ შეუღარებელი,
ყველაზე უკეთესი ურჩხულისთვის, რაც ყოველი ადამიანი თავისთვისაა და ვინაც თავისი
გულით ირჩევს. მას შემდეგ, რაც დედა მოუყვდა, მეი ერთადერთი არსება იყო, ვისთვისაც
ის უბრალოდ კიო ჟიჟორი კი არა, ყველაზე მჭიდრო თანამზრახველობა იყო. „ნებაყოფლობი-
თი, დაბურობითი, შერჩეული თანამზრახველობა“, — გაიფიქრა მან საოცარი თანხმობით და-
მესთან, თითქოს მისი აზრი უკვე აღარ იყო გაჩენილი სინათლისათვის... „მარტო ამ ქალთან
მაქვს ზიარი სიყვარული, დაფლეთილი იქნება ეს სიყვარული თუ არა, ისე, როგორც სხვებს
ჰყავთ ერთად ავადმყოფი ბავშვები, რომლებიც შესაძლებელია არ გადარჩნენ“... რასაკვირ-
ველია, ეს არ იყო ბედნიერება, ეს იყო რაღაც პრიმიტიული, წყვედიდან შეხამებული რამ,
რაც მას სიმზურვალეს მატებდა და მერე უძრავი ხვეწნით მთავრდებოდა, თითქოს ლოყა ლო-
ყას ედებოდა, — და ეს ერთადერთი რამ მასში სიკვდილივით ძლიერი იყო“.

დიახ, ეს მართლაც სიყვარულია, როგორც ის გრძნობა, რომელიც ანას და კასნერს აკავ-

¹ მორიაკი, კლოდ (1914 წ.) — ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი. ფრანსუა მორიაკის ვაჟი-
შვილი.

² ლოურენსი, დავიდ-ჰერბერტ (1825-1930) — ინგლისელი მწერალი. თავის რომანებში გა-
ნადიდებს ადამიანის ბუნების მარტივ მისწრაფებებს და სექსუალური აქტის თვისებულებას.

შირებს („ზიზლის დრო“). მაგრამ კანონისთვის, ისევე, როგორც კანონი, აბსოლუტი სიუ-
ვარულში არ არის.

აბსოლუტის ხურდა ფული



სხვადასხვა გარეგნობის მალროს უველა გმირი გართული იყო აბსოლუტის, ამ გრაალის¹ რაღაც თავის თავში დასრულებული ურუვეა საგნისა თუ იდეის ძეგლი. რომელსაც შერყევი და გარდამავალი ინდივიდუუმი შეიძლება მოეხდებოდეს. რაკი ღმერთი მკვდარი იყო, მათ დარჩენილათ რევოლუცია, იმედი. მაგრამ მისი რწმენა უნდა ჰქონოდათ, მათ კი არ ჰქონდათ რევოლუციის რწმენა. სუფთა მოქმედების ოპიუმი, ოპიუმი ომისა, ერთხანს მარქსისტულმა რწმენამ შეცვალა, მაგრამ ისიც ჩაკვდა თავის მხრივ. ომი საფრანგეთისთვის, ისტორიასთან შე-
რიგება, უფრო ღამაზე გზას სთავაზობდნენ, და სწორედ ეს გზა აირჩია მალრომ. მაგრამ ის ხედავს გადარჩენის სხვა შესაძლებლობასაც, რაც აგრეთვე ისტორიასთანაა დაკავშირებული. ეს არის კულტურა; ეს სხვა ხერხია სამყაროსგან განთავისუფლებისა, ეს არის ახალი სამყა-
როს შექმნის ხელოვნება. „ისტორია ცდილობს ბედისწერა შეგნებად გარდაქმნას, ხოლო ხე-
ლოვნება გარდაქმნას თავისუფლებად“. სხვაგან კი ამბობს: „ხელოვნება ბებრული ხელის ცახცახით სამაგიეროს გადაუხდის გამანადგურებელსა და სულელურ სამყაროს და მას უკვდავებას აძლევს“.

უოველი დიდი ხელოვნება შემოქმედებაა. იგი ბადებს ძლიერ გრძნობას, მაგრამ სრუ-
ლიადაც აუცილებლად არ წარმოსახავს იმას, რამაც ეს გრძნობა გამოიწვია ცხოვრებაში. „თვალწარმტაცი მზის ჩასვლა სურათზე უბრალოდ ღამაში მზის ჩასვლა როდია, ეს დიდი მხატვრისეული მზის ჩასვლაა“. მალროს აზრი რომ გასაგები გავხადოთ მუსიკის მაგა-
ლითის შემწეობით, ასე ვიტყვით: ტუის ჩურჩული „ზიგურიდში“ ჩიტების სიმღერა კი არ არის, ვაგნერის სიმღერაა. მალროს მოჰყავს კასისელი გარაჟის პატრონის სიტყვები, რომე-
ლიც რენუარის ხატვას ესწრებოდა ხოლმე: „მას წინ დიდი სურათი ედგა. გავიფიქრე, მივალ და ვნახავ-მეთქი. ეს იყო შიშველი ქალები, რომლებიც სხვა ადგილას ბანაობდნენ. მე არ ვიცო, რას უყურებდა, მაგრამ მართო ერთ პატარა კუთხეს გადააკეთებდა ხოლმე“. რენუარის ხილვა იმდენად ზღვის ცქერის განსაკუთრებული მანერა კი არ იყო (რომელიც მან „მრეცხა-
ვებში“ ღელედ გადააკეთა), რამდენადაც სამყაროს შექმნა, რომლის ნაწილი იყო მის მიერ თვალუწვდენელი სივრციდან ამოღებული ლურჯი ფერი“.

ერთი სიტყვით, „დიდი მხატვრები სამყაროს ასლის გადმომღებნი კი არ არიან, მისი მეტოქენი არიან“. ბალზაკი ამბობდა: „მოქალაქეობრივი მდგომარეობის მეტოქეობაო“, მაგრამ ეს ბევრად უფრო მეტია, ეს არის მეტოქეობა სამყაროსი და სწორედ ამაშია ხელოვნების შემ-
წეობით ხსნის შესაძლებლობა. მშვენიერ ნაწარმოებში დისპარმონია ადამიანსა და კოს-
მოსს შორის ქრება. ხელოვანი წუვეტს აბსურდულ ადამიანად ყოფნას. ნაწარმოები არის „სამყაროს ნაწილი, რომელსაც ადამიანმა მიმართულება მისცა“. ხელოვანი კარგავს დამოუ-
კიდებლობის შეგრძნებას, როგორც კოსმონავტი კარგავს სიმძიმის შეგრძნებას. იგი უსხლ-
ტება სოციალურ მიზიდულობას. ეს მხოლოდ იერსახეა. ბალეტში მოცეკვავეთა სიმსუბუქე ჩვენ სიმძიმისაგან გვათავისუფლებს. უოლტ დისნეის მულტიპლიკაცია ნიუტონზე გამარჯვება იყო. გენიალური პორტრეტი სურათია, რომელიც თავისთავადაა ძვირფასი, როგორც ასეთი, დამოუკიდებლად იმისა, რომელიმე სახის მსგავსებაა თუ არა პორტრეტი. ტიციაანის ვენე-
რა სიუვარულით გატაცებას კი არ აღძრავს, იგი აღტაცებას იწვევს. ოიდიპოს მეფის წარმოდ-
გენა მაყურებელში თვალების დათხრის სურვილს კი არ აღძრავს, არამედ სურვილს ისევ თეატრში მისვლისა. გათავისუფლებული ხელოვანისაგან თავისუფლების გამოძახილი მის თავყვანისმცემლებამდე სწვდება. „შთამომავლობა ადამიანთა მადლიერებაა გამარჯვებებისათ-
ვის, რომლებიც თითქოს მათ ხაკუთარ გამარჯვებებს უწინასწარმეტყველებდა“.

მე სხვა ადგილას მოგახსენეთ, რატომ ვფიქრობ, რომ ხელოვანი ისევე, როგორც მეც-
ნიერი, ბუნებაზე მხოლოდ მისი დამორჩილებით, ან უფრო ზუსტად, მისგან თავისი ნაწარმოე-
ბებისათვის მახალის სესხებით მბრძანებლობს. საჭიროა, რომ ხელოვნებამ სწორედ ბუ-
ნების ძალები დაიმორჩილოს და არა ხულის მოქნილი ფანტომები. ამაღლებული მაშინ იბა-

¹ გრაალი — შუა საუკუნეების რომანებში მოხეტიალე რაინდთა საძებარი საგანი — თასი, რომელშიც ქრისტეს სისხლი იყო დაგროვილი და უმაღლესი სულიერი ფასეულობის საგნად მიიჩნევდნენ.

დება, როცა უდიდესი გარდატეხები (ვინა, ჭეკა-ჟუხილი, ქარიშხალი, ომი) ხელოვანის მიერ რაიმე ფორმაშია მომწყვდეული. ყველაზე საშინელი დრამები შექსპირის გენიის წყალობით ყველაზე მაღალი პოეზიის წყაროდ არიან ქცეული. დოსტოევსკი წერს: „თავი და თავი არის, კარამაზოვებისგან ხელოვნების ნაწარმოები შევქმნა“. მალრო თანახმაა, რომ ხელოვნება მინიმუმამდე დაიყვანოს რეალურობიდან ნახესხები ფორმები, გაამარტივოს ისინი და გამოიგონოს კიდევ უდიდესი თანამედროვე მხატვრობა უარყოფს „დაკმაყოფილების სტანდარტებს“, საზოგადოების მგრძნობიარობისა თუ გრძნობიერების დაკმაყოფილებას, რათა იცხოვროს თავის საკუთარ სამყაროში, სადაც იგი ისევ და ისევ ხვდება წარსულის უდიდეს მხატვრებს, წინაისტორიული წარსულისა და კი, რომელსაც მათი ხელოვნება აშუქებს. მანე, ბრაკი, რუო² საშუალებას გვაძლევენ აღვიქვათ უდიდესი ბუდისტური, სუმერული, წინარე-კლუმბური ხელოვნება. თანამედროვე ხელოვნების წინა ეპოქებში, კხმერულში და მეტად-რე პოლინეზიურში, ქანდაკებებს საერთოდ ვერ ხედავდნენ, რამეთუ მათ არ უყურებდნენ.

კულტურა მემკვიდრეობაა. უდიდესი კულტურა მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობას შეიცავს თავის თავში. „ყოველი კულტურა გულისხმობს, დაიცვას, გაამდიდროს და ისე გარდაქმნას, რომ არ დააძაბუნოს ადამიანის იდეალური სახე, მიღებული იმათ მიერ, ვინაც შემდგომში უნდა გარდაქმნას იგი. და თუ დღეს ჩვენ ვხედავთ წარსულით მგზნებარედ დაინტერესებულ ქვეყნებს, — რუსეთს, მთელ ამერიკას, რომლებიც დღეს უფრო მეტსა და მეტ უპრადღეობას იჩენენ წარსულის მიმართ, ეს იმიტომ, რომ კულტურა მემკვიდრეობით მიღებული განსაზღვრული ხარისხია სამყაროსი“. წარმოსახვითი მუზეუმის წყალობით, რომელიც ახლა ყველასთვის გახსნილია, ყველა ეპოქის ხელოვნება მისაწვდომი ხდება. იქ ადამიანები მყარსა და გარკვეული თვალსაზრისით მარადიულ ფასეულობებს ხედავენ.

ხელოვნებასთან ასეთი ზიარება კვანძავს კავშირებს, რომლებიც „ადამიანებს საშუალებას აძლევს უკვე აღარ იგრძნონ თავი სამყაროში შემთხვევითობად“. მე თვითონ მაგონდება, თუ რაოდენ ავლელდი, როცა ამ ზაფხულს სოფლად ორმოცამდე სტუდენტი მეწვია დედამიწის ყველა მხრიდან: შავები და ყვითლები, ამერიკელები და საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, და აღმოვაჩინე, თუ რაოდენ ადვილი იყო მათთან ურთიერთობა სტენდალზე და ჩეხოვზე, მელოდოსა და დოსტოევსკიზე, ხოკუსაიზე⁴ და სეზანზე საუბრით. „ხელოვნება ანტიბედისწერაა“. ის ძველისძველ ველურ ბედისწერას უპირისპირებს სხვა ბედისწერას, ადამიანის ხელით შექმნილს.

ეს არის ერთგვარი ხელახლა ნაპოვნი დრო (პრუსტის აზრით) ზოგადსაკაცობრიო მასშტაბით. „ყოველი ხელოვანის გამარჯვება თავის მონობაზე ერთი ნაწილია ხელოვნების გამარჯვებისა კაცობრიობის ბედზე“. ჰუმანიზმი, — გვასწავლის მალრო, ის კი არ არის, რომ ვთქვათ (როგორც გიომე ამბობს სენტ-ეგზიუპერის მიხედვით): „ის, რაც მე გავაკეთე, არცერთ პირუტყვს არ შეუძლია გააკეთოს“, არამედ უფრო ის, რომ ვთქვათ: „ჩვენ ყველაფერი უკუვაგდეთ, რაც ჩვენში პირუტყვს სურდა და გვინდა ადამიანი ვპოვოთ ყველგან, სადაც ვხვდებით იმას, რაც გვთრგუნავს“. მორწმუნე კაცი საკმაოდ მერყევად ჩათვლის ადამიანის გამძლეობას ამდენ მეტამორფოზებში. ხვალ ერთ თერმობირთვულ ბომბს შეუძლია ერთიანად მოსპოს, როგორც შაგალის ვიტრაჟები და პიკასოს „ცისფერი პერიოდის“ სურათები, ასევე შემფისის დინასტიის ფარაონთა ქანდაკებები. მართალი რომ ვთქვათ, ამას ნაკლები მნიშვნელობა ექნება, რამეთუ ეს მჭევრვარება იმათთან ერთად გაქრება, ვინც მას გამოსცდის და რაკი ცოცხალი აღარავინ დარჩება, არც ვინმე მოისურვებს სიკვდილს გადაურჩეს. მაგრამ „საუცხოოა, როცა პირუტყვი, რომელიც სიკვდილის მოლოდინშია, ბუნდოვანების ირონიას თანავარსკვლავედთა სიმღერას სტაცებს და მას მომავალ საუკუნეებში სტყორცნის, რათა ამ საუკუნეებს უცნობი სიტყვები მოასმენინოს“.

¹ ბრაკი, ეორჟ (1882—1963) — ფრანგი მხატვარი, კუბიზმის მიმდინარეობის ორგანიზატორი პიკასოსთან ერთად. ავტორია ნატიურმოტებისა. მოხატული აქვს ლუვრის ეტრუსკული დარბაზის პლაფონი.

² რუო, ეორჟ (1871—1958) — ფრანგი მხატვარი. თავისი შემოქმედებით ახლოს დგას ფოვიზმთან და იმპრესიონიზმთან.

³ მელოდი, პერმან (1818—1891) — ამერიკელი მწერალი, ყოფილი მეზღვაური, ავტორი რომანებისა „მობი დიკი“ და „ბილი ბადი“.

⁴ ხოკუსაი (1760-1849) — იაპონელი მხატვარი და გრაფიკოსი.

⁵ შაგალი, მარკ (1887) — ფრანგი მხატვარი და გრაფიკოსი, ჩამომავლობით რუსი. მოხატული აქვს პარიზის თეატრის პლაფონი.

ეს თემა პრუსტიანაა, როცა ის ბერგოტის სიკვდილს აღწერს. „ის დასაფლავეს, მაგრამ მთელ ღამეს განათებულ ვიტრინებში მისი სამ-სამად დალაგებული წიგნები ფრთაგაშლილი ან-გელოზებივით ფხიზლობდნენ და ეს მისთვის, ვინც წავიდა, თითქმის აღდგომის სიმბოლო იყო“. ამაზე მაღროს გამოძახილი გვესმის: „სალამოს, როცა რებრანდტი ჯერ კიდევ ხატავს, ყველა სხეულმანანი პარდილი, აგრეთვე გამოქვაბულთა მხატვრები მერყევენ წელს უთვალთვალეზენ, რომელიც დახატავს მომავალში. კვლავ იცოცხლებენ, თუ კვლავ მძლავრ ჩაიძირებიან ისინი... და ეს ხელი, რომლის თრთოლვას ათასწლეულები ბინდში უთვალთვალეზენ, რაღაც იღუმალებით, რაღაც უმაღლესი ძალით თრთის, როგორც ადამიანის ძლიერებისა და დიდების გამოვლინება“. მაღრო თავის ხელოვნების ფილოსოფიაში იმავე კოსმოსურ აზრს გვიმტლავნებს, იმავე საუკუნეების მომცველ პანორამული ხილვის მიდრეკილებას გვიჩვენებს, რომელსაც თავის ისტორიის ფილოსოფიაში. ხელოვნებაში მან აბსოლუტის ხურდა ფული მოიპოვა.

მაგრამ მხოლოდ ხურდა ფული. ფლობერი მხატვარს წმინდანსა და გმირზე მაღლა აყენებდა და მწერლისგან მოითხოვდა, რომ იგი სამყაროს და ვნებებს გაქცეოდა. „შენ, ჩემო კარგო, დათრობას. ომსა და სიუვარულს მარტო მაშინ აღწერ კარგად, თუ არც ღოთი ხარ, არც მიჭნური, არც ჯარისკაცი...“. „ამგვარი აზრი გაუგებარი იქნებოდა, — წერს მაღრო, — ესქილესთვის და კორნელისთვის, ჰიუგოსთვის და შატობრიანისთვის. და დოსტოვესკისთვისაც კი. ესთეტიკოსი მაღრო სამართლიანად თვლის, რომ ვნება კი არ ღუპავს ხელოვნების ნაწარმოებს, (როგორც ამას ფლობერი ფიქრობდა), არამედ დამტკიცების სურვილი. შედეგრი შეიძლება „ანგაფირებული“ იყოს. მაგრამ არ უნდა იყოს დიდაქტიკური. ის არ უნდა იძლეოდეს დამოწმებას მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლოდ, თუმცა მას კარგად შეუძლია შეცვალოს ემოციურ ფასეულობათა შკალა. მაგალითად, კონფიდენციალურად ინდივიდუალიზში (სტენდალისა) შეცვალოს მამაკაცთა ძმური კავშირის (სენტ-ეგჯიუპერის) სასარგებლოდ. საბოლოო ჯამში მაღრო სწორედ ამას აკეთებდა თავის რომანებში, — და ცხოვრებაშიც. მე რომ ანდრე მაღროს ბიოგრაფია ოდესმე დამეწერა, რაც არ მოხდება იმიტომ, რომ ის ძალიან ახალგაზრდაა, მე კი ძალიან მოხუცი. მას ამ ბალზაკისეულ სათაურს მივცემდი: „ანდრე მაღრო, ანუ ძიება აბსოლუტისა“.

ლუი არაგონი

სიკვდილით დასჯა

არაგონი ერთ-ერთი დიდი მწერალია იმ ორ თუ სამ მწერალთან ერთად, რომლებიც ჩვენს დროში მოღვაწეობენ. ის ერთი მხრით სალაპარაკო ენით წერს. მან ყველაზე უკეთესად დაიჭირა ცოცხალი ფრანგული ენის მუსიკა, მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებები, რომლებიც სუნთქვისა და აზრის რიტმს მისდევენ, არა მთლად თანმიმდევრული, მაგრამ ფრიად ნათელი სინტაქსი, რაც ფრანგი ხალხისთვის არის დამახასიათებელი. მეორე მხრით, იგი ფლობს უზარმაზარ კულტურას. წაკითხული აქვს ყველაფერი, რასაც ყველა კითხულობს, და ყველაფერი, რასაც არავინ კითხულობს. მას უყვარს შუა საუკუნეების ძველი კილოყავების „ქუჩაბანდებში ხეტიალი“. ფიზიკურ ნეტარებას ჰგვრის წინადადებებში სიტყვების გადაწვე-გადმოწევა, რათა ნამყო დროის მიმდევობა ან ზმნის განუსაზღვრელი ფორმა ისეთ ადგილზე დასვას, რომელიც უფრო ბუნებრივი იქნებოდა XVI საუკუნის პოეტისათვის, დღეს კი გვაკვირვებს. აქედან გამომდინარეობს საუცხოო დისონანსები. ისინი აფხიზლებენ და ახალისებენ მკითხველს. არ არსებობს უკეთესი ფრანგული პროზა.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში არაგონმა დადას მონძაობაში და სიურრეალისტურ დაჯგუფებაში გაიარა სკოლა. აქ მან ისწავლა, როგორ ამოხეხულიყო დადგენილი წესრიგის წინააღმდეგ, როგორც იდეების სფეროში, ისე სიტყვების სფეროში, და როგორ ესარგებლა „სახეთი თანამედროვე სისტემით, რომლებშიც ყველა კავშირი გაბედულადაა გაწყვეტილი“. ამ მარტივი ამბოხებიდან ის დაახლოებით 1927 წელს გადავიდა სოციალურ, პოლიტიკურ ამბოხებაზე და კომუნისტურ პარტიაში შევიდა. მაგრამ მან შეინარჩუნა სიურრეალიზმის პერიოდში შეძენილი კომპოზიციის თავისუფლება, რომელიც შემდგომში მისი შემოქმედების ერთ-ერთი მიმზიდველი და ძლიერი მხარე გახდა. „ადამიანებს მუდამ ის აზრი უნდა ჩაუნერგო, — ამბობს არაგონი, — რომ მწერალი თავის შემოქმედებაში წესრიგს არ მისდევს“. ამიერიდან ერთ პარტიასთან, ერთ სიუვარულთან, ერთ სამშობლოსთან დაკავშირებული არაგონი დიდი, ტრადი-

¹ დიდიზში — მთარგმნელის შენიშვნა.

ციული მწერალი ხდება, მაგრამ იგი (საბედნიეროდ) შემოინახავს თავისი პირველი ნაბიჯების ახირებულ მხარეებს. როგორც რომანისტმა, არაგონმა სოციალისტური რეალიზმის გამოყენება და დაცვა დაიწყო. მაგრამ უნდა განვასხვავოთ! რეალიზმში იგი სულაც არ გულისხმობს ნატურალიზმს. ნატურალიზმი სინამდვილის ზედაპირზე მდებარე მოვლენათა გაუბედავი ფორტოგრაფირებაა, არაგონის რეალიზმი პოეტური, სინამდვილის გარდამქმნელი რეალიზმია.

ტოგრაფირება, არაგონის რეალიზმი პოეტური, სინამდვილის გარდასახვითი წყვეტა და შეწყვეტა. ძალიან საინტერესოა თვალი მივადევნოთ იმ ავტორებს, რომელთაც არაგონი წყვეტა და შეწყვეტა. პოეზიაში ბიუგომ, ვერლენმა, აპოლინერმა და უფრო ძველმა, მაგრიამ ამ ახალი რომანის მიხედ-
და შუა საუკუნეების პოეტებმა მოახდინეს მასზე გავლენა. მაგრამ ამ ახალი რომანის მიხედ-
ვით („სიკვდილით დასჯა“) უნდა დავასახელოთ რამდენიმე ინგლისელი: რობერტ ლუის სტივენ-
სონი, (რომელსაც არაგონი უბრალოდ რობერტ ლუისს, ან რ. ლ. ს.-ს უწოდებს), უცნაური
ლუის კეროლი, ავტორი წიგნისა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რომელსაც რეგენნი ბავშ-
ვების მწერლად მიიჩნევენ, ხოლო ისინი, ვინც კითხვა იცის, — ძალიან გამბედავ ფილოსო-
ფოსად და სატირიკოსად თვლიან. ამათ გარდა ჩარლზ ლემსი და ერთ რუსს — დოსტოევსკის.
მე სწორედ არაგონისგან გავიგე, რომ სტივენსონს თავისი რომანის „დოქტორ ჭეკილის და
მისტერ შაიდის უცნაური ისტორიის“ დაწერის აზრი მას შემდეგ მოუვიდა, რაც დოსტოევსკი
წაიკითხა. კინალამ დამავიწყდა შექსპირი, რომლის „ოტელოს“ და „ქარიშხლის“ გრუხუნი თით-
ქოს შორიდან გაისმის მთელი მოთხრობის მანძილზე.

მოგნიშნეთ რა „სიკვდილის მისჯის“ ფონი, საკითხავია, რას წარმოადგენს ეს ნაწარმოები. რომანია? დიახ, რომანია და შესაძლებელია თანამედროვე რეალისტური რომანი იყოს „თავისი სიძნელეებით, თავისი წინააღმდეგობებით და პრობლემებით“. ვინაიდან, თუ თანამედროვე რეალიზმის ხასიათს მთავარი მნიშვნელობა აქვს, განა რომანიც და მისი პერსონაჟებიც არ ღვანან ამ საფრთხის წინაშე, რომ ნახევარი წლის შემდეგ არარეალისტური გახდებიან, როცა ეს პერსონაჟები ექვის ქვეშ დადგებიან ისტორიის მსვლელობის შედეგად? არაგონი თავის თავს ამ კითხვას უხვამს. მე კი ვუპასუხებ: არავითარი საშიშროება არ არის, თუ სცენა ნიჭიერად, პოეტურადაა აღწერილი, ის მუდამ თანამედროვე იქნება. აიღეთ ვიქტორ ჰიუგოს „დანახული მოვლენები“. იგი არ მოძველებულა. არც „სიკვდილის მისჯის“ ისტორიული ეპიზოდები მოძველდებიან: ცოცხალი მოთხრობა გორკის დაკრძალვისა, მოთხრობა ანგულემისკენ უკანდახევაზე 1940 წელს, ელზასში შესვლა 1918 წელს. თუ ამ წიგნს გარკვეული თვალსაზრისით შევხედეთ, იგი თანამედროვე ისტორიის ერთ მონაკვეთს წარმოადგენს.

მაგრამ ეს აგრეთვე (და განსაკუთრებით) პირანდელოს უადრესი რომანია, რომანი გაორებული
თუ გასამებული ადამიანზე, როგორც თვით რომანისტი. რამეთუ ყოველ შემოქმედში თანაარ-
სებობენ: ერთი ადამიანი, რომელიც რეალურ სამყაროში ცხოვრობს, რეალური ქალი უყვარს.
ნათელმხილველი, რომელიც მის მიერვე სინამდვილის ნაჭრებიდან აგებულ სამყაროში მოძ-
რაობს; და ბოლოს, ვინაიდან ცოცხალი ადამიანი და ნათელმხილველი ერთი და იგივე არ-
სებაა, ვინაიდან „ადამიანური კომედიის“ ავტორი და ბატონი ონორე დე ბალზაკი ერთი პი-
რანდელი უნდა გახდეს. აქედან წარმოიშვება იდეა იმისა, რომ ავტორმა დროდადრო თავისი
პერსონაჟები სამყაროში სარკის წინ დააყენოს, სადაც ისინი თავის სამ სხვადასხვა გამოსახუ-
ლებას დაინახავენ: ხწორსაც და მრუდსაც. სარკეები, საერთოდ დიდ როლს თამაშობენ თა-
ნამედროვე ზღაპრის სიუჟეტებში. აღისა საოცრებათა ქვეყანაში შიგ სარკეში შეიჭრა და მეო-
რე მხარეს გავიდა, კოკტოს ორფეუსი სიკვდილის სამეფოში სარკის უკან შევარდა. არაგო-
ნის რომანში თავების სახელწოდებაა „ვენეციური სარკე“, „მბრუნავი სარკე“, „გაბზარული
სარკე“.

აზლა, როცა უკვე ბევრი ვიცით ამ რომანზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი პერსონაჟები. ცენტრში მწერალია, ესე იგი არაგონი, მაგრამ ეს მართლ არაგონი არ არის. ის ხშირად პარველი პირით წერს, მაგრამ მისი „მე“ ისევ უმაღლეს ფარავს ხოლმე რომანიტს: ანტუან სახელმოხვეჭილს, ადამიანს: ალფრედს და ლუი არაგონს, შუაკაცს, რომელშიც სინთეზი ხდება, მის გვერდითაა ქალი, მას რომ უყვარს. ეს ელზაა და არცაა ელზა². რომანში იგი განთქმული მომღერალი ქალიცაა და ინგებორგ დ'იუშერიც, რომელთაც უყვართ ანტუანი და ალფრედი. „მე“ მას ხან „ჩურჩულს“ ეძახის, ხან „გვიმრას“. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ანტუანი „გვიმრას“ სიმღერას უსმენდა, თავისი ანარეკლი დაკარგა. და აზლა, სარკეში რომ იყურება,

1. ლემი, ჩარლზ (1775—1834) — ინგლისელი მწერალი-რომანტიკოსი.

² ტრიოლე ელზა (1896—1970) — ფრანგი მწერალი ქალი, არაგონის მეუღლე.

ცარიელ სარკეს ხედავს. „ვერ შევწვევიათ იმ აზრს, რომ ხანამ გვიმრა მღეროდა, ჩემი განოსახულება დაგვარგე... განა სულ ერთი არ არის, რას მღეროდა გვიმრა? Im wunderschönen Monat Mai“... როცა გვიმრა მღერის, ეს ყოველთვის მისი ხმის სასწაულებრივია მაისია. და შე ყოველთვის თავდავიწყებას ვეძლევი“. კაცს, რომელმაც თავი დაივიწყა, აღარ ძალუძს თავის დანახვა. ეს მითია და, როგორც ეველა სხვა საუცხოო მითი, უფრო მდებარე შინაარსის მატარებელია, ვიდრე მისი ავტორი ფიქრობს.

გიორგი მთელია

აღფრედი და „მე“ ექვიანობენ ანტუანზე, რამაც შეიძლება გაგვაკვიროს, რადგან სამივეს ერთი სხეული აქვთ. ცოტას თუ დავუფიქრებთ, მივხვდებით, რომ გატაცებით შეყვარებული მწერალი იტანჯება იმის გამო, რომ ის უმთავრესად უყვართ როგორც მწერალი, და როგორც ადამიანი, ამის გამო ექვიანობს. ბოლოს და ბოლოს აღფრედს ანტუანის მოკვლის სურვილი ებადება. ესე იგი, ებადება სურვილი, რომ თავის მეორე „მეს“ დააწერინოს მკვლელის ისტორია. „საჭირო იყო, რომ სწორედ ანტუანს დაეკანონებინა ადამიანის გაორება, რის შედეგადაც ადამიანი ხედავს, როგორ იბადება მასში მკვლელი“. ეს შემთხვევა სრულიად არ ჰგავს ჭეცილისას და ბაიდიას. ანტუანისა და აღფრედის თამაშში პრობლემა ის არის, შეიყვარებს თუ არ შეიყვარებს მათ გვიმრა. აღფრედი ბოლოს კლავს ანტუანს, რათა გვიმრასთან მარტო დარჩეს. ამის გაკეთება კი შეიძლება სარკის გატეხვით. რომელშიც ანტუანმა ის ის იყო თავისი ანარეკლი დაიჭირა.

აი, როგორია რომანის ერთ-ერთი თემა: დამოკიდებულება შემოქმედსა და ადამიან-მარიონეტს შორის, რომელიც მისი ხაერდენია. შემოქმედების პროცესი რომ უკეთესად გაგვაგებინოს, ჩვენ, აქაოდა გვიმრას უნდა ვაჩვენოთ, საშუალებას ვვაძლევს გავცნოთ ანტუანის ნაწარმოების სამ ნაწევებს: პირველი ძალიან ლამაზი და ამადლევებელი ნაწევებია და ჰქვია „ჩურჩული“. აქ მოქმედება ერთდროულად წარმოებს დანიაშიც, სადაც მინისტრმა სტრუენზემ², დედოფალ კაროლინა-მატილდას საუვარდელმა, იცის, რომ პასუხი უნდა აგოს დანაშაულებრივი გრძნობის, თავდავიწყებისა და ნეტარების გამო („ო, დანიის დედოფალო, უური მიუგდე ჩემს მკლავებში ჩემი გულის ძგერას, ლამისა გამისკდეს!“) და „ჩურჩულის“ საწოლ ოთახში, სადაც იგივე გვიმრა, იგივე დედოფალი კაროლინა-მატილდა და, ცხადია, იგივე ელზა³ არიან. „ო, ჩურჩულო, გეფიცები, არ ვიცო, რა გვეშველებოდა, იმ დროში რომ გვეცხოვრა, როცა ჭერ სივარული არ იცოდნენ?“

საოცრად აღტაცებული ვარ მეორე ნაწევებით, რომელსაც „კარნავალი“ ეწოდება. აქ ჩვენ უფრო ახლოს მივდივართ სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტის, ორი ომის მონაწილე მამაცი ჭარბკაცის არაგონის პირად მოგონებებთან. გამარჯვებული „მე“ ელზასში შედის. აქ კი კვლავ პოულობს „Lieder“-ების ენას — გოეთეს, ჰაინეს, რილკეს⁴ ენას. ის კვლავ პოულობს მოგონებას ფან-კრისტოფზე და რომენ როლანზე, მოინახულებს სოფელ სენენბაიმს, სადაც გოეთე ფრედერიკა ბრიონს შეხვდა. გამარჯვების ამ დღეებში ცხოვრება კარნავალია, სადაც გზაბნეული ნიღბები დაბორიანდებიან. ბიშვილერიდან ჰაგენაუსკენ მიმავალ გზაზე ახპირანტ ბიერ უდრის, — ეს ავტორის კიდევ ერთი ნიღბია, — ელზასელი ახალგაზრდა ქალი შეუყვარდება. მას ბეტინა ჰქვია, ისევე, როგორც ქალბატონ ფონ არნიმს⁴, სრულიად ახალგაზრდამ რომ მუხლი მოუყარა მოზუც გოეთეს. ბიერ უდრის ბეტინა (ანუ ბეტი) ერთ ამერიკელზეა დანიშნული, მათი სიყვარული შორს არ მიდის, მაგრამ იგი გრძელდება ჭერ ისევ ნათელ მოგონებებში, რომლებიც მრავალი წლის შემდეგ გაახსენდება, როცა ერთ მშვენიერ საღამოს სხვა ადამიანთან, „მესთანა“ კონცერტზე და შუშანის „კარნავალს“ უსმენს რიხტერის შეხრულებით.

არის თუ არა „სიკვდილით დასჯა“ პოეტური და ფანტასტიური ავტობიოგრაფია? დიახ, ესეც ასეთია, როგორც არაგონის სხვა მრავალი ნაწარმოები. რომანი ხშირად მისთვის „საიდუმლო პაემანია მის წარსულთან“. მაგრამ აქვე შეიძლება ითქვას, რომ ეს ავტობიოგრაფია

1 ქაიხუნი ლექსების დასაწყისი (ც.კლიდან „ლირიკული ინტერმეცო“, 1827).

2 სტრუენზე, ოტო, ფრიდრიხ, ფონ (1737—1772) — დანიის პრემიერ-მინისტრი 1771—1772 წლებში. დასჯილი იქნა შეთქმულებაში მონაწილეობის გამო.

3 რილკე რაინერ, მარია (1875—1926) — ავსტრიელი პოეტი-სიმბოლისტი, აქვს ლექსების კრებულები „სიმბოლოების წიგნი“, „ახალი ლექსები“, რომანი.

4 არნიმ ბეტინა ფონ (მამით ბრენტანო 1785—1859) — გერმანელი მწერალი ქალი, ჰაიდელბერგელ რომანტიკოსთა ჯგუფის წევრი. ახალგაზრდობაში მიწერ-მოწერა ჰქონდა გოეთესთან, იყო მისი აღტაცებული თავყვანისმცემელი.

კი არ არის, თუნდაც პოეტური, არამედ ერთი გრძელი სამიჯნურო უსტარია ელზასთან, რომელიც სწორედ გვიმრაცაა და აგრეთვე ინგებორგ დ'იუშერიც. ეს სიყვარული არაგონის ცხოვრებით ცენტრშია, ზოლო მის გარშემო „გონებისა და გულის თავაშვებულობის“ წინააღმდეგ, წესრიგში ეწყობიან ადამიანის ერთგულებასა, არა მარტო თავისი სიყვარულის მიმართ, არამედ თავისი პარტიის და საფრანგეთის მიმართაც. ეს გადარეული, ყოველისმომცველი სიყვარული მას უფლებას აძლევს ხელთ ჩაიგდოს რეალურობა. „იმ ქალზე ისე ვფიქრობ, რომ გორც მოვრალი კაცი, ჩემი სიტყვებისთვის არ არსებობს საკმარისად ფარისი“ — ვერა, ჩემს თავზე ცაა დატრიალებული და უოველ ნაბიჯზე შეჩვენება, რომ მის დანახვაზე ძირს დავცდები“.

ზოლოს და ზოლოს რა უოფილა „სიკვდილით დასჯა!“ ოთხას გვერდიანი სამიჯნურო უსტარია! სამარადუამოდ შეყვარებული კაცის წერილი მისი ცხოვრების ერთადერთი ქალთან? „სულერთი არ არის, აღფრედი ვარ თუ ანტუანი? მე გწერ, გვიმრავ, შეტი რა ვითბრა, — ეს იმას ნიშნავს, ყველაფერი თქვა და არაფერი თქვა, როცა ამდენი სიტყვაა ერთად, იგი გამქვარვალე წაღეს შგავს... მე შენ გწერ, რაღა შემიძლია კიდევ ვთქვა? რასაც ვწერ, სხვა არაფერი შეიძლება იყოს. გარდა წერილისა, დაუსრულებელი წერილისა შენთან. მე შენ სახელით ვთამაშობ. ჩემ თავს სხვადასხვა ასაკს, სხვა წარსულს, ცვალებად ბედს ვაძლევ... ნილაბი, მე რომ ვიკეთებ, ძლიერ გრძნობას გამოხატავს, რათა ის დაუფარავმა სახემ აიტანოს. ეს უსიარცხვილობაა, რომლის უკან ვნება იმალება. შეტი რაღა ვთქვა?...“ როგორც ხედავთ, ავტორი თვითონვე ამბობს, რომ აქ ჩვენს წინაშე შენიღბული სასიყვარულო წერილი, ეს მართალია. მაგრამ ჩვენ წინაშე კიდევ სხვა, უფრო მეტი რამ არის. ჩვენ ვატყობდით, რომ ეს არის სხვა და სხვა თემების კონტრაბუნქტი სიყვარულის სიმღერით და, როცა გეჩვენება, ჩაჩუმდით, ისე ისე ურუდ გაისმის ბანებში.

სასიყვარულო უსტარია... პოემა ულამაზეს ფრანგულ ენაზე... რომანი ეჭვიანობაზე... მაგრამ აგრეთვე ესეი რომანის ბუნებაზე, თემა, რომელიც გამუდმებით აღელვებდა და აცდუნებდა არაგონს. უკვე სიუჟეტის მიხედვით ვერადა, რომ რომანი არის „მართალი სიცრუე“ „Let us pretend“ — მოვაჩვენოთ თავი“ — ამბობს ალისა „საოცრებათა ქვეყანაში“. რომანისტი ის ადამიანია, რომელიც როლს თამაშობს. მოვაჩვენოთ თავი, თითქოს ორნი ვართ. აღფრედი და ანტუანი. მან მშვენივრად იცის, რომ ეს მართალი არ არის. მაგრამ ეს ხერხია სიმართლის შენიღბვით თქმისა. „I want to write about a fellow who was to fellow“ ამბობდა რ. ლ. ს. „მე მინდა დავწერო ადამიანიზე, რომელიც ორი ადამიანი იყო“. ასეთი არიან ქვეყილი და ჰაიდი. არაგონი კი ამბობს: „მე მინდა დავწერო ადამიანიზე, რომელიც სარკეში არ ირეკლება, რომელიც ვერ ხედავს თავის თავს“. ტყუის თუ? არა. არსებობს უამრავი ადამიანი, რომლებიც ველარ ხედავენ თავის თავს ისეთებად, როგორიც არიან. მითი ან რომანი ცარიელ სარკეს გვაჩვენებს იმის მაგივრად, რომ ეს უხამსად გამოთქვან. აი, სხვა მითიც: აშკარაა, რომ ერთი და იგივე ფაქტები შეიძლება განხილულ იქნას ეჭვიანობის, ცხოვრებისეული სიმართლის და გაუპიროვნების თვალსაზრისით. სამკარიან სარკეს ეს აბსტრაქტული „დედა კონკრეტულ იდეაში“ შეუავს.

შეიძლება რეალურ ცხოვრებაში რომანისტი იყო. „Let us pretend“ მოვაჩვენოთ თავი, — ამბობს გვიმრა, — თითქოს შენ ორი ხარ, ანტუანი და შენ. ყურადღება მივაქციოთ: გვიმრამ რომანის შექმნა დაიწყო უკუმოქმედებით ცხოვრებას შეუძლია რომანში შეაღწიოს. როცა ბალზაკმა „დაფანტული ოცნებები“ დაწერა, ლუსიენ დე რიუბამპრეს პირველი ნაბიჯები, როგორც მწერლისა და ჟურნალისტისა, თავის პირველ ნაბიჯებს მიაშხავსა, მაგრამ არა იდენტურად. როცა არაგონი აღწერს ფრანგული გარის შესვლას ელზასში, ამას გვიამბობს ის და არც ის. ჩვენ ვამჩნევთ, რომ თბრობის ჩრდილში ერთი წითელი ხვერდის ქუდიანი პერსონაჟია შეყუთული, რომელსაც რომანის გმირი პიერ უდრი არაგონს უწოდებს მოგვიანებით კი ჩვენ ვხედავთ მეორე, ჰალარა არაგონს, რომელიც უსმენს, როცა ის შუშმანის „კარნავალს“ უყრავს. მათგან რომელია ნამდვილი და რომელი კალბი? ერთი ნამდვილია რეალურობის თვალსაზრისით, მეორე — პოეტის თვალსაზრისით. ეს „მართალი სიცრუეა“. პოეზია და სიმართლეო, ამბობდა გოეთე. რომანი სიცრუის ამოღებულ ფორმას. არსებობს ბუნდოვანების ზონა, სადაც ადვილი არ არის გაარჩიო ავტორი მარიონეტისაგან. შეუძლებელია ნამდვილი ქვეშარიტება თქვა, თუ ცოტაოდენი პოეტური სიცრუე არ გაუჩნდეს.

როგორ არის აგებული ეს რომანი? დიდი ოსტატობით, რათა მოგვეჩვენოს, რომ საერთოდ არანაირად არ არის აგებული. „Let us pretend“ მოვაჩვენოთ თავი, ერთ მრავალმნიშვნელოვან წინადადებას მოგავგონებთ: „ადამიანებს უნდა ჩავუნერგოთ აზრი, რომ

მწერალი არ წერს წესრიგის მიხედვით. გარეგნულად ეს ნაწარმოები ცალკეული ეპიზოდებითა და ხილვებით აკონსტრუირებული მოვლვარე ყელსაბამია. გარეგნულად ეს იმდენადვე „კოლაჟია“, რომლის აწყობა პიკასოს უფვარდა, „კოლაჟი“, შედგენილი შემთხვევით ნაპოვნი და შეგროვილი ლიტერატურული მოვლვებისგან. სინამდვილეში კი ეს არის რომანი, რომელიც დაჭერებული ნაბიჯით მიემართება კვანძის გახსნისკენ, რასაც ანტუანის სიყვარული წარმოადგენს. სარკეთა მრავალსახეობა მოქმედების ღერძს გვინიშნავს: „მედიკალიზებული სარკე“, „სარკე ბოროტი“, „მბრუნავი სარკე“, „გაბზარული სარკე“ — თავების დასახელებაა, რომლებიც წიგნის ჩონჩხს ქმნიან. მათ შორის ჩართულია წიაღსვლები: წიაღსვლა რომანზე, როგორც სარკეზე, წიაღსვლა სარკეზე, როგორც რომანზე, წერილები გვიმრას მიმართ ექვიანობის რაობაზე და ბოლოს სამი მშვენიერი მოთხრობა, ამოღებული ანტუანის წითელი პორტფელიდან: „ჩურჩული“, „კარნავალი“ და „ოიდიპოსი“.

ოქროს კანონი შესრულებულ იქნა. მოვლენები გარკვეული წესრიგითაა მოთხრობილი, მაგრამ ეს სრულიად არ შეიმჩნევა. მკითხველი ხტის შექსპირიდან გოეთეზე, კვიპროსიდან სენეზიზე, სტრუენზედან მალიბრანზე¹, ავტორი მას ხან მოსკოვში გადაადგდებს, ხან ვენაში, ხან სტრასბურგში, ხან ანგულემში, სადაც ფრთხილად რეალურ დამპყრობთა შორის ბალზაკის ჩრდილს პოულობს. ეს უველაფერი ფანტასტიკურია, დიდებულია, რომანია? პოემა? ესეია? სატრფიალო უსტარია? განა სულერთი არ არის, თუკი ესოდენ მშვენიერია.



¹ მალიბრანი, მარი დე ლა ფელისიდად გარსია (1808—1836) — ფრანგული თპერის მომღერალი ქალი, ჩამომავლობით ესპანელი.

შესანიშნავი რუსი მწერლის კორნეი ჩუკოვსკი „ჩემი უიტმენი“ სამი ნაწილისაგან შედგება: „უიტმენის პოეზია“, „უიტმენის ცხოვრება“ და „ბალახის ფოთლების“ სათავეებს წარმოადგენს მხოლოდ ორი ნაწილი ვთარგმნე, რადგან მესამე ტომს ვერცხვენი ღია და გამოქვეყნებული. ლექსების თარგმნისას პყარედული ნიმუშები მოვიშველიე.

უოლტ უიტმენი ამერიკელი პოეტის ფუძემდებელია. მის შესახებ დაწერილი კარგი წიგნი ქართველი მკითხველისთვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

კორნეი ჩუკოვსკი

ჩემი უიტმენი

თარგმნა ანდრო გუაჩიძემ

უოლტ უიტმენი ჩემი სიჭაბუკის დროინდელი კერპი გახლდათ. ის ჯერ კიდევ 1901 წელს წარმოსდგა ჩემს წინაშე მთელი სისრულით — სამოცდახუთი წლის წინ. ოდესის პორტში, ხუთ შაურად, ვიღაც მეზღვაურისაგან შევიძინე მისი წიგნი და ამ წიგნმა დამავიწყა ყველა და ყველაფერი.

ეს იყო ჩვენი ჰიანჭველური ყოფის წვრილმანებს მოწყვეტილი გოლიათის წიგნი. სული შემიძრა ცხოვრების უიტმენისეულმა ახლებურმა აღქმამ და ჩემს ირგვლივ ყველაფერს სხვაგვარად ვუცქერდი — ვარსკვლავებს, ქალებს, ბალახის ღეროებს, ცხოველებს, ზღვის ჰორიზონტს, კაცთა ცხოვრების წესს. ყოველივე ეს უთვალავი ათასწლეულის ფონზე წამოიშალა ჩემს თვალწინ. მილიონი მზით გაბრწყინებული.

ჩემს ჰაბუკურ გულში მძაფრი გამოძახილი ჰპოვა უიტმენის მოწოდებამ ექსტატიური მეგობრობისაკენ; მე მალეღვებდა მისი თანახმობის, შრომისა და დემოკრატიისადმი მიძღვნილი ჰიმნები; აღმაფრთოვანა სიხარულით აღსავსე თრობამ ყოფიერებით და თამამად ნათქვამმა სიტყვამ სხეულის ემანსიპაციის თაობაზე, ასე რომ აფრთხობდა მაშინდელ პირობონებს.

ბუნებრივია, გამიჩნდა სურვილი სხვებისთვისაც გამეზიარებინა ჩემი გატაცება და მე დავიწყე ხელგაუწაფავად. უსუსურად თარგმნა უიტმენის იმ ლექსებისა, ყველაზე მეტად რომ მალეღვებდა. ნაწყვეტები ამ ჩემულის თარგმანებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დაიბეჭდა ჩემს პირველ წიგნში (1907 წ.). ეს წიგნი უიტმენს ეძღვნებოდა და გამოსცა გამომცემ-

ლობამ, რომელსაც ეწოდებოდა „ახალგაზრდათა წრეები“ (პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულმა). თარგმანები სუსტი იყო და ახლა მათი გადაკითხვაც კი შერცხვნილია; თუმცა წიგნის გამართლება აქვს, რომ რუსეთში ცხოველი ინტერესი აღძრა უოლტ უიტმენისადმი. ამის დასტურად აღორნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიები.

რად თქმა უნდა, წინამდებარე წლის შემდეგ ხელახლა შევუდგენი უიტმენის თარგმანს, რადგან ვგრძნობდი ჩემს დანაშაულს პოეტის წინაშე. ამჯერად ვეცადე უფრო მეტად დავახლოვებულიყავი, არაფერი არ შემეღალატებინა და შემემსუბუქებინა. 1918 წელს ა. მ. გორკის გამომცემლობაში „პარუსი“ მესამედ გამოვეცა ჩემი წიგნი; 1919 წელს — მეოთხედ — მოსკოვში და წითელარმიელთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს გამომცემლობაში (ა. ვ. ლუნაჩარსკის ბოლშევიკთა განყოფილებით). შემდეგ — 1922, 1928, 1981, 1982, 1985 წლებში ხელახლა იცემოდა ეს წიგნი. 1944 წელს „ბალახის ფოთლები“ მეთექვრამე გამოიცა. ამ გამოცემაში უოლტ უიტმენი გაცილებით უფრო სრულად არის წარმოდგენილი ჩემს მიერ გამოცემულ სხვა წიგნებთან შედარებით.

უიტმენის კიდევ უფრო მეტი ლექსია შეტანილი „ბალახის ფოთლების“ ორ რუსულ კრებულში. ეს კრებულები სახლიტგამმა გამოსცა 1958 და 1959 წლებში. ექვრი არ მებარება, რომ ახლოვდება დრო, როცა მომზადდება ოკეანისგალმელი ბარდის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა.

მაგრამ საოცარი ამბავია! — ამას წინათ გადავფურცლე უოლტ უიტმენის ახალი რუსული გამოცემები და ჩემდა გასაკვირად, ვიგრძენი, რომ მის ლექსებში ველარ ეპოვებდი იმ მაგიას ანდა იმ „მაგნეტიზმს“, რომელიც ასე მაქადოვებდა სიჭაბუკის ეპოს. ზოგი რამ მოსაწყენიც კი მერჩვნა.

რად თქმა უნდა, უზარმაზარი ამერიკელი პოეტის შედარებით სრული კრებულის შემეცნებითი ღირებულება ძალზე დიდია, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ერთი სავსებით კანონიერი სურვილი მებატიება: მე მინდა აღვადგინო (ჩემთვის და მკითხველთა ახალი თაობისათვის) ჩემი სიჭაბუკის დროინდელი უოლტ უიტმენი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, გავიხსენო და ამ წიგნში შევიტანო ის ლექსები, რომლებმაც დიდი ზემოქმედება მოახდინეს ჩემზე იმ მაღალ-მოსილ ეპოს, როცა ადამიანის გონება მეტისმეტად მგრძნობიარეა პოეზიისადმი. უოველივე დანარჩენი კი, რაც უინტერესოდ და უცხოოდ მიმაჩნია, ამ მოკრძალებულ კრებულში არ შემიტანია.

„ჩემი უიტმენი“ არავითარ მეცნიერულ მიზნებს არ ისახავს. ლექსები არ არის დალაგებული არც უანრობრივი ნიშნების მიხედვით და არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ისინი იმ წესრიგს დავუქვემდებარე, ჩემმა აღქმამ რომ მიყარნახა.

ზოგი ტექსტი ფრაგმენტულადაა მოტანილი, — სწორედ ისე, როგორც მაშინ წავიკითხე.

აღბათ იტყვიან, ეს სუბიექტური მიდგომააო, მიკერძოებააო, რატომაც არა! ლექსები რომ საიმისოდ არ იწერება, რომ ამა თუ იმ ლიტერატურათმცოდნეობითი ოპუსების ან კიდევ ცრუმეცნიერული დოქტრინების მასალად გამოდგეს. ლექსებს როცა წერენ, პოეტები იმაზე ოცნებობენ, მკითხველმა (უმთავრესად უმაწვილმა) ემოციურად, მთელი არსებით მიიღოს მათი ნაღვანი და ისინი ისე განიცადოს, როგორც საკუთარი ცხოვრების მოვლენა. უოველივე ვარი ლირიკის ფასი ადამიანების გრძნობებზე და ფიქრებზე ზემოქმედების სიძლიერით განისაზღვრება.

სწორედ ამგვარად აღვიქვი მე სიჭაბუკეში უიტმენის კოსმიური პოეზია. ყველაზე ნაკლებად ის ჩემთვის ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენა იყო. ამ წიგნმა შემძინა თითქოსდა სავსებით ახალი მხედველობა, სამყარო განახლებული, ფართო და სიხარულით აღსავსე თვალთ დამანახა. და მჯერა, მოიძებნებთან მკითხველები, რომლებიც ამგვარადვე იგრძნობენ უიტმენის ლექსებს. მათ კი, ვისაც ამერიკელი პოეტის ზემოქმედების ლიტერატურულ-ისტორიული ასპექტი აინტერესებს, შემოძლია ზემოხსენებული 1958 და 1959 წლებში გამოცემული კრებულები მივუთითო.

უიტმენის პოეზია

თუკი გადავწყვეტთ ორიოდ სიტყვის მეშვეობით აღვნიშნოთ, უიტმენის, როგორც პოეტის ის ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება, რომელიც მას სხვა პოეტებისაგან განასხვავებს, უნდა ვთქვათ: ამ ზემოქმედის პოეტური ძალმოსილება ქვეყნიერების დაუსაბამობის არაჩვეულებრივად ცხოველმყოფელ, განუყრელ, ურყევ გრძნობაში ძევს.

აქ ძევს მისი პიროვნების არსი. აქ არის საძიებელი მისი შთაგონების და უდიდესი ლიტერატურული გამარჯვებების წყარო.

მეტ-ნაკლებად ეს გრძნობა ყველა ადამიანს გააჩნია. ადამიანი თავის ვიწრო ყოფით/სამყაროში ცხოვრობს და უეცრად ახსენდება, რომ დედაშიწა მტვრის უმცირესი ნაწილაკია მუდმივად მბრწყინავ ვარსკვლავებში, ქვეყნიერების სივრცეში განფენილი. ჩვენ უწყინსო-ფული კი მილიარდი კილომეტრითა და მილიონი საუკუნითაა გარემოცული. ჩვენს უწყინსო ვარსკვლავიდან გამონათებულ სხივებს, „ვარსკვლავებს შორის, მძვინვარე უინვაში“ უნდა გამოვლწიათ, ჩვენამდე რომ მოსულიყვნენ. ამ „ვარსკვლავებს შორის დახადგურებულ სიცარიელთა მძვინვარე უინვას“ იშვიათად თუ ვგრძნობთ ხოლმე; ალბათ, უფრო მეტად მაშინ, როცა პლანეტარიუმს ვეწვევით. ანდა კაცთაგან შორს, ხადმე ტრიალ მინდორში ამოვყოფთ თავს „შუალამის უფსკრულთან“ პირისპირ დარჩენილნი:

მე ვესწრაფოდი უფსკრულს ღამისას
თაბრუდასხმული და მონუსხული?
თუ უსაშველო ღამე ეამიჯამ
ილტვოდა ჩემსკენ, როგორც უფსკრული.
(ა. ფეტი).

ზოგს ერთი საათით ან ერთი წამით ეუფლება ეს გრძნობა, მერე კი ტოვებს და ქრება ყოველდღიური ცხოვრების ორბიტრიალში.

ამგვარი გრძნობა კაცობრიობისთვის სიახლეა, ცხოველებებისთვის კი სავსებით უცხოა. თავისი ბიოლოგიური სიახლის გამო ის ჭერ კიდევ არ დამკვიდრებულია მტკიცედ ადამიანის ფსიქიკაში.

უოლტ უიტმენს კი სამყაროს დაუსაბამობის მუდმივი განცდა ჰქონდა.

ჩვენ არ ვიცით სხვა პოეტი, დროისა და სივრცის დაუსაბამობის ასეთი ცხოველმყოფელი განცდა რომ ჰქონოდა. უიტმენს ცოცხალი, რეალური გრძნობა ამოძრავებდა და ეს გრძნობა იყო მისი ფიქრების მუდმივი თანამგზავრი. ნებისმიერ ადამიანს, გზად შემხვედრ ნებისმიერ პაწაწინა ნივთსაც კი, პოეტი, ასე ვთქვათ, კოსმიური სივრცეების ფონზე ხედავდა. ამავე ფონზე აღიქვამდა იგი საკუთარ თავს:

მე მარტოოდენ წერტილი ვარ,
მე ვარ ატომი,
სამყაროთა მოტივტივე უდაბნოეთში.

ამიტომაცაა, რომ ეს ლექსები ხშირად ასტრონომის შეთხზული გგონია:

მე ვესტუმრები პლანეტათა ბაღებს
და ვსინჯავ მოწეულ ნაყოფს,
კვინტილიონი ნაყოფია დამწიფებული
და ჭერ კიდევ მწიფს კვინტილიონი.

უიტმენისთვის ნიშნეულია ასტრონომიული ციფრების სიყვარული — მილიონების, კვინტილიონების, მილიარდების:

დიდი ხანია რაც განვლიეთ
ტრილიონი ზამთრები და გაზაფხულები,
მაგრამ ჭერ კიდევ
განსაღვეი გვაქვს ტრილიონი და უფრო მეტიც;
მილიონი მზე გვაქვს მერმისში...
ეს წუთი ჩემთან
მილიონი სხვა წუთების შემდეგ მოვიდა
და ყველაფერზე სანატრელია.

მილიონი — პოეტის საზომი ერთეულია. აი, ის გიყურებთ და თქვენ კი ვერ გხედავთ, ხედავს შთამომავალთა და წინაპართა ჯაჭვს, რომელთა შორისაც თქვენ მხოლოდ მცირე რგოლი

ხართ. შევეითხეთ მას, რომელი საათია და ის გიპასუხებთ: მარადისობა. მე სხვა არავინ შემხვედრია, ასე ცხოველმყოფლად რომ განიცდიდეს საგანთა ცვალებადობას, შედარებას, სრბოლას და ასე რომ გრძნობდეს კოსმოსის მარადიულ დინამიკას.

ასტრონომიამ, ციურმა მექანიკამ, ამერიკაში სწორედ უიტმენის ხიუმანული ენა მოიპოვა დიდი წარმატებები. ცინცინატიში, ფილადელფიასა და კემბრიჯში შენდებულა ჰარველი ობსერვატორიები XIX საუკუნის ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში. უიტმენი, რომელიც უიტმენის თეორიის უფრო მეტად კი იტაცებდა, ვიდრე მეცნიერებათა სხვა დარგები; განა ამიტომაც არ იყო ციური მექანიკის ჭეშმარიტებანი მის ხელში ლექსებად რომ იქცეოდა ხოლმე?

ერთი წამითაც ვერ დაახანებ,
მე და თქვენ, და უთვალავი სამყაროები,
და ყველაფერი, რაც მათ ქვეშ ან ზემოთ ძევს ახლა,
რომ შევერწყათ ერთუროს ამ წუთას
და უმდოვრესი ნისლეულის ნაწილად ვიქცეთ,
ეს ხომ ნამდვილი უსაქმურობა იქნებოდა იმათთვის,
ვისაც წინ გზა უძევს უხანგრძლივესი.
ჩვენ აღმათ აქვე დაებრუნდებოდით და მერე ისევ
წინ გავწევდით სწრაფი ნაბიჯით.
რამდენიმე კვადრილიონი საუკუნე, რამდენიმე ოქტილიონი
კუბური მილი ვერ შეავსებს ამ ერთ წუთს
და ვერც ააჩქარებს,
ისინი ხომ ნაწილებია, და ყველაფერი ნაწილია
თვალი სიშორეს კი გაწვდება,
მავრამ იქით, კიდევ არის სხვა სიშორენი,
და წლებიც რომ მუდამ ითვალს, მაინც ვერ აწყავს.
(„სიმღერა საკუთარ თავზე“).

ამგვარი განცდების ზეგავლენით ქმნიდა უიტმენი თავის ერთადერთ წიგნს, „ბალახის ფოთლები“ რომ უწოდა.

დროის და სივრცის დიად ფიქრებმა
გარემომიცვეს
საკუთარ თავსაც ამ ფიქრებით გზომავე
ერთთავად,
ცილინდრზე რომ ყვავილები მაქვს დაბნეული,
— ათასეული საუკუნის დანაბადია.
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

ეს ყვავილებიც ძვირფასია მისთვის, რადგან ხელშესახებად გრძნობს, რა უსასრულობაა მათში განსხეულებული.

უიტმენი ხედავდა, რომ თვითონაც ამ მარადიულ წრებრუნვაში იყო ჩანთქმული და თავის ზურგსუკან უბრალო ამებიდან მოყოლებული უთვალავ ასწლეულებს და პრეისტორიული წინაპრების უსასრულო ჯაჭვს გრძნობდა:

დიღხანს იღწვოდა ქვეყნიერება ჩემს შესაქმნელად...
სამყაროთა ქარიშხლები დაბრუნავდნენ
და ჩემს აკვანს დაატარებდნენ...
თავად ვარსკვლავნი მითმობდნენ ადგილს,
ვიდრე დედის წიაღიდან გამოვიდოდი,
თაობები ჩემს გზას ჰკვალავდნენ.
ჩემს ჩანასახს საუკუნეთა წიაღში არ უზარმაცია,
მას გზას ვერაფერ ვერ დაუხშობდა.

(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

მატერიის წრებრუნვის ასეთი ცინცხალი გრძნობა მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში შეიძლება წარმოქმნილიყო, როცა ევროპისა და ამერიკის მოწინავე ახალგაზრდობის მსოფლმხედველობაზე მძლავრი ზეგავლენა იქონია გეოლოგიაში, ბიოქიმიაში, პალეონტოლოგიაში და სხვა იმხანად აღორძინებულ მეცნიერებათა დარგებში მიკვლეულმა აღმოჩენებმა. ბუნებისმეცნიერებებმა სწორედ ამ ეპოქაში გამოამჟღავნეს და დააფუძნეს ევოლუციის კანონი, როგორც სამყაროს მეცნიერული წვდომის ერთადერთი ყოვლისმომცველი პრინციპი. შეუძლებელია უიტმენს, პოეტს, რომელსაც ყოველივე არსებულის მედინრობის და ცვალებადობის ასეთი მახვილი გრძნობა გააჩნდა, თავის კოსმოურ გრძნობათათვის საყრდენი არ ეპოვა ევოლუციურ თეორიებში. ამ თეორიების სიღრმეს უიტმენი ვერ ჩაწვდა, თვალსაწიერის სიფართოვე კი ბოლომდე განჭვრიტა და როგორც ყველგან საერთოდ, ის აქაც სიფართოვის მომცველ პოეტად დარჩა. XIX საუკუნის ორმოცდაათიანი, სამოციანი წლების ბუნებისმეცნიერებებმა კოლოსალურად გაფართოვებული კოსმოსი დაანახვეს ადამიანს. უოლტ უიტმენი ამ ახალი კოსმოსის პირველ მეზობედ იქცა:

ქებათა-ქება ზუსტ ცოდნას და პოზიტიურ მეცნიერებას!
მათემატიკოსს, გეოლოგს, ქირურგს!
უპირველესად, ჯენტლმენებო, თქვენ გიძღვნი სალამს!
(„სინდერა საკუთარ თავზე“)

უიტმენის პოემა „ეს ნეშომპალა“ კუმშვარითად მეცნიერული ნაწარმოებია. ამ პოემაში ავტორმა ემოციურად განიცადა და განჭვრიტა მატერიის ქიმიური ტრანსფორმაცია. „ქიმიური წერილების“ ავტორი იუსტუს ლიბიხი და იაკობ მოლერშოტი, ავტორი წიგნისა „ცხოვრების წრებრუნვა“, ძალზე პოპულარულნი იყვნენ მაშინდელ რუსეთში; მათ რომ პოეტური ნიჭი ჰქონოდათ ღვთისგან ბოძებული, უიტმენისებურად დაწერდნენ ამ პოემას.

ამ პოემაში საუბარია მილიონობით გარდაცვლილ ადამიანზე, რომელთათვისაც ათასწლეულთა მანძილზე დედამიწა ყოველისშთანთქმელ სასაფლაოდ იქცა:

მითხარი: მიწავ, რა უყავი იმ შთანთქმულ გვამებს,
გვარიდან გვარში რომ კვდებოდნენ,
იმ ლოთებს და იმ ლორმუცელებს,
სად წაიღე ის მსუფე ხორცი და მყრალი ლაფი,
დღეს აღარცერთი მათგანი არ ჩანს
ან იქნებ მე ვარ ვერდამნახველი,
აი, გავაულებ კვალს ჩემი გუთნით,
ღრმად შევიჭრები მიწის წიაღში,
ნიჩაბით ბელტებს ამოვებრუნებ
და მათ ქვეშ მგერა, მყრალი ხორცი
ასვარსვალდება...
ჩააკვირდით ამ მიწის წიაღს, კარგად ჩახედეთ!
იქნებ ყოველი გოჯი მიწისა
რომელიდაც დაგრდომილის ნაწილი იყო!
და მაინც ნახეთ!
პრერიებში საგაზაფხულო ბალახი ღელავს!
და ფერმერთა პურის თავთავი მკვდრეთით აღმდგარა!
უხმაუროდ ფეთქდებიან პარკოსნები თავიანთ კვლებზე!
ჰაერს ჩხელეტენ მშვენიერი ხახვის ისრები,
და ვაშლის ხის ყოველი ტოტი
დახუნძლულია ნორჩი კვირტებით
ზაფხულის მწვანე საფარველი უმანკოა,
ის მედიდურად გადაჰფარვია
მკვდართა თავზე მიწის დანაშრევს...
რა ქიმიია!

(„ეს ნეშომპალა“)

როდესაც კითხულობ უიტმენის ამგვარ ლექსებს, ძალზე მკაფიოდ ხედავ, რომ ის პოპულარულ-სამეცნიერო წიგნები, რომელთაც ასეთი დიდი ზემოქმედება მოახდინეს ჩვენი სამოციანელი „მოაზროვნე რეაღისტების“ იდეოლოგიაზე და პირველყოფლისა კი, მათ ბელადსა და შთამაგონებელ პისარევზე, „ბალახის ფოთლების“ ავტორისათვის საკმაოდ კარგად იყო ცნობილი.

ზოგჯერ უიტმენის ლექსებს ბიუზნერისეული „მატერია და ძაღვის“ ვერსიურულ მატერიალიზმის გემო დაჰკრავს. ტურგენევის რაზნოჩინელი ბაზაროვი ამ წიგნის მეშვეობით ნიჰილიზმის მოძღვრებას უნერგავდა ძველი დროის რუს „ფეოდალებს“.

ამ პოზიტიური დოქტრინის იდეები უოლტ უიტმენმა ცოცხალი შეგრძნებების სფეროში გადანერგა და ბევრგან ექსტატიური სიმწვავეც მიაწვია მათ. ყოველივე ეს უიტმენს ძალზე ბუნებრივად გამოსდიოდა, რადგან იგი თავის სულიერი წყობით „კოსმისტი“ იყო; „დროისა და სივრცის უკიდვანო აზრები“ სიყრმიდანვე შესისხლბორცებული ჰქონდა.

უოლტ უიტმენის კოსმიზმი მხოლოდ იმდროინდელ ბუნებისმეცნიერებათა ევოლუციური თეორიებით არ გამოყვებოდა, პეგელის, შელინგის, კანტის იდეალისტური ფილოსოფია არანაკლებ საზრდოს აწვდიდა მას. ასევე მკაფიოდ გამოსჭვივის „ბალახის ფოთლებში“ ძველი ინდოეთის წმინდათაწმიდა მისტიკური წიგნების დანაშრევი. ის ვინც ჩქმალავს ანდა ჭეროვნად არ აფასებს ამ გავლენებს, კეშმარიტებას ღალატობს. ეს გავლენები ასობით ფურცელს ატყვია. უიტმენის მთელი პოეზია — პირველი სიტყვიდან უკანასკნელ სიტყვამდე — ქვეყნიერების ღვთაებრივი ჰარმონიისადმი აღძრული კრძალვითა და აღფრთოვანებითაა გამსჭვალული.

თავისი ლექსების ერთ მოგვიანებით დაწერილ წინასიტყვაობაში პოეტი შენიშნავდა:

„გულწრფელი სიხარული მომანიჭა თანამედროვე მეცნიერების მიღწევებმა, მე უწყომანოდ გავხდი მისი ყველაზე ღოიბალური მხარდამჭერი, თუმცა კი, ჩემი აზრით, უფრო დიდი აღმაფრენა და უფრო მაღალი ღირებულებაც არსებობს — ადამიანის უკვდავი სული“.

„ბალახის ფოთლებში“ ის დაუინებოთ იმეორებს:

ო, გეფიცებით, საბოლოოდ მივხვდი მე უკვე,
უკვდავი სულის პატრონია ყოველი ნივთი,
სულს! შენ ხარ პლანეტების
გამგებელი და წინამძღოლი.
დრო შენი ძმია და ამხანაგი,
ხალისიანად უღიმი საკვდილს
და შენით ავსებ მსოფლიო სივრცის
უსაზღვროებას.

(„ლერწამი“)

„ბალახის ფოთლების“ შესანიშნავი მცოდნე და დამფასებელი საბჭოთა ლიტერატორი დ. მირსკი ენერგიულად ებრძვის ამ წიგნის ფალსიფიკატორებს:

„უიტმენის ანტირევოლუციური და მისტიკური მომენტების მიჩქმალვა უზამსი შეცდომა იქნებოდა... უიტმენის სისტემის მისტიკური სანქცია თვალნათლივ არის გამჟღავნებული „სიმღერებში საკუთარ თავზე“ იმ ენით, რომელიც ცნობილია ყველახათვის, ვისაც მისტიკის კლასიკოსთა ნაწერები წაუკითხავს“.

ლოგიკურად ორი მსოფლმხედველობა, იდეალიზმი და მატერიალიზმი შეუთავსებადია ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი გამორიცხავს მეორეს, მაგრამ უიტმენის პარადოქსული თავისებურებაც სწორედ ისაა, რომ იგი ცდილობდა თავის ლექსებში ინტუიტიურად, ლოგიკის სფეროს მიღმა, ორი შეურიგებელი ფილოსოფიური სისტემის სინთეზი განეხორციელებინა, ორივე სისტემამ თავისებურად შეუწყო ხელი პოეტს, თუმცა კი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გადმოეცა ის „კოსმიური ენთუზიაზმი“, რომელიც მას ყოველგვარი სამეცნიერო და ფილოსოფიური დოქტრინების გარეშე გააჩნდა.

2.

უიტმენს, ჩვეულებრივ, მსოფლიო დემოკრატიის პოეტს უწოდებენ და განა გასაკვირია ის ამბავი, რომ მის პოეზიაში დემოკრატიაც კი გრანდიოზულ, კოსმიურ, მსოფლიო მასშტაბს იძენს.

დემოკრატია უიტიმენისათვის ოკეანის ან კიდევ ვარსკვლავებით მოჭედული ცის მსგავსი რამაა და სავსებით ვერ თავსდება იმ რეალური დემოკრატიული პარტიის წარმოქმნაში, მაშინდელ ამერიკაში რომ არსებობდა.

დემოკრატია პოეტის წინაშე წარმოსდგება, როგორც ათასწლოვან გზაზე მავალი თაობების უწყვეტი ჯაჭვი. უიტიმენი დემოკრატიას, შეიძლება ითქვას, პლატონის იდეალური მოქმედების ალიკვამს:



ო, დედამიწა მიქრის და ბრუნავს
გარემოცული პლანეტებით, მნათობებით,
მოკაშკაშე დღეებითა და საიდუმლო
დღე-ღამეებით ო, პიონერო!

ჩვენ - გზას ვუყვალავთ
მათ ვინც ჯერ არ დაბადებულა,
ვინც საშოშია ჩასახული
და ელოდება დაძახებას,
რომ გამოგვყვას უკან, თუ დადგება
(„ო, პიონერო!“)

დემოკრატიას როცა მიმართავს, უიტიმენი ამბობს:

ჩემო შვილებო, გახედეთ იმათ
ათასწეულთა წიაღში ვინც მიემართება,
ისინი ხომ გვამჭიდრობენ,
ამიტომაც განს ვერ განვდგებით
და ვერც წამით ვერ დავახანებთ.

„ხალხის მრავალფეროვანი, ოკეანისებური თავისებურებების წვდომა მხოლოდ მხატვრის იშვიათ, კოსმიურ, უსასრულოდ გაბრწყინებულ გონებას ხელეწიფება“ — ამტკიცებს პოეტი თავის ერთ-ერთ მოგვიანებით დაწერილ სტატიაში.⁴

ამ „ოკეანისებური თავისებურებების“ გამო გახდა მისთვის ძვირფასი მშობლიური ქვეყნის დემოკრატია:

„აბა, წუთით დაფიქრდით, — წერდა უიტიმენი რამდენიმე წლის შემდეგ — დაფიქრდით და წარმოიდგინეთ ახლანდელი შეერთებული შტატები — ეს ერთ მთლიანობად შედგებულ და ოცდათვრამეტი ორმოცი იმპერია, სამოცი თუ სამოცდაათი მილიონი თანასწარი, წიარი, ერთგვაროვანი ადამიანი, დაფიქრდით, კერძოდ თვითელი მათგანის ცხოვრებაზე, მათ ვნებებზე, სამომავლო ილბაღზე; გაიხსენეთ ამერიკის ახლანდელი ურიცხვი ბრბოები, რომლებიც ხაფხაფებენ და შფოთავენ ჩვენს ირგვლივ და რომელთა განუურელი ნაწილიც, ვართ ჩვენ! დაფიქრდით და შეადარეთ, რა ვიწრო და შეზღუდული ასპარეზი აქვთ ევროპელ პოეტებს, ძველებს, ან თუ ვნებავთ თანამედროვეებს, რაგინდ გენიალურნიც არ უნდა იყვნენ ისინი. ჩვენ ეპოქამდე მათ ხომ არც კი უხილავთ ამგვარი ხიმრავლე, დუდილი, არნახული სიცოცხლისმიერი ფეთქვა... უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის სულისთვის ნანატრი, უკიდურესობის შემცველი კოსმიური და დინამიური პოეზია ჩვენ დრომდე არ არსებობდა“.⁵

ეს სტრიქონები მაშინ დაიწერა, როდესაც მითი მილიონობით ამერიკელი გულების „ერთგვაროვნებაზე“ უკვე დამსხვრეული იყო: კლასების სწრაფმა დიფერენციაციამ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე სამოციან წლებში იმ ასპარეზად აქცია, სადაც მოქანკარებების და მუშების დემოკრატია ხმალამოღებული ებრძოდა მდიდრების და მომხვეჭილების „დემოკრატიას“.

თუმცა უიტიმენი თავის უკანასკნელ დღეებამდე იმ ძველი ილუზიის ტყვედ დარჩა, რომლის წიაღშიც პირველ ხიმდერებს კმნიდა, ამერიკელ პოეტს არასდროს არ მიუჩქმალავს მის მიერვე ხოტბაშესხმული დემოკრატიის ნაკლოვანებანი, ის დაუფარავი სისახტოეო ამხელდა უოველგვარ ჯადს.

„...უმაგალითო მატერიალური პროგრესის პირობებში — წერდა პოეტი თავის „დემოკრატიულ სიშორეებში“ — ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება დასახიჩრებულია

და გარყვნილი, უბამსი ცრურწმენითა და მწვირეთია გატენილი, ამგვარი არიან პოლიტიკოსები და აგრეთვე, რიგითი ადამიანებიც. ჩვენს უოველ წამოწყებაში, ან საერთოდ არ არსებობს, ან კიდევ განუვითარებელია და შეტისმეტად დაკნინებულია უოველგვარი პიროვნების და უოველგვარი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ძირითადი ელემენტი — სინდისი... ჯერ არსად არ უოფილა კაცთა გულები ასე გამოფიტული, როგორც აქ, ჩვენთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მე მგონი, ჭეშმარიტმა რწმენამ უკანმოუხედავად გამოაწიურგო. ჩვენში არ სწამთ ქვეყნის ძირითადი პრინციპები (მგზნებარე ციებ-ცხელებისა და შელოდრამატული შეძახილების მიუხედავად), არ სწამთ კაცობრიობისაც კი.

რას არ აღმოაჩენს გამჭირახი თვალი სხვადასხვაგვარ ნილებქვეში შემზარავი სანახაობა! ჩვენ ფარისევლურ ატმოსფეროში გვიწევს ცხოვრება, მამაკაცებს არ სჯერათ ქალების, ქალებს — მამაკაცების. ლიტერატურაში ზიზღნარევი ირონია ბატონობს. უოველი ჩვენი ლიტერატორი იმას ფიქრობს, რაზე გაიცინოს, აუწყავი სიმრავლე ეკლესიების და სექტების, უვალაზე ბნელმა აჩრდილებმა მიითვისეს რელიგიის სფერო. საუბრები უთავბოლოა უბედობად იქცა. სულში განფხვილმა სიცრუემ — უალბი ქცევების საფუძველთა საფუძველმა — აღურიცხველი შთამომავლობა წარმოშვა“ და ა. შ. და ა. შ.

უოველივე ამან ვერ გაუქარწყლა პოეტს საიშისო რწმენა, რომ მის მიერვე მხილებული ბოროტება წარმავალი იყო, ხოლო მზარდი დემოკრატია ამავე სიბოროტეს თანდათან ამოძირკვავდა. უიტმენი უბრალო, გამრჩე, შემოქმედი ხალხის სიღიადეს ერთხელაც კი არ დაუეცვებია. მას სწამდა, რომ ეს ხალხი სამომავლოდ ნათელ დემოკრატიას შექმნიდა და დედამიწის ზურგზე მაცხოვრებელ უვალა ქვეყნის ხალხს ბედნიერებას მოუტანდა. თავისი საუვარელი მეტაფორის მეშვეობით უიტმენს არაერთგზის განუმეორებია ის აზრი, რომ გარესინამდვილეში არსებული სიმახინჯე და ნაკლოვანება დემოკრატიის მიმართ გარეგანი ფაქტორია, რაღაც ისეთი, რასაც არც კი აქვს კავშირი მის არსებობასთან.

„უოველივე ეს, რა თქმა უნდა, მხწრაფლწარმავალი სარეველაა, რომელიც ვერას დააკლებს აბიზინებულ უანას, ეს „ზღვის გამოწარიყია“ და ამიტომ „მუდამ ზედაპირზე ძევს და გარკვევით ჩანს კიდევ“. „მთავარია, თვითონ წყალი იყოს ღრმა და გამჭვირვალე, ანდა ტანსაცმელი იყოს შეკერილი გამძლე მასალისაგან, რათა ვერავითარმა ნაკერებმა და გარეგნულმა ოქრომკედლებმა ვერ დააუშნოს, ამგვარი ტანსაცმელი საუკუნეს გაუძლებს და არ გაცვთება“.

უიტმენი მსოფლიო ხალხთა ძმური და მეგობრული კავშირის დამკვიდრებას ესწრაფვოდა:

აჰა, მე ვაქცევ მთელს ამ ხმელეთს განუწილველად,
მე წარმოვშობ ხალხს რჩეულთაგან უურჩეულესს
ამ მზისქვეშეთში,
მე შევქმნი ქვეყნებს მეგობრული სიყვარულით
პირთამდე საცხეს,
ო, ამერიკავ, შენს მდინარეთა გასწვრივ ანდა
ტბათა გარშემო, პრერიების წიაღ და წიაღ
მე ავტყორცნი ზის ტოტებივით,
მეგობრობის და ამხანაგობის ურღვევ კავშირებს,
დავაფუძნებ ქალაქებს, სადაც მეგობრობა გაამაგრებს
ბჭებს და გალავანს

(„შენთვის, დემოკრატიავ“)

საკმარისია სულ მცირე ნიადაგი მოიძიოს ხალხში ამ ძმობამ, რომ მტერი დაუძლურდება.

მე დამესიზმრა ის ქალაქი,
რომელსაც ძვრასაც კი ვერ უზამენ
მთელი მსოფლიო დიდი ქვეყნები,
მას მეგობრობის ქალაქი ერქვა ჯერარნახული
და სიყვარული ედო ამ ქალაქს
ფუძედ და ლიბოდ.

(„მე დამესიზმრა ქალაქი“)

უიტმენის ეს თავგანწირული სწრაფვა დემოკრატიული თანამშობისადმი ეროვნული ჩარჩოებით არ იფარგლება. სწორედ აქ გამოსჭვავის პოეტის სიდიადე, მაშინ როდესაც ამერიკელი საზოგადოების მრავალ ფენას ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონდა სხვა ეროვნებებისადმი, უიტმენმა თავის, ასე ვთქვათ, „მაგნიტური მეგობრობის“ ორბიტაში ჩართო რუსები, იაპონელები, გერმანელები. ისინი სხვა ენაზე მეტყველებდნენ, წერდა უიტმენი.

ეროვნული
ზიზღიერება

მაგრამ მე მგონი, ეს ხალხები რომ გამეცნო,
შეიყვარებდი არანაკლებ ჩემს თვისტომებზე,
ო, მე მჯერა ძმური გრძნობების,
ბედნიერები ვიქნებოდით ერთად უდავოდ.
(„მოწყენის და ფიქრის ქაშის“)

არცთუ ისე დიდი ხნის წინ მიაკვლიეს ამერიკელი პოეტის შავ ხელნაწერებს, ამ ხელნაწერებში გარკვეული მასალაა შემზადებული ლექსებისთვის და ერთ-ერთი ფურცელი მთლიანად ეთმობა რუსეთზე საუბარს. აქვე, უიტმენის მიერ ინგლისური ასოებით რუსული სიტყვებია ჩამოწერილი. „ვინაიდან ჩემი სანუკვარი ოცნებაა — წერდა ის სიბერის ქაშის ერთ უცნობს — პოემები და პოეტები გახდნენ ინტერნაციონალურნი და დედამიწის ყველა ქვეყანა უფრო მჭიდროდ დააკავშირონ ერთმანეთთან, ვიდრე ამას შესძლებდნენ ნებისმიერი დიპლომატები და ხელშეკრულებები, ვინაიდან ჩემი წიგნის ფარული იდეაა კაცთა გულწრფელი ძმობა (ჭერ ცალკეული ადამიანების, მერე კი, საბოლოო ჯამში, დედამიწის მკვიდრი ყველა ხალხების). ბედნიერი ვიქნები, თუკი ემოციური კავშირი შექნება სახელოვან რუს ხალხთან“.

თავის პოეზიის უმთავრეს მიზნად, მისიად და ამოცანად უიტმენს ინტერნაციონალური ძმობის ქადაგება მიაჩნდა. ამგვარი ინტერნაციონალიზმის უეჭველი წინაპირობა კი ისაა, რომ ადამიანებმა ერთმანეთის ნაზი, აღტყინებული და ძალუმი სიყვარული ისწავლონ, ურომლი-სოდაც რჩეულთა შორის ურჩეულებს დემოკრატია კი უდღეურია და სასიკვდილოდ განწირული. თუკი ცხოვრების გარდაქმნას მოისურვებ, შეიძლება შეიმუშაო შესანიშნავი გეგმა. მაგრამ პოეტის აზრით, ის უნაყოფო უტოპიადვე დარჩება მხურვალე სიყვარულის შთაუ-ნერგავად. ყველაზე მეტად ამ ძვირფას გრძნობას აფასებდა უიტმენი საკუთარსავე თავში:

ჩემი პოტრეტი მაღლა დაჰკიდეთ
და დაბეჭდეთ ჩემი სახელი,
ეს სახელი იმას ეკუთვნის,
ვისაც ძალუმი სიყვარული უფაქიზესი,
ვინც ამაყობს არა თავისი სიმღერებით,
არამედ გრძნობით,
რომელსაც ჰქვია სიყვარული დაუსაბამო.
(„მომავლის მემკთიანენი“)

სიყვარულის ასეთსავე ოკეანეს მოითხოვდა იგი ჩვენგან.

უსიყვარულოდ ვინც არსებობს სულ ერთი წამით,
ის ესწრება თავის დაკრძალვას,
თავისსავე სუღარაში გამოხვეული.

უიტმენი არ იქნებოდა კოსმიურ დროთა და სივრცეთა პოეტი, რომ არ ჰქონოდა ცდები მთელი გარემომცველი სამყაროს დემოკრატიად გარდაქმნისა.

„არ არსებობს უმჯობესი და უარესი — არ არსებობს იერარქია!“ ამბობს ის თავის „ბალახის ფოთლებში“. საგნები, ქმედებები, გრძნობები, ისევე თანასწორი არიან, როგორც ადამიანები: „თავჩაქინდრული ძროხა, საცოხნელს რომ ცოხნის, ისევე ნშვენიერია, როგორც ენერგა მილოსელი“. „ბალახის ფოთოლი ციურ მნათობთა გზა-კვალზე ნაკლები როდია“, ხოლო „ცერცვის უმცირესი ნამცეცის ზილვა — საუკუნეთა სიბრძნეს აღემატება“. „სული სხეულის თანასწორია“. „ნებვი და ბაღლინჯო ისევე არიან ლოცვის ღირსნი, როგორც წმიდათა წმიდნ სალოცავები“.

მე ფესვებს ვურწყავ ყოველივეს
რაც კი იზრდება,
თუ თქვენ არ მოგწონთ კანონები ქვეყნიერების
და ხელოსანს გსურთ მიაბაროთ შესაქმნებლად...
ვასაკა ნაღდი შედეგია უბრწყინვალესი
და თავი კი სასწაულია,
რომელიც მარტო დაამარცხებს
ურწმუნოთა სექსტილიონებს!



(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

რადგან სახეზე მუწუკები გაქვს
და ბინძური ხარ,
ან ქურდობ ანდა რევმატიზმი გჭირს,
ან უვიცი ხარ ანდა ცვედანი,
ან კი მემრუშე,
ან არასოდეს არ წაგიკითხავს
შენი სახელი გაზეთებში,
განა ამიტომ სხვებზე ნაკლებად
იმსახურებ შენ უკვდავებას?

სიცოცხლე ისეთივე კარგია, როგორც სიკვდილი; ბედნიერება უბედურების ტოლფასია. გამარჯვება და დამარცხება — ერთდაიგივეა. „შენ იცი, რომ გამარჯვება და მტრის დათრგუნვა კარგია, მაგრამ მე გეტყვი: დამარცხებაც ასევე კარგია; სულერთია, შენ გასტეხ თუ შენ გაგტეხენ!“

მსოფლიო თანასწორობა და თანატოლობა! უიტმენს სწამდა მეცნიერების, რომლის მიხედვითაც ბაცილაც კი ისევე მონაწილეობს ქვეყნიერების ბრუნვაში, როგორც განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე ხელმწიფე ან გენიოსი, ხოლო ჩვენს ფეხთით იგივე გაზეთი და მეტალებია, რაც შორეულ მწეებზე; აგრეთვე, ამ მეცნიერების თანახმად, უკანონო კომეტას და მოთამაშე გოგონას ბურთს ერთი და იგივე კანონები ამოძრავებენ; პოეტს სწამდა, რომ სამყაროს ეს მეცნიერული აღქმა აფართოვებს და აფუძნებს საყოველთაო თანასწორობის არნახულ გრძნობას.

„იდენტურობა“ — ერთნაირობა, იგივეობა — უიტმენის საუვარდელი სიტყვაა, საითკენაც არ უნდა მიაბუროს მან მზერა, ყველგან საგნების ნათესაობრივ კავშირს ამჩნევს, თითქოს ყველაფერი ერთი მასალისაგან იყოს გაკეთებული. იქამდეც კი მივიდა, რომ ყოველგვარი საგნის დანახვისთანავე ამბობს — ეს მე ვარ! აქ არა მარტო „წინასწარგანზრახული“ სქემა ღევს, არამედ ცოცხალი ორგანული გრძნობაც. უიტმენის მრავალი პოემა სწორედ იმაზეა აგებული, თუ როგორ გარდაისახება პოეტი ყოველ წუთს სხვა ადამიანებში და როგორ ზდება მათი თანასწორი.

ხშირად ამგვარი გარდასახვა ექსცენტრიულ სახეს იძენს. მაგალითად, პოემაში „მძინარენი“ პოეტი გარდაისახება ქალად, რომელიც ღამე საუვარდელს ელოდება:

„მე ვარ ქალი, გამოვეწყვე, თმა დავივარცხნე და ახლა ველი — ჩემთან მოვიდა ჩემი თავნება საუვარდელი... და მერე ერთად წამოვდებოთ ჩვენ ხაწოლიდან, მე ახლაც კი ვგრძნობ მხურვალე ხითხეს, რომელიც მან ჩატოვა ჩემში“.

მომდევნო სტრიქონებში პოეტი ხანდაზმულ ქალად გარდაისახება:

ეს მოხუცი ქალის სახე როდია, —
მე ვარ! ბებერი, ნაოქასხმული,
ეს მე ვზივარ ღრმა სავარძელში,
ჩემს შეილიშვილს წინდას ვუქემსავ.

შემდეგ სტრიქონში პოეტი ქვრივ ქალად იქცევა:

მე ქვრივი ვარ, ჭერაც თვალი არ მომიხუჭავს,
შუალამეში გავყურებ ზამთარს

და ვხედავ როგორ ირეკლება ვარსკვლავთ
ციმციმი
დამზრალ, გაყინულ, ფერმკრთალ მიწაზე.



შემდეგ ის უკვე ადამიანიც კი აღარ არის, საგანია:

მე კუბოში ვარ, მკედრის სხეულზე შემოხვეული
მე ვარ სუდარა.

(„მძინარენი“)

გაქცეულ ზანგს რომ მოჰკრავს თვალს, საკუთარ თავს აღიქვამს დევნილად:

ეს მე ვარ ზანგი ქანცგაწყვეტილი,
მე ვიგერიებ ძაღლებს ფეხებით,
ამღევნებია ჯოჯოხეთი სროლით და ბათქით,
მე მოვეჭიდე ღობეს და ტყავი გადამეხეხა;
სისხლი მომწვეთავს, შამბნარებში, ქვებზე ვეცემი,
გაჭიურებულ ცხენებს მხედრები თავს დასწყვიდიან,
აურევებენ და ქედებს უდრევენ.
ჩემი ყურები — ჩემი ორი მწარე კრილობა
ამ ყვირილისგან იხლიჩება და იხეწება,
და აჰა, თავზე მოქნეული მათრახის სტვენაც.
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

ლექსის წაკითხვისას ფიზიკურ ტკივილს განიცდი: თითქოს შენს მოხელთებას ღამობენ და
თავზე მათრახი გადაგიჭირეს.

და გულს კი ცეცხლი ეღება მწარედ
სხვისი წუხილით დანალევრდებულს.

თქვა ჩვენმა დიდმა ნეტარსოვმა იმავე წელს, როდესაც უიტმენის ეს ლექსი დაიწერა.

„დაკრილს რომ ვხედავ, კი არ ვსინჯავ მე მის კრილობებს, არამედ ვგრძნობ ჩემს სხე-
ულშივე“ — ამ ხტრიქონებში ძალზე ღრმავროვანი ესთეტიკური პრინციპია გაცხადებული: კი
არ უნდა აღწერო ადამიანები, უნდა გაუთანახმოდე მათ:

როცა გაქცეულ ქურდს იჭერენ
ვგრძნობ, მეც მიჭერენ,
როცა ქოლერიტ დავრდომილ სნეულს
სიცოცხლე ხელში გამოეცლება,
მეც მასთან ერთად მღუპავს ქოლერა.
სახე ფერფლივით ჩამენაცრა,
ხოლო ძარღვები კვანძად შემეკრა
და დამებერა.
ხალხი გამირბის დაფეთებული.
და მე ახლა მათხოვარი ვარ
ცილინდრგაწვდილი,
ვზივარ და გამვლელს ვთხოვ მოწყალებას...
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

ამრიგად უიტმენისეული „სიმღერა საკუთარ თავზე“ მის ხელში „სხვებზე სიმღერად“
იქცა. თითქმის ყოველ ფურცელზე ახერხებს პოეტი რომელიღაც პერსონაჟად გარდასახვას.
იმავე ლექსში „სიმღერა საკუთარ თავზე“ წერს:

მე გასრესილი მეხანძრე ვარ,
ხერხემალი დამიზიანდა,

ჩამონგრეულ დიდ კედლებს შუა
დავეტანე და დავიმარხე.

იგივე გვერდზე წარმოთქვამს:

ჩემი ხმა ცოლის მკვიდრი ხმაა,
კივილია, კიბეებზე, ხის მოაჯირთან,
ჩემი ქმრის გვამი მოაქვთ ჩემკენ.
მას წვეთიწვეთ ჩამოსდის წყალი.
ის დამხრჩვალა.



ცოტა ქვემოთ კი ამბობს:

იმ შეამბოხეს, რომ აღებენ მძიმე ბორკილებს
და ღვენიან სატუსალოში —
გვერდზე მიფეხები მე ხელიხელ გადაქდობილი.

მიიყვანე შენი თანა-სიხარული, თანა-ღმობა და თანაგრძნობა იქამდე, რომ ბოლომდე შე-
ერწყა სხვა პიროვნებას, გარდაისახე იმ არსებად, ვისზეც მღერი და დანარჩენი თავისთავად
წაეწუბოდა: რიტმებსაც მიაკვლევ და სახეებსაც. პოეტს სწამს, რომ სიუვარული უკიდურესი
ზეობის უამს პოეზიის ჭეშმარიტ ტრიუმფად გადაიქცევა. ეს საუოველთაო თანასწორობის და
იგივეობის გრძნობა უიტმენს სურს, რომ ჩვენც გადმოგვდოს. ამ გრძნობით შებურბობილი ის
იწყებს მტკიცებას, რომ გარშემო უველგან მისი ორეულები არიან, ხოლო სამყარო კი მისი-
ვე გაგრძელებაა: „მე არ ვთავსდები ბათინებსა და შლიაპას შორის“...

იდაყვები ჩადგმული მაქვს ზღვის მორევებში,
ხელისგულებით მთელ ხმელეთს ვფარავ.

მე მამოდებს ჩემივე თავი.
ჩადგან ირგვლივ სუფველგან მე ვარ!

გიგანტურ ნიაგარას შესახებ პოეტი ამბობს: „სახეს მიჩრდილავს, როგორც პირბადე“. უიტ-
მენისთვის არ არსებობს დროისა და სივრცის საზღვრები: ის წევს თავისი „გრძელი“ კუნძუ-
ლის ქვიშიან ნაპირზე და ამავე დროს იუდეიას ძველისძველ გორაკებზე პირმშვენიერ და ტან-
კენარ ჭაბუკ ქრისტესთან ერთად დააბიჯებს.

უიტმენს უკიდურესობამდე მიჰყავს თანასწორობისა და უოველივე არსებულთან შერწყ-
მის ფანტასტიური გრძნობა. ის ხელებგაშლილი მიისწრაფვის უოველი საგნისაკენ, თითქოს ხელს
უხვამს და ეფერებაო მათ (უოველი საგანი ხომ მისი თვისტომია!). ერთს რომ მიუაღერებეს,
მეორესკენ გარბის, რათა რომელიმე მათგანს არ დააყლოს ზრუნვა, ისინი ხომ ერთმანეთზე
უკეთესნი არიან, ჰოდა, ახე და ამრიგად ახვავებს პოეტი ფურცელზე ქაოტურ გროვებს, საფ-
სებით სხვადასხვაგვარი გამოსახულების მქონე პირამიდებს, უსახსრულო ნუსხებს, იმ საგ-
ნების სიებს, რომლებიც წამიერად გაიელვებენ მის თვალწინ. უიტმენისადმი მტრულად გან-
წყობილმა კრიტიკოსებმა ამ ნუსხებს საგანთა კატალოგი უწოდეს. უიტმენს კი სწამდა, საკ-
მარისი იყო ამ საგნების ჩამოთვლა და პოეტური სახეები, საღებავები, შთაგონებული და მგზნე-
ბარე გრძნობები თავისთავად დაიბადებოდნენ.

აი, მაგალითად მისი პოემა „სალამი ქვეყნიერებას“ დასათაურებული ფრანგულ ენაზე
„Salut au Monde!“.

„უოლტ უიტმენ, ჩამკიდე ხელი — მიმართავს იგი საკუთარ თავს. — რა სიმრავლეა
მსწრაფლწარმავალ სახწაულებების! რა ხილვებია და რა მანგები! ეს რა ბობოქრობს შენში ასე
უოლტ უიტმენ? რა ქვეყნებია, რა ჯურის ხალხი, რა ქალაქები? ან ეს ბაღლები ვინ არიან?
ზოგს რომ სძინავს, ზოგი თამაშობს, ვინ არიან ეს გოგონები, ან ეს ქალები, რა ტყეებია, რა
ნაყოფები, რა მღელვარე მდინარეები? რა ჰქვია იმ მთებს, ღრუბლებში რომ შეურგავთ თავი?
ეს მირიადი საცხოვრისი ნუთუ მართლა სავსეა ხალხით? მე მემატება სიგანე და სიგრძე
თანდათან... ჩემშია ზღვები და ჩანჩქერები, ვულკანები და კუნძულები, ტყეები და სხვა
სანახები“...

უიტმენი ამ უკიდურესობის ექსტაზს ქმნის საკუთარ თავში და მერე საკუთარსავე თავს ეკითხება:

— რა ჩაგესმის შენ, უოლტ უიტმენ?

და თავადვე პასუხობს მთელ გვერდზე:

— ო, მე მესმის ესპანელის კასტანიეტების მელოდია... ველურ ბედნიერებას მელანქოლიკურად აღსტრიალებს ყოფინა მესმის... მესმის არაბი მუეძინის ღაღადისი მეჩეთის კარგად მოწყობილი მესმის... მე მესმის ხმა იმ ებრაელისა, რომ კითხულობს ფსალმუნს, თქმულებებს... ელინური მითების უღერა და რომაელთა ლეგენდების გუგუნი მესმის... მე მესმის... მესმის... მესმის...

ამ სხვადასხვა ხალხების ნაირგვარი ხმებით დატვირთულ კატალოგს რომ ჩაათავებს, პოეტი ახალ შეკითხვას უსვამს საკუთარ თავს:

— რას ხედავ შენ, უოლტ უიტმენ?

და იწყება ახალი კატალოგი:

— მე ვხედავ ვეება მრავალ სასწაულს, რომელიც კოსმიურ სივრცეებში მიექანება, მე ვხედავ შორ მანძილზე განფენილ პაწია ფერმებს, სოფლებს, ნანგრევებს და ციხეებს, ხასიათ-ლოებს და ფაბრიკებს, კოშკებს და ფიცრულებს, ბარბაროსთა ქოხებს და მომთაბარეთა კარვებს; მე ვხედავ, რა სასწაულებრივ სწრაფად მონაცვლეობენ ნათელი და ბნელი; მე ვხედავ შორეულ ქვეყნებს... მე ვხედავ ჰიმალაის, ალტაის, ტიან-შანს, გატებს; მე ვხედავ იალბუზის და უაზბეგის გიგანტურ სიმაღლეებს, მე ვხედავ ვეზუვის და ეტნას, მთვარის ქედებს და მადაგასკარის წითელ მთებს; მე ვხედავ იალქნიან ხომალდებს, გემებს, ზოგი პორტში დგას, ზოგი კი ტალღებს კვეთს და მიცურავს... ზოგი მექსიკის ყურის გაივლის, ზოგი ნიჩბის კონცხს ჩაუვლის გვერდზე... სხვები შელდიეს გადალახავენ და კიდევ სხვები ობსა და ლენას.

და ასე გრძელდება მრავალ ფურცელზე.

და ისევ თავიდან იწყება: „მე ვხედავ, მე ვხედავ, მე ვხედავ...“ — მე ვხედავ თეირანს, მე ვხედავ მედინას... მე ვხედავ მემფისს, მე ვხედავ მონებს და დიდებულ ჩაყრილ ტუსალებს, მე ვხედავ ხეიბრებს და უსინათლოებს, იდიოტებს და კუზიანებს, შეშლილებს, პირატებს, ქურდებს, მკვლელებს, უპატრონო ბაღებს და ბერიკაცებს...

და ასე გრძელდება რამდენიმე გვერდზე.

„მე ვუთვლი სალამს ქვეყნიერების ყოველ მოსახლეს... თქვენ, მომავლის ადამიანებო, მრავალი საუკუნის შემდეგ რომ მომისმენთ მე, თქვენ, იაპონელებო, ებრაელებო, სლავებო, — გულითად სალამს გიძღვნიტ ყველას მე და მთელი ეს ამერიკა! თითოეული ჩვენთაგანი უსამა-ნოა! დიდებულია, საჭირო და უცილობელი! ჩემმა სულმა დედამიწა შემოიარა და თანაუგრძნო ყველას გულწრფელად, მე ვეძიებდი ყველგან მეგობრებს და ამხანაგებს და ყველგან ვპო-ვე მე ისინი, ჰოდა, ვუვირივარი გაუმარჯოს ქვეყნიერებას! ყველა ქალაქში, სადაც კი აღწევს მზის მწველი სხივი და ივანებს, მეც იქ ვივანებ, კუნძულზე რომ დანავარდობენ, მეც იმ ჩი-ტებთან ერთად დაფურინავ...“ („Salut au Monde!").

აქ მოკლედ გადმოვცით საყოველთაოდ ცნობილი პოემა, რომელიც თავის დროზე აბუ-ჩად აიგდეს, არ დაბეჭდეს არცერთ ამერიკულ ჟურნალში და მრავალი გამკილავი პაროდითი ბეამკეს.

თუკი ეს მართლა კატალოგია, მაშინ შთაგონების კატალოგი უნდა ვუწოდოთ მას. მარ-თალია, იგი მკითხველისგანაც შთაგონებას მოითხოვს, მაგრამ უამშთაგონებოდ რომელიმე გენიალურად შერაცხილ პოემის წაკითხვაა შესაძლებელი. ტუუილად კი არ ამტკიცებდა უიტ-მენი, ჩემი ლექსები, თქვენი ლექსებიაო.

უიტმენის ლექსების კითხვის პროცესში თავადვე უნდა ვთხზათ ისინი და თუკი საამისო ნიჭი გვეყოფა, ჩვენ მართლაც ვიგრძნობთ ყოფიერებით აღტაცებას, ჰიანქველურ ყოფას მოვწუ-დებით და კოსმონავტებივით ავიქროლებთ ცაში. ეს უნარი, „სიფართოვის გაფართოების და სიგრძის დაგრძელებისა“, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა უიტმენის სახელგანთქმულ პოემაში: „ბრუკლინის გადასასვლელი“.

უიტმენი მომავლის ადამიანებზე ფიქრობს, გაივლის მრავალი წელი მისი სიკვდილის შემ-დეგ და ეს ადამიანები უწინდებურად გაემგზავრებიან ბრუკლინიდან ნიუ-იორკში. პოეტი ძალზე უჩვეულო ლექსებით მიმართავს ამ ქვეყანაზე ჭერარშობილ ადამიანებს:

არარაობის ტოლფარდია დროცა და სივრცეც;
მეც თქვენთან ვარ, მომავალი ასწლეულის მობინადრენო,

რასაც თქვენ გრძნობთ ამ ცისა და წყლების შემჯავრება,
მეც იმასვე გგრძნობდით ოდესღაც
და როგორც თქვენ გახალისებთ
მდინარეთა გამქვირვალე ზვირთების ქროლვას
მეც იმგვარიდევ მახალისებდა;
თქვენ რომ დგახართ მაგ მოაჯირს ჩამოყრდნობილში,
მეც ვიღვქი ოდესღაც ასე.



უიტმენი ჭერარშობილ ადამიანებს რომ მიმართავს, საკუთარ თავს კარგა ხნის გარდაც-
ვლილთ შიათვლის:

ო, მეც თქვენსავით არაერთგზის გადამიღახავს
ეს მღელვარე მდინარეები,
არაერთგზის დამინახავს კიჩოს შიღმა
შზის ბრწყინვალეობა;
შემიმჩნევია სხივმოსილი ჩემი ჩრდილი
შზით ნაჭერ წყალში;
ოდესღაც მეც დავაბიჯებდი
მანქეტენის ლამაზ ქუჩებში.
და ებანაობდი იქვე, მახლობლად.

ამგვარი მიმართვისას პოეტი კიდევ ერთხელ შენიშნავს დიდა ხნის წინ გარდაცვლილი და
ჭერარშობილი ადამიანების განცდათა სრულ „იდენტურობას“; არ არსებობს სიკვდილი, არ-
სებობს მატერიის მარადიული ტრანსფორმაცია.

მე მწამს, რომ მიწის ყველა ბელტიდან
შეფარებულთა წყვილი იმოვა და ნათურები გაბრწყინდებიან.
(„სიმღერა საკუთარ თავზე“).

სიკვდილი არ ავლებს მიწნას გარდასულ და მომავალ თაობათა შორის. უიტმენისთვის ადა-
მიანები წყლის წვეთები არიან. ეს წვეთები უოფიერების დაუხსრულელებელ წრებრუნვაში ჩანთქმუ-
ლან: ღრუბლის ფთილას, ნისლსა და ოკეანის ტალღას შორის მხოლოდ მოჩვენებითი, ფორ-
მალური სხვაობაა. ასევეა ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორისაც:

სიკვდილი მართლაც არ არსებობს
და თუ არსებობს,
მას მოჰყვება სიცოცხლის სუნთქვა,
სიკვდილი ქრება,
და იბადება ქვეყნად სიცოცხლე.
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

უიტმენი უარყოფს უოველგვარ ინდივიდუალურს, პირადულს და ამ უარყოფის მეშვეო-
ბით სიკვდილის საშინელებისაგანაც თავისუფლდება. სიკვდილი მის წინაშე თავს იჩენს,
როგორც ბუნების ბრძენი და ბარაქიანი, მუდმივად განახლებადი ძალა:

ო, ძალუმო! შეგების მინიჭევ, მომიახლოვდი!
ყველას ეუმღერი სიხარულით,
გარდაცვლილებს ეუმღერი ყველას,
ვინც შენ შეკრიბე და წაიყვანე,
ვინც შენს ზვირთებში განიბანა
სიყვარულის წყლით
და ჩაიძირა მაგ ღვთაებრივ ოკეანეში!
(„როცა ეზოში სახლის წინ...“)

8.

უოლტ უიტმენი პირად უკვდავებაზე არ ზრუნავდა: ოკეანის მაცქერაღს ცალკეული წვეთების ბედი აღარ იზიდავს. ის მილიარდების პოეტი, ამიტომ ერთეულთა მიმართ ბრმა. ყოველივე შემთხვევითი, ინდივიდუალური და პირადი მისთვის მიუწვდომელი იყო. უიტმენი მიწას კოსმონავტის თვალთ დამყურებს, ამიტომ შორიდან მხოლოდ მრავალშედეგურ ბრბოებს ამჩნევს, სადაც ყველა ერთმანეთის თანახმობა და ყველაფერი ერთია. უიტმენი ვერ ხედავს და ვერ გრძნობს ცალკეულ ადამიანთა სულს. კაცობრიობა მისთვის ჭიანჭველების ბუდეა. ამ ბუდეში ყველა ჭიანჭველა ერთნაირია.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ უიტმენის წიგნში ერთი პიროვნებაც არ არის გაჭაჭახებული. იმ გრანდიოზულ პოემაშიც კი, სადაც გარდაცვლილ პრეზიდენტ ლინკოლნს შთაგონებით დასტირის პოეტი („ამ გაზაფხულზე რომ ყვავილობდა სახლის წინ ნაწი ისამანი“) ამერიკის ეროვნული გმირის თვითმყოფადი პიროვნება არსებითად უგულვებელყოფილია. ეს პოემა ზოგადადამიანისადმი მიძღვნილი რექვიემია, ყოველი მოყვასის მიერ ყოველი საუვარელი კაცის დატირება. თუმცა კი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ შშობელი დედა თუ იყო მისთვის ლინკოლნზე ძვირფასი.

მრავალრიცხოვან სატრფიალო ლექსებშიც კი, „ბალახის ფოთლების“ ცალკე ციკლს რომ შეადგენს და „ადამის შვილები“ ეწოდება, რომელიც კონკრეტული ქალი კი არ არის ჩვენს წინაშე წარმოდგარი, თავისებური სახის, თავისებური ხალის, თავისებური სიარულის და ზიზრა-მოზრის მქონე, განუმეორებელი და ერთადერთი, არამედ ერთგვარი ზოგადქალია, რომელშიც უიტმენი, უპირველეს ყოვლისა, მრავალშობად საშოს ხედავს და ხავსებთ ვერ გრძნობს პიროვნებისეულ მომხიბლაობას.

ბრბოთა მძვინვარე ოკეანედან ერთი წვეთი
ჩემსკენ ნაზად გადმოეშხევა
და ჩამჩურჩულა: მეყვარები, სიკვდილის ღღემდე.

— ეს ის წვეთია, რომელიც სხვა წვეთებისგან არ განირჩევა. ტყუილად კი არ იციან თქმა, წყლის წვეთებივით წააგვანანო ერთმანეთს.

წენარად დაბრუნდი ოკეანეში
მეც ხომ წვეთი ვარ ოკეანისა.
(„ბრბოთა მძვინვარე ოკეანიდან“)

ამასღა ეუბნება პოეტი ქალს, რომელმაც იგი შეიყვარა. „მე გადმოვდივარ თქვენში და გერწყმით — უკიუინებს ის თავის შეუყვარებულს — მე მხოლოდ თქვენი მეშვეობით განვაგრცობ უამს და ზორცს ვასხამ მერმისს ათასწლეულთა“, მაგრამ სად არის ასეთი ქალი უსახელოდ და უპიროვნოდ რომ შეეხილოს და მომავლის განსხეულებად ექცეს მამაკაცს?

დიდი ხანია მსოფლიო და, განსაკუთრებით რუხული ლიტერატურა, დაუინებოთ ამტკიცებს, რომ სიუვარულის პოეზია პიროვნების ინდივიდუალიზაციის, მისი ერთადერთობის, გამორჩეულობის, „უკელასაგან განსხვავებულობის“ განცდიდან იღებს დასაბამს:

მხოლოდ ამ ქვეყნად თუ არსებობს უანკარესი
მზერა ბავშვური, წმინდა, წყობილი,
მხოლოდ ამ ქვეყნად თუ არსებობს, როგორც ალერსი,
თმები შუაზე გადაყოფილი.
(ა. ფეტი)

გავიხსენოთ ტოლსტოის „ადდგომა“ — ნებლიუდოვს კატიუშა მასლოვას „ის იშვიათი და იღუწალი გამორჩეულობა“ მოხიბლავს, რომელიც „ერთადერთობის“, „განუმეორებლობის“ ეერს ანიჭებდა ამ ქალს და ამ ნიშნით ანხვავებდა ირგვლივ მყოფთაგან.

ეს გრძნობა ხავსებით უცხოა „ბალახის ფოთლების“ ავტორისათვის.

„მე ქება-დიდებათ ვამცობ ნებისმიერ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის“ — გამუდმებით იმეორებს უიტმენი.

ეგ სულერთია, ძვირფასო, ვინ ხარ,
მხარზე ხელს მოგხვევ,
ყურში კი გეტყვი:
რათა იქცე ჩემს მძაღრ სიმღერად
მრავალი ქალი და მამაკაცი მყვარებო,
მაგრამ შენ ყველას აღმატები.
(„შენდამი“)



მაგრამ ასეთ ალგებრულ და განუცნებულ სიყვარულს არავინ მოიხურკებს — თითქმის მილიონი ადამიანიდან ერთ-ერთი ხარ, სხვების მსგავსი, რომელიღაცა.
თუმცა უიტმენისთვის ერთი ადამიანიც კი არ არის ერთი:

ის არ არის ამ ქვეყნად ერთი;
ის მამაა იმ ქაბუკების
მალე მამები რომ უნდა გახდნენ.
შენახულია მათ წიაღში უმდიდრესი რესპუბლიკები
და ხალხმრავალი სამეფოები.
განა უწყით თქვენ, ვინ იქნება
მისი შორი შთამომავალი.
(„ადამის შვილები“)

ერთ ადამიანში მილიარდი ადამიანია ჩატეული!

ცალკეული ადამიანის ფსიქოლოგიაში მხატვრისეული წვდომა უიტმენისთვის არ იყო ნიშნული. ყოველგვარი ცდები ამ სფეროში გარდუვალი მარცხით მთავრდებოდა. რომანში „ფრანკლინ ივენსი“ და ამასთანავე სხვადასხვა ვრცელ და მცირე მოთხრობებში მან სცადა გადმოეცა თანადროულ მამაკაცთა და ქაღათა მხატვრული სახეები, მაგრამ საშუალო ლიტერატურულ დონეზე უფრო მდარე, უღიმღამო შაბლონი შერჩა ხელთ.

კონტრეტული ადამიანების ასახვის და მათი ინდივიდუალური თავისებურებების აღწერის ნიჭი სავსებით არ გააჩნდა უიტმენს. „ბალახის ფოთლებში“ არის პოემა „სიმღერა დურგლის ცულზე“. პოემაში ათასნაირ ცულზეა ლაპარაკი. ზოგი ცულით ასწლეულთა მანძილზე ბოროტმოქმედებს კვეთდნენ თავებს, ზოგით კიდევ ახალდაქორწინებულებს საწოლებს უთლიდნენ. სხვადასხვაგვარი ცული იყო საჭირო კუბოების, ვარცლების, აკვნების, გემების, ეშაფოტების, კიბეების, კასრების, კვერთხების, სალტეების, სკამების და მაგიდების დასამზადებლად. უიტმენი ხედავს ძველთაძველ მეომართა ურიცხვ ჯგუფებს, რომელთაც გასისხლიანებული ცულები უჭირავთ ხელში. ხედავს ათას ქალათს, სისხლიან ნაჭახებს რომ დაყრდნობიან. აქვე არიან კალიფორნიელი და კანადელი ტყისმჭრელები. ერთი სიტყვით, უიტმენის საღერქსო ფურცელზე მსოფლიო ცულების ცვენაა. უველგან და ყოველგვარ ცულს ამჩნევს პოეტის თვალი — ერთის გარდა, იმას, რომელიც ახლა მის წინ ძევს. ეს ერთი ცული სხვა ცულების სიმრავლეში დაიკარგა. საკუთარი „პიროვნება“ თვალსა და ხელს შუა გაუსხლტა უიტმენს.

სრულიადაც არ არის გასაკვირი ის ამბავი, რომ „ბალახის ფოთლებში“ მრავალმა კრიტიკოსმა უპიროვნობის, ჭოგურობის, საშუალოობის აპოლოგია დაინახა.

უიტმენს კარგად ესმოდა, რომ ამგვარი აპოლოგია ზიანს აყენებდა მის მიერვე ხოტბაშესხმულ დემოკრატიას, რადგან მკითხველის ცნობიერებაში მშფოთვარე აზრი იკიდებდა ფეხს — თითქოსდა ძლევამოსილი დემოსის წიაღში უცილობლად უნდა გამქრალიყო ადამიანის პიროვნულობა და ინდივიდუალობის მიმნიჭებელი ელფერიც წაშლილიყო.

ამან აიძულა უიტმენი „ბალახის ფოთლებში“ და ამავე წიგნის უველა კომენტარში განეცხადებინა, რომ, როდესაც იგი მრავალმილიონიან მასებს უძღვნის ჰიმნს, ეს ჰიმნი თანაბარწილად თავისუფალ და შეუზღუდველ პიროვნებასაც ეკუთვნის.

სხვაგვარად, მისივე აზრით, ზემოხსენებული ვითარების წარმოდგენა შეუძლებელიცაა, რადგან „დემოკრატია როგორც განმთავისებრებელი, საზოგადო თანასწორობას ამყარებს ერთგვაროვან, რიგით ადამიანებს შორის და ამასთანავე სავსებით საპირისპირო, განუხრელ პრინციპსაც შეიცავს თავის თავში (ისევე საპირისპიროს, როგორიც ქალი და მამაკაცია ერთმანეთისთვის); ეს პრინციპია ინდივიდუალიზმი, ყოველი ადამიანის ქედმაღალი ცენტრისკენული განკერძოებულობა, პერსონალიზმი“.

პერსონალიზმის ზეიმი რომ უფრო თვალნათლივ წარმოეჩინა, უოლტ უიტმენმა ურუპე პირობად მიიჩნია ედიდებინა თავისი თავი — უოლტ უიტმენი, როგორც დემოკრატიული წყობის მიერ შექმნილი ბედნიერი და თავისუფალი არსება.

მისი „სიმღერა საკუთარ თავზე“ ხწორედ ამგვარი სიტყვებით იწყება:

მე ვაქებ და ვადიდებ ჩემს თავს...



ყველგან, ყოველ გვერდზე უიტმენი წინა პლანზე თავის პიროვნებას უთმობს ადგილს, როგორც დედამიწის ზურგზე არსებულ უდიდეს ძალას:

ო, დამთრგუნველო, კაშკაშა მზეო,
ბელს რა უეცრად მომითავებდი,
შენი მსგავსი მზე ჩემშიც რომ არ აღმომხდარიყო.

აქ იბადება მისი ომახიანი წამოძახილები:

მე ღვთაება ვარ შინაგანად და გარეგნულად...
ჩემს ილღიებში დამდგარ ოხშივარს
ლოცვის სურნელი ვერ შეედრება...
მიწა! შენ ჩემთვის აღორძინდები. ვაშლი ყვავილობს,
აბა, მოვდივარ და შენც მიღიმი სატრფოს და მოყვასს...
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

ყოველივე ეს საკუთარ თავში შეუყვარებული ეგოცენტრიკოსის სახწაულებრივი კვებნა. ქადილი გეგონებოდა, ახეტხავე საქციელს პოეტი თვითელი ჩვენთაგანისგან რომ არ მოი-
თხოვდეს:

ყველაფერს, რასაც ჩემსას ვუწოდებ, თქვენით შეცვალეთ,
სხვაგვარად აზრი დაეკარგება ჩემს ყველა სიტყვას.

ამბობს ის პოემაში „სიმღერა საკუთარ თავზე“ და მერე კვლავ და კვლავ იმეორებს. თითქოს მისი პოეზიის ძალმოხილება იმითაა გამოწვეული, რომ ყოველი ადამიანი ერთადერთია და აქედან გამომდინარე პიროვნებას არათუ თრგუნავს პოეტი, არამედ აფასებს მას და ჭერარსმენილ ხოტბას აღუვლენს.

სამწუხაროდ, ხწორედ აქ გამოსჭვივის ყველაზე მკაფიოდ უიტმენის პოეზიის სქემატიზმი, აქ დაპყრავს გამონაგონის იერი, აქ ეტყობა ის „წინასწარგანზრახულობა“, რომელიც რაღაც გამოუცნობი ძალის წყალობით ნამდვილ სტიქიურ შთაგონებას ეთანაწყობა.

რამდენიც არ უნდა აცხადოს უიტმენმა თავის მანიფესტებში, ლექსებში და სტატიებში პიროვნება ჩემთვის მზესავით ძვირფასიაო, მაინც არაფერი შეიცვლება; „ბალახის ფოთლებში“ ხსენებული პიროვნება ისეთივე რჩება, როგორიც მანამდე იყო: უსახელო, უთვალს და უსაზო. ესაა უპიროვნო პიროვნება, სტატისტიკური ერთეული, სტანდარტული პროდუქტი, ზოგადპიროვნება, რომლის შეძულება, შებრალება ან შეუყვარება წარმოუდგენელია.

უიტმენი თვითონაც გრძნობს, რომ აქ გარკვეული წინააღმდეგობა წარმოიშვა. მრავალრიცხოვან ბრბოს თუკი უმღერი, პიანჭველეთიდან ერთი ჭიანჭველაა არ უნდა გამოარჩიო და თუნდაც წამით, სამყაროს ცენტრად არ უნდა მიიჩნიო ის. თუმცა ამგვარი წინააღმდეგობა როდის აფრთხობს პოეტს:

შენ ამბობ რომ მე ემოქრობ
ჩემს თავის საპირისპიროდ,
დე, აგრე იყოს.
(მე ხომ ჩემში სხვადასხვაგვარ ადამიანთა
სიმრავლეს ვიტევ).

(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

რუსული ლიტერატურის მომხიბლავი პუმანურობა პირველყოვლისა, იმ ყურადღებაში გამოსჭვივის, რომელიც ყველაზე უფრო მიკროსკოპული პიროვნებების (აკაკი აკაკიევიჩი იქ-

ნება ეს თუ მაკარ დევუშკინი) ფიქრებს, ქცევებს, ტანჯვასა თუ სიზარულს ეთმობა. მაგრამ ეს პიროვნებები უიტმენის „ბაღაზის ფოთლების“ ფურცლებზე რომ მოხვედრილიყვნენ, უმაღლესე დაბკარგავდნენ უაღრესად მრავალფეროვან ნიშან-თვისებებს და შეუძლებელი გახდებოდა ჩიჩიკოვის გარჩევა პეჩორინისგან ანდა კორობოჩკასი ანა კარენინასაგან. პიროვნების გაუპიროვნებლობა მოხდებოდა.

უიტმენი მისეული ამერიკული დემოსიხათვის ნიშნეული „პერსონალიზმის“ წვეულებ-
 ზიზღიერობაა

აქ არ მოიძვევა მოცემული ცოცხალი ადამიანისადმი მიმართული იმ მღელვარე და მცხუნვარე სიუვარულის ნახაზი, რომელიც ნიშანდობლივია ტოლსტოის, დოსტოევსკის, გლეზუსპენსკის, გარშინის თუ ჩეხოვის შემოქმედებისათვის; და მაინც, უიტმენის ეს ეგოცენტრული ინდივიდუალიზმი არ არის მოკლებული დადებით ნიშან-თვისებებს. მისი სოციალური ღირებულება უეჭველია. უიტმენი თვითრეულ ადამიანს მიმართავს და ეუბნება, შენ ისეთი-ვე ლამაზი და ძალოვანი ხარ, როგორიც სხვა ადამიანებია. პოეტი დიდი მხატვრული სიძლიერით ამტკიცებს პიროვნების, ადამიანის — მაღალი აზრის სულიერ ღირსებას. „ბაღაზის ფოთლების“ საუკეთესო ფურცლები სწორედ ამ ადამიანებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს ეთმობა:

ვინც არ უნდა იყო შენ
 ილტვოდე მარად და იცოდე!
 აღმოსავლეთის და დასავლეთის სიდიადეა
 შენი თანმხლები.
 შენც ამ ველების და მჩქეფარე მდინარეების
 მსგავსად, ნამდვილად უსამანო ხარ.
 ეს შენ მბრძანებლობ ამ სტიქიებს,
 ამ ქარს და ხორშაკს, სიკვდილს ლანდისებრს
 და ილუზიურს,
 შენ მბრძანებლობ ქვეყნიერებას, —
 ვნებებს და ფიქრებს, ტკივილს და წუხილს.
 („შენდამი“)

ეს უდიდესი თემა უიტმენის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს. ამ თემასთან შეხებისთანავე პოეტს შთაგონების ცხოველმოსილი სახმილი ედება.

4.

იმ ათწლეულში, უიტმენი თავის წიგნს რომ ქმნიდა, შეერთებულ შტატებში თანდათან მშრომელთა კლასმა იწყო ჩამოყალიბება. ამ კლასს მანამდე ქაოტური, ბუნდოვანი და უღიმ-
 ლამო სახე ჰქონდა.

შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარიატი თავისი ნამდვილი სახით სწორედ მაშინ გამოვი-
 და ასპარეზზე, როდესაც უიტმენი პირველ სიმღერებს ქმნიდა.

ორმოცბანი წლების ამერიკაში მრეწველობა გაუგონარი, ქეშმარიტად ამერიკული ტემ-
 პებით იზრდებოდა. ეს პროცესი ძირითადად, ჩრდილოეთ შტატებში მიმდინარეობდა. ამ ად-
 გილებში სოფლის მეურნეობის მექანიზირების ტემპი უსწრაფესი იყო.

იმიტომაც არის, რომ უიტმენის პოეზიაში ძალზე მკაფიო, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს
 მანქანურ-ინდუსტრიულ თემას:

მუზავ! აქ ყოფნა და დღეის დღე
 მე მომაქვს შენთან.
 ორთქლი, ნავთქურა, გაზი და კიდეც:
 უსწრაფესი მატარებლები, შეტყობინების დიადი გზები,
 სადღეისო წარმატებები: ატლანტიკის ნაზი კაბელი,
 ექსპრესი წყნარი ოკეანისა,
 სუეცის არხი, ბრუკლინის ხიდი
 და გვირაბები, ბოთარდის და ბუზეკის წიად...

მე მომაქვს შენთან დელამიწა,
როგორც გორგალი,
დასერილი ლიანდაგებით...
(„საგამოფენო სიმღერა“)



იმხანად ძალზე მცირედნი იყვნენ პოეტები, რომლებიც გაბედავდნენ და ამგვარ ზოგბას
აღუვლენდნენ ლიანდაგებს, ზიდებს და არხებს. მაშინ სამრეწველო ტექნიკის ტერმინები ანტი-
პოეტურ სიტყვებად მიიჩნეოდა და ხაკმაო გაბედულება იყო საჭირო პოეზიაში მათ შემოსა-
ტანად:

ო, ჩვენ აღვმართავთ ძვირფას შენობას,
ყველა ეგვიპტურ აკლდამაზე უფრო დიდებულს,
უფრო დიდებულს ძველ ტაძრებზე, რომის, ელადის,
ო, ჩვენ აღვმართავთ, ინდუსტრიაზე. შენს წმინდა ტაძარს!
(„საგამოფენო სიმღერა“)

უიტმენი დასცინის ძველი ყაიდის გემოვნებას და იმის მაგივრად, რომ უვავილებს, პეპ-
ლებს, ან კიდევ ქალურ მომხიბლაობას უმღეროს, ის ოდებს უძღვნი ფაბრიკის საუვირებს,
ბრძმედს, ბოვს, სამუშაო დაზგებს, — აი, მისი მოწოდება ორთქლმავლისადმი:

დიდებული ხარ, ო, გაიქროლე!
და ალაგსე ჩემი ლექსები
შენი ხაზიდან ამომსკდარი შმაგი მუსიკით!
ალაგსე-მეთქი მაგ გიჟური სტვენა-ხარხარით,
მიწას რომ ძრავს და შორი მთებიდან
მძვინვარე ექოდ ბრუნდება უკან.
(„ლოკომოტივი, ზამთარში“)

ეს მომავლის განცდით აღბეჭდილი, ახალი ინდუსტრიულ-ტექნიკური ერის პოეზია, ქა-
ლაქის პოეზია იყო. ამერიკის ურბანიზაცია იმხანად ელვის სისწრაფით მიმდინარეობდა. იმ
ათწლეულში, უიტმენი თავის წიგნს რომ ქმნიდა, ნიუ-იორკის მოხალღეობა გაორკეცდა, ჩიკა-
გოსი კი, 500 პროცენტით გაიზარდა.

ეს ბიძგი სეისმოგრაფის დარად აღიბეჭდა უიტმენის პოეზიამ. მაშინ როდესაც სხვა პო-
ეტები დაისებოთ და ქათქათა მკერდებით თვრებოდნენ, უიტმენმა დემონსტრაციულად უმღერა
დოკებს, ქვაფენილებს, საავადმყოფოებს, საცხედრებს, გემთსაშენებს, სადგურებს, დიდი ქალა-
ქების ქვაფენილებზე მილიონი ფეხსაცმლის ფრატუნს და ამგვარად, მაქსიმ დიუკანთან ერთად,
ჩვენი დროის ურბანისტული პოეზიის საფუძველმდებლად წარმოგვიდგა; უიტმენი წინამორ-
ბედია იმგვარი ურბანისტებისა, როგორებიც იყვნენ ვერმარნი, ბრიუსოვი, მაიაკოვსკი.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ბედნიერი ხანა, როცა უიტმენი თავის წიგნს ქმნიდა, მთლად
ულრუბლო იყო. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში დემოკრატიის თავზე ცა მოიქუფრა.
გარდუვალი ავდრის მოლოდინი — იმ პერიოდის ნიშნეული თვისებაა.

„ჩვენ შფოთიან და შიშნეულ ატმოსფეროში ვცხოვრობთ, ყოველი გაზეთიდან ხაკატას-
ტროფო უწყებას ველით! — აცხადებდა აბრაამ ლინკოლნი სწორედ იმ წელს, როცა უიტ-
მენს თავის „ბალახის ფოთლები“ თითქმის დამთავრებული ჰქონდა. — ხისხლი დაიღვრება და
ძმა ძმაზე აღმართავს ხელს!“

მაშინ დღითი-დღე მატულობდა ხისხლის ხუნი. სამოქალაქო ომი ახლოვდებოდა. სამხრე-
თი და ჩრდილოეთი შზად იყვნენ შეტაკებისათვის.

თავზეხელაღებულია კანზასელმა რევოლუციონერ-ტერორისტმა, ჯონ ბრაუნმა, სწორედ
„ბალახის ფოთლების“ შექმნის წლებში, ზანგების განთავისუფლების იდეით შეპყრობილმა
ხუთი პლანტატორი მოკლა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ქალაქის არსენალი დაიკავა, მძევ-
ლებად სახელმწიფოებრილი მოქალაქეები დაიხვა და იარაღით ხელში შავკანიანების გამოსახს-
ნელად გასწია. ის დაჭრეს, დაიჭირეს და ჩამოაბრჩვეს, როგორც მემამოხე და მოღალატე.
მაგრამ ყველამ იგრძნო, რომ კანზასელი მემამოხე იმ ეპოქაში მთავარი კაცი იყო და თავის
თავში მოახლოვებულ კატასტროფას და ვნებას ატარებდა.

„ნიუ-იორკელი ტრიბუნის“ (აქ იბეჭდებოდა კ. მარქსის სტატია) რედაქტორი ჩარლზ დანა აცხადებდა: „დე, სხვებმა გაუწიონ დახმარება ტირანებს, ჩვენ მოვკვდებით სამართლიანობის და თავისუფლებისათვის ბრძოლაში და არ შეგვეშინდება იარაღი გადავცეთ მათ, ვისაც დემაგოგებს უწოდებენ“.

სწორედ იმ დროს წერდა ჰენრი ტორი თავის მემბოხე სტატიას: „მოვალეობის შესახებ — არ დაემორჩილოს ხელისუფალთ“.

ამ მრისხანე ატმოსფეროთი იყო დატენილი უოლტ უიტმენის წიგნი:

დიახ, მე ვუძღერ არა მხოლოდ წყნარ მორჩილებას,
არამედ ამბოხს,
რადგან მე ვვცლა მემბოხის ერთგული ძმა ვარ,
და ვისაც კი სურს ჩემს ფეხდაფეხ სვლა,
დაივიწყოს მყუდრო ცხოვრება, გულშეიერი ყოფა,
ის თავს წირავს ან საფრთხეში იგდებს.

(„დამარცხებულ ევროპელ რევოლუციონერს“)

ასეთ დეკლარაციებს უიტმენის ლექსებში ხშირად შევხვდებით, ამიტომ მრავალ ქვეყანაში (და უპირველეს ყოვლისა რუსეთში 1905—1917 წლებში) ის მიჩნეული იყო რევოლუციონერ პოეტად. საამისოდ მკითხველებს თითქოს ყოველგვარი საფუძველი გააჩნდათ. „ბალახის ფოთლებში“ არის 1848-1848 („ევროპა“) წლის იტალიელი, ავსტრიელი, ფრანგი მემბოხეებისადმი მიძღვნილი მგზნებარე ჰიმნები; არის აგრეთვე ლექსები, რომლებიც ეძღვნება ევროპელ მოქანყებებს („ევროპელ რევოლუციონერს, რომელიც დამარცხდა“), არის ესპანეთის რევოლუციისადმი მიძღვნილი ლექსები („ესპანეთი 1978-74“) და ა. შ.

რა დასაშაღია, რომ ამ ლექსებში გამოვლინდა ხსენებული ეპოქის ყველა (თუნდაც ძალზე თავშეკავებული) ამერიკელ მოქალაქის თანაგრძნობა დედამიწის სხვა ნახევარსფეროში მომხდარი უცხო და შორეული რევოლუციებისადმი, რაც შეეხება უიტმენის დამოკიდებულებას ამერიკული სინამდვილისადმი, შეიძლება ითქვას, რომ თუმცა პოეტს ბევრი რამ სძაგდა, მაგრამ რეფორმისტულ სწრაფვებზე შორს არ წასულა. (ამაზე მეტყველებს მისი რისხვით აღსავსე ტირადები „დემოკრატიულ სიშორეებში“ და შესანიშნავ პოემაში „მიპასუხეთ!“ („Respondel!“); უიტმენი ამერიკული ყოფის ყველა უარყოფით ფაქტს შემთხვევითად და ადვილად მოსპობადად თვლიდა. ის ძალზე შორს იდგა რაციონალური რევოლუციური მოქმედებისაგან თავის ცხოვრებისეულ პრაქტიკაში.

და მაინც, მოწინავე ევროპელმა მკითხველმა უიტმენის წიგნში მრავალი მონათესავე, ძვირფასი მომენტი შენიშნა და მოიძია: თავისუფლების მოყვარეობა, სიცოცხლისადმი ტრფილი, ხალხის მასებისადმი მიძღვნილი ჰიმნები, ხოტბა ტექნიკისადმი, მოწოდება ძმური ერთიანობისკენ, — ყოველივე ეს გახდა საიმისო პირობა, რომ ფრანგ, ნორვეგიელ, პოლანდიელ და ინდოელ მუშაკს მხურვალე სიმპათია გაღვივებოდა გულში.

„რა თქმა უნდა მასში მრავლად იყო ისეთი რამ, რაც განუყოფელია XIX საუკუნის ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან, — ამბობს პოეტზე ნიუტონ არვინი, — თუმცა ყოველივე ამგვარი დაივიწყა მკითხველმა, ხოლო მიიღო ის, რაც მაღალმხატვრული, ორიგინალური და ღრმად ჰუმანური იყო. უიტმენი ჩვენ თანამედროვეებს დიდ ძალას ჰმატებს შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში და იმ ხალხს, მერმისში სამართლიანი საზოგადოების აშენებას რომ ეცდება, შთაგონებას ანიჭებს. ეს აღამიანები თანდათან რწმუნდებიან, რომ მათ წარსულს მემკვიდრეობად არ გადმოუცია სხვა წიგნი, რომელშიც „ბალახის ფოთლებზე“ უფრო თამამად იქნებოდა ნაწინასწარმეტყველები ძმური ჰუმანიზმი“.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე უიტმენმა თავის ახალგაზრდა ნაცნობ ხორეს ტრაუბელს უთხრა:

„ცხადია, მე მიუვარს ამერიკა და მიინდა ის აუვავებული ვნახო, მაგრამ არა სხვა ხალხის ხარჯზე“. ვილაც შეეცოტა: „განა უპირველეს ყოვლისა, შენს საკუთარ სახლზე არ უნდა იზარუნო?“ უიტმენმა მიუგო: „რა არის იმისთვის სახლი, თუნდაც საკუთარი, ვისაც უყვარს კაცობრიობა“.

ერთმა ინგლისელმა ისტორიკოსმა წიგნი დაწერა უიტიშენზე. ბოლოში დასძინა: უიტიშენი მაინც ვერ მოვიხელთეთ. ცალკე წიგნი დარჩა და ცალკე უიტიშენის პოეზია. სასწაერკვეთილი კრიტიკოსი უკანასკნელ ხანას ეძებს და პოეტურ შეფასებებს და მეტაფორებს მიმართავს. „უიტიშენი — წერს ის — ვეება ბეჭედი: ის განრისხებული მიარღვევს ჭუნგალებს... ამტვრევს ბამბუკებს და ლიანებს. წყალუხვ მდინარეში ეფლობა და ავხორცუნდება...“
ხვათისაგან მიზნედილი. უიტიშენი — უზარმაზარი ხეა, ზღაპრული ხე იგდრაზილი, მისი ფესვები ქვესკნელთა სამეფოშია განტოტვილი, ჯადოსნური კენწეროს ტოტები კი მთელ ტატნობს ფარავს. უიტიშენი — ხარირეზია ან კამერი მღვდლის დაურვების მოწადინე, მისი მადრვარი კიდითი კიდემდე პრერიების უდაბნოში. უიტიშენის პოემები მკვრივი მუხის ტანზე დაჭედული რგოლებია. უიტიშენი ჰაერია, ბუნდოვანი მირაუებით და ნიღვებით, სხვადასხვაგვარი კოშკებით და პალმებით მოლივლივე, გაიწვდენ ხელს მათკენ და იხინი წაშსვე ქრებიან. უიტიშენი მიწაა, მთელი დედამიწა: ქვეყნები, ზღვები, ტყეები, უვლაფერი, რასაც კი მზის შუქი და წვიმის წვეთი სწვდება. უიტიშენი — უვლა ხალხებია, უვლა რელიგია, ქალაქები, ენები, ბელოვნება, უვლა ფიქრი, უვლა ემოცია, უვლა რწმენა. ის ჩვენი მკურნალია, ჩვენი გაღია, ჩვენი გულისწორი და ა. შ.⁸

რუსი მწერალი ბალმონტი თავისებურად იჭერს ამ დაუკავშირებელ გამონათქვამებს:

„უიტიშენი თავად წულის კაცია. ის ზღვის მეფეა: როკავს, გემებს აპირქვავებს... უოლტ უიტიშენი სამხრეთი პოლუსია... უიტიშენი ძალთახმევია. ფრინველია ციური, იგი ზღვის არწივია, რომელსაც ფრეგატი ეწოდება. ამ ფრინველს გამჭრიახი მზერა აქვს, მფრინავი თევზებით იკვებება და ისეთი მკვრივია, ფოლადისა გეგონება: ის ცულის ან ნამგალს წააგავს“ და ა. შ.⁹

უიტიშენი წარბს შეიკრავდა, ეს კაშმული სტრიქონები რომ წაეკითხა. ხელოვნური სილამაზე ჭირის დღესავით სძულდა მას. მისი მთელი შემოქმედება სწორედ ამგვარი სილამაზის წინააღმდეგაა მიმართული; ამერიკელი პოეტი გმობს საგანგებოდ შეთხზულ პოეტურ ფრაზებს, „ლამაზ“ პოეტურ სანეებს.

სავსებით ახალი შინაარსი, რომლითაც უიტიშენმა მსოფლიო პოეზია გაამდიდრა, ახალ ფორმას მოითხოვდა. უიტიშენი ერთ-ერთი უვლაზე უფრო გაბედული ნოვატორია. მან დემონსტრაციულად უარყო გასული საუკუნეების ნაანდერძევი უოველგვარი ფორმები, სიუჟეტები და სახეები. პოეტმა „ბალახის ფოთლების“ საბრძოლო პათოსით აღსავსე წინასიტყვაობაში პირდაპირ განაცხადა: პოეზიის მთელი ეს „გასვრილი ძველმანები“ — ბალადები, სონეტები, სექსტინები, ოქტავები — არქივს უნდა ჩაბარდეს, რადგან პრივილეგირებული კლასების თავსეპყვით, მსოფლიო ისტორიის ახალ მესვეურებს კი არაფრისმთქმელი სილამაზე არ ესაძირობათო:

მაშ, განაგდე ეს ძველისძველი სიმღერები!
ეს რომანები და დრამები სასახლეებზე უცხო ქვეყნების!
ეს სტანსები სასიყვარულო, რითმით შემკული,
უსაქმურთა ინტრიგები და ამერების ნაკაზმი!
მარტოოდენ იმ ბანკეტებზე გამოსადეგი,
სადაც მუსიკის პანგს აყოლილნი,
მთელ ღამეს თრთიან მოცეკვავენი.
(„საგამოფენო სიმღერა“)

„რითმების ბადაგი“ უიტიშენს მეტისმეტ ფუფუნებად მიაჩნდა „ათლეტური“ მასებისათვის. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტს რამდენიმე წელი დასჭირდა, რათა ტრადიციული პოეზიისათვის ნიშნეული „ფოკუსები, ხერხები, ეფექტები, სამშვენიისები და ღვარჭნილობები“ გამოედევნა „ბალახის ფოთლებიდან“, განა ჭირდება ორთქლმავალს ორნამენტი სილამაზის ნიშნად რომ იქცეს ან ქუჩურ რია-რიას რად უნდა ანაბესტი და დაქტილი, ისედაც ხომ კარგად უღერს მისეული რიტმი. პომეროსს ნიშმრადაც რომ არ მოლანდებია? რაფინირებული ლექსის საუკუნეში, — როდესაც ანგლო-ამერიკულმა ლიტერატურამ შეამოზიდა პოეტური ტექნიკის უებრო ოსტატთა სახელები: ედგარ პო, ტენისონი, რობერტ ბრაუნინგი და სუინბერი, უოლტ უიტიშენი მხოლოდ და მხოლოდ საიმისოდ ირჩება, რომ მისი ლექსები კუნთ-

მაგარი, მოუხეშავი, ზოგჯერ და მჩხვლეტავი იყო. „რამე გვარგია დუნე თითებით შეთით-
ხნული ეს წვრილმანი მიეთმოეთი“ — ამბობდა უიტმენი მის თანადროულ ამერიკულ პო-
ეტთან და უშიშრად შეტეოდა საკუთარ ლექსებში პროზაული, საგაზეთო მეტყველება.

მის ლექსებში უხვად, „სიტყვები“, რომელიც დღესაც აღაშფოთებს გულცივ პური-
ტანებს და წესიერების ცრუ დამცველებს. ბუდუარული პოეზიის გაღმერთებას მჭიდროსპი-
როდ უიტმენი ქალის ღაწვებს და თვალებს კი არ უმდეროდა, არამედ, —

ნეკნები, მუცელი, ხერხემალი...
საშო, მკერდი, კერტები...
პულსი, კუჭ-ნაწლავი, ოფლი...
კანი, კორფლი, თმა...
წელის და ბარძაყების მშვენიერება
და მათი შეერთება მუხლებთან...
ჯანმრთელობის უბაღლო რეალიზაცია.
(„ადამის შვილები“)

უიტმენი თავისუფალი იყო ასკეტიზმის ყოველგვარი შემოტევისაგან. ის არ იქნებოდა
მეცნიერების მეტოქე, ადამიანის ბუნებაში სიბილწეს და უსუსურობას რომ ხედავდეს; ის არ
იქნებოდა იდეალური თანაზოგადობის პოეტი, სხეულის ნაწილები რანგებად რომ დაეცალკევე-
ბინა და მერე დიდგვაროვნად და პლბეგებად დაეყო.

საერთოდ, პოეტიკის კანონები, უიტმენის აზრით, ბუნების კანონებს უნდა ემორჩილე-
ბოდეს. „ო, ნეტავ ჩემი სიმღერა იყოს ისე უბრალო, როგორც ცხოველების ამობლავლება, —
ანდა თევზებით სწრაფი და სხარტი და ტაპატყუპი წვიმის წვეთების!“ შექსპირის გენიალობა.
საც რომ ფლობდეს უიტმენი უარს იტყოდა, ოღონდ ზღვას თავისი შლაშე ზვირთის ერთი
შხეფი ესროდა და ამ შხეფის სურნელი შთაებერა და ჩაეტოვებინა ლექსში.

უიტმენი გმობდა ყოველივე იმას, რაც პირობითად პოეტური და წიგნიერი იყო, ამგვა-
რი რამ უმსგავს სიცრუედ მიაჩნდა. პოეტის ადრეულ მკითხველებს ისეთი შთაბეჭდილება
შექმნათ, თითქმის იგი თავის თვითრეულ პეკარს ოკეანის ნაპირას ქმნიდა და მერე მზითა და
შაერით სინჯავდა. „ყოველი პოეტი ტყავიდან ძვრება საიმისოდ, რათა მეტისმეტად სურნელო-
ვანი, გემრიელი და პიკანტური იყოს მისი ლექსები. მსგავსი მისწრაფება არასდროს მქონია ბუ-
ნებას, რომელიც ჩემი ერთადერთი მისაბამი ნიშნული იყო მუდამ. ადამიანი ბუნებას როცა ებე-
ბა, ყოველთვის მის გაღამაზებას ცდილობს; შერჩევისა და შეჭვარების შედეგად ამლიერებს
ყვავილთა შეფერილობას და სურნელს, ნაყოფების წვნიანობას და ა. შ. იგივეს აკეთებს
იგი პოეზიაში, ძვრწავს უმკვეთრეს შუქ-ჩრდილებს, არჩევს ძალზე ღია საღებავებს, უმძაფრეს
სურნელებს, ეძიებს „დამრტყმელ“ იფექტებს. ამგვარი ქმედება კი ბუნების ღალატს ნიშ-
ნავს.“¹⁰

დიდხანს არსებობდა ლეგენდა იმის შესახებ, რომ უიტმენის ლექსები ისევე განუსჯელი,
ანაწევრული და ველურია, როგორც ტყიური ცხოველის ბლავილი. პოეტი თავადვე უწყობდა
ხელს ამ ლეგენდის გავრცელებას: „ვინც მოიხურვებს, რომ ჩემს წიგნებს შეხედოს როგორც
ესთეტიკური და მხატვრული ამოცანების მქონე ლიტერატურულ მოვლენას, ის ვერაფერს
გაიგებს“.

მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ასე არ არის.

ახლა უკვე საგანგებოდაა შესწავლილი უიტმენის ხელნაწერები და თვალნათლივ ჩანს
თუ რაოდენ ძალას ახარჯავდა პოეტი თავის ლექსების დახვეწას. წიგნის ყოველი ახალი გამო-
ცემა წინასაგან შესამჩნევად განირჩეოდა. რობერტ ლუი სტივენსონის აზრით, უიტმენის პოე-
ზიის საბედისწერო თავისებურებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მისი პოეზია მნიშვნელოვანწი-
ლად „წინასწარგანზრახული“ იყო¹¹.

მართლდენ მძვინვარე და ქაოტური შთაგონების შემოტევებით რომ აღარ კმაყოფილ-
დებოდა, მან სიუჟეტების მთელი რეესტრი შეადგინა, და ამ რეესტრის შესატყვისად, ზედმი-
წევნით დამუშავებული სქემის მიხედვით, ლექსები საკუთარ თეორიებს დაუქვემდებარა; ეს
სიუჟეტები დემოკრატიის პოეტს უნდა დაემუშავებინა.

გასაოცარიც კია, იმდენი დოგმები და წესები — სწორედ ლიტერატურული და ესთე-
ტიკური — შეაინერგა ამ „ველურმა“ — მის არახელოვნებისეულობაში ხელოვნებას დიდი
წილი ედო; მისსავე უბრალოებას კი სირთულე ახლდა. „მან მხატვრულობაზე უარი თქვა, მაგ-

რამ აქაც მხატვრად დარჩა — ამბობს უიტმენზე ოსკარ უაილდი. ცხადია, უიტმენს კარგად ესმოდა, რომ თუ გსურს გახდე დიდი პოეტი, საკუთარ თავზე, საკუთარ ზნეობრივ პრინციპებზე უფრო მეტი უნდა იფიქრო, ვიდრე „ლექსის კოსმეტიკურ სამშვენიისებზე“. თუ გსურს შექმნა პოემა, ჯერ საკუთარი თავი უნდა შექმნა. „იცოდე, შენ ნაწერებში არ იქნები არცერთი ისეთი ნიშანი, რომელიც შენში არ არის მოცემული, — უკუიწებდა პოეტი საკუთარ თავს, — თუ ხარ ბოროტი ან უხამსი, ამას შენს ნაწერებს ვერ დაუმაღავ. თუ გსურს შექმნა სკამს უკან ლაქია რომ დგას — ესეც აღიბეჭდება ნაწერში. თუ ბუჭდები, ხარ და შეუჩინარი, ან არ გწამს ხულის უკვდავება ანდა ქალების მიმართ ქვენა გრძნობები გამოძრავებს, — არც ეს დაიმაღება, რომც გაჩუმდები, ხმა არ გაიღო და ამაზე არაფერი დაწერო. არ არსებობს ისეთი ფანდი, ისეთი ხერხი, ისეთი რეცეპტი, რომელიც საშუალებას მოგცემდა დაგემაღლა შენი ნაწერებისთვის შენივე ხულის ზადი.“¹²

უიტმენი უმკაცრეს მცნებას უნერგავდა საკუთარ თავს.

„აი, რა უნდა აკეთო შენ: შეიყვარე მიწა, მზე, ცხოველები; შეიძულე სიმდიდრე... სხვებს უსაჩუქრე შენი საქმეც და მონაგარიც, ზიზღით განიმსჭვალე მჩაგვრელთა მიმართ, ნუ იფიქრებ ღმერთზე; არავის და არაფრის წინაშე არ მოიდრიკო ქედი და შენი სხეული თავად იქცევა დიდებული პოემად, მდუმარე ბაგენი კი ტკბილსასმენლად იმეტყველებენ“.

უიტმენს ლექსების თხზვა კი არ უნდა, თავისი მძლავრი სული უნდა რომ შთაგვბეროს. რათა თვითონვე ვთხზათ ლექსები.

ჩემთან დაჰყავი ერთი დღე-ღამე და შენ იქცევი
თავად ყველა პოემის წყაროდ.

უიტმენს სურს, რომ საკუთარი განცდა გადაგვდოს, ის სახეებს კი არ ქმნის, არამედ — იმპულსებს და სტიმულებს წარმოშობს, თან თვითონვე იმეორებს, მე მხოლოდ პოემებს როდი ვქმნი, არამედ პოეტებსაცო.

„მკითხველმა — ამტკიცებდა პოეტი — სამუშაოს გარკვეული ნაწილი თვითონ უნდა შეასრულოს, ისევე როგორც მე ვასრულებ გარკვეულ ნაწილს ამ სამუშაოსას. „ბალახის ფოთლებში“ ამა თუ იმ თემის განვრცობას როდი ვესწრაფვი, მე მინდა მკითხველი შევიყვანო გარკვეული თემის ან აზრის აღმოსაფეროში, რათა იქიდან თავადვე გაიგნოს გზა“¹³.

უიტმენი საყოველთაოდ მიღებულ, პოეტური რიტმების გაქვავებულ სისტემას უარყოფდა და მოითხოვდა, რომ გულისხმერას ლექსის მაჯისცემა შესატყვისებოდა. ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, თუ რა რიგ აწვითარებდა პოეტი სალექსო რიტმიკას. უიტმენისეული რიტმები რჩეული ლექსების მიხედვით თუ ვიშხველებით, უფრო ელასტიურია, რთულია და მოძრავი და გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

თითქოსდა მონოტონური თეთრი ლექსი უიტმენის ხელში დრეკადი და დამყოლი გახდა. მისი რიტმული გამომსახველობის მეშვეობით ყოველი აზრის და ემოციის გამოხატვა ძალუძდა პოეტს. თუმცა კი ამ ლექსების რიტმიკა ზერელედ რომ გადავავლოთ თვალი, პრიმიტიული და ღარიბი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში იგი ძალზე მდიდარია ემოციური ელფერიტ. გაგახსენებთ თუნდაც ერთ ლექსს. — „არწივების სატრფიალო აღერხი“. ამ ლექსის ყოველი პწკარი საკუთარი, შინაარსთან მეტისმეტად შეთანხმებული რიტმით ფეთქავს. ამ ლექსში ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სწრაფი მოძრაობის ტემპს სახიფვარულო ქანცმიხდილობის შენელებული ტემპი ენაცვლება, სულ ბოლო სტრიქონში კი ორი ერთიანი „მბრუნავი მასის“ გათიშვა, რღვევა და განხეთქილებაა ნაწევნები მკაფიო რიტმული ნახატის მეშვეობით:

ქალი და კაცი
თავ-თავის გზით
დაშორიშორდნენ

ამ განხეთქილებას არა მხოლოდ მოგვითხრობს ლექსში უიტმენი, რიტმის მეშვეობით გამოხატავს.

რა თქმა უნდა, უიტმენის მრავალი ლექსის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის გონებას ნაყოფი უფროა, ვიდრე გულია. რობერტ ლუი სტივენსონი ირონიულად შენიშნავდა, უიტმენი თავისი ნებასურვილით ოპტიმისტად კი არ გამხდარა, დემოკრატიის მეხოტბეობა რომ ითავაშინა გადაწყვეტა ასეთი და ასეთი უნდა გავხდე და პროგრამას დაეკვიმდებარაო.

რა თქმა უნდა ეს სწორია, ოდნოდ ნაწილობრივ, უიტმენი მართლაც პოეზიის თეორეტიკოსია, მაგრამ რად ეღივებოდა მისი თეორიები, თავად რომ პოეტი არ ყოფილიყო! ის ვერასდროს ვერ მიაწივებდა თავის საუკეთესო ლექსებს მუსიკის მიპნოზური ზემოქმედების უნარს, რითაც ასე ძლიერია მუდამ. როდესაც მის ლექსს „პრეზიდენტ ლინკოლნის ხსოვნას“ კითხულობ, ასე გგონია, სადღაც, დიდებულ ტაძარში გრანდიოზულ ორღანოზე რეკვიემს ასრულებენო. პოემა ქვითინით იწყება და ძნელია მიხვედრა, თუ რა საკვირველი ზღერების მეშვეობით აღწევს უიტმენი მძლავრ ეფექტს: მისი მოუხეშავი სტრიქონები რიტმულად გვეყვითნება, გავდმოხეცემენ, ეს ქვითინი არ არის ავისმომასწავლებელი: რაც უფრო ვიჭრებით პოემის სიღრმეში, მით უფრო მკაფიოდ ვარჩევთ ტკივილზე გამარჯვების სიხარულით აღსავსე ხმას. მწუხარება თანდათანობით ყოვლისმომცველ მსოფლიო აღფრთოვანებად გარდაიხსება.

სამი ლაიტმოტივის (ჩიტი, იასამნის ტოტი, ვარსკვლავი) მონაცვლეობაზე დამყარებული ამ პოემის კომპოზიცია ასევე მუსიკალურია. ეს ლაიტმოტივები ხან იბადებიან, ხან კი ქრებიან და ამგვარი მონაცვლეობა ქმნის რთულ და თავისებურ მუსიკალურ ნახაზს.

სამართლიანად შენიშნა ამ პოემის გამო XX საუკუნის პირველი ნახევრის ყველაზე გავლენიანმა ინგლისელმა პოეტმა და კრიტიკოსმა ტ. ს. ელიოტმა:

„როდესაც უოლტ უიტმენი წერს პოემას იასამანზე და ჩიტზე, მისი თეორიები ფუჭია და არაფრისმთქმელი“.

უიტმენის ნოვატორობა ფორმის სფეროში დიდხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. არსებობს აზრი, რომ მისი სტილური ნიშნები აღმოსავლეთის ლიტერატურიდან, კერძოდ კი ბიბლიის რერიტატივიდან იღებს დასაბამს.

ამ სტილის პირველი ნიშანი — სინონიმური პარარელიზმა: ყოველი მეორე სტრიქონი ოდნავ შეცვლილი სახით იმეორებს პირველს:

აურაცხელი თვალტანადი მამაკაცი რომ წარმოსდგეს
ახლა ჩემს თვალწინ, ოდნავადაც არ განვცვიფრდებოდი
აურაცხელი თვალწარმტაცი ქალიშვილი ანაზღად რომ გამომეცხადოს
გაკვირვებული როდი დავრჩები.

უფრო ხშირად კი პოეტი იუენებს ფორმას, რომელსაც შეიძლება ანტითეტური პარალელიზმი ვუწოდოთ. ეს ფორმა ორსტრიქონიანია და მეორე სტრიქონი ან უარყოფს ან სავსებით უპირისპირდება პირველს, ასეთი პარალელიზმი უიტმენის პოეზიაში მრავლადაა:

რად ხდება ხოლმე, უამრავი ქალები და მამაკაცები
არც სიშმაგე და არც მოთმინება ისეთგვარი,
რად ხდება ხოლმე, ისინი რომ მიმატოვებენ
სიხარულიც მტოვებს და მიღის.

ლექსში „შენდამი“ აშკარად და თვალსაჩინოაა გამოხატული აღმოსავლელ — უმთავრესად ბიბლიურ-წინასწარმეტყველთა ლაპარაკის მანერა:

არავისა აქვს იმგვარი მადლი, შენც რომ არ გქონდეს,
არც სილამაზე, არცა სიკეთე და არც სხვა რამე.
არც სიშმაგე და არც მოთმინება ისეთგვარი,
შენ რომ არ გქონდეს.
რა სიტკბოებაც ელოდება სხვებს,
შენც ის მოგელის.
რასაც სხვას ვჩუქნი,
იმას გჩუქნი შენც უსათუოდ.
თავად ღმერთსაც კი არ ვუმღერებ,
ჯერ შენ თუ არ შეგისხი ხოტბა.

ამგვარი პოეტური ფორმის წიად ყოველი სტრიქონი დასრულებულ მთლიანობას წარმოადგენს. ყოველი სტრიქონის ვიწრო საზღვრებში ერთი განსაზღვრული აზრია თავმოყრილი და ეს აზრი არასოდეს სცილდება სტრიქონის საზღვრებს. უიტმენისეული კომპოზიციის ტიპური მაგალითია ეს სამი სტრიქონი:

ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, ასე თქვამდნენ
ყველა დროში, ყველა ქვეყნის ყველა კუთხეში (პაუზა)
თუ ისინი შენ არ გეკუთვნის და ჩემია მხოლოდ და მხოლოდ
არარაობის ფარდი ყოფილა (პაუზა)
თუ ისინი გამოცანები არ არის და არც გამოცანის
ამონახსნია, ჩალის ფასი აქვს (პაუზა)



სამი სტრიქონი — სამი წინადადებაა, ოცი სტრიქონი — ოცი წინადადება და ა. შ.

ფილოსოფიური პოეზია თითქოსდა უხაგნო და აბსტრაქტული უნდა იყოს. ის, ვისი შთა-
გონებაც ფილოსოფიური კეშმარიტებებიდან იღებს დასაბამს. გულგრილია უოველდღიური
ცხოვრებისეული წერილმანისადმი. მაგრამ უიტმენის შემოქმედება სწორედ იმიტომაცაა
ბრწყინვალე, რომ თავისი კონსიუური იდეების დაფუძნებისას ის გარემოცველი სინამდვილი-
დან აღებული სახეების მწკრივებს (ან ისევ და ისევ კატალოგებს) იშველიებს. აქ მისი ნა-
ხატი არტისტულად ლაკონიურია და სადა, საღებავები ცინცხალი და ზუსტი, ყველაფერს თავ-
ვის თავში დაჭერებული, ძლიერი მხატვრის ხელი ატყვია.

და თუმცა ეს წერილმანი ჩანახატები ნატურიდან მუდამ ზოგად ფილოსოფიურ კონცეფ-
ციას ექვემდებარება, თითოეული მათგანი ავტორისათვის მაინც დამოუკიდებელი მხატვრული
ღირებულების მქონეა; მკითხველის თანამონაწილე წარმოსახვა თავისთავად ავსებს და ასრუ-
ლებს პოეტის სათქმელს. აქ არსებითი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ როგორ ენაცვლებიან
ან როგორი ოსტატობით არიან ერთმანეთში გადაწეული სახეები. ეს სახეები უბრალოა და
ჩვეულებრივი, მაგრამ ერთობლივად ისინი დიდ მნიშვნელობას იძენენ. რა შეიძლება იყოს,
მაგალითად, ამგვარ საქმეებზე და მოვლენებზე ორდინალური:

მეზღაურებმა მიაჯაჭვეს გემი ყურეში და
ჩამოუშვეს მგზავრებისთვის ნაპირზე კიბე,
უმცროსს დაიკოს უქირავს ძაფი, უფროსი კი ქსოვს
და ახვევს გორგალს; ყოველი კვანძის
განასკვისას ჩერდება ხოლმე; მღებავი აბრას
აწერს ასოებს ლავვარდისა და ოქროს სხაფეხით.
ყურე აივსო ნახტებით და უკვე იწყება მათი შეჯიბრი
(როგორ ელავენ თეთრი აფრები).
მენახირენი თვალს ადევნებენ ხარებს, ნახირი
რომ მიატოვებს და მოუხმობენ ისევ უკანვე.
ჰე, მეწვრილმანე ოფლში გაღვრილი მყიდველებს წვრილმან
საქონელს აძლევს, საცოლე ახალ კაბას
ისწორებს, წამმზონი ძალზე სწრაფად თვლის წამებს
მწვეელი თვლემს და ოპიუმს ქაჩავს, თავს მიწას აბჯენს
ყბამორღვეული

მეძაეს მიწაზე დასთრევს თავშალი, ქუდი ყელს უკან
ვადაუგდია და მიაბიჯებს ამგვარად გზაზე,
ბრბო კი დასცილის მის უშეერ ლანძღვას, კაცები
ერთუროს თვალს უკრავენ და სიცილ-ხარხარით
მიაცილებენ. (არ მეცინება მე შენს ლანძღვაზე,
საბრალოე! და არც შენ არ დაგცინი).

ჰა, პრეზიდენტი წარმართავს სხდომას და მინისტრები
გარშემო სხედან...

აგერ იატაკს აგებს დურგალი, მესახურავე
აწყობს სახურავს, ხოლო ქვისმთლელნი
ითხოვენ კირს და იყურებიან ზემოდან ქვემოთ,
მუშები წალიკ-წალიკ მიდიან, მხარზე შეუდგამთ
ვარცლი კირისთვის

წლის ერთ დროს მალე ცვლის მეორე დრო,
მთესველი თესეს, მომკელი იმკის,
და ძირს იყრება მწიფე ნაყოფი,
პატრიარქი კი ზის მაგიდასთან შვილებთან და შვილიშვილებთან...
და შვილიშვილთა შვილიშვილებთან...
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)



ეს ლექსი მომენტალური ფოტოსურათების რიგს წააგავს, ყოველი სტრიქონი ახალი სურათია.

სახეების ამ ხვაწრიელ სიჭრელეში უიტმენისთვის არავითარი შეუთანხმებლობა არ არსებობს: ყველა სახე ერთიდაიგივე სათქმელს ამბობს. ლექსის დასასრული კი ყველაფერს ერთმანეთთან აკავშირებს:

ქალაქს სძინავს და სოფელსაც სძინავს,
სძინავთ მკედრებსაც და ცოცხლებსაც სძინავთ,
სძინავთ მოხუც და ახალგაზრდა ქმრებს თავის ცოლებთან,
ყველა მათგანი მე მერწყმის, მე ვარ!
და ვნახავ სიმღერის ყველასგან და თითოეულისგან.
(„სიმღერა საკუთარ თავზე“)

მახსოვს, სიკაბუჯერში პირველად რომ ვეცნობოდი უიტმენს, კოსმიური სივრცეების და მილიონი საუკუნეების ფონზე აღქმულმა წვრილმანმა ყოფითმა ჩანახატებმა მომაჯადოვეს თავიანთი სიახლით... დიდხანს ვერ დავადწიე თავი მათ მომხიბვლელობას.

ამერიკელი ბარდის უსაუვარლესი მეთოდი — სხვადასხვა მრავლისმომცველი ფილოსოფიური აზრით გაბრწყინებული ფაქტების და მოვლენების უთავბოლო ჩამოთვლა, განსაკუთრებით კარგად არის გამოყენებული პოემა „სიმღერა საკუთარ თავზე“-ს — ოცდამეცამეტე ფრაგმენტში. დროისა და სივრცის ილუზოლურობაზე ფიქრითაა შეფერილი ეს მოულოდნელი, ხელშესახებად ჩამოსხმული სახეების მთელი „კატალოგი“, რომელიც ყველაზე უფრო აშკარად მეტყველებს უიტმენის ნათელ ნიჭზე. ამ ლექსებში ჩაქსოვილი რაღაც შამანური საწყისიც კი მენიშნა. ვფიქრობდი, რომ ეს ლექსები ჭეშმარიტად ტრანსში, ექსტაზში მყოფი ადამიანების დაწერილია-მეთქი და ამავე დროს, ისიც ცხადი იყო, რომ სახეების ამ ვითომდაც ქოტურ სიმრავლეში იდეალური, მხატვრის შეუცდომელი ინსტიქტით შთანერგილი წესრიგი სუფევდა. აბა, სცადეთ და შეუცვალეთ ადგილი სახეებს ამ ფრაგმენტში, მთელი ნაგებობა ჩამოშვავდება, თუმცა პოეტი ამ ადგილებს ბოდვად მოიხსენიებს („მე მბოდვებდა ჩემი თავი“), ბოდვის მთელი კომპოზიცია ხელოვნების უმკაცრეს კანონებს ემორჩილება.

რა თქმა უნდა, უიტმენს ყოველთვის არ ხელეწიფებოდა პოეზიის ამგვარი მწვერვალების დალაშქვრა. მას ჰქონდა ბევრი უშთაგონებოდ დაწერილი, პროგრამული ლექსები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული პუნქტის შესავსებად იყვნენ ჩასმული ლიტერატურულ პროგრამაში. ამ სქემატური, მშრალი, მკვდრადნაშობი ლექსების გამო „ბალახის ფოთლების“ მრავალი გვერდი შემაწუხებლად მოსაწყენია. მაგალითად, ის ციკლი, რომელსაც ეწოდება „წარწერები“ („Inscriptions“) ან დიდი პოემა — „ბაირადის სიმღერა განთიადის უამს“ („Song of the Banner at Day break“). აქ რ მოიძებნება არცერთი ცოცხალი სახე, სიახლით რომ ახარებდეს ადამიანს.

მაგრამ ამ დამქანცველი მოწყენილობის შემდეგ უეცრად აუღერდება ისეთი ცეცხლისმფრქვეველი, უზარმაზარი მასშტაბის ლექსები, როგორიცაა „ადამის ბავშვები“, „ლერწამი“, „პრეზიდენტ ლინკოლნის ხსოვნას“ („როცა სახლის წინ ამ გაზაფხულზე ჰყვოდა ნაზი იასამანი“) „დიდ გზაზე სათქმელი სიმღერა“, „სიხარულის სიმღერა“ და სხვ. ამ ლექსებში პოეტის კოსმიური ენთუზიაზმი ისეთი სიძლიერით გამოიმეტა, რომ მის ზემოქმედებას დამორჩილებული, უნებურად ამ ენთუზიაზმს შენც ემორჩილები; ეს კი შეუძლებელი იქნებოდა უიტმენში დროდადრო გენიალური ხელოვანი რომ არ იღვიძებდეს.

შენიშვნები



1. „ორი ნაკადულის“ („Two Rivulets“ 1876). წინასიტყვაობა.
2. უიტმენის პანთეონზე და პანფსიქიზმზე არსებობს დიდძალი ლიტერატურა. ამ ლიტერატურის კრიტიკული განხილვა მოცემულია გ. უილსონი ალენის ფუნქციონალურ მუშაოში „უოლტ უიტმენის ცნობარი“ 1947 წ. იხ. აგრეთვე ფრანგი სწავლულნი „უიტმენის ცნობარი“ 1954 წ. „უოლტ უიტმენის ევოლუცია „ბალახის ფოთლების პირველი გამოცემის შემდეგ“. პარიზი, 1954 წ.
3. დ. მირსკი — ამერიკული დემოკრატიის პოეტი. წინასიტყვაობა წიგნისათვის „უოლტ უიტმენი“ 1935 წ.
4. უოლტ უიტმენი. დემოკრატიული სიმორეგები.
5. „განვლილი გზის გახსენება“ 1888 წ. წინასიტყვაობა ლექსებისა და ნარკვევების კრებულითვის, რომლის სათაურიცაა „ნოემბრის მშრალი ტოტები“.
6. ნიუტონ არვინი. უიტმენი, ნიუ-იორკი, 1938 წ.
7. ზორეს ტრაუბელი. კემდენში უოლტ უიტმენთან ერთად. 1953 წ. ბოსტონი.
8. ჯონ ედინგტონ საიმონდსი. უოლტ უიტმენი. ლონდონი, 1893 წ.
9. „პერვეალი“, 1907 წ.
10. იხ. აგრეთვე უიტმენის მიერ დაწერილი რეცენზია ამ წიგნზე „ამერიკული ფრენოლოგიური ჟურნალისათვის“.
11. რობერტ სტივენსონი. „თავისუფალი შენიშვნები წიგნებზე და ადამიანებზე“, ლონდონი, 1912 წ.
12. უოლტ უიტმენი. თხზულებათა სრული კრებული, 1902 წ.
13. „განვლილი გზის გახსენება“.

(გაგრძელება იქნება)

ცრუთა და ღალატიათა

კვამოზ კაცსა აუგინსა,
ცრუსა და ღალატიათა.

რუსთაველი

ღმანაჲ „საუნჯეში“ (1988, № 4) გამოქვეყნდა ჩემი რეცენზია „მარკ ტვე-
ნის „ტომ სოიერის თავგადასავალის“ ქართული თარგმანი“. იქ გამოთქმუ-
ლია აზრი, რომ „თარგმანი დღევანდელ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს და საჭიროა
ხელახლა შესრულდეს“. ამის თაობაზე ორი აზრი თითქოს აღარც უნდა არსებულებო, მაგრამ
აღმოჩნდნენ იშვიათი გამონაკლისებიც (პაატა და როსტომ ჩხეიძეები), რომლებსაც, წერილი
რომ წაუკითხავთ, „უსიამონო განცდები დაჰბადებიათ“ და კაი ხნის მღელვარების შემდეგ,
1985 წლის პირველი მარტის „ლიტერატურულ საქართველოში“, ამ რეცენზიაზე დაბეჭდეს
ვრცელი წერილი მეტად საგულისხმო სათაურით: „ენითა ქარიანითა“.

მე იქაც და აქაც მოვიხსენიებ რეცენზენტად, ჩემი მოპაექრეები — ოპონენტებად.

ოპონენტების გამოსვლას თარგმანის ავ-კარგზე მსჯელობასთან საერთო არაფერი აქვს.
გაზეთის ოთხი სვეტი (450-მდე სტრიქონი) უჭირავს მკითხველის დამოძღვრას — სხვადასხვა
მოგონებებიდან ამოწერილ ციტატებზე დაყრდნობილ გრ. უიფშიძის სრულიად უადგილო აპო-
ლოგიასა და რეცენზენტის ლანძღვას. დანარჩენი მოიცავს ფაქტების გაუკუღმართებასა და
კვლავ რეცენზენტის ლანძღვას.

მთელი ეს ამოდენა „ნაღვანო“ თავიდან ბოლომდე კურიოზულობამდე, უცნაურობამდე მი-
სულ დაუსაბუთებელ შენიშვნებს ანუ ცილისმწამებლურ სიცრუეებს წარმოადგენს. მერედა,
უოველივე ეს ისეთ მბრძანებლურ, ისეთ ჭკუის დამრიგებლურ, მკვებარა კილოზეა მოწო-
დებული, „საქმეში ჩახედული“ მკითხველი გაკვირვებული რჩება. ამდენად მათთვის პასუხის
გაცემა საჭირო აღარც კი იყო, მაგრამ ამის აუცილებლობა მაინც ბევრმა რამემ განაპირობა,
სახელდობრ, ოპონენტები ცდილობენ, მკითხველს მოაჩვენონ, თითქოს რეცენზენტი გადამტე-
რებულია ღვაწლმოსილ წინაპრებზე; ამჯერად რეცენზია დაუწერია „გრ. უიფშიძის სახელის
გასატყუარად“; რომ მისი მოხმობილი მაგალითები სწორი არ არის და ამიტომ ნაწარმოების ხე-
ლახლა თარგმნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს; ამასთანავე, ოპონენტები ცდილობენ
შელახონ აღმანახისა და მისი სარედაქციო კოლეგიის პრესტიჟი. ჭკუა ასწავლონ მათ ისევე,
როგორც, საერთოდ, უველას ასწავლიან ჭკუას.

ერთი სიტყვით, ისინი მკითხველს ჰპირდებიან, რომ დევს უურიო მოუყვანენ. ვნახოთ
როგორ ასრულებენ დანაპირებს.

რეცენზენტი კი, ვისაც აღმანახმა ნდობა გამოუცხადა, გულხელდაკრეფილი ვერ იქნება
და ვალდებულია ეს ნდობა გაამართლოს ანუ აშკარად გაბუნდოვანებულ საკითხებში სინათლე
შეიტანოს. უოველივე შემოხსენებული საკმაო მიზეზია იმისათვის, რომ დუმილით ვერ ავუარო
გვერდი ოპონენტების ამ მეტად საჩოთირო, შეურაცხყოფელ გამოსვლას.

ჩემი მოპაექრეები ძალიან თამამად „გამომდგარან მოედანზედ“ და მიკითხიბენ: ჩვენ
ვართ და ჩვენი ნაბადი, უჩვენოდ ვინ იმღერეთაო! ამიტომაც წერილს თავიდან ბოლომდე გას-
დევს გულუბრყვილო პომპეზურობისა და მკვებარაობის კვალი.

მოპაექრეებმა დაუფარავად გამოამჟღავნეს აშკარა ტენდენციურობა და ძლიერ გაგული-

სებულებმა უოვლად მოუჩივებლად დაიწყეს ქვებისა და ლაფის სროლა. რა აღარ დამწამეს და როგორი აღარ გამოიყვანეს: „მაშინდელი ინტელიგენციის არაკეთილი თვალით მაცქერალი“, ღვაწლმოსილი წინაპრის „დამწუნებელი და აბუჩად ამგდები“, ვისაც „არც ქართული მწერლობისა სჭერა“, „ზოგადი და ზერელე მოლაპარაკე“, „არაკვალიფიციური და ტენდენციური“, „სიტყვის ელემენტარული მნიშვნელობის გაუგებელი“, „ბუნებრივი ქართული გამოთქმის ვერ-მცნობი“, „აშკარა ნიშნისტი“ და სხვა.

გრ. უიფშიძის „ლიტერატურული მემკვიდრეობა ისტორიის კუთვნილებასთან დაკავშირებული შემფასებელი სჭირდება და არა გაწიწმაცება და კურიოზებამდე მისული ტენდენციურობა. ეს საქმე ოპონენტების მოჩვენებითი მწრუნველობის გარეშეც მოგვარდება. და ეს რაც უფრო მაღე იქნება, მით უფრო კარგი. ისე, კაცმა რომ თქვას, პირდაპირ სულზე მოუსწრეს გრ. უიფშიძეს, თორემ ხომ დაფარავდა მის სახელს დავიწყების მტვერის თუშვა აქ გრ. უიფშიძე უბრალო საბაბია და მეტი არაფერი. დიდი აუგი კია, ღვაწლმოსილი წინაპარი არა მხოლოდ საბაბად, ფარადაც კი გამოიყენო საკუთარი „იდეების“ სარეალიზაციოდ. თანაც, ამგვარ სააუგო საქმეში ჩვენი საფიცარი სახელებიც ჩარიო და მოიშველიო, ეს უკვე მეტის-მეტია.

სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეთ, ოპონენტებისაგან გაყალბებულ საკითხებს, რომ უფრო მეტი ნათელი მოვფინო, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა „ტომ სოიერის“ ქართულ და რუსულ თარგმანებზე.

ქართულად „ტომ სოიერის თავგადასავალი“ შვიდჯერ გამოიცა:

1. „ტომის თავგადასავალი“, მარკოზ ტვენისა, თარგ. გრ. უიფშიძისა, 288 გვ. 27 ნახატი, წიგნს თარიღი არა აქვს; თამარ მაჭავარიანის ცნობით 1910 წელს არის გამოცემული, ახლავს ავტორის წინათქმაც, დასკვნაც, ქვესათაურებიც, შეიცავს 38 თავს (35-ის ნაცვლად). თარგმანი შესრულებულია ერთ-ერთი ადრინდელი მდარე რუსული თარგმანიდან, გაწყობილია არქაული ენით, დედანსაც საგრძნობლად დაშორებულია და ამ სახით მეტად აღარ გამოცემულა.

2. „ტომ სოიერის თავგადასავალი“, თარგ. გრ. უიფშიძისა, 1985 წ. 252 გვ. სახელგამი. ელ. ახვლედიანის 37 ილუსტრაციით. ახლავს ანა ღვინიაშვილის ექვსგვერდიანი ბოლოსიტყვაობა, შეიცავს 34 თავს (35-ის ნაცვლად). აქ წინა გამოცემის ნაკლოვანებებს მიემატა ახალი, კიდევ უარესი ნაკლოვანებანი: თავები კიდევ უფრო აღრეულია, ბევრგან ადგილები ამოღებულია. ტექსტის თვითნებური შემოკლებანი თუ ენობრივი შესწორებანი, სიმართლე უნდა ითქვას, თარგმანს არათუ აუმჯობესებს, რიგ შემთხვევებში აუარესებს კიდევ. ამის გამო აღარც ეს გამოცემა გამეორებულა.

მაშასადამე, ვერც პირველი და ვერც მეორე, ანა ღვინიაშვილისეული, გამოცემა დამაკმაყოფილებელი ვერ გამოდგა. ამას გრძნობდა ყველა: მკითხველი, გამომცემელი თუ რედაქტორი და სწორედ ამიტომ დაიწყო მისი შევსება-შესწორება, და, აი, 1959 წელს „ტომ სოიერის თავგადასავალი“ გამოსცა საბლიტგამმა. სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია: „თარგმანი გრ. უიფშიძისა, ინგლისურ გამოცემას შეადარა და შეავსო ნინო რაზიკაშვილმა“. ეს არის მესამე გამოცემა. ამის შემდეგ ეს შევსებულ-შესწორებული თარგმანი კიდევ ოთხჯერ გამოსცეს. (1968 წელს — „ნაკადულმა“, 1972 წელს — „საბჭოთა საქართველომ“, 1974 წელს და 1982 წელს — ისევ „ნაკადულმა“). ამ გამოცემებს ახლავს ჯ. ლოლუას ილუსტრაციები. მეოთხე გამოცემაში ისევ მოჩანს შემსვსებ-შემსწორებელი, მომდევნო სამი გამოცემის სატიტულო ფურცლებზე კი ნინო რაზიკაშვილი და მისი შრომა რატომღაც აღარ მოიხსენიება. ეს შევსებულ-შესწორებული ვარიანტი, რომელიც, როგორც ვხედავთ, ხუთჯერ გამოვიდა, თვისობრივად ახალია, წინა გამოცემებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია, მაგრამ დედანთან შედარებით, დამაკმაყოფილებელი არ გახლავთ. აი, სწორედ ამიტომ და ამაზე დაიწერა რეცენზია.

ოპონენტები კი „თავისას გაიძახიან“: „...უეჭველად შეცდომა მოუვიდათ, რომ გრიგოლ უიფშიძის თარგმანის სწორებას მიბჟყვეს ხელი...“

თუ თავიდანვე ყველაფერი რიგზე იყო, რაღა საჭირო იქნებოდა ამდენი შეჭერებები და შესწორებები. რაღა მაინცდამაინც ამ „ტომ სოიერს“ გადაეკიდნენ!..

თურმე „ტომ სოიერის“ ხელახლა თარგმნა არ შეიძლება, ხოლო მაჩაბლის დიდებული თარგმანები, შიგადაშიგ მხოლოდ ცოტაოდენი რედაქტირება რომ სჭირდებოდა, ვინმემ მთლიანად გადმოიწეროს, საკუთარ თარგმანად გაასაღოს და მერე ამგვარი საქმიანობის გახამართლებლად

მავანსა და მავანს ხანჭია მიაცემინოს და გუნდრუკიც აკმევინოს, ეს შესაძლებელი ყოფილა!

აქვე უნდა მოვიხსენიო რუსული თარგმანებიც, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ერთ მეტად საჭირო კითხვაზე: შესრულდა თუ არა პირველი ქართული თარგმანი დამაკმაყოფილებელი რუსული თარგმანიდან.

„ტომ სოიერის“ თავგადასავალი“ რუსეთში XIX-XX სს მიჯნაზე თხუთმეტჯერ შეტმა ავტორმა გადმოთარგმნა:

1. მთარგმნელი და თარიღი ნაჩვენები არაა.
2. 1878 წელი, მთარგმნელი არც აქაა ნაჩვენები.
3. 1886 წელი, ა. სუვორინის გამოცემა, ს. უილიამსის 109 ნახატი, გამოიცა 1892 წელსაც.
4. თარგმანი ს. ვოსკრესენსკისა, 1876 წ. ამ თარგმანის XVI თავი ზუსტად ისეა გაუფილი, როგორც გრ. ყიფშიძის თარგმანშია.
5. თარგმ. ლ. გოლდმერშტეინისა, 1898 წ.
6. თარგმ. ა. რეპინასი, 1901 წ., 112 ნახატი.
7. თარგმ. ზ. ჟურავსკისა, 1902 წ., 1914 წლამდე გამოიცა ხუთჯერ.
8. თარგმ. ნ. მაზურენკოსი, 1903 წ., 70 ნახატი.
9. თარგმ. მ. ნიკოლაევასი, 1903 წ.
10. თარგ. ე. როდესტვენსკაიასი, 1903 წ. 67 ნახატი.
11. თარგმ. ვ. ისპოლატოვისა, 1904 წ. 68 ნახატი.
12. თარგ. ე. კუდაშევასი, 1911 წ., გამოიცა 1915 წელსაც.
13. თარგ. მ. ენგელგარდტისა, 1911 წ., ს. უილიამსის 136 ნახატი.
14. თარგმ. კ. ჩუკოვსკისა, 1928 წ.
15. თარგმ. ნ. დარუზესისა, 1954 წ.

ამათ გარდა იმავე პერიოდში „ტომ სოიერის“ რამდენიმე მეტ-ნაკლებ შემოკლებული თარგმანი შეუსრულებიათ სხვადასხვა რუს მთარგმნელებს, როგორც ვხედავთ, რუსულად ნაწარმოები თხუთმეტჯერ და მეტად თარგმნილა და განგაში, ეტუბა, არავის აუტეხია, მეორე და, მით უფრო, შემდეგი და შემდეგი თარგმანის შესრულება ადარავინ გახედოს, თორემ წინა მთარგმნელებს „სახელი გაუტუდებათ“. ყველა წინა თარგმანი არადაამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული და დღესდღეობით რუსულად იბეჭდება „ტომ სოიერის“ ორი უკანასკნელი თარგმანი: კ. ჩუკოვსკისა და ნ. დარუზესისა; გასაგებია, რომ გრ. ყიფშიძე მდარე რუსული თარგმანიდან სრულყოფილ თარგმანს ვერ გამოიყვანდა! ამას კიდევ ვიმეორებ, თავიდანვე გრძნობდნენ და ამიტომ დაიწყო მისი სრულყოფა.

ოპონენტებს საკითხები არეულ-დარეული აქვთ, მე რომ დინტერესებულ მკითხველს მათი შეპირისპირებისთვის ზედმეტი დრო არ დავაკარგვინო, იმავე თანმიმდევრობით მივყვები.

დემავოგური ფანდი, გინა სიყალბე პირველი.

ოპონენტები მსაყვედურობენ, „გრ. „ყიფშიძის თარგმანი“ რუსულ თარგმანს ჩატომ არ შეადარეო და ამისთვის „არაკეთილსინდისიერსაც“ კი მიწოდებენ.

ზემოთ მე მოვიხსენიე ყველა ქართული და რუსული თარგმანი. რომლებიც საჭიროდ ჩავთვალე, ნაწილობრივ ანოტირებულიადაც წარმოვადგინე. ოპონენტების ამ საყვედურზე იქ უკვე გაცემულია პასუხი, მაგრამ უფრო მეტი სინათლისათვის კიდევ დავუმატებ ორიოდ სიტყვას: რეტენზია დაიწერა, ვიმეორებ, მოქმედ თარგმანზე, რომელიც, ითვალისწინებს რა გრ. ყიფშიძის თარგმანს, მთლიანად დედანს მიჰყვება, ამიტომ, ბუნებრივია, დედანისთვის უნდა შემეფიქსირებინა ანოტირებულიადაც წარმოვადგინე. ოპონენტების ამ საყვედურზე იქ უკვე დარბინა და არა იმ რუსული თარგმანისათვის, რომელიც, უკვე ეხეც ითქვა, არქივშია ისევე როგორც იქიდან შესრულებული ქართული თარგმანი.

ჩემს მოპაექრებს, ეტუბა, ტომ სოიერის ქართულ თარგმანებზე სავსებით არასწორი წარმოდგენა აქვთ. ისე, თეთრის შავად და შავის თეთრად მოჩვენების მცდელობაში გვარიანად რომ ყოფილან გაწაფული, ამის მოუხსნიებლობა პირდაპირ უმადურობა იქნებოდა.

„რუსულიდან თარგმნა, — გვასწავლიან ოპონენტები იმას, რაიც ახლა დაწყებითი კლასის ბავშვებმაც კი იციან, — თუ მაშინდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, არამცთუ დასაძრახი, არამედ ერთ-ერთი სწორი ცდა გახლდათ ინგლისური მწერლობისაკენ გზის გახსნისა და დაახლოებისა“. დიადაც, „რუსულიდან თარგმნა“ არა მარტო „ინგლისური მწერლობის“, არამედ

მთელი უცხოური ლიტერატურის გაცნობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახლდათ მაშინ კი არა, დღესაც მთელი რიგი ქვეყნების ლიტერატურული ნაწარმოებები რუსული თარგმანების მეშვეობით სრულდება ქართულად. ეს ყველაზე ანბანური ტრანსლიტერაცია და არცერთ ქვეთარგმანს ფიქრადაც არ მოუვა, „საძრახისად“ მიიჩნეოს, თუ რეცენზენტს ვაუწყარა ღმერთი, მაშინ საკითხავია, როდის და სად თქვა მან „რუსულიდან თარგმანა“ და რაზე გახლდათო!..“

დემავოგიური თანდა გინა სიყალბე მეორე.

ოპონენტებმა პირდაპირ ამიკლეს საუფედურობით: „ბ. სივსივამე ერთმანეთისაგან არ მიჯნავს გრიგოლ უფშიძის თარგმანსა და რედაქტორების მიერ ნასწორებ ვარიანტს (ამიტომაც არის, რომ ფრაზა თუ ფრაზის მონაკვეთი, რასაც რეცენზენტი ედავება, ზოგი გრიგოლ უფშიძისეულია და ზოგიც რედაქტორებისეული), რათა მკითხველი იოლად დააბნეოს და ნასწორები ტექსტიც გრიგოლ უფშიძეს მიაწეროს“.

თავი გავანებოთ იმას, რომ ეს წინადადება სტილისტურად და შინაარსობრივად ისე უზერიოა, არა თუ ლიტერატორის, უბრალო კალმოსნის ხელიც არ ამჩნევია. „ფრაზის მონაკვეთს“ კიდევ ლიტმცოდნეობაში თავისი სახელი ჰქვია. „დაპარგა“ კი არა, დაკარგა!.. თუმცა რაკი ვთქვით, თავი გავანებოთ, გავანებოთ. აკი ზემოთაც აღინიშნა, გაჯაგრებული ოპონენტები მკითხველს უჩიჩინებენ, რეცენზენტი გრ. უფშიძეზე გადამტერებულიაო! ეგ კი არა, თურმე არც ჩვენი ერის მხსნელ „მაშინდელ ინტელიგენციას“ უუუურებს კეთილი თვალით“.

საინტერესოა, რატომ უნდა ვიყო გადამტერებული ღვაწლმოსილ წინაპრებზე, რატომ უნდა ვუუუურებდე „მაშინდელ ინტელიგენციას“ არაკეთილი თვალით?!

წერილში ოპონენტები ღაპარაკობენ „რედაქტორების მიერ ნასწორებ ვარიანტებზე“, რათა თარგმანის ხარვეზები მათ გადააბრალონ. სინამდვილეში, ასეთი „რედაქტორები“ „ტომ სოიერის“ ბოლო ხუთმა გამოცემამ არ იცის. ისინი ოპონენტების გამოგონილია. ეს რედაქტორები უბრალო კორექტურას აკეთებენ და მეტი არაფერი. შემსწორებელი კი, ანუ თანამთარგმნელი გახლდათ, როგორც ზემოთ ითქვა, ნინო რაზიკაშვილი. ნაკლულოვანი და არაღამაკმაყოფილებელი თარგმანი დედანს მან „შეადარა, შეასწორა და შეავსო“. სხვა ამბავია, როგორ გაართვა თავი ამ საქმეს. კეთილი განზრახვით რომ მოქმედებდა და თარგმანი საგრძნობლად გააუმჯობესა, ეს უდავოა და იმითაც დასტურდება, რომ ხუთჯერ გამოცა, წინა ორი ვარიანტი კი — თითოჯერ! ამიტომ თარგმანის ხარვეზები რომ მას გადავაბრალოთ ვინმეს უადგილო (უადგილოს აქ ხაზს ვუსვამ) აპოლოგიის ხარჯზე, ეს უსამართლობაც იქნება და უმადურობაც. მე ახლა მგონია, რომ სწორედ ოპონენტებისნაირმა ახირებულმა ადამიანებმა არ მისცეს საშუალება „ტომ სოიერის“ გამოცემებებსა და თანამთარგმნელს თავიანთი კეთილშობილური განზრახვა ბოლომდე მიეყვანათ.

ისმის კითხვა: რატომ უნდა „გამემიჯნა ერთმანეთისაგან“ მთარგმნელი და თანამთარგმნელი? ძნელი მისახვედრია, რომ რეცენზიაში ეს არ უნდა გაკეთებულიყო? რომ რეცენზია დაიწერა საქმის გამოსახსნორებლად და არა იმისათვის, ვინმე უმართებულოდ შეექო ან ეძაგებინა? უნდა „გამემიჯნა“ მხოლოდ იმიტომ, რომ მთარგმნელის ნახელავისთვის უადგილო ხოტბა შემესხა, ბოლო თანამთარგმნელისთვის შემეძახებინა, თქვენ „უმჯველად შეცდომა მოგივიდათ, რომ გრიგოლ უფშიძის თარგმანის სწორებას მიჰყავით ხელი, რის გამოც გასწორებულმა ადგილებმა უთუოდ დაპარგა პირვანდელი მადლი!“ „ტომ სოიერი“ ერთიანი მხატვრული ნაწარმოებია, ამიტომ საჭიროა თარგმანის საერთო ნაკლის ჩვენება და არა კონკრეტულად იმისა, თუ რომელი ხარვეზი ვისი ხელიდან გამოვიდა!

ოპონენტებს გული რომ არ დაეწყვიტო, მომყავს ერთი წინადადების თარგმანის პირველი ვარიანტი, თანამთარგმნელის შესრულებული შემდგომი ვარიანტი და შესაბამისი დედანი:

„მოხუცმა დედაკაცმა ცხვირზედ ჩამოიშვა სათვალეები და ისე მიიხედ-მოიხედა ოთახში, მერე შუბლზედ აიწია და ისე დაათვალიერა იქაურობა“. გვ. 1.

აქ ოპონენტებს ამ „ჩამოიშვას“, მაგივრად „ჩამოიწია“ ჩაუწერიათ (!). რატომ?!

„მოხუცმა ცხვირზე ჩამოიწია სათვალე და სათვალის ზემოდან მოათვალიერა მთელი ოთახი, მერე შუბლზე აიწია და ახლა სათვალის ქვემოდან მიიხედ-მოიხედა“. გვ. 1.

„the old lady pulled her spectacles down and looked over them about the room; then she put them up and looked under them“. p. 27.

აქ მხოლოდ იმას დავძენ, რომ მოყვანილი წინადადება მთელ თარგმანში ყველაზე ნაკ-

ლებად იმსახურებს საყვედურს, და მაინც მკითხველმა განსაჯოს, შეიძლება თუ არა დედნის კვალობაზე მისი უკეთ გამართვა.

დემაგოგიური ფანდი, გინა სიუალებე მესამე.

„წერილში მითითებულია სხვადასხვა გამოცემის გვერდები ქართულად და ინგლისურად და არ არის მითითებული თვით გამოცემები“, — ამცნობენ ოპონენტები „ქართული“ ჟურნალის ეშმაკობაში ამზილეს რეცენზენტი და იქვე აბზაცით გამოყოფენ: „ქართული“ ჟურნალია“. ამას კი ძახილის ნიშნებილა აკლდა.

რეცენზიაში მოხსენიებულია გამოცემებიც, ბევრი სხვა ფაქტიც, მაგრამ რაც მკითხველისთვის ისედაც ნათელი იქნებოდა, ადგილის დაზოგვის მიზნით, ან გამოტოვებულია, ან შემოკლებულად დაბეჭდილი. „ტომ სოიერი“ მცირე ნაწარმოებია, რამდენი დედანიც მინახავს, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება და, მაშასადამე, ერთი რედაქციაა. ამიტომ დაინტერესებული მკითხველისთვის დედანში სათანადო ადგილის მონახვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს — ინგლისურ გამოცემაზე.

შემდეგ რახან რეცენზენტი ამბობს, თარგმანი ხელახლა უნდა შესრულდესო, რაღა თქმა უნდა, წერილი ეხება მოქმედ თარგმანს და, არა მგონია, ვინმეს დასჭირდეს იმის მითითება, რომ ლაპარაკია ბოლო გამოცემაზე. ესეც ქართულ გამოცემაზე. მგონია, გასაგებია, რატომ „არ არის მითითებული თვით გამოცემები“. მაშასადამე, არავითარი ცოდვა არ უოფილა „გამოცემების მიუთითებლობა“. ახლა კი უნდა ვნახოთ, თვითონ ოპონენტები როგორ იქცევიან. მათ მოაქვთ ციტატები სხვადასხვა ავტორების სხვადასხვა გამოცემებიდან და არათუ გამოცემებს გვერდებსაც კი არ უთითებენ. ესე იგი, სხვის თვალში ბეწვს ეძებენ, საკუთარ თვალში კი დირეც არ ნებავთ დაინახონ. ამას რაღა დავარქვათ? „კურიოზული შემთხვევა“ თუ რაღაც უფრო მეტი?

დემაგოგიური ფანდი, გინა სიუალებე მეოთხე.

რეცენზიაში თარგმანის ერთ-ერთ ნაკლად აღნიშნულია ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულის ან გამოთქმის ხშირი განმეორება, მაშინ როცა დედანში მათ სულ ნაირნაირი შესატყვისები მოეპოებათ. დასახელებული მაქვს რამდენიმე მაგალითი. ესენია: საძაგელი, მახლაათი; გულსაკლავი, გული მოუვიდა, გულში უნდა ჩაეკლა, ერთთავად. აქედან ერთ-ერთის (საძაგელის) რამდენიმე სხვადასხვა ინგლისური შესატყვისი.

წერტილ-მძიმით გამოყოფილი „გულსაკლავი“, „გული მოუვიდა“, „გულში უნდა ჩაეკლა“ ოპონენტებს „საგანგებო“ კვლევის საგნად გაუხდიათ და, უოველგვარი სინდისის ქენჭის გარეშე, ისეთ რამეს გვთავაზობენ, შესაბამის შენიშვნასთან და რეცენზიაში წამოჭრილ საკითხებთან არავითარი საერთო რომ არა აქვს: „სიტყვების ასეთნაირ რეცენზენტისათვის ჩვეულ ამოგლეჯას რომანის სხვადასხვა ადგილიდან, კონტექსტისაგან მოწყვეტით, თავისი სახელი აქვს, და მკითხველი თვითონაც მიხვდება (კიდევ კარგი მცირეოდენი ნდობა მაინც გამოუცხადებს მკითხველს. ბ. ს.), შემაცბუნებელი უფრო სხვა გახლავთ (ამას კი „იოლად დასაბნევი მკითხველი“ ვეღარ „მიხვდება“, ამიტომ ოპონენტები მოწყალეობას მოიღებენ და განუმარტავენ! ბ. ს.)—ჭერ ერთი, სიტყვებად არის მიჩნეული ორი ფიგურალური გამოთქმა: „გული მოუვიდა“ და „გულში უნდა ჩაეკლა“, და მეორეც, ერთნაირი შინაარსის სიტყვებად. ამ ორ გამოთქმას ემატება „გულსაკლავიც“.

რეცენზიაში შემოხსენებული შენიშვნა სულაც ძნელი გასაგები რომ არ არის და თუ ყველამ ისე გაიგო, როგორც ავტორს ესმის, ოპონენტებს რა ღმერთი გაუწყრათ? ისეთი არაფერი. „ძალათი უნდათ ნაკლი გამოჩნდეს“, მაგრამ თუკი არ „იჩხრიკება“, ამიტომ უკადრებელი უნდა იკადრო?

შემოთაც ვნახეთ და ქვემოთაც აღვნიშნავ, ვის „სჩვევია სიტყვების ამოგლეჯა“ „კონტექსტისაგან მოწყვეტით“ ან უფრო მეტიც, შეთხზვა და მერე რეცენზენტის კუთვნილებად გასაღება. უოველივე ამას მართლაც რომ „თავისი სახელი აქვს“ და მკითხველს კარგადაც მოეხსნება. კონტექსტი სჭირდებოდა თუ არა მოყვანილ მაგალითებს, ამას ცოტა ქვემოთ გავიგებთ.

ოპონენტებს ძალიან მოუნდომებიათ, მკითხველი დააჯერონ, რომ რეცენზენტი ცალკეულ სიტყვასა და გამოთქმას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს.

სად წერია და სად იგულისხმება, რომ რეცენზენტს ესენი „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად მიაჩნია?“ არსად! მე ვამბობ „ხშირად იხმარება“ მეთქი. ე. ი. მრავალჯერ მეორდება ცალკე აღებული თითოეული კომპონენტი. ნიშნავს ეს, რომ რეცენზენტს ისინი „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად მიაჩნია?“ არა? აბა, წინ მოხსენიებულ „სიტყვებებს“ შემდეგ ერთად რომ

არაინ ჩამოთვლილი, ეს ნიშნავს, რომ რეცენზენტს ისინი „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად მიაჩნია?“ თუ ასეა, მაშინ „ერთთავადაც“ ხომ მათთან არის დასაბუთებული და რეცენზენტს უპველია, ესეც იგივე „შინაარსის სიტყვად უნდა მიაჩნდეს“. ხომ? რატომ გამოტოვებს ეს მოაქრებებსა მაშინ რეცენზენტს ორი და სამი კი არა, ოთხივე „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად მიუჩნევია!“ ესე იგი, ორიდან ერთი: ოპონენტებმა ან უნდა აღიარონ, რომ რეცენზენტს ოთხივე კომპონენტი „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად მიაჩნია“, და მაშასადამე, ამათა აბსურდამდე მივედითო, ან უნდა აღიარონ, რომ რეცენზენტს ესენი „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად არ მიაჩნია“ და, მაშასადამე, ტყუილს ვნილბავდით, მაგრამ ვერ მოვანერხეთო.

ოპონენტებმა აღარ იციან, რ აღიარონ და იქამდეც კი მიდიან, ზემოხსენებული „ერთნაირი შინაარსის სიტყვების“ მნიშვნელობებს „ნატოვანი სიტყვა-თქმანიდან“ და „განმარტებითი ლექსიკონიდან“ გვაწვდიან! დიდი მადლობა ამისათვის მათ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ოპონენტებს მართლა ბგონიათ, რომ შეიძლება არსებობდეს ქართულად მოლაპარაკე ისეთი ადამიანი, თუნდაც ანაბანას უცოდინარი, რომელსაც „გულსაკლავი“, „გული მოუვიდა“ და „გულში უნდა ჩაეკლა“ „ერთნაირი შინაარსის სიტყვებად“ მიაჩნდეს? ანდა ცალკე სიტყვა და ფიგურალური გამოთქმა ერთმანეთში აერთიოს?

თუმცა ამ პუნქტში სიუალებების მხილება და დასაბუთება, ჩემი მხრივ, ამით არ მთავრდება. ახლა, რაში გამოიხატება ოპონენტების „შემაცბუნებელი“ ეს „ერთფეროვნება“, „რომ ამის საგანგებო აღნიშვნა გახდა საჭირო?“

თარგმანში „საძაგელი“ სხვადასხვა კონტექსტში ნახმარია 18-ჯერ, „ერთთავად“ — 16-ჯერ, მასწავლებელი — 9-ჯერ და ასე შემდეგ. ასევე მეტ-ნაკლები რაოდენობით ხშირად იხმარება ზემოთ წერტილმძიმით გამოყოფილი „გულსაკლავი“, „გულში უნდა ჩაეკლა“ და სხვა. ათიოდე თაბახიან ნაწარმოებში რომ ერთსა და იგივე სიტყვას თუ შესიტყვებას თვრამეტჯერ იხმარ, თანაც უადგილო ადგილას, კიდევ მტკიცება უნდა იმას, რომ „ერთფეროვნებას გამოხატავენ?“ უფრო მეტიც, მომაბეზრებელ ერთფეროვნებას? ოპონენტები კი „შეცბუნებულები“ კითხულობენ, რატომ „გახდა საჭირო ამის საგანგებოდ აღნიშვნაო“. თურმე არა მხოლოდ საჭირო, აუცილებელიც კი უოფილა. ამოწერილი მაქვს ბევრი მაგალითი თარგმანიდან და შესაბამისი დედნიდან. მხოლოდ ერთ სიტყვაზე მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს „კონტექსტისაგან მოუწყვეტლად“:

1. საძაგელი ბიჭი გვ. 8.
the beat of that boy! p. 27.
2. აი შე საძაგელი გვ. 4.
hang the boy! p. 28.
3. „...ტომს ქუჩის ბიჭი, საძაგელი და უზრდელო უწოდა“... გვ. 10.
„and called Tom a bad vicious vulgar child“. p. 34.
4. „საძაგელი“, როგორ შემაშინე! გვ. 40.
Tom, what a turn you did give me. p. 64.
5. „უპ, რა საძაგელი ხართ! გვ. 50.
Oh, you bad thing! p. 73.
6. „დღეს ძალიან საძაგლად მოვიქეცი“, გვ. 128.
I acted mighty mean to day, p. 156.
7. „...თავი საძაგელ მოღალატეებად ჩათვალეს“, გვ. 139.
they felt cowardly and treacherous. p. 166.

შე მგონია, კმარა. კიდევ თუ გავაგრძელოთ, მართო „საძაგელზე“ ზუსტად ასევე 11 მაგალითის მოყვანა მოგვიწევს.

ხომ „კონტექსტისაგან მოუწყვეტლად“ ამ სიტყვების მოყვანამ უფრო თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად განამტკიცა ის ზრი, რისთვისაც „კონტექსტის მოწყვეტი“ არიან მოხმობილი? ამიტომაც ხომ მართებთ ოპონენტებს მეტი დაფიქრება, რას ლაპარაკობენ და რისთვის? რეცენზენტმა მაინც „ჩათვალოს საჭიროდ კომენტარი“, რომ ამ „საძაგელს“ მოყვანილ დედანთან საერთო თითქმის არაფერი აქვს? რომ იგივე დღეშია თარგმანის ბევრი, ძალიან ბევრი ადგილი?

დემაგოგიური ფანდი, გინა სიუალებე მეხუთე.

ოპონენტები წერენ: „ამის მერე აღარც ის არის გასაკვირი, როცა რეცენზენტი რამდენიმე იდიომატურ გამოთქმას („მეც არ უნდოდა გატეხილიყო“, „ტომი ცაბ დაეწია“, „დედა-

„ჩამიტანოს, თუ ვტყუოდე“; და იდიომატიკაზე დამყარებულ მხატვრულ სახეებს — „მო-
ხუცებული გული“, „მოღალატე ფეხები“) ისე იწუნებს, მისთვის ჩვეული კომენტარის დარ-
ცასაც კი „კომიკად თვლის...“

როგორი ეპიტეტია „თავი არ უნდა შეამკონ ოპონენტებმა ეს თქმები თუ შესიტყვებები,
მაინც „ვერაფერს უშველს“ და გარკვეულწილად ვერ მოგვაჩვენებენ, მაგნიტის რეცენზენტს
„არა, ჩონია“. რომ რომელიმე ამათგანი ვინმესთვის „კომენტარის დარცას“ საქმეობდეს,
მაგრამ, რაკი ჩემი მოპაექრებები გამოწვევას ნაქმედებთან, რაღა გაეწყობა. უწინარეს ყო-
ვლისა, შევთანხმდეთ, რომ საქმე გვაქვს რეალისტურ ნაწარმოებთან და არა ზღაპართან.

შეგონა „მოხუცებული“ და „მოღალატე“ ითქმება მაღლოდ გონიერ არსებაზე —
ადამიანზე და არა მისი სხეულის ც-დევულ ნაწილებზე. შეიძლება ითქვას ბებრული გული,
ბებრული თვალი, ხელი, ლაპარაკი, სიცილი და მისთანანი, ასეა ჩვეულებრივი ქართული, მაგ-
რამ მოხუცებული გული, მოხუცებული ხელი, თვალი, ლაპარაკი, სიცილი და მისთანანი, არ
ითქმება, რადგან ჩვეულებრივი ქართული არ გახლავთ, იტყვიან გულმა უღალატა, უმტყუ-
ნა, გინა თვალმა, მუხლმა, მაგრამ მოღალატე ფეხი თუ ფეხები, მოღალატე მუხლი და სხვა ამ-
გვარი, ჩვეულებრივი ქართული არ გახლავთ. ამბობენ, მუხლი ან მუხლები მოცვეთა, მაგ-
რამ შეიძლება ვთქვათ მოცვეთილი მუხლი თუ მუხლები?

ასეთი შესიტყვებები დღეს არავის მოუვა ფიქრად, მით უფრო წიგნიერ კაცს. ამიტომ,
ასე არც არავინ ლაპარაკობს და არც არავინ წერს. თარგმანში ამგვარი შესიტყვებები უცხოუ-
რის (old heart, старое сердце...) კალკებად აღიქმება. სულ არ ეუხერხულებათ ოპონენტებს
„იდიომატიკაზე დამყარებულ მხატვრულ სახეებად“ მათი გასაღების მცდელობა?

„ტომს არ უნდოდა გატეხილიყო“. ამ წინადადებაში „გატეხილიყო“ აქობებდა „გამოტე-
ხილიყო“. მაგრამ შესაბამის კონტექსტში არც ერთი ვარგა და არც მეორე. „გატეხა“, „გამო-
ტეხა“, გარკვეულწილად მაინც ძალდატანებას უნდა გულისხმობდეს, დედანში კი ასე არ გახ-
ლავთ: ბეკს უელსელი ამბავს გამოგვითხავს და ძალას კი არ ატანს, გინდა თუ არა, თქვიო,
„გატყდიო“. ბეკს არ უნდა, მისივე აზრით, რაც საჭირო არ არის გაამხილოს, თქვას და არც
უელსელი ეძალდება. რუს მთარგმნელებს ეს იმთავითვე სწორედ ასე გაუგიათ. მაშინდელ რუ-
სულ თარგმანებში, რომელბზედაც კი ხელი მიმიწვდა, ეს ადგილი დედანივითაა გადმოტანილი.
მომაქვს დედნიდან წინადადება და მისი შესატყვისი ორი რუსული თარგმანი.

Huck wold not explain, p. 202.

Гекъ не желая объяснить всего...

(თარგმ. ს. ვოსკრესენსკისა, გვ. 151).

Гекъ не пускаясь долгія объясненія...

(თარგმნ. მ. ენგელგარდტისა, გვ. 191)

მაშასადამე, ბეკს არ სდომებია, ყველაფერი ეთქვა, გაეხშილა, აეხსნა და არც უელსელს
დაუძალდება ეს, ქართულ თარგმანში კი ნიუანსია შეცვლილი, რაც თითქმის აზრის შეცვლამდე
მიდის.

„დედმიწამ ჩამიტანოს“ — ამ გამოთქმას, სადავოა, რომ „მიწამ პირი მიუოს“, „მიწა გამის-
კდეს“ სჯობია?

„ტომი (სიხარულით) ცას დაეწია“. ხუმრობა იქით იყოს და ცოტა ხანს დავივიწყოთ, რომ
ეს იდიომაა. თითქოს ტომი და ცა კატა-თაგვობანას თამაშობენ, ცა გარბის, ტომი კი მის-
დევს და მერე, როგორც იქნა, დაეწია! „ტომი სიხარულით ცას დაეწია“. ბუნებრივი ქართული
არ გახლავთ. ვამბობთ: ბედს ეწია, გზას ეწია, საქმეს ეწია, (სიხარულით...) ცას ეწია და ასე
შემდეგ და არა ბედს დაეწია, გზას დაეწია, საქმეს დაეწია, ცას დაეწია და სხვა ამგვარი.
ამაზე კამათი წყლის ნაყვა არ არის?!

შეიძლება ეს ასე ბჟონდეთ ნახმარი ადრე ჩვენს დიდ ავტორიტეტებსაც კი, მაგრამ ეს
საბუთი არ გახლავთ იმისათვის, რომ დღესაც ვიხმაროთ. ჩვენი დიდი წინაპრების მემკვიდ-
რეობაში არაერთი უსწორო ფორმაა. ყველა ესენი ისე იბეჭდება, როგორც მათ დაგვიტოვეს.
მაგრამ ხმარებით აღნიშნულ ფორმებს ვხმარობთ შესწორებული სახით. რომ ეს ასე არ იყოს,
მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ჩვენი დეაწლმოსილი ენათმეცნიერების, გრამატიკოსების, ლექ-
სიკოგრაფების დაუღალავ შრომასა და რუდუნებას. იმ უსწორო ფორმებს ჩვენს წინაპრებს
ბრალად და ნაკლად არავინ უთვლის და გრ. უიფშიძეს რატომ უთვლიან ოპონენტები ყოვე-
ლივე ამას ბრალად და ნაკლად, გაუგებარია.

და მაინც, ოპონენტები, მეტად განაწყენებული ბრძანდებიან, რეცენზენტი ამ გამოთქ-

მებს „...ისე იწუნებს... კომენტარის დართვასაც კი ზედმეტად თვლისო“... ა, ბატონებო, კომენტარებიც. მოგიმატათ რაიმე თუ დაგაკლოთ. აღარც ახლა გჭერთ, რომ დასაწუნარი უფილა?

დემაგოგიური ფანდი გინა სიუალებე შეექვსე.

რეცენზიაში მომყავს შემდეგი ადგილი: „ტომი გამოვიდა სახლიდან. ხელში ეჭირა წყალში გახსნილი კირით ხავსე ვედრო...“ და შევნიშნავ, ფრაზის აზრი და სტილი შეცვლილია და მძიმედ იკითხება-მეთქი. იქვე მომყავს ინგლისური შესატყვისიც:

Tom appeared on the sidewalk with a bucket of whitewash. p. 35.

ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვან იმდროინდელი რუსული თარგმანების შესაბამის ადგილებსაც:

Томъ появился на боковой дорожкѣ съ ведеркомъ...

(თარგ. ს. ვოსკრესენსკისა, გვ. 12.).

Томъ появился на тротуарѣ съ ведеркомъ.

(თარგმ. მ. ენგელ გარდტისა, გვ. 15).

დედნის შინაარსის გადმოტანის თვალსაზრისით, მოხმობილი ორი ფრაზა უნაკლოა. ოპონენტები კი, როგორც ყოველთვის, ცარიელა სიტყვით ან მოჩვენებითი საბუთიანობის ნიშნით „საწინააღმდეგოს“ ამბობენ: — „სტილისტურად გამართულია და არც მძიმედ იკითხება“. თუ ეგრეა, აგერ ქართული თარგმანი, აგერ დედანი და აგერ რუსული შესატყვისებიც, მკითხველმა განსაჯოს.

რეცენზენტი წერს: „მაშასადამე, ტომი „სახლიდან“ კი არ „გამოსულა“, გამოჩენილა საცაღებო გზაზე... ე. ი. ეზოს გარეთ. მესერს იგი აქედან შეათვალიერებს და მერე ათეთრებს. თარგმანის მიხედვით გაუგებარია, სად დგას ტომი, მესერის გარეთ (საცაღებოზე) თუ მესერს შიგნით (ეზოში). ამ გაუგებრობამ მხატვარიც¹ დააბნია. მან ტომი ეზოში დააყენა და აქედან შესცქერის მესერს“.

ოპონენტები კი, როგორც წესი, კვლავ ცარიელი სიტყვით, „საწინააღმდეგოს“ ამტკიცებენ და მერე როგორ, აბა, მოვუსმინოთ: „როგორი კატეგორიულობითაც არ უნდა დაწეროს რეცენზენტმა „ტომი სახლიდან არ გამოსულაო“ (ჭერ ერთი, ამას რეცენზენტი კი არა, ავტორი წერს! ბ. ს.), ტომი მაინც სახლიდან გამოვიდა (ჭიბრიც ასეთი უნდა! ბ. ს.), რადგან „საცაღებო გზაზე“ ვერც ციდან ჩამოფრინდებოდა და ვერც მიწიდან ამოძვრებოდა (ღმერთმანი, ვის აღარ შეშურდებოდა ამგვარი მიგნება! ბ. ს.). ასე რომ, აზრობრივად არაფერია დარღვეული“.

აქი ვთქვი, სასწაულებს გვთავაზობენ-მეთქი. ამომწურავ პასუხს ზემოთ მოყვანილი დედანი და მისი რუსული შესატყვისები იძლევა, მაგრამ ოპონენტების მსჯელობა აქ ისეთი „მრავალმხრივია“ და „საინტერესო“, ძნელია უყურადღებოდ დარჩეს. მათი აღმოჩენები მკითხველს საოცრად უფართოებს ფანტაზიას: ტომი რომ მისდგომოდა მაკდუვალის მღვიმეს, ან მდინარის სანაპიროს, ან საკვირაო სკოლას, ანდა, რომელიმე ჩვენგანი მტკვარზე გადასულიყო, ან რუსთაველის თეატრში შესულიყო, ან ჭვარზე ასულიყო, თურმე შეიძლებოდა ეთქვათ „სახლიდან გამოვიდაო“ და „აზრობრივად არაფერი იქნებოდა დარღვეული“! „რადგან“ ვერცერთი „ისე ვერც ციდან ჩამოვფრინდებოდი და ვერც მიწიდან ამოვძვრებოდი“. აი, ასეთი გახლავთ ბატონი ოპონენტების „აზროვნების სტილი“ და ლოგიკა! სადამდე მიიყვანს მაინც ფაქტებთან ამო ჭიდილი ადამიანს!

რუსულ თარგმანებში ეს ადგილი ისეა, როგორც დედანში. ორი მაგალითი ზემოთაც ვნახეთ.

ერთი სიტყვით დედნის ტროტუარი (sidewalk) თარგმანში შეცვლილია სახლით (house) რის გამოც მწერლისეული სახე დაიკარგა და მხატვრული აზრი დაირღვა. ამას კი ცარიელი სიტყვებით გამართლების მცდელობა „ვერაფერს შველის“. ავტორი უბრალოდ ამბობს, ტომი კირხსნარიანი ვედროთი ხელში ტროტუარზე გამოჩნდაო. დედანი უნდა იკმაროს მთარგმნელმა.

ოპონენტები ბრძანებენ, ეპიზოდიდან მაინც ჩანს (მაშასადამე, მკითხველსაც და მხატვარსაც თავსატეხად გახდომიანთ საქმე), რომ ტომი ეზოს გარეთ დგასო „...ამიტომაც არის, რომ

¹ ლაპარაკია ბოლოგამოცემის ილუსტრაციაზე.

პირველ გამოცემაში მხატვარმა, რომელსაც იგივე თარგმანი ჰქონდა ხელთ, ტომი იუოს გარეთ დახატა და არა "მიგნიო".

ამისთანა საქმიანობის კაცი ხელიდან როგორ გაუშვებს! ეს ტყუილი, როგორც ზევით სხვა, ცალკე გამოყოფას იმსახურებდა. ძალიან მეტრადებიან ოპონენტები, მაგრამ მაინც ბუნებრივად უნდა ვამბილო. ვინ არის ეს მხატვარი, რატომ არ ასახელებენ ოპონენტები მისი ნაშრომის გამო, რომ ასეთი მხატვარი არ არსებობს და ჩემი მოპაექრების მოგონილია. მოგონილია ისე, როგორც მთელ წერილში წამოყენებული ყველა ბრალდება. პირველი გამოცემის ანუ „იგივე თარგმანის“ მიხედვით არცერთ ძე — ხორციელს ილუსტრაციები არ გაუკეთებია. იქ მოთავსებული ნახატები ეკუთვნის ამერიკელ მხატვარს ს. უილიამსს, რომლის გრაფიკული ნამუშევრებითაც შემკობილია ადრეული თუ გვიანდელი რუსული თარგმანები. აი, სწორედ აქედან გახლავთ შერჩეული ის 27 ნახატი და მექანიკურად გადმოტანილი „იგივე თარგმანში“. ზოგ რუსულ გამოცემას მისებული 140-მდე ილუსტრაცია ახლავს. ს. უილიამსს დასურათებული აქვს მარკ ტვენის სხვა ნაწარმოებებიც.

რა გაიოლებულა ზოგისთვის მაინც ეს მეტად საძნელო საქმე — ტყუილების მოგონება და თქმა!

ზემოთ მოყვანილ წინადადებაში: „წყალში გახსნილი კირით სავსე ვედრო“.

დედანი: „a bucket of whitewash“.

თვალში საცემია ერთი არალაკონიურობა და მეორის ლაკონიურობა, არა? თუმცა ახლა ამაზე არაფერს ვიტყვი.

რეცენზიაში ნათქვამია, რომ „სავსე“ ზედმეტია და არ უნდა იყოს. ამას გარდა წინადადებაში სხვა სიტყვებიცაა ზედმეტი, მაგრამ მათზე არაფერი თქმულა. ოპონენტები შემოშედავენ, არაო, უნდა იყოსო, „რეცენზენტის სურვილის საწინააღმდეგოდ, ამას სწორედ დედანი ამბობსო“ და „მთელი კატეგორიულობითა და თავდაჯერებით“ გვიხსნიან: „ინგლისური a bucket of whitewash იდიომატური გამოთქმაა: ამგვარი გამოთქმა ქართულშიც ჩვეულებრივია. როცა ვამბობთ „ერთი ჭიქა წყალი“, იგულისხმება წყლით სავსე ჭიქა, ანდა, „ერთი ფინჯანი ჩაი“, გულისხმობს ჩაით გავსტეულ ფინჯანს“.

ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, მაგრამ თუ ცოტა უფრო ჩავუკვირდებით, განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება: „ფინჯანი ჩაი“, „ჭიქა ყავა“, „ვედრო წყალი“... „სავსე“ კი არა, ყოველთვის გარკვეულწილად ნაკლები „იგულისხმება“. „სავსე ნიშნავს „სავსეს“ — „მთლიანად რაიმით დაკავებულ“ სივრცეს, ჭურჭელს, რაშიც „მეტე აღად ჩაეტევა“, მაშასადამე, ზემოხსენებული ჭურჭლები გარკვეულწილად ნაკლები იგულისხმება.

დავუშვათ, რომ „სავსე“ მართლა „იგულისხმება“, თუკი იგულისხმება, მაშასადამე, მისი ხმარება საჭიროც აღარ უოფილა. ამაში მომდევნო მაგალითებიც დაგვარწმუნებს. როგორ ლაპარაკობენ და წერენ ქართულად: „დამალევინე ერთი სავსე ჭიქა წყალი“ თუ „ერთი ჭიქა წყალი“. „მომოიტანე ერთი სავსე ფინჯანი ჩაი“ თუ „ერთი ფინჯანი ჩაი“... ძნელად ეგუება „სავსე“, არა? ეტყობა, ჭიქა, ფინჯანი თუ ვედრო „სავსეს“ ვერ ჰგუობს სწორედ იქ, სადაც ჭურჭელი ნაკლები იგულისხმება. სხვა გზა არ არის: ოპონენტებმა უნდა აღიარონ, რომ „სავსე“ აქ ზედმეტია, მაშასადამე, იმასაც უნდა დაეთანხმონ, რომ თარგმანშიც „სავსე“ ზედმეტი უოფილა და არ უნდა იყოს. თუმცა დასაბუთება აქ არ მთავრდება. ოპონენტები თავიანთი „მოსაზრებების გასამყარებლად“ დაარბიანებული განაგრძობენ: „ასე რომ, ინგლისური გამოთქმა ზუსტად შეესაბამება იმას, რაც ქართულ თარგმანში წერია. a bucket of whitewash ნიშნავს „ერთ ვედრო კირს“ ანუ „კირით სავსე ვედროს“.

ეგრე ვითომ? ოპონენტების „სურვილის საწინააღმდეგოდ“ და „შესაცბუნებლად“ უნდა ითქვას, რომ „ზუსტად“ კი არა და სულაც არ „შესაბამება“. a bucket of whitewash „შესაბამება“ არა „ერთ ვედრო კირს“, მით უფრო „კირით სავსეს“, არამედ ერთ ვედრო კირხსნარს და, ამასთანავე, ნაკლებს და არა „სავსეს“. სავსე ვედრო რომ უოფილიყო ნაკულისხმევი, მაშინ გვექნებოდა a bucketful (a pailful) of whitewash. აი, სწორედ ეს ნიშნავს „სავსე ვედროს“. და სწორედ ამიტომ წერდა რეცენზენტი „დედანი ხომ არაფერს ამბობს ამაზეო“. თუმცა უამისოდაც ზემოთ დასაბუთებულია, რეცენზიის აზრით თარგმანში „სავსე“ ზედმეტია.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

შენიშვნის ბოლოს ოპონენტები დაასკვნიან: „სავსე“ სიტუაციის მიხედვითაც გამართლებულია — „დეიდა ტომს სწორედ „სავსე ვედროს“ გამოატანდა და არა ნაკლებს“ როგორც შემოთავაზებულ და ქვემოთაც ვნახავთ, ჩვენს ოპონენტებს „საწინააღმდეგოს“ მტკიცების ავადმყოფური ჩვევა მქონიათ. საფიქრებელი უფრო ის ხომ არ არის, რომ „სიტუაციის მიხედვით“ დეიდა ტომს „სწორედ“ პირიქით მოექცეოდა. დეიდა ტომს იტყვიან, ცივ წიავს არ აკარებს და ათიოდე წლის კაფანდარა ბიჭუნას „გაფანდებულობს“ გამოატანდა? ჩვენს ოპონენტებს, ალბათ, ტომი ბაუბაუ დევის ნაშენი მქონიათ. თვითონ გამოუცდიათ, „ერთი ვედრო კირი“ რამსიმძიმეა? არა! აბა, ჯერ გამოსცადონ და მერე დაწერონ. ეგ კი არა, რუს მთარგმნელებს, უბრალოდ, ბავშვისთვის ვედროც ემძიმათ და ცხ. ведромъ დაწერეს, რადგან ოპონენტების „სურვილის საწინააღმდეგოდ“, ისინი მიხვდნენ, რომ „დეიდა“ ტომს „კირით სავსე ვედროს“ „არ გამოატანდა“.

ოპონენტები, სულ არ უფიქრდებიან, რას სთავაზობენ მკითხველს, ოღონდ კი რეცენზენტი გამბედავნიან და!

დემაგოგიური ფანდი გინა სიყალბე მეშვიდე.

რეცენზიაში წერია: „ტანზე აკრავდა მდოგვწასმულ 70-79 ქაღალდს. გეგონებათ, რამე ჭურჭელიაო, ყოველდღე ასხამდა აუარება სხვადასხვა წამალს“. გვ. 80.

„აკრავდა“ კი არა, აღებდა. აკრავენ შპალერს, აფიშას და სხვა. „მდოგვწასმული“ (mustared) უუფლებოდ შემოტანილია. დედანშია „blister-plasters“ ბებერებისათვის, წყლულოვანებისათვის განკუთვნილი საფენები. დანარჩენი სცადეთ, იქნებ გაარკვიოთ, რას ნიშნავს „70-79“ ქაღალდი“, ზომას თუ რაოდენობას ან, საერთოდ, რა არის ეს; ჭურჭელში ასხამენ ამ წამალს თუ ჭურჭლიდან სხვა რაიმეში. ამასთანავე, დედანში არც „ჭურჭელია“. ჭურჭელია ყოველგვარი სათავსი, რაშიც რაიმეს ვყრით ან ვასხამთ. დედანში გარკვევით არის just კოკა, ღოჭი“.

ჩვენი ფალავნები როგორც რეცენზიიდან წერილში მოყვანილი ყოველი სიტყვის, შესიტყვებისა თუ წინადადების განმარტებას, ისევე ამ ადგილსაც ურცხვად ამახინჯებენ და ასე სთავაზობენ მკითხველს: „მდოგვწასმული“ არ არის „უუფლებოდ შემოტანილი“, — ჭირვეული ბავშვივით უნიაწობენ ოპონენტები, — „რადგან ის, რასაც რეცენზიის ავტორი გვთავაზობს — „ბებერებისარვის, წყლულოვანებისათვის განკუთვნილი საფენები“, — არანაირი ღირსების მხატვრულ თხზულებას არ მოუხდება“.

აქვე დავუმატებ: არამართო „მდოგვწასმული“, დედნის კუთვნილება არც „ქაღალდია“, მაგრამ მაშინ ამაზე არაფერი თქმულა.

ჯერ ერთი, ვთქვათ, რეცენზენტს რაღაც „შემოეთავაზებინა“, თუნდაც მეტად „გაზრდილი მოთხოვნის“ მქონე ოპონენტების მოსაწონარი, მერედა, ეს შემოეთავაზებული სიტყვა ამიტომ უუფლებოდ შემოტანილი აღარ იქნებოდა? მეორეც, შემოთდამოწმებულ ადგილში ხომ გრკვევითაა, რომ ამას „რეცენზიის ავტორი“ კი არ „გვთავაზობს“, დედანი გვთავაზობს ანუ მისი შემქმნელი, მარკ ტვენის მარკ ტვენს კი, არა ამგონია, ოპონენტებისაგან რაიმე ესწავლებოდეს. სამწუხაროა, რომ ეს დიდებული მწერალი ადრე მოვიდა ამქვეყნად, ოპონენტები კი — მოგვიანებით, თორემ მათგან ცოტაოდენ ჭკუას მაინც ისწავლიდა და მერე აღარ დაწერდა ისეთ რამეს, რაიც „არანაირ მხატვრულ ნაწარმოებს არ მოუხდება“. მესამეც, სად ამბობს რეცენზენტი „ბებერებისათვის, წყლულოვანებისათვის განკუთვნილი საფენები „მხატვრულ თხზულებას“ „მოუხდებაო“. რეცენზიის სკოლიოში ხომ გარკვევით წერია: „ჩვენ ყველგან ვიძლევიტ მხოლოდ პწკარედს“ ანუ ამა თუ იმ წინადადების დედნისეულ აზრს, რომელიც სარეცენზიო თარგმანში ყველგან შეუწყნარებლად დამახინჯებული გახლავთ, თუმცა საკითხავია, რატომ „არ მოუხდება“ რომელიც გნებავთ „მხატვრულ თხზულებას“ ოპონენტებისაგან ათვალწუნებული შემოხსენებული წინადადება? რით ასაბუთებენ ამას? არაფრით. მხოლოდ დემაგოგიურად წამოსროლილი სიტყვებით, რომლებიც წარამარა ღიმილს იწვევს. ყოველ სიტყვას თავის ადგილას ოქროს ფასი აქვს. თუმცა რაღა გასაკვირია, ოპონენტების „გაზრდილი“ ესთეტიკური გემოვნება და მაღალი „აზროვნების სტილი“ რომ ვერ მგუობდეს შემოხსენებულ სიტყვებს!

მოყვანილი ადგილიდან ოპონენტებს მოაქვთ მოკლე წინადადება: „ტანზე აკრავდა მდოგვწასმულ ქაღალდს“. მკითხველმა უკვე შეამჩნია, რომ ამ წინადადებიდან ამოუგდიათ „70-79“, იქნებ იმიტომაც, რომ იგი „არანაირ მხატვრულ თხზულებას არ მოუხდება“ და ამის გამო ვედარაფერს იტყოდნენ, თუმცა რატომაც არ იტყოდნენ, ამისთანები უთქვამთ? სულ ასე არ

არის მთელი ეს ამხელა წერილი მოცოდვილებული? ოპონენტები მას შემდეგნაირ „მო-
მენტარს“ უკეთებენ: „რაც შეეხება გამოთქმას „ქალაქის აკრავდა“, რეცენზენტი იმე თავდა-
ჭერებით ირწმუნება, „აკრავენ შაღერს, აფიშასო (უველაფრიდან ჩანს, რომ ქალაქი „და-
სხვაშიც“ არ უნდა იგულისხმებოდეს; რა იგულისხმება, ძნელი სათქმელია) ღიქოს-შაღერი,
აფიშა სხვა მასალისაგან მზადდებოდეს“.

ესეც მაღალი „აზროვნების სტილის“ მქონე ოპონენტების ლოგიკა! გარჩევაც აღარაა სა-
ჭირო, „იხედავ უველაფერი ნათელია“. ეს წინადადება უველას ისე ესმის, როგორც მის ავ-
ტორს და ჩვენს ოპონენტებს, ღმერთმა უწყის, ვინ ეშაქმა მოუქცია მხარის აქ ზოგი რამ
მიჩქმალეს, ზოგი რამ კი თითქოს მართლა ვერ გაიგეს.

ნაწარმოებში ლაპარაკია ცოცხალ სხეულზე (დეიდა ტომს ტივილის დამამებელ საფენს
ან საღბუნს ადებს), ცოცხალ სხეულზე კი აფენენ, ადებენ: ტილოს (ცის თუ თბილს), კომპ-
რესს, სათბურს, არაცოცხალ სხეულზე კი — აკრავენ (აწებებენ ან აქედებენ...): ქალაქს,
მუშაობას, მუყაოს, ფანერს, პურს (თონეში) ლაშფას, ტერის, სანთელს (ლანგარზე, კედელზე...),
თურმე „უველაფრიდან“ კი არა „არაფრიდანაც“ არ ჩანს, რომ „ქალაქი“ „და „სხვაშიც“
კიდევ „რა იგულისხმება“, მათ დავუთმოთ), მარკას (ამანათზე, წერილზე...), ძელს, ყავარს და
ვინ მოთვლის კიდევ რამდენ რაიმეს.

მაშასადამე, რაკი ნაწარმოებში ცოცხალ სხეულზეა ლაპარაკი და არა არაცოცხალზე,
უნდა აიყოს აფენდა ან ადებდა და არა აკრავდა (აწებებდა ან აქედებდა). ეს არის და ეს.
თურმე „უველაფრიდან“ კი არა „არაფრიდანაც“ არ ჩანს, რომ „ქალაქი“ და „სხვაშიც“
არ უნდა იგულისხმებოდეს“ და თურმე სულაც „ძნელი სათქმელი“ არ უოფილა, „რა იგულის-
ხმება კიდევ“. ჩვენს ოპონენტებს კი თავგზა აზნეფათ და აქაც, როგორც უველგან, უგერგი-
ლოდ უცდიათ, გამოსავალი ეპოვათ. უპოვიათ თუ არა მკითხველმა განსაჯოს.

დემაგოგიური ფანდი გინა სიყალბე მერვე.

რეცენზენტი წერს: დასაწყისიდან რამდენიმე აბზაცამდე გაუგებარია, „მოხუცი“, ქალია
თუ კაცი, სამწუხაროდ, ქართულს სქესი არ გააჩნია, მაგრამ არსებობს სხვადასხვა საშუალება,
რომ გაუგებრობა ავიცილოთ. აქ შეიძლებოდა „მოხუცის“ ნაცვლად „დედაბერი“ დაგვეწერათ.

ოპონენტები, „კატეგორიულად და თანაც როგორი თავდაჭერებით“, შემდეგ მოსაზრებებს
გვიწიარებენ: „განა დეიდა პოლი დედაბერია? დეიდა პოლის სოლიდური გარეგნობის გამო
უწოდებენ old მოხუცს და არა ასაკის გამო (პირდაპირ შესაშური მიხვედრაა! ბ. ს.). „მოხუ-
ცის“ ნაცვლად „დედაბრის“ ხმარება... ერთბაშად დაარღვევს რომანის ერთ-ერთი მთავარი
გმირის პორტრეტს, ხახიათს და იმის ეჭვსაც აღძრავს, წაკითხული აქვს თუ არა რეცენზენტს
რომანი მთლიანად“.

კეთილი და პტიოსანი! ვნახოთ თუ ეგარეა.

როგორც ვხედავთ, ამ შენიშვნაში გრამატიკული სქესის კატეგორიაზე ორიოდ სიტყვა
მითქვამს, ამაზე „უველა ენის კანონების“ მცოდნე ოპონენტებმა უბად ამიღეს და მთელი თა-
ვიანთი ენათმეცნიერული არსენალი მოიშველიეს. ვინც დაშკვირვებია და ვისაც ამისი საჭი-
როება უგრძნია, განსაკუთრებით კი, მთარგმნელებს, დამეთანხმება, რომ სქესი იმდენად სა-
ჭიროა და იმდენად სასურველი, შესაძლოა წამოსცდეს, „სამწუხაროდ, ქართულს სქესი არ
გააჩნიაო“, ეს დიდი ცოდვა არ უნდა იყოს, მაგრამ ჩემს მოპაექრეებს სადავოდ მაინც გამოუ-
ყენებიათ.

ეტყობა, ოპონენტებისათვის „დედაბერი“ „ქალიან მოხუცის“ ან მოხუცზე უფრო ხნიე-
რის იდენტურია. მე პირადად ასე არ მგონია და მივმართოთ განიშარტებით ლექსიკონს:

1. „მოხუცი-მოხუცებული, დაბერებული, ბებერი“.

2. „დედაბერი — ბებერი, მოხუცი ქალი“.

პატივცემულო მკითხველო, ხანდაწმულობის თვალსაზრისით, მე ვერ ვხედავ მათ შორის
განსხვავებას, თქვენ ხედავთ? მგონი, „უველაფერი ნათელია“.

თავიანთი ნათქვამის უსაფუძვლობას რომ გრძნობენ, მერე იმას ამბობენ „დეიდა პოლის
„მოხუცს“ სოლიდური გარეგნობის გამო უწოდებენ“, თორემ მოხუციც არ არისო. ცოტა
კიდევ რომ ვაცალოთ, შესაძლოა, უმაწვილ ქალაქად წარმოგვიდგინონ, მაგრამ სანამ აქამდე
მივიდოდეს საქმე, ბოლომდე გავადევნოთ თვალი მათ შენიშვნას. უწინარეს ყოვლისა, უნდა
გაირკვეს, რა იგულისხმება „სოლიდურში“. თუ ხნიერობა იგულისხმება, მაშინ დეიდა პოლი
მოხუცი, ბებერი უოფილა და ის არის, თუ სიდინჯე იგულისხმება დინჯი, უბრალოდ, არა თუ

ახალგაზრდა, ბავშვიც ხომ არის და ამიტომ შეიძლება მას მოხუცი ვუწოდოთ? ასე, რომ, ნაკლებად უწყიან ოპონენტებმა, რას ბრძანებენ.

იმ ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, მოხუცს, ხნიერს, ბებერს. ავტორი წერს, რომ დეიდა პოლი ასეთი ქალია, ასევე თარგმნიან რუსი მთარგმნელები, ქართველი მთარგმნელები, ასე ესმის მკითხველს, ოპონენტები კი „საწინააღმდეგოს“ ამტკიცებენ, რადგან რეცენზენტი ყველა შემოხსენებულ პირებს დაეთანხმა!

რატომ ჰგონიათ ოპონენტებს, რომ დეიდა პოლი ხნიერი არ შეიძლება იყოს? იმის გამო, რომ რეცენზენტმა თქვა, აჯობებდა „დედაბერი“ დაგვეწერათ? თურმე ეს პირველად რეცენზენტს რომ არ უთქვამს? ახლა საჩოთირო ცნობას რომ მოვიყვან, ოპონენტებს, შეიძლება, შერცხვით კიდევ! თუმცა ვინც მათ წერილს დაკვირვებით წაიკითხავს, არა მგონია, ამის იმედი იქონიოს. თურმე თვითონ გრ. უიფშიძე ამბობს დეიდა „პოლიზე“ (გრ. უიფშიძე მაშიდას ეძახის) „მოხუცს“, „მოხუც ქალს“, „მოხუცებულს“, და მათდა „შესაცბუნებლად“ — „დედაბერს“! ე. ი. ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს, ხან მეოთხეს, რომელიც როცა მოესურვება. „მოხუცებულზე“ და „დედაბერზე“ მოგვიყვან ორიოდ მაგალითს, თუმცა ერთიც საკმარისია.

ტომმა „აკოცა მოხუცებულს ტუჩებში“, გვ. 128.

„დედაბერმა საჩქაროდ შეირბინა საკუჭნაოში“, გვ. 161.

„გაოცებით წარმოსთქვა დედა-ბერმა“, გვ. 26. ზოგან მთარგმნელი „მამიდა პოლის“ „პორტრეტს“ ასე წარმოგვიდგენს: „ცრემლები დაბა-ღუპით ჩამოსდიოდა დამჭნორ ლოყებზე“. გვ. 162.

მოყვანილი ფაქტი არათუ მართლ „ექვს აღძრავს“, არამედ დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ ოპონენტებს არცერთი გამოცემა არ წაუკითხავთ, ცილისმწამებლური წერილი კი იოლად გამოუცხვიათ, მერედა, რისი იმედით? რეცენზენტი „არაკვალიფიციურია“ და ვერაფერს დაგვაკლებს, მკითხველი კი „იოლად დასაბნევია“ და ფონს იოლად გავალთ. სადღაც ერთი წინადადება ამოღობეს, თავზე მიუდგომელი წმინდა მსაჯულების გვირგვინები მოირგეს და იმის მერე, რაც ზემოთ მოვისმინეთ, ყოველგვარი სინდისის ქენჭის გარეშე აცხადებენ: „მოხუცის“ ნაცვლად „დედაბერის“ ხმარება... ერთბაშად დაარღვევს რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის პორტრეტს, ხასიათს, და იმის ექვსაც აღძრავს, წაკითხული აქვს თუ არა რეცენზენტს რომანი მთლიანად“.

გრ. უიფშიძეს „დაურღვევია ერთ-ერთი მთავარი გმირის პორტრეტი, ხასიათი“ თუ სამართლიანად გამოუყენებია „დედაბერი?“ აი, დიღემა ოპონენტების წინაშე მე მგონია, გრ. უიფშიძე სწორად მოქცეულა! თქვენ რას იტყვით, ახლა, ოპონენტებო?

არის საჭირო კიდევ, გავაგრძელოთ ოპონენტთა მხილება? არა მგონია, მაგრამ მაინც უნდა გავაგრძელოთ, ნათქვამია, მტყუანს კარამდე მიჰყვით და მეც უნდა მივყვე.

დემაგოგიური ფანდი გინა სიყალბე მეცხრე.

სანამ უშუალოდ პიკნიკის რაობაზე ვილაპარაკებდე, მანამ ვჩქარობ, მკითხველს თარგმანისათვის ამ სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობაზე ოპონენტების აზრი ვამცნო: პიკნიკის ხმარება „თარგმანში გამართლებულია“, „თუნდაც, დედნის კოლორიტის დაცვის მიზნით, რაც მიგვაწინებებს, რომ სწორედ ინგლისურ რომანს ვკითხულობთ“.

უკვე რამდენჯერმე აღვნიშნე და უტყუარი ფაქტებიც მოვიყვანე, ოპონენტები არამცთუ „პირველ გამოცემას“, არცერთ გამოცემას არ იცნობენ, ცილისმწამებლური წერილი ისე მოუჭაბირებიათ-მეთქი. ეს რომ ასეა, ახლა კიდევ მოვიყვან ერთ „ყურიოზულ“ ფაქტს: ოპონენტები თუ იმ საბედისწერო „პირველ გამოცემაში“ ჩაიხედავდნენ, ქვემოთ მოტანილ სიტყვებსა თუ შესიტყვებებს, რომლებიც ვერაფრით ვერ „მიგვანიშნებს, რომ სწორედ ინგლისურ რომანს ვკითხულობთ“, უეჭველად ნახავდნენ და, რაღა თქმა უნდა, აღარც ზემოთმოყვანილ შენიშვნას გააკეთებდნენ. აი, ის „დედნის კოლორიტის დაცვის მიზნით“ გამოყენებული აქსესუარებიც: სადაბადო, საფენი, ვერსი, უარანდაში, მაშიდაჯან, ეგზამენი, ფოკუსნიკი, ბოქა, პასაჟირები, ქურახანა, ეგზეკუცია: დაუარა ლეკურივით, თუნუქის სტაქანი და ასე შემდეგ. მაშასადამე, „დედნის კოლორიტის დაცვის მიზნით“ ამ ფრაზის მოშველიებაც თურმე მკითხველის თვალში პიკნიკის ხმარების ფორმალური გამართლების მცდელობა ყოფილა და მეტი არაფერის მოხმობილი სიტყვები თუ შესიტყვებები „იცავენ დედნის კოლორიტს“ და არიფანა „დაარღვევდა“? თქვენ გჯერათ, პატივისცემულო მკითხველო ეს? აფერუმ ოპონენტების გამჭრი-ახლობას!

აქ კი „უველაფრიდან ჩანს“, რომ „ინგლისურ რომანს“ კი არა, რუსულ რომანს „უკითხულობთ“, აქვთ და კი, ქართული რომანი წავშლით. ეს ფაქტი უიღვე ერთნელ იმასაც მოწმობს, რომ ოპონენტები მხოლოდ ურმოკრული ამბებით მსჭვლობენ, რა გამოდის აქედან, მკითხველი ზედვს.

ოპონენტები წერენ: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ დადგენილი მნიშვნელობის გათვალისწინებით, პიკნიკს ამგვარად განმარტავს: „ქალაქგარეთ ჭგუფური გასიერება დროს გასატარებლად“.

რატომ „დადგენილი“, პიკნიკს „დასადგენი“ რომ არაფერი ჰქონია! ეტყობა, ოპონენტებს ეს ტერმინი, მათი აზრით, რაღაცაში ეხმარება. უფრო სწორი იქნებოდა ზუ ვიტყუოდით „განმარტებითი ლექსიკონი“ გვაძლევს ინგლისური ლექსიკონის ერთ-ერთ და ისიც „მთავარ და მახასიათებელ ნიშანს“ და სამართლიანად უგულებელყოფს მის ნიუანსობრივ მნიშვნელობას: „ერთი ადამიანის მიერ დროსტარების მოწყობას“.

პიკნიკი, ინგლისური ავტორიტეტული ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს, რომ დროსტარებას (ნადიმს, ლბინს, ქეიფს) აწუბს ერთი ადამიანი ან უველა თანამონაწილე სახლს გარეთ, ღია ციხკვეშ (ტუეში, მინდორში...) მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია: უველას თავისი წილი მიაქვს სუფრაზე მზა პურმარილისა თუ ფულის სახით (Oxf. vol. VII, p. 828).

პიკნიკის „მთავარი დამახასიათებელი ნიშანი“ აქვს სწორედ არიფანას: უველას „თავთავისი პური გინა ხარჭი“ მიაქვს სუფრაზე. თუ პიკნიკი სახლს გარეთ იმართება, არიფანა უველას გან შეიძლება გაიმართოს, სახლს შინაც და სახლს გარეთაც (ტუეში, მინდორში...) მაშასადამე, არიფანაც ნიშნავს „ქალაქგარეთ ჭგუფურად გასიერებას დროს გასატარებლად“. ერთი სიტყვით, არიფანა არა მხოლოდ „რაღაცათი ჭგავს“ პიკნიკს, არმედ იგი სათანადო კონტექსტებში უნიკალურადაც გვევლინება.

რაც შეეხება იმას, რომ, რაკი ნაწარმოებში „დროსტარებას ერთი ადამიანი აწუბს“, „ეს არის პიკნიკი“ და ამიტომ გინდა თუ არა პიკნიკი ვიხმართო, ეს იქ, ინგლისურ სამყაროში, და ინგლისურ ლექსიკონებში და არა აქ, ჩვენს სინამდვილეში, და, გნებავთ, ჩვენს ლექსიკონებშიც. აქ ეს ჩვენი საშუალებებით უნდა გამოვსახოთ და არა უცხოურის მეშვეობით. „ერთი ადამიანის მიერ დროსტარების მოწყობა“ იქაც კი ნიუანსობრივი მნიშვნელობისა ყოფილა და არა „მთავარი დამახასიათებელი ნიშანი“. მაშასადამე, ერთი ადამიანის მიერ „ქალაქგარეთ დროსტარების მოწყობას“ პიკნიკის „მთავარ დამახასიათებელ ნიშნად“ თვითონ ინგლისელებიც არ მიიჩნევენ და სხვამ რატომ უნდა მიიჩნიოს. და კიდევ: ამ გაგებას არამცთუ ქართულში ინგლისურის მონათესავე ენებშიც, სადაც მართლა „დამკვიდრებულია“ იგი, არ გამოყოფენ. მაგალითად, მიუღერი პიკნიკის შემდეგ განმარტებას გვაძლევს: «приятное времяпрепровождение, удовольствие» ზუსტად ასეთივე განმარტებას იძლევა გალპერინიც. ამიტომაც არც ერთი ქართული ლექსიკონი არ გვაწვდის ამ დანაწევრებულ გაგებას. კიდევაც გვაწვდიდეს, ეს მაინც ვერაფერს შეცვლიდა, რადგან წყარო იქნებოდა არა „დამკვიდრების“ ფაქტი, არამედ ის ლექსიკონი, საიდანაც გადმოვიდა მისი შესატყვისი მნიშვნელობები.

მაშასადამე, არიფანა, შინ იქნება თუ გარეთ, „თავთავისი პურით გინა ხარჭით“ მოეწყობა თუ ცალკეული პირის მიერ, ამას მნიშვნელობა არ ენიჭება და ამიტომაც არ ითვლება საკიროდ მისი მნიშვნელობის დანაწევრება.

ჩვენს წინაპრებს სიტყვა პიკნიკი არ ჰქონიათ, მაგრამ ქალაქშიც აწუბდნენ გასიერებას (ნადიმს, პურობას, დროსტარებას...) და ქალაქგარეთაც. ერთი აკეთებდა ამას თუ უველა თანამონაწილე, მნიშვნელობა არ ჰქონდა და ამგვარ წილადობილაზე ერთმანეთს უფრს არავინ უხვრეტდა. ქართული სიტყვის ოსტატები: ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, მიხეილ ჭავჭავაძე, ლევან გოთუა და სხვანი არიფანას ხმარობენ იგივე კონტექსტებში და სულაც არ გრძნობენ რაიმე უყმარობას თუ უხერხულობას. „გვმარტავს არიფანა, რიგის პური“... ეს მიხეილ ჭავჭავაძის სიტყვებია! პიკნიკი ქართულ ენის პანთეონში უცხოოდ, შეუფერებლად მოჩანს. იგი წიგნიერი ვზით შემოსულია და ისევ წიგნის საყურება რჩება. სხვა საქმეა, რომ არ მოგვეპოვებოდეს გაცილებით უკეთესი მისი ბადალი. ამასთანავე, გამოსახვის უღვევი საშუალებანი. ამას კი დამებნა, თავისმტვრევა, შრომა სჭირდება და არა მზამზარეულ უცხოურზე წაპოტინება და მისი ყურით მოთრევა.

ქართული სიტყვა, თავის ბუდეში მყოფი, ამ შემთხვევაში, ქართველ კაცს, თავის მიწაზე მყოფს, მაგონებს. შემოსული სიტყვა რაღაც უცნაურ, მაგიურ ძალას იძენს და როგორც ეტყობა, ჩვენი ბედოვლათობის გამო, თანდათანობით იკავებს შესაბამისი ქართული სიტყვის

ადგილს. ამ პროცესს თუ არ შევებრძოლებით, ხელს მაინც წუ შევუწყობთ. ამგვარი პიკნიკისტების გამოა, რომ ბევრი უცხო სიტყვა ქართულ სიტყვას უსაფუძვლად დგინებს და ხაკუთარ ბუდეს იჩენს.

არაფანას ნაცვლად პიკნიკის მოთხოვნა დაუსაბუთებელი აკვიატებაა და მტკიცე არაფერი. ყოველივე ზემოხსენებული, აღბათ, უკეთ ბქონდა გასიგრძელებული ჩვენს წინაპარს, პოეტს, ეთნოგრაფსა და ლექსიკოგრაფს, რაფიელ ერისთავს, რომელმაც პიკნიკი ქართულად ითქმის: „არაფანა“. რეცენზიაში მტკიცე არაფერი წერებულა!

მე, მაგალითად, რაფიელ ერისთავის უფრო მჭერა, პატრივცემული მკითხველო, ვიდრე ამ ახირებული ადამიანებისა, თქვენ რას იტყვოდით?

დემოგოგიური ფანდი გინა სიუალებე მეთუ.

ქართულ თარგმანში ბავშვები (სიდი, ტომი) დეიდა პოლის თქვენობით ელაპარაკებიან. ზოგჯერ ბავშვები თქვენობით ელაპარაკებიან ერთმანეთსაც. რეცენზიაში ამაზე გაკეთებულია შენიშვნა, ოღონდ კონკრეტული მაგალითები არ მომიტანია:

„...არა გვგონია, დღეს ქართულ თარგმანში ან რუსულში გამართლებული იყოს, ათიოდე წლის ბავშვები ერთმანეთს ან დეიდას თქვენობით ელაპარაკებოდნენ. უზერხულობა საგრძნობია. იბნევა მოზარდიც“.

ოპონენტები აქაც ცდილობენ, მკითხველი შეცდომაში შეიყვანონ და არდასაქერებელი დააჯერონ: „...რომანში ეს „ათიოდე წლის ბავშვები“ ერთმანეთს შენობით ელაპარაკებიან (ეს ყველა გამოცემაში ასეა). ზოლო როცა ბეკი ტომს თქვენობით გაცემს პასუხს ამას რომანის შესაბამისი ეპიზოდის წაქითვა აგვიხსნის — ბეკი ნაწყენია ტომზე, ებუტება და ოფიციალური თავის დაქერით აგრძნობინებს, შენთან საერთო არაფერი მაქვსო. აი, დეიდას კი ბავშვიც და მოზარდილიც თქვენობით უნდა ელაპარაკებოდეს და რაც დროზე შეიგნებს ამას ადამიანი, მით უკეთესი“.

რადა გაეწყობა, აქაც უნდა ვამხილოთ ოპონენტების ეშმაკობა. როგორ იციან ჩემმა მოპაექრებმა „ყველა გამოცემაში“ რა როგორ არის, მკითხველმა აქამდეც საკმაროდ დაინახა და ქვემოთაც დაინახავს. ჭერ იმას აღვნიშნავ, რომ შენობით და თქვენობით ლაპარაკი „ყველა გამოცემაში“ (პირველის შემდგომ ბოლო მეშვიდეს ჩათვლით) აღრეულია. ოპონენტების „სურვილის საწინააღმდეგოდ“ მივუთითებ „შესაბამისი ეპიზოდებსაც და გვერდებსაც, სადაც ბავშვებს შორის თქვენობით ლაპარაკი მკითხველს ეხამუშება“.

„შესაბამისი ეპიზოდი“, რომელიც „ბეკის გაბუტვასა“ და ამის კვალობაზე ტომისათვის „თქვენობით პასუხის გაცემას“ გულისხმობს, ორად ორი სტრიქონია მხოლოდ. (გვ. 123), ასეთივე ორი სტრიქონი შეხიტყვებაა ჭო მარპერსა და ტომს შორის, ტკიპას რომ ათამაშებენ (გვ. 52). ეს ადგილი ზოგ რუს მთარგმნელს შენობით აქვს გადმოტანილი, მართო ეს ორი შემთხვევა რომ ყოფილიყო, თუნდ გაუმართლებლად, კრინტსაც არ დაეძრავდი. დანარჩენი რამდენიმე „ეპიზოდი“ ზოგი ხანგრძლივი დიალოგიც, თქვენობით არის გადმოცემული. რეცენზიაში სწორედ მათზეა ლაპარაკი და არა ზემოხსენებულ ორადორ შემთხვევაზე. მივუთითებ სარეცენზიო თარგმანის გვერდებს, სადაც ბავშვები ზემოხსენებული ორი შემთხვევის გარდაც თქვენობით ელაპარაკებიან ერთმანეთს (გვ-ები: 48, 49, 50, 120, 124).

მე მგონია, საკმარისია იმისათვის, რომ შემენიშნა, ზოგან უადგილოდ „ბავშვები ერთმანეთს თქვენობით ელაპარაკებიან“ და მკითხველს ეუზერხულება-მეტქი, რად გამორჩათ ოპონენტებს ეს ადგილები, რომლებიც მომდევნო „ყველა გამოცემაში“ ასეა? აი, თურმე რატომ ლაპარაკობენ რებუსებით და არ უთითებენ გამოცემებს, გვერდებს.

ახლა იმის შესახებ, დისშვილი დეიდას თქვენობით უნდა ელაპარაკებოდეს თუ შენობით.

ქართულ მეტყველებაში შენობითი ურთიერთმიმართვა დასაბამიდან მომდინარეობს. ქართველები არა მხოლოდ ერთმანეთს, შეფესაც („შენ უწყი, მეფეო“, „მეფეო, შენსა გვირგვინსა...“), თვით ღმერთსაც („რომელი ხარ ცათა შინა“... „იყავნ ნებაი შენი“, „ღმერთო, შენ მიშველე“, „...დიდება შენდა „უფალო“...“) შენობით მიმართავდნენ. მით უფრო ქართულ ოჯახში საუბარი უხსოვარი დროიდან ყოველგვარი მშრალი ესთეტურობისაგან სავსებით თავისუფალი, უბრალო, სადა, არანაძალადევი ენით მიმდინარეობს.

თქვენობით საუბრის ფორმა ბოლო საუკუნეებში დაშვადრდა როგორც ზრდილობითი ურთიერთმიმართვის ფორმა. მაგრამ ოჯახში თუ ახლობლობაში ამან ფეხი ვერ მოიკიდა. ერთი სიტყვით, შინაურობაში ამგვარი ურთიერთობის ფორმა არც არსებულა და არც არსებობს.

დეიდა არის დედის და, დისშვილისათვის დედასავით მშობლიური და ახლობელი. დეიდა

პოლი დისკვილით კალთაში ზრდის და დედასავით დასტრიალებს თავს. ვერცერთ ქართულ
ოჯახში ასეთ გარემოებაში, ვერსად ნახავთ, რომ დედასა და დისშვილს შორის თქვენობით
ლაპარაკი არ ეხამუშოს. ამიტომ არც რუსულ თარგმანში და არც მით უფრო ქართულში
მათ შორის თქვენობით ლაპარაკი გამართლებული არ გახლავთ. რუსულ თარგმანში დღეს
ეს აღიქმება როგორც კალკი ინგლისურიდან. ასევე აღიქმება ქართულშიც დედასა და დის
შვილებს შორის თქვენობითი იყოს, გასაგებად არის მოცემული (p-es 75, 115) — ამის შესახებ
ორადორი შემთხვევა. თვით გრ. ყიფშიძეს აქედან მხოლოდ ერთი აქვს თქვენობითი თარგმანი
ლი (გვ. 188). ახლა აქაც რომ მოვიყვანო საჩოთირო ცნობას, ცოტა მაინც არ ეუხერხულებათ
ჩემს მოდავებს? თარგმანში, რომელიც უშუალოდ გრ. ყიფშიძის ხელიდან გამოვიდა, „მამიდა
პოლიის ძმისშვილები“ სულ შენობით ელაპარაკებიან. ჩემი ღრმა რწმენით, ღვაწლმოსილი
წინაპარი სავსებით სწორად მოქცეულა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ოპონენტებო?
აიღევ გეტქმით რაიმე?

იქნებ ჩვენი ოპონენტები თავიანთ დეიდებს თუ მამიდებს თქვენობით ელაპარაკებიან, ეს მათი ნებაა, მაგრამ „რაც მალე ისწავლიან შენობით ლაპარაკს, მით უფრო კარგი“, მით უფრო ბუნებრივი და არანაძალადევი, უფრო სადა იქნება მათი საუბარი.

დემოგოგიური ფანდი გინა სიყალბე მეთერთმეტე.

რეცენზიაში თარგმანიდან მოყვანილი რამდენიმე ნაკლი აღვნიშნე, ერთ-ერთ ნაკლად მიჩნეულია „ჩრდილის“ უსწორო ფორმით გამოყენება: „ჩრდილქვეშ“. აი, ამას ჩასჭიდებიან რაონენტები და ომახიანად მიგუჟინებენ: „რეცენზენტი ორი გამოთქმიდან — „ჩრდილში“ და „ჩრდილქვეშ“ — კატეგორიულად, და თანაც როგორი თავდაჯერებით, უარყოფს მეორე გამოთქმას: „ჩრდილქვეშ“...

თუ რატომ „უარყოფ“, ამაზე კრინტსაც არ ძრავენ. ამრიგად, ოპონენტები გრძნობენ თავიანთი მსჯელობის უსაფუძვლოებას და, რაღა თქმა უნდა, ცდილობენ, ეს ორი „ში“ თანდებულ და „ქვეშ“ წმინთხარტდართული ერთი და იგივე სიტყვა „ორ გამოთქმად“ შემოგვაბარონ, რომ დარწმუნდებიან, ეს საკმარისი სულაც არ არის, ცოტა ქვემოთ ამათ სინონიმებად მონათლავენ.

„პონენტები „თავისას განაგრძნობენ“... ამ მშვენიერ გამოქმნას არაფერი აქვს დასაწყუნი (ეს ჰაერზე ნათქვამი ისევ „ჩრდილქვეშ“-ს ეხება! ბ. ს.) ამიტომაც იხმარება ლიტერატურაშიც და სასაუბრო მეტყველებაშიც“.

„ქვეშ“ დართული დანარჩენი სიტყვებისაგან განსხვავებით, არასწორი, აზრსმოკლებული სიტყვა სწორედ „ჩრდილქვეშ“ გახლავთ. საკამათო ხომ არაა, რომ აქ საქმე იდიომთან არა გვაქვს. მაშასადამე, თუ ფორმა სწორია, რა აზრსაც სიტყვა გვყარნახობს, პრაქტიკულად შესაძლებელი უნდა იყოს: „აბა, სცადეთ ჩრდილქვეშ სამასლაათ. უ წამოწოლა?“ ვერ მოახერხეთ ხომ? ახლა სცადეთ ხისქვეშ, საბლქვეშ, ხილქვეშ... შეცდომით ბევრი რამ არათუ იშვიათად, არამედ ხშირად იხმარება სასაუბრო მეტყველებაში, იპარება წერილობით წყაროებშიც და, ბუნებრივია, უოველივე ამას ლექსიკონები აღწუსხვან, მაგრამ ამიტომ ავდგეთ და ლიტერატურულ ნორმად გამოვაცხადოთ? როგორ სჯობია, ხელი შევეწყუოთ მათ არასწორად დამკვიდრებას თუ შემჩნევითანავე გავასწოროთ?

„ერთი აზრის გამოხატავად ორი ან რამდენიმე სინონიმის, სინონიმური ფორმის არსებობა ენის სიმდიდრეა, — უფრო გვიხვეტენ ოპონენტები, — ხოლო ახირებული მოთხოვნა, იმისა, რომ ორი სინონიმური ფორმიდან მხოლოდ ერთ-ერთი იხმარებოდეს, ენის გაღატაკებისაა“.

მე! ასეთი აღმოჩენა ხატარულს წამაწეციერი განა ყველას მოუვლენს? დიდი აღამიანები იმით აღმოჩენა ლმებენ მთელ თავიანთ დაძაბულ ცხოვრებას და, აი, უცრად, სულ უბრალოდ, რამდენიმე აღმოჩენა მისახალმებელია აბა, რა ეს აღმოჩენა, ალბათ, ღამით მოხდა, თორემ დღისით რომ მომხდარიყო, უამგაწეთოდაც გაიგებდა მკითხველი. რომ რეცენზიას არა, ხომ შეიძლებოდა, ეს დიდებული აღმოჩენა არც მომხდარიყო! ...ესე იგი, ოპონენტებმა ახალ ფანდს მისმართეს: „რადილქვეშ“-ს სინონიმად გავასაღებთ და იქნებ ამით მაინც გავამართლოთ მისი კრებობა. აბა, ვნახოთ თუ გაუმართლდებათ ვარაუდი.

სინონიმები ფორმით განსხვავებული, შინაარსით კი ერთი და იგივე ან ძალიან ახლომდგომი სიტყვებია. მაგალითად: ლამაზი და კონტა, მარჯვე და უოჩადი, ბეჭითი და მუყაითი.

ხანჭალი და სატევარი, პაპა და ბაბუა, ზვირთი და ტალღა და სხვა, რომლებიც ფორმით განსხვავებულია, შინაარსი კი ერთი და იგივეა ან ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს.

„ჩრდილს“ მოეპოვება თავისი სინონიმები და არასწორი ფორმის მიმატება (ვინმეს ნებაც რომ იყოს), არა მგონია, სჭირდებოდეს. „ჩრდილის“ სინონიმებია: გრილო, ჩერო, აჩრდილო, ჩრდილო, ჩრდილიანი, საგრილებელი, მაწარმოებელდართული იგივე სიტყვებია და არა სინონიმები. ჭერ არსად თქმულა და, ალბათ, არც ითქმება, რომ სინონიმები მაწარმოებელდართული სიტყვებია. „ჩრდილქვეშ“ სახელზე უმართებულოდ „ქვეშ“ ზმნისართულებას უმატებენ სიტყვას „ქვეშ“ ასევე შეიძლება დავუროთოთ უამრავ სახელს, მაგალითად: თოვლი-თოვლქვეშ, ხიდი-ხიდქვეშ, სახლი-სახლქვეშ, დახლი-დახლქვეშ, ჭერი-ჭერქვეშ, საწოლი-საწოლქვეშ და სხვა. მერედა, ესენი სინონიმები იქნება? ცხადია, არა. ყველა ზმნისართიანი ერთი და იგივე ფუძე-ძირის სიტყვებია და არა განსხვავებული. ამდაგვარი ნებისმიერი მეტყველების ნაწილებით შეიძლება ასევე ვაწარმოოთ სიტყვები და უსასრულოდ მრავალი რაოდენობის „სინონიმები“ მივიღოთ... ასე რომ, ჩვენი ოპონენტების აღმოჩენის მიხედვით შექმნილ „სინონიმებს“ ვერავითარი ლექსიკონები ვეღარ დაიტევს. ამას ჰქვია „ენის სიმდიდრისაკენ სწრაფვა“, დიდსულოვნად გვიხსნიან ოპონენტები, რეცენზენტის საქციელი კი „ენის გაღატაკებისაკენ სწრაფვააო!“

დემაგოგიური ფანდი გინა სიუალებე მეთორმეტე.

მასწავლებელს უჭრაში წიგნი აქვს ჩაკეტილი, როცა იდროებს, ამოიღებს და კითხულობს, ამჭერად ბავშვები მიცემიულ გაკვეთილს ამზადებენ და „ძილის მომგვრელად ზუზუნებენ“. დობინსმა წიგნს ხელი წაატანა, მაგრამ შეუოყმანდა, ვერ გადაწვიტა, ამოეღო თუ იქვე დაეტოვებინა:

„...წაატანა ხელი წიგნს, თითქოს არ იცოდა, ამოეღო თუ არა“. გვ. 120.

...and reached for his book, but seemed undecided whether to take it out or leave it. p. 153.

მაშინდელი რუსული თარგმანები გვთავაზობენ:

«как бы не пытался» (ს. ვოსკრესენსკი, გვ. 109).

«не сразу пытался» (მ. ვხგელგოლტი, გვ. 138).

ასევეა დღევანდელ რუსულ თარგმანებშიც: რეცენზენტი წერდა: „არ იცოდა“ კი არა, სცოდნია, მაგრამ ვერ გადაეწვიტა“.

დედნის მზამზარეულ აზრსაც რომ თავი დავანებოთ, ნუთუ მტკიცებაა საჭირო, რომ აქ, კონტექსტის მიხედვით, უკეთესი შესატყვისია „ვერ გადაეწვიტა“ და არა „არ იცოდა“. და მაინც, ოპონენტები აქ კილიკის გუნებაზეც დამდგარან და „საქმის არსსაც თვალსაჩინოდ გვიხსნიან“: „ეს გაუგებრობა არ მოხდებოდა, რეცენზენტისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო ბუნებრივი ქართული გამოთქმა — „არ იცის, რა ქნას“. ეს გამოთქმა გულისხმობს მდგომარეობას, როცა კაცი საგონებელშია ჩავარდნილი, ანუ იცის, მაგრამ ვერ გადაუწვიტია“.

ოპონენტებმა „თვალსაჩინოდ აგვიხსნეს საქმის არსი, მაგრამ მკითხველს“ ეჭვი შეეპარება და რომ ჩაუფიქრდება, საპირისპირო დასკვნამდე მივა.

ჭერ ერთი, ამ გამოთქმის სწორ ფორმად მიჩნეულია „არ იცის“ კი არა „აღარ იცის, რა ქნას“ და „იტყვიან მაშინ, როდესაც დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილი“ და „ვეღარ ახერხებენ ვერაფერს (მეტისმეტე მწუხარებისა თუ სიხარულისაგან)“¹.

მაშასადამე, გამოთქმა იხმარება მაშინ, როცა აღამიანი, უბრალოდ, „საგონებელში“ კი არა, „მეტისმეტე მწუხარებისა ან სიხარულისაგან“ „დიდ საგონებელშია ჩავარდნილი“, თავგზააბნეულია და გამოსავალს ვეღარ პოულობს, ვეღარ ახერხებს, „აღარ იცის“, რა იღონოს, „რა ქნას“.

ოპონენტები კი პირიქით ამბობენ, „იცისო“. ამრიგად, მათი სურვილისამებრ, „არ იცის, რა ქნას“ ხელად „იცის, რა ქნას“ გახდა!

თუკი „იცის, რა ქნას“, მაშინ საგონებელში ჩავარდნილიც აღარ ყოფილა და, ცხადია, „არ იცოდა, რა იქნა“, მთლად უადგილოდ გამოყენებულია. ამ დასკვნამდე, როგორც ვხედავთ, ოპონენტების „აზროვნების სტილს“, მსჭეღობას, მათივე „სურვილის საწინააღმდეგოდ“, თავისთავად მივყავართ.

¹ აქედ. ს. ჩიქობავას მიხედვით.

არ იცოდა, რა ექნა კი „გულსინძობის“ საგონებელში, თანაც „დიდ საგონებელში ჩავარდნილი“ „ადამიანის მდგომარეობას“.

ახლა ვიკითხოთ: დობინსი „საგონებელშია ჩავარდნილი“? მით უფრო „დიდ საგონებელში“? არა, განიცდის „მწუხარებას ან სიხარულს“? მით უფრო „მეტყველებს“? არა, არაფერს ამის შესავსის უბრალოდ, ზის, „ბავშვების ზუზუნში“, დაამთქარა, წიგნს ხელში წააქანა და წვეთოვანდა, ამოედო თუ არა ამოდო, ესე იგი, „არ იცოდა“, აქ არაფერ შუაშია, მაგრამ რა გინდა, აუარეთ ცერცვი კედელს!

მაშასადამე, შემოხსენებულ ორ თქმას შორის საგრძნობი განსხვავებაა, მეტიც, სტილისა და ნიუანსის შენარჩუნების თვალსაზრისით, — „დიდი ზღვარიც“.

ახლა მოვითქვით გრ. უიფშიძის თარგმანიდან ამ ადგილს: „...მაგრამ თითქო ყოყმანში უნდა ვერ გადახვდეთ, ამოდო, თუ ისევ უთში დაეცევიან“. გვ. 186.

ვინ ამბობს მართლაც გრ. უიფშიძე და რეცენზენტი თუ თქვენ, ოპონენტებო?

ახლა, ოპონენტებმა გულზე ხელი დაიდონ და თქვან, გრ. უიფშიძის თარგმანს რომ იცნობდნენ, ამ შენიშვნას გააკეთებდნენ? „ეტუობა, ზოგადი და ზერელე ლაპარაკი (უფრო სწორად რეცენზენტის გამტყუნების ტიუტი მცდელობა ბ. ს.) რომანის შინაარსის ცოდნას ხელს არ ეწყობს“.

გამოდის, რომ ოპონენტები მთელი „თავდაჭერებითა და კატეგორიულობით“ სხვებს ასწავლიან იმას, რაზედაც უვითონ ძალიან ზერელე, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

დემოგოგიური ფანდი გინა სიყალბე მეცამეტე.

რაც ზემოთ ვნახეთ, ოპონენტები იმის შემდეგაც კვლავ ჩვეული „თავდაჭერებით“ განაგრძობენ: „...დიდომატურ გამოთქმებს ვინ ჩივის, როცა რეცენზენტისათვის სიტყვის ელემენტარული მნიშვნელობაც კი გაუგებარია. მაშინ ხომ აღარ დაწერდა რომ ტომ სოიერი და მკვლერი ფინი „სახელოვანი გმირები არიან“.

ეტუობა, ჩვენს ოპონენტებს აქ „გმირები“ რეალურ (სახალხო) თუ არარეალურ (ზღაპრულ) გმირებთან გაუგებრიათ ან არ სცოდნიათ, რომ გმირი იგივე ნაწარმოების პერსონაჟს, მოქმედ პირს ნიშნავს. მერა, ეს ჩემი კუთვნილება არც გახლავთ. ამ გმირებს სპეციალურ ლიტერატურაში სწორედ ასე მოიხსენიებენ (Famous Heros). მესამეც, თვითონ ავტორი უწოდებს მათ გმირებს (hero, heros) თავად გრ. უიფშიძე იქაც კი, სადაც დედანს „გმირი“ არა აქვს, „გმირს“, ან „გმირებს“ ხმარობს. რომ ისინი „სახელოვანები“ არიან, ჩვენს მოპაექრებს იქნებ იმით მაინც „დავაჭეროთ“, რომ მათი დაბადების დღე ამერიკაში ეროვნულ დღესასწაულად იქნა გამოცხადებული და დიდი ზეიშით აღინიშნა. აქ კი, ვშიშობ, ოპონენტებს ბებიაქალის აუცილებლობის იდეა არ მოუვიდეთ. აკი რამდენჯერმე შევნიშნე, ესენი ასირებული ხალხი ყოფილა და ადამიანი ამათთან ძალიან ფრთხილად უნდა იყოს-მეთქი...

დავუტეროთ, კატეგორიული მიითხველო, რომ ოპონენტებს თავიანთი გამოთქმული შენიშვნებისა სჭერათ? თუ სჭერათ, შეიძლება მათ ვენდოთ? ხოლო, თუ არ სჭერათ და მაინც ამას გვთავაზობენ, ხომ კიდევ უფრო ვერ უნდა ვენდოთ?

საბოლოოდ ფაქტი ფაქტად რჩება: თარგმანი ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და უნდა შესრულდეს ხელახლა ისევე, როგორც ასეთ შემთხვევაში ჩვენთანაც და სხვაგანაც არაერთხელ გაკეთებულა. თურმე ამავე აზრისა ყოფილან „ტომ სოიერის“, თარგმანზე პოეტი და მკვლევარი ი. გრიშაშვილი, მეცნიერი ლიტერატორები: გ. დოლიძე, მ. დუმბაძე და ბევრი სხვაც, როგორც ვნახეთ, წერილის „ავტორები განსხვავებული შეხედულებებისა“ ბრძანებულან რეცენზენტისაგან, მკითხველისაგან და იმ მეცნიერებისგანაც, რომლებიც ამ საკითხის კვლევის შედეგად იგივე დასკვნამდე მისულან. ამიტომაც ოპონენტებს ექვი აწუხებთ, შესაძლოა, ჩვენს უსაფუძვლო შენიშვნებს უურადღება არავინ მიაქციოს, ვიღაც საქმიანი გამოტყვერეს, „ტომ სოიერი“ ღირსეულად თარგმნოს და მკითხველს მიაწოდოსო, ამიტომ წინასწარ თავს წაღვევენ და მკითხველს მოძღვრებენ: თარგმანის გაუმჯობესება საჭირო არ გახლავთ და მისი ხელახლა თარგმნის მოთხოვნა, „დროებითი და წარმავალია, თუ გასაქანი არ მიეცა“.

რა ენადვლებათ, დაბეჭდვას არავინ უშლით, სიმართლეა თუ სიყალბეა, არავინ ედავებათ, საქმე კეთდება თუ ხდება, აინუნშიაც არ მოსდით, ადგებიან და წერენ, რაც ნებავთ და რამდენიც ნებავთ. უკეთეს ამინდს ვერც ინატრებდნენ.

უახლოვდებიან რა დასასრულს, „საქმეში ჩახედული“ ოპონენტები მკითხველს ამცნობენ: „უველაფერს ვერ გამოვეცილებით და არც არის საჭირო, ისედაც აშკარაა რეცენზენტის ბზროვნების სტილი“. მე კი, რათა ნამდვილად შეჩვენებინა ოპონენტების „აზროვნების სტილი“ და ლიტერატურული ეთიკა, „უველაფერს გამოვეციდე“, ამიტომ დამატებითაც მომაქვს რამდენიმე ნიმუში რეცენზიაში წარმოდგენილი იმ მრავალი შენიშვნიდან (ასზე მეტი), რომელთაც ოპონენტები „აღარ გამოეციდნენ“ და დუმილით აუარეს გვერდი. მხოლოდ დამატებებში შეიძლება დაუწყოთ გამართლება ასეთ ქართულს: „შემდეგ ზურგზე დაწვა ფანჯრის ქვეშ“, „ოქნებ კიდევ გადაშვებოდა დასამშვიდებლად“; „ტომი გამხნევებას სთხოვდა, მაგრამ ის პასუხობდა, არ შემოდლიაო“; ახლა ჩვენ ანგარიშგასწორებულნი ვართ“; „თუნუქის კიჭა“, „ვისზე უნდა მოვხდინათ თავდასხმა“; „ქეშმარიტებად მიაჩნდათ მათი ნაბოდვარი ოთახში ჭაერის, გაწმენდაზე, ლოგინში ჩაწოლასა და ლოგინიდან ადგომაზე“; „გოს განდევნობა უნდოდა — მღვიმეში ცხოვრება ცარიელ გამხმარ პურზე და სიკვდილი სიცოცხესაგან, გაჭირვებისა და სევდისაგან“; „თოკივით გადაგრეხილნი, ერთმანეთს თმით ათრევდნენ“; მოწონება იგრძნობოდა შთამაგონებელი დუმილით და ფართოდ გახეილი თვალებით“; „ახალგაზრდა ვაჟი“; „მაგიდაზე დაახროვა ოქრო“; „გოგო-ბიჭების მთელი ზროვა მოგროვდა“; „უფლებებს აელენდნენ შენიშვნებით, საუვედურებით, სანაქებო დისციპლინასაკენ მოწოდებით“... და მრავალი სხვა. მოყვანილი მაგალითები რეცენზიაში გაუანალიზებელია, აბა, რაღა, გაანალიზება სჭირდებოდა მათ. ოპონენტები კი მკითხველს მოძღვრავენ (საწყალი მკითხველი, რა იოლი დასამოძღვრავი ყოფილა!) ყოველივე ესენი „ოქროს ფონდებია“ და ამათ იქით, სადღაც (ალბათ, მიღმა სამყაროში) უნდა ვეძებოთ „მხატვრული აზრი“ „ენის სულისა და გულის განცდა“, „სისავსე და სიმდიდრე“...

ვის ეკუთვნის ეს „ოქროს ფონდები“, პირველ მთარგმნელს თუ მის შემდგომ წიგნის შემცნებ-შემსწორებელს, ამას მკითხველისთვის მნიშვნელობა არა აქვს. მკითხველისთვის მნიშვნელობა აქვს მის ხელთ არსებულ კონკრეტულ ნაწარმოებს. ეს კონკრეტული ნაწარმოები კი, ვიმეორებ, უკვე მოხსენიებული „ოქროს ფონდებით“ გახლავთ შემკობილი და მარკ ტვენის „ტომ სოიერთან“ ბევრი არაფერი აქვთ საერთო. ამიტომაც გამოაქვეყნა „საუნჯემ“ რეცენზია.

წერილის ავტორები, უეჭველია, გრძნობენ, რომ მკითხველს იმედი გაუცრუეს, მაგრამ იტიბარს მაინც არ იტეხენ და პომპეზურად აცხადებენ: „ეს რეცენზია დიდი ილიასეული სატირული სურათით თავიდანვე შევაფასეთ და ხელახლა აღარ გავიმეორებთ“. კიდევ უარესი ლიმიტის მომგვრელი უნდადაგო ტრაბახი ზომ არ გამოუვიდათ ოპონენტებს? თუმცა რაღა, გასაკვირია, მთელი წერილი ზომ სულ ამ კილოზეა მომართული!

„შევაფასეთ და ხელახლა აღარ გავიმეორებთ“, როგორი რიხითა და „თავდაქრებით“ ბრძანებენ „საქმეში ჩახედული“ ოპონენტები. ეგრე იყოს, ბატონო, ვინ გატანთ ძალას. ოღონდ ცოტა ქვემოთ თვითონ რეცენზენტი გაიმეორებს. ჭერ კი ოპონენტებმა ერთხელ კიდევ გულზე ხელი დაიდონ და აღიარონ: ვის სცოდნია უსაფუძვლოდ ლაპარაკი „ენითა ქარიანით“, ვის სცოდნია „ვაჟკაცისათვის აუგი“ სამსახურის გაწევა; ვისი „ნამოღვაწარი“ ყოფილა „ჭერელე და ნიჟილისტური“; ვინ ამხედრებულა „განგებ ნაკლის საჩხრეკად“, ვინაა „ტენდენციური და არაკვალიფიციური“; ვის „უცდია შეექმნა „მოჩვენებითი შთაბეჭდილება“, „რათა მკითხველი დაახნიოს“; ვის „აუფლია გვერდი სურათის გასამუქებლად“ ფაქტებისაზვის; ვის სდომებია „ძალათი ენობრივი შეცდომები გამოჩხრიკოს“ და მაინც ვერ გამოეჩხრიკოს... არ აღიარებენ? მაშინ რეცენზენტი აღიარებს, რომ მკითხველს იმედი გაუცრუვდა ოპონენტების ლიტერატურულ-ეთიკური უმწიკობისა თუ მოჩვენებითი პათოსის გამო, რომ მთელ ამოდენა წერილში გამოთქმული არცერთი შენიშვნა სწორი არ გამოდგა, რომ... თუმცა არა, სჭობია, ყოველივე ეს თვითონ მკითხველს მივანდოთ და იმან განსაჯოს, ვისი „აზროვნების სტილსა“ და ადამიანობას მიესადაგება დიდი ვაჟას შეგონება, „ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს ენითა ქარიანითაო“, ოპონენტებს თავიანთი „ნამოღვაწარისათვის“ ეპიგრაფად რომ წარუმძღვარებიათ, და „დიდი ილიასეული სატირული სურათი“: „ვისაც არც ღონე აქვს და არც ძალა, გამოვა და შეუპოვრად დადგება შუა მოედანზედ“. ასე რომ, რეცენზენტის განქიქების ეშხში შესული ოპონენტები ნაკლებად უფიქრდებიან, რას ამბობენ და რისთვის და ასე ტრაბახ-ტრაბახობა. ბაქი-ბუქით ჩადიან საკმაოდ გრძელი წილადობილას ბოლოში, სადაც მათი ყოყლოჩინობა აქოთეოზს აღწევს, და კვლავ პომპეზურად აცხადებენ: „გრიგოლ ყიფშიძე ჩვენთვის, ქართველი-

ბისათვის, დიდი და ძალიან ძვირფასი სახელია და ამ სახელის აუგად ხსენების უფლება არავის არ უნდა მიეცეს“.

ქეშმარიტად! არავის... და არც ვინმეს მოაფიქრდება ეს გარდა მისი შეურაცხყოფილად გამოქომაგებულებისა. ჭერ ერთი, როდის მოიპოვებს ოპონენტებმა ქართველების სახელით გამოსვლის უფლება! მე პირადად, არა მგონია, „ენითა ქარიანითა“ დასწერებმა მოიპოვონ ეს სასუკვარი პატივი! მეორეც, ისინი, მაშასადამე გრ. უიფშიძის აშკარა წრესგადასულ, თანაც უადგილო აპოლოგიას ეწევიან და ამათ მის სახელს შეურაცხყოფას აუენებენ. ზედმეტი ქება რომ საქებარს ამცირებს, ეს ანბანური ქეშმარიტება ოპონენტებმა უნდა შეიგნონ. ისე, ჩემს მოდავეებს რომ დავუჭეროთ, „დიდ სახელებში“ მოხვდება ზოგი ისეთი მწერალიც, რომლის ნაწარმოებებსაც ერთხელაც ვერავინ კითხულობს. ხომ არ აჯობებდა, ღია კარის მტკრევასა და საჩოთირო ილეოებს, ამაზე ეწერათ ჩვენს ოპონენტებს?

გრ. უიფშიძე კი ისე პიროვნებაა, რომლის ავტორიტეტსაც დაცვა არ სჭირდება. არავის უფლება არა აქვს ჩვენს დვანდმოსილ მამულიშვილებს საფუძველსმოკლებული, შეურაცხყოფილი ქომაგობა გაუწიოს.

მე პირადად მწამს, რომ ვინმესთვის დაუმსახურებლად „სახელის გატეხვის არალიტერატურული მცდელობა“ და უოველგვარი ცილისმწამებლური გამოხდომა ადრე თუ გვიან, მხილებული და საკადრისად დაგმობილი იქნება.

საერთოდ, რეცენზენტი გაწინამატებულ ოპონენტებს და მათ ავან-ჩავანებს არ ეხატებათ გულზე, მაგრამ, ჭერ ერთი, რა დააშავა „ტომ სოიერის“ მკითხველმა, მეორეც, რა დააშავა „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველმა?

ამჯერად, როგორც ვხედავთ, ოპონენტებმა არათუ დევი ყურით, ჭინკა რომ ჭინკაა ისიც კი ვერ მოგვიყვანეს, მაგრამ მომავალი წინა აქვთ. ცდა ბედის მენახვერეაო. იმედს რა დაუღწევს კაცს, მით უფრო თავგადასავლების მოყვარულს, თუმცა კმარა... ჩვენ მოპაექრები კარგა ხანს შევიყოლიეთ და მეტს ნულარ დავაუოვნებთ, თორემ ესენი ისეთი შარიანი ხალხი ყოფილა, შეხაძლოა, ამაშიც ბრალი დავდოთ და ერთი „ენითა ქარიანითა“ კიდევ გამოაცხონ, ამიტომ დავემშვიდობოთ, კეთილი ზურგქარი და გამარჯვება ვუსურვოთ, ოღონდ ცოტა რამ მოკრძალებით ვურჩიოთ: უსამართლო ომს ნურავის გაუმართავენ, რამეთუ უსამართლო ომში „საქმეში ჩახედული“ მეომრებიც კი მარცხდებიან, არამცთუ „საქმეში ჩაუხედავები“.

ისე, კაცმა რომ თქვას, დასასრულს მინდა დიდი მადლობა მოვახსენო, ერთი მხრივ, გაზეთის რედაქციას, ხოლო მეორე მხრივ, თვით ოპონენტებს, ასეთი გამორჩეული ყურადღება რომ მიაქციეს ჩემს არცთუ იშდენად „ვრცელ რეცენზიას“, რადგან ამ გამოხმაურებაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა რეცენზიის საფუძვლიანობა, ავტორის პოზიცია.

თარგმნა ეთარ ყურაშვილმა

ძველი ეგვიპტის ხელოვნება

ძველი ეგვიპტის ხელოვნება შექმნა იმ ხალხმა — კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი კულტურის შემოქმედმა, რომელიც რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხმელთაშუაზღვისპირეთის, აღმოსავლეთ აფრიკისა და წინა აზიის ისტორიაში. ეს ხელოვნება ყველაზე უფრო მოწინავე და სრულყოფილი იყო ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხთა ხელოვნებას შორის. სწორედ ეგვიპტეში შეიქმნა პირველად ქვის მონუმენტური არქიტექტურა, განსაკუთრებული ტიპის სვეტები, დარბაზთა ბაზილიკური წყობა, არქიტექტურის, ქანდაკების, ფერადი რელიეფის პარმონიული შერწყმა, სკულპტურული პორტრეტი შესანიშნავი თავისი რეალური სიმართლითა და თავისებურებით, საუცხოო კედლის მხატვრობა, უმშვენიერესი მხატვრული ხელოსნობის ნაკეთობანი.

ნილოსის დელტაში პირველ პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმოშობას „ჩრდილოეთის სამეფოს“ წარმოქმნა მოჰყვა, შემდგომსა და ნილოსის პირველ კორომს შორის კი შეიქმნა „სამხრეთის“ სამეფო. დაახლოებით ძვ. წ. 3000 წელს მეფე მენესის (მინა) დროს მოხდა ამ სამეფოთა გაერთიანება, დაარსდა პირველი ხერთო ეგვიპტური დინასტია და ამავე დროიდან იწყება ეგვიპტის ისტორიაც. სიმარტივისათვის დინასტიები გაერთიანებულია ჯგუფებად, რომლებსაც „სამეფოებს“ უწოდებენ. ეს დაყოფა პირობითი და ხელოვნურია, მაგრამ მოსახერხებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ეგვიპტის ხელოვნებას საფუძველი ჩაეყარა კაცობრიობის ისტორიის პირველ კლასობრივ საზოგადოებაში და გამოხატავდა გაბატონებული კლასის იდეებს, ამასთანავე მუდამ ასახავდა ხალხურ მითოლოგიას, ხალხის მიერ შექმნილ პოეტურ და მხატვრულ სახეებს. ეგვიპტის ხელოვნების რეალისტურ ტენდენციებს — ცოცხალი ადამიანისადმი ინტერესს, ეგვიპტელი ხალხის ცხოვრების გამოწვლილით აღწერას და სინამდვილის ცხოვრებისეულ, მართლად ასახვას ჰქონდა ღრმად ხალხური საფუძველი.

მდ. ნილოსის დაბლობი მდიდარია უძველესი ხანის კულტურის ძეგლებით. ძვ. წ. IV ათასწლეულის ნამოსახლარებისა და სამარხების გათხრების შედეგად მოპოვებულია საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების მდიდარი მასალა. უძველესი ორმოსამარხები, გამოქვაბულები ჯერ თიხაში აწედილი თივის ან ლერწმის და თიხის მრგვალმა ნაგებობამ შეცვალა, შემდეგ კი — ხის ან ალიზის სწორკუთხა სამარხებმა. ბელადთა სამარხების კედლებისა და კერამიკის მოხატულობა, რელიეფები რიტუალური დანიშნულების ფილებზე, ქალისა და ცხოველების თიხის ფიგურები ასახავენ ამ პერიოდის ადამიანთა რწმენას და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად ხელოვნება მოწოდებულია განადიდოს საზოგადოების უმაღლესი ფენა. ამ პერიოდის დამახასიათებელი ძეგლია 64 სმ სიმაღლის ფარაონ ნარმერის ფილა, რომელზეც გამოსახულია სამხრეთ და ჩრდილოეთ ეგვიპტის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება. ფილის ერთ მხარეს ფარაონ ნარმერის საწიმიო გამოსვლაა დახატული. მოაქვთ შტანდარტები, იქვეა მტრის

უთავო გვამები. სხვა სცენები სიმბოლურია: იგივე გამარჯვებული-მეფე, ხარის სახისა, მტრის ციხე-კოშკს ანგრევს რქებით. ფილის მეორე მხარეს გამოსახულია, როგორ კლავს ნარმერი ჩრდილოელ მტერს და ღვთაება ჰორი — შევარდენის სახით, — მას უბოძებს ჩრდილოეთის მიწას. თითოეული სცენა დასრულებულია და თანაც ძეგლის მთლიანი იდეის ნაწილს წარმოადგენს. სცენები სარტყლებადაა განლაგებული. ფიგურები მკვეთრად განირჩევიან ერთმანეთისაგან განსხვავებული თავსაბურავებით, ატრიბუტებით და, რაც მთავარია, წარწერებით — გაჩნდა დამწერლობა. სხვა ფიგურებთან შედარებით ნარმერი ბევრად დიდია, მისი კუთხით. მისი სახე პროფილშია, მხრები — ფასში, ტანი 3/4-ით არის შემობრუნებული, ფეხები კი პროფილშია. მას მფარველობს ღმერთი. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ადამიანის სხეულის პარმონიული პროპორციების განსაზღვრული კანონი.

აღრინდელი და ძველი სამეფოს კულტურა (ძვ. წ. 3000 წ. — ძვ. წ. XXIV ს.) ამ პერიოდს ეგვიპტისა და მისი ხელოვნების განვითარების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს იყო ძიების, შერჩევისა და ეგვიპტის კულტურის ძირითადი ფორმების ჩამოყალიბების ხანა. ეგვიპტის ხელოვნების მონაპოვარია სკულპტურული პორტრეტი, კლასიკური არქიტექტურული ფორმები: პირამიდა, ობელისკი, სვეტი; არქიტექტურული დეკორის სხვადასხვა ელემენტი, მრგვალი ქანდაკება, რელიეფი, მონუმენტური ფერწერა. პირველად ეგვიპტელებმა ათვისეს ქვის კონსტრუქციული და დეკორატიული შესაძლებლობანი; პლასტიკური ხელოვნების ძირითადი საშუალებანი: მოცულობა, მასა, სიბრტყე, ხაზი, სილუეტი, ფერი — ფერწერასა და რელიეფში. წამყვანი ადგილი ეჭირა არქიტექტურას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მიცვალებულის კულტს. ჩვენამდე მოაღწია ქვის მასიურმა ნაგებობებმა: მასშტაბებმა, პირამიდებმა და ტაძრებმა, ყორღანული ტიპის სამარხიდან განვითარდა პრიზმის ფორმის მასტაბა, რომელიც შემდგომ პირამიდას დაედო საფუძვლად.

პირამიდის პირველი ნიმუშია ფარაონ ჯოსერის (III დინასტია ძვ. წ. 2800 — ძვ. წ. 2728) საფეხურებიანი პირამიდა (სიმაღლე 60 მ, არქიტექტორი იმჰოტეპი), რომელიც აღმართულია ხელოვნურ ტერასაზე და ერთმანეთზე დადგმულ შვიდ მასტაბას წარმოადგენს. მის ირგვლივ განლაგებული იყო გალავნით შემოზღუდული ეზოებისა და სამლოცველოების რთული ანსამბლი. საყურადღებოა, რომ ჯოსერის პირამიდის აგების დროს ქვის კონსტრუქციული შესაძლებლობა ჯერ ბოლომდე არ იყო ათვისებული: სვეტები არ გამოიყოფოდნენ კედლებისაგან, მათი პროპორციები შეესაბამებოდა ხის ხუროთმოძღვრების ნორმებს. საინტერესოდ და სხვადასხვაგვარად იყო გადაწყვეტილი ანსამბლის დეკორირება. ჯოსერისა და მისი მემკვიდრის პირამიდებმა დასაბამი მისცა კლასიკური ტიპის პირამიდებს, რომლის შესანიშნავი ნიმუშია ხეოფსისის პირამიდა გიზაში (ხუროთმოძღვარი ხემიუნე). 147 მ სიმაღლის ნაგებობა 2 800 000 ბლოკს შეიცავს (თითოეულის წონა საშუალოდ 2,5 ტ.), პირამიდა აშენებული და მოპირკეთებულია გასაოცარი სიზუსტით ერთმანეთზე მორგებული კირქვის ხაშხაზნაგოვანი ფილებით. პირამიდას აღმოსავლეთით ეკრა სულისმოსახსენებელი ტაძარი. პირამიდული ანსამბლების არქიტექტურული სტილის დამახასიათებელი თავისებურებაა დიდებულებისა და სისადავის, გრანდიოზულობისა და უკიდურესად მკაფიო სიზუსტის შეხამება.

ხეოფსისის პირამიდა და მის გვერდით აღმართული ხეფრენისა და მიკერინის პირამიდები — მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი — მონუმენტურობითა და მკაცრი სიდიადით, ეგვიპტური ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლებია. სულისმოსახსენებელი ტაძრების სვეტები უკვე გამოყოფილია კედლებისაგან. მას ეყრდნობა დარბაზთა გადახურვა და ქმნის შესასვლელ კარიბჭეებს. ამ ტაძრის კედლები რელიეფებით იყო დაფარული, ხოლო ქვის ტექნიკის სრული დაუფლებით საშუალება მიეცათ ბრწყინვალედ გამოეყენებინათ სხვადასხვა ქანების შეხამება ნაგებობების გასაფორმებლად. კედლებისა და იატაკის, სამლოცველოებისა და დარბაზების ქანდაკებათა მოსაპირკეთებლად გამოიყენებოდა მოყვითალო ალუბასტრი, სხვადასხვა ფერის გრანიტი, ბაზალტი, დიორიტი. IV დინასტიის ფარაონთა პირამიდები განუმეორებელი იყო. გიზაში პირამიდები მონარქის შეურყეველი ცენტრალიზებული ძალაუფლების სიმბოლოდ გვევლინება. შემდეგ საუკუნეებში პირამიდების სიმაღლემ იკლო — 70 მ არ აღემატებოდა, რადგან ქვეყანა ეკონომიურად ვეღარ უძლებდა გიგანტურ ხარჯებს.

სამაგიეროდ გაიზარდა სულისშოსახსენებელი ტაძრების მოცულობა და დაგეგმარებაც გართულდა.

ძველი სამეფოს პერიოდში პარალელურად აგებდნენ შუის კულტისადმი მიძღვნილ ტაძრებს. კულტის ობიექტი, უზარმაზარი ობელისკი, მოოქრული სპილენძის (ან ოქროს) სვეტით ღია ეზოში იყო აღმართული. ხუროთმოძღვრული ნაგებობის ჭერი ეურდნობოდა ან სრულიად მარტივ, ოთხწახნაგოვან გრანიტის ბოძს, ან არქიტრავი ეკავა გრანიტის მონოლითის დიდებულ სვეტს, იგი ხან პალმის ხის, ხან კი პაპირუსის ღეროების კონის ნახშირეულ გამოქანდაკებული. ეგვიპტელებმა უფაქიზესი მხატვრული აღდგომა გადაწყვიტეს ცარიელი სივრცის რთული პრობლემა და სათავე დაუდეს სვეტნარს.

ადრინდელი და ძველი სამეფოს ქანდაკებას საკულტო დანიშნულება ჰქონდა და აკლდამაში ჩასატანებლად იყო განკუთვნილი. უმთავრესად ამან განაპირობა პორტრეტული ქანდაკების შექმნა. მოქანდაკე შეზღუდული იყო დაკანონებული პირობითი სქემით, მაგრამ ხელოვანს მაინც ეძლეოდა თავისუფლება, რადგანაც მიცვალებულის პორტრეტული მსგავსება უნდა გადმოეცა. ძველ ეგვიპტელთა რწმენით, სული ადვილად მოძებნიდა თავის ახალ თავშესაფარს. ქანდაკებათა პოზები ერთგვაროვანია — მჯდომარე ან მდგომი. ისინი ნიშებში იდგნებოდა, ქანდაკება იფარებოდა ბათქაშით და იღებებოდა პირობითი ფერით: თმა — შავად, საშისი — თეთრად, მამაკაცი — მოწითალო-აგურისფერად, ქალი — ყვითლად. მჯდომარე ფიგურებიდან ცნობილია ფარაონ ხმჰრემის (IV დინასტია, ძვ. წ. 2723-2568) დიორიტის ქანდაკება. განუმეორებელი ოსტატობითაა გადმოცემული მეფის სახის ღვთაებრივი სიმშვიდე და სიდიადე. ქანდაკების ძირითადი სტილისტური ნიშანია ფრონტალობა, ტანისა და სახის მარჯვენა-მარცხენა მხარის სიმეტრიულობა. პორტრეტები გამოირჩევა სახეთა დახასიათებით (ხუროთმოძღვარ ხმჰრემის მეფისწულ პანფმარას, მეფის მწერალ პაბის პორტრეტები). გვაოცებს პორტრეტული ხასიათის სიფაქიზეც, შინაგანი სამუაროს გადმოცემაც და შემოქმედთა პროფესიული ოსტატობაც. ქანდაკების ამ ჯგუფს მიეკუთვნება სახიჩართა, ქონდრისკაცთა და მსახურთა გამოსახულებებიც. მსახურთა მცირე ქანდაკებების ძერწვისას მოქანდაკე შეზღუდული არ იყო მკაცრი კანონიკური ნორმებით. ამიტომ მინიატურული ფიგურები გამოირჩევა სიცოცხლითა და მოძრაობით. მოქანდაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი საფეხური იყო მიცვალებულთა სახეების თაბაშირის ნიღბების აღების დაუფლება. ამ პერიოდში უკვე შეეძლოთ ნატურალური ზომის ლითონის ქანდაკებების ჩამოსხმა ოქრომჭედლები ტაძრებისათვის ღვთაებათა რიტუალურ ქანდაკებებს ამზადებდნენ. მეფის ქანდაკების განსაკუთრებულ სახესხვაობას წარმოადგენდა სფინქსი — ლომისტანიანი და ადამიანისთავიანი ფანტასტური არსება, რომელსაც სახე მმართველი ფარაონისა ჰქონდა. საუოველთაოდან ცნობილი 20 მ სიმაღლისა და 57 მ სიგრძის დიდნი სფინქსი გიზაში, რომლის საურდენია შესაბამისი ფორმის კირქვის კლდე.

ამ პერიოდის ხელოვნებაში დიდი ადგილი ეჭირა კედლის მონატულობასა და ფერად რელიეფს. ტაძრებისა და სამარხთა კედლებზე შესრულებული მხატვრობა ეურდნობოდა არა ინდივიდუალობას, ერთხელ მომხდარ ისტორიულ ფაქტს, არამედ მას საფუძვლად ედო უცვლელი, მარადიული უოფა. V დინასტიიდან (ძვ. წ. 2568-2423) შეიმჩნევა თანდათანობითი მიმართება სანახაობრივ, ემოციურ ნახატთან. მონატულობა სრულდებოდა მინერალური ხაღუბავითა და ტემპერათი. ასევე იხატებოდა რელიეფიც. ამ პერიოდის რელიეფებში უკვე მოცემულია რაკურსი და პერსპექტივა. შესანიშნავად აგებული კომპოზიცია და ფერადოვანი გამათვალსაჩინო მარვენებელია მოქანდაკეთა და ფერმწერთა მაღალი ოსტატობისა. შედგენილი რელიეფები ამოწნეჭილი ან ნაძერწი სურათების შთაბეჭდილებას ქმნიდა. სოციალურ განსხვავებას სხვადასხვა ზომის ფიგურებით გადმოსცემდნენ. მაგ. ღმერთები და ფარაონები შედარებით დიდი და ძლიერი აღნაგობისა იყვნენ (კანონიკური ნორმების დაცვით). სამაგიეროდ ოსტატი თავისუფალი იყო ნადირობის, ომების და სხვა რომელიმე მოვლენის წარმოსახვისას ამ პერიოდის მხატვრული ხელოვნობის ნიმუშები გვაოცებენ მასაღისა და ფორმის მრავალფეროვნებით. ნახელავის დახვეწილობით გამოირჩევა ქვის ჭურჭელი, ლოტოსის ყვავილის ფორმის ბროლისა და მოცისფრო მარმარილოს თასები, ქაშანურის ჭურჭელი, ძვლის, სპილენძის, ოქრომჭედლობის ნაკეთობანი — მძივები, ბეჭდები, სამაჯურები, გულსაკიდები. დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული მარტივი და სადა ფორმის, სპილოს ძვლით მოპირკეთებული ავჯი.

შუა საშუალო ხელოვნება (ძვ. წ. 2040—ძვ. წ. 1785). XI დინასტიამ საფუძველი ჩაუყარა ქვეუნი და მანამდე უცნობი თემების გაძლიერებას. XII დინასტიის დამარცხებულმა ამინამჰატ I-მა საბოლოოდ შეზღუდა ნომარქოსების დამოუკიდებლობა, უზღოვრებით მიიმხრო წარჩინებულთა გარკვეული ნაწილი. მან დამპყრობლური ომები ჩატარა ნუბიაში, სირიასა და პალესტინაში. განაახლა სინის ნახევარკუნძულის საზღვრების დამუშავება. ქვეყანა გამდიდრდა, დაიწყო ლითონის იარაღების დამზადება, გაიზარდა მონათა რაოდენობა, განვითარდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობა. ნომარქოსების გარდა, ძლიერ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა სასახლის მსახური არისტოკრატია. თემებს აღწევდასთან ერთად მანამდე უცნობი ღვთაება ამონისა და მასთან შერწყმული მზის ძველი ღვთაება რბს ხანელმწიფო კულტი დამკვიდრდა. აქედან ჩაეყარა საფუძველი მზის კულტის მონოთეისტურ ტენდენციებს ეგვიპტეში.

XII დინასტიის ფარაონები, თავისი ავტორიტეტის განსამტკიცებლად, მიუბრუნდნენ პირამიდების მშენებლობას, მეფისის ნეკროპოლისში ერთი-მეორეზე მიუოლევით შენდებოდა ეგვიპტელთათვის მიღებული ფორმის ფარაონთა აკლდამები. მათ ძველ მონუმენტურ სამარხებთან მხოლოდ გარეგნული მსგავსება ჰქონდათ. შენების ტექნიკა ახლა სხვაგვარა იყო და ვერ უზრუნველყოფდა აკლდამების დიდი ხნით არსებობას, გიგანტური პირამიდების შენების საშუალებები კი არ იყო. მშენებლობის ნაკლის დასაფარავად ნაგებობა მოპირკეთებული იყო ხის სამაგრებით შეერთებული მშვენივრად გაწყობილი კირქვის ფილებით. ამ სამაგრების არაშეწყობა იყო სწორედ მიზეზი შუა საშუალო პირამიდების ცუდად შენახვისა.

პირამიდების ირგვლივ, ისევე როგორც ადრე, განლაგებული იყო დიდგვაროვანთა მასტაბები. ადგილობრივი დიდკაცობა თავის სამარხს, როგორც უოველთვის, კლდეში გამოჰკვეთდა.

სარწყავი სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ნილოსის დასავლეთით, ფაიუმის ოაზისში, ცნობილი ხელოვნური წყალსაცავი — მერნდის ტბა — გააშენეს. შემაერთებული არხის ჩრდილოეთ მხარეს იდგა გიგანტური ნაგებობა — ლაბირინთი (დაახლ. 72 000 კვ. მ.) — რომელიც შედგებოდა უამრავი დარბაზისაგან, ათასობით ოთახისაგან, გიგანტური ფილებით გადახურული გადასასვლელებისაგან. თებში ააგეს ამონის დიდებული ტაძარი.

ძველი საშუალო ხელოვნების მიმდევრობა ახასიათებს XII დინასტიის ოფიციალურ სახვით ხელოვნებასაც.

სხვაგვარი მიმართულება მიიღო ადგილობრივი ცენტრების, განსაკუთრებით შუა ეგვიპტის ხელოვნებამ. მათმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ ძველი საშუალო დასახრულს ნიადაგი შეუშადა მთელ რიგ ახალ თავისებურებებს ადგილობრივ ხელოვნებაში. ამ ოლქთა (ნომ-ი) მმართველები, ცდილობდნენ რა თავიანთი სამყოფელი მოეწყოთ ფარაონის კარის მსგავსად, დიდ უურადლებას უთმობდნენ თავიანთ მხატვრულ სახელოსნოებსაც. თუმცა აქ დამკვიდრებული იყო ძველი საშუალო ხელოვნების ძირითადი ტრადიციები, მაინც გადამუშავდა და გადაიღა ხელოვნების ზოგიერთი კანონები. აქ იგრძნობა სწრაფვა სინამდვილის უფრო მართლად ასახვისაკენ. გაიზარდა ინტერესი ზუსტი ცოდნისადმი, რამაც განაპირობა მთელი რიგი აღმოჩენები მათემატიკასა და მედიცინაში. ლიტერატურაში აშკარად შემოვიდა რეალისტური სახეები (პტომოპოგრაფიები, „სინუჰის ამბავი“).

შუა ეგვიპტის ოლქებმა შემოინახა საინტერესო ძეგლები მმართველთა კლდის სამარხების სახით. ბაძვდნენ რა ძველი საშუალო ფარაონთა აკლდამების არქიტექტურას, ამ სამარხებმა მაშინვე მიიღო მთლიანი ანსამბლების ხასიათი იმ განსხვავებით, რომ აქ გზა ნილოსიდან მიდიოდა არა პირამიდებისაკენ, არამედ კლდეში გამოკვეთილი აკლდამებისაკენ.

ამ სამარხთა კედლები დაფრული იყო რელიეფებითა და მოხატულობით, რომელიც ახლაც გვაოცებს ჩვეული სცენების გაბედული გადაწყვეტილებით, ფერადოვანი პალიტრის თავისებურებით, ფიგურების უჩვეულო განლაგებით. ჩვენს წინაა ორი მებრძოლის შებმის უველა პერიპეტები, აკრობატების რთული პოზები, მმართველთა ნადირობის რეალურად გააზრებული სცენები. აღსანიშნავია, რომ ოსტატი ოლქის მმართველის გამოსახვისას უოველთვის არ იცავს ასეთი პიროვნების ჩვენების აუცილებელ წესებს. გამგებელი ხან ლაბადაშია გახვეული და თვალუურს ადევნებს ვაჟიშვილის ნადირობას, ხან კი ჩვეულებრივ მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილს, მსხვერპლი ამოუღია მიწაში. პოზა სწორადაა შენიშნული და გადმოცემულია ცოცხლად. სცენებში გვხვდება სრულიად ახალი თემებიც—მომთაბარე აზიელების შემოსვლა.

ძვ. წ. XX ს-ში ფარაონთა მდგომარეობა განმტკიცდა. დიდ ქალაქებში ხელახლა დაიწყო ტაძრების მშენებლობა. ხუროთმოძღვრებაში შეაქვთ მთელი რიგი ახალი ელემენტები ტაძრის არქიტექტურაში ჩნდება ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება: შესასვლელის გაფორმება პილონით — ორი კოშკი შუაში გასასვლელით. იქმნება ახალი ფორმის სვეტი კაპიტულით, ღვთაება ხატორის თავებით შემკული.

ამ პერიოდში ქანდაკებას დგამდნენ არამარტო სულის მოსახსენებელ ტაძრებს, არამედ ღვთაების ტაძრში და მის გარეთაც. გამგებელის ძველი მეტ პორტრეტულ მსგავსებას ითხოვდა. ამ ქანდაკებათაგან აღსანიშნავია ამენმჰეპ III-ისა და სენუსერტ III-ის ბრწყინვალე პორტრეტები — ცოცხალი სახეები ინდივიდუალური ნაკვთებით — ღრმად ჩამჭდარი თვალებით, მსხვილი ცხვირით, პირის დამახასიათებელი მოხაზულობით. გვანცვიურებს შუქ-ჩრდილების თამაშის ძალა, რომელსაც შესანიშნავად იყენებს მოქანდაკე. განვითარდა მხატვრული ხელოვნობაც: დაშუშავდა მინის წარმოების ტექნიკა, გაუმჯობესდა ფერადი ქიქური ქაშანურის ჭურჭელსა და სამკაულებზე, გაჩნდა ოქროს მდიდრულად ინკრუსტირებული გვირგვინები და გულსაკიდები. ნაპოვნია სხვადასხვა ფორმის ბრინჯაოს ჭურჭელი. ამ პერიოდის მცირე პლასტიკისათვის დამახასიათებელია ასაკის, ეთნოგრაფიული თავისებურების, სოციალური მდგომარეობის გადმოცემა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ემოციების გამოსახვა: დედობრივი სიყვარული, ქალის მწუხარება — მიცვალებულის დატირება. უფრო დინამიურია ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულება.

ახალი სამეფოს ხელმოწერა (ძვ. წ. 1550 — ძვ. წ. 1070). იოჰანეს I-მა აღადგინა ეგვიპტის ერთიანობა. ომებმა დიდძალი სიმდიდრე და მონები შესძინა ქვეყანას. ეგვიპტეში ისევ გაჩაღდა ტაძრებისა და სასახლეების მშენებლობა, ქალაქების და განსაკუთრებით ღვთაებათა ტაძრებს წარმოადგენდა მათი სასახლეებით, დიდებული სახლებით, ქალაქის საშუალო ფენის საცხოვრებლებით, განაპირა მხარეს — ღარიბთა ქოხმხებით.

ამ პერიოდის აკლდამები წინა პერიოდისაგან განსხვავებით, ტაძრებისაგან მოშორებით, კლდეში იკვეთებოდა. სამლოცველოების კედლები იფარებოდა მიცვალებულთა ცხოვრების ამსახველი სცენებით. ამიერიდან ეგვიპტის ხელოვნების ცენტრად თებე გვევლინება. აქ ჩამოყალიბდა ტაძრის ახალი ტიპი. ხუროთმოძღვრები ქმნიდნენ არქიტექტურის გაბედულ ნიმუშებს. განვითარდა ტაძრის ორი ფორმა. მცირე მოცულობის ტაძარი წარმოადგენდა სწორკუთხა საკურთხეველს, რომელსაც ორივე თავში ერთმანეთის პირდაპირ დატანებული კარი და გარშემო სვეტნარი ჰქონდა შემოვლებული. ნაგებობა იდგა ხელოვნურად აღმართულ საძირკველზე, რომელიც დაახლოებით ტაძრის კედლის სიმაღლის ნახევარს უდრიდა. მეორე მეტად გავრცელებული ტიპის ტაძარში სვეტნარი შიგნით არის განლაგებული და გარედან არ აღიქმება, ფასადს ქმნიდა წინ აღმართული ორი კოშკი (პილონები). კოშკებს შუა ბრინჯაოთი მოქედილი ტაძრის მთავარი ხის კარი იყო. შესასვლელის ორივე მხარეს იდგა ობელისკები და მონოლითისაგან გამოკვეთილი ფარაონის უზარმაზარი ქანდაკებები. ტაძრის უზარმაზარ წინა ეზოს შემოვლებული ჰქონდა სვეტებიანი ტალანი, საკურთხევლის წინ სვეტებიანი (ბიპოსტილები) დიდი ღარბაში იყო. ორრიგად აღმართულ გიგანტურ სვეტისთავებს პაპირუსის გაშლილი ყვავილის ფორმა ჰქონდა. შუა სვეტები გვერდითებზე მაღალი იყო და გადახურვასთან ერთად მაღალ შუა ნავს ქმნიდა, ხოლო ქვის გადახურვებს შორის სარკმლები იყო ერთგვარად ჩამწკრივებული. ამგვარად იქმნებოდა სამნავიანი გადახურვა. საკურთხეველს გარს ეკრა ვრცელი სათავსები. ტაძრებს აგებდნენ სილაქის ან კირქვის კარგად გათლილი ლოდებისაგან. ტაძრის ზედაპირი რელიეფებით იყო დაფარული, რომლებზეც ფარაონის ომების ამსახველი სცენები იყო. გრანდიოზული ტაძრებიდან გამოირჩეოდა ორი — თებეს მთავარი ღვთაების ამონ-ნე-რატს — იფეტ-ისუთ-ისა და იფეტ-რამის (კარნაკი და ლუქსორი) — ტაძარი.

კარნაკი — იფეტ-ისუთი (ძვ. წ. XX — ძვ. წ. I ათასწლ. დასასრ.) ძველი ეგვიპტის არქიტექტურაში განსაკუთრებით გამოირჩევა. იგი შედგებოდა გრძივ ღერძზე თანმიმდევრულად განლაგებული დიდი და მცირე ღარბაზებისა და ეზოებისაგან. ფასადებზე აღმართვდნენ ორ კოშკს — პილონს — ზედ მიდგმული ობელისკებითა და ქანდაკებებით. მთავარი ტაძრიდან ნილოსისკენ მიემართებოდა სფინქსების ხეივანი, კარნაკის ტაძრის კედლებზე იხატებოდა

არა მარტო საკულტო სცენები; აქვე იკითხება ამონაწერები მატეანიდან, ლაშქრობებისა და გამარჯვებების აღწერა. ტაძარში იდგა არამარტო ღვთაებათა და ფარაონთა ქანდაკებები, არამედ ქურუმთა და დიდებულთა, ცნობილ მხედართმთავართა, ვეზირთა, სურათმოდგართა ქანდაკებანიც. კარნაკს სამართლიანად უწოდებენ ეგვიპტის ისტორიის ქვის არქივს.

ლუქსორი (იფეტ-რესი) (ძვ. წ. XVI-XI ს. ს.) აშენდა ამენჰოტეპ III-ის დროს და წარმოადგენს ახალი სამეფოს ტაძრის შესანიშნავ ნიმუშს. იგი მოიცავს სვეტების წარმატებულ მოთხრობით გარშემორტყმულ, გეგმით სწორკუთხა ეზოს სამსვეტიან ბიპოსტილს, სამლოცველოს, შესასვლელ პილონებს და დიდ ცენტრალურ სვეტნარს. პილონის წინ აღმართული იყო რამზის II-ის ექვსი კოლოსი, ლუქსორი სფინქსების დიდ ხეივანით უკავშირდებოდა კარნაკს.

ამ პერიოდის ქანდაკებები გამოირჩევა სინატიფითა და პლასტიკურობით. ფარაონის პორტრეტული გამოსახულება კვლავ იდეალიზებულია, მაგრამ მკვეთრ ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. რელიეფსა და კედლის მხატვრობაში განსაკუთრებით იგრძნობა რეალისტური ძიებანი; გაბედულად გამოსახავენ ადამიანის ფიგურებს სხვადასხვა მდგომარეობაში. განსაკუთრებით პლასტიკურია მუსიკოსებისა და მოცეკვავეთა ჯგუფები. საინტერესოა შემოქმედებითი ძიებანი, ფერწერულად ასახონ თხელი, გამჭვირვალე ტანსაცმელი. უურადღება ეთმობა სხეულის კანის ფერის გადმოცემას. პირობითი შეფერილობა შეცვალა საინტერესო ფერადოვანმა გამამ. ფიგურები ხან მუქი იასამნისფერ-ვარდისფერია, ხან მოყვითალო-ყავისფერი. არის ცდა ჩრდილის აღნიშვნისა. იგივე ცვლილებები შეიმჩნევა ქანდაკებებშიც — სხეული მსუბუქია, ხაზი დახვეწილი. თებეს ძეგლთა საინტერესო თავისებურებაა ერთხანად გაზრდილი დეკორატიულობა. მდიდრული ტანსაცმლის, პარიკების, სამკაულების წარმოჩენის აუცილებლობამ, დიდებულთა უოფის ფუფუნების ზრდამ გამოიწვია ძეგლთა მოკაზმულობა. შუქ-ჩრდილების უმნიშვნელო თამაში ამ ქანდაკებათა ერთ-ერთი სტილური თავისებურებაა. ადრეული რელიეფის გლეჯი შედარებით ახლა იფარება ტანსაცმლისა და თავსაბურავის ტალღისებური ხაზებით.

მხატვრული ხელოვნების ნიმუშები გამოირჩევა ხაზის მოქნილობით, მოხერხებული პროპორციებით, ფორმის ნაირსახეობით, იხვეწება ქაშანურის სურათოვნება, ფართოდ გამოიყენება ინკრუსტირების ტექნიკა, რთულდება ორნამენტი. კოლოფები იღებენ თაიგულის ფორმას, ოქროსა და ქაშანურის ლანგრები გამოსახავენ ლოტოსებითა და თევზებით სავსე გუბურებს, უელსაბამები იმეორებენ უვავილწნულებს. საინტერესოა თევზების, ცხოველების ფორმის სუნამოს ფიგურული ქურქელი, ლოტოსის უვავილის ფორმის თასები.

ამენჰოტეპ IV-მ ამონის კულტი მზის ახალი ღვთაებით — ატონის კულტით შეცვალა. რელიგიასა და ხელოვნებაში რეფორმების შემდეგ მან დატოვა თებე და დააარსა ახალი რეზიდენცია აქმტატონი. ხელოვნებაში დაიწყო ახალი ეტაპი — უარი თქვან საუკუნოვან ტრადიციებზე და კანონიკურ ნორმებზე. ფარაონის მითითებით სასახლის მხატვრებს მხოლოდ სინამდვილე უნდა აღებეჭდათ. მხატვრები გასაოცარი ოსტატობით გადმოსცემდნენ ცხოველებს მოძრაობისას: მორბენალ ძაღლს, ფრინველის ფრენას, კალებში მონავარდე გარეულ ხარს. ატონის ტაძრის ქანდაკებებსა და რელიეფებში გამოსახული მეფე იყო არა „ღვთის შვილი“, უზარმაზარი სხეულითა და გაიდიალებული ნაკვთებით, არამედ ავადმყოფურად გრძელსახიანი კაცი, წვრილთვალება, დიდპირა, გადმობრუნებული ტუჩებითა და წამოწეული ნიკაბით. დიდი, გაბერილი მუცელი, ჩამრგვალებული თეძოები, წვრილი კოჭები, გრძელი, გამხდარი კისერი, ამოშვებული ლავიწი, ისე არ შეესაბამებოდა ეგვიპტის „ღვთიურ“ მბრძანებელს, რომ შეეძლო შიში გამოეწვია ასეთ სანახაობას შეუჩვეველ ხალხში. ამიერიდან ფარაონებს გამოსახადდნენ ჩვეულებრივ ოჯახურ გარემოში და საერო ტანსაცმელში, ტრადიციული ხატწერის ნორმების დაცვით. ფანატიზმით შეპყრობილ ამენჰოტეპ IV-ისა და მომხიბლავი დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტები გვაოცებს ჭეშმარიტად ინდივიდუალური ცოცხალი სახეებით. ბრევლად გამახვილდა უურადღება სკულპტურული ჯგუფის რთულ კომპოზიციანზე. ამათგან გამოირჩევა სმთი I-ის ომების ამხანველი რელიეფები კარნაკის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე. კომპოზიკია სრულყოფილია. სმთი I-ის ფიგურა წარმოადგენს ერთ-ერთ უველაზე ძლიერ მხატვრულ ნაწარმოებს ეგვიპტურ ხელოვნებაში. აბიდოსში სმთი I-ის ტაძრის რელიეფებში იშვიათი ოსტატობითაა შეხამებული სიფაქიზე, სინაზე, გაბედული და მოქნილი ხაზები და დახვეწილი მოდელირება. თებეს აკლდამებმა შემოგვინახა ფერწერის შესანიშნავი ნიმუშები

ნადირობის ამსახველი და პასტორალური სცენებით. რამსეს II-ის პერიოდის რელიეფები გამოირჩევა რთული, ოსტატური კომპოზიციებით, მაგრამ ფიგურები მოკლებულია ინდივიდუალურ ხასიათს და ხშირად ცუდადაა დახატული. აღსანიშნავია პაღეშის ბრძოლის ამსახველი ურთულესი კომპოზიციის რელიეფი. თვით ქაბუკი რამსეს II-ის ქანდაკება ტურონის მუზეუმის შედეგია. რამსეს III-ის (XX დინასტია, ძვ. წ. 1200—ძვ. წ. 1085) მადინათჰაბუს რელიეფებში აღბეჭდილია ჩრდილოეთის ხალხები. მათი სახით ძველი სამეფოს მემკვიდრეობაში პირველად ჩნდება ევროპა.

ახალი სამეფოს პერიოდის ბოლოს ხელოვნებაში უკვე შეიმჩნევა დაცემის ტენდენციები. ხაზები მძიმეა. მოკლებულია ემოციურობას. სვეტნარმა დაკარგა ძველებური სილამაზე და სიმსუბუქე, ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს ხშირად ატყვია დაუდევრობის კვალი.

გვიანი პერიოდის ხელოვნება (ძვ. წ. XI — ძვ. წ. IV სს.). ამ პერიოდის ე. წ. საინის ეპოქის ფერწერული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ძველი სიუჟეტების გამეორება, მაგრამ შესრულების მანერა და ტექნიკა სრულიად განსხვავებულია. მათი სტილი, სხვა ესთეტიკურ კონცეფციებზეა დაფუძნებული. ნარნარი და პლასტიკური ხაზების დახვეწილი სიმშვენიერე განუმეორებელ მომნიშვნელობას ანიჭებს რელიეფებს. სიუჟეტი ახალ, უფრო თავისუფალ შინაარსობრივ დატვირთვას იძენს. ოსტატი ისწრაფვოდა ეჩვენებინა ღმერთთა, მეფეთა, მმართველთა სიდიადე. მკაცრი, მიწიერი საზრუნავისადმი გულგრილი, უკიდურესად გაიდევლებული სხეულის გაქვავებული პოზები. ამ ქანდაკებებს მსუბუქი პირობითი ღიმილი კი არ აცოცხლებს. პირიქით, უფრო აძლიერებს მათი ცივი ერთფეროვნების საერთო შთაბეჭდილებას. ქვის დამუშავების არნახულმა სრულყოფამ ძეგლებს დახვეწილი ლაზათი შესძინა. არაჩვეულებრივად სრულყოფილია ფიგურული ოქროთი, ვერცხლითა და მათი შენადნობებით დაფარული ბრინჯაოს ბრწყინვალე ქანდაკებები. სილამაზითა და დახვეწილობით გამოირჩევა მხატვრული ხელოვნობის ნიმუშები: ოქრომჭედლური ნაკეთობანი, დედოფალ ისტემჰაბის სულისმოსახსენებელი ტყავის კატაფალკი ფერადი ტყავის აპლიკაციებით, ძვლის მოჩუქურთმება. ტანისის გათხრებში აღმოჩნდა მეფეთა ოქროსა და ვერცხლის კუბოები, შესანიშნავი პორტრეტული ნიღბები, ყელსაბამები, ბეჭდები, სამაჯურები, ლოტოსის ყვავილის ფორმის ინკრუსტირებული გულსაკიდები. ყურადღებას იქცევს ამონის ქურუმთა სარკოფაგების მოხატულობა, რომელიც გამოირჩევა მანამდე არარსებული ნათელი ფერებით, და ნატიფი ნახატები სულის მოსახსენებელ პაპირუსებზე. კერძო პირების ქანდაკებებში რეალისტურმა პორტრეტმა კვლავ დაიბრუნა სიღრმე. მაგ. მონტუიმჰატის ქანდაკებაში ყურადღებითაა დამუშავებული სახე — ხანდაზმულის დანაოჭებული ღოუებითა და შესიებული ქუთუთოებით. მონტუიმჰატის აკლდამის რელიეფები იმეორებს ძველი სამეფოს მასშტაბების რელიეფებს.

კვლავ გაიშალა ახალი მშენებლობები — უპირატესობა ახალ დედაქალაქს — საინს მიენიკა. ხელახლა აშენდა საინის მთავარი ღვთაების ნეიტის დიდი ტაძარი, სადაც მეფეებს მარხავდნენ. სამწუხაროდ ამ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია. მხოლოდ პეროდოტეს გადმოცემით ვიცით ნეიტის ტაძრის პალმისებური კოლონადისა და ფარაონთა უზარმაზარი ქანდაკებების არსებობა. ამ ტაძრის მაღალ ხარისხზე და მორთულებაზე მიგვითითებს გრანიტისაგან გადარჩენილი ნარიყი (სიმაღლე 25-მ. წონა 800 ტ.) არაჩვეულებრივი გაპრიალებული ზედაპირით.

მრგვალ სკულპტურასა და რელიეფში შეიმჩნევა არქაული ხაზები. ზოგჯერ ზუსტად იმეორებდნენ მთელი რიგი მასშტაბების რელიეფებს, ძველი სკულპტურული ნიმუშების გარეგნულ ნიშნებს. მაგრამ მიუხედავად სახეების საერთო გაიდევლებისა და ცივი დახვეწილობისა, საინის ოსტატებმა, უზადოდ ფლობდნენ რა ქვას და სრულყოფილად ამუშავებდნენ მის ზედაპირს, შესძლეს სხეულის სიმსუბუქის გამოსახვა ნარნარი ხაზებითა და მშვენივრად დამუშავებული კუნთებით, რითაც განსხვავდებოდნენ ეს ნიმუშები ძველი სამეფოს ნამუშევრებისაგან — დაქიმული კუნთებითა და მკვეთრი ხაზებით.

ამ პერიოდის რეალისტური პორტრეტის საუკეთესო ნიმუშია მწვანე ქვისაგან გამოთლილი ქურუმის თავი მკაცრი და დაუნდობელი ადამიანის მკვეთრად ხაზგასმული ხასიათით, შუა სამეფოს პორტრეტული სახის მსგავსი. სამწუხაროდ, ამ პერიოდის არქიტექტურული ძეგლები მთლიანად დაიღუპა.

ძვ. წ. 635 წ. სპინის სახელმწიფო დავთა სპარსეთთან ბრძოლაში. ეგვიპტის ხანმოკლე ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის მოჰყვა სპარსეთის მიერ მისი მეორედ დაპყრობა ძვ. წ. V ს.-ში. შემდგომში ეგვიპტე ალექსანდრე მაკედონელმა დაიმორჩილა ბერძენმა ბევრი რამ აიღეს ეგვიპტის ხელოვნებიდან, ელინისტური და რომაული პერიოდის ეგვიპტის საკულტო არქიტექტურაში ელექტიურად იყო შერწყმული ანტიკური და ეგვიპტური ელემენტები. სამაგიეროდ ეგვიპტური და რომაული ტრადიციები ორგანულადაა შერწყმული ეგვიპტურ პორტრეტებში (I-IV ს. ს.).


ძველმა ეგვიპტემ დიდი როლი შეასრულა მსოფლიო ხელოვნების ისტორიის განვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მნიშვნელობა ქრისტიანული ხატწერის ჩამოყალიბებაში.

На грузинском языке

1986 № 4


СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



გამოსული მუხატაქები (ძველი ეგვიპტური ფრესკა)

698/141



განძარცული მანდაკეზა ტუტანხამონისა (ძველი ეგვიპტური მანდაკეზა)